

მონოგრაფია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი

ზურაბ ლიპარტია

ბუღალტრული აღრიცხვისა

და ფინანსური აუდიტის

ადმინისტრირება

საქართველოში

თბილისი 2017

უპკ

ზურაბ ლიპარტია. ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური აუდიტის ადმინისტრირება საქართველოში. მონოგრაფია. სტუ, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2017.- 406 გვ.

მონოგრაფიულ ნაშრომში- „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური აუდიტის ადმინისტრირება საქართველოში“-ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის ტრანსფორმაციის პრინციპების ადაპტირებასთან დაკავშირებული საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიმართულების სამეწარმეო-ბიზნეს საქმიანობის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და კორპორაციების მყარი ფინანსური მდგომარეობის უზრუნველყოფის მიზნით, წარმოდგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების წარდგენისა და სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სისტემის (საჯარო აუდიტის სფეროებში) საერთაშორისო სტანდარტებით წარმოება-ადმინისტრირების აქტუალური საკითხები.

წინამდებარე სამეცნიერო თხზულება განკუთვნილია ბიზნესის ადმინისტრირების (BA) სპეციალობის მაღალი კურსის სტუდენტების, მაგისტრანტ-დოქტორანტებისა და აღრიცხვა-აუდიტის სფეროებში დასაქმებულ სპეციალისტებისათვის.

სამეცნიერო რედაქტორი:

რუსუდან ქუთათელაძე ტექნიკისა და ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი, სტუ-ს ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი

გიორგი ცაავა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, სტუ-ს სრული პროფესორი

ლავრენტი ჭუმბურიძე ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი

რეცენზენტები:

რატი ბურდიაშვილი ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სტუ-ს სრული პროფესორი

მერაბ ჯიქია ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი

კობა ბასილაია ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სარჩევი

სამეცნიერო რედაქტორებისაგან	5
რეზიუმე	8
შესავალი	10
ლიტერატურის მიმოხილვა	19
ნაწილი პირველი. ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების პრაქტიკის ანალიზი საქართველოში.....	27
თავი 1. ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის ფორმირების კონცეფციურ-მეთოდოლოგიური წანამძღვრები	27
თავი 2. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით (ბასს) რეგულირების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები	48
თავი 3. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით (ფასს) მომზადებისა და წარდგენის კონცეფციურ-მეთოდური საფუძვლები	61
თავი 4. ფინანსური ანგარიშგებისა და მარწმუნებელი მომსახურების ხარისხის კონტროლის მონიტორინგი საქართველოში	90
თავი 5. ბუღალტრის (აუდიტორის) პროფესიული განათლებისა და სერთიფიცირების რეგულირების სისტემის შეფასება საქართველოში	96
თავი 6. ეკონომიკური სუბიექტის (კორპორაციის) საქმიანობის კომპლექსური ანალიზი.....	109
თავი 7. ბიზნესის (კომპანიის) ღირებულების შეფასებისა და მართვის კონცეფციურ-მეთოდოლოგიური საფუძვლები	132
თავი 8. ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტური სფეროების ეროვნული სისტემის სრულყოფის პრიორიტეტები საქართველოში.....	156
ნაწილი მეორე. სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სისტემის - საჯარო აუდიტის რეგულირების საკითხები საქართველოში	217
თავი 9. სახელმწიფო ფინანსური კონტროლის (აუდიტის) მართვის კონცეფციურ-მეთოდოლოგიური წანამძღვრები	217
თავი 10. სახელმწიფო ფინანსური კონტროლის გარემოს თავისებურებები და აუდიტის პრაქტიკის ანალიზი	225

თავი 11. სახელმწიფო (საჯარო) აუდიტორული საქმიანობის სფეროების რეგულირების კონცეფციურ-მეთოდოლოგიური ასპექტები.....	250
თავი 12. შიდა კონტროლის (აუდიტის) თანამედროვე სისტემის შეფასება საქართველოს საჯარო მმართველობაში.....	260
თავი 13. სახელმწიფო საგადასახადო პოლიტიკის ოპტიმიზაციისაქტუალური საკითხები საქართველოში.....	273
თავი 14. საქართველოს მოსახლეობის სახელმწიფო სამედიცინო- სადაზღვევო მომსახურების ხარისხის მონიტორინგი.....	290
თავი 15. სახელმწიფო ანტიინფლაციური პოლიტიკის ფორმირებისა და საინვესტიციო პროცესების მართვა საქართველოში.....	312
თავი 16. საქართველოს ცენტრალური (ეროვნული) ბანკის როლი საფინანსო სფეროს საზედამხედველო ვექტორის განვითარებაში	337
თავი 17. სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მონიტორინგი აღრიცხვა-ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ადაპტირების პროცესში.....	356
დასკვნა/ რეკომენდაციები	367
გამოყენებული ლიტერატურა	379
ავტორის მოკლე ბიოგრაფიული ცნობარი	397

სამეცნიერო რედაქტორებისაგან

სარედაქციოდ წარმოდგენილი სამეცნიერო მონოგრაფიული ნაშრომი მოიცავს: რეზიუმეს (ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე) შესავალს, ლიტერატურული წყაროების მიმოხილვას, ძირითად ტექსტს, რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან: 1) „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების პრაქტიკის ანალიზი საქართველოში“ და 2) „სახელმწიფო ფინანსური კონტროლის გარემოს თავისებურებები და აუდიტის პრაქტიკის ანალიზი“. ნაშრომი მოიცავს 17 თავს, დასკვნა-რეკომენდაციებს, გამოყენებული და რეკომენდირებული ლიტერატურის ნუსხას, რომელიც მთლიანობაში კომპიუტერული წესით ნაბეჭდ 406 გვერდზეა ჩამოყალიბებული.

წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომში გამოკვეთილია საქართველოს კორპორაციების (საწარმოების) მართვის მექანიზმში ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და ფინანსური აუდიტის საუკეთესო მსოფლიო პრაქტიკის ადაპტირება-დამკვიდრებასთან დაკავშირებული პრობლემები.

ჩატარებული კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ფინანსური, ეკონომიკური თეორიის კონცეფციურ-მეთოდოლოგიური ასპექტები, საკანონმდებლო და ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, ქვეყანაში მიმდინარე ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ეროვნული სისტემის რეფორმირების საკვლევი საფინანსო-ეკონომიკური მოვლენებისა და ფინანსური კონტროლის (აუდიტის) პროცესების შესწავლისადმი სისტემური მიდგომები.

პროფესორ ზურაბ ლიპარტიას მონოგრაფიული ნაშრომი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური აუდიტის ადმინისტრირება საქართველოში“ - გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, საქართველოს მიკროეკონომიკური მიმართულების სპეციფიკურობისა და საქმიანობის სფეროს ორგანიზაციების (კორპორაციული) სტრატეგიული მართვის მექანიზმების სრულყოფისა და სამეწარმეო პრაქტიკაში მათი ადაპტირების პრიორიტეტული მიმართულებებია გამოკვეთილი, კერძოდ: ა) საქართველოში თანამედროვე ეფექტური ინსტიტუციური სისტემის ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენების პრინციპებისა და მიდგომების ადაპტირება-დამკვიდრებისთვის, კორპორაციული ფინანსური მართვის ინფორმაციული ტექნოლოგიების მექანიზმში; ბ) დასავლეთის ქვეყნების ცნობილ და ქართველ მეცნიერთა კვლევების შედეგებიდან გამომდინარე საქართველოს შემდგომი სტაბილური განვითარებისა და მსოფლიო გლობალიზაციის პროცესში „თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული პირობებით ჩვენი ქვეყნის ვალდებულებების შესასრულებლად - ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტის და კორპორაციული მართვის სფეროებში ევროკავშირის საკანონმდებლო-ნორმატიული აქტების კრებულით (EU aeguescomnautire) დადგენილი უმაღლესი სტანდარტების გამოყენების შესახებ, სახელმწიფო ფინანსური კონტროლის გარემოს თავისებურებების გამოვლენა და

სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მონიტორინგი აღრიცხვა-ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების ადაპტირების პროცესის მექანიზმში და გ) საქართველოს ეროვნული ბანკის როლისა და ადგილის გამოვლენა საფინანსო სფეროს საზედამხედველო ვექტორის განვითარებაში, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და პროფესიის მარეგულირებელი ნორმების ჰარმონიზაციის მოთხოვნის შესაბამისად საჯარო აუდიტის სფეროების სრულყოფის ღონისძიებათა შესამუშავებლად.

საქართველოში მთავრობის მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმების მიუხედავად, როდესაც ქვეყანაში არ არის შემუშავებული სრულყოფილი ეკონომიკური პოლიტიკა ბიზნესის განვითარების სტიმულირებაში, საკანონმდებლო ბაზის ფორმირებისა და საინვესტიციო რესურსების მობილიზაციაში, მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევის შედეგების გამოყენება ფინანსური მართვის სრულყოფილი მექანიზმის შესაქმნელად.

შესაბამისად, შემოთავაზებული მონოგრაფიული ნაშრომის გამოყენება საუნივერსიტეტო განათლებაში განაპირობებს სტუდენტების, ლექტორების, ფინანსური მენეჯერების, მეცნიერ-მკვლევარების შეიარაღებას თანამედროვე მეთოდების სისტემებით, მმართველური გადაწყვეტილებების მიღების ლოგიკის გამომუშავებისა და ფინანსური მართვის მექანიზმების ათვისებაში.

წინამდებარე სამეცნიერო მონოგრაფიულ ნაშრომში გამოკვლეულია: 1) საქართველოში არსებული ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშებისა და აუდიტის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის საერთაშორისო სტანდარტებისა და ევროდირექტივების მოთხოვნებთან შესაბამისობის პრაქტიკა; 2) დასავლეთის განვითარებული ქვეყნების საუკეთესო და საქართველოში არსებული აღრიცხვა-აუდიტის სფეროების პრაქტიკის შედარებითი შეფასების და მიღწეული შედეგების ანალიზი-შეფასების პროცესებში გამოყენებულია ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს), აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (ასს) და მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (jmf) ერთობლივი ანგარიშები (2007;2014წწ) სტანდარტებისა და კოდექსების შესრულების შესახებ (ROSE); 3) შესწავლილია პროფესიული განათლებისა და სერტიფიცირების გლობალური ტენდენციები და ბრიტანეთის სერტიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციების (ACCA) მაგალითზე პროფესიული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების პრაქტიკული ასპექტები; 4) გამოკვეთილია პროფესიული ორგანიზაციებისა და სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლობის პერსპექტივები და თანამედროვე გამოწვევების, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტორული საქმიანობის სფეროებში ეროვნული სისტემის გაუმჯობესების აუცილებლობის შესახებ; 5) შემოთავაზებულია საქართველოში ფინანსური კონტროლის სისტემის (საჯარო აუდიტის) განვითარებისა და ადმინისტრირების სრულყოფის მიმართულელებით რეკომენდაციები და ღონისძიებების პრიორიტეტული მიმართულებები საჯარო აუდიტის მიერ ქვეყანაში კონტროლის ხარისხის

მონიტორინგის გასაუმჯობესებლად; 6) გაანალიზებულია საქართველოში ბუღალტრის (აუდიტორის) პროფესიული განვითარების 20 წლიანი საქმიანობის შედეგები, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციისა (საქართველოს ბაფ-ი) და საქართველოს პარლამენტში არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს გაწეული საქმიანობის შესახებ, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების საკითხებზე.

შესაბამისად, გამოვლენილია საქართველოს კანონის (2016 წლის 08 ივნისის) „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ მნიშვნელობა ქვეყანაში საერთაშორისო სტანდარტების საუკეთესო პრაქტიკის დასამკვიდრებლად ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობისა და ხარისხის უზრუნველყოფაში, პროფესიული ორგანიზაციების როლი ბუღალტრის (აუდიტორის) პროფესიის განვითარებისა და რეგულირების სფეროში, ქვეყანაში ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ხარისხის ოპტიმიზაციის უზრუნველსაყოფად.

ჩვენი აზრით, პროფესორ ზურაბ ლიპარტიას მიერ წარმოდგენილი მონოგრაფია - „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური აუდიტის ადმინისტრირება საქართველოში“ სრულად პასუხობს მონოგრაფიული ნაშრომებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი გამოქვეყნება.

რუსუდან ქუთათელაძე

ტექნიკისა და ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

გიორგი ცაავა

ტექნიკისა და ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი.

ლავრენტი ჭუმბურიძე

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი, ჟურნალ „ბუღალტრული აღრიცხვის“ მთავარი რედაქტორი.

რეზიუმე

საქართველომ საბაზრო ეკონომიკის ტრანსფორმაციის პირობებში ახალ ბიზნეს გარემოში ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების (2013წ) და 2014 წლის 27 ივნისს „თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების“ სრული ხელმოწერის შესაბამისად, აიღო ვალდებულება ქვეყანაში ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტის და კორპორაციული მართვის სფეროებში ევროკავშირის კანონებისა და ნორმატიული აქტების კრებულით დადგენილი უმაღლესი სტანდარტების დანერგვის შესახებ, რომელიც ფრიად აქტუალურ პრობლემად განიხილება საქართველოში, კორპორაციული ფინანსური ანგარიშგების წარდგენისა და აუდიტორული საქმიანობის (კონტროლის) სერვისის ხარისხის ასამაღლებლად, რამდენადაც მაღალი ხარისხის ფინანსური ინფორმაციის (ანგარიშგების) გამჭვირვალობა აუმჯობესებს საინვესტიციო კლიმატს, სამეწარმეობიზნეს გარემოსა და ეკონომიკური სუბიექტებისათვის (კომპანიების, ფირმების) ფინანსური რესურსების (კრედიტის) ხელმისაწვდომობას მეწარმეობის ეფექტური შედეგების მისაღწევად და ექსპორტზე ორიენტირებული დარგების განსავითარებლად.

ნაშრომის **პირველ ნაწილში** „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების პრაქტიკის ანალიზი საქართველოში“- საბაზრო ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესების თანამედროვე ეტაპზე გამოკვლეულია ბუღალტრული აღრიცხვის, კორპორაციული ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის საერთაშორისო სტანდარტებისა და ევროდირექტივების მოთხოვნებთან შესაბამისობის პრაქტიკა. საზღვარგარეთული საუკეთესო და საქართველოში არსებული პრაქტიკის შედარებითი შეფასებისა და მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია მოქმედი რეგულაციური ჩარჩოსა და ბუღალტრული აღრიცხვა-აუდიტორული საქმიანობის ეროვნული სისტემის გაუმჯობესების აუცილებლობა. ჩატარებული კვლევა, ფრიად **აქტუალურია**, რამდენადაც ქვეყანაში მაკროეკონომიკური მაჩვენებლების პრობლემების გადაწყვეტაში, **ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით (ფასს)** მომზადება-წარდგენის სრულყოფას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ეკონომიკის განვითარების სტიმულირებასა და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მექანიზმების მიმართ, რომელიც ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა რეგულირების და რესურსების გამოყენების ეფექტიანობის დაცვას განაპირობებს კორპორაციის (საწარმოს) სტრატეგიული განვითარების პროგრამების შესადგენად და განსახორციელებლად.

სამეცნიერო ნაშრომის **მეორე ნაწილში** - „სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სისტემის - საჯარო აუდიტის რეგულირების საკითხები საქართველოში“- შემოთავაზებულია: სახელმწიფო ფინანსური კონტროლის გარემოსა და საჯარო აუდიტის სისტემის ანალიზის საფუძველები; საჯარო აუდიტის სფეროების

რეგულირების, სახელმწიფო-საგადასახადო პოლიტიკის ოპტიმიზაციის, სახელმწიფო ანტიინფლაციური პოლიტიკის და საინვესტიციო პროცესების მართვის აქტუალური საკითხები. საქართველოს ცენტრალური (ეროვნული) ბანკის როლი საფინანსო სფეროს საზედამხედველო საქმიანობაში და სახელმწიფო ზედამხედველობის მონიტორინგის ასპექტები ევროკავშირის დირექტივების შესაბამისად.

საქართველოში სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სისტემის - საჯარო აუდიტის ადმინისტრირების რეგულირების კონცეფციურ-მეთოდოლოგიური საფუძვლების შემდგომი სრულყოფის მიმართულებით მონოგრაფიულ ნაშრომში შემოთავაზებული რეკომენდაციებისა და ღონისძიებების დამკვიდრებით ქვეყანაში შესაძლებელი იქნება საბიუჯეტო სახსრებისა და სახელმწიფო ქონების გამოყენების კანონიერების, მიზნობრიობისა და ეფექტიანობის კონტროლის ხარისხის გაუმჯობესება. კერძოდ: ა) საჯარო დაწესებულებაში საფინანსო-სამეურნეო სისტემის ფუნქციონირების სტაბილურობა; ბ) საგადასახადო და საბიუჯეტო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება; გ) აუდიტორული საქმიანობის სრულყოფის სტრატეგიის შემუშავება აუდიტის საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების შესაბამისად.

დასკვნა: ამრიგად, ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიტიკური შეფასების საფუძველზე დასაბუთებულია საქართველოში ევროდირექტივების მოთხოვნების შესაბამისად, ბუღალტრის (აუდიტორის) პროფესიის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის აუცილებლობა, შესწავლილია პროფესიული განათლებისა და სერტიფიცირების გლობალური ტენდენციები, პროფესიული მომსახურების ხარისხის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების პრაქტიკული ასპექტები. გამოვლენილია საქართველოში საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება-დამკვიდრების მნიშვნელობა ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობისა და ხარისხის უზრუნველყოფაში და შემოთავაზებულია თანამედროვე ეტაპზე ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტორული საქმიანობის რეფორმირებასთან დაკავშირებული ახალი საქართველოს კანონის (2016 წლის, 08 ივნისის) მოთხოვნების შესაბამისად, პროფესიული ორგანიზაციებისა და სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლობის პერსპექტივები და სფეროები მიკროეკონომიკური სფეროს განვითარების მართვის მექანიზმში სტრატეგიული პრიორიტეტების ჩამოსაყალიბებლად, ევროკავშირში გაერთიანების გათვალისწინებით.

შესავალი

ანოტაცია: საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესების თანამედროვე ეტაპზე გამოკვლეულია ქვეყნის სახელმწიფო (საჯარო) და კერძო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის, კორპორაციული ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის საერთაშორისო სტანდარტებისა და ევროდირექტივების მოთხოვნებთან შესაბამისობის პრაქტიკა. საზღვარგარეთული საუკეთესო და საქართველოში არსებული პრაქტიკის შედარებითი შეფასებისა და მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია მოქმედი რეგულაციური ჩარჩოსა და ბუღალტრული აღრიცხვა-აუდიტორული საქმიანობის ეროვნული სისტემის გაუმჯობესების აუცილებლობა. ჩატარებული კვლევა, ფრიად **აქტუალურია**, რამდენადაც იგი ქვეყანაში ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ეფექტიანობის დაცვას განაპირობებს.

კვლევის მიზანი და ამოცანები: კვლევის მიზანია ქვეყანაში არსებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის რეგულირების სამართლებრივი ბაზის სრულყოფის, სახელმწიფო და არასახელმწიფოებრივი (კერძო) სექტორის ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ხარისხის ოპტიმიზაციის აუცილებლობის მეთოდოლოგიურ-პრაქტიკული მიდგომის დასაბუთება. შესაბამისად, **ჩამოყალიბებულია ამოცანები:**

ა) **გამოკვლევულ იქნას ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის ადმინისტრირების სამართლებრივ-ორგანიზაციული საფუძვლების ეფექტურობის მაჩვენებლები, საქართველოში თანამედროვე ეფექტური ინსტიტუციური სისტემის დასამკვიდრებლად და ევროკავშირის დირექტივებთან ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისობაში მოსაყვანად;**

ბ) **გამოკვლევულ იქნას სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სრულყოფის მეთოდოლოგიური მიდგომები აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და პროფესიის მარეგულირებელი ნორმების ჰარმონიზაციის მოთხოვნის შესაბამისად მართვის ინსტიტუციური სრულყოფის რეკომენდაციების ჩამოსაყალიბებლად და ქვეყნის საბიუჯეტო სახსრების გამოყენების ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით საჯარო აუდიტის სრულყოფის ღონისძიებათა შესამუშავებლად.**

კვლევის ობიექტი და საგანი: კვლევის **ობიექტს** წარმოადგენს საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრების, სახელმწიფო (საჯარო) ფინანსური და აუდიტორული საქმიანობა. **კვლევის საგანია** ქვეყანაში მიმდინარე ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ეროვნული სისტემის რეფორმირების, საბიუჯეტო სახსრებისა და სახელმწიფო ქონების მიზნობრივი გამოყენების კონტროლის მართვის პროცესში ჩამოყალიბებული ორგანიზაციულ - სამართლებრივი და ფინანსური ურთიერთობების ერთობლიობა.

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ფინანსური ეკონომიკური თეორიის თანამედროვე დებულებები საკანონმდებლო და ნორმატიულ-

სამართლებრივი აქტები, საკვლევი საფინანსო-ეკონომიკური მოვლენებისა და კონტროლის პროცესების შესწავლისადმი სისტემური მიდგომები.

სამეცნიერო კვლევის სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა. სამეცნიერო ნაშრომში შემოთავაზებული ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის რეგულირების, სახელმწიფო (საჯარო) კონტროლისა და სტრუქტურულ-ორგანიზაციული პროცესების მართვის სრულყოფის რეკომენდაციებისა და ღონისძიებათა სისტემის ქვეყნის სამეწარმეო-ბიზნესის პრაქტიკაში ადაპტირება-დამკვიდრებით მიიღწევა აღრიცხვა-აუდიტის სამსახურის გამოყენების ეფექტიანობის გაუმჯობესება, რომელიც ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ნორმალური ფუნქციონირების რეგულირებას, საკუთრების ყველა ფორმის კანონიერებასა და რესურსების გამოყენების ეფექტიანობის დაცვას უზრუნველყოფს.

საკვანძო სიტყვები: ბუღალტრული აღრიცხვა; ფინანსური ანგარიშგება; სუბიექტი საჯარო სამართლის და კერძო სამართლის იურიდიული პირები; აუდიტორული საქმიანობა; აუდიტორი; აუდიტორული (აუდიტური) ფირმა; პროფესიული მომსახურება; გარიგების პარტნიორი; აუდიტორული დასკვნა; ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭო; შემოსავალი; საინვესტიციო ფონდი; კონტროლი; ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი; კორპორაციული მართვის კოდექსი; მარეგულირებელი ორგანო; საზედამხედველო ორგანო; ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS).

კვლევისა და განხჯის ნაწილი

პრობლემის დასმა (აქტუალობა). საქართველომ ახალ ბიზნეს გარემოში ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის გადადგა ისტორიული ნაბიჯი ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებით 2013 წლის ნოემბერში ქ. ვილნიუსის სამიტზე და 2014 წლის 27 ივნისს "თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების (DCFTA)" სრული ხელმოწერით. ქვეყანამ აიღო ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტის და კორპორაციული მართვის სფეროებში ევროკავშირის კანონების და ნორმატიული აქტების კრებულით (EU acquiscomnautaire) დადგენილი უმაღლესი სტანდარტების დანერგვის ვალდებულება, რომელიც ფრიად **აქტუალურია** ქვეყნისათვის, რათა გააძლიეროს თანამშრომლობა ევროპასთან პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და უსაფრთხოების საკითხებში, სარგებელი მიიღოს ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობიდან. შესაბამისად, თანამედროვე ეტაპზე ფრიად **აქტუალურ პრობლემად** განიხილება ქვეყანაში კორპორაციული ფინანსური ანგარიშგების და აუდიტორული საქმიანობის (სერვისის) **ხარისხის** გაუმჯობესება, რამეთუ მაღალი ხარისხის ფინანსური ინფორმაციის გამჭვირვალობა აუმჯობესებს საინვესტიციო კლიმატს, სამეწარმეო (ბიზნეს) გარემოსა და ეკონომიკური სუბიექტებისათვის (საწარმოებისათვის) ფინანსური რესურსების (კრედიტის) ხელმისაწვდომობას.

საქართველომ, რომ დააკმაყოფილოს ფინანსური ინფორმაციის მომხმარებელთა ინტერესები, ანგარიშგება უნდა იყოს უტყუარი და სამართლიანი. ფინანსური

ანგარიშგების ძირითადი მიზნის მიღწევა შეუძლებელია **ბასს-ით** გათვალისწინებული ხარისხობრივი მახასიათებლების (აღქმადობა, შესაბამისობა, საიმედოობა და შესადარისობა), რომელთა სრულად უზრუნველყოფის გარეშე, ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის მომხმარებლისათვის სასარგებლო ვერ იქნება.

ქვეყანაში მაკროეკონომიკური მაჩვენებლების პრობლემების გადაწყვეტაში, **ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით (ფასს-ით)** მომზადება და წარდგენისთვის მხოლოდ ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის სფეროების და ფინანსური ანგარიშგების **პრაქტიკის გაუმჯობესება არ არის საკმარისი**. თუმცა, მოცემულ სფეროებში სრულყოფის რეფორმას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ეკონომიკის განვითარების სტიმულირებაში და საზოგადოების ნდობის ამაღლებაში ფინანსური ანგარიშგების სანდოობისა და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მექანიზმების მიმართ, რომელიც ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა გამართული ფუნქციონირების რეგულირებას და საკუთრების ყველა ფორმის კანონიერებას, რესურსების გამოყენების ეფექტიანობის დაცვას განაპირობებს.

მონოგრაფიის პირველ ნაწილში - „ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს) გამოყენების პრაქტიკის შეფასება საქართველოში“ შემოთავაზებულია საქართველოს ეკონომიკაში საბაზრო ფუძემდებლური პრინციპების დამკვიდრების იმ ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილების შესწავლა, სადაც ბუღალტრულ აღრიცხვას (**"ბიზნესის ანბანი და ენა"**) ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დამკვიდრებული მენეჯმენტის თეორიისა და პრაქტიკის სრულყოფის საქმეში. ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის არსებითი თვისება მის **შეზღუდულობაში** აისახება, რაც განპირობებულია შემდეგით: ა) ზოგიერთი უმნიშვნელო მოვლენა შეუძლებელია გამოისახოს ფულადი ფორმით; ბ) საანგარიშგებო პერიოდი ფიქსირებულ ინტერვალში მოიცავს განუსაზღვრელობას გარიგებების დაუმთავრებლობის გამო; გ) ფინანსური ანგარიშგების მონაცემები დამოკიდებულია **აღრიცხვის კონცეფციაზე**; დ) ბუღალტრული აღრიცხვა არ არის სპეციალური მსჯელობა, მისი წესები წინასწარ განსაზღვრულია საღი გონებით.

საბუღალტრო აღრიცხვის კონცეფცია აყალიბებს პირველადი ბუღალტრული ჩანაწერების ფინანსურ ანგარიშგებად გარდაქმნის წესს, რომელიც ემყარება **აღრიცხვის ისეთ ზოგად პრინციპებს**, როგორცაა: ორმხრივობის, ფულადი შეფასების, ეკონომიკური სუბიექტის (საწარმოს) ავტონომიურობის, უწყვეტობის, თვითღირებულების, კონსერვატიზმის, მატერიალურობის, რეალიზაციისა და შესაბამისობის პრინციპები.

წინამდებარე ნაშრომში **კლასიკური საბალანსო თეორიების დახასიათება არის შემოთავაზებული**. ბალანსის კლასიკური თეორიები განსხვავდებიან ბალანსის შედგენის მიზნიდან გამომდინარე, მაგრამ გვიქმნიან წარმოდგენას თუ როგორ უნდა გაფორმდეს სამართლებრივი ბალანსი. ყველა საბალანსო თეორიას ერთი მიზანდასახულობა აერთიანებს – განისაზღვროს ბალანსის მთავარი მიზანი და გამოკვლეულ იქნას მიზან-

ზე ორიენტირებულ საბალანსო ღირებულებები. ასევე, მონოგრაფიულ ნაშრომში შემოთავაზებულია ბუღალტრული აღრიცხვის მოდელების გამოყენების პრაქტიკის ძირითადი მახასიათებლები. კერძოდ: 1) კამერალური; 2) სტატიკური; 3) დინამიური საბუღალტრო აღრიცხვის კონცეფციური განვითარების წანამძღვრები; 4) ფისკალური (საგადასახადო) საბუღალტრო აღრიცხვის მახასიათებლები; 5) საბუღალტრო აღრიცხვა ეროვნული ანგარიშსწორების სამსახურში; 6) საბუღალტრო აღრიცხვა როგორც სამეურნეო ცხოვრების ფაქტების რეგისტრაციის ტექნიკა და სოციალური პრაქტიკის სფერო 7) საბუღალტრო აღრიცხვა როგორც მეცნიერების ობიექტი.

კორპორაციული (საწარმოს) მართვის პრაქტიკაში ცნობილია, რომ **ბუღალტრული აღრიცხვა** ორ ქვესისტემად: გარეშე – ანუ **ფინანსურად** და შიდა – ანუ **მმართველობითად** შეიძლება იქნეს დაყოფილი. ასეთი დაყოფა შიდა და გარე ბუღალტერიის მიზნებსა და ამოცანებში არსებული განსხვავებით არის განპირობებული .

მსოფლიოში გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირების მოდელების წარმოქმნას განაპირობებს გარკვეული მიზნები, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყნის ტრადიციებთან, კულტურასთან, ისტორიასთან, რელიგიასა და თუ სოციალურ თავისებურებებთან. ყოველი ქვეყანა საგადასახადო სისტემისა და ეროვნული კანონმდებლობისგან გამომდინარე აფუძნებს და იყენებს საკუთარი ბუღალტრული აღრიცხვისა (**ზასს**) და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სტანდარტებს (**ფასს**).

საბაზრო ეკონომიკის სისტემაზე გადასვლამ განაპირობა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (**ზასს**) სამეწარმეო პრაქტიკაში დამკვიდრების აუცილებლობა საქართველოში. შესაბამისად, საქართველოში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ბუღალტრული აღრიცხვის გარდაქმნის შესახებ. რეფორმის არსი, ბუღალტრული აღრიცხვის არა მხოლოდ ორგანიზაციულ ცვლილებებში, არამედ მეთოდოლოგიურ გარდაქმნაში მდგომარეობდა. ფინანსური ინფორმაცია სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებლებს უნდა აკმაყოფილებდეს, რაც მათ დაეხმარებათ სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებაში. ამ ძირითადი და მეტად მნიშვნელოვანი მიზნის შესასრულებლად იგი უნდა ეყრდნობოდეს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს (**ზასს**), რომელიც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში უკვე აპრობირებულია.

აკადემიური კვლევები გვიჩვენებს, რომ **პრეცედენტული სამართლის** ტრადიციების მქონე **ინგლისურენოვან ქვეყნებში**, მაგალითად, აშშ-ში, გაერთიანებულ სამეფოსა და ავსტრალიაში, უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება პროფესიული ორგანიზაციების (მაგ. აშშ-ში ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების საბჭო) მიერ დადგენილ სტანდარტებს. **კონტინენტურ ევროპაში** (და იმ ქვეყნებში, რომლებიც იყენებენ ბუღალტრული აღრიცხვის ევროპულ პრინციპებს, როგორცაა იაპონია და აფრიკის ფრანგულენოვანი

ქვეყნები), რომელთაგანაც პოზიტიური სამართლის ტრადიციები გააჩნიათ, გაცილებით მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ კანონმდებლობასა და ფისკალურ მოთხოვნებს.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების ჰარმონიზაცია ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობასთან, ან ერთგვარი **ეროვნული სტანდარტის** შექმნა, შესაძლებელია, მაგრამ ეს ყველაფერი უნდა მოხდეს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტების გააზრების და მათზე დაყრდნობის საფუძველზე. შესაბამისად, საქართველოში ეკონომიკის განვითარებისათვის **უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ევროდირექტივების შესაბამისად რეგულირება.**

ჩატარებული კვლევები მოწმობს, რომ საქართველოში ძირითადი ძალისხმევა მიმართული იყო ინსტიტუციონალური ცვლილებების განსახორციელებლად - ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების და პროფესიული სერტიფიცირების პრაქტიკის დასამკვიდრებლად. ამასთანავე, 2013 წლამდე ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროების რეგულირება მკაფიოდ იყო გამიჯნული. ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირებაში პროფესიული ორგანიზაციები დომინირებდა, ხოლო აუდიტის სფერო სრულად იყო დამოკიდებული სახელმწიფო რეგულირებაზე.

მსოფლიო პრაქტიკაში ფინანსური ანგარიშგების შედგენისა და აუდიტის ჩატარების ერთგვაროვანი წესების დამკვიდრებისათვის უმნიშვნელოვანესია **ბუღალტერთა პროფესიული განათლების ერთიანი სტანდარტების გამოყენება.** ბუღალტერთა სერტიფიცირებისა და პროფესიული განათლების ერთიან სტანდარტს ადგენს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია და მის წევრ პროფესიულ ორგანიზაციებს ავალდებულებს მათ გამოყენებას. პრაქტიკა მოწმობს, რომ საქართველოში ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის პროცესი. ქართველ მეცნიერთა შეფასებით რეალურად ამ მიმართულებით გადაუწყვეტელი რჩება მნიშვნელოვანი საკითხები. ზემოთ აღნიშნული კანონის შემდგომ სრულყოფის აუცილებლობაზე მიუთითებს დარგის არა მარტო ქართველი, არამედ აღიარებული უცხოელი ექსპერტები, მათ შორის ისეთები როგორცაა, ამერიკელი მეცნიერი ფაიეტევილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი რობერტ. ვ. მაკგი და სხვ.

შესაბამისად, ზემოთ აღნიშნული ავტორების აზრით, ქვეყანაში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირების არსებული სიტუაციის პრობლემების გადაჭრის პირველი ტიპის გადაუდებელ ღონისძიებებად მიჩნეულია:

1) კომპეტენტური და სათანადო ფუნქციებით აღჭურვილი ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის მარეგულირებელი საზედამხედველო ორგანო შექმნა,

რომლის უფლებამოსილება გავრცელდება სახელმწიფო აუდიტის, შემოსავლების სამსახურზე და კერძო სექტორზე აუდიტის განხორციელებასთან დაკავშირებით;

2) საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით;

3) შექმნილი საზედამხედველო მარეგულირებელი ორგანოს მიერ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სტანდარტებზე ორიენტირებული დებულებების ჩამოყალიბება და პროფესიულ ორგანიზაციათა აკრედიტაციის წესის შემუშავება.

4) ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის განსაზღვრა;

5) საზედამხედველო ორგანოს მიერ აუდიტორთა ერთიანი რეესტრის წარმოება.

მომხმარებელთა საერთო ინტერესების გათვალისწინებით, ბასს-ით დადგენილია ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის კომპონენტები და ელემენტები. ბასს 1-ის "ფინანსური ანგარიშგების წარდგენა" შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების სრული კომპონენტი უნდა მოიცავს :1) ბალანს; 2) მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას; 3) ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას; 4) ანგარიშგებას, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციას: ა) საწარმოს საკუთარ კაპიტალში ნებისმიერი ცვლილების შესახებ, ან ბ) საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შესახებ, რომლებიც არ არის გამოწვეული მესაკუთრეთა მიერ კაპიტალთან დაკავშირებული სამეურნეო ოპერაციებისა და მათთვის კაპიტალის განაწილებასთან; 5) სააღრიცხვო პოლიტიკასა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს (ბასს1, პუნქტი 7).

სამეწარმეო მიზნებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მსხვილი საწარმო ქმნის შვილობილ საწარმოს. შვილობილი საწარმო ისეთი საწარმოა, რომლის საქმიანობას აკონტროლებს სხვა საწარმო (სათავო საწარმოს უწოდებენ), რომელიც შეიძლება აკონტროლებდეს ერთ, ან მეტ შვილობილ საწარმოს. კონტროლი ნიშნავს საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას ამ საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ფინანსური ანგარიშგების სახით წარმოდგენილი საწარმოთა ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც რეგულირდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის ბასს-27 შესაბამისად.

მონოგრაფიაში განხილულია 1994 წლის 28 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი - „მეწარმეთა შესახებ“, რომლის მე-13 მუხლით განისაზღვრა ქვეყანაში აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების ზოგადი პრინციპები. ამით ფაქტობრივად, პირველი ნაბიჯი გადაიდგა საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე (ბასს) გადასასვლელად და სამეწარმეო-ბიზნეს გარემოში ფინანსური ანგარიშგების მომზადება საერთაშორისო ურთიერთობების განსავითარებლად. შესაბამისად, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებამ და ტრანსნაციონალური კორპორაციების წარმოქმნის პრაქტიკამ, დღის

წესრიგში დააყენა კომპანიების (საწარმოთა) ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდის მოწესრიგება მსოფლიოს მასშტაბით.

ზოგადად, საერთო დანიშნულების ანუ **გამოსაქვეყნებელი ფინანსური ანგარიშგება**, რომელიც საყოველთაო პრაქტიკაში ცნობილია სახელწოდებით **_ ფინანსური ანგარიშგება (ფასს) წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს) შესაბამისად შეგროვილ, დამუშავებულ და მომხმარებლისათვის განსაზღვრული ფორმით მომზადებულ საერთო დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციათა ერთობლიობას. საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში ჩატარებული რეფორმების შეფასებისას აღინიშნება გარკვეული პოზიტიური ცვლილებები, რომლებიც მნიშვნელოვანია მტკიცე კორპორაციული ფინანსური ანგარიშგების სისტემის მშენებლობისთვის. თანამედროვე ეტაპზე, გლობალიზაციის პირობებში ფინანსური აღრიცხვის პრაქტიკის საერთაშორისო ჰარმონიზაცია გლობალურ მასშტაბს იძენს, რამეთუ ინვესტორებს მსოფლიო მასშტაბით უწყვეტ საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღება. შესაბამისად, ჩნდება ფინანსური ინფორმაციის ერთგვაროვანი სახით წარმოდგენის აუცილებლობა. მრავალეროვნული კომპანიებისათვის აღრიცხვის პრაქტიკის საერთაშორისო ჰარმონიზაციის უზრუნველყოფა შემდეგი მიზეზებით იქნებოდა ხელსაყრელი, კერძოდ:**

1. საერთაშორისო საფინანსო ბაზრებისათვის უფრო იოლი გასაანალიზებელი იქნებასხვადასხვა ქვეყნის კომპანიათა მიერ ერთიან საფუძველზე მომზადებული ფინანსური ინფორმაცია;

2. ფინანსური ანგარიშგების ერთიან საფუძველზე წარმოდგენის პირობებში, ასევე ერთგვაროვანი შიდა ფინანსური ინფორმაციის მომზადების შედეგად, მრავალეროვნულ კომპანიებში (საწარმოებში) გაუმჯობესდება მმართველობითი კონტროლი;

3. უფრო ეფექტური იქნება სააღრიცხვო-საანგარიშგებო განყოფილებათა მუშაობა;

4. გაუმჯობესდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის ხარისხობრივი მაჩვენებლები.

საქართველოში არსებული ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის **პრაქტიკის შეფასებიდან** გამომდინარეობს, რომ საქართველოში მაღალი ხარისხის ფინანსურ ინფორმაციაზე **მოთხოვნა დაბალია**, რაც ზოგადად, ფინანსური ანგარიშგების **ხარისხის სისუსტესა და საგადასახადო ანგარიშგების დომინირებას** განაპირობებს. ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გაუმჯობესებისთვის მაღალი ხარისხის ფინანსურ ანგარიშგებაზე მოთხოვნები მნიშვნელოვნად იზრდება, რადგანაც ზოგიერთ კომპანიას აქვს წვდომა ფასიანი ქაღალდების უცხოურ ბაზარზე და შეუძლია დაფინანსების მოზიდვა საქართველოს ფარგლებს გარედანაც.

ამრიგად, ქვეყანაში ჩამოყალიბებული ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროების რეგულირების ნორმატიულ-საკანონმდებლო ბაზის შესახებ პროფესიის წარმომადგენელთა მოსაზრებებისა, ქართველ და უცხოელ მეცნიერთა და პრაქტიკოსთა პუბლიკაციების ანალიზის, მათი შეფასებების განზოგადების საფუძველზე გამოიკვეთა საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ეროვნული სისტემის სრულყოფის აუცილებლობა. შესაბამისად, საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის სრულყოფის პრიორიტეტები განისაზღვრა საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული თეორიულ-მეთოდოლოგიური კონცეფციების, არსებული მოწინავე პრაქტიკისა და ევროკავშირის შესაბამისი დირექტივების მოთხოვნების საფუძველზე.

მონოგრაფიის მეორე ნაწილში - „სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სისტემის - საჯარო აუდიტის რეგულირების საკითხები საქართველოში“- საბაზრო ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესების თანამედროვე ეტაპზე საქართველოში სახელმწიფო კონტროლის პროცესების მართვაში საჯარო აუდიტის მექანიზმის ადაპტირება-დამკვიდრების ფრიად აქტუალური პრობლემების კვლევის შედეგებია ასახული, რამდენადაც იგი ქვეყანაში ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტიანობის დაცვას განაპირობებს.

კვლევის მიზნის-სახელმწიფო ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ხარისხის ოპტიმიზაციის აუცილებლობის მეთოდოლოგიურ-პრაქტიკული მიდგომის დასაბუთების შესაბამისად, ჩამოყალიბებულია ამოცანები:

ა) გამოკვლევულ იქნას სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სრულყოფის მეთოდოლოგიური მიდგომები აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და პროფესიის მარეგულირებელი ნორმების მოთხოვნის შესაბამისად და ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესის შესაბამისობაში სახელმწიფო ფინანსური კონტროლის მართვის ინსტიტუციური სრულყოფის რეკომენდაციების ჩამოსაყალიბებლად;

ბ) ქვეყნის საბიუჯეტო სახსრებისა და სახელმწიფო ქონების მიზნობრიობისა და გამოყენების ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით საჯარო აუდიტის სრულყოფის ღონისძიებათა შემუშავება.

ჩატარებული კვლევის შედეგები მოწმობს, რომ ქვეყანაში ბოლო წლებში სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სტრუქტურულ-ორგანიზაციული მოწყობა ძირეულად შეიცვალა. კერძოდ, განხორციელდა საბიუჯეტო პროცესში სახაზინო სისტემის დანერგვა, რამაც დღის წესრიგში დააყენა ბიუჯეტის აღსრულების პროცესის რევიზია-შემოწმებებში ახალი მეთოდების გამოყენების აუცილებლობა. ფინანსური კონტროლის განსახორციელებლად გამოიყენება პრაქტიკაში აპრობირებული მეთოდები, როგორცაა: რევიზია, აუდიტი, თემატური შემოწმება, ეკონომიკური ანალიზი, გამოძიება (გამოკვლევა), სამეურნეო დავა და ა.შ.

დასავლეთის განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ გასული საუკუნის მიწურულამდე ცალკეული ქვეყნები ფინანსური კონტროლის განსხვავებულ ფორმებს და მეთოდებს იყენებდნენ. თუმცა, ეკონომიკური გლობალიზაციის გაღრმავების კვალდაკვალ, დაიწყო მათი თანდათანობითი დაახლოების და უნივერსალიზაციის პროცესი. ამასთანავე, საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის ყველაზე უფრო ეფექტიან ფორმას ზოგადად აუდიტი წარმოადგენს.

საქართველოში სახელმწიფო ფინანსური კონტროლის რეფორმა - სრულყოფა ობიექტური მოთხოვნაა და მისი პრაქტიკული რეალიზაცია გარდაუვალია. ამ ეტაპზე მთავარია ობიექტურად გაანალიზდეს დღეისათვის მოქმედი ფინანსური კონტროლის (აუდიტის) სისტემის დადებითი და უარყოფითი მხარეები, სწორად შეფასდეს ის პოზიტიური მხარეები, რომელთა შენარჩუნება მიზანშეწონილია მომავალი პერიოდისათვის და მოხდეს მისი შეთანაწყობა ფინანსური კონტროლის საერთაშორისო სტანდარტებთან და წესებთან.

ამასთანავე, ჩვენი შეფასებით, გასათვალისწინებელია ის მდგომარეობა რომ, უცხოეთის გამოცდილების შიშველი და მექანიკური გადმოტანა საქართველოს პირობებში, როგორც წარმატებულიც არ უნდა იყოს იგი, არ მოგვცემს სასურველ შედეგს, თუ არ იქნება გათვალისწინებული ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებები, შინაგანი მენტალიტეტი, ტრადიციები და სპეციფიკა.

წინამდებარე მონოგრაფიაში შემოთავაზებულია საქართველოს ფინანსური კონტროლის სამართლებრივი და ორგანიზაციული საფუძვლების სრულყოფის მიმართულებით გასატარებელი ღონისძიებები საბიუჯეტო სახსრებისა და სახელმწიფო ქონების გამოყენების კანონიერების, მიზნობრიობისა და ეფექტიანობის კონტროლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

ლიტერატურის მიმოხილვა

ჩვენ მიერ განხილულ ლიტერატურაში შევეცადეთ პასუხი გაგვეცა შემდეგ კითხვებზე: საიდან მომდინარეობს მონოგრაფიაში დასმული პრობლემა? რა არის უკვე ცნობილი ამ პრობლემის შესახებ? რა ალტერნატიული მეთოდებია უკვე შემუშავებული დასმული პრობლემის გადაჭრისათვის? რა ნაკლოვანებები აქვს ცნობილ მეთოდებს და რა ნაკლოვანებებია აღმოფხვრილი წინამდებარე სამეცნიერო ნაშრომში?

აღნიშნულიდან გამომდინარე, შემოთავაზებულია გამოქვეყნებული სამეცნიერო-კვლევითი შედეგების მასალები.

1. აუდიტის საფუძვლები. მეთოდური სახელმძღვანელო. (პროფესორ ზ. ლიპარტიას რედაქციით). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 1997. - 128 გვ. ნაშრომში გაშუქებულია საბაზრო მექანიზმის უმნიშვნელოვანესი პრობლემის, კონტროლის ახალი მეთოდის - აუდიტის ორგანიზაციისა და წარმოების მეთოდოლოგიური ასპექტები. ასევე, ნაშრომი მოიცავს აუდიტის კურსის სასწავლო პროგრამას, მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოსა და აუდიტის ჩატარების პრაქტიკულ ასპექტს.

2. თოდუა გ. ბუღალტრული აღრიცხვის თეორია (საერთაშორისო სტანდარტით). სახელმძღვანელო. (პროფესორ ზ. ლიპარტიას რედაქციით). გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 2002. - 184 გვ. ნაშრომში გაშუქებულია ბუღალტრული აღრიცხვის თეორიის ძირითადი საკითხები, როგორც არის: ბუღალტრული აღრიცხვის ობიექტი, საგანი და მეთოდი; აღრიცხვის პრინციპები და მოთხოვნები, ბუღალტრული ანგარიშები და ორადი ჩაწერის მეთოდი, ბუღალტრული აღრიცხვის რეგისტრები, ფორმები, ორგანიზაციის საკითხები და სხვა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

3. ქებაძე ნ. „აუდიტის საფუძვლები“, თბილისი. 2005. - 358 გვ. ნაშრომში დახასიათებულია: შიდა და გარე აუდიტის სისტემა, არსებობის, შიდა და აუდიტორული რისკის შეფასების პროცედურის ეტაპები. შეფასებულია აუდიტორული დასკვნის მნიშვნელობა, შემოთავაზებულია სხვადასხვა ტიპის დასკვნის მაგალითები, ასევე აუდიტის დაგეგმვისა და მეთოდების შემუშავების პროგრამა, აუდიტის სტრატეგიის შესაბამისი პროცედურების დოკუმენტების შესამოწმებელი ფურცლის ნიმუში.

4. ძაძამია რ., „ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება მცირე საწარმოში“. პრაქტიკული სახელმძღვანელო, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (საქ. ბაფი). თბილისი, 2005. - 356 გვ. სახელმძღვანელოში განხილულია საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის 2005 წლის 5 აპრილის #9 დადგენილებით დამტკიცებული „მცირე საწარმოთა ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული სტანდარტის (მსს)“ ყველა ნორმა პრაქტიკული მაგალითების ფონზე. მაგალითად, „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების თავისებურებები სოფლის მეურნეობაში“. სახელმძღვანელო

მნიშვნელოვანია იმ საწარმოებისთვის, რომლებსაც ევალებათ ფასს-ის გამოყენება და ასევე, ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებელთა ფართო წრისათვის.

5. ლიპარტია ზ., გვარამია ნ., ლანჩავა ვ., ეკონომიკური ანალიზი: მიკროეკონომიკური ანალიზის პრაქტიკუმი. სახელმძღვანელო. (პროფესორ გ. ცაავას რედაქტორობით) სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი და აფხაზეთის ეკონომიკისა და სამართლის აკადემია. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 2007. - 496 გვ. სახელმძღვანელოში განხილულია ბიზნესის მართვის სისტემის ურთიერთ დაკავშირებული ფუნქციების ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის; ეკონომიკური ანალიზის; მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისა და დაგეგმვა-პროგნოზირების მახასიათებელი ინფორმაციების მსოფლიო პრაქტიკაში დამკვიდრებული მეთოდურ-პრაქტიკული დამუშავების ასპექტები. ასევე, შემოთავაზებულია საქმიანი სიტუაციების, სავარჯიშოების. ტესტებისა და ამოცანების ამოხსნისა და საკონტროლო-საგამოცდო ტესტების კეისების საკითხები.

6. ბარბაქაძე გ., ბუხჰალტრული (ფინანსური) აღრიცხვა. სახელმძღვანელო. გამომცემლობა „უნივერსალი“. 2007. - 140 გვ. აღნიშნულ სახელმძღვანელოში განხილულია ბუღალტრული აღრიცხვის თეორიის საგანი და მეთოდი, ბალანსი და ანგარიშგება და სააღრიცხვო პოლიტიკის ასპექტები. ფინანსური აღრიცხვის ძირითადი საკითხები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

7. ცაავა გ., აბრამია თ., ცაავა დ. – „რისკოლოგია - ფინანსური და საბანკო საკრედიტო რისკების მენეჯმენტი“, სახელმძღვანელო, თბილისი, გამომცემლობა „აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია“, 2007. – 567 გვ., სადაც განხილულია რისკოლოგიის მსოფლიო გამოცდილება, ფინანსური და საბანკო საკრედიტო რისკების მენეჯმენტის ფართო სპექტრი თანამედროვე პირობების გათვალისწინებით. ცენტრალური ადგილი დათმობილი აქვს ფინანსური და საბანკო საკრედიტო რისკების აღქმის, ანალიზის, შეფასებისა და მინიმიზაციის პრობლემის განხილვას. ყურადღება გამახვილებულია ფინანსური და საბანკო საკრედიტო რისკების „VAR“ (Value at Risk)-ის მეთოდოლოგიით მართვის საკითხებზე.

8. გელაშვილი თ., ზარანდია ც., ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. სახელმძღვანელო (პროფესორ ზ. ლიპარტიას რედაქტორობით). ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტი. გამომცემლობა „უნივერსალი“ 2007. - 332 გვ. სახელმძღვანელოში განხილულია მმართველობითი და ფინანსური ინფორმაციების მსოფლიო პრაქტიკაში დამკვიდრებული კონტროლის, კორპორაციის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის (ანალიზური პროცედურების) წარმოების მეთოდურ-პრაქტიკული ასპექტები.

9. ჩიბურდანიძე ლ. საბანკო საქმე (მოკლე კურსი). დამხმარე სახელმძღვანელო. გამომცემლობა „თბილისი“, თბ., 2008. – 156 გვ., სახელმძღვანელოში განხილულია საბანკო საქმის არსი და როლი. კომერციული ბანკების, როგორც იურიდიული საწარმოს ფუნქციები, ოპერაციები, საქმიანობის არეალი და გაძღოლის ფუნდამენტალური საკითხები მოცემულია განმარტებებსა და მიმართულებებში.

10. ძამამია რ., ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება, დამხმარე სახელმძღვანელო. საქ. ბაფ-ი, თბ. 2008. – 564 გვ., ნაშრომი მომზადებულია ფასს 2007 წლის რედაქციის შესაბამისად. წიგნში განხილულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების საკითხები. ფასს-ით განსაზღვრული ძირითადი პრინციპების აღქმის გასაადვილებლად გაშუქებულია მრავალი მაგალითი და სიტუაცია. მოცემულია კითხვები და მაგალითები განსჯისა და მიღებული ცოდნის შემოწმებისთვის. წიგნი დაწერილია კერძო ბიზნესში დასაქმებული ბუღალტრების, მაგისტრების, დოქტორებისა და ინფორმაციის მომხმარებელთა ფართო წრისათვის.

11. ქუთათელაძე რ., კობიაშვილი ა., „აუდიტის საფუძვლები“, გამომცემლობა: „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბ., 2009. 182 გვ. - ნაშრომი მიზნად ისახავს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აუდიტორული შემოწმებების პროცედურების შესწავლას. სახელმძღვანელოში განხილულია ისეთი საკითხები, როგორცაა აუდიტორული საქმიანობის სტრუქტურა და ორგანიზაცია, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები-ასს, აუდიტორის პროფესიული ქცევა, აუდიტორული პროცედურები, რისკი და არსებითობა, აუდიტორული მტკიცებულებები, აუდიტორული შერჩევა, ბუღალტრული აღრიცხვის ობიექტების აუდიტორული შემოწმების საკითხები, აუდიტორული დასკვნის სახეები და მათი შედგენის წესები. ასევე, განხილულია აუდიტის ორგანიზების ძირითადი ხერხები და პროცედურები. ნაშრომის სტრუქტურისა და თემატიკის ჩამოყალიბებისას გამოყენებულ იქნა მოქმედი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები, ოპერაციების რეგულირების დებილებები, მითითებულია ბუღალტრული, ფინანსური და სხვა აუცილებელი საბუთების ნუსხა, რომლებიც უნდა განიხილოს და გაანალიზოს აუდიტორმა.

12. ბენიძე ნ., შონია ნ., ბიწაძე ჯ. - რისკები და დაზღვევა. - თბილისი, გამომცემლობა „ინოვაცია“, 2010. – 468 გვ., განხილულია შემდეგი საკითხები: რისკის თეორიული საფუძველი; ევოლუცია და მისი სახეები; შესავალი რისკის მენეჯმენტში; რისკების მართვის სისტემა; საბანკო რისკების მართვა; დაზღვევის არსი და ფორმები; სადაზღვევო ურთიერთობების მონაწილენი; მზღვეველის ფინანსური სიმყარე; გადაზღვევის საფუძვლები; სადაზღვევო პოლისი; სადაზღვევო საქმე სოციალური უზრუნველყოფის სფეროში; სადაზღვევო პროდუქტები; საქართველოს სადაზღვევო ბაზარი.

13. ჭილაძე ი. - ბუღალტრული აღრიცხვა ბანკებში: სალექციო კურსი. - თბილისი, გამომცემლობა „ეროვნული მწერლობა“, 2010. – 155 გვ., სადაც განხილულია შემდეგი საკითხები: ბანკის ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები; ბანკების საკასო, საანგარიშსწორებო და საშუამავლო ოპერაციების აღრიცხვა, ასევე, საკრედიტო და სასესხო ოპერაციების, ფასიანი ქაღალდების და ოპერაციების აღრიცხვა უცხოურ ვალუტაში; შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა; საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა და ბანკების ფინანსური ანგარიშგების ანალიზი.

14. ბარათაშვილი ე., ბაკაშვილი ნ., ფარესაშვილი ნ., გეჩბაია ბ., მესხიშვილი დ., “თანამედროვე ბიზნეს სტრატეგიები“. სახელმძღვანელო. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 2011. - 246გვ. სახელმძღვანელო მომზადებულია ბიზნესის მენეჯმენტის სფეროში არსებული თანამედროვე სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენების საფუძველზე. მასში ლოგიკური თანმიმდევრობითაა განხილული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა გლობალიზაცია და ბიზნესი, კონკურენტული ქცევის სტრატეგიული დეტერმინანტები, სტრატეგიული მენეჯმენტის სისტემა და სხვა, რომლებსაც დღეისთვის დიდი პრაქტიკული ღირებულება გააჩნია.

15. ზარანდია ც., მენეჯერული აღრიცხვა. სალექციო კურსი. (პროფესორ ზ. ლიპარტიას რედაქციით) ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 2011. - 120 გვ. მმართველობითი (მენეჯერული) აღრიცხვის სალექციო კურსში ასახულია მმართველობითი საქმიანობის თეორიულ-პრაქტიკული ასპექტები როგორც ოპერატიულ, ისე ტაქტიკურ და სტრატეგიულ მართვის დონეებზე. ნაშრომში განხილულია მმართველობითი გადაწყვეტილებათა მისაღებად მნიშვნელოვანი საკითხები - როგორცაა დანახარჯთა კალკულაციის მეთოდები, CVP ანალიზი, SWOT ანალიზი, ინვესტიციების შეფასება და ა.შ. ასევე, შემოთავაზებულია მენეჯერული აღრიცხვის სპეციალური სფეროებისა და საქმიანი სიტუაციების ძირითადი საკითხები სავარჯიშოების ტესტებსა და ამოცანებში.

16. ლიპარტია ზ., ზარანდია ც., გელაშვილი მ., „მმართველობითი აღრიცხვა და შიდა კონტროლი“, ახალციხე, 2011 წ., - 306გვ. ნაშრომში წარმოდგენილია ბიზნესის ადმინისტრირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილის - მმართველობით აღრიცხვისა და შიდა კონტროლის თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ასპექტები. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამეწარმეო საქმიანობის წარმატებული ფუნქციონირებისათვის ფინანსურ აღრიცხვასთან ერთად აუცილებელია მმართველობითი აღრიცხვის, როგორც ბუღალტრული აღრიცხვის ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულების გამოყენება. ამასთანავე, მნიშვნელოვანია მონიტორინგის განხორციელება დასახული მიზან-ამოცანების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად, რომელიც მოითხოვს მმართველობითი აუდიტის (შიდა საფინანსო კონტროლის სისტემის) შემდგომ განვითარებას, სახელმწიფო (საჯარო) დაწესებულებების კონტროლინგის (შიდა აუდიტისა და ინსპექტირების ასპექტების) და კერძო სამართლის ეკონომიკური სუბიექტების აუდიტური კონტროლის შემდგომი სრულყოფის აუცილებლობას „აუდიტისა და ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტებში“ შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

17. სახოკიაგ.ა., ანანიძეჯ., სახოკიაგ.გ., „ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი“, დამხმარე სახელმძღვანელო, გამომცემლობა: „გეორგიკა“, თბ., 2011. - 790 გვ. წიგნში გადმოცემულია ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საქმიანობის ორგანიზაციის საკითხები, მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების ძირითადი სამეურნეო ოპერაციების,

ფინანსური ანგარიშგების შედგენისა, ბიუჯეტთან საგადასახადო ურთიერთობების, ბუღალტრული, ფინანსური აღრიცხვისა და აუდიტის მეთოდოლოგიურ-მეთოდიკური საკითხები.

18. ლურჯაია კ., ლურჯაია თ. „საერთაშორისო ბიზნესი“. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. (სტუ) თბილისი. 2011.-462გვ. ლექციების კურსში გაშუქებულია საერთაშორისო ბიზნესის, როგორც მეცნიერების ძირითადი საკითხები: მსოფლიო თანამედროვე ბაზრების ზოგადი დახასიათება, საერთაშორისო ინვესტიციების თანამედროვე თეორიები, საერთაშორისო სავალუტო სისტემა და საგადასახდელო ბალანსი, საერთაშორისო სავალუტო და საფინანსო ბაზრები, ეროვნული სავაჭრო პოლიტიკის ფორმირება, საერთაშორისო თანამშრომლობა და ა. შ.

19. ჯალაღონია დ. “ბუღალტრული აღრიცხვა საერთაშორისო სტანდარტებით”, ნაწილი I (პროფესორ ი. მესხიას რედაქტორობით) საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბ., 2011წ.-356გვ. წარმოდგენილი სახელმძღვანელო დამუშავებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ქვეყნის ნორმატიული აქტების გათვალისწინებით. გადმოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის ისეთი საკვანძო საკითხები, როგორიცაა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კონცეფტუალური საკითხები. პირველადი აღრიცხვის ორგანიზების აუცილებლობა, ბუღალტრული ბალანსის სტრუქტურა, ბუღალტრული ანგარიშგების კლასიფიკაცია და მნიშვნელობა, ორმაგი ჩაწერის წესი და ა. შ. ბუღალტრული აღრიცხვის თეორიის საფუძველზე დამუშავებულია და შედგენილია ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის პრაქტიკული ასპექტები.

20. ჯიქია მ., „ფინანსური ანალიზი“. (საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით) ლექციების კურსი. (პროფესორ რ. გოგობიას რედაქტორობით) გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი. 2011. - 284გვ. სალექციო კურსში განხილულია ფინანსური ანალიზის მეთოდები, ნაჩვენებია მათი შესაძლებლობები და შეზღუდულობანი. მოცემულია ძირითადი ფინანსურ-ანალიტიკური ტერმინებისა და მაჩვენებლების დახასიათება. ასევე, წარმოდგენილია ბიზნესის ეფექტიანობის მაჩვენებელთა სისტემის შეფასების ტრადიციულ ხერხებთან ერთად გრძელვადიანი ანალიზის მეთოდები, რაც ძირითადად ორიენტირებულია კომპანიის ღირებულების შექმნის შეფასებაზე. გამოყოფილია ის უმთავრესი ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებს ღირებულებაზე.

21. ბასილაია კ., ლიპარტია ზ. - ფინანსური კონტროლი, სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012. - 357 გვ. მასში განხილულია შემდეგი საკითხები: ფინანსური მართვა და კონტროლის სისტემა; ფინანსური კონტროლის საერთაშორისო გამოცდილება და განვითარება; სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ორგანიზაცია, კონტროლინგის სისტემა და სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლი; ფინანსური საქმიანობის შედეგების, რისკების შეფასება და მართვა; საგადასახადო აუდიტის დაგეგმვის მეთოდი მაღალი რისკის იდენტიფიცირების კონტექსტში;

საბანკო-საფინანსო დაწესებულებების აუდიტორული საქმიანობის მართვა; მმართველობითი აუდიტი ფინანსური უსაფრთხოების სტრატეგიაში.

22. ზარანდია ც., ხუციშვილი კ., აღრიცხვა საბიუჯეტო დაწესებულებებში. ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 2012. - 364 გვ. ნაშრომში განხილულია ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებებში ბუღალტრული აღრიცხვის თეორიული-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ასპექტები სსფი-ს 2001 წლის სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის (GFSM 2001) შესაბამისად, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე. სახელმძღვანელო განკუთვნილია ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის სტუდენტებისთვის, აგრეთვე დაინტერესებული პირებისთვის.

23. ფაილოძე ნ., ალანია ჯ., ლიპარტია ზ., კეკენაძე ვ., ხუციშვილი ო., სულაშვილი გ., „საბუღალტრო საქმე“, ტ. 1, (მესამე შევსებული გამოცემა), სახელმძღვანელო. (პროფესორ ა.აბრალავას და დ.ჯალაღონიას რედაქტირებით) გამომც.: „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბ., 2013.- 354გვ. სახელმძღვანელოში ჩამოყალიბებულია ბუღალტრული აღრიცხვის თეორიის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე სააღრიცხვო პოლიტიკის ფორმირების ფუძემდებლური პრინციპები, ფინანსურ მენეჯმენტში ეკონომიკური ინფორმაციების მოპოვების, დამუშავებისა და ანალიზის მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ასპექტები. სახელმძღვანელო ორიენტირებულია ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების პროფილის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ასათვისებლად. ასევე სასარგებლო იქნება თანამედროვე ფინანსური მენეჯმენტის პრაქტიკოსი მუშაკებისათვის ეფექტური სამეწარმეო საქმიანობის უზრუნველსაყოფად.

24. ასათიანი ვლ., ცაავა გ. – კომერციული ბანკის საქმიანობის ფინანსური ანალიზი (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა). – თბილისი, გამომცემლობა „დანი“ 2014. – 500გვ. ნაშრომში განხილულია საკითხები: კომერციული ბანკის საქმიანობის ანალიზის უზრუნველყოფის მეთოდები, ხერხები, საინფორმაციო-ანალიტიკური სისტემის ანალიზის მეთოდები; ბუღალტრული აღრიცხვისა და გამოქვეყნებადი ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, ბანკის რესურსული ბაზის ანალიზი; კომერციული ბანკის აქტიური ოპერაციების ანალიზი და საბანკო რისკების, ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის შეფასება; კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის მდგრადობის ანალიზი და არასაკრედიტო დაწესებულებების თავისებურებები მცირე ბიზნესში.

25. ცაავა გ., ხანთაძე გ. -საბანკო საქმე (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა). სახელმძღვანელო. -თბილისი, გამომცემლობა „დანი“. 2014. _600 გვ. ნაშრომში საბანკო კანონმდებლობის შესაბამისად, განხილულია საბანკო სისტემის განვითარების ისტორიის, ორგანიზაციის, ცენტრალური(ეროვნული) ბანკის მიერ ფულად-საკრედიტო სისტემის რეგულირების ფორმებისა და მეთოდების, რესურსების მოზიდვისა და განთავსებასთან დაკავშირებული საბანკო ოპერაციების სახეობების,

კომერციული ბანკების საქმიანობის ანალიზის, სავალუტო ოპერაციების, კონტროლისა და რეგულირების, საგადახდო ბრუნვის ორგანიზაციისა და საკორესპოდენტო ურთიერთობების, აქტივების კლასიფიკაციის, კაპიტალის ადადაკვატურობის, ლიკვიდურობის მართვისა და მოგების ფორმირების საკითხები.

26. ქუთათელაძე ა., ქუთათელაძე დ.–ინფორმაციული უსაფრთხოება და რისკები საფინანსო–საბანკო ბიზნესში. – თბილისი, გამომცემლობა „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2014. - 129 გვ. ნაშრომში განხილულია საკითხები: ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის პრობლემები, საფინანსო–საბანკო დაწესებულებაში ინფორმაციული უსაფრთხოებისა და რისკების მართვის მეთოდები და საშუალებები, ინფორმაციული უსაფრთხოების ოპტიმალური სისტემის მოდელის შექმნა, საფინანსო–საბანკო დაწესებულებაში ინფორმაციის დაცვის პროგრამულ–ტექნიკური საშუალებების ოპტიმიზაცია, ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის ელემენტად რისკების დაზღვევის მექანიზმის გამოყენება.

27. ჭუმბურიძე ლ., - ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირება. (პროფესორ ზ. ლიპარტიას რედაქციით) მონოგრაფია - თბილისი, გამომცემლობა შპს „დანი“, 2014. - 274გვ. ნაშრომში განხილულია ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის რეგულირების საკითხები. გაშუქებულია ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით რეგულირების ტენდენციები და ევროკავშირის შესაბამისი დირექტივების მოთხოვნები. გაკეთებულია პროფესიის რეგულირების რეტროსპექტული ანალიზი და შეფასება. შემოთავაზებულია პროფესიის მარეგულირებელი ნორმატიული საკანონმდებლო ბაზისა და პროფესიული განათლების სრულყოფის ღონისძიებები.

28. ანგარიში სტანდარტების და კოდექსების შესრულების შესახებ ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის სფეროში. საქართველო, თბილისი , 2008.

REPORT IN THE OBSERVANCE OF STANDARDS AND CODES (ROSC), Georgia Country Strategy and Action Plan for Accounting and Auditing Reform; CSIInternational, March 2008.

29. ანგარიში სტანდარტების და კოდექსების შესრულების შესახებ ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის სფეროში. საქართველო, თბილისი , 2015._76გვ.

REPORT IN THE OBSERVANCE OF STANDARDS AND CODES (ROSC), Georgia Country Strategy and Action Plan for Accounting and Auditing Reform; CSIInternational, March 2015, pg. 76.

30. საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია ბაფი 20წელი.2016. IFAC – International Federation of Accountants; Georgian Federation of Professional Accountants and Auditors; GFPAA - 20 Years; Tbilisi 2016.- 62p.

31. მოსიაშვილი ვ. ,ჭელიძე მ. -ფინანსები. (სახელმძღვანელო). - თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2016.-540 გვ. სახელმძღვანელოში ლოგიკური თანმიმდევრობითაა განხილული ფინანსურ ურთიერთობებთან დაკავშირებული

ისეთი აქტუალური საკითხები, როგორცაა: ფინანსების არსი და ფუნქციები, ფინანსების მართვა და ფინანსური სამართლის სისტემა, საფინანსო სისტემა და მისი ელემენტები, ფასწარმოქმნა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ფულის ღირებულება დროში, სახელმწიფო ბიუჯეტი და საბიუჯეტო პროცესი, სახელმწიფო კრედიტი, საქართველოს საგადასახადო სისტემა, საწარმოებების (კორპორაციების) ფინანსები, არაკომერციული ორგანიზაციებისა და შინამეურნეობათა ფინანსები, ფინანსური კონტროლი და რისკების მართვა, საერთაშორისო ფინანსები და საფინანსო ორგანიზაციები, ფინანსური გლობალიზაცია.

32. გიორგი ცაავა. ეკონომიკური ნორმატივების სრულყოფის საკითხები: „ოქროსკვეთას“ პროპორციუბუნებაში, ფერწერაში, არქიტექტურაში, მშენებლობაში, ეკონომიკაში, ბიზნესში, ფინანსურ და საბანკო მენეჯმენტში“ (მონოგრაფია).-თბილისი, გამომცემლობა „დან“2016. -126გვ. გ. ცაავა „ოქროსკვეთას“ მონოგრაფიულ ნაშრომში მიმოხილულია „ოქროსკვეთას“ პროპორციის გამოყენების ისტორიული წყაროები, როგორცაა: ევკლიდეს ცნობილ „საწყისებში“ პითაგორას, ასევე თანამედროვე ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის ფუძემდებლის, იტალიელი ლუკა პაჩიოლის მიერ „ოქროსკვეთასადმი“ მიძღვნილი სპეციალური წიგნი „ღვთაებრივი პროპორცია და ლეონარდო და ვინჩის ხედვები არქიტექტურის შემადგენელი ელემენტების განლაგებაში. ნაშრომში განხილულია აკადემიკოსი. ფრანგიშვილის გამოკვლევები ეკონომიკაში, ბიზნესის მართვის სფეროებში. შესაბამისად, ავტორის მიერ შემოთავაზებულია „ოქროსკვეთას“ პროპორციის ოპტიმალური ნორმატივების სახით პრაქტიკაში დასამკვიდრებლად მშენებლობაში, ეკონომიკაში, ბიზნესში, ფინანსურ და საბანკო მენეჯმენტში, ეკონომიკური უსაფრთხოების კოეფიციენტებთან მიმართებაში.

ნაწილი პირველი. ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების პრაქტიკის ანალიზი საქართველოში

ანოტაცია: სამეცნიერო მონოგრაფიის პირველ ნაწილში - „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების პრაქტიკის ანალიზი საქართველოში“- თანამიმდევრულად ასახულია: ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის ფორმირების კონცეფციურ-მეთოდოლოგიური წანამძღვრები, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით (ბასს) რეგულირებისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით (ფასს) წარდგენის საფუძვლები; კორპორაციული სექტორის საქმიანობის კომპლექსური ანალიზის; ბუღალტრის (აუდიტორის) პროფესიული განათლების და სერტიფიცირების, ღირებულებითი შეფასებისა და მართვის ძირითადი საკითხები.

თავი 1. ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის ფორმირების კონცეფციურ-მეთოდოლოგიური წანამძღვრები

საქართველოს ეკონომიკაში საბაზრო ფუძემდებლური პრინციპების დამკვიდრების ერთ-ერთი ძირითადი გზა იმ ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილების შესწავლაა, სადაც ბუღალტრულ აღრიცხვას ("ბიზნესის ანბანი და ენა") ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დამკვიდრებული მენეჯმენტის თეორიისა და პრაქტიკის სრულყოფის საქმეში.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ის) შესაბამისად ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების ძირითადი მახასიათებლების, როგორცაა: რესურსების მოძრაობის უწყისი, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიში, სააღრიცხვო პოლიტიკის ფორმირების პრინციპები და ასევე ფინანსურ მენეჯმენტში ეკონომიკური ინფორმაციების მოპოვების, დამუშავების ანალიზის მეთოდოლოგიური და მეთოდური ასპექტები განხილული უნდა იქნეს როგორც ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის „ძირითადი წესების“ სისტემა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ რაიმე ერთიანი, მკაცრად რეგლამენტირებული მეთოდოლოგია ამ მიმართულებით არ არსებობს. კორპორაციის (საწარმოს) ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცედურები განსხვავებულია საქმიანობის სფეროს, მასშტაბის, იმიჯის და სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმის შესაბამისად. საერთო ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურულ საფუძვლებში განსაზღვრულია ფინანსური ანგარიშგების გარე მომხმარებლისათვის მომზადებისა და წარდგენის კონცეფციები. ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურა, შედგენის პრინციპები და წარდგენის წესი განისაზღვრება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების- ბასს მიხედვით „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“¹.

საერთო ფინანსური ანგარიშგება არის ეკონომიკური სუბიექტის (საწარმოს) მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციებისა და მისი ფინანსური მდგომარეობის სტრუქტურულად ჩამოყალიბებული სურათი. იგი წარმოადგენს ინფორმაციის განსაკუთრებულ წყაროს, რომელიც გამოიყენება გადაწყვეტილების მისაღებად როგორც საწარმოს შიგნით, ისე მის გარეთ.

ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის არსებითი თვისება მის **შეზღუდულობაში** აისახება, რაც განპირობებულია შემდეგით: ა) ზოგიერთი უმნიშვნელო მოვლენა შეუძლებელია გამოისახოს ფულადი ფორმით; ბ) საანგარიშგებო პერიოდი ფიქსირებულ ინტერვალში მოიცავს განუსაზღვრელობას გარიგებების დაუმთავრებლობის გამო; გ) ფინანსური ანგარიშგების მონაცემები დამოკიდებულია **აღრიცხვის კონცეფციაზე**; დ) ბუღალტრული აღრიცხვა არ არის სპეციალური მსჯელობა, მისი წესები წინასწარ განსაზღვრულია სადი გონებით.

საბუღალტრო აღრიცხვის კონცეფცია აყალიბებს პირველადი ბუღალტრული ჩანაწერების ფინანსურ ანგარიშგებად გარდაქმნის წესს, რომელიც ემყარება **აღრიცხვის ისეთ ზოგად პრინციპებს**, როგორცაა: ორმხრივობის, ფულადი შეფასების, ეკონომიკური სუბიექტის ავტონომიურობის, უწყვეტობის, თვითღირებულების, კონსერვატიზმის, მატერიალურობის, რეალიზაციისა და შესაბამისობის პრინციპები.

1. ორმხრივობის პრინციპის თანახმად საწარმოს ქონება წარმოგვიდგება შემდეგი ტოლობის სახით: **აქტივი = ვალდებულება + კაპიტალი.**

2. ფულადი შეფასების პრინციპი ითვალისწინებს ბუღალტრულ აღრიცხვის სისტემაში იმ მონაცემების გამოყენებას, რომელიც შეიძლება ფულით შეფასდეს. ვინაიდან ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება ორიენტირებულია მხოლოდ იმ მონაცემებზე, რომელთაც ფულადი ღირებულება გააჩნია, იგი ვერ იძლევა ამომწურავ პასუხს საწარმოს მდგომარეობის შესახებ. **"ფინანსური ანგარიშგება** პასუხობს მომხმარებელთა უმრავლესობის საერთო მოთხოვნებს. თუმცა, ფინანსური ანგარიშგება არ იძლევა ამომწურავ ინფორმაციას, რომელიც სჭირდება მომხმარებელს გადაწყვეტილების მისაღებად, ვინაიდან ანგარიშგებაში წარმოდგენილია მხოლოდ გასული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგები და ამასთანავე, ყოველთვის არ შეიცავს არაფინანსურ ინფორმაციას."²

3. საწარმოს ავტონომიურობის პრინციპის თანახმად, საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ინფორმაცია მხოლოდ საწარმოს ფინანსური ოპერაციების შესახებ.

4. უწყვეტობის პრინციპი ემყარება მოსაზრებას, რომ საწარმო იფუნქციონირებს განუსაზღვრელი დროის განმავლობაში. უწყვეტობის პრინციპი გარკვეულწილად კავშირშია ფინანსური ანგარიშგების შედგენის ძირითად დაშვებასთან – **"ფუნქციონირებადი საწარმო"**.

1. ფასს .თარგმნილი ინგლის. საქ.ბაფ–ის მიერ, თბ.; 2010.

2. ბასს-ის სტრუქტურული საფუძველები -პუნქტი 13ა.

3. ბასს-1,პუნქტი 23.

ბასს-ის განმარტებით ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს ჩვეულებრივ იგულისხმება, რომ საწარმო ფუნქციონირებს და თავის საქმიანობას გააგრძელებს უახლოეს საპროგნოზო მომავალშიც (ბასს-ის ტრუქტურული საფუძვლები, პუნქტი 23).³

5. თვითღირებულების პრინციპი გულისხმობს საშუალებების აღრიცხვას შეძენის ან დამზადების თვითღირებულებით და არა მისი საბაზრო ღირებულებით. ამიტომ ბუღალტრული აღრიცხვა არ ფლობს ინფორმაციას მოცემულ მომენტში საშუალებების რეალური ღირებულების შესახებ.

6. კონსერვატიზმის პრინციპის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვა არ უნდა იძლეოდეს ფინანსური მდგომარეობის გაუმართლებელ ოპტიმისტურ შეფასებას. ეს პრინციპი მოიცავს ორ პირობას: 1) ქონების ღირებულების ზრდის აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როცა იგი წარმოადგენს სრულიად განსაზღვრულ მოვლენას და 2) ქონების ღირებულების შემცირების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როცა იგი წარმოადგენს სრულიად შესაძლებელ მოვლენას.

7. მატერიალურობის (არსებითობის) პრინციპის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ბუღალტრულ აღრიცხვაში მხედველობაში არ მიიღება არაარსებითი ფაქტი. არსებითად ითვლება ოპერაცია, რომლის შედეგად იცვლება საწარმოს ფინანსური მდგომარეობა. თუმცა, ოპერაციების არსებითად და არაარსებითად დაყოფა სუბიექტურია, მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ფინანსური ანგარიშგება უნდა ასახავდეს ყველა არსებით ფაქტს. "ინფორმაცია ითვლება არსებითად, თუ მისი გამოტოვება ან დამახინჯება გავლენას მოახდენს იმ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომელიც ეყრდნობა ფინანსურ ანგარიშგებას"⁴ (ბასს-1 პ.3)

მატერიალურობის პრინციპს ორი ასპექტი გააჩნია: ა) უმნიშვნელო მოვლენების უგულებელყოფა; ბ) ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის ასახვა.

8. რეალიზაციის პრინციპის შესაბამისად საწარმოს მიერ შემოსავლები აღიარდება აქტივის მიყიდვებზე გადაცემის ან მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევის დროს. ბასს-ი განმარტავს, რომ (ბასს 18, პუნქტი 14): "საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

ა) საწარმო გადასცემს მიყიდველს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს; ბ) საწარმოს გაყიდულ საქონელზე აღარ აქვს საქონლის ფლობასთან დაკავშირებული რაიმე ადმინისტრაციული უფლება და რეალური კონტროლის განხორციელების ბერკეტი; გ) თუ შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა; დ) თუ მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;

4. იქვე, პუნქტი 3.

ე) თუ მოსალოდნელია, რომ მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდშიგ ასაწევი ხარჯები განისაზღვროს საიმედოდ".⁵

9. შესაბამისობის პრინციპი არეგულირებს გასავლების ხარჯებად აღიარებას. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში ის გასავლები მიიჩნევა ხარჯებად, რომელიც მონაწილეობს ამ პერიოდის შემოსავლების მიღებაში. ბასს-ში მითითებულია, რომ "ერთი და იმავე ოპერაციასთან დაკავშირებული ამონაგებისა და ხარჯების აღიარება-ასახვა ხდება ერთდროულად. ამ პროცესს უწოდებენ ამონაგების და ხარჯების შესაბამისობის პრინციპს... არ შეიძლება ამონაგების აღიარება-ასახვა შესაბამისი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრის გარეშე"⁶

წინამდებარე ნაშრომში კლასიკური საბალანსო თეორიების დახასიათება არის შემოთავაზებული. [74]

ბალანსის კლასიკური თეორიები განსხვავდებიან ბალანსის შედგენის მიზნიდან გამომდინარე, მაგრამ გვიქმნიან წარმოდგენას თუ როგორ უნდა გაფორმდეს სამართლებრივი ბალანსი. საბალანსო თეორიებს ერთი მიზანდასახულობა აერთიანებს – განისაზღვროს ბალანსის მთავარი მიზანი და გამოკვლეულ იქნას მიზანზე ორიენტირებული საბალანსო ღირებულებები. ბალანსის განსხვავებული ამოცანები განაპირობებენ სხვადასხვა საბალანსო თეორიებს. **კერძოდ, მნიშვნელოვანია:**

ა) სტატიკური (ქონებაზე ორიენტირებული) საბალანსო თეორიები;

ბ) დინამიკური (მოგების განსაზღვრაზე ორიენტირებული) საბალანსო თეორია;

გ) ორგანული (ინფლაციური პროცესების განვითარებაზე ორიენტირებული) საბალანსო თეორიები

ა) განვიხილოთ სტატიკური (ქონებაზე ორიენტირებული) საბალანსო თეორიები სტატიკური საბალანსო მოძღვრების თანახმად, ბალანსი ემსახურება ქონების სწორად დადგენას. მოგება კი არის „ქონების მატება“.

მთავარი ყურადღება ექცევა დროის გარკვეული მომენტისათვის ქონებისა და ვალეების შემადგენლობის განსაზღვრას. მოგებისა და ზარალის გაანგარიშება სტატიკურ საბალანსო თეორიაში მნიშვნელობას მოკლებულია. ხოლო დინამიკური საბალანსო თეორიები ორიენტირებულია დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში შედეგის შემადგენელიკომპონენტების ცვლილებაზე და მათი ინტერესის სფეროს უმეტესწილად წარმოადგენს პერიოდული ანგარიშგების მიერ შედეგის გამოხატვის უნარი.

5. იხ. ბასს-18, პუნქტი 14.

6. იხ. ბასს-18, პუნქტი 19.

ბ) დინამიკური (მოგების განსაზღვრაზე ორიენტირებული) საბალანსო თეორია. დინამიკური მოძღვრების თანახმად ბალანსის შედგენის ძირითად მნიშვნელობას უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს მოგებისა და ზარალის დადგენა. მოგება და ზარალის გაანგარიშება განსაზღვრავს ბალანსის შინაარსს და არა პირიქით. დინამიკური საბალანსო თეორიის ფუძემდებლად ითვლება **ევგენი შმალენ ბახი**, რომელიც 1819 წელს დაუპირისპირდა სტატიკოსების თვალსაზრისს იმ საკითხებში, რომ მოგება განეხილა, როგორც ქონების გაზრდა. დინამიკური ბალანსის თეორიის თანახმად მოგება წარმოადგენს რაიმე საქმიანობის რენტაბელობის გამოხატვას. მოგების დინამიკამ მეწარმეს უნდა უჩვენოს, რა მიმართულებით წარმართება წარმოების ეკონომიკური სიტუაცია. უმაღლეს მიზანს წარმოადგენს საწარმოს მართვა. შედეგის დინამიკური ანგარიშების საშუალებით მეწარმე ღებულობს ინდიკატორებს რენტაბელობის კონტროლისათვის და ამაზე დაყრდნობით შეუძლია დროულად მიიღოს საჭირო ღონისძიებანი საქმიანობის ოპტიმალურად გაძღოლისათვის. შმალენ ბახს თავდაპირველად დინამიკური ბალანსი ესმოდა როგორც შედეგის შიდა ბალანსი. შემდგომ, დინამიკური ბალანსი შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო მოქმედ საბალანსო სამართალთან, რადგანაც ინფორმაცია საწარმოს ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ კარგ სამსახურს უწევდა კრედიტორებსაც. დინამიკური ბალანსის არსი ორი ძირითადი პრინციპით განისაზღვრება: პერიოდის შესაბამისი, მოგების ექსტრემალური განსაზღვრა; შედარების პრინციპი.

დინამიკური საბალანსო თეორიის ძირითად პუნქტს შეადგენს პერიოდების შესაბამისი შემოსავლებისა და გასავლების შეპირისპირება მოგების და ზარალის ანგარიშში. მოგებისა და ზარალის გაანგარიშება ამავე დროს ბალანსის შინაარსს განსაზღვრავს. ბალანსი, დინამიკური ინტერპრეტაციის მიხედვით, სხვა არაფერია, თუ არა დიდი მოცულობის გამმიჯნავი ანგარიში. ერთის მხრივ მასში ნაჩვენებია გასავლები მომავალი პერიოდისათვის, რომელსაც შედეგი ჯერ არ გამოუღია (ტრანზიტული პოზიცია) და მეორეს მხრივ, მომავალი პერიოდის მოსალოდნელი ხარჯების დამზღვევი პოზიციები (ანტიციპალური პოზიციები). თანამედროვე პრაქტიკაში **საბალანსო კანონი** გულისხმობს, როგორც სტატიკურ, მატერიალურ (ფასეულობაზე ორიენტირებულ) ისე დინამიკურ (მოგებაზე ორიენტირებულ) ბალანსს, ამასთან უპირატესობა ენიჭება სტატიკურ თვალსაზრისს.

გ) ორგანული ბალანსის თეორია გერმანიაში 1920-ან წლებში სწრაფ ინფლაციაზე რეაგირებას წარმოადგენდა **ფრიც შმიდტის** მიერ შექმნილი ორგანული ბალანსის თეორია. მის ძირითად არსს წარმოადგენს ინფლაციური პროცესების განვითარების გათვალისწინება მატერიალური ფასეულობის ღირებულებისა და მოგების დადგენის დროს. შმიდტი თავის თეორიას **ორგანულს** უწოდებს, რადგან მეწარმეს, როგორც ნაწილს ერთიანი სახალხო მეურნეობისა, შეუძლია განსაზღვროს თავისი ადგილი ქვეყნის ერთიან ეკონომიკაში, ეს ორგანულმა ბალანსმა უნდა გააკეთოს. ბალანსის შედგენის საშუალებით შმიდტს სურს შეძლებისდაგვარად სრულყოფილად გადმოსცეს მეწარმის ქონებრივი

მდგომარეობა საბაზრო ფასებზე დაყრდნობით. ამისათვის იგი აფართოებს აქტივაციის საზღვრებს და ობიექტივაციის მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე ახდენს არამატერიალური აქტივების აქტივაციას. მატერიალური ფასეულობების ნაწილები ორგანულ ბალანსში აისახება მოცემული დღისათვის არსებული შემენის ღირებულებით. ამით ირღვევა რეალიზაციის პრინციპის მოთხოვნა. ჩვენ აქ წარმოგიდგენთ საკუთარ ინტერპრეტაციას მასთან დაკავშირებული სიმნელების ხაზგასმით. დინამიკურ საბუღალტრო აღრიცხვად მივიჩნევთ სამეურნეო ცხოვრების ფაქტების რეგისტრაციის სისტემას, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს გაზომვა, უწყვეტად ან რაღაც ახლოდროითი ინტერვალებით, საწარმოს სამეურნეო მოღვაწეობის ეფექტურობისა. ეფექტურობა შეიძლება იზომებოდეს სხვადასხვანაირად იმისდა მიხედვით თუ როგორია ეკონომიკური სისტემა. კაპიტალისტური ეკონომიკის ჩარჩოებში, რომელსაც ჩვენ აქ განვიხილავთ, ეფექტურობა იზომება ძირითადად საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის მეშვეობით (ანუ როგორც შეფარდება წმინდა შედეგისა, რომელიც მიღებულია საწარმოს მეპატრონეების მიერ, საწარმოს საკუთარ კაპიტალთან). დინამიკური საბუღალტრო აღრიცხვა ან უკიდურეს შემთხვევაში მისი პირველი მცდელობები ისეთივე უძველესია, როგორც სტატიკური აღრიცხვა. **რაიმონდ დე რუვერი** თავის ნაშრომში საბუღალტრო აღრიცხვის მდგომარეობის შესახებ ჯერ კიდევ პაჩიოლიმდე აღნიშნავდა, რომ ზოგიერთი ბალანსების აქტივები, მაგალითად ლატინისა ფლორენციაში, დაწყებული 1399 წლიდან შეიცავდნენ მომავალი პერიოდების ხარჯების მუხლებს. ასეთი “ფაქტობრივი” აქტივის არსებობა არ იყო არც შემთხვევითი და არც შეცდომა.

ამრიგად, ორმაგი ჩაწერის წარმოშობის მომენტიდანვე ჩაისახა **დინამიკური ფილოსოფია**. არაა შემთხვევითი, როცა ერთმანეთს უპირისპირებენ ფლორენციული და ვენეციური აღრიცხვის მოდელებს. ფლორენციაში XIV და XV საუკუნეებში სახალხო მეურნეობის ყველაზე მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენდა საფეიქრო მრეწველობა. განსხვავებით საზღვაო ვაჭრობისაგან მანუფაქტურები მუშაობენ უწყვეტად და შესაბამისად არ გააჩნიათ რა წყვეტილი ციკლი, არ მიისწრაფვიან შეადგინონ სალიკვიდაციო ბალანსი. რაც შეეხებაა მოდელს ე. შმალენბახის ნაშრომის “დინამიკური ბალანსი-ს” (პირველი გამოცემა გამოვიდა 1919 წელს) გამოსვლის შემდეგ მიიღო სრულად სხვადასხვა ინერპრეტაცია.

შესაბამისად, ამ გარემოებებმა შექმნეს ხელსაყრელი პირობები საბუღალტრო აღრიცხვის გარკვეული სტილის განვითარებისათვის, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება კამერალური და სტატიკური აღრიცხვისაგან, ვინაიდან ფილოსოფია, რომელიც ამხნეებს ვაჭრებს, განსხვავდება იურისტების ფილოსოფიისაგან.

განვიხილოთ ბუღალტრული აღრიცხვის მოდელების გამოყენების პრაქტიკის ძირითადი მახასიათებლები:

1. კამერალური ბუღალტერიის მოდელის მახასიათებლები.

კამერალური ბუღალტერიის მოდელი - ესაა აღრიცხვა, რომელიც არეგისტრირებს საწარმოს ფულადი სახსრების ნებისმიერ მოძრაობას.

ისტორიული გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ ასეთ საბუღალტრო აღრიცხვას გააჩნია ორი მიზანი, რომელსაც ტრადიციულად აქვს ადგილი: ერთის მხრივ, ესაა სურვილი შეფასდეს საწარმოს ლიკვიდური ქონება და, მეორეს მხრივ, განისაზღვროს ნებისმიერი ოპერაციის შედეგი მთელი რიგი პერიოდების განმავლობაში ჯამური ფულადი შემოსავლების და გადახდების შედარების გზით. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ სამ მაგალითს, რომლებიც განეკუთვნებიან სხვადასხვა ეპოქებს: ვენეციური მოდელი, ძველი რომის ანგარიშწარმოება და ფინანსების აღრიცხვა ლუდოვიკო XIV მოიჯარე-შემსყიდველების მიერ.

ვენეციური მოდელი (XV-XVIs.) წარმოადგენს კამერალური ბუღალტერიის გამართლებულობისა და რაციონალურობის საკმაოდ დამაჯერებელ მაგალითს. ამ პერიოდში ვენეცია წარმოადგენდა საზღვაო ვაჭრობის მთავარ ქალაქს. თავიანთი საწარმოების ეკონომიკური წარმატებულობის განსაზღვრის მიზნით ქალაქ იდოჟის მოვაჭრეები ხსნიდნენ ცალკე ანგარიშს თავისი ნებისმიერი ხომალდის ცალკეული სავაჭრო რეისისათვის. ხომალდის გამგზავრების წინ ვაჭრები აფიქსირებდნენ თავიანთ ხარჯებს (ფულად გადახდებს), გაწეულს მოცემული ხომალდის შეძენასა და მის აღჭურვაზე. მისი დაბრუნების შემდეგ ვაჭრები იწერდნენ ამონაგებს (ნავაჭრს), რომელიც მიღებული იყო ტვირთებისა და ხომალდის გაყიდვით. ცხადია, რომ ასეთი წესით აღრიცხვისას ფინანსურ შედეგს განსაზღვრავდნენ ფულადი ნაკადების (ჩადებულის და ამოგებულის) შედარების გზით ყოველი ოპერაციის დასრულების შემდეგ (ამ შემთხვევაში ხომალდის დაბრუნება). მოცემული სახის მოღვაწეობის (საზღვაო ვაჭრობა) ხასიათი ისეთია, რომ ფინანსური შედეგის გაანგარიშებას მთელი წლის განმავლობაში არ ქონდა არავითარი აზრი, განსაკუთრებით იმ პერიოდის მეწარმეების თვალსაზრისით;

2. ძველი რომის ანგარიშწარმოება (პატერფამილიას) – “საოჯახო” აღრიცხვა

ფილოსოფია, რომელიც საფუძვლად უდევს რომაულ მოდელს, საკმაოდ რთულია აღსაწერად. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომაული ბუღალტერია განისაზღვრება ადამიანის ცხოვრების ეტაპებით, და ეს ეტაპები იწყება სიკვდილიდან და არა დაბადებიდან. ოჯახის უფროსის სიკვდილის შემდეგ მემკვიდრე ღებულობდა საკუთრებაში ქონებას, რომელიც შეფასებული იყო ფულად გამოსახულებაში (მოდრავი

და უძრავი ქონების თითოეული ობიექტი ფასდებოდა ცალკე მათი შესაძლო გაყიდვის ფასის მიხედვით).

ოჯახის უფროსის სიცოცხლის განმავლობაში არ იყო მიღებული ქონების გადაფასების ჩატარება: შემოიფარგლებოდნენ, ალბათ, აღნიშვნით ამა თუ იმ საგნების შემოსული და გასული და მხოლოდ ოჯახის უფროსის სიკვდილის შემდეგ ხორციელდებოდა ინვენტარიზაცია, რომელიც დაკავშირებული იყო მისი ქონების გადაფასებასთან ყველა იმ თავისებურებების შესაბამისად, რომლებიც წარმოიქმნებიან საკუთრების უფლების გადასვლისას. თუ ვივარაუდებთ, რომ ადამიანის ცხოვრება წარმოადგენს ერთგვარ მოგზაურობას, მაშინ, ჩვენი აზრით შეიძლება დავინახოთ ბევრი საერთო შტრიხები, რომლებიც დამახასიათებელია როგორც რომაული, ასევე ვენეციური ბუღალტერიისათვის: ორივე შემთხვევაში შედეგი განისაზღვრება “ლიკვიდაციის” პერიოდში ქონების საწყისი და საბოლოო ღირებულებების შედარებით. თუმცა რომაული ბუღალტერიის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს მთელი ქონების ფიქტიური ლიკვიდაცია.

3. ფინანსების აღრიცხვა ლუდოვიკო XIV მოიჯარე-შემსყიდველების მიერ.

ბუღალტერიის ეს ტიპი წარმოადგენს თანამედროვე საბიუჯეტო ორგანიზაციებში აღრიცხვის პირველ სახეს. სქემატურად ის იყო ორგანიზებული შემდეგნაირად: ყოველი საბიუჯეტო პერიოდის დასაწყისში მოიჯარე-შემსყიდველს შეჰქონდა წინასწარ მთელი გეგმიური ჯამი გადასახადებისა, რომელიც ერგებოდა გარკვეული ოლქიდან, ხოლო შემდეგი წლის განმავლობაში აგროვებდა შემოსავლებს “მეფის” ანგარიშზე, მაგრამ უკვე თავის სასარგებლოდ, საანგარიშო პერიოდის დამთავრების შემდეგ ის ადგენდა ანგარიშს, რომელშიც აჩვენებდა ფულადი სახსრების საბოლოო ჯამს, რომელიც ამოღებული იყო მის მიერ ოპერაციიდან. ამ შემთხვევაშიც საუბარია აგრეთვე კამერალურ ბუღალტერიაზე, რომელშიც შედეგი განისაზღვრება შემოსავლებისა და გადახდების შედარების გზით. მაგრამ არის შესამჩნევი განსხვავება ამ მიდგომისა წინასთან შედარებით. ის მდგომარეობს ახალი ცნების შემოტანაში-საანგარიშო პერიოდი. **კამერალური ბუღალტერიის მოდელი** ყველაზე პირველი და ყველაზე უძველესი ბუღალტერიაა. მრავალი საუკუნეების განმავლობაში, 1850 წლამდე, ის, უეჭველად, თამაშობდა დომინანტის როლს, ფართოდ გამოიყენებოდა არა მარტო სახელმწიფო და საზოგადოებრივ მეურნეობაში, არამედ მრეწველობაშიც, განსაკუთრებით ქვანახშირის მომპოვებელ მრეწველობაში. 1850 წლისთვის კამერალური ბუღალტერია იძენს მეორე სუნთქვას, რამდენადაც მისი გავრცელება ხდება მრავალრიცხოვან სარკინიგზო კომპანიებში. მაგრამ რეალურად ეს მოჩვენებითი გამარჯვება ფაქტიურად მხოლოდ ნიღბავს რეალურ დაქვეითებას, რომელიც შეინიშნება სამრეწველო რევოლუციის დასაწყისიდან: თანდათან ორმაგი ბუღალტერიის მოდელი, რომელიც მიღებული იყო ვაჭრობაში, აღწევს ფაქტიურად სამრეწველო საწარმოებში. 1900 წლისათვის ომი იყო წაგებული: თვით შახტები და რკინიგზები გადავიდნენ ორმაგ

ბუღალტერიაზე. ერთადერთი ბასტიონი, რომელიც ჯერ კიდევ აგრძელებდა წინააღმდეგობას, და უნდა ვაღიაროთ, საკმაოდ მნიშვნელოვანი ბასტიონი, ესაა სისტემა სახელმწიფო მეურნეობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების. თუმცა მეცხრამეტე საუკუნის 90-იანი წლების განმავლობაში დაისახა რევოლუციური რეფორმების სერია: გადასვლა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა აღრიცხვაზე ორმაგი ბუღალტერიის სქემით.

კვლევები უჩვენებს, რომ კამერალური ბუღალტერიის დაქვეითების მიზეზები, ჩვენის აზრით, განპირობებულია მისი სამი ნაკლოვანებით, როგორცაა:

- 1) კამერალურ ბუღალტერიას შეუძლია მხოლოდ ნაწილობრივი წარმოდგენა მოგვცეს რეალურად ჩადებულ კაპიტალებზე;
- 2) XV საუკუნიდან დაწყებული ინფორმაცია მხოლოდ ფულად საშუალებებზე აღმოჩნდა არასაკმარისი საწარმოს ფინანსური წონასწორობის გასაზომად, თუ ის არაა დაკავშირებული მონაცემებთან ამ საწარმოს დავალიანების დონის შესახებ;
- 3) კამერალური ბუღალტერია საშუალებას იძლევა მიღებული იქნას შესაბამისი ინფორმაცია საწარმოს ეფექტურობის (კერძოდ, რენტაბელობის) შესახებ მხოლოდ ყველა სამეურნეო ოპერაციების დასრულების შემდეგ, კერძოდ, როდესაც კაპიტალის ექსპლუატაციის ყველა ეტაპი სრულად იქნება დამთავრებული. ყველა ამ მიზეზის გათვალისწინებით, კამერალური ბუღალტერიის მოდელი თანდათან გზას უთმობს ორმაგი ბუღალტერიის სტატიკურ და დინამიურ მოდელებს.

2.სტატიკური საბუღალტრო აღრიცხვის მოდელის არსი

სტატიკური საბუღალტრო აღრიცხვის ძირითად მიზანს წარმოადგენს იმის განსაზღვრა, მოგვცემს თუ არა მეწარმის ყველა აქტივის რეალიზაცია (გაყიდვა) საშუალებას მოცემულ მომენტში მივიღოთ ჯამი, რომელიც საკმარისი იქნება მისი კრედიტორული დავალიანების გადასახდელად.

როგორც უკვე აღინიშნა, სტატიკური საბუღალტრო აღრიცხვა იქმნებოდა თანდათანობით XIII საუკუნიდან XIX საუკუნის ჩათვლით. ესაა იმ იურისტების ქმნილება, რომლებიც სპეციალიზდებიან სავაჭრო (კომერციულ) სამართალში, კერძოდ, კი გაკოტრების საკითხებზე, ან ვაჭრების, რომლებიც იმყოფებიან ამ იურისტების გავლენის ქვეშ. იმ პიროვნებებს შორის, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს სტატიკური ბუღალტერიის კონცეფციის შექმნაში, შეიძლება აღინიშნოს სტრაკა, ტუბო, ძმები დალოსები და ვავას სერა. იმისთვის რომ გავიგოთ ამ ცნობილი იურისტების, კერძოდ კი ჩვენი საუკუნის სამრეწველო რევოლუციის დროინდელი იურისტების “საბუღალტრო ფილოსოფია”, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოებები, რომლებშიც ისინი ცხოვრობდნენ, მათი კულტურა. ეს გარემოებები, როგორც გვიჩვენებს სამართლის ისტორიკოსი ჟან ჰილერი, აღნიშნული იყო ძალზე ძლიერი

გაფრთხილებით ვაჭრისადმი, რომელიც აღმოჩნდებოდა გაკოტრებული. კლასიკური წარმოდგენა ხელმოცარული ვაჭრისათვის გამოცლილი სკამის შესახებ, რომელსაც არ შეუძლია თავისი ვალების გადახდა, წარმოადგენს არა მარტო სიმბოლოს, არამედ შეესაბამება ამ ეპოქის რეალობას: ბანკროტს არაფერს არ პატიობდნენ. ძალზე ხშირად ის უბრალოდ ირიცხებოდა კომერსანტების საზოგადოებიდან.

ამ სამართალმცოდნეების კულტურის საფუძველს წარმოადგენდა რომის სამართლის კულტურა, რომლის თანახმადაც საწარმოს შეუძლია გამოიყენოს მოგება (ან გაანაწილოს ზარალი) მხოლოდ მისი ნამდვილი ან სავარაუდო ლიკვიდაციის შემთხვევაში. ეს კონცეფცია, რომელიც არჩეული იქნა სიფრთხილის გამო, აღქმული იქნა თანამედროვე ეპოქის უმეტესობა იურისტების მიერ. მათი თავს მოხვეული იდეა მდგომარეობს იმაში, რომ გაკოტრებული კომერსანტის აქტივები უნდა ყოფილიყო საკმარისი მისი ვალების დასაფარად და აღებული კრედიტების ასანაზღაურებლად. რომ ის და კომერციული სამართლის ცოდნამ მათ მისცა საშუალება შეექმნათ პრაქტიკა, ხოლო შემდეგ თეორია სტატიკური საბუღალტრო აღრიცხვისა. სტატიკური ბუღალტერიის პრინციპები გამომდინარეობენ საერთო, უკვე აღნიშნული მიზნიდან, რომელიც მდგომარეობს კრედიტორული დავალიანების ნაწილის დაფარვის გაზომვაში საწარმოს ფიქტიური ლიკვიდაციის პირობებში. ამისათვის აუცილებელია გაიყოს პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავენ აქტივების ელემენტების შემცველობას, ბალანსის პასივებს და მათი გაზომვის პრინციპებს.

ფუნდამენტური მიზანი, რომელსაც მისდევდნენ სტატიკური ბუღალტერიის მომხრეები, მდგომარეობს გარკვეული დროის მონაკვეთის შემდეგ საკრედიტო დავალიანებების აქტივებით დაფარვის დონის გარკვევაში. იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას ეს მიზანი, აუცილებელია ყოველწლიურად შესრულდეს შემდეგი ოპერაციები, როგორცაა: 1) ჩატარდეს ინვენტარიზაცია რეალური აქტივების, მათი შეფასებით პოტენციური გაყიდვის ღირებულებით; 2) შეფასდეს კრედიტორული დავალიანება; 3) განისაზღვროს ინვენტარიზაციის მომენტისათვის საკუთარი კაპიტალის სიდიდე (აქტივებს – კრედიტორული დავალიანება); 4) შედარდეს მიღებული საკუთარი კაპიტალის ჯამი წინა ინვენტარიზაციის ანალოგიურ ჯამთან (ჯამის კაპიტალში ჩადებული ან ამოღებული სიდიდით შესწორებული სიდიდით). იმისთვის, რათა განისაზღვროს საანგარიშო პერიოდის ფინანსური შედეგი.

3. დინამიური საბუღალტრო აღრიცხვის კონცეფციური განვითარების წანამძღვრები ე. შმალენბახის ნაშრომმა "დინამიური ბალანსი" (პირველი გამოცემა გამოვიდა 1919 წელს) დროის გასვლის შემდეგ მიიღო სრულად სხვადასხვა ინერპრეტაცია. ჩვენ აქ წარმოგიდგენთ საკუთარ ინტერპრეტაციას მასთან დაკავშირებული სიძნელების ხაზგასმით. დინამიურ საბუღალტრო აღრიცხვად მივიჩნევთ სამეურნეო ცხოვრების ფაქტების რეგისტრაციის სისტემას, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს გაზომვა, უწყვეტად ან რაღაც ახლოდროითი ინტერვალებით, საწარმოს სამეურნეო მოღვაწეობის

ეფექტურობისა. ეფექტურობა შეიძლება იზომებოდეს სხვადასხვანაირად იმის და მიხედვით თუ როგორია ეკონომიკური სისტემა. კაპიტალისტური ეკონომიკის ჩარჩოებში, რომელსაც ჩვენ აქ განვიხილავთ, ეფექტურობა იზომება ძირითადად საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის მეშვეობით (ანუ როგორც შეფარდება სუფთა შედეგისა, რომელიც მიღებულია საწარმოს მეკატრონეების მიერ საწარმოს საკუთარ კაპიტალთან). დინამიური საბუღალტრო აღრიცხვის განვითარების პირველი მცდელობები ისეთივე უძველესია, როგორც სტატიკური აღრიცხვა. **რაიმონდ დე რუვერი** თავის ნაშრომში საბუღალტრო აღრიცხვის მდგომარეობის შესახებ ჯერ კიდევ **პაჩოლიმდე** აღნიშნავდა, რომ ზოგიერთი ბალანსების აქტივები, დაწყებული 1399 წლიდან შეიცავდნენ მომავალი პერიოდების ხარჯების მუხლებს. ამრიგად, ორმაგი ჩაწერის წარმოშობის მომენტიდანვე ჩაისახა დინამიური ფილოსოფია. „ორადი ბუღალტერიის საკითხში დიდი წვლილი მიუძღვის ცნობილ იტალიელ მათემატიკოსს **ლუკა პაჩოლის** შრომას „ართიმეტიკის, გეომეტრიის, პროპორციებისა და შეფარდებათა ერთობლიობა“, რომელიც გამოიცა ვენეციაში 1494 წელს, მისი თორმეტი ტრაქტატიდან მე-11 ტრაქტატი ეხება ანგარიშებსა და ჩანაწერებს, სადაც იგი ეხება ანგარიშწარმოების პირველ ფორმას - ორადი ბუღალტერიის წარმოების ვენეციურ, ანუ ძველი იტალიური წესის აღწერას, ამ ფორმის დროს ორადი ჩაწერისათვის გამოიყენებოდა სამი დავთარი: ერთს ეწოდებოდა მემორიალი, მეორეს - ჟურნალი, მესამეს - რვეული, შემდგომ მას „მთავარ დავთარს უწოდებენ.“ არაა შემთხვევითი, როცა ერთმანეთს უპირისპირებენ ფლორენციული და ვენეციური აღრიცხვის მოდელებს, ერთმანეთს უპირისპირდება ჩასახული დინამიური ფლორენციული მოდელი და ძველი ვენეციური მოდელი ბუღალტერიისა. ფლორენციაში XIV და XV საუკუნეებში სახალხო მეურნეობის ყველაზე მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენდა საფეიქრო მრეწველობა. განსხვავებით საზღვაო ვაჭრობისაგან მანუფაქტურები მუშაობენ უწყვეტად და არ მიისწრაფვიან შეადგინონ სალიკვიდაციო ბალანსი. ამ გარემოებებმა შექმნეს ხელსაყრელი პირობები საბუღალტრო აღრიცხვის გარკვეული სტილის განვითარებისათვის, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება კამერალური და სტატიკური ბუღალტერიისაგან, ვინაიდან ფილოსოფია, რომელიც ამხნევეს ვაჭრებს, განსხვავდება იურისტების ფილოსოფიისაგან. პირველთა საზრუნავი მდგომარეობს არა საკუთარი კრახის განჭვრეტაში, არამედ საკუთარი მოგებისგაზრდასა და გაზომვაში, ხოლო მეორეთა საზრუნავია შესაძლო გაკოტრების ანალიზი. ამასთან ერთად, საკუთარი ვენეციელი მოძმეებისაგან განსხვავებით, ფლორენციელი მეწარმეები ვალდებულნი იყვნენ გაეზომათ საკუთარი მოგება მცირე დროით. ინტერვალებით, ეს მათ აიძულებდა ევლოთ კაპიტალის (ფულადი კაპიტალის საწარმოს შექმნისას, ძირითადი და საზრუნავი კაპიტალი, კრედიტი და შემდეგ ისევ ფულადი კაპიტალი) მეტამორფოზების (მოდრობის ეტაპების) მუდმივი თვალთვალის გზით და გაეზომათ საკუთარი მოგება საანგარიშო პერიოდში (ერთი ან ორი წელი) ამონაგების შედარებით ხარჯებთან,

რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ამ ამონაგებთან. აი ესაა დინამიური საბუღალტრო აღრიცხვის შემადგენლები.

ბუღალტრისათვის, რომელიც ხელმძღვანელობს სტატიკური კონცეფციით, ორმაგი ჩაწერა, არსებითად, საჭიროა მხოლოდ ინვენტარიზაციის შედეგების ასახვისათვის. თუ ბუღალტერი სარგებლობს აღრიცხვის დინამიური გაგებით, მაშინ მას არ შეუძლია დაკმაყოფილდეს ასეთი მიდგომით, ვინაიდან ამ შემთხვევაში საჭიროა უფრო რთული მოდელი. მისი მიზანია თვალყური მიადევნოს კაპიტალის ყველა მეტამორფოზას: მას სურს იხილოს ყოველ მომენტში, როგორ გადადის ფულადი სახსრები ნედლეულსა და მოწყობილობებში, ხოლო შემდეგ საწარმოო პროცესის ზემოქმედებით- საქონლად (დასრულებულ ან დაუსრულებელ პროდუქციაში), ბოლოს, დებიტორულ დავალიანებასა და ფულში (რეალიზაციის შემდეგ). ამ მოდელის პირველ ნიშნებს ვპოულობთ ვენეციურ მოდელში, ხოლო მის უფრო განვითარებულ ფორმებს-სამრეწველო რევოლუციის დასაწყისში: ჩარლტონ მაილსის ფაბრიკაში აღრიცხვის ზემოთ მოყვანილი მაგალითი ამის დასტურია.

ჩვენი თვალსაზრისით, სწორედ ბუღალტრები, რომლებიც ემხრობიან დინამიურ განმარტებას, იმყოფებიან ორმაგი ჩაწერის სათავეებთან: როცა საფეიქრო ნაწარმით მოვაჭრეებმა XIII-XIV საუკუნეებში, ყიდულობდნენ რა, აფორმებდნენ მაუდის მარაგს, რომელსაც ისინი ყიდდნენ თანდათანობით. იმისათვის რომ ქონოდათ წარმოდგენა და ეკონტროლებინათ საკუთარი კაპიტალი მის ყველა ფორმაში, მათ აუცილებლად სჭირდებოდათ გაეთვალისწინებინათ არა მარტო ფულის მოძრაობის აღრიცხვა, ასევე აღერიცხათ მაუდის მოძრაობაც. სწორედ ასეთი მეტამორფოზები იყო საჭირო **ორმაგი ჩაწერის** ასახვისათვის. როცა ვაჭრები მიხვდნენ, რომ სამეურნეო ციკლის დასაწყებად მათ სჭირდებოდათ კაპიტალის თვლა, რომლის დაკრედიტებას აპირებენ, ერთდროულად სალაროს ანგარიშის დებიტირებისა, მათ გახსნეს ახალი ტექნიკა, რომელმაც მთლიანად გადააყირავა საბუღალტრო აღრიცხვა. ამრიგად, ჩვენი აზრით, სწორედ კაპიტალის ღირებულების სახეცვლილება დგას ორმაგი ჩაწერის წარმოშობის სათავეებთან.

4. ფისკალური (საგადასახადო) საბუღალტრო აღრიცხვის მახასიათებლები

როგორც უკვე აღინიშნა, 1914 წლამდე ევროპაში საბუღალტრო აღრიცხვაში “მეფობდა” სტატიკური და დინამიური პრაქტიკა, მაგრამ 1914-1918 პირველმა მსოფლიო ომმა აიძულა მებრძოლი ქვეყნები ეძებნათ შემოსავლების ახალი წყაროები, რათა დაეფინანსებინათ გიგანტური საფინანსო დეფიციტები. სწორედ ამ პერიოდში იბადებიან, არა მეწარმეების წინააღმდეგობების გარეშე, პირველი გადასახადები საწარმოს შემოსავლებზე. ამ მომენტიდან საგადასახადო ორგანოები იწყებენ დაინტერესებას იმით, რაც მათ მიაჩნიათ კარგ წყაროდ ინფორმაციისა ფინანსურ შედეგებზე მათი “ძვირფასი გადასახადების გადამხდელებისა”, ანუ საბუღალტრო

აღრიცხვით. ამასთან დაკავშირებით იბადება ორი ფუნდამენტური კითხვა, ჯერ-ერთი, დასჯერდება თუ არა საგადასახადო ადმინისტრაცია უკვე არსებულ საბუღალტრო აღრიცხვის მეთოდებს- იქნება ეს სტატიკური თუ დინამიური აღრიცხვა, თუ ის შეეცდება შექმნას სპეციალური ტიპი ბუღალტერიისა, ანუ ფისკალური აღრიცხვა? დავუშვათ, რომ პირველ კითხვაზე პასუხი იქნება “შემოქმედებითი” გადაწყვეტილების სასარგებლოდ. მეორეს მხრივ, შეეცდებიან თუ არა საგადასახადო ორგანოები თავიანთი კონცეფცია თავს მოახვიონ სააღრიცხვო პრაქტიკას ან, პირიქით, დაკმაყოფილებიან თავიანთი აღრიცხვის სისტემის დამატებით უკვე არსებულისათვის? სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხლვიდან გამომდინარე, შეიძლება გამოიყოს სამი პერიოდი: “დინამიური”, “იძულებითი გამოყოფის” და “სეპარატისტული”.

“დინამიური” პერიოდი. როდესაც მკითხველი, რომელიც მიეჩვია XX საუკუნის სააღრიცხვო და საგადასახადო წესებს, კითხულობს ანდრე ბისონის 1925 წ. “ფირმის ბალანსი და რეალური მოგება” წიგნს, მას ელოდება დიდი სიურპრიზი, ვინაიდან ეს წიგნი ასახავს “საგადასახადო კლიმატს”, რომელიც სრულიად განსხვავდება იმისაგან რაც ჩვენ გვაქვს დღეს. შეიძლება ითქვას, რომ იმ ეპოქაში ავტორის “აჩემებული იდეა” იყო გამოემუშავებინა შემოსავლის გამოანგარიშების საგადასახადო წესები, რომლებიც დაემთხვეოდნენ ეკონომიკურ კონცეფციას: **საგადასახადო აღრიცხვა როგორღაც დგას დინამიური აღრიცხვის ჩრდილში.**

“იძულებითი გამოყოფის” პერიოდი. პირველი პერიოდი არ გრძელდებოდა დიდხანს. თანდათან საგადასახადო ადმინისტრაციამ დაიწყო იმის შეგნება, კერძოდ, გადასახადების გადამხდელების ზემოქმედებით, რომ ის “პრობლემები”, რომლებიც აყენებენ საწარმოს შემოსავლის ბეგარის ქვეშ, და ნაბიჯ-ნაბიჯ დაიწყო დინამიური აღრიცხვის რეგულირება, ასახავდა რა მასში სპეციფიური საგადასახადო წესების გავლენას. ასეთი რეგულირების მაგალითად შეიძლება გამოდგეს დეფიციტის პრობლემის გადაწყვეტა, როდესაც გადასახადის გადამხდელს პირველ წელს აქვს ზარალი, ხოლო შემდეგ წელს ის ღებულობს მოგებას, როგორ უნდა განხორციელდეს გადასახადით დაბეგვრა? თუ ბრმად მივყვებით დინამიური საბუღალტრო აღრიცხვის წესებს, რომელიც გულისხმობს საანგარიშო პერიოდების დამოუკიდებლობას, მაშინ უნდა დაიბეგროს მხოლოდ მეორე წლის მოგება, რაც გადასახადების გადამხდელების თვალსაზრისით იქნებოდა ნამდვილი პროვოკაცია. ისტორია გვიჩვენებს, რომ 1925 წლიდან დაწყებული, საგადასახადო ადმინისტრაცია გაერკვა სიტუაციაში და მიიღო პრინციპი დეფიციტის გადატანისა. ეს მაგალითი ადასტურებს გადასვლას სხვა ფაზაში, 1920 წლიდან 1959 წლებში, ფაზაში საგადასახადო წესების თანდათანობით გამოყოფის დინამიური აღრიცხვის წესებისგან. მაგრამ ეს გამოყოფა არ წარმოადგენს სასურველს, ის ატარებს იძულებით ხასიათს.

“სეპარატისტული” პერიოდი. მეორე პერიოდის განმავლობაში საგადასახადო რეგლამენტაცია ხდება დამოუკიდებელი, მაგრამ ჯერ კიდევ მხედველობაში ღებულობს

დინამიური ბუღალტერიის პრინციპებს. 1959 წლის შემდეგ ყველაფერი იცვლება. **საგადასახადო სისტემა** ხდება სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის სრულიად დამოუკიდებელი ინსტრუმენტი. საბუღალტრო აღრიცხვა მისი დინამიური იდეალით მთლიანად დავიწყებულია. საგადასახადო ორგანოები “მანიპულირებენ” თავიანთი მოთხოვნებით და წესებით, რომელთა შორისაც ყველაზე უფრო ცნობილია ამორტიზაცია და მომავალი პერიოდის ხარჯები. ამრიგად, საგადასახადო აღრიცხვას ამჟამად არაფერი აქვს საერთო საბუღალტრო აღრიცხვასთან. ეს სიტუაცია დომინირებს საფრანგეთში დღესაც. საგადასახადო აღრიცხვას გააჩნია სხვა წესები დინამიურ და სტატისტიკურ საბუღალტრო აღრიცხვასთან შედარებით.

5. საბუღალტრო აღრიცხვა ეროვნული ანგარიშსწორების სამსახურში

1929 წლის კრიზის შემდეგ, კეინსიანელების კრიზისების გავლენით ეკონომიკის რეგულირების აუცილებლობის შესახებ, კაპიტალისტური სახელმწიფოების უმეტესობამ დაიწყო საინფორმაციო სისტემების განვითარება, რომლებიც განკუთვნილი იყო მონაცემების შესაგროვებლად საწარმოების შესახებ მათი განზოგადოების მიზნით მაკროეკონომიკურ დონეზე. ამ ახალი ცნების “ეროვნული ანგარიშწარმოება” ძირითადი პრინციპები დამუშავებული იქნა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პერიოდში 1950 წლიდან 1970 წლამდე. სწორედ ამ პერიოდში განსაზღვრული სახელმწიფოების სტატისტიკური სამსახურების ხელმძღვანელებს შორის ვითარდება იდეა იმის აუცილებლობაზე, დაავალდებულონ, ან უკიდურეს შემთხვევაში რეკომენდაცია გაუწიონ საწარმოებს, რომ მათ დაიცვან შეფასების და სპეციფიური სააღრიცხვო ფორმალიზაციის გარკვეული პრინციპები, რომელიც საშუალებას იძლევა განზოგადებულ იქნას მაკროეკონომიკური მონაცემები იმისათვის, რომ მიღებულ იქნას აუცილებელი მაკროეკონომიკური სიდიდეები.

ამრიგად, განვითარდა სპეციფიური საბუღალტრო წარმოება, რომელიც მიმართულია ეროვნული ანგარიშწარმოების შექმნაზე. ჩვენ მაკროეკონომიკურ აღრიცხვას ვუწოდებთ ისეთ საბუღალტრო აღრიცხვას, რომლის თავისებურებებს შეისწავლის მანამდე ვიდრე გავეცნობოდეთ **დამატებული ღირებულების** ფორმირების პრობლემას.

მაკროეკონომიკური თვალსაზრისით საკითხი ისმება სხვანაირად: ძირითადად გვევლინება დასრულებული პროდუქციის განსაზღვრა, რათა თვალყური მიედევნოს მის მოძრაობას. ცნობილია, რომ ნებისმიერი ეროვნული ანგარიშწარმოების ფუნდამენტურ სიდიდედ, თუ არა ძირითადად, გვევლინება მთლიანი შიგა პროდუქტი (მშპ). მისი გაანგარიშებისათვის საჭიროა ისეთი მდგენელების გამოვლენა, როგორცაა დამატებული ღირებულება–სხვაობა საქონლის ღირებულებისა და მის წარმოებაზე გაწეული ხარჯისა. შევნიშნავთ, ასეთი დამატებული ღირებულება შედის მთლიანი პროდუქციის სტრუქტურაში, როგორც ნაწარმოები დამატებული ღირებულება. სპეციალისტებს მაკროეკონომიკაში, პირველ რიგში, აინტერესებთ დამატებითი

ღირებულების წარმოება, ხოლო შემდეგ–მისი განაწილება სხვადასხვა მიმღებ მხარეებს შორის. ამიტომ, ლოგიკურია შედეგის ანგარიშის შემდეგი სტრუქტურა:

მთლიანი პროდუქცია-დანახარჯები წარმოებაზე=დამატებული ღირებულება (ანალიზდება მისი სტრუქტურა) დამატებული ღირებულების მდგენელობის ანალიზი დამოკიდებული იქნება განსახილველ ეკონომიკურ სისტემაზე.

ამრიგად, სწორედ შეფასების სისტემა წარმოადგენს დინამიკური აღრიცხვის აპრიორს და ადაპტირებულია ეროვნული ანგარიშწარმოების მოთხოვნებში. მით უფრო, რომ ეკონომისტებს, სტატისტიკოსებს და ბუღალტრებს, პირველ რიგში აინტერესებთ სამეურნეო მოღვაწეობის ეფექტურობა, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე ეხება ქვეყნის ეფექტურობას და არა საწარმოსას. ამასთანავე, ქვეყნის მაკროეკონომიკური ეფექტურობის გაანგარიშება შეუძლებელია საწარმოს საბუღალტრო აღრიცხვის მოდელით.

6. საბუღალტრო აღრიცხვა როგორც სამეურნეო ცხოვრების ფაქტების რეგისტრაციის ტექნიკა და სოციალური პრაქტიკის სფერო

უნდა შევნიშნოთ, რომ საბუღალტრო აღრიცხვა ორმაგი ჩაწერის დახმარებით მრავალი წლის განმავლობაში იყო კრიტიკის ობიექტი. ზოგიერთი ავტორი მიუთითებდა მის შეზღუდულ შესაძლებლობებზე და წინადადებდა იმლეოდნენ შეცვლილიყო ის საბუღალტრო აღრიცხვით სამმაგი, ოთხმაგი და ა.შ. მსგავსი ჩაწერების მეშვეობით. ეს კრიტიკა ჩვენ არ მიგვაჩნია დასაბუთებულად. ორმაგ ჩაწერას არ შეუძლია შეზღუდოს დაკვირვებათა ველი სამეურნეო ცხოვრების ფაქტებისადმი. ის არ არის შეზღუდული, ვინაიდან შეესაბამება ბუნების კანონს-ღირებულებათა ტრანსფორმაციას ერთი ფორმიდან მეორეში. ის არ ზღუდავს ინფორმაციის მოცულობას, ვინაიდან ანგარიშების გაზრდით ყოველთვის შესაძლებელია მიღწეულ იქნას აღრიცხვის დამატებითი ინფორმაციულობა. მაგალითად, როდესაც იზრდება აქტიური ანგარიშის ჯამი, ყოველთვის შესაძლებელია ანალიზური ანგარიშებით დაზუსტდეს ადგილმდებარეობა, ფუნქციები, გაცვეთილობა და კონკრეტული აღსარიცხი ობიექტის სხვა მახასიათებლები. სწორედ ასე ფუნქციონირებს ანალიზური აღრიცხვა.

კვლევები მოწმობს, რომ საბუღალტრო აღრიცხვა არის სოციალური პრაქტიკის ერთ-ერთი სფერო. ის ჩაისახა ბევრად ადრე ვიდრე გახდა სამართლის ობიექტი. ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო საკითხი, რომელიც დასმული იყო ზომბარტის მიერ, დაკავშირებულია იმასთან, არის თუ არა საბუღალტრო აღრიცხვა კაპიტალიზმის განვითარების შედეგი. ნაცვლად ამ სადისკუსიო, მრავალჯერ განხილული საკითხის პასუხისა, ჩვენ აღვნიშნავთ, რომ თუ ორმაგი ბუღალტერია ჩაისახა კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად, იმავედროულად ის სისტემატურად იცვლებოდა, რათა ადაპტირებულიყო სრულიად სხვადასხვა ვარიანტთან როგორც კაპიტალისტური, ისე

არაკაპიტალისტური სისტემებისა. შესაბამისად, საბუღალტრო აღრიცხვის ისტორიკოსების გამოკვლევები, კერძოდ რაიმონდ დე რუვერის, გვიჩვენებს, რომ ორმაგი ბუღალტერიის პირველი ნიშნები გაჩნდა XIII საუკუნეში. ამ დროს ფლორენციის სავაჭრო სახლების ვაჭრები წააწყდნენ საკუთარი კაპიტალის მეტამორფოზების კონტროლის აუცილებლობას. აქედან გამომდინარეობს, რომ სწორედ საფეიქრო კაპიტალისტური წარმოებაა საბუღალტრო ტექნიკის სათავეებთან.

7. საბუღალტრო აღრიცხვა როგორც მეცნიერების ობიექტი

XIX საუკუნის ბოლოს XX საუკუნის დასაწყისში პირველად უნივერსიტეტებში, რომლებიც სპეციალიზდებოდნენ სრულიად ახალ მეცნიერებაში–მართვაში, ძირითადად აშშ-ში, კარს უღებენ საბუღალტრო მეცნიერებას, რომელსაც თავის საგნად აქვს წარმოდგენა ორმაგი ჩაწერის მეშვეობით მოძრაობა ღირებულებებისა, რომელთა აღრიცხვაც ხდება ფირმებში.

ევროპაში საბუღალტრო აღრიცხვა ინგლისელი რ.ს.ედვარდსის და გერმანელების ზივეკინგისა და ბ.პენდორფის ნაშრომების მეშვეობით გახდა სისტემატური შესწავლის საგანი.

XX საუკუნის დასაწყისიდან ბუღალტრებმა იპოვეს სოციოლოგიაში საშუალებები საზოგადოებრივი ძალების გასაგებად, რომლებიც განსაზღვრავენ საბუღალტრო აღრიცხვის განვითარების და მისი პრინციპების ფორმებს. უფრო ზოგად ფორმაში წარმოიშვა საბუღალტრო პრაქტიკის პრობლემების კომპლექსის გაგება, მაგრამ მხოლოდ 1960 წლის შემდეგ იქნება საბუღალტრო აღრიცხვის სოციალურ-პოლიტიკური ბუნება, ბოლოს და ბოლოს, აღიარებული საზოგადოებაში.

ამრიგად, კვლევის შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ მსოფლიო გლობალიზაციის განვითარების თანამედროვე ეტაპზე შეიძლება გამოიყოს **ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირების შემდეგი მოდელები, როგორცაა:** 1) მიკროეკონომიკური (ანგლო-ამერიკული); 2) მაკროეკონომიკური (კონტინენტალურ -ევროპული); 3) ლათინო ამერიკული; 4) ისლამური; და 5) საერთაშორისო. [102]

კორპორაციული (საწარმოს) მართვის პრაქტიკაში **ცნობილია, რომ ბუღალტრული აღრიცხვა** ორ ქვესისტემად: გარეშე _ ანუ ფინანსურად და შიდა _ ანუ მმართველობითად შეიძლება იქნეს დაყოფილი. ასეთი დაყოფა შიდა და გარე ბუღალტერიის მიზნებსა და ამოცანებში არსებული განსხვავებით არის განპირობებული (იხ. ცხრილი 1.1). აღნიშნულიდან გამომდინარე ბუღალტრული აღრიცხვა ორ ნაწილად არის დაყოფილი:

მმართველობითი აღრიცხვა (managerial accouting), რომელიც მიმდინარე ოპერაციების წარმოებას, კონტროლინგის (controlling) ორგანიზაციას, ფასწარმოქმნისათვის ბაზის შემუშავებას (base of price formation), აგრეთვე საგადასახადო პოლიტიკის გახორციელებასა

(base for current operations and taxes policy) და მოლაპარაკებების წარმოებას (base for negotiations) ითვალისწინებს.

ფინანსური აღრიცხვა (financial accounting), რომელიც ფინანსური ანგარიშგების, გამკარგავი ორგანიზაციებისათვის საგადასახადო დეკლარაციისა (tax return) და სხვა ანგარიშგებების (reports) მომზადებას მოიცავს.

როგორც ცნობილია, დასავლეთის ქვეყნების ფინანსური ანგარიშგების პრაქტიკიდან გამომდინარე, კორპორაცია ამზადებს **სამ ძირითად ფინანსურ ანგარიშგებას [41]**

1. ბუღალტრულ ბალანს (Balance sheet) _ იგი ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას წარმოადგენს. ბალანსში მიმდინარე აქტივებსა (ფული, დებიტორული დავალიანება და მარაგები) და საკრედიტო დავალიანებას შორის თანაფარდობას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რომლებსაც შორის სხვაობას მუშა კაპიტალს უწოდებენ.

2. ანგარიშგება შემოსავლების შესახებ (Income Statement) _ საქმიანობის შედეგებს ასახავს: ამონაგები და დანახარჯები საანგარიშო პერიოდისათვის. სამეურნეო საქმიანობის შედეგები ბალანსში კაპიტალის ანგარიშზე გროვდება.

3. ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ (Cash Flow) _ მისი დანიშნულებაა ფულადი შემოსულობებისა და გადახდების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა ანგარიშგების პერიოდის განმავლობაში. საანგარიშგებო ბუღალტრული ბალანსი ფინანსურ მდგომარეობას გამოხატავს განსაზღვრული პერიოდისათვის (ყოველი თვის 31 რიცხვისათვის), შესაბამისად, ბალანსში წინა წლის ბოლოსათვის მონაცემებია მოტანილი. ბალანსის ანალიზი ლიკვიდურობის, შემოსავლიანობის, აგრეთვე, ცალკეული ოპერაციების ჩატარებისას რისკის ხარისხის მდგომარეობის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. ძირითადი განსხვავებები მმართველობით და ფინანსურ აღრიცხვის შორის: საანგარიშგებო ბუღალტრული ბალანსი ფინანსურ მდგომარეობას გამოხატავს განსაზღვრული პერიოდისათვის, შესაბამისად, ბალანსში წინა წლის ბოლოსათვის მონაცემებია მოტანილი. ბალანსის ანალიზი ლიკვიდურობის, შემოსავლიანობის, აგრეთვე, ცალკეული ოპერაციების ჩატარებისას რისკის ხარისხის მდგომარეობის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

ცხრილი 1.1

maxasiaTeblebi:	mmarTvelobiTi aRricxva	finansuri aRricxva
1. momxmareblebi	Sida	gareSe
2. forma	dadgenili forma ar arsebobs. xelmZRvanelobis moTxovnis Sesabamisad.	buRaltruli balansi. Semosavle- bisA Sesaxeb angariSgeba. fu- ladi nakadebis Sesaxeb anga- riSgeba.
3. angariSgebis warmodgenis sixSire	saWiroebis mixedviT	perioduloba ganmkargavi or- ganoebis mier dgindeba
4. drois gansaxilveli periodi	imavdrouli da momavalis	ganvlili periodis
5. regulireba	maregulirebeli organo ar arse- bobs	kanoni da ganmkargavi orga- noebi

ბალანსიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე საკუთარი და მოზიდული სახსრების წყაროების, მათი სტრუქტურის განსაზღვრული თარიღისათვის განთავსების გამოვლენა არის შესაძლებელი.

შემოსავლების შესახებ ანგარიშგების შინაარსი_ ბუღალტრული ბალანსისაგან განსხვავებით, შემოსავლების შესახებ ანგარიშგება (Income Statement; Earnings report; Statement of earnings) არა განსაზღვრული თარიღისათვის დგება, არამედ იგი კომპანიის საქმიანობის შედეგის, მისი კაპიტალის დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში (როგორც წესი _ ერთი წელი) გამოყენების შესახებ წარმოდგენას იძლევა. აღნიშნული ანგარიშგების შინაარსი კორპორაციის სამომავლოდ მუშაობის პროგნოზირებისათვის ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს.

შემოსავლების შესახებ ანგარიშგების წარმოდგენის ფორმატის შერჩევას კომპანიებს თავისუფლების მნიშვნელოვანი ხარისხი გააჩნიათ. არსებობს მისი გაანგარიშების ორი მეთოდი: **ერთნაბიჯიანი და მრავალნაბიჯიანი.**

ერთნაბიჯიანი მეთოდის შემთხვევაში შემოსავლების შესახებ ანგარიშგების პოზიციები ორ კატეგორიად დაიყოფა: ამონაგები და შემოსავლები; ხარჯები და ზარალი. მოგების მაჩვენებლის მიღება ერთ ნაბიჯად _ შემოსავლების საერთო ჯამი დანხარჯების საერთო ჯამის გამოკლების მეშვეობით ხორციელდება. ასეთ მეთოდს ერთ ნაბიჯიანს იმიტომ უწოდებენ, რომ კორპორაციის საოპერაციო მოგების გაანგარიშებისათვის მხოლოდ ერთი ნაბიჯი არის საჭირო.

მრავალნაბიჯიანი მეთოდი ითვალისწინებს, შემოსავლების შესახებ ანგარიშგებაში ძირითადი საქმიანობა, ფინანსური საქმიანობა, საგადასახადო გადახდები, კომპანიის ფილიალების ოპერაციები ცალ-ცალკე იყოს მითითებული, რომელთა ანგარიშგება მის საკუთარ ანგარიშებში და სხვა მსგავს მარჯვენებლებში კონსოლიდირებული არ არის. სწორედ ამით აიხსნება აღნიშნული ხერხის სახელწოდება – **მრავალნაბიჯიანი**, რადგანაც, მთლიანობაში კორპორაციის სუფთა მოგების მისაღებად, რამდენიმე წინასწარი ნაბიჯების გაკეთება, ანუ საქმიანობის ცალკეული სახეობების მიხედვით სწორედ შუალედური ჯამების გაანგარიშება არის საჭირო.

როგორც დასავლეთის ქვეყნების საქმიანობის პრაქტიკა გვიჩვენებს, დროთა განმავლობაში კორპორაციების სულ უფრო მეტმა რაოდენობამ დაიწყო ამ მეთოდის გამოყენება. შემოსავლების შესახებ ანგარიშგებაში მუხლები ვერტიკალურად ზემოდან ქვემოთ თანმიმდევრულად არის მოყვანილი. მასში ჩაერთვება საქონლის გაყიდვიდან და შემოსავლების სხვა სახეობებიდან ამონაგების ჯამი, ყველა დანახარჯებითა და კაპიტალ დაზღვევებით.

ამრიგად, ნებისმიერი დარგის სამეურნეო სუბიექტის წარმატებული ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მართვის სისტემა, რომელიც მასში შემავალი ელემენტების დაგეგმვასა და კოორდინირებას ახდენს. შესაბამისად, ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპი წარმოადგენს ამოსავალ, საკვანძო, საწყის, საბაზო დებულებათა ერთობლიობას, რომლისგანაც გამომდინარეობს სააღრიცხვო საქმიანობაში მიღწეული ყველა შემდგომი მტკიცებულება.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (**ბასს**) არსიდან და მიზნებიდან გამომდინარე, ბუღალტრულ აღრიცხვასა და ანგარიშგებაში გამოყენებულ **პრინციპებს მიეკუთვნება**: ორმხრივობის, ფულადი შეფასების, საწარმოს ავტონომიურობის, უწყვეტობის, თვითღირებულების, კონსერვატიზმის, მატერიალურობის, რეალიზაციის და შესაბამისობის პრინციპები.

ბუღალტრული აღრიცხვის ზოგადად მიღებული შემდეგი **სტანდარტების (კონცეფციების)** გამოყოფა არის შესაძლებელი:

1. ბიზნესის ერთეულის კონცეფცია (Business entity concept) – ბიზნესის აღრიცხვა კომპანიის მფლობელების საკუთრებისაგან ცალკე უნდა ხორციელდებოდეს. ფინანსურ ანგარიშგებებში საუბარი ბიზნესის კონკრეტული სახეობის შესახებ და მხოლოდ მის შესახებ უნდა მიდიოდეს. თუკი კომპანიის მფლობელი, მაგალითად, კომპანიის ანგარიშებს თავის პირად ანგარიშებთან ერთად განიხილავს, მაშინ მოცემული კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ობიექტურად შეფასება შეუძლებელი იქნება.

2. "გახანგრძლივებული საქმიანობის" კონცეფცია (going concern) – ითვალისწინებს, რომ კომპანია როგორც მოქმედი (ფუნქციონირებადი) საწარმო ისე იქნას განხილული, რომელიც თავის საქმიანობას მომავლის გარკვეულ პერიოდშიც გააგრძელებს,

3. ისტორიული ფასის კონცეფცია (historic cost concept) – კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში რესურსები არასაბაზრო ფასების მიხედვით, არამედ შეძენის ფასების მიხედვით უნდა იქნეს აღიარებული,

4. რეალიზაციის კონცეფცია (realisation concept) – თუ კომპანია შექმნის მომენტში ან წარმოების უფრო ეფექტიანი სიმძლავრეების მწყობრში შეყვანის შედეგად არსებით ორგანიზაციულ ხარჯებს ახორციელებს, მას შეუძლია ასეთი ხარჯები იმ პერიოდს მიაკუთვნოს, რომლებშიც მოგების მიღება არის მოსალოდნელი,

5. შესაბამისობის კონცეფცია (accrual or matching concept) – ოპერაციების ჩაწერა მათი შესრულების მომენტში, და არაგადახდის მომენტში ხორციელდება და იგი იმ საანგარიშგებო პერიოდს მიეკუთვნება, როდესაც იყო ოპერაცია შესრულებული. გამონაკლისს კონტრაქტის ეტაპურად შესრულების მეთოდი (% of completion) განვადებით გაყიდვის მეთოდი (installment) წარმოადგენს და ხარჯების ასახვისას შესაბამისობის წესიმოქმედებს (mathing concept) - ხარჯები ცნობილი იქნება საანგარიშგებო პერიოდში, მხოლოდ თუ ისინი მოცემული პერიოდის შემოსავლებს წარმოადგენენ;

6. მუდმივობის კონცეფცია (consistency concept) – აღრიცხვის გახორციელების ფორმები, რომლებიც მოცემულ დროში გამოიყენება, უნდა შეესაბამებოდეს პროცედურებს, რომლებიც ანალოგიურ ოპერაციების აღრიცხვისათვის ადრე იყო გამოყენებული. აღრიცხვის მეთოდებიდან ცალკეული მაჩვენებლების განმარტება ერთი ანგარიშგების პერიოდში არ უნდა იცვლებოდეს, ხოლო შესაძლებლობის ფარგლებში, რაც შეიძლება უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში, უცვლელი დარჩეს.

7. ღიაობის პრინციპი (disclosure principle) მოითხოვს, რომ ფინანსური ანგარიშგება უფრო სასარგებლო ინფორმაციას მოიცავს. ზედმეტი (ჭარბი) ინფორმაციის არსებობამ განმკარგავი ორგანოების შეცდომაში შეყვანა არ უნდა გამოიწვიოს;

8. კონსერვატიზმის დოქტრინა (conservatism doctrine) - ბუღალტრული აღრიცხვის ერთ-ერთ ძირითად საერთო მიღებულ სტანდარტს წარმოადგენს, რომლის მიხედვით უფრო მისაღებ მარაგების ფულადი შეფასების შემცირება და არა მათი გადიდება წარმოადგენს;

9. ფულადი გაზომვის კონცეფცია (money measurement concept) – მთლიანი ბუღალტრული აღრიცხვა ერთი სახეობის ფულად გამოსახულებაში უნდა ხორციელდებოდეს;

10. არსებითობის კონცეფცია (materiality concept) – კომპანიებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ, თუ ბუღალტრულ ბალანსში რომელი ფასეულობების გათვალისწინებაა მათთვის მნიშვნელოვანი და რომელი მაშინათვე ხარჯებს მივაკუთვნოთ.

ამრიგად, ჩვენი აზრით: ა) საბუღალტრო აღრიცხვა შეიძლება აცხადებდეს პრეტენზიას პოლიტიკური ეკონომიკის ერთ-ერთი შტოს სტატუსზე, ეროვნული აღრიცხვიანობის პრინციპებისა და მეთოდების გამოყენების პირობებში; ბ) “საბუღალტრო ნორმების გამოგონება თანაბარ ზომიერად არის პოლიტიკური აქციების და ლოგიკური აზროვნების ან პრაქტიკული მოთხოვნების შედეგი. რატომ? იმიტომ, რომ საბუღალტრო

აღრიცხვას თავის ამოცანად აქვს დასახული სოციალური პრობლემების გადაჭრა. სოციალური ნორმები ზღუდავენ სამეურნეო სუბიექტების ქცევას, ხოლო შედეგად ისინი უნდა იქნას მიღებული საზოგადოების სხვა ფენების მიერაც. ეს მიღება შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი ან იძულებითი, ან ერთიგ და მეორეც ერთდროულად. დემოკრატიულ საზოგადოებაში თანხმობის მიღწევა წარმოადგენს განსაკუთრებით რთულ პროცესს.

შესაბამისად, მეთოდოლოგიური და მეთოდური სხვადასხვაობის მიუხედავად ყველა ბუღალტრული აღრიცხვის მოდელი ეფუძნება ორადი ჩაწერის წესს. საქართველოში სააღრიცხვო სისტემის რეგულირება ხორციელდება სახელმწიფოს მიერ და ეფუძნება საქართველოს საგადასახადო კოდექსის და ბუღალტრული აღრიცხვის მარეგულირებელი სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნებს, საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ და ნორმატიულ აქტად აღიარებული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს (ზასს).

თავი 2. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით (ზასს) რეგულირების თეორიულ–მეთოდოლოგიური საფუძვლები

როგორც ცნობილია, მსოფლიოში გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირების მოდელების წარმოქმნას განაპირობებს გარკვეული მიზნები, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყნის ტრადიციებთან, კულტურასთან, ისტორიასთან, რელიგიასა თუ სოციალურ თავისებურებებთან. ყოველი ქვეყანა საგადასახადო სისტემისა და ეროვნული კანონმდებლობისგან გამომდინარე აფუძნებს და იყენებს საკუთარი ბუღალტრული აღრიცხვისა (ბასს) და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სტანდარტებს (ფასს).

საბაზრო ეკონომიკის სისტემაზე გადასვლამ განაპირობა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ბასს) სამაწარმოო პრაქტიკაში დამკვიდრების აუცილებლობა საქართველოში. შესაბამისად, საქართველოში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ბუღალტრული აღრიცხვის გარდაქმნის შესახებ. რეფორმის არსი, ბუღალტრული აღრიცხვის არა მხოლოდ ორგანიზაციულ ცვლილებებში, არამედ მეთოდოლოგიურ გარდაქმნაში მდგომარეობდა. ფინანსური ინფორმაცია სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებლებს უნდა აკმაყოფილებდეს, რაც მათ დაეხმარებათ სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებაში. ამ ძირითადი და მეტად მნიშვნელოვანი მიზნის შესასრულებლად იგი უნდა ეყრდნობოდეს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს (ბასს), რომელიც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში უკვე აპრობირებულია.

1994 წლის 28 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „მეწარმეთა შესახებ“, [62] რომლის მე-13 მუხლით განისაზღვრა აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების ზოგადი პრინციპები. შესაბამისად, პირველი ნაბიჯი გადაიდგა ჩვენს ქვეყანაში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასასვლელად და იგი გახდა საქართველოში მათი დამკვიდრების სერიოზული საფუძველი. ასევე, როდესაც 1991-1995 წლებში საქართველოში შეუქცევადი ხასიათი მიიღო საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესმა, გარდაუვალი გახდა ბუღალტრული აღრიცხვისა და კონტროლის სისტემის გარდაქმნა, საერთაშორისო პრაქტიკისა და ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების შესაბამისად, რამეთუ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფინანსური ინსტიტუციების ფუნქციონირება წარმოუდგენელია, საერთაშორისო დონეზე რეგულირებადი ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გარეშე.

კვლევები უჩვენებს, რომ აუდიტორული საქმიანობის ნორმატიული რეგულირების განვითარებას მეცნიერები დღემდე ორ ეტაპად ყოფენ. პირველ ეტაპად მიიჩნევენ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან XX საუკუნის მეორე ნახევრამდე პერიოდს. აღნიშნული პერიოდის დაწყების სათავედ მიჩნეულია 1853 წელი, როდესაც შოტლანდიაში ოფიციალურად დაფუძნდა ედინბურგის აუდიტორთა ინსტიტუტი.

აშშ-ში 1887 წელს შეიქმნა აუდიტორთა ასოციაცია, ხოლო 1896 წელს საკანონმდებლო გზით რეგლამენტირებულ იქნა აუდიტორული საქმიანობა. მასში აუდიტორის თანამდებობას იკავებდა მხოლოდ დიპლომირებული ბუღალტერი. აუდიტორული საქმიანობის ნორმატიული რეგულირების განვითარებას მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა, საწარმოთა მასობრივმა გაკოტრებამ მოითხოვა აუდიტორული შემოწმებების პროცედურების გამკაცრება.

მეორე ეტაპად მიიჩნევენ XX საუკუნის მეორე ნახევრიდან (1950 წლიდან) დღემდე განვლილ პერიოდს, როცა განვითარებას იწყებს უმსხვილესი ტრანსეროვნული სააუდიტორო საკონსულტაციო ფირმები, რომლებსაც უამრავ ქვეყანაში მრავალრიცხოვანი ფილიალების ქსელი აქვთ. 1950-იანი წლებიდან აუდიტორებმა დაიწყეს მეტი ყურადღების მიქცევაში და კონტროლის საკითხებისადმი. ჩამოყალიბდა აუდიტის რეგულირების ორი მიმართულება:

- ა) აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში აუდიტორულ ორგანიზაციებს აქვთ შედარებითი დამოუკიდებლობა, თვითონ ქმნიან პროფესიულ გაერთიანებებს;
- ბ) დასავლეთ ევროპის ქვეყნებში აუდიტი მკაცრ სახელმწიფო ზედამხედველობას ექვემდებარება.

ასევე აღსანიშნავი ფაქტია, რომ აუდიტის საქმიანობის სტანდარტებისა და რეგულირების სისტემის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წილი შეიტანა ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციამ, რომელმაც შეძლო ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის რეგულირების სტანდარტების სისტემის ერთ **ჩარჩოში მოქცევა**. სტანდარტების შემუშავებისა და სრულყოფის ეფექტურად ორგანიზებისათვის, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციამ ჩამოაყალიბა მუშაობის მიმართულებები ყოველ ცალკეულ სექტორში: აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო (**IAASB**), ბუღალტრული განათლების სტანდარტების საერთაშორისო კომიტეტი, ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტი (IESC) და შესაბამისობის საკონსულტაციო ჯგუფი. ამ ორგანოებს კი ზედამხედველობას უწევს საზოგადოებრივი ინტერესების საზედამხედველო კომიტეტი (**PIOB**).

აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო შეიმუშავებს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს და მიმოიხილავს მათ. საბჭო ასევე მიმოიხილავს სხვა სახის მარწმუნებელ მომსახურებას, გარდა გასული პერიოდის ფინანსური ინფორმაციის აუდიტისა და მიმოხილვისა. ისინი ასევე შეიმუშავებენ შესაბამისი პრაქტიკი სდებულებებს. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საბჭო ასევე გამოსცემს ხარისხის კონტროლის საერთაშორისო საერთაშორისო სტანდარტებს, სადაც ჩამოყალიბებულია ხარისხის კონტროლის პრინციპები აუდიტისა და ყველა სახის მარწმუნებელი გარიგებებისთვის, რომელიც ტარდება საბჭოს მიერ გამოცემული სტანდარტებით.

ცნობილია, რომ ბიზნესის სამყაროში მოქმედი ნებისმიერი სუბიექტი იზოლირებულად ვერასდროს იმუშავებს. მას სჭირდება მრავალმხრივი საფინანსო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება სხვადასხვა ფირმასთან თუ კომპანიასთან. იმისთვის, რომ ფირმის ხელმძღვანელობამ მიიღოს გადაწყვეტილება, დაამყაროს თუ არა საქმიანი ურთიერთობა ამა თუ იმ ფირმასთან, აუცილებელია იმის ცოდნა, რამდენად გადახდისუნარიანია და მომგებიანია იგი. ამიტომ, ყველა იურიდიული პირი ვალდებულია გამოაქვეყნოს წლიური ფინანსური ანგარიშგება გარე მომხმარებლებისათვის. გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგება უნდა იყოს ობიექტური და გარკვეულ მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს, რათა შეცდომაში არ შეიყვანოს ინფორმაციის მომხმარებლები და არ წარმოშვას კონფლიქტები საწარმოებს შორის. ამასთან, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გადრმავებამ და ტრანსნაციონალური კორპორაციების წარმოქმნის პრაქტიკამ, დღის წესრიგში დააყენა კომპანიების (საწარმოთა) ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდის მოწესრიგება მსოფლიოს მასშტაბით. მსხვილი კაპიტალის მფლობელები, რომლებიც სხვადასხვა სახელმწიფოებში ახდენენ კაპიტალის ინვესტირებას, აღრიცხვის განსხვავებული მეთოდის გამო, ხშირად სერიოზულ კონფლიქტურ სიტუაციებში ვარდებოდნენ.

მსგავსი პრობლემების თავიდან აცილების მიზნით 1973 წლის 29 ივნისს „გაეროს“ ეგიდით შეიქმნა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტი (**ბასსკ**) ავსტრალიის, კანადის, საფრანგეთის, გერმანიის, იაპონიის, მექსიკის, ნიდერლანდების, გაერთიანებული სამეფოს, ისლანდიისა და ამერიკის შეერთებული შტატების ბუღალტერთა პროფესიულ ორგანიზაციებს შორის შეთანხმების შედეგად. ბასს-ის კომიტეტს დაევალა ყველა სახელმწიფოში არსებული ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდის შესწავლა და მათ შორის ყველაზე საუკეთესო გამოეცა როგორც საერთაშორისო სტანდარტი.

ბასს საბჭოს 2001 წლის დაფუძნების სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომლითაც შემოღებული იქნა სახელწოდება „**ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები**“ (**ფასს**),⁷ რომელიც მოიცავს როგორც ბასს საბჭოს მიერ დამტკიცებულ სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებს, ასევე წინა წესდების შესაბამისად გამოცემულ ბასს და მუდმივ მოქმედი კომიტეტის ინტერპრეტაციებს. ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტი (**ფაისკ**) 2002 წლის მარტში დააფუძნა ბასსკ ფონდის ნდობით აღჭურვილმა მეთვალყურეებმა და მან შეცვალა ადრინდელი ინტერპრეტაციების კომიტეტი.

7. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები-(ფასს ნაწ. 1 და ნაწ.2). „საქართველოს ბაფი“, თბილისი. 2010.

დახმარებას უწევს ბასს საბჭოს ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლების, მომზადებლების და აუდიტორების ინტერესებისათვის ფასს-ის შემუშავებასა და გაუმჯობესებაში. ფასს-ის მოვალეობაა დრულად უზრუნველყოს მითითებები. ფინანსური ანგარიშგების იმ საკითხებზე, რომლებიც კონკრეტულად არაა განახლებული ბასს საბჭოს სტანდარტებში ან იმ საკითხებზე, რომლებზეც ინტერპრეტაციები არასაკმარისი ან წინააღმდეგობრივია. **ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს)** ორი ნაწილისგან შედგება: ა) **ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს)**, რომელიც ხუთ სტანდარტს მოიცავს; ბ) **ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ბასს)**, რომელიც ორმოცდაერთამდე სტანდარტს მოიცავს.

ფასს-ი ადგენს აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი ინფორმაციის ასახვის მოთხოვნებს, რომლებიც ეხება საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებისათვის მნიშვნელოვან ოპერაციებსა და მოვლენებს. ასევე, ფასს-ში ზოგჯერ განსაზღვრულია დებულებები ისეთი ოპერაციებისა და მოვლენებისათვის, რომლებიც უმთავრესად ამა თუ იმ დარგში წარმოიშობა. ბასს-ის საბჭო ზოგ შემთხვევაში კონკრეტული მოვლენებისა და ოპერაციებისათვის უშვებს განსხვავებული მიდგომების გამოყენების უფლებას. ერთ მიდგომას „საბაზისო და მეორეს- „ალტერნატიული“ მეთოდი ეწოდება. აღრიცხვისას და შეფასებებში ალტერნატივების არჩევანის უფლებას ხვადასხვა საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების მაჩვენებლებს არაშესაძარის სხდის. ამიტომ ბასს საბჭოს მიზანია მსგავსი მოვლენებისა და ოპერაციების აღრიცხვისა და ანგარიშგებაში წარსადგენად დაადგინოს მსგავსი წესები. შესაბამისად, ბასს საბჭოს განზრახული აქვს არ დაუშვას არჩევანის შესაძლებლობები სააღრიცხვო მიდგომებს შორის. ასევე იგი ხელახლა განიხილავს და მომავალშიც გააგრძელებს იმ ოპერაციებისა და მოვლენების განხილვას, რომელთათვისაც ბასს-ით დაშვებულია სააღრიცხვო მიდგომების არჩევანის უფლება, რათა შეამციროს ამგვარი არჩევანის შესაძლებლობების რიცხვი.

ბასს კომიტეტი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება პასუხობს მომხმარებელთა უმრავლესობის საერთო მოთხოვნილებებს. ეს გამოწვეულია იმით, რომ ფინანსური ანგარიშგების თითქმის ყველა მომხმარებელი ძირითადად დაინტერესებულია შემდეგი ტიპის ეკონომიკური გადაწყვეტილებებით: ა) გადაწყვიტოს, როდის იყიდოს, დაიტოვოს ან გაყიდოს ინვესტირებული კაპიტალი; ბ) შეაფასოს საწარმოს ხელმძღვანელების საქმიანობა და პასუხისმგებლობა; გ) შეაფასოს, შეუძლია თუ არა საწარმოს, უზრუნველყოს თავისიმ უშაკები ხელფასებითა და სხვა სახის დახმარებებით; დ) შეაფასოს მენეჯმენტის ხარისხი და ანგარიშმგებლობა; ე) განსაზღვროს საგადასახადო პოლიტიკა; ვ) განსაზღვროს გასანაწილებელი მოგება დივიდენდებზე; თ) მოამზადოს და გამოიყენოს ეროვნული შემოსავლის სტატისტიკა; ი) დაარეგულიროს საწარმოს

საქმიანობა. ამავე დროს, ბასს კომიტეტი აღიარებს, რომ **ბასს არ დგას ეროვნულ კანონმდებლობაზე მაღლა**. ცალკეული ქვეყნების მთავრობებს შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული მოთხოვნები საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ისე, რომ ეს ცვლილებები და დამატებები არ ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოების რომელიმე ჯგუფის ინტერესებს. აკადემიური კვლევები გვიჩვენებს, რომ პრეცედენტული სამართლის ტრადიციების მქონე ინგლისურენოვან ქვეყნებში, მაგალითად, აშშ-ში, გაერთიანებულ სამეფოსა და ავსტრალიაში, უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება პროფესიული ორგანიზაციების (მაგ. აშშ-ში ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების საბჭო) მიერ დადგენილ სტანდარტებს. კონტინენტურ ევროპაში (და იმ ქვეყნებში, რომლებიც იყენებენ ბუღალტრული აღრიცხვის ევროპულ პრინციპებს, როგორცაა: იაპონია და აფრიკის ფრანგულენოვანი ქვეყნები), რომელთაგანაც პოზიტიური სამართლის ტრადიციები გააჩნიათ, გაცილებით მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ კანონმდებლობასა და ფისკალურ მოთხოვნებს.⁸ ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების ჰარმონიზაცია ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობასთან, ან ერთგვარი **ეროვნული სტანდარტის** შექმნა, შესაძლებელია, მაგრამ ეს ყველაფერი უნდა მოხდეს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტების გააზრების და მათზე დაყრდნობის საფუძველზე. რაც შეეხება ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირების სფეროში, ევროპის კომპანიების შესახებ კანონმდებლობის (მე-4, მე-7, მე-8, მე-11) დირექტივებმა⁹ მნიშვნელოვანწილად, ჰარმონიაში მოიყვანა აუდიტისა და ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირების საერთაშორისო მიმართულებები, ევროგაერთიანების წევრი ქვეყნების მასშტაბით. მე-4 დირექტივა) ეხება ფინანსური ანგარიშგების ფორმატებს, მე-7 - ფინანსური 7 ანგარიშგების კონსოლიდაციის საკითხებს, მე-8 - ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებს. ამ დირექტივებში ის მინიმალური მოთხოვნებია ჩამოყალიბებული, რაც წევრი ქვეყნების კანონმდებლობაში უნდა იყოს გათვალისწინებული. ამასთანავე, თითოეულ ქვეყანას გააჩნია იმის უფლება, ჰქონდეს დამატებითი მოთხოვნები.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირება ხდება როგორც საერთაშორისო (პროფესიული ორგანიზაციები) ასევე სახელმწიფოს დადგენილი სტანდარტებით.

8. <http://www.ifac.org/> უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 07.10.2013წ.

9. 1-Eleventh Council Directive of 21 December 1989 concerning disclosure requirements in respect of branches opened in a Member State by certain types of company governed by the law of another State (89/666/EEC) .

რაც შეეხება ევროპის კომპანიის შესახებ კანონმდებლობის დირექტივებმა შეძლო ევროგაერთიანების წევრ ქვეყნებში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირების სტანდარტის საერთო დადგენა.

შესაბამისად, საქართველოში ეკონომიკის განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ევროდირექტივების შესაბამისად რეგულირება. პრაქტიკა მოწმობს, რომ საქართველოში ძირითადი ძალისხმევა მიმართული იყო ინსტიტუციონალური ცვლილებების განსახორციელებლად - ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების და პროფესიული სერთიფიცირების პრაქტიკის დასამკვიდრებლად. ამასთანავე, 2013 წლამდე ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროების რეგულირება მკაფიოდ იყო გამიჯნული. მაშინ, როცა ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირებაში პროფესიული ორგანიზაციები დომინირებდა, აუდიტის სფერო სრულად იყო დამოკიდებული სახელმწიფო რეგულირებაზე.

საქართველოს პარლამენტის მიერ 2012 წლის 29 ივნისის "ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ" კანონით, [60] რომელიც ამოქმედდა 2013 წლის 1-ლი იანვრიდან, რეგულირების არსებულ წესებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელა. აღნიშნული კანონის თანახმად, გაუქმდა პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისია და არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო, ხოლო მათ ფუნქციებს ძირითადად გადასცემენ აკრედიტირებულ პროფესიულ ორგანიზაციებს, რაც თვითრეგულირების პრინციპების მნიშვნელოვნად გაზრდას გამოიწვევს.

ბიზნესის გლობალიზაციის პირობებში, აუცილებელი ხდება ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის როგორც პროფესიის რეგულირების ერთობლივი წესებისა და სტანდარტების შემუშავება. ასეთ დროს ძალზედ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბუღალტერთა პროფესიული გაერთიანებებისა და ორგანიზაციების მიერ დადგენილი პროფესიული განათლებისა და სერთიფიცირების სტანდარტები. ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტორული საქმიანობის რეგულირების წესები საერთაშორისო მასშტაბით ეყრდნობა:

- 1) ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ დადგენილ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს;
- 2) პროფესიონალი ბუღალტრის განათლების სტანდარტებს;
- 3) პროფესიული მომსახურების ხარისხის კონტროლის შემოწმების სტანდარტებს;
- 4) პროფესიული ეთიკის კოდექსსა და სხვა ნორმებს, რაც განაპირობებს მსოფლიო მასშტაბით პროფესიის ჰარმონიზაციის შესაძლებლობას.

იმისათვის, რომ ბუღალტერი აღიარებულ იყოს პროფესიონალ ბუღალტრად, უმნიშვნელოვანესია ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ დადგენილი პროფესიული განათლებისა და კვალიფიკაციის მოთხოვნების დაკმაყოფილება. ზოგ ქვეყანაში, მაგალითად „ანგლო-საქსურენოვან“ ქვეყნებში ბუღალტრის პროფესიას უფრო ფართო გაგება აქვს და ბუღალტრული აღრიცხვის გარდა მოიცავს აუდიტსა და საკონსულტაციო მომსახურებას საგასახადო საკითხებში. ამ შეხედულებების მიხედვით, ყოველი პროფესიონალი ბუღალტერი ავტომატურად არის აუდიტორიც, ყოველგვარი დამატებითი მოთხოვნების გარეშე. რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, უმეტესწილად, ზემოხსენებული ორი პროფესია, განცალკევებულია.

კვლევების თანახმად, პროფესიონალი ბუღალტრები ხშირად მოიხსენიება ნაფიც ბუღალტრად, სერთიფიცირებულ ბუღალტრად ან სხვა სახელწოდებით, თუმცა კვალიფიკაციისა და სერთიფიცირების მოთხოვნები იგივე რჩება, რაც პროფესიონალი ბუღალტრის შემთხვევაში, ხოლო საერთაშორისო სტანდარტებისა და სახელმძღვანელო ლიტერატურებში, პროფესიონალი ბუღალტრების მომსახურების სფეროს განხილვისას, ძირითადად, გამოიყენება ტერმინები: „ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტერი“ და საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტერი“ - იგივე აუდიტორი. ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტრების შესახებ ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა განაცხადა: „*დღეს ყველაზე საუკეთესო დროა ბუღალტრისათვის, ვიდრე ოდესმე! ჩვენი პროფესია აღიარებულია გლობალური ეკონომიკის ყველა სექტორსა და ასპექტის განვითარების აუცილებელ ატრიბუტად. ჩვენ მარტო აუდიტორები არ ვართ. ჩვენ ვართ მმართველობითი აღრიცხვის სფეროს ბუღალტრები, ბიზნესის ლიდერები, კორპორაციული ფინანსისტები, კონსულტანტები ბიზნესის საკითხებში.*“¹⁰

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის წევრთა რაოდენობა 2,5 მილიონზე მეტ პროფესიონალ ბუღალტერს მოიცავს, რომელთაგანაც ნახევარზე მეტი დასაქმებულია ბიზნესში, ვაჭრობაში, სახელმწიფო სექტორში, განათლების სისტემაში, წარმოების და სხვა არაკომერციულ სექტორში. ამასთან, მათი ცოდნა და გამოცდილება მნიშვნელოვნად განსხვავებულია. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიონალ ბუღალტერთა მიერ დაკავებული თანამდებობების ტიპური ჩამონათვალი ასეთია:

საფინანსო დეპარტამენტის უფროსი; ფინანსური დირექტორი; ფინანსური ანალიტიკოსი; ინვესტორებთან ურთიერთობის ექსპერტი; სტრატეგიული ანალიტიკოსი; მთავარი ბუღალტერი; მმართველობითი აღრიცხვის ბუღალტერი და სხვა.

10. [The Roles and Domain of Profesional Accountant in Business, IFAC PAIB Committee, 2005, P.3;](#)

ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტრები მთავარ როლს თამაშობენ ერთი მხრივ, კორპორაციის მართვასა და შესაბამისობას შორის, მეორე მხრივ, ბიზნესის წარმართვასა და ღირებულების შექმნას შორის წონასწორობის დამყარებასა და რეგულირებაში. ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტრები მთავარ როლს თამაშობენ ერთი მხრივ, კორპორაციის მართვასა და შესაბამისობას შორის, მეორე მხრივ, ბიზნესის წარმართვასა და ღირებულების შექმნას შორის წონასწორობის დამყარებასა და რეგულირებაში. პროფესიონალ ბუღალტერთა მნიშვნელოვანი ნაწილი დასაქმებულია აუდიტის სფეროში, როგორცაა ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, საბუღალტრო მომსახურება, საკონსულტაციო მომსახურება ფინანსურ მენეჯმენტსა და საგადასახადო დაბეგვრაში და ა.შ. რაც შეეხება ფინანსური ანგარიშგების აუდიტში დასაქმებული პროფესიონალებისათვის, აუცილებელი მოთხოვნაა კვალიფიკაციის დამატებითი მოთხოვნები. პროფესიული სერტიფიცირების საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ დასაქმების სფეროს მიუხედავად პროფესიონალ ბუღალტრად აღიარებისათვის აუცილებელი პირობაა პროფესიული ორგანიზაციების მხრიდან ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ დადგენილი განათლების სტანდარტების დაცვა. ვიდრე მოხდებოდა ბუღალტრების სერტიფიცირების პროგრამაში ჩართვა, აუცილებელია პრეტენდენტებს გააჩნდეთ სათანადო ცოდნა, რათა შეძლონ ყველა იმ პროფესიული უნარ-ჩვევების დაუფლება, რაც აუცილებელია პროფესიონალ ბუღალტრად ჩამოსაყალიბებლად. ეს კრიტერიუმები განსაზღვრავს განათლების პროგრამაში კანდიდატების ჩართვის მომენტს. აუცილებელია კანდიდატს გააჩნდეს საუნივერსიტეტო ან მისი ექვივალენტური პროგრამის დონის განათლება.

განათლების პროგრამაში ჩართვის საწყისი პირობა შესაძლოა შეიცვალოს ცალკეულ ქვეყნებში არსებული პროფესიული ორგანიზაციების გადაწყვეტილებების შესაბამისად, მაგრამ პროფესიონალი ბუღალტრის სერტიფიცირების მიღწევის რა გზაც არ უნდა იყოს გამოყენებული, მთავარი მიზანი უცვლელი რჩება - პროფესიული კომპეტენციის იდენტური დონის მიღწევა. ეს კი გულისხმობს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ დადგენილი მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილებას. რაც შეეხება პროფესიონალი ბუღალტრის განათლების პროგრამის შინაარსს, იგი უნდა მოიცავდეს - ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსების ცოდნას, საორგანიზაციო და სამეურნეო საქმიანობის ანალიზისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ცოდნას. ბუღალტრულ აღრიცხვასთან დაკავშირებული ცოდნის მიღება შესაძლებელია მოხდეს უნივერსიტეტებში ან სხვადასხვა გადამზადების კურსებით. ეს კი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი დაწესებულებების პროგრამები მოიცავს ამ სტანდარტების შემადგენელ ყველა ელემენტს.

საორგანიზაციო და სამეურნეო საქმიანობის ცოდნა გულისხმობს თუ როგორ ფინანსდება და იმართება ბიზნესი და თუ როგორ არის ორგანიზებული გლობალური გარემოს პირობებში, რომელშიც სამეურნეო ერთეული საქმიანობს. ამისთვის კი

აუცილებელია სამთავრობო და არაკომერციული-არასამეწარმეო ორგანიზაციების თავისებურებების კარგათ გათვინობიერება. საორგანიზაციო და სამეურნეო საქმიანობის კარგი ცოდნა მომავალ სერტიფიცირებულ ბუღალტერს აძლევს იმ პირობების შემეცნების საშუალებას, რომელშიც მეწარმეები მუშაობენ. მას საშუალება ეძლევა თეორიული ცოდნა პრაქტიკაში დანერგოს და გაიღრმავოს წინასაკვალიფიკაციო პერიოდში შეძენილი ყველა პროფესიული უნარ-ჩვევა. რაც შეეხება **ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT)**, აღიარებულია, რომ მან შეცვალა პროფესიონალი ბუღალტრის როლი. ბუღალტრები არა მხოლოდ იყენებენ ასეთ სისტემებს, არამედ დიდი წვლილიც შეაქვთ მის განვითარებაში და დანერგვის პროცესებში. ინფორმაციული ტექნოლოგიების ცოდნის შეძენა შესაძლებელია სპეციალური კურსების გავლის გზით. სამეწარმეო საქმიანობის განვითარებასთან ერთად, საინფორმაციო ტექნოლოგიებს უმნიშვნელოვანესი როლი მიენიჭა ბუღალტერთა ყოველდღიურ საქმიანობაში.

პროფესიონალ ბუღალტერს ასევე მოეთხოვება **პროფესიული უნარ-ჩვევები**. ამის საშუალებით პროფესიონალ ბუღალტერს ეძლევა ზოგადი განათლების საფუძველზე მიღებული ცოდნის გამოვლინების და გამოყენების საშუალება. აღნიშნულის უნარ-ჩვევების შეძენა შესაძლებელია პროფესიონალი ბუღალტრის პროგრამის ეფექტური შესწავლითა და გაანალიზებით, რაც პროფესიონალ ბუღალტერს ხდის უფრო კონკურენტუნარიანს პროფესიულ ბაზარზე და აძლევს პროფესიული წინსვლის საშუალებას. პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატმა აუცილებელია შეიძინოს შემდეგი უნარ-ჩვევები: ინტელექტუალური უნარი; ტექნიკური და ფუნქციონალური უნარი; კომუნიკაციური უნარი; საქმიანობის მართვისა და ორგანიზაციული უნარი;

ინტელექტუალური უნარი მოიცავს ერუდიციას, აღქმას, გამოყენებას, ანალიზს, სინთეზს და შეფასებას. ყოველივე ეს პროფესიონალ ბუღალტერს აძლევს საშუალებას იმოქმედოს რთულ ორგანიზაციულ სიტუაციებში და მიიღოს სწრაფი გადაწყვეტილებები პრობლემების გადასაჭრელად. ტექნიკური და ფუნქციონალური უნარი პროფესიონალი ბუღალტრის ქცევებსა და ურთოერთობებში აისახება და განავითარებს მის პიროვნულ ერუდიციას და პიროვნულ სრულყოფას. კომუნიკაციის უნარი უზრუნველყოფს პროფესიონალი ბუღალტრის მიერ კომპანიის სასარგებლოდ ინფორმაციის მიღებას და მის არგუმენტირებულად განსჯას და საბოლოო ჯამში ეფექტური გადაწყვეტილების მიღებას. ეს ყველაფერი ხდება პერსონალთან ერთად მუშაობისა და კომუნიკაციის პირობებში. საქმიანობის მართვისა და ორგანიზაციული უნარი უმნიშვნელოვანესი უნარია. იქიდან გამომდინარე, რომ პროფესიონალი ბუღალტრების ხშირად იღებენ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს კომპანიის მართვის სფეროში, აუცილებელია მათ გააჩნდეთ ხედვა ბიზნესის, სახელმწიფოსა და გლობალური ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ. ორგანიზაციული მართვისთვის აუცილებელია პროფესიონალ ბუღალტერს გამომუშავებული ჰქონდეს სტრატეგიული

დაგეგმვის, პროექტის მართვის, ადამიანური რესურსების ეფექტური განაწილებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი.

იქიდან გამომდინარე, რომ პროფესიონალი ბუღალტრის პროფესიის მიმართ დიდი მოლოდინი გააჩნია, აუცილებელია ერთგვარი **პროფესიული ეთიკისა და ქცევების** ჩამოყალიბება. პროფესიული ფასეულობა, ეთიკა და ქცევა ქმნის პროფესიონალი ბუღალტრის შესაფერისად მოქმედების პირობებს. ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მოთხოვნაა, პროფესიონალ ბუღალტრებს გააჩნდეთ ეთიკის პრინციპებისა და ძირითადი ლოგიკურად საფუძვლიანი შეზღუდვების ადეკვატური გაგება.

აღსანიშნავია, რომ პროფესიონალი ბუღალტრის კვალიფიკაციის მინიჭების მომენტში კანდიდატს უკვე უნდა ჰქონდეს მოგროვილი **პრაქტიკული გამოცდილება**, რომელიც შესაფერისი იქნება პროფესიონალი ბუღალტრისთვის. ვიდრე კანდიდატი საზოგადოებაში გამოჩნდება როგორც პროფესიონალი ბუღალტერი, აუცილებელი მოთხოვნაა, გააჩნდეს პრაქტიკული გამოცდილება ბუღალტრის სამუშაოს შესასრულებლად. ამასთანავე, ეს პრაქტიკული ცოდნა უნდა იყოს ხანგრძლივი და ინტენსიური, რათა კანდიდატებს თავისუფლად შეეძლოთ საჭიროების შემთხვევაში გამოავლინონ დაგროვილი ცოდნა, რომელიც დაწყდნობა მათსავე გამოცდილებას. პრაქტიკული გამოცდილების პერიოდი უნდა იყოს მინიმუმ 3 წელი.

პროფესიულმა ორგანიზაციებმა უნდა დააწესონ ისეთი პროცედურები, რითაც შესაძლებელი იქნება ბუღალტრის **პროფესიული შესაძლებლობებისა და კომპეტენციის შეფასება**, ვიდრე მოხდება მისთვის პროფესიონალი ბუღალტრის ხარისხის მინიჭება. ეს კი განაპირობებს იმას, რომ პროფესიული ორგანიზაცია პასუხისმგებელი იქნება პროფესიონალი ბუღალტრის ცოდნის ხარისხის გარანტიაზე და ამის მეშვეობით კანდიდატი დააკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რაც გააჩნიათ მის პოტენციურ დამსაქმებლებს.

იქიდან გამომდინარე, რომ ბუღალტრების საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებენ, მათი მთავარი მიზანი მხოლოდ დამქირავებლის ინტერესების დაკმაყოფილებაში არ მდგომარეობს. პროფესიონალი ბუღალტერი ყოველთვის უნდა ცდილობდეს **პროფესიული კომპეტენციის ამაღლებას**, რომელიც აუცილებელია არა მარტო დამქირავებლებისა და კლიენტებისთვის, არამედ ზოგადად საზოგადოებისათვის მაღალი ხარისხის მომსახურების გასაწევად.

მსოფლიო მასშტაბით გაზრდილია ფინანსურ ანგარიშგებაზე მოთხოვნა, რაც დაკავშირებულია ინვესტიციების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებასთან. საზოგადოების დიდი ნაწილი თანამედროვე გლობალურ ბიზნესგარემოში საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სტანდარტებთან შესაბამისობას ითხოვს - ეს კი გამოწვეულია იმით, რომ ფინანსური

ანგარიშგების აუდიტი წარმოადგენს მსოფლიოს მასშტაბით მოქმედ ანგარიშვალდებულებებსა და პასუხისმგებლობის სისტემის განუყოფელ ნაწილს.

ამრიგად, მსოფლიო პრაქტიკაში ფინანსური ანგარიშგების შედგენისა და აუდიტის ჩატარების ერთგვაროვანი წესების დამკვიდრებისათვის უმნიშვნელოვანესია ბუღალტერთა პროფესიული განათლების ერთიანი სტანდარტების გამოყენება. ბუღალტერთა სერტიფიცირებისა და პროფესიული განათლების ერთიანი სტანდარტს ადგენს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია და მის წევრ პროფესიულ ორგანიზაციებს ავალდებულებს მათ გამოყენებას.

კვლევები მოწმობს, რომ საქართველოში ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის პროცესი. [110] ქართველ მეცნიერთა შეფასებით რეალურად ამ მიმართულებით გადაუწყვეტელი რჩება მნიშვნელოვანი საკითხები. 2013 წლამდე მოქმედი ნორმატიული აქტების თანახმად, კერძო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირება 1999 წლიდან კერძო სამართლის სუბიექტს, იმდროისთვის ერთადერთი პროფესიულ ორგანიზაციას ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფ-ი) დაეკისრა. აუდიტის სფეროში კი მარეგულირებელ ორგანოდ საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო იყო წარმოდგენილი. შესაბამისად, რეგულაციაში მოექცა ეს ორი განსხვავებული მიმართულება და ორივე სფერო თვითრეგულირებას დაექვემდებარა. ზემოთ აღნიშნული კანონის შემდგომ სრულყოფის აუცილებლობაზე მიუთითებს დარგის არა მარტო ქართველი, არამედ აღიარებული უცხოელი ექსპერტები, მათ შორის ისეთები როგორცაა, ამერიკელი მეცნიერი ფაიეტევილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი რობერტ. ვ. მაკგი და სხვა.

შესაბამისად, ზემოთ აღნიშნული ავტორების აზრით, ქვეყანაში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირების არსებული სიტუაციის პრობლემების გადაჭრის პირველი ტიპის გადაუდებელ ღონისძიებებად მიჩნეულია:

1) კომპეტენტური და სათანადო ფუნქციებით აღჭურვილი ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის მარეგულირებელი საზედამხედველო ორგანო შექმნა, რომლის უფლებამოსილება გავრცელდება სახელმწიფო აუდიტის, შემოსავლების სამსახურზე და კერძო სექტორზე აუდიტის განხორციელებასთან დაკავშირებით;

2) საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით;

3) შექმნილი საზედამხედველო მარეგულირებელი ორგანოს მიერ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სტანდარტებზე ორიენტირებული დებულებჩამოყალიბება და პროფესიულ ორგანიზაციათა აკრედიტაციის წესის შემუშავება.

4) ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის განსაზღვრა;

5) საზედამხედველო ორგანოს მიერ აუდიტორთა ერთიანი რეესტრის წარმოება.

ამრიგად, საქართველოში მიმდინარე ეტაპზე, ფრიად აქტუალურია ბუღალტრის (აუდიტორის) პროფესიის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებისა და შესაბამისი ევროდირექტივების მოთხოვნების საფუძველზე. შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დროებითი უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებულ იქნა საქართველოს კანონის პროექტი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“, [60] სადაც ხაზგასმულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ზედამხედველობის საბჭო/სააგენტოს ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების შესახებ, ასევე შემუშავებულია აუდიტორების სერთიფიცირების საკანონმდებლო ჩარჩო და მომსახურების ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის მიდგომები, რომელიც ამჟამად ფართოდ განხილვის საგანია საქართველოს პროფესიონალ და სამეცნიერო საქმიანობის სფეროებში.

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციამ (ბაფი), რომელიც აერთიანებს 7000-მდე ფიზიკურ პირსა და 94 წამყვან აუდიტურ კომპანიას, მიმდინარე წლის 20-21 მაისს საქართველოს ბაფ-ის 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით საერთაშორისო კონფერენციასა და საზეიმო მიღებას უმასპლინძა. საერთაშორისო კონფერენციის თემაზე- „პროფესიული განვითარების 20 წელი- ევროინტეგრაცია და პროფესიის გამოწვევები“ [54] უმთარესი მიზანი იყო სახელმწიფო სტრუქტურებისა (პარლამენტი, მთავრობა) და ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროს წარმომადგენლებს საშუალება ჰქონოდათ, უკეთ გაეცნობოდეთ საერთაშორისო პრაქტიკას, რაც საქართველოს დაეხმარება პროფესიის მარეგულირებელი სრულყოფილი და ევროდირექტივებთან შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ფორმირებაში.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ: ბრიტანეთის სერთიფიცირებულ ბუღალტერთა ასოციაციის (), ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (), მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები; სხვადასხვა ქვეყნის(ინგლისი, ისრაელი,პოლონეთი, თურქეთი, რუმინეთი, ესტონეთი, ყაზახეთი, რუსეთი, მოლდოვა, უკრაინა, აზერბაიჯანი) მარეგულირებელი და პროფესიული ორგანიზაციების, საქართველოს მთავრობის, არასამთავრობო სექტორის, წევრი კომპანიებისა და აკადემიური სფეროს წარმომადგენლები.

11. საქართველოს ბაფის კომენტარები და შენიშვნები. სამეცნიერო -პრაქტიკული ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა“ #5 2016 გვ. 3-22.

საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან განაპირობებს ქვეყანაში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობას. ბაფის მისიიდან გამომდინარე გაგრძელდება ახალ კანონპროექტის პარლამენტში პროფესიული განხილვაში აქტიური თანამშრომლობა ამ სფეროებში აქამდე დამკვიდრებული პრაქტიკის შესაცვლელად.¹¹

თავი 3. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით (ფასს) მომზადებისა და წარდგენის კონცეფციურ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

როგორც უკვე აღინიშნა (იხ: ნაშრომის პირველი ნაწილი, თავი 2), ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ინფორმაციის განსაკუთრებულ წყაროს, რომელიც გამოიყენება მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად, როგორც კორპორაციის (საწარმოს) შიგნით, ისე მის გარეთ. იგი უზრუნველყოფს ისეთი ფუნქციების განხორციელებას, როგორცაა: დაგეგმვა, კონტროლი და შეფასება.

დაგეგმვა – მოქმედების წესის ფორმულირების პროცესია. იგი გულისხმობს მიზნის დასახვას, მისი მიღწევების გზების მოძიებას და საუკეთესო ალტერნატივის არჩევას. ამ ეტაპზე ბუღალტრულმა აღრიცხვამ უნდა წარმოადგინოს არსებული ფინანსური მდგომარეობის ნათელი სურათი, რადგან დაგეგმვისათვის აუცილებელია ინფორმაცია შესაძლო მოგებისა და ფულად საშუალებებზე მოთხოვნის შესახებ.

კონტროლი – გეგმის ფაქტიურად შესრულებაზე მეთვალყურეობის პროცესია. ამ ეტაპზე ბუღალტრულმა აღრიცხვამ უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია, რომელიც მოიცავს გეგმასთან ფაქტიური ხარჯებისა და შემოსავლების შედარებას .

შეფასება – გადაწყვეტილების მიღების მთელი სისტემის შესწავლის პროცესია, მისი გაუმჯობესების მიზნით. ამ ეტაპზე აუცილებელია დადგინდეს, მიღწეულია თუ არა დასახული მიზანი. გაირკვეს, რამ შეუშალა ხელი დასახული მიზნის მიღწევას, რა იყო მიზეზი – დაგეგმვის ან კონტროლის ნაკლოვანება, თუ თვითონ მიზანი იყო არასწორად არჩეული.

ზოგადად, ფინანსური ინფორმაციის (ანგარიშგების) მომხმარებლები პირობითად შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად: 1) ადმინისტრაცია (მენეჯერები); 2) პირდაპირი ფინანსური ინტერესების მქონე მომხმარებლები; 3) არაპირდაპირი ფინანსური ინტერესების მქონე მომხმარებლები.

განვიხილოთ თითოეული მათგანის არსი

1.ადმინისტრაცია- მენეჯერები ფინანსური ინფორმაციის ერთ-ერთი მთავარი მომხმარებლები არიან. **ბიზნესის ადმინისტრირება** მოითხოვს შემდეგი ინფორმაციების გამოყენებას: რამდენია საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება, არის თუ არა საწარმოს შესაკუთრეთა მოგების ნორმა მათი მოლოდინის ადეკვატური, აქვს თუ არა საწარმოს საკმარისი ფულადი სახსრები, რომელი საქონლის წარმოებაა (რეალიზაცია) უფრო რენტაბელური, როგორია წარმოებული ცალკეული პროდუქციის თვითღირებულება და სხვ.

2. პირდაპირი ფინანსური ინტერესების მქონე მომხმარებლები არიან საწარმოს არსებული და მომავალი ინვესტორები და კრედიტორები. ისინი ანალიზებენ რა ბუღალტრულ ანგარიშგებაში არსებულ ინფორმაციას, ცდილობენ გააკეთონ დასკვნა იმის შესახებ, თუ როგორია საწარმოს ფინანსური პერსპექტივა, ეფექტურია თუ არა მის საქმიანობაში სახსრების დაბანდება. კრედიტორებს კი აინტერესებთ, შესძლებს თუ არა საწარმო ვალის დროულად გადახდას და აქვს თუ არა პროცენტის გადახდის საშუალება.

3. არაპირდაპირი (ირიბი) ფინანსური ინტერესების მქონე მომხმარებლები არიან პირები (როგორც ფიზიკური ისე იურიდიული), რომლებსაც აინტერესებთ გარკვეული ფინანსური ინფორმაცია. მათ რიცხვს მიეკუთვნება: საგადასახადო სამსახური, რომელიც დაინტერესებულია მოგების, ქონების, დამატებული ღირებულების, აქციზის, საშემოსავლო და სხვა გადასახადების სწორად ადმინისტრირებაში; სტატისტიკური აღრიცხვის ორგანო; აღრიცხვის მარეგულირებელი ორგანო; მყიდველები და საზოგადოება მთლიანად, რომელთა დაინტერესება გაპირობებულია იმით, რომ საწარმოთა მომგებიანობაზე ბევრადაა დამოკიდებული ინფლაცია, გარემოს მდგომარეობა, სოციალური პრობლემები და ცხოვრების საერთო დონეს.

ამრიგად, საერთო დანიშნულების ანუ გამოსაქვეყნებელი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც საყოველთაო პრაქტიკაში ცნობილია სახელწოდებით _ ფინანსური ანგარიშგება, წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს). შესაბამისად, დამუშავებულ და მომხმარებლისათვის განსაზღვრული ფორმით მომზადებულ საერთო დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციებს.

დადგენილია ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის კომპონენტები და ელემენტები. კერძოდ, ფინანსური ანგარიშგების სრული კომპონენტი უნდა მოიცავს : 1) ბალანს; 2) მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას; 3) ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას; 4) ანგარიშგებას, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციას: ა) საწარმოს საკუთარ კაპიტალში ნებისმიერი ცვლილების შესახებ, ან ბ) საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შესახებ, რომლებიც არ არის გამოწვეული მესაკუთრეთა მიერ კაპიტალთან დაკავშირებული სამეურნეო ოპერაციებისა და მათთვის კაპიტალის განაწილებასთან; 5) სააღრიცხვო პოლიტიკასა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს (ბასს-1).¹²

ფინანსური ანგარიშგება, მზადდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღის თარიღით. საანგარიშგებო პერიოდად განიხილება წელი 12-თვიანი პერიოდით.

ფინანსური ანგარიშგების შედგენა უნდა მოხდეს საანგარიშგებო წლის დამთავრებიდან პირველი სამი თვის განმავლობაში სამეწარმეო კანონმდებლობა და ბასს არ მოითხოვს სხვა სახის ანგარიშგების წარდგენას (ზოგიერთი საწარმოს წინაშე ასეთი ვალდებულება შესაძლებელია წარმოიშვას სხვა კანონმდებლობით).

12. ბასს-1, პუნქტი 7.

სუბიექტის (საწარმოს) მიერ შედგენილი და წარდგენილი ანგარიშგებები შეიძლება კლასიფიცირებულ იქნეს: ა) შედგენის პერიოდის; ბ) დანიშნულების; გ) ინფორმაციის მომცველობის; დ) გამოყენებული შეფასების მიხედვით.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია, რომელიც სასარგებლო იქნება მომხმარებლისათვის. ინფორმაცია სასარგებლო იქნება მხოლოდ მაშინ, თუ მას გააჩნია შესაბამისი თვისება ანუ ხარისხობრივი მახასიათებლები. ეს მახასიათებლებია: აქტუალობა, შესაბამისობა, საიმედოობა, შესაძარისობა ფინანსური ანგარიშგების მომზადება უნდა ეყრდნობოდეს უტყუარ და ობიექტურ თვალსაზრისს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის ცვლილებების შესახებ. ობიექტური ინფორმაციის წარდგენის შესაძლებლობას იძლევა ინფორმაციის თითოეული ხარისხობრივი მახასიათებლისა და ბუღალტრული აღრიცხვის სათანადო სტანდარტების გამოყენება.

საქართველოს პირობებში "ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ" 1999 წლის 5 თებერვლის კანონით, [65] საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის 2000 წლის 21 თებერვლის დადგენილებით ეროვნულ სააღრიცხვო სტანდარტებად აღიარებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ბასს-ი), რომლის გამოყენება სავალდებულოა მცირე საწარმოსა და არაკომერციული იურიდიული პირის გარდა კერძო სამართლის ყველა იურიდიული პირისათვის. ამავე კომისიის 2005 წლის 22 მარტის #7 დადგენილებით დამტკიცებულია მცირე საწარმოთა ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული სტანდარტი (მსს) და არასამეწარმეო იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტი (ბასს) და ანგარიშთა გეგმა.¹³

ბასს-ის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ფინანსურმა ანგარიშგებამ ობიექტურად (სამართლიანად) უნდა წარმოადგინოს საწარმოს რეალური ფინანსური მდგომარეობა, ფინანსური საქმიანობის შედეგები და საწარმოს ფულადი სახსრების მოძრაობა.

სააღრიცხვო პოლიტიკა განსაკუთრებული პრინციპების, საფუძვლების, შეთანხმებების, წესებისა და პრაქტიკის ერთობლიობაა, რომელიც გამოიყენება საწარმოში ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესში.

სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ბასს 1-ის (პუნქტი 20)¹⁴ მოთხოვნა, რომ "...საწარმოს ხელმძღვანელობამ უნდა განავითაროს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაცია: ა) შეესაბამებოდეს მომხმარებელთა გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო მოთხოვნილებებს, და ბ) იყოს საიმედო იმ თვალსაზრისით, რომ :

13. მცირე საწარმოთა ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული სტანდარტი (მსს) და არასამეწარმეო იურიდიული პირების სტანდარტი (ბასს) .

1. ზუსტად ასახავდეს საწარმოს საქმიანობის შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობა;
2. გამოხატავდეს სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენების ეკონომიკურ არსს და არა უშუალოდ მათ სამართლებრივ ფორმას;
3. იყოს ნეიტრალური და მიუკერძოებელი, იყოს წინდახედული ;
4. და იყოს სრულყოფილი ყველა არსებით ასპექტში".

შესაბამისად, "ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები" სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ უნდა შეიცავდეს: ა) ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული **შეფასების** სისტემას; ბ) თითოეულ სპეციფიკურ სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების სწორად გაგებისათვის" (ბასს 1. პ. 97).¹⁵

1. კორპორაციის ბუღალტრული ბალანსის მახასიათებლები

ბუღალტრული ბალანსი წარმოადგენს ფინანსურ ანგარიშგებას კორპორაციის (საწარმოს) ფინანსური მდგომარეობის შესახებ გარკვეული პერიოდისათვის. იგი ასახავს სრულ სტრუქტურულ და ურთიერთ დაკავშირებულ მონაცემებს საწარმოს აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის შესახებ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის.

ეკონომიკური სუბიექტის ფინანსური მდგომარეობის **ინფორმაციის** ბალანსური განზოგადება, ერთი მხრივ, სუბიექტის ეკონომიკურ რესურსებს და, მეორე მხრივ, მათი დაფინანსების წყაროებს მოიცავს. **ეკონომიკური რესურსები** ბალანსში წარმოდგენილია აქტივების სახით. **დაფინანსების წყაროები** კი, _ ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის სახით. ბალანსის თითოეული ელემენტს გააჩნია შესაბამისი მუხლი, რომელიც აერთიანებს შინაარსითა და ფუნქციებით ერთგვაროვან რესურსებსა და წყაროებს. როგორც უკვე აღინიშნა, ბუღალტრული აღრიცხვის, ისე ბალანსის შედგენის მიზნით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია **შეფასება**. [92]

ფინანსური ანგარიშგების შედგენისას გამოიყენება **შეფასების** სხვადასხვა მეთოდი, სხვადასხვა ხარისხითა და კომბინაციით. **შეფასების ეს მეთოდები**, აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით, შემდეგი შინაარსის მატარებელია:

14. ბასს 1-ის (პუნქტი 20)

15. (ბასს 1. პუნქტი. 97)

(იხ. ცხრილი 1.2.).

Sefasebis meTodi		
pirvandelis Rirebuleba	fuladi saxsrebis an maTi ekvivalentebis Tanxa, an is realuri Rirebuleba, romelic unda gadaxdiliyo aqtivebis SeZenis momentSi.	valdebulebebis anacvlodmiRebuliaqtivis Tanxaanzogjer (mag. mogebisgadaxadi) isTanxa, romlis gasvliamosalodneli valdebulebis dasafaravad.
mimdinare Rirebuleba	fuladi saxsrebis an maTi ekvivalentebis Tanxa, romelic gadaxdil unda iqnes mocemul momentSi misi an analogiuri aqtivis Sesazenad.	mocemul momentSi valdebulebis dasafaravad saWiro aradiskontirebuli fuladi Tanxa.
sarealizacio (dafarvis) Rirebuleba	fuladi saxsrebis an maTi ekvivalentebis Tanxa, romlis miRebac Sesazlebelia aqtivis mocemul periodSi gayidvisas.	sawarmos Cveulebrivi saqmianobis pirobebSi valdebulebebis dasafaravad gadaxdeli aradiskontirebuli fuladi Tanxa.
diskontirebuli Rirebuleba	aqtivis arsebuli diskontirebuli Rirebulebis Tanxa, romelic Cveulebrivi saqmianobis pirobebSi momavalSi Semosavleli wmindafuladi saxsrebis tolia.	arsebuli diskontirebuli Tanxa, romelic saWiroa am valdebulebis dasafaravad sawarmos Cveulebrivi saqmianobis pirobebSi da romelic momavalSi am mizniT gasavleli fuladi saxsrebis tolia.

ბალანსის მომზადებისათვის აუცილებელია შემდეგი პროცედურების გაკლა:

1. ბალანსის შედგენის თარიღამდე მომხდარი ოპერაციებიდან გამომდინარე, ბუღალტრულ ანგარიშებზე ნაშთების დაზუსტება.
2. საბალანსო ნაშთების ბუღალტრული შეფასება ბალანსში ასახვის მიზნით.
3. საცდელი ბალანსის შედგენა.
4. ანგარიშების დახურვისა და დასკვნითი ოპერაციების მუხლობრივი გატარება.
5. საბალანსო ნაშთების აგრეგირება და ბალანსის მუხლების ჩამოყალიბება.

6. შენიშვნების მომზადება აგრეგირებული მუხლების ინფორმაციის გასახსნელად.

7. ახსნა-განმარტებითი შენიშვნების ჩამოყალიბება.

ბუღალტრული ბალანსი, გარდა იმისა, რომ აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის, წინა საანგარიშგებო პერიოდთან შედარებით, ცვლილების შესწავლის საშუალებას იძლევა იგი იმავდროულად საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის წარმოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან და აუცილებელ საინფორმაციო წყაროდ გვევლინება.

2) მოგებისა და ზარალის ანგარიშგება. იგი მეორე მთავარი კომპონენტია და მოიცავს შემდეგ მაჩვენებლებს, როგორცაა: 1. ამონაგები, 2. მიმდინარე საოპერაციო შედეგები, 3. ფინანსური ხარჯები, 4. საგადასახდლო ხარჯები, 5. მოგება ან ზარალი ჩვეულებრივი საქმიანობიდან, 6. განსაკუთრებული მუხლები, 7. საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება ან ზარალი.

საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგების, ან ზარალის გაანგარიშებაში ჩართულია მოცემულ პერიოდში აღიარებული შემოსავლებისა და ხარჯების ყველა მუხლი, თუმცა, **ბასს 8-ის¹⁶** საბაზისო მიდგომის საფუძველზე არსებითი შეცდომის გასწორებისა და სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებების შედეგები საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგებისა და ზარალის გაანგარიშებაში მონაწილეობას არ იღებს.

ანალოგიურად, **გადაფასების რეზერვი**, რომელიც მიეკუთვნება რა კაპიტალს, არ მონაწილეობს მოცემული პერიოდის წმინდა მოგებისა და ზარალის გაანგარიშებაში.

საანგარიშგებო პერიოდის **წმინდა მოგება**, ან **ზარალი**, ძირითადად, ორი კომპონენტისაგან შედგება: ა) საწარმოს საოპერაციო წმინდა მოგება, ან ზარალი, ბ) განსაკუთრებული მუხლები.

საოპერაციო წმინდა მოგება, ან ზარალი წარმოადგენს საწარმოს **ჩვეულებრივი საქმიანობიდან** მიღებულ შედეგს. იგი არის საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებისა და ამ შემოსავლების მისაღებად აუცილებელ ხარჯებს (მათ შორის საგადასახდლო) შორის სხვაობა.

16. ბასს 8, პუნქტი 36.

ჩვეულებრივ საქმიანობას უწოდებენ ნებისმიერ საქმიანობას, რომელსაც საწარმო ახორციელებს, როგორც თავისი ძირითადი საქმიანობის ნაწილს, აგრეთვე ისეთ საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია ძირითად საქმიანობასთან.

ჩვეულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების მთავარი წყაროს საწარმოს ძირითადი საქმიანობიდან მიღებული **ამონაგები** შეადგენს. ჩვეულებრივი საქმიანობის

პირობებში ადგილი აქვს ისეთ მოვლენებსა და ოპერაციებს, რომლებიც არ ხორციელდება უშუალოდ ამონაგების მიღების მიზნით, მაგრამ იგი ემსახურება ამონაგების მიღებას. ამ ოპერაციებსა და მოვლენებს თან ახლავს შემოსავლები და ხარჯები. მათი შინაარსობრივი წარდგენის მიზნიდან გამომდინარე, მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აისახება შემოსავლებიდან ხარჯების გამოქვითვის გზით. მაგალითად, გრძელვადიანი აქტივების, მათ შორის ინვესტიციებისა და საწარმოო აქტივების, რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების, ან ზარალის წარდგენა ხდება აქტივის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალსა და მათ რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების გამოქვითვით ანალოგიური პრინციპით აისახება ასევე უცხოური ვალუტის საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა და ზარალი და სავაჭრო ოპერაციებში გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტების შედეგად მიღებული შემოსულობა, ან ზარალი.

ამდენად, საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალის გაანგარიშებაში მონაწილე შემოსავლებისა და ხარჯების ყველა ელემენტი ფაქტობრივად თავს იჩენს საწარმოს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში განსაკუთრებული მუხლები ცალკე გამოიყოფა. საწარმოთა უმრავლესობისათვის განსაკუთრებული მუხლების არსებობის განმაპირობებელი მოვლენებისა და ოპერაციების მაგალითებია: ა) აქტივების ექსპორპრიაცია, ბ) მიწისძვრა, ან სხვა სტიქიური უბედურება.

ბასს- 20 ზოგ შემთხვევაში განსაკუთრებულ მუხლად განიხილავს სახელმწიფო გრანტებს¹⁷. მე-20 პუნქტით დადგენილია შემდეგი ნორმა: **გაწეული ხარჯებისა და ზარალის კომპენსაციის სახით, ან საწარმოს გადაუდებელი ფინანსური დახმარების მიზნით მიღებული სახელმწიფო გრანტი, რომელსაც არ ექნება შესაბამისი სამომავლო ხარჯები, უნდა აღიარდეს იმ პერიოდის შემოსავლად ან, თუ მართებულია, განსაკუთრებულ მუხლად, როდესაც იგი იქნება მიღებული.**

შემოსავლებისა და ხარჯების სხვა მუხლებისაგან განსხვავებით, განსაკუთრებული მუხლების მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში წარდგენა ხდება **ნეტო ღირებულებით**. ეს ნიშნავს, რომ განსაკუთრებული მუხლები ახსნა-განმარტებით შენიშვნებში აისახება მთლიანი თანხით, ხოლო მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში კი _ მთლიანი თანხიდან მოგების გადასახადისა და უმცირესობის წილის გამოქვითვით.

17. ბასს-20, პუნქტი-20.

კორპორაციის (საწარმოს) საოპერაციო საქმიანობის შედეგის _ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯების ასახვის სტრუქტურა ორი ფორმით არის წარმოდგენილი: 1) ხარჯების ფუნქციების მიხედვით; 2) ეკონომიკური შინაარსის მიხედვით .

ამრიგად, პერიოდის შემოსავლები და ხარჯები შესაბამისობაში მოჰყავს მზა პროდუქციის მარაგისა და დაუმთავრებელი წარმოების ცვლილებების მუხლს როდესაც ად-

გილი აქვს მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელი წარმოების ნაშთის ზრდას, იგი აკლდება პერიოდის ხარჯებს, და პირიქით, ნაშთის შემცირების შემთხვევაში ემატება ხარჯებს.

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება ხარჯების ფუნქციების მიხედვით მთლიანი საოპერაციო ხარჯები უნდა დაიყოს ოთხი მთავარი ფუნქციის მიხედვით: 1) რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში შემავალ ხარჯებად, 2) კომერციულ ხარჯებად, 3) ადმინისტრაციულ ხარჯებად და 4) სხვა საოპერაციო ხარჯებად.

მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ამდაგვარად წარდგენილი ხარჯები მოითხოვს დამატებითი ინფორმაციის გახსნას, მათი ეკონომიკური შინაარსის მიხედვით. საწარმო, რომელიც იყენებს ხარჯების კლასიფიკაციას ფუნქციების მიხედვით, უნდა გახსნას დამატებითი ინფორმაცია ხარჯების შინაარსის შესახებ, მათ შორის აქტივების ცვეთისა და ამორტიზაციისა და პერსონალის შენახვაზე გაწეული ხარჯების მიხედვით, რაც გაპირობებულია იმით, რომ შინაარსის მიხედვით წარმოდგენილი ინფორმაცია გამოიყენება ფულადი ნაკადების პროგნოზირებისათვის.

მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშგება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ერთ აქციაზე გამოცხადებული, ან შეთავაზებული დივიდენდების შესახებ. შესაძლებელია, ეს ინფორმაცია წარდგენილი იყოს ახსნა-განმარტებით ნაწილში.

3) ფულადი სახსრების ნაკადების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება. ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი კომპონენტის - ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშების მთავარი მიზანია ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებელი უზრუნველყოს პერიოდის განმავლობაში საწარმოში ფულადი სახსრების შემოსვლისა და გასვლის შესახებ ინფორმაციით. იგი გვიჩვენებს ფულადი სახსრების მასას და მოძრაობას, ასევე ფულადი სახსრების ნაშთის ცვლილებას პერიოდის განმავლობაში. ფულადი ნაკადების საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის მიხედვით დაჯგუფება (ბასს 7) ინფორმაციის მომხმარებელს ეხმარება შეაფასოს მოცემული საქმიანობის გავლენა საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე და დაადგინოს თანაფარდობა საქმიანობის სახეებს შორის ¹⁸.

18. ბასს 7, პუნქტი-10.

განვიხილოთ ფულადი სახსრების მოძრაობის თითოეული ჯგუფი (კომპონენტი): საოპერაციო საქმიანობის ფულადი ნაკადების ჯგუფში აისახება საწარმოს ძირითადი შემოსავლების მომტან საქმიანობასთან დაკავშირებით შემოსული და გასული ფულადი სახსრები (იხ. ნახაზი 1.1.) აღნიშნული ფულადი ნაკადები წარმოადგენს ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების იმ ელემენტებს, რომელთა გარკვეული ფორმით დაჯგუფების გზით უნდა იქნეს შედგენილი და წარმოდგენილი ანგარიშგება.

საინვესტიციო საქმიანობის ფულადი ნაკადების ჯგუფში აისახება ფულადი სახსრები, რომელიც დაკავშირებულია გრძელვადიან აქტივებთან. მნიშვნელოვანია მათი ცალკე გამოყოფა, რადგან იგი გვიჩვენებს, თუ რა დანახარჯები იქნა გაწეული იმ რესურსებისათვის, რომლებმაც უნდა შექმნას სამომავლო შემოსავალი და ფულადი სახსრების ნაკადები.

საფინანსო საქმიანობის ფულადი ნაკადების ჯგუფში აისახება ფულადი სახსრები, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს პარტნიორებისა და კრედიტორებისაგან სახსრების მოზიდვასა და მათთვის თანხების გადახდასთან. მათი ცალკე გამოყოფა მნიშვნელოვანია, რადგან ის სასარგებლოა სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადების მიმართ საწარმოს კაპიტალის მომწოდებლის შესაძლო პრეტენზიების შესაფასებლად.

ნახაზი 1.1. ფულადი სახსრების ნაკადის სქემა

<i>sawarmoSi Semodinebasawarmodan gadineba</i>	
•damfuZnebelTa Semonatani	•xelfasis gadaxda
•savaWro amonagebi	•maragis Sesyidva
•debitorebidan Semosuli	•kreditoruli davaliaTanxebinebis dafarva
•grZelvadiani aqtivebis	•SeZenili grZelvadianigayidvidanmiRebuli
aqtivebis Rirebulebisfulilb gadaxda	
•ijaris,gaTbobis, gadasaxdelebidazRvevis da sxv..	
•miRebuli procentebida dividendebi•gadasaxadebis gadaxda.	

საფინანსო საქმიანობის ფულადი ნაკადების ჯგუფში აისახება:

ა) აქციებისა და საკუთარი კაპიტალის სხვა ინსტრუმენტების გამოშვების შედეგად მიღებული ფულადი სახსრები;

ბ) მესაკუთრეთათვის გადახდილი ფულადი სახსრები აქციების შექმნის ან გაუქმების მიზნით;

გ) სავალო ფასიანი ქაღალდების, სესხების, თამასუქების, ობლიგაციების, გირაოებისა და სხვა მოკლევადიანი ან გრძელვადიანი სესხების გამოშვების შედეგად მიღებული ფულადი სახსრები;

დ) სესხების დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები;

ე) მოიჯარის მიერ ფინანსური იჯარის ვალდებულებების შესამცირებლად გადახდილი ფულადი სახსრები;

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების წარდგენის მეთოდები დადგენილია ბასს 7-ის მე-15 პუნქტით¹⁹. კერძოდ: **ა) პირდაპირი მეთოდით**, რომელშიც ნაჩვენებია ფულადი სახსრების შემოსავლისა და გასავლის მთლიანი ნაკადები ძირითადი კატეგორიების მიხედვით; **ბ) არაპირდაპირი მეთოდით**, რომლის მიხედვითაც **წმინდა მოგება, ან ზარალი კორექტირდება** არაფულადი ოპერაციების შედეგებით, წარსული ან მომავალი პერიოდის საოპერაციო შემოსავლებისა და გადახდების გადავადების, ან დარიცხვის გათვალისწინებით.

საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობის ფულადი სახსრების ნაკადებთან დაკავშირებით, სტანდარტით დაშვებულია მხოლოდ ერთი ნორმა, რომელიც ითვალისწინებს საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობის ფულადი ნაკადების ასახვას შემოსავლებისა და გასავლების კატეგორიების მიხედვით (ბასს-7, პუნქტი 21)²⁰.

ბასს-ით რეკომენდებულია საწარმოებმა ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგება შეადგინონ **პირდაპირი მეთოდით**. ამ მეთოდით ანგარიშგების შედგენისათვის შეიძლება ორი მიდგომის გამოყენება, კერძოდ:

პირველი მიდგომის პროცესში ფულადი ნაკადების დაშლას აწარმოებენ მათი კატეგორიების მიხედვით და კატეგორიების კლასიფიკაციას საქმიანობათა კომპონენტებად (თანხის მიღება მყიდველებისაგან, თანხის გადახდა მომწოდებლებისათვის და თანამშრომლებზე).

19. ბასს 7-ის მე-15 პუნქტი.

20. ბასს 7-ის 21 პუნქტი.

მეორე მიდგომა ითვალისწინებს ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების შედგენას ბალანსის, მოგება და ზარალის შესახებ ანგარიშგებისა და სხვა დამატებითი ინფორმაციის საფუძველზე.

არაპირდაპირი მეთოდით საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული წმინდა ფულადი სახსრების მოძრაობა განისაზღვრება ბა წმინდა მოგებისა და ზარალის კორექტირებით, შემდეგი მუხლების საფუძველზე (ბასს. 7)²¹

ა) საანგარიშგებო პერიოდში სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობასა და საოპერაციო მოთხოვნებსა და გადასახდებლებში მომხდარი ცვლილებები;

ბ) არაფულადი მუხლები, როგორცაა: ცვეთა, ანარიცხები, გადავადებული გადასახადები, უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული სამეურნეო ოპერაციებიდან მიღებული არა რეალიზებული შემოსავლები და დანაკარგები, მეკავშირე საწარმოებს შორის გაუნაწილებელი მოგება, უმცირესობის წილი;

გ) სხვა მუხლები, რომლებიც გვიჩვენებს საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფულადი სახსრების ნაკადებს. (იხილეთ სქემა 1.2.)

4) ანგარიშგება საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ

საკუთარი კაპიტალის ცვლილების შესახებ ანგარიშგება წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების ცალკე კომპონენტს და მისი ინფორმაცია მნიშვნელოვანია განსაკუთრებით საწარმოს მესაკუთრეებისათვის. მასში ასახული ინფორმაცია საშუალებას იძლევა გაანალიზდეს კაპიტალის ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორები: ა) საკუთარ კაპიტალს ზრდისა და ბ) შემცირების ფაქტორები.

საკუთარ კაპიტალში ცვლილების შესახებ ანგარიშგების შინაარსი განსაზღვრულია ბასს 1-ით²¹, რომელშიც ასახული იქნება:

ა) მოცემული საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება ან ზარალი;

ბ) შემოსავლებისა და ხარჯების, შემოსულობების ან ზარალის თითოეული მუხლი, რომელთა აღიარება, სხვა სტანდარტების (ბასს. 8, 16, 25)²² თანახმად, ხდება პირდაპირ საკუთარ კაპიტალში და ამ მუხლების საერთო ჯამი,


გ) სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებების შედეგები და არსებითი შეცდომების კორექტირება ბასს 8-ის საბაზისო მეთოდის შესაბამისად,

21. ბასს.7, პ. 20.

22, ბასს-1, პუნქტი-86.

23. ლიტ.34, ბასს(#:8; 16; 25).

ნახაზი 1.2. წმინდა მოგების (ზარალის) კორექტირება სქემა



დ) მესაკუთრეებთან კაპიტალის განაწილებასთან დაკავშირებული ოპერაციები,

ე) საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისა და ბალანსის შედგენის თარიღისათვის აკუმულირებული მოგება-ზარალის ნაშთი და მისი ცვლილება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში,

ვ) შედარება თითოეული კლასის სააქციო კაპიტალის საბალანსო თანხას, საემისიო შემოსავალსა და თითოეული სახის რეზერვს შორის, საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისა და დასასრულისათვის, თითოეული ცვლილების ცალ-ცალკე გახსნით.

საკუთარ კაპიტალში ცვლილების შესახებ ინფორმაციის წარდგენა შესაძლებელია ორი ვარიანტით. პირველი - საბაზისო ვარიანტი ითვალისწინებს სტანდარტით დადგენილი ყველა ინფორმაციის წარდგენას ანგარიშგების ერთიანი ფორმატის გამოყენებით. მეორე-ალტერნატიული ვარიანტის, რომლის საფუძველია ანგარიშგებისათვის სტანდარტით დაშვებული შესაძლებლობა, რომ ბასს 1-ის 86-ე პუნქტის (დ) - (ვ) ქვეპუნქტებით მოთხოვნილი ინფორმაცია ასახოს ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

საკუთარ კაპიტალში ცვლილების ანგარიშგების შედეგის საფუძველია საკუთარ კაპიტალში შემავალი მუხლების შესაბამისი ანგარიშებიდან აღებული სათანადო ინფორმაცია და მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშგება.

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგების მიმართ ბასს 1-ით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში მოტანილ იქნეს კაპიტალის რეზერვისა და აკუმულირებული მოგების საწყისი და საბოლოო ნაშთების შედარება.

5) ფინანსური ანგარიშგების ახსნა – განმარტებითი შენიშვნები

ცნობილია, რომ ბალანსში, მოგებისა და ზარალის ანგარიშგებასა და ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია ზოგჯერ სრულად ვერ უზრუნველყოფს სამართლიანი წარდგენის პრინციპების მოთხოვნებს და საკმარისი არ არის საწარმოს შესახებ შედარებით სრული ინფორმაციის მისაღებად. ამიტომ საწარმო ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების **სხვა კომპონენტების მსგავსად**, სისტემატურად მოამზადოს ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.

ფინანსური ანგარიშგების ამ კომპონენტში ბასს 1-ის ²⁴ აუცილებელია შემდეგი ახსნა-განმარტების ასახვა:

ა) იმის აღნიშვნა, რომ ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

ბ) შეფასების საფუძვლები და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა;

გ) დამატებითი დამამტკიცებელი ინფორმაცია უშუალოდ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მუხლებისათვის თანამიმდევრობით, როგორც მოცემულია ფინანსური ანგარიშგების თითოეული მუხლი და თითოეული ფინანსური ანგარიშგებ

დ) სხვა ახსნა-განმარტებები რომლებიც მოიცავს:

ე) გაუთვალისწინებელ მოვლენებს, ვალდებულებებს, რომლებიც ექვემდებარება შესრულებას და სხვა სახის ფინანსური შინაარსის ახსნა-განმარტებებს და სხვა.

ამრიგად, ბასს განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს შეფასების მეთოდებისა და სააღრიცხვო პოლიტიკის გახსნას ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. მათი გახსნა აუცილებელია იმიტომ, რომ სტანდარტებით დაშვებულია შეფასებისა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის ალტერნატიული მეთოდები. ამასთან, სტანდარტები არ ზღუდავს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და გამოყენებას, რომელიც სტანდარტებში არ არის

24. ბასს-1, პუნქტი -94.

განხილული, მაგრამ კონკრეტულ გარემოებაში მისი გამოყენება შესაძლებლობას იძლევა უფრო ზუსტად აისახოს საწარმოს საქმიანობის შედეგები და ფინანსური მდგომარეო-

ბა. შესაბამისად, ეფექტური გადაწყვეტილების მისაღებად, ინფორმაციის მომხმარებელი ინფორმირებული უნდა იყოს იმის თაობაზე, თუ რამდენად შეესაბამება წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება ბასს-ით დადგენილ მოთხოვნებს და ანგარიშგების კონკრეტული მუხლის შეფასებისა და წარდგენისათვის რომელი სააღრიცხვო პოლიტიკა იყო გამოყენებული.

6) შუალედური ფინანსური ანგარიშგების დახასიათება.

შუალედური ფინანსური ანგარიშგება შეიცავს სრულ, ან შემოკლებულ ფინანსურ ანგარიშგებას საწარმოს სრულ სამეურნეო წელზე უფრო მცირე პერიოდისათვის. ბასს არ განსაზღვრავს, რომელი ხანმოკლე პერიოდისათვის ან რა სიხშირით უნდა მომზადდეს საწარმოს შუალედური ფინანსური ანგარიშგება, (ეს საკითხები უნდა გადაწყვიტოს ხელისუფლებამ, ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის მარეგულირებელმა ორგანოებმა, საფონდო ბირჟებმა და ბუღალტერთა ორგანიზაციებმა). მიუხედავად ამისა, ბასსკ-ის მიერ შემუშავებული და გამოსაყენებლად დამტკიცებულია სპეციალური სტანდარტი შუალედური ფინანსური ანგარიშგებისათვის (**ბასს 34**)²⁵, რომლის გამოყენება აუცილებელია იმ საწარმოების მიერ, რომელთაც დაევალებათ შუალედური ფინანსური ანგარიშგების წარდგენა.

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია, როგორც წლიური, ნახევარწლიური და მიმდინარე ანგარიშის შედგენისა და წარდგენის წესების დამდგენი უფლებამოსილი ორგანო 2004 წლის 21 იანვრის #4 დადგენილებით შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებას განხილვას ანგარიშვალდებული საწარმოს ნახევარწლიური ანგარიშგების შემადგენელ კომპონენტად. საწარმოს (ფირმის) ბასს არ უკრძალავს შუალედური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას ბასს 1-ით განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების სრული კომპლექტის სახით. ამასთან, საწარმო უფლებამოსილია აირჩიოს შუალედური ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სხვა ფორმატი, რომელშიც ასახული იქნება წლიურ ფინანსურ ანგარიშგებასთან შედარებით მცირე ინფორმაცია.

ბასს 34-ის მიხედვით, შუალედური ფინანსური ანგარიშგება უნდა მოიცავდეს შემდეგ ელემენტებს, როგორც აუცილებელ მინიმუმს: ა) შემოკლებულ ბუღალტრულ ბალანსს, ბ) შემოკლებულ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას, გ) შემოკლებულ ანგარიშგებას, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციას (I) საკუთარ კაპიტალში ნებისმიერი ცვლილების შესახებ ან (II) საკუთარი კაპიტალის ცვლილების შესახებ, რომელიც არ არის გამოწვეული მესაკუთრეთა მიერ კაპიტალთან დაკავშირებულ სამეურნეო ოპერაციებსა და მათთვის კაპიტალის განაწილებასთან,

25. ბასს-34.

დ) ფულადი სახსრების მოძრაობის შემოკლებულ ანგარიშგებას, ე) შერჩეულ ახსნა-განმარტებით შენიშვნებს. ასევე, ბასს 34-იდან გამომდინარეობს, რომ შუალედური ანგა-

რიშგება (შემოკლებული ან სრული) უნდა ითვალისწინებდეს შემდეგი პერიოდების შუალედური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, კერძოდ:

ა) ბალანსი მიმდინარე შუალედური საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის და წინა ფინანსური წლის შესადარისი წლიური ბალანსი;

ბ) მიმდინარე შუალედური საანგარიშგებო პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშგება და მიმდინარე ფინანსური წლის მოცემულ თარიღამდე მოგებისა და ზარალის ანგარიშგება ნაზარდი ჯამით, უშუალო წინა ფინანსური წლის შესადარისი შუალედური საანგარიშგებო პერიოდის შესადარისი მოგების- ზარალის ანგარიშგებასთან ერთად;

გ) ანგარიშგება, რომელიც გვიჩვენებს მიმდინარე ფინანსური წლის განმავლობაში მოცემულ თარიღამდე საკუთარი კაპიტალის ცვლილებებს ნაზარდი ჯამით, უშუალო წინა ფინანსური წლის შესაბამისი პერიოდის შესადარისი ანგარიშგებასთან ერთად;

დ) ფულადი სახსრების ანგარიშგება, მიმდინარე ფინანსური წლის მოცემულ თარიღამდე უშუალო წინა ფინანსური წლის შესადარისი ანგარიშგებასთან ერთად.

7) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების დახასიათება.

სამეწარმეო მიზნებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მსხვილი საწარმო ქმნის შვილობილ საწარმოს. შვილობილი საწარმო ისეთი საწარმოა, რომლის საქმიანობას აკონტროლებს სხვა საწარმო (რომელსაც ძირითად, სათავო საწარმოს უწოდებენ). ძირითადი (სათავო) საწარმო შეიძლება აკონტროლებდეს ერთ, ან მეტ შვილობილ საწარმოს.

კონტროლი ნიშნავს საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას ამ საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ფინანსური ანგარიშგების სახით წარმოდგენილი საწარმოთა ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება, რომლის წარდგენის პირობებს განსაზღვრავს ბასს 27²⁶ "კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და დაბანდებული ინვესტიციების ბუღალტრული აღრიცხვა შვილობილ საწარმოებში". მოცემული სტანდარტის მიხედვით, მისი წარდგენა სავალდებულოა ყველა ძირითადი საწარმოსათვის, იმ გამონაკლისის გარდა, რომელთა მიმართ ასეთი რამ დაშვებულია სტანდარტის ნორმებით.

კერძოდ, ბასს 27-ის მე-8 პუნქტით განმარტებულია, რომ ძირითადი საწარმო, რომელიც მთლიანად ან ფაქტობრივად მთლიანად ეკუთვნის სხვას, როგორც შვილობილი საწარმო, არ არის ვალდებული წარადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საწარმო მიიღებს უმცირესობის წილის შესაკუთრებასთანხმობას.

26. ბასს 27 - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი.

ასეთმა ძირითადმა საწარმომ, ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, უნდა აღწეროს შვილობილი საწარმოების ცალკეული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საფუძვლები და რა-

ტომ არ არის წარდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, აგრეთვე თავისი ძირითადი საწარმოს საფირმო სახელწოდება და იურიდიული მისამართი.

ძირითადად საწარმომ, რომელიც თვითონ მთლიანად ეკუთვნის სხვა საწარმოს, შეიძლება არ წარადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, თუ ამას არ მოითხოვს მისი ძირითადი საწარმო და ამის გაკეთება არ იქნება აუცილებელი ძირითადი საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა მოთხოვნის უკეთ დაკმაყოფილებისთვის (მთლიანად სხვა საწარმოს კუთვნილებაში ყოფნა ხშირად ნიშნავს, რომ ხმის უფლების 90% და მეტი ძირითადი საწარმოს ხელშია). შესაბამისად, მნიშვნელოვანია პასუხი გაეცეს ორ კითხვას: 1) წარდგენილ უნდა იქნეს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დაა 2) რომელი შვილობილი საწარმოები უნდა ჩაირთოს კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. ამდენად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის ამოსავალი პირობა არის არა ხმის უფლების ნახევარზე მეტის ფლობა, არამედ საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლება.

განვიხილოთ ფინანსური აღრიცხვის პრაქტიკის საერთაშორისო ჰარმონიზაციის უზრუნველყოფის ასპექტები

როგორც უკვე აღინიშნა, სხვადასხვა საწარმოთა საქმიანობა სულ უფრო გლობალურ მასშტაბს იძენს. შესაბამისად, ინვესტორებს მსოფლიო მასშტაბით უწყვეტ საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღება. აქედან გამომდინარე, ჩნდება ფინანსური ინფორმაციის ერთგვაროვანი სახით წარმოდგენის აუცილებლობა, რამაც განაპირობა შექმნილიყო ბუღალტრული აღრიცხვის ერთიანი, საერთაშორისო სტანდარტები (ბასს). შესაბამისად, მრავალეროვნული კომპანიებისათვის ჰარმონიზაცია შემდეგი მიზეზებით იქნებოდა ხელსაყრელი:

1. საერთაშორისო საფინანსო ბაზრებისათვის უფრო იოლი გასაანალიზებელი იქნება სხვადასხვა ქვეყნის კომპანიათა მიერ ერთიან საფუძველზე მომზადებული ფინანსური ინფორმაცია;
2. ფინანსური ანგარიშგების ერთიან საფუძველზე წარმოდგენის პირობებში, ასევე ერთგვაროვანი შიდა ფინანსური ინფორმაციის მომზადების შედეგად, მრავალეროვნულ საწარმოებში გაუმჯობესდება მმართველობითი კონტროლი;
3. უფრო ეფექტური იქნება სააღრიცხვო განყოფილებათა მუშაობა;
4. გაადვილდება ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდირება.

მსოფლიო მასშტაბით საინვესტიციო შესაძლებლობათა არსებობის პირობებში, საინვესტიციო გადაწყვეტილებათა მისაღებად მნიშვნელოვანი ხდება კომპანიათა საერთო საფუძველზე შედარება. დღეისათვის უცხოურ ინვესტიციათა უმეტესობა საჯარო საინვესტიციო კომპანიებისა და კოლექტიური საინვესტიციო სქემების

საშუალებით ხორციელდება, რომელთაც სხვადასხვა ქვეყანაში შედგენილი ფინანსური ანგარიშგების ანალიზის სპეციალისტი ჰყავთ სამსახურში.

ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო ჰარმონიზაციის პირობებში, საერთაშორისო ეკონომიკურ გაერთიანებათა, საქმიანობა უფრო ეფექტური იქნებოდა. საერთაშორისო ეკონომიკური გაერთიანებების ერთ-ერთ ფუნქციას ქვეყნებს შორის ვაჭრობის გაადვილება წარმოადგენს. ფინანსური აღრიცხვის ერთგვაროვანი წესები კაპიტალის ბაზრებს უფრო ხელმისაწვდომს გახდიდა და, ამგვარად, ხელს შეუწყობდა აღნიშნულ პროცესს.

ფინანსური ინფორმაციის განსხვავებული სახით წარმოდგენა შესაძლებელია მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფის არსებობით ან მომხმარებელთა სხვადასხვა კლასისათვის განსხვავებული მნიშვნელობის მინიჭებით იყოს განპირობებული. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში სხვადასხვა სამსახური შეიძლება დომინანტური მომხმარებელი ჯგუფი იყოს, რის გამოც ანგარიშები შეიძლება მათი მოთხოვნილების გათვალისწინებით იყოს შედგენილი- მოგება-ზარალის უწყისში მხოლოდ ის დანახარჯები აისახოს, რომლებიც დასაბეგრ მოგებას ამცირებს. ასეთ შემთხვევაში, ფინანსურ ანგარიშგებაში ცვეთის დარიცხვაც შესაძლებელია საგასახადო განაკვეთებით ხორციელდებოდეს.

ფინანსური აღრიცხვის პროფესიული ორგანოები

ფინანსური აღრიცხვის პროფესიულ ორგანოებს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა გავლენა გააჩნიათ. პოზიტიური სამართლის ტრადიციების მქონე ქვეყნებში ფინანსური აღრიცხვის პროფესიულ ორგანოთა გავლენა შედარებით სუსტია.

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია (ბსფ). ახლად რესტრუქტურული ბასსკ ამჟამად სრულიად დამოუკიდებელია ბსფ-გან, მაგრამ ისინი განაგრძობენ ერთმანეთთან მჭიდრო თანამშრომლობას. თუმცა ბსფ-ის საქმიანობის სფეროში ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შედგენა არ შედის, მისი კომიტეტები აქტიურად მონაწილეობენ **ჰარმონიზაციის პროცესში**. უპირველეს ყოვლისა ეს ეხება “აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის კომიტეტს” (ასპკ). მისი მიზანია საყოველთაოდ მიღებული აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შემუშავება. აღნიშნულ სტანდარტებს ფაქტობრივად ბასს-ის მსგავსი ფუნქციები აქვთ, ე.ი. მათ ეროვნულ სტანდარტებთან შედარებით უპირატესობა არ ენიჭებათ.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (ეთგო) წევრია ყველაზე „უფრო განვითარებული“ 29 ქვეყანა. შემადგენლობაში შედის “საერთაშორისო ინვესტიციების და მრავალეროვნული კომპანიების კომიტეტი”, რომელსაც მრავალეროვნული კომპანიების მიერ ინფორმაციის წარდგენის წესები აქვს შემუშავებული. მის შემადგენლობაში შედის ასევე “ფინანსური აღრიცხვის

სტანდარტების სამუშაო ჯგუფი”, რომელიც მხარს უჭერს ბასსკ-ის საქმიანობას და აქვეყნებს ანგარიშებს ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების ჰარმონიზაციის შესახებ. გაერთიანებული ერების (გე) შემადგენლობაში შედის “ტრანსნაციონალური ანგარიშგების მწარმოებელი კორპორაციების კომისია”, რომელიც მოიპოვებს ინფორმაციას მრავალეროვნული კომპანიების საქმიანობისა და ანგარიშგების შესახებ. მისი მიზანია მრავალეროვნული კომპანიების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და შესადარისობის გაუმჯობესება. კომპანიები, რომლებსაც საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე რეგისტრაცია სურთ, მომავალში, ადგილობრივი კანონმდებლობასთან შეთანხმებით, თავიანთი ფინანსური ანგარიშგების ბასს-ის შესაბამისად მომზადებას შეძლებენ. ადრე აშშ-ის საფონდო ბირჟაზე რეგისტრაციის მსურველ უცხოურ კომპანიებს, ანგარიშგები აშშ-ის საყოველთაოდ მიღებული სააღრიცხვო პრინციპების (აშშ-ის სმსკ) საფუძველზე უნდა მოემზადებინათ ან თავიანთი ანგარიშგები აშშ-ის სმსკ-თან შესაბამისობაში მოეყვანათ. რადგან აშშ-ის სმსკ-ი მეტისმეტად დეტალური დაკონსერვატულია, ეს მნიშვნელოვან დამატებით დანახარჯებთან და სხვა პრობლემებთან იყო დაკავშირებული. რეალობაში, აშშ-ის მიერ ბასსკ-ის ახალი წესდების მიმართ მხარდაჭერა იმდენად ძლიერია, რომ მომდევნო რამოდენიმე წლის განმავლობაში მოსალოდნელია აშშ-ის სმსკ-სა და ბასს-ის შერწყმა.

ევროპაში დაგეგმილი ბასს-ის “აღიარების მექანიზმი” შესაძლოა სავალალო აღმოჩნდეს, თუ ევროგაერთიანება ევროპისთვის შესწორებული ბასს-ის გამოშვებას შეეცდება, მაგრამ აღნიშნული საფრთხე უფრო თეორიულია, ვიდრე რეალური. უფრო სავარაუდოა, რომ ეგ-ს თვალსაზრისს გაითვალისწინებენ ახალი ბასს-ის შემუშავებისას. როგორც ზემოთ აღინიშნა, საერთაშორისო კომპანიებს ერთიანი სმსკ-ის გამოყენება სურთ და სხვებისგან განსხვავებული ევროპული სააღრიცხვო სტანდარტები მათ მხარდაჭერას ვერ მიიღებს.

იაპონიაში, 90-იან წლებამდე ფინანსური ანგარიშგება გამჭირვალე არ იყო და, ეკონომიკის აყვავების პირობებში, ნაკლები ზეწოლა არსებობდა რაიმე ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით. თუმცა, აზიის ეკონომიკურმა კრიზისმა სიტუაცია შეცვალა და იაპონიამ ახალი, ბასსკ-ის მოდელთან მიახლოებული სააღრიცხვო სტანდარტების შემუშავება დაიწყო.

ჩინეთსა და რუსეთს ბასს-ის, როგორც სმსკ-დ აღიარება ჯერ კიდევ წინა აქვთ. ორივე დიდი ქვეყანაა, რომელთაც სულ ცოტა ხნის წინ ეკონომიკის მკაცრი დაგეგმვის სისტემა გააჩნდათ. მათ მიაჩნიათ, რომ დიდ ქვეყნებს თავიანთი სააღრიცხვო სტანდარტები ესაჭიროებათ.

ანგარიშგების მომზადების პრაქტიკაზე ძირითად გავლენას ახდენს აშშ-ის ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს (ფასს) და დიდი ბრიტანეთის ბუღალტრული

აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების და ბასს-ს შორის განსხვავებების მაგალითები: (იხ. ცხრილი 1.3.)

ბოლო დრომდე, დიდ ბრიტანეთში უფრო პრაგმატულად უდგებოდნენ გადავადებულ ვალდებულებებს, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ეს ნაწილობრივ დაკავშირებული იყო მიმდინარე გადასახადების მნიშვნელოვან შემცირებასთან დიდ ბრიტანეთში,

როდესაც კაპიტალ-დანახარჯების 100%-იანი დაქვითვების მიღება, შესაძლებელი იყო დანახარჯების გაწევის წელს. ამიტომ პოტენციური გადავადებული საგადასახადო ანარიცხები ძალიან დიდი იყო და ნაწილობრივი ანარიცხების მეთოდი დაშვებული იყო. თუმცა, 2000 წლის დეკემბერში ბასს გამოსცა ბუღალტრული აღრიცხვის ახალი სტანდარტი, რომლის მიხედვითაც გადავადებული გადასახადის სრული ანარიცხების გაკეთება მოითხოვება.

აღნიშნული განსხვავებების გამო საწარმოს, რომელსაც საერთაშორისო ინვესტორების დიდი ჯგუფი ჰყავს (და ალბათ ერთზე მეტ საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული), შეიძლება მოეთხოვოს ფინანსური ინფორმაციის მომზადება ინვესტორების ქვეყნებში მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის შესაბამისად.

აშშ-ის რომელიმე საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებულ კომპანიებს შეიძლება მოეთხოვოთ ფინანსური ინფორმაციის აშშ-ის ბასმპ-ს მიხედვით მომზადება, რაც მოიცავს აშშ-ის ბასმპ-თან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შეჯერების ანგარიშს. ამასთან, შესაძლებელია საჭირო იყოს აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდებს შორის განსხვავებების მოკლე აღწერა.

ბუღალტრული აღრიცხვის პრაქტიკის საერთაშორისო ჰარმონიზაცია მრავალმხრივ არის სასარგებლო ინფორმაციის მომხმარებლებისა და მომმზადებლებისთვის. დღეისათვის ჯერ კიდევ გვხვდება შემთხვევები, როდესაც ქვეყნებში დანერგილია შიდა ანგარიშგების გარემოს შესაფერისი და არა საერთაშორისო ჰარმონიზაციაზე გამიზნული ბუღალტრული აღრიცხვის პრაქტიკა.

ცხრილი 1.3

გუდვილი	ბასკი-ი	აშს-ის ბასმპ	დიდი ბრიტანეთის ბასმპ
რეკომენდებული მეთოდი	კაპიტალიზაცია და ამორტიზაცია სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ცველებრივ არაუმეტეს 20 წლისა	კაპიტალიზაცია და ამორტიზაცია მაქსიმუმ 40 წლის განმავლობაში	კაპიტალიზაცია და ამორტიზაცია სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში
ნებადართული ალტერნატიული მეთოდი	---	---	ამორტიზაცია საწირო არ არის გაუფასურების ტესტირება ყოველწლიურად
არ არის ნებადართული	მასინვე კამოვერა	მასინვე კამოვერა	მასინვე კამოვერა
გადავადებული გადასახადი	ბასკი-ი	აშს-ის ბასმპ	დიდი ბრიტანეთის ბასმპ
რეკომენდებული მეთოდი	ვალდებულების მეთოდი, სრული ანარიცხები დროებითი განსხვავებების მიქსი	ვალდებულების მეთოდი, სრული ანარიცხები დროებითი განსხვავებების მიქსი	ვალდებულების მეთოდი, სრული ანარიცხები დროებითი განსხვავებების მიქსი
ნებადართული ალტერნატიული მეთოდი	-	-	-
არ არის ნებადართული	გადავადების მეთოდი, ნაწილობრივი ანარიცხები	გადავადების მეთოდი, ნაწილობრივი ანარიცხები	გადავადების მეთოდი, ნაწილობრივი ანარიცხები

ბასს-ის დანერგვის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს საწარმოებში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლა დაიწყო 2000 წლიდან, თუმცა ბასს-ის სრულად დანერგვაზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია. ჩვენი აზრით, ამის მიზეზი შეიძლება იყოს:

1) ბასს-ების სამოქმედოდ შემოღება ნაჩქარევად, წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოებისა და ბუღალტრული აღრიცხვის ეროვნული სტანდარტების შემუშავების გარეშე;

2) ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სფეროში სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოს ფუნქციების ჩამორთმევა (გარდა საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა) ფინანსთა სამინისტროსათვის, რომელსაც ევალება ბუღალტრული აღრიცხვის ნორმების და წესების დამტკიცება, შესაბამისი ინსტრუქციების გამოცემა და მათი პრაქტიკაში დამკვიდრება;

3) კერძო სამართლის სუბიექტების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების რეგულირება დამოუკიდებელი პროფესიული ორგანიზაციების მიერ, რომელთა ფინანსურმა ინტერესებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ქვეყანაში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობაზე;

4) ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების სრულყოფის მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების უქონლობა.

ბასს-1 განიხილავს მხოლოდ ფინანსურ ანგარიშგებას და არეგულირებს ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარებას და ზომავს, აკონტროლებს ამ ელემენტების წარმოქმნის ბუნებას და საიმედოობას, უზრუნველყოფს ინფორმაციის თანმიმდევრულობას და შესაბამისობას, უგულვებელყოფს ბასს-ის ნაწილობრივ გამოყენებას და მიუთითებს, რომ “ფინანსური ანგარიშგება არ ჩაითვლება ბასს-ის შესაბამისად შედგენილად, თუ იგი არ იქნება თითოეული მოქმედი სტანდარტის ყველა მოთხოვნის შესაბამისად შედგენილი.”

აქედან გამომდინარე, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად იქნება აღრიცხვა წარმოებული და ფინანსური ანგარიშგება შედგენილი, თუ სრულად იქნება დაცული ის წესები და დებულებები, რომლებიც ქვეყნდება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ. ეს წესები და დებულებები უნდა აისახოს ბასს-ის მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

კვლევები უჩვენებს, რომ ბასს-ის დანერგვის საქმეში არსებობს რიგი ძირითადი მეთოდური პრობლემები.

ერთ-ერთ უპირველეს პრობლემას წარმოადგენს იმის განსაზღვრა თუ რა ძირითად დებულებებს უნდა ემყარებოდეს ფინანსური ანგარიშგება. ანგარიშგების მონაცემთა ობიექტურობისთვის ფინანსური ანგარიშგება უნდა ემყარებოდეს შემდეგ დებულებებს:

- ეკონომიკური სარგებლის ზრდა და შემცირება აისახება როგორც შემოსავალი და ზარალი;
- ბალანსი წარმოდგენილია, როგორც საწარმოს წმინდა აქტივების ცვლილება საწარმოს მესაკუთრეებთან ანგარიშსწორების აღრიცხვის გარეშე;
- მთავარია ოპერაციების ასახვა, მაგრამ ასევე არსებითია მოვლენები, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მოგებაზე ან ზარალზე და რომლებიც არ არის ასახული აღრიცხვაში;
- ბასს-ით აღრიცხვა ემყარება მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელობას;
- რამდენადაც მომავალი არასდროს არ არის აბსოლუტურად განსაზღვრული, ბუღალტერი ადგენს შეფასებით მაჩვენებლებს;
- ბასს-ით აღრიცხვის შედეგად მიღებული მოგების თანხა აუცილებლად განსხვავებული იქნება, რამდენადაც დასაბეგრი მოგების გადასახადის თანხა განისაზღვრება პირველადი ბუღალტრული დოკუმენტებით და საგადასახადო კანონმდებლობის სრული დაცვით.

მეორე, საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დაფუძნებული აღრიცხვის პირობებში მნიშვნელოვნად განსხვავებულია ძირითადი საშუალებების შეფასების წესი. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოებები, რომ :

- ბასს-ის ძირითად დაშვებას წარმოადგენს აქტივების ღირებულების სამართლიანი შეფასება;
- შეძენისას ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მათი ისტორიული ღირებულებებით;
- შემდგომ, დამოუკიდებელი პროფესიული შეფასებით შეიძლება აქტივების რეალური ღირებულების ხელახალი შეფასება, რის საფუძველზეც საბუღალტრო ჩანაწერებში იცვლება აქტივების ღირებულება;
- ჰიპერინფლაციის შემთხვევაში ასევე წარმოებს აქტივების გადაფასება;
- აქტივების შემდგომი შენახვის ხარჯები ზრდის მათ ღირებულებას, როცა ეს ხარჯები ცვლის ამ აქტივების გამოყენების ეფექტიანობას;

- თუ აქტივი შეძენილია სხვა აქტივის სანაცვლოდ, ღირებულება განისაზღვრება შეძენილი აქტივის რეალური ღირებულების მიხედვით.

მნიშვნელოვნად განსხვავებულია ცვეთის დარიცხვა. რადგანაც მოცემულ პირობებში ცვეთის ნორმები შეიძლება დადგინდეს ეკონომიკური მიზანშეწონილობის მიხედვით, და არა ფიზიკური ცვეთის შესაბამისად; ხშირად შეიძლება გამოყენებული იქნეს ცვეთის დაჩქარებული ნორმები.

მესამე, აუცილებლად გათვალისწინებას მოითხოვს ის გარემოებაც, რომ, როდესაც ანგარიშგება პირველად დგება ბასს-ის მიხედვით, ფინანსური ანგარიში უნდა მომზადდეს და წარდგეს იმგვარად, თითქოს მისი შედგენა სტანდარტების მიხედვით წინა პერიოდშიც ხდებოდა. ე.ი ბასს-ის მიხედვით ანგარიშგების პირველად შედგენისას, წინა პერიოდის ყველა მაჩვენებელი შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი ბასს-თან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა:

- სხვადასხვა სტანდარტი ბუღალტრული აღრიცხვის ცალკეულ საკითხებზე უშვებს განსხვავებულ მიდგომას;
- კორექტირების თანხა, რომელიც ეკუთვნის წინა პერიოდს, არ შეიძლება მიეკუთვნოს ბალანსის განსაზღვრულ მუხლს;
- შესადარისი მონაცემები მომზადებული და წარდგენილი უნდა იქნეს ბასს-ის მიხედვით;
- ნებისმიერი კორექტირება, რომელიც წარმოებულია ანგარიშგების ბასს-თან შესაბამისობაში მოსაყვანად, უნდა მიეკუთვნოს საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის არსებულ გაუნაწილებელ მოგებას. პერიოდში, როცა ბასს-ის, როგორც აღრიცხვის საფუძვლის, გამოყენება იწყება სრულად, ფინანსური ანგარიშგება უნდა შედგეს ისე, როგორც პირველი შედგენისას ბასს-ის მიხედვით.

მეოთხე, ბუღალტრული პოლიტიკის ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში რეგლამენტირებულია ბასს 1-ით და მოიცავს შემდეგ საჭიროებას როგორებიცაა: შემოსავლების აღიარება; კონსოლიდაციის მეთოდები; საქმიანობის სფერო; ერთობლივი საწარმოები; ძირითადი საშუალებების და მათი ცვეთის ასახვა; ნასესხები საშუალებების და სხვა ხარჯების კაპიტალიზაცია; გადასახადები, გადავადებული გადასახადების ჩათვლით; რეზერვები; შრომითი დანახარჯები; ანგარიშსწორება უცხოურ ვალუტაში; დანახარჯთა ცენტრების განსაზღვრა საქმიანობის სახეების და ადგილმდებარეობის მიხედვით.

მეხუთე, ბასს-ის მიხედვით მოგების განაწილებისას უნდა ვიხელმძღვანელოთ იმ პრინციპით, რომ მცირე გამონაკლისის გარდა ყველა ფულადი დანახარჯები, გარდა მესაკუთრეებისათვის გადახდილი დივიდენდებისა, უნდა მიეკუთვნოს მიმდინარე

ხარჯებს და ჩაირთოს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ სტანდარტებში მიღებულია შემოსავლების განსაზღვრის განმარტება (**ბასს 18**), მაგრამ არაა სტანდარტი, რომელიც მკვეთრად განსაზღვრავს ხარჯებს, მთავარია, ხარჯების განსაზღვრისას გამოვიყენოთ აღრიცხვის წარმოების საფუძვლები.

მეექვსე, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით აღრიცხვის წარმოებისას გამოყენებული უნდა იქნას დარიცხვის მეთოდი, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ: შემოსავლები და ხარჯები აღიარებულ უნდა იქნას მათი წარმოშობის მომენტში; ერთის ურთიერთობა მეორისადმი განისაზღვრება მათი ურთიერთდამოკიდებულებით; შემოსავლები და ხარჯები აისახება იმ პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, რომელ პერიოდშიც მოხდა მათი აღიარება.

ბასს 1 უშვებს, რომ შემოსავლებისა და ხარჯების (შესაბამისად მოგება და ზარალი) თანხები შეიძლება იყოს შეფასებითი.

მეშვიდე, ძირითად საშუალებათა გადაფასება არსებითია. ამიტომ გადაფასების სწორი ასახვისათვის ფინანსურ ანგარიშგებაში გადაფასების შედეგები უნდა დაფიქსირდეს შემდეგნაირად: აქტივების ღირებულების გადიდება გადაფასების შედეგად უნდა აისახოს საკუთარ კაპიტალში მუხლით “გადაფასების რეზერვი.”

ამასთანავე, მართალია, **ბასს 16** არ იძლევა რეკომენდაციას, რომ გადაფასების შედეგად აქტივის ღირებულების გადიდების თანხა მიეკუთვნოს საანგარიშო პერიოდის მოგებას, მაგრამ გადაფასების ნებისმიერი თანხა, რომლითაც აქტივების ღირებულება მცირდება, უნდა მიეკუთვნოს საანგარიშო პერიოდის ზარალს. იმ შემთხვევაში თუ წინა გადაფასებიდან რეზერვი არ იყო შექმნილი.

გადაფასების შედეგი ასევე შეიძლება გადტანილ იქნეს უშუალოდ გაუნაწილებელ მოგებაზე (შემოსავლების ანგარიშის გვერდის ავლით), როცა ეს შედეგი შესულია შემოსავლებში. შემოსავალი გადაფასების შედეგად წარმოიქმნება მაშინ, როცა გადაფასებული აქტივი იყიდება ან გადაფასების თანხით ხდება ცვეთის თანხით.

მერვე, ფინანსური ანგარიშგების სრული კომპლექტი უნდა მოიცავდეს ბალანსს, მოგება-ზარალის ანგარიშგებას, ანგარიშგებას ფულის მიმოქცევის შესახებ და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს, რომელთა ფორმატი შედგენილი და წარდგენილი უნდა იქნეს ბასს 1-ის მოთხოვნებთან სრული შესაბამისობაში.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონი “ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ” მოითხოვს აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებას, სადაც მცირე და საშუალო საწარმოებისთვის განკუთვნილი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო

სტანდარტების მიღება წარმოადგენს მნიშვნელოვან წინსვლას ფინანსური ანგარიშგების უკეთესი სისტემის შექმნის მიმართულებით.

საქართველოს კომპანიები, რომელნიც ექვემდებარება სავალდებულო აუდიტის, კანონით ვალდებულნი არიან, რომ საკუთარი ფინანსური ანგარიშგებები მოამზადონ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

2015 წლის 1-ლი ივლისიდან ყველა მცირე და საშუალო სიდიდის კომპანიამ უნდა მოამზადოს საკუთარი ფინანსური ანგარიშგებები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (SMEs) განკუთვნილი ფასს-ის შესაბამისად, როგორც ეს განსაზღვრულია ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს (IASB) მიერ. მიკრო საწარმოებისთვის სხვა კონკრეტული სტანდარტი არაა.

აღნიშნული კანონის ერთ-ერთი მოთხოვნაა, რომ ყველა სავალდებულო აუდიტი განხორციელდეს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ISA) და მისი განმახორციელებელი აუდიტორები ასრულებდნენ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IESBA) მიერ გამოცემულ ეთიკის კოდექსს. ინსტიტუციური მექანიზმები სავალდებულო აუდიტის განმახორციელებელი აუდიტორების დანიშვნასთან და აუდიტის განხორციელებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და შედარებით უფრო მეტად შეესაბამება სანიმუშო საერთაშორისო პრაქტიკის და ევროკავშირის აუდიტის დირექტივის მოთხოვნებს.

კვლევის შედეგები უჩვენებს, რომ საქართველოში ფასს-ის შესაბამისად მომზადებული შერჩეული კომპანიების აუდიტებული ფინანსური ანგარიშგებების მიხედვით გამოვლინდა შეუსაბამობის მაგალითები²⁷, კერძოდ:

1) ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკის ჭრილში, მცირე გამონაკლისების გარდა, ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა აქტივების და ვალდებულებების შეფასებასთან დაკავშირებით, ხშირად არ შეიცავს ფასდათმობის მოქმედ განაკვეთებს, რომელმაც შეიძლება წარმოშვას გარკვეული ეჭვები საბალანსო ღირებულების სისწორეზე.

2) სუბიექტების უმრავლესობას არ გააჩნდა ბასს 24-ით („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მოთხოვნილი კატეგორიები ან განმარტებითი შენიშვნები, რისი არარსებობაც აფერხებს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების უნარს, გაერკვნენ სუბიექტის ფინანსურ მდგომარეობაში და შეაფასონ დაკავშირებულ მხარეებთან წარმოებული ოპერაციების სუბიექტის ფინანსურ საქმიანობაზე გავლენა.

²⁷, „სტანდარტებისა და კოდექსების შესრულების შესახებ ანგარიში“(ROSC). თბილისი, 2015.

3) ბასს 16-ით („ძირითადი საშუალებები“) გათვალისწინებული ძირითადი საშუალებების შეფასებასთან დაკავშირებული პრობლემები აღინიშნებოდა თითქმის ყველა სუბიექტის ანგარიშგებაში.

4) ბასს 39-ის („ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“) და ფასს 7-ის („ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“) შესაბამისად კომპანიების უმრავლესობა არ ითვალისწინებს მოთხოვნას არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით, რომ სამომავლო საკრედიტო ზარალი, რომელიც ჯერ არ დამდგარა, ამოიღოს გაუფასურების ზარალისთვის სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გამოთვლებიდან. ასევე, გამოტოვებული იყო გაუფასურების რეზერვის ანგარიშის შედარება, რომელიც მოთხოვნილია ბასს 36-ით („აქტივების გაუფასურება“), რაც საეჭვოს ხდის შემოსავლიდან გასაწევი შესაბამისი ხარჯების სანდოობას და რეალურ ღირებულებაზე წარმოდგენილ განმარტებებს.

5) ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული რისკების გამჟღავნება, რომელიც მოთხოვნილია ფასს 7-ით, ბევრ შემთხვევაში მოწოდებული ინფორმაცია არაადეკვატური იყო, ფინანსური ინსტრუმენტებიდან გამომდინარე რისკების ტიპთან და მასშტაბთან დაკავშირებით.

„სტანდარტების და კოდექსების შესრულების შესახებ ანგარიშიდან (ROSC)“2015. ბანკების ფინანსურ ანგარიშგებაში შეუსაბამობის მაგალითებიდან გამოვყოფთ:

1) ბასს 1 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ზოგიერთ შემთხვევაში უშუალოდ იყო ამოღებული სტანდარტებიდან საბანკო ტრანზაქციებთან თვალსაჩინო კავშირების გარეშე. სხვა შემთხვევებში კი ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა ფინანსური ანგარიშგებების ძირითადი მუხლებისთვის მთლიანად იყო ამოღებული, რომელიც მომხმარებლებს ვერ აძლევს საშუალებას სრულად გაერკვნენ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემული მუხლების ტიპში, აღიარებასა და შეფასებაში და ანგარიშგების პერიოდში განხორციელებულ ოპერაციებში, რაც მისცემდა შესაძლებლობას სხვა მომხმარებლებს შეედარებინათ ბანკების ფინანსური საქმიანობა საბანკო სექტორის შიგნით.

2) ბასს 7-თან („ფულადი ნაკადების ანგარიშგება“) შეუსაბამობა აღინიშნება, მაგალითად: ცენტრალურ ბანკებში არსებული შეზღუდული ნაშთების შეტანას ფულის და ფულადი ექვივალენტების მუხლში, ვადიანობის მიუთითებლობას და სხვა. ბასს-თან შეუსაბამობა წარმოშობს კითხვებს ბანკის ფულადი ნაკადების რეალურად წარმოდგენის შესახებ და საფრთხეს უქმნის მომხმარებლების ნდობას ფინანსური ანგარიშგებების სიზუსტის მიმართ.

3) ბასს 24-თან („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) ხშირად იყო არასრული და არასათანადოდ მითითებული მთელს ფინანსურ ანგარიშგებებში.

4) ბასს 38 („არამატერიალური აქტივები“) ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაში შეზღუდულია და ხშირად ერთმანეთისგან არ ასხვავებს საწარმოს შიგნით შექმნილ და სხვა არამატერიალურ აქტივებს, არ არის მითითებული ამორტიზაციის განაკვეთები ან გამოყენებული მეთოდები

5) ბასს 39-ით („ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“) გათვალისწინებული მოთხოვნების მიუხედავად, ბანკების უმრავლესობამ არაადეკვატური ინფორმაცია წარმოადგინა სესხების გაუფასურების შეფასების მიდგომასთან დაკავშირებით

6) ფასს 7 („ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“). ზოგიერთ ბანკს მოთხოვნების შეუსაბამოდ წარმოდგენილი ჰქონდა ინფორმაციული განმარტებითი შენიშვნები გირაოს და სესხის კონცენტრაციისა და გირაოს რაოდენობრივი შეფასების შესახებ.

საქართველოში სადაზღვევო კომპანიების ფასს-თან შეუსაბამობის მაგალითებიდან გამოიკვეთა:

1) ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა იყო ზოგადი, არასრული ან გამოტოვებული.

2) შენიშვნები შეიცავდა არაადეკვატურ მითითებებს ფინანსურ ანგარიშგებებთან დაკავშირებით.

3) აქტივები და ვალდებულებები არ იყო თვალსაჩინოდ ჩამოთვლილი ლიკვიდურობის მიხედვით.

4) არ იყო შექმნილი რეზერვი სესხების გაუფასურებისთვის ან სხვა ფინანსური აქტივებისთვის.

5) სეზღუდული იყო ფასს 7-ით განსაზღვრული განმარტებითი შენიშვნები, რისკის ყველა კატეგორიის მიხედვით.

6) არასრული იყო განმარტებითი შენიშვნები დაკავშირებული მხარეის ტრანზაქციების შესახებ.

საქართველოში სახელმწიფო მფლობელობაში არსებული საწარმოები და კერძო სექტორის სუბიექტების შეუსაბამობა ფასს-თან ფინანსური ანგარიშგების განხილულ ნიმუშებში აღინიშნა:

1) IAS 1 ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პოლიტიკა ყოველთვის არ იყო წარმოდგენილი;

2) IAS 7 ანგარიშგებაში აღინიშნებოდა ფულისა და ფულის ექვივალენტების მუხლებს შორის არასწორი კლასიფიკაციის შემთხვევები.

3) IAS 17 იჯარის კლასიფიკაცია და შეფასება ზოგჯერ არასწორი და განმარტებითი შენიშვნები არაადეკვატური იყო.

4) IAS 38 არამატერიალური აქტივების მიმდინარე ღირებულებისა და დაკავშირებული ამორტიზაციის შედარება ზოგჯერ იყო გამოტოვებული.

5) IAS 24 დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები ხშირად იყო არასრული და მასში არასწორად იყო წარმოდგენილი მითითებები სხვა ფინანსურ ანგარიშგებებში.

6) IFRS 3 საწარმოთა გაერთიანების სუბიექტები არ ასრულებდნენ ფასს 3-ის მოთხოვნას ინფორმაციის წარმოდგენასთან დაკავშირებით გადაცემული ანაზღაურების რეალური ღირებულების შესახებ, ან არ ჰქონდათ წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები საწარმოთა გაერთიანების უმთავრესი მიზეზების შესახებ და სტანდარტით გათვალისწინებული სხვა განმარტებები.

ამგვარად, საქართველოში არსებული ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის პრაქტიკის შეფასებიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოში მაღალი ხარისხის ფინანსურ ინფორმაციაზე მოთხოვნა დაბალია, რაც ზოგადად, ფინანსური ანგარიშგების ხარისხის სისუსტესა და საგადასახადო ანგარიშგების დომინირებას განაპირობებს. ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გაუმჯობესებისთვის მაღალი ხარისხის ფინანსურ ანგარიშგებაზე მოთხოვნები მნიშვნელოვნად იზრდება, რადგანაც ზოგიერთ კომპანიას აქვს წვდომა ფასიანი ქაღალდების უცხოურ ბაზარზე და შეუძლია დაფინანსების მოზიდვა საქართველოს ფარგლებს გარედანაც.

საგულისხმოა, რომ საჯაროდ ხელმისაწვდომი ფინანსური ინფორმაციის არარსებობა პოტენციურ ინვესტორებში და ფართო საზოგადოებაში ქმნის იმიჯს ისეთი კომპანიებისა, რომლებიც წარადგენენ დაბალი ხარისხის და გაუმჭვირვალე ინფორმაციას. მხოლოდ კომერციულ ბანკებს მოეთხოვებათ საკუთარი ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნება. სხვა სუბიექტები არ არიან რომელიმე რეგულაციით ვალდებული გაასაჯაროონ საკუთარი ფინანსური ანგარიშგებები და საკმაოდ პორბლემურია ხელმისაწვდომი ფინანსური ანგარიშგებები და ფინანსური ინფორმაციის მოძიება ბანკების გარდა სხვა საწარმოებიდან.

ამრიგად, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, **2015 წელს მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის** ერთობლივი მუშაობის შედეგად წარმოდგენილ იქნა „სტანდარტების და კოდექსების შესრულების შესახებ ანგარიში (ROSC)“, რომელიც **2007 წელს მომზადებული სტანდარტებისა და კოდექსების შესრულების შესახებ ანგარიშის (ROSC A&A)** შემდეგ წარმოადგენს ამ ეტაპისთვის უკანასკნელ ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნების და პრაქტიკის განახლებულ შეფასებას აღრიცხვისა და აუდიტის

სფეროში. ROSC-ის ანგარიშში ასახულია ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის გარემოს ძლიერი და სუსტი მხარეები, რომლებიც გალვენას ახდენს კორპორაციული ფინანსური ანგარიშგების ხარისხზე და მოიცავს როგორც საკანონმდებლო მოთხოვნების, ისე რეალური პრაქტიკის შეფასებას.

საბუღალტრო აღრიცხვა-აუდიტის სფეროს პრაქტიკის ანალიზი მოწმობს, რომ საქართველოში ფინანსური სექტორის რეგულირებადი სუბიექტები, მათ შორის, კომერციული ბანკები და სადაზღვევო კომპანიები წარადგენენ შედარებით მაღალი ხარისხის ფინანსურ ინფორმაციას.

ზემოთ აღნიშნული მოსაზრება ნაწილობრივ გამყარებულია ისტორიულად ძლიერი პრუდენციული ზედამხედველობით, რომელსაც ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი. კორპორაციული ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლები იზიარებენ აზრს, რომ არარეგულირებადი სუბიექტების მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები დაბალი ხარისხისაა და მათში გამოტოვებულია საერთაშორისო სტანდარტებით მოთხოვნილი განმარტებითი შენიშვნები. შესაბამისად, კრედიტორები არ ცდილობენ პოტენციური მსესხებლების მიერ მოწოდებული ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების უკეთ გამოყენებას.

ამასთანავე, საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში ჩატარებული რეფორმების შეფასებისას აღინიშნება გარკვეული პოზიტიური ცვლილებები, რომლებიც მნიშვნელოვანია მტკიცე კორპორაციული ფინანსური ანგარიშგების სისტემის მშენებლობისთვის. მიუხედავად ამისა, ბანკების მიერ მოთხოვნილი ფინანსური ინფორმაციის უმეტესობა სასესხო განაცხადების დასამუშავებლად კვლავაც საგადასახადო დანიშნულების ანგარიშგებიდანაა აღებული. ხოლო საკრედიტო გადაწყვეტილებები ძირითადად განპირობებულია გირაოს ხელმისაწვდომობით და ღირებულებით, ბიზნეს პროგნოზებით და ადგილზე ვიზიტებით.

ზოგადად, საქართველოში ამჟამად მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საკანონმდებლო ბაზა გაცილებით ნაკლებად განვითარებულია, ვიდრე ევროკავშირის კანონებისა და ნორმატიული აქტების კრებული. შესაბამისად, საქართველომ უნდა განახორციელოს ძირითადი ცვლილებები საკუთრი სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს ევროკავშირში მოქმედ დირექტივებთან შესაბამისობაში მოსაყვანად ასოცირების ხელშეკრულების საფუძველზე.

თავი 4. ფინანსური ანგარიშგებისა და მარწმუნებელი მომსახურების ხარისხის კონტროლის მონიტორინგი საქართველოში

სუვენერული, სამართლებრივი და დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს მშენებლობა შეუძლებელია სრული ფინანსური წესრიგის დამყარების გარეშე, რისთვისაც აუცილებელია სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ფორმებისა და მეთოდების ისეთი ტრანსფორმაცია, რომ იგი დაეფუძნოს დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებულ გამოცდილებას და საზოგადოების, სახელმწიფოსა და საბაზრო ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესების მოთხოვნებს, რამეთუ იგი ქვეყანაში ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტიანობის დაცვას განაპირობებს.

შესაბამისად, ქვეყანაში ფინანსური ინსტიტუციების ფუნქციონირება წარმოუდგენელია საერთაშორისო დონეზე რეგულირებადი აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების ერთიანი საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება-გამოყენების გარეშე. საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარეობს, რომ დღესდღეობით მთელს მსოფლიოში აუდიტორული საქმიანობის რეგულირების კუთხით ძირითადი აქცენტი აუდიტორთა საქმიანობის ხარისხის კონტროლზე არის გადატანილი, რამეთუ კორპორაციის (კომპანიის) მაღალი ხარისხის სანდოობის მქონე ფინანსური ინფორმაციის დროული გასაჯაროება ამცირებს ინვესტორთა წაგების რისკს, რაც უზრუნველყოფს კაპიტალის ბაზრებზე მეტი ფინანსური სახსრების მოზიდვას ან/და ზრდის მათზე წვდომის შესაძლებლობებს. ობიექტური, სარწმუნო ფინანსური ინფორმაცია უზრუნველყოფს აქციონერთა მონიტორინგს და მათი უფლებების ეფექტიან განხორციელებას.

ფინანსური კონტროლის სფეროების (აუდიტის) პრაქტიკის ანალიზი-შეფასება საქართველოში სრულყოფილად განხილულია ნაშრომის მეორე (საჯარო საქტორის) ნაწილში. დასავლეთის განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის ყველაზე უფრო ეფექტიან ფორმას წარმოადგენს ზოგადად აუდიტი და მისი სფეროები, თუმცა დროის ცალკეულ ეტაპზე და ქვეყნებში კონტროლის სხვა ტრადიციული ფორმებიც არ კარგავენ თავიანთ მნიშვნელობას. ფაქტობრივად დღეისათვის ფინანსური კონტროლის განსახორციელებლად გამოიყენება პრაქტიკაში აპრობირებული მეთოდები, როგორცაა: რევიზია, აუდიტი, თემატური შემოწმება, ეკონომიკური ანალიზი, გამოძიება (გამოკვლევა), სამეურნეო დავა და ა.შ.

მსოფლიოს ეკონომიკური გლობალიზაციის, საგარეო-ეკონომიკური კავშირების გაღრმავება და პოსტსოციალისტურ ქვეყნებში საბაზრო ურთიერთობებზე ტრანსფორმაცია დღის წესრიგში აყენებს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის მარწმუნებელი მომსახურების ხარისხის კონტროლის ფორმებისა და მეთოდების უნიფიცირების აუცილებლობას, ფინანსური წესრიგის დამყარების მიზნით

საერთაშორისო დონეზე აპრობირებული ხარისხის კონტროლის უახლესი, დემოკრატიული ფორმებისა და მეთოდების დანერგვის აუცილებლობას.

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, როგორც წესი, გამოიყენება საფინანსო - ეკონომიკური კონტროლის ორგანოების შემდეგი სქემა:

1. სახელმწიფო საფინანსო კონტროლის უმაღლესი ორგანო(კონტროლის პალატა), რომელიც ექვემდებარება ქვეყნის პარლამენტს და რომელსაც ევალება კონტროლის განხორციელება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯვაზე და მათ მიზნობრივ გამოყენებაზე;

2. საგადასახადო უწყებები, საგადასახადო და საბაჟო სამსახურების სახით, რომლებიც ექვემდებარება ფინანსთა სამინისტროს და ევალება კონტროლი და პასუხისმგებლობა სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების გეგმების შესრულების უზრუნველყოფაზე;

3. სამინისტროებსა და უწყებებში ფუნქციონირებადი საკონტროლო-სარევიზიო ქვედანაყოფები, რომლებიც ფინანსდებიან ბიუჯეტიდან, ექვემდებარებიან მინისტრს და მათ ევალებათ სისტემური კონტროლის განხორციელება საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის სისწორეზე;

4. დამოუკიდებელი აუდიტორული ფინანსური კონტროლი, რომელიც სახელმწიფო საწყისებზე ამოწმებს საბალანსო მონაცემებს, მის უტყუარობას, შესრულებული ოპერაციების კანონიერებას და ახორციელებს სათანადო საკონსულტაციო მომსახურებას ეკონომიკის არასახელმწიფო (კერძო) სექტორის საწარმოებისა და ორგანიზაციების აღრიცხვისა და ფინანსების სფეროში. ფართო პროფილის მაღალკვალიფიციური აუდიტორების მიერ.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოში სახელმწიფო ფინანსური კონტროლის რეფორმა - სრულყოფა ობიექტური მოთხოვნაა და მისი პრაქტიკული რეალიზაცია გარდაუვალია. შესაბამისად, ამ ეტაპზე მთავარია ობიექტურად გაანალიზდეს დღეისათვის მოქმედი ფინანსური ანგარიშებსა მარწმუნებელი მომსახურების ხარისხის კონტროლის სისტემის დადებითი და უარყოფითი მხარეები, სწორად შეფასდეს ის პოზიტიური მხარეები, რომელთა შენარჩუნება მიზანშეწონილია მომავალი პერიოდისათვის და მოხდეს მისი შეთანაწყობა ფინანსური კონტროლის საერთაშორისო სტანდარტებთან და წესებთან. ამასთან გასათვალისწინებელია ის მდგომარეობა რომ, უცხოეთის გამოცდილების შიშველი და მექანიკური გადმოტანა საქართველოს პირობებში, როგორც წარმატებულიც იყოს იგი, არ მოგვცემს სასურველ შედეგს, თუ არ იქნება გათვალისწინებული ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებები, შინაგანი მენტალიტეტი, ტრადიციები და სპეციფიკა.

წინამდებარე ნაშრომში ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია საქართველოში მომსახურების ხარისხის კონტროლის სამართლებრივი და ორგანიზაციული საფუძვლების სრულყოფის მიმართულებით გასატარებელი და ღონისძიებების

საბიუჯეტო სახსრებისა და სახელმწიფო ქონების გამოყენების კანონიერების, მიზნობრიობისა ეფექტიანობის კონტროლის ხარისხის გაუმჯობესების გზები, კერძოდ:

1. საქართველოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების, საგადასახადო ბალანსის, მოსახლეობის ცხოვრების დონის, სამომხმარებლო ფასების ცვლილებების, ანაბრების მოცულობა-დინამიკის ანალიზის საფუძველზე შეიმუშაოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებების და სახელმწიფო ბიუჯეტის გრძელვადიანი პროექტები;

2. ექსპორტ-იმპორტის უარყოფითი სალდოს ზრდის პირობებში უზრუნველყოს საგარეო ვაჭრობის დეფიციტის გადიდების გამომწვევი ფაქტორებისა და პირობების შესწავლის და ექსპორტზე ორიენტირებული დარგების და წარმოებების განვითარების ხელშეწყობის ეკონომიკური მექანიზმების შემუშავებისა და პრაქტიკაში დანერგვა;

3. არსებითად უნდა დაჩქარდეს საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფის და ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესი;

4. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საბიუჯეტო-საგადასახადო მაჩვენებლების პროგნოზების ხარისხის ამაღლებას. საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი უნდა ეფუძნებოდეს მთლიანი შიდა პროდუქციის ზრდის მაჩვენებლებს და დასაბეგრი ბაზის ცვლილებებს. უფრო მეტ სიზუსტეს და არგუმენტაციას საჭიროებს არასაგადასახადო შემოსავლების, კაპიტალის ოპერაციებიდან შემოსავლების და გრანტების პროგნოზი.

5. მნიშვნელოვანია სატარიფო სისტემის ოპტიმიზაციის და სტაბილურობის უზრუნველყოფა, რაც განპირობებულია საქართველოს, როგორც ტრანზიტული ქვეყნის როლით ევრაზიის სივრცეში.

საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზით იკვეთება, რომ სახელმწიფო კონტროლისაგან აუდიტის არსებით განმასხვავებელ ნიშანს უფრო მაღალი სპეციალიზაციის პროფესიული მოთხოვნის დონე წარმოადგენს, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს აუდიტორების პერიოდული ატესტაციებით და აუდიტორული საქმიანობის პერიოდული ლიცენზირებით.

აუდიტორების დაინტერესება დამკვეთი კომპანიების (კლიენტების) მყარი ფინანსური მდგომარეობით და მასთან გრძელვადიანი თანამშრომლობით ხელს უწყობს კლიენტების ფინანსურ საქმიანობაზე წინასწარი და მიმდინარე კონტროლის განვითარებას, რაც გამოიხატება ბუღალტრული აღრიცხვის, ეკონომიკური ანალიზის, საგადასახადო, საფინანსო, საბანკო კანონმდებლობების საკითხებზე მუდმივი და ეფექტური კონტროლის გაწევაში.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტში(ასს-220), რომელსაც ადგენს აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო (LAASB), აუდიტის ხარისხის კონტროლი მოიცავს ძირითადად:

ა) კონკრეტული აუდიტორული შემოწმების კონტროლსა და

ბ) ამათუ იმ კომპანიის (ფირმის) ხარისხის საერთო კონტროლის მონიტორინგს, რომლის მიზანია იმისი დასაბუთებული გარანტიის უზრუნველყოფა, რომ აუდიტორული კომპანიის (ფირმის) მიერ ჩატარებული აუდიტი შესრულდა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტის მიზნისა და ზოგადი პრინციპების შესაბამისად.

ასს-220-ის სავალდებულო მოთხოვნაა, რომ აუდიტის ხარისხის კონტროლის პოლიტიკა და მისი შესაბამისი პროცედურები უნდა დაფუძნოს შემდეგ პოსტულატებს: პროფესიულ მოთხოვნებს; კვალიფიკაციას და კომპეტენციას; სამუშაოთა პროცედურების დელეგირებას; მათ კონსულტაციებს; მონიტორინგის პროცედურებს; აუდიტს დასაქმებული ასისტენტებისა და თანამშრომლების მიერ შესრულებულ სამუშაოზე სათანადო ხელმძღვანელობას და კონტროლს.

საქართველოს კანონმდებლობით აუდიტისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის კონტროლის განმახორციელებელ სტრუქტურად საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო იყო აღიარებული, რომელიც აუდიტორული საქმიანობის ხარისხის კონტროლს საბჭოსთან შექმნილი „აუდიტორული საქმიანობის საბჭოსთან არსებული ეთიკის კოდექსის დაცვისა და აუდიტის ხარისხის შემმოწმებელი კომისიის დებულებით ახორციელებდა (1999 წ. 30 სექტემბერი).

ასს-ის (ISA) მიხედვით აუდიტორული საქმიანობის ხარისხის კონტროლი ხორციელდება სამ საფეხურად:

- 1) აუდიტურ ფირმაში განხორციელებული ხარისხის კონტროლს უზრუნველყოფენ თვით აუდიტური ფირმის წამყვანი აუდიტორები;
- 2) აუდიტური ფირმის წამყვანი აუდიტორების მიერ აუდიტის პროცესში ასისტენტების მუშაობაზე კონტროლის განხორციელებით;
- 3) აუდიტორებზე და აუდიტურ ფირმებზე აუდიტორული მომსახურების კონტროლის განხორციელება კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი უწყების წარმომადგენლის მიერ

ამრიგად, აუდიტორული საქმიანობის სანდოობის ფუნდამენტური- საფუძვლის ხარისხის კონტროლის დროს მოწმდება აუდიტორის საქმიანობა და განიხილება ხარისხის მონიტორინგის შემდეგი საკითხები:

- 1) სამუშაო შესრულებულია აუდიტის პროგრამისა და გეგმის შესაბამისად;
- 2) სამუშაოს შესრულების დროს გამოყენებულია ასს და ფირმაში შემუშავებული მეთოდური ინსტრუქციები;

- 3) შესრულებული სამუშაო და მიღებული შედეგები ადეკვატურადაარის გაფორმებული;
- 4) აუდიტორული შემოწმების ყველა მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყვეტილია და ასახულია აუდიტორულ დასკვნაში;
- 5) აუდიტორული პროცედურების მიზნები მიღწეულია;
- 6) გამოტანილი დასკვნები გამომდინარეობს შესრულებული სამუშაოს შედეგებთან და ასაბუთებს აუდიტორულ დასკვნას.

საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს გაუქმების შემდეგ (2012 წლის 1 იანვარი), **ROSC –A&A - აღრიცხვისა და აუდიტის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ქართული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგების ხარისხი დაბალია** საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით, რომელიც არ იძლევა აქციონერებისათვის, ინვესტორებისა და კრედიტორებისათვის სასარგებლო ინფორმაციას ეფექტური მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად, კერძოდ: საქართველოში - „არსებითი რეფორმების გატარებაა საჭირო მთელ რიგ სფეროებში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოსაყვანად ევროკავშირების კანონების და ნორმატიული აქტების კრებულთან (Euarquis communautaire) კორპორაციული ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის სფეროში. კერძოდ: ა) მონიტორინგის და აღსრულების მექანიზმების მნიშვნელოვანი გაძლიერება სტანდარტებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად და ბ) აუდიტის საზოგადოებრივი ზედამხედველობისა და ხარისხის კონტროლის მექანიზმის შემოღება სავალდებულო აუდიტის ფუნქციის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის მხარდასაჭერად“.²⁸

შესაბამისად, ზემოთ აღნიშნულ ანგარიშში შემოთავაზებულია შემდეგი რეკომენდაციები არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, კერძოდ:

1) საქართველოში არსებული მარეგულირებელი ორგანოს (ორგანოების) აღჭურვა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმებითა და იძულებითი უზრუნველყოფის შესაბამისი უფლებამოსილებით.

2) სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმოების ფინანსური ანგარიშგების ცენტრალიზაცია უფლებამოსილების მქონე ერთ არსებულ ორგანოში;

3) ახალი ორგანოს შექმნა (ან არსებული ორგანოს განსაზღვრა), რომელიც იქნება სავალდებულო აუდიტის განმახორციელებელი აუდიტორების (აუდიტორული ფირმების) რეგულირებაზე ან/და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი კომპეტენტური ორგანო აუდიტის დირექტივის მოთხოვნის შესაბამისად;

28. „სტანდარტებისა (ROSC), 2015. გვ. 12-13.

4) მარეგულირებლების ინსტიტუციური შესაძლებლობების უწყვეტი ზრდა ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგის და უზრუნველყოფის მიზნით;

5) თანამშრობლობის გაძლიერება მთავრობასა და ბუღალტრული აღრიცხვის (აუდიტის) პროფესიულ ასოციაციებს შორის **ფასს-თან** შესაბამისობის ასამაღლებლად, აუდიტზე ხარისხის კონტროლის დასაწესებლად, სტანდარტების დროული თარგმნის უზრუნველსაყოფად და **უწყვეტი პროფესიული განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად;**

6) შესაბამისობის მარეგულირებელ ორგანოებში მექანიზმების მნიშვნელოვანი გაძლიერება სტანდარტებთან შესაბამისობაზე მონიტორინგის განსახორციელებლად და შეუსაბამობისათვის შესაბამისი სანქციების დასაწესებლად: ა) **ბუღალტრული აღრიცხვისათვის**- საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო და ბ) **აუდიტისათვის** - საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (საქართველოს ბაფი).

კვლევები მოწმობს, რომ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები - **ფასს**, დაახლოებით 120 სახელმწიფო და ანგარიშგების ორგანო კომპანიებს უფლებას აძლევს ან ავალდებულებს აღნიშული სტანდარტების დაცვას. აქედან დაახლოებით 90 სახელმწიფო სრულად იცავს ფასს-ს, სხვა ქვეყნები კი იყენებენ ეროვნულ სტანდარტებს, რომლებიც **მეტწილად ფასს-ს ეფუძნება.**²⁹

ამრიგად, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის და მისი მარწმუნებელი მომსახურების ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ინფორმაცია მენეჯერებსა და ინვესტორებს ეხმარება საინვესტიციო შესაძლებლობების განსაღწერასა და შეფასებაში, რომელიც საიმიედობითა და ანგარიშვალდებულებებით ხასიათდება, რაც ქმედუნარიანი საინვესტიციო ბაზრის ჩამოყალიბების წინაპირობად გვევლინება, ხოლო კარგად ინფორმირებული ბაზარი ქვეყანაში ბიზნეს საქმიანობის საუკეთესო რეგულატორად განიხილება, რომელიც მთლიანობაში ქვეყნის ერთობლივი ეროვნული პროდუქტის შექმნისა და განაწილების პროცესში.

29. www.ifrs.org უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 15.12.2014.

თავი 5. ბუღალტრის (აუდიტორის) პროფესიული განათლებისა და სერტიფიცირების რეგულირების სისტემის შეფასება საქართველოში

საქართველოში, თანამედროვე ეტაპზე, ბუღალტრის (აუდიტორის) პროფესია ერთ-ერთი ყველაზე ორგანიზებული და კარგად განვითარებულია პროფესიათა შორის. ამასთან, წარსული საქართველოს საბჭოური პერიოდისაგან განსხვავებით, საკმაოდ პრესტიჟული და ყველაზე მოთხოვნადი პროფესიაა. ბუღალტერთა პროფესიული დონის ამაღლებასა და, ზოგადად, ბუღალტრის პროფესიის განვითარებაში მნიშვნელოვანია აკადემიური სექტორის, პროფესიული და დონორი ორგანიზაციების როლი.

ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, საქართველოში პროფესიული მომსახურების ხარისხის საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობისათვის, მიზანშეწონილია ბუღალტერთა სერტიფიცირებასა და აკადემიურ განათლებასთან დაკავშირებული პრიორიტეტული საკითხების სრულყოფა.

ჩატარებული კვლევებიდან გამომდინარე ვასკვნით, რომ ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მარეგულირებელი ნორმატიულ-საკანონმდებლო ბაზის რეფორმების პერიოდში, **გამოიკვეთა ეტაპები:**

პირველი, რეგულირების ცენტრალიზებული (საბჭოთა) სისტემის საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებთან მისადაგების მცდელობა (1990-1994წ.წ), სადაც ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირება, ინერციის ძალით, საბჭოთა პერიოდის ნორმატიული აქტებით ხორციელდებოდა, ხოლო ამ პერიოდში მიღებული ცალკეული დებულებები და დადგენილებები ვერ პასუხობდა გარდამავალი საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს;

მეორე, საბაზრო ეკონომიკის პრინციპების შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის შექმნა (1995-1999წ.წ), როდესაც ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში **პირველად მოხერხდა** დამოუკიდებელი საკანონმდებლო ბაზის (საქართველოს კანონები „მეწარმეთა შესახებ“, „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“) [62; 64; 65] ჩამოყალიბება;

მესამე, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის მარეგულირებელი კანონების მოთხოვნების პრაქტიკაში დამკვიდრება და საკანონმდებლო ბაზის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებების ფორმირება (2000-2012წ.წ.). ამ ეტაპზე გამოკვეთილია საქართველოს პროფესონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციისა და დონორი ორგანიზაციების წვლილი ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრების სფეროში. პროფესიის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის პრაქტიკაში გამოყენების, საერთაშორისო გამოცდილებისა და **ევროდირექტივების** მოთხოვნების საფუძველზე, გამოვლენილია მარეგულირებელი **საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის აუცილებლობა.**

კვლევები უჩვენებს, რომ 2012 წ. 29 ივნისის „საქართველოს კანონის ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ [60] აკრედიტაციის მოთხოვნები არათანაბარ პირობებში აყენებს პროფესიულ-ორგანიზაციებს, რადგან ჩვენს ქვეყანაში ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრი დღეს მხოლოდ ერთი პროფესიული ორგანიზაციაა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა (საქართველოს ბაფი) ფედერაცია და იგი, მოცემული კანონის თანახმად, ავტომატურად არის აკრედიტებული, სხვა პროფესიულ ორგანიზაციებს აკრედიტაციის მისაღებად მოეთხოვებათ გარკვეული პროცედურების გავლა.

შესაბამისად, საკანონმდებლო რეგულირების არსებული სისტემა აუცილებლად საჭიროებს შესაბამის ცვლილებებს, სახელმწიფო ზედამხედველობის (მონიტორინგის) გაძლიერების თვალსაზრისით. ვინაიდან ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მომხმარებლები საზოგადოებრივი ინტერესების მქონე კომპანიებია, რომლებიც ანგარიშვალდებული არიან ფასიანი ქაღალდების კომისიასთან, მიზანშეწონილად არის მიჩნეული დამოუკიდებელი სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს შექმნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ან ფასიანი ქაღალდების კომისიასთან, რომლის ფუნქციონირება უზრუნველყოფს აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციების დაქვემდებარებას ეფექტურ ზედამხედველობასთან.

საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, საზედამხედველო ორგანოს წევრების უმრავლესობას უნდა წარმოადგენდეს ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის ინფორმაციის ძირითადი მომხმარებელი სტრუქტურები, როგორცაა: საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისია, ეროვნული ბანკი, ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი.

თანამედროვე ეტაპზე, საქართველოში ხარისხიანი პროფესიული მომსახურების უზრუნველსაყოფად, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია პროფესიული განათლებისა და სერტიფიცირების პროცესის საკანონმდებლო რეგულირების საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით სრულყოფა.

საქართველოში სერტიფიცირების პროცესის რეგულირების კვლევის პერიოდში გამოიკვეთა სამი ეტაპი, კერძოდ:

პირველი ეტაპი (1995-2020 წ.წ.) სერტიფიცირების მარეგულირებელი ნორმის მიღება და ადგილობრივი სასერტიფიკაციო პროგრამების შექმნა;

მეორე ეტაპი (2000-2008 წ.წ.), სერტიფიცირების სახელმწიფო რეგულირებისა და თვითრეგულირების პრინციპების დამკვიდრება და სერტიფიცირების საერთაშორისო პრაქტიკაზე გადასვლა;

მესამე ეტაპი (2008-2012 წ.წ.), საკანონმდებლო ბაზის განახლება და სერტიფიცირების ერთიანი წესების შემოღება.

ქვეყანაში პროფესიული განათლებისა და სერტიფიცირების პრაქტიკის შეფასება-ანალიზიდან ვაკვნიტ, რომ ძირითად პრობლემას აუდიტორისა და პროფესიონალი ბუღალტრის განსხვავებულ პროფესიებად დამკვიდრება და მათი კვალიფიკაციის მოთხოვნებში შეუსაბამობები წარმოადგენდა. მოქმედმა საკანონმდებლო ნორმებმა გააღრმავა სერტიფიცირების ორ განსხვავებულ მიდგომას: ა) აუდიტორთა ატესტაცია და ბ) ბუღალტერთა პროფესიული სერტიფიცირება შორის წინააღმდეგობები, რომელსაც ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ აუდიტორული საქმიანობის ბაზარზე საქართველოს ბაზის სერტიფიცირებულ პროფესიონალებზე მოთხოვნის ზრდის პროპორციულად, აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ ატესტაცია გავლილი აუდიტორების მიმართ ნდობა მცირდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“-29.06.2012 წ. [60] მნიშვნელოვანი ნაწილი პროფესიული სერტიფიცირებისა და კვალიფიკაციის აღიარების რეგულირებას ეთმობა, კერძოდ:

ახალი ნორმებით მოიხსნა წინააღმდეგობები აუდიტორისა და პროფესიონალი ბუღალტრის საკვალიფიკაციო მოთხოვნებში, დაკანონდა განათლებისა და სერტიფიცირების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების სავალდებულობა, გაიწერა პროფესიული საქმიანობის ხარისხის კონტროლის შემოწმების პროცედურები და სხვა, კვლევის შედეგად იკვეთება პროფესიული სერტიფიცირებისა და კვალიფიკაციის აღიარების რეგულირების პრობლემები, რომლებიც საკანონმდებლო ცვლილებებს საჭიროებს. კერძოდ:

1. სერტიფიცირებული პირები კატეგორიებადაა დაყოფილი – „სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტერი“ და „სერტიფიცირებული ბუღალტერი“, რაც არამართებულად მიგვაჩნია, რადგან აღნიშნული მიდგომა წინააღმდეგობაში მოდის მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკასთან;

2. პროფესიონალ ბუღალტრად აღიარებისათვის საქართველოში დადგენილია საქართველოს ბაზის პროფესიული სერტიფიცირების ეკვივალენტური პროგრამით სერტიფიცირება. სხვა ქვეყნის პროფესიონალი ბუღალტრის აღიარებისათვის ეკვივალენტური განათლების მოთხოვნა, ხშირ შემთხვევაში, შექმნის პრობლემებს, რადგან საქართველოში აუდიტორულ საქმიანობას ეწევა მსოფლიოში აღიარებული უცხოური აუდიტური კომპანიები, რომლებსაც „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს კანონით [60] მოეთხოვებათ, ჰყავდეთ აღიარებული პროფესიონალი ბუღალტრები.

3. აუდიტორთა რეესტრი 2 ტიპისაა და ითვალისწინებს სავალდებულო და არასავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე აუდიტური კომპანიების ცალ-ცალკე რეგისტრაციას რეესტრის დაყოფა კატეგორიებად არასწორია, რადგან კომპანიის

სიდიდის მიუხედავად, აუდიტორული პროცედურები არ განსხვავდება ერთიმეორისაგან. ამასთან, აუდიტის სტანდარტები ერთი და იგივეა ყველა კომპანიისთვის, მისი სიდიდის მიუხედავად;

ამრიგად, საქართველოში თანამედროვე ეტაპზე ჩამოყალიბებული საკანონმდებლო ბაზის (ძირითადად, საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“) ანალიზით, გამოვლინდა პროფესიის რეგულირების სრულყოფის აუცილებლობა. „რომელიც მაღალ აკადემიურ დონეზე აქვს შემოთავაზებული გამოჩენილ ქართველ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის თეორიებისა და პრაქტიკის პარტრიაქს, საქართველოს ბაფ-ის აღმასრულებელ დირექტორს, ბატონ ლავრენტი ჭუმურიძეს. [102]

ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პრაქტიკის ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ პროფესიული მომსახურებისა და ფინანსური ანგარიშგების სანდოობის ხარისხი დამოკიდებულია დასაქმებული ბუღალტრების (აუდიტორების) კვალიფიკაციაზე.

ამრიგად, ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის რეგულირების სრულყოფაში მნიშვნელოვანია განათლების, პროფესიული სერტიფიცირებისა და კვალიფიკაციის აღიარების განმსაზღვრელი საკანონმდებლო ნორმების სრულყოფა. შესაბამისად, „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ (2012 წლის 29 ივნისის) განსაზღვრული პროფესიული სერტიფიცირების წესები და სერტიფიცირებული პირების პროფესიული მომსახურების სფეროების განსაზღვრა საჭიროებს სრულყოფას (იხ. ნახ.1.9), კერძოდ:

ნახ.1.9. პროფესიული სერტიფიცირებისა და მომსახურების სრულყოფის სქემა

1.

საზოგადოებრივი ინტერესის მქონე, სავალდებულო აუდიტს დაქვემდებარებული, კომპანიების ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის საანდოობის ხარისხის ამაღლების უზრუნველყოფა

2.

სერტიფიცირებული პირების დაყოფა კატეგორიებად, აუდიტორთა რეესტრის გამიჯნვის მიზნით

3.

სერტიფიცირებული პირების დაყოფა კატეგორიებად, აუდიტორული მომსახურების სფეროების განსაზღვრის მიზნით

4.

საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ სერტიფიცირებული პირებისათვის საქმიანობის სფეროს შეზღუდვა

5.

პროფესიული სერტიფიცირებისა და კვალიფიკაციის აღიარების პროცესზე მონიტორინგი

1. „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის“ მე-4 პუნქტის ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით ჩატარება. ასეთი კომპანიებისათვის სავალდებულო აუდიტის ჩატარების მოთხოვნა განპირობებულია იმით, რომ ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის ეკონომიკაში და მათი ფინანსური მდგომარეობის შესახებ ხარისხიან და სანდო ინფორმაციას გადასწვები მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისათვის. ამიტომ მიზანშეწონილია საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებას, ხელისმწიერით, ადასტურებდეს სერტიფიცირებული ბუღალტერი. შესაბამისად, „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 თავის მე-4 მუხლს „ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება“ უნდა დაემატოს ახალი პუნქტი, შემდეგი რედაქციით: „სავალდებულო აუდიტს დაქვემდებარებული (საზოგადოებრივი ინტერესის მქონე) კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას ადგენს და ხელს აწერს სერტიფიცირებული ბუღალტერი“.

2. სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში რეგისტრაციის უფლების მოსაპოვებლად, „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის („აუდიტის ჩატარების უფლებამოსილების მინიჭება“) შესაბამისად, აუდიტურ კომპანიას დასაქმებული უნდა ჰყავდეს სულ ცოტა 1 სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტერი. სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების არმქონე პირთა რეესტრში რეგისტრაციისათვის მოეთხოვებათ, დასაქმებული ჰყავდეთ სულ ცოტა 1 სერტიფიცირებული ბუღალტერი. არამართებულია, აუდიტორთა რეესტრის წარმოება დამოკიდებული იყოს სერტიფიცირებული პირების კვალიფიკაციაზე, რადგან სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრში შეყვანის საფუძველი უნდა იყოს აუდიტური კომპანიების პროფესიული მომსახურების ხარისხის კონტროლის შემოწმების შედეგები და არა ბუღალტერთა სერტიფიკატები. მიზანშეწონილია „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის

შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლში [60] „აუდიტის ჩატარების უფლებამოსილების მინიჭება“ – განხორციელდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილება.

3. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ ამკვიდრებს სერტიფიცირებული პირების ორ კატეგორიას: „სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტერი“ (მუხლი 2, პუნქტი „ლ“) და „სერტიფიცირებული ბუღალტერი“ (მუხლი 2, პუნქტი „მ“). [60]

ორივე კატეგორიის სერტიფიცირებულ პირს ენიჭება აუდიტორული საქმიანობის უფლება, იმ განსხვავებით, რომ „სერტიფიცირებულ ბუღალტერს“ უფლება არა აქვს ჩაატაროს სავალდებულო აუდიტი. მსოფლიო პრაქტიკით აუდიტორი ჰქვია ყველა სერტიფიცირებულ პირს, იმის მიუხედავად, რომელ სფეროსა თუ სეგმენტშია კომპეტენტური და აღნიშნული საკითხი ბსფ-ის „პროფესიული მომსახურების ხარისხის კონტროლის სტანდარტებით“ რეგულირდება. შესაბამისად, მიზანშეწონილია საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, რომლის შედეგად გაუქმდება აუდიტორების კატეგორიებად დაყოფა და აუდიტის ბაზარზე საქმიანობის თანაბარი უფლება მიეცემა ყველა სერტიფიცირებულ პირს.

4. საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ სერტიფიცირებულ პირებს უფლება აქვთ, რეგისტრირებულ იყვნენ მხოლოდ სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების არმქონე პირთა რეესტრში (საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ მუხლი 16–3). ვინაიდან ასეთი შეზღუდვა შეიცავს დისკრიმინაციის ელემენტებს, მიზანშეწონილია კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტში შეტანილ იქნეს ცვლილებები - აუდიტის ბაზარზე აუდიტორთა „ადგილის“ განსაზღვრის საფუძველი უნდა იყოს მხოლოდ „პროფესიული მომსახურების ხარისხის კონტროლის შემოწმების“ შედეგები. რამდენადაც, საქართველოში აკრედიტაცია მიღებული აქვს მხოლოდ ერთ პროფესიული ორგანიზაციას (საქართველოს ბაფი), მიზანშეწონილია აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციების საქმიანობაზე მონიტორინგი განხორციელდეს სახელმწიფო საზედამხედველო ორგანომ. შესაბამისად, პროფესიული სერტიფიცირებისა და კვალიფიკაციის აღიარების პროცესის მონიტორინგის მექანიზმები კანონმდებლობით უნდა იყოს განსაზღვრული.

5. ბუღალტერთა სერტიფიცირებისა და აკადემიურ განათლებასთან დაკავშირებული საკითხების პრიორიტეტულ საკითხებად იკვეთება, რომ საქართველოში ბუღალტერთა (აუდიტორთა) პროფესიული სერტიფიცირების პროგრამა მოიცავს 14 საგამოცდო საგანს (წიგნს) და ითვალისწინებს როგორც ეკონომიკური, ასევე არაეკონომიკური პროფილის უმაღლესი განათლების მქონე პირების გადამზადებას (გადამზადებისა და სერტიფიცირების მინიმალური ვადა 3.5 წელია).

პრაქტიკა მოწმობს, რომ ბუღალტერთა სერტიფიცირება შესაძლებელია მხოლოდ ბრიტანეთის სერტიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის პროგრამით (ACCA)³⁰ და ერთი ორგანიზაციის (საქართველოს ბაფი) მიერ. შესაბამისად, მიზანშეწონილია შემუშავდეს სერტიფიცირების **ალტერნატიული პროგრამა** იმ პირებისათვის, რომლებსაც აქვთ ეკონომიკური განათლება, მუშაობენ ბუღალტრებად და მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება გააჩნიათ.

საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ სერტიფიცირებული აუდიტორების საქმიანობის უფლება შემოფარგლულია მხოლოდ **არასავალდებულო აუდიტის ჩატარებით** და მათი სერტიფიკატების მოქმედების ვადა **შეზღუდულია 5 წლით**. ასეთი სერტიფიკატის მქონე აუდიტორებს მოეთხოვებათ საქართველოს ბაფის ზემოთ აღნიშნული პროფესიული სერტიფიცირების პროგრამის (ACCA) ყველა გამოცდის ჩაბარება. ამ პირების პრაქტიკული გამოცდილების, აუდიტის ბაზარზე პროფესიონალი ბუღალტრების მცირე რაოდენობის, საკითხისადმი სამართლებრივი მიდგომისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია მოცემული აუდიტორებისათვის, საკანონმდებლო დონეზე, განისაზღვროს **სერტიფიცირების ალტერნატიული პროგრამა**.

საქართველოს კანონმდებლობით, სხვა ქვეყნის სერტიფიცირებული პირის ფინანსური ანგარიშგების სავალდებულო აუდიტის ბაზარზე დაშვება შესაძლებელია, თუ იგი სერტიფიცირებულია საქართველოს ბაფის განათლების დებულებით განსაზღვრული მოთხოვნების ეკვივალენტური წინასაკვალიფიკაციო პროგრამით. **პროფესიონალ ბუღალტრად აღიარებისათვის** სხვადასხვა ქვეყანაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს განათლების განსხვავებული პროგრამები,

რომლებიც დაფუძნებულია ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის განათლების სტანდარტებზე და აუცილებელი არ არის ეს პროგრამები სრულ შესაბამისობაში იყოს საქართველოში მოქმედი სერტიფიცირების პროგრამასთან (ACCA). ქვეყნის პროფესიონალი ბუღალტრის კვალიფიკაციის აღიარების მარეგულირებელი ნორმები უნდა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს ისეთი ფორმით, რომ სხვა ქვეყნის პროფესიონალი ბუღალტრის კვალიფიკაციის აღიარების დამატებით პირობად განისაზღვროს:

30. ACCA Targmnili საქართველოს ბაფი-ს მიერ. 2010წ.

1. სახელმწიფო (ქართული) ენის ცოდნა;
2. საქართველოს ბიზნეს სამართლისა და
3. საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცოდნა.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში თანამედროვე ეტაპზე ბუღალტრის (აუდიტორის) პროფესიული განათლებისა და სერტიფიცირების რეგულირების მოთხოვნები ეფუძნება ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (ბსფ - IFAC) და უცხოელი პარტნიორების მიერ რეკომენდირებული ინგლისისა და უელსის ნაფიც სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ასოციაციის - ACCA პროგრამას (როგორც ინგლისურს, ასევე ადაპტრებულ ქართულენოვანს). ACCA პროგრამის საერთაშორისო აღიარებისა და პრაქტიკაში მოპოვებული პოპულარობის მიუხედავად, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისა და სფეროებში არსებული პრობლემების გამოვლენა და ეკონომიკის გლობალიზაციის ბუღალტრის პროფესიული განათლების სფეროში არსებული რეალობის შეფასებიდან გამომდინარე, აქტუალურია საქართველოში ბუღალტრის (აუდიტორის) პროფესიული სწავლების სერტიფიცირების და კვალიფიკაციის აღიარების პირობებში ბუღალტრის პროფესიული დონის ამაღლებისა და მომსახურების ხარისხის საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობის მარეგულირებელი მექანიზმის შემოთავაზება, რომელიც ფრიად მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის, რათა გააძლიეროს თანამშრომლობა ევროპასთან პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და უსაფრთხოების საკითხებში და სარგებელი მიიღოს ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობიდან. [78]

საქართველოში ბუღალტერთა პროფესიული სერტიფიცირების პროგრამისა (ACCA) და ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში განათლების პროგრამების ანალიზმა გვიჩვენა, რომ მათ შორის განსხვავება მნიშვნელოვანია, როგორც საგნობრივი, ასევე თემატური თვალსაზრისით. პროფესიული სერტიფიცირებისა და აკადემიური სექტორის განათლების პროგრამებში მნიშვნელოვანი განსხვავებების გამო, ამჟამად, საქართველოს ბაფი არ ათავისუფლებს პროფესიული სერტიფიცირების პროგრამის მონაწილეებს იმ საგნებისაგან, რომლებიც მოითხოვება სერტიფიცირების პროგრამით.

ბუღალტერთა განათლების პროგრამების სრულყოფისა და დაახლოების მიზნით, მიზანშეწონილია ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პროფილის აკადემიური სექტორის განათლების პროგრამებში გათვალისწინებულ იქნეს საქართველოს ბაფის სერტიფიცირების პროგრამის ძირითადი მოთხოვნები, ცალკეული დისციპლინების (საგნების) მიხედვით. ასევე, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პროფილის მიმართულების აკადემიური სექტორის ბაკალავრიატის პროგრამებში ისწავლებოდეს მცირე და საშუალო საწარმოების ფასს და ასს, ხოლო მსხვილი კორპორაციების ფასს და ასს გათვალისწინებულ იქნეს მაგისტრატურის პროგრამაში.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, შემოთავაზებულია პროფესიული სერტიფიცირებისა და კვალიფიკაციის აღიარების სრულყოფის სამოქმედო გეგმის პროექტი (იხ. ნახ.1.10):

პროფესიული სერტიფიცირებისა და კვალიფიკაციის აღიარების სრულყოფის სამოქმედო გეგმის პროექტი (იხ. ნახ.1.10):

ა) საკანონმდებლო მარეგულირებელი ნორმები

ნახაზი 1.10

საკითხები	ღონისძიებები	რესურსები	მიღებული შედეგი
<p>საკანონმდებლო ცვლილებები: ა) საზოგადოებრივი ინტერესის მქონე კომპანიების ფინანსური ანგარიშგების წარდგენის წესებში;</p> <p>ბ) ბუღალტერთა სერტიფიცირებისა და პროფესიული მომსახურების სფეროების განსაზღვრის საკანონმდებლო ნორმებში;</p> <p>გ) პროფესიული სერტიფიცირების პროცესზე სახელმწიფო ზედამხედველობის წესებში.</p>	<p>პროცედურები:</p> <p>ა) „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების პროექტის მომზადება;</p> <p>ბ) ცვლილების პროექტის საჯარო განხილვა: პროფესიის, აკადემიური სექტორის, ბიზნესისა და პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მონაწილეობით;</p> <p>გ) ცვლილების პროექტის პარლამენტში შეტანა და ლობირება.</p>	<p>ა) ინტელექტუალური რესურსი: პროფესიონალთა მუშა ჯგუფი, ბიზნესმენტა ჯგუფი, საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისია, ლობირების ჯგუფი, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი;</p> <p>ბ) ფინანსური რესურსი: აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია (საქართველოს ბაფი) პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი;</p>	<p>განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე:</p> <p>ა) საზოგადოებრივი ინტერესის მქონე (მსხვილი) კომპანიების ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის სანდოობის ამაღლება;</p> <p>ბ) ბუღალტერთა სერტიფიცირების ერთიანი წესები და სწორად განსაზღვრული პროფესიული მომსახურების სფეროები;</p> <p>გ) პროფესიული სერტიფიცირების პროცესზე გაძლიერებული სახელმწიფო ზედამხედველობა.</p>

ბ) პროფესიული სერტიფიცირებისა და აკადემიური განათლების პროგრამები

საკითხები	ღონისძიებები	რესურსები	მიღებული შედეგი
-----------	--------------	-----------	-----------------

<p>ბუღალტერთა პროფესიული სერტიფიცირების ალტერნატიული პროგრამები:</p> <p>ა) ეკონომიკური განათლებისა და პრაქტიკის მქონე პირებისათვის;</p> <p>ბ) პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ სერტიფიცირებული აუდიტორებისათვის;</p> <p>ბუღალტრული აღრიცხვის პროფილის უმაღლესი სასწავლებლისა და საქართველოს ბაზის თანამშრომლობა.</p>	<p>ა) პროფესიული სერტიფიცირების ალტერნატიული პროგრამების პროექტების შექმნა;</p> <p>ბ) პროგრამების პროექტების განხილვა პროფესიულ წრეებში;</p> <p>გ) ალტერნატიული პროგრამების შესაბამისად სერტიფიცირებისა და კვალიფიკაციის აღიარების წესების განსაზღვრა.</p> <p>ა) ბუღალტრული აღრიცხვის პროფილის უმაღლესი სასწავლებლების განათლების პროგრამების დაახლოება პროფესიული სერტიფიცირების (ACCA) პროგრამასთან;</p> <p>ბ) განახლებული პროგრამების შესა-</p>	<p>საქართველოს ბაზი, პროფესიული ორგანიზაციები, აუდიტორი კომპანიები, საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისია.</p> <p>ინტელექტუალური რესურსი:</p> <p>უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელები და პროფესორ-მასწავლებლები, საქართველოს ბაზი.</p> <p>მატერიალური რესურსი:</p> <p>სერტიფიცირების პროგრამის (ACCA)</p> <p>ქართულენოვანი ლიტერატურა, დონორი ორგანიზაციები, საქართველოს ბაზი.</p>	<p>ა) სერტიფიცირების ალტერნატიული პროგრამები;</p> <p>ბ) სერტიფიცირების წესებში დისკრიმინაციული ელემენტების აღმოფხვრა;</p> <p>გ) პროფესიული მომსახურების ბაზარზე სერტიფიცირებული პირების რაოდენობის გაზრდა და შესაბამისად, კონკურენტული გარემოს გაუმჯობესება.</p> <p>ა) უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულების განთავისუფლება გამოცდებისაგან, პროფესიული სერტიფიცირების პირველ ეტაპზე;</p> <p>ბ) უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროგრამების გაუმჯობესებული ხარისხი;</p> <p>გ) მომსახურების ბაზარზე სერტიფიცირებული პირების</p>

	ბამისისახელმძღვა- ნელო ლიტერატურის შექმნა.		რაოდენობის გაზრდის ხელშეწყობა.
--	--	--	-----------------------------------

სადაც, პროფესიული სერტიფიცირებისა და კვალიფიკაციის აღიარების სრულყოფის საკითხები მოიცავს „როგორც საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას, ასევე აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციებისა და აკადემიური სექტორის განათლების პროგრამების სრულყოფას, მათი დაახლოების მიმართულებით.

ამრიგად, საქართველოში ბუღალტრის (აუდიტორის) პროფესიული განათლებისა და აღიარების პრაქტიკის შეფასებით თანამედროვე ეტაპზე ბუღალტრის (აუდიტორის) პროფესია ერთ-ერთი ყველაზე ორგანიზებული და კარგად განვითარებულია საბაზრო პროფესიათა შორის. ამასთან საკმაოდ პრესტიჟული და ყველაზე მოთხოვნადი პროფესიაა, რომლის განვითარებაში მნიშვნელოვანია აკადემიური სექტორის, პროფესიული და დონორი ორგანიზაციების როლი. აღნიშნულის მიუხედავად, პროფესიული მომსახურების ხარისხის საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობის მისაღწევად და ბუღალტერთა სერტიფიცირებისა და აკადემიურ განათლებასთან დაკავშირებული მექანიზმების სრულყოფის მიზნით მნიშვნელოვანია საქართველოში არსებული პროფესიული განათლების სფეროსპრობლემების გამოსავლენად მისი საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობის ანალიზის შეფასება.

შესაბამისად, საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის რეგულირების სისტემის პრაქტიკაში გამოყენების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე ჩამოყალიბდა რეგულირების მექანიზმის შემდგომი სრულყოფის აუცილებლობიდან გამომდინარე პრიორიტეტული ღონისძიებები და ნორმატიული საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესების რეკომენდაციების შემოთავაზების მოთხოვნა აკადემიური განათლების სფეროში, რომელიც შეესაბამება მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მიერ ანგარიშის ROSC-აღრიცხვისა და აუდიტის სტანდარტების და კოდექსების შესრულების შესახებ რეკომენდაციებს გასაუმჯობესებელი სფეროების ჭრილში. მათი პრაქტიკის შეფასებიდან იკვეთება ბუღალტრის (აუდიტორის) აკადემიური განათლებისა და სერტიფიცირების მექანიზმის პრიორიტეტული მიმართულებები საქართველოში, კერძოდ:

ა) ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის რეგულირებაში პროფესიული ორგანიზაციების ფუნქციების გათვალისწინებით, საკანონმდებლო ცვლილებებით დადგინდეს აკრედიტაციის ერთიანი პირობები ყველა პროფესიული ორგანიზაციისათვის;

ბ)საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბდეს პროფესიის მარეგულირებელი ერთიანი სახელმწიფო საზედამხედველო სტრუქტურა. ასეთი მიდგომა გაამარტივებს მოცემული სფეროს რეგულირებას და შექმნის ისეთ ინსტიტუციურ სისტემას, რომელიც უფლებამოსილებათა დაბალანსების პრინციპის მიხედვით დაფუძნებული იქნება, ერთი მხრივ, პროფესიული ორგანიზაციების მიერ ბუღალტერთა და აუდიტორთა საქმიანობის პროფესიულ რეგულირებასა და ხარისხის კონტროლზე და, მეორეს მხრივ, სახელმწიფო ორგანოს მიერ პროფესიული ორგანიზაციების საქმიანობის საზოგადოებრივ ზედამხედველობასა და მონიტორინგზე;

გ) „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამის (მე-3 და მე-5) მუხლებში შეტანილ იქნეს ცვლილებები, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს ქართულ ენაზე სტანდარტების თარგმნის უწყვეტი პროცესის მიღწევას და გაზრდის გამოყენებული სტანდარტების შესაბამისობას მოქმედ საერთაშორისო სტანდარტებთან;

დ)პროფესიული სერტიფიცირების მოქმედი პროგრამის (ACCA) ხანგრძლივობისა და მაღალი ღირებულების გამო, მიზანშეწონილია არსებობდეს სერტიფიცირების ალტერნატიული პროგრამა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ბუღალტერთა უფრო ფართო წრისათვის;

ე) რეკომენდებულია ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პროფილის აკადემიური სექტორის განათლების პროგრამებში გათვალისწინებული იქნეს საქართველოს ბაზის სერტიფიცირების პროგრამის ძირითადი მოთხოვნები ცალკეული დისციპლინების მიხედვით. აგრეთვე, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პროფილის აკადემიური სექტორის ბაკალავრიატის განათლების პროგრამებში ისწავლებოდეს მცირე და საშუალო საწარმოების ფასს, ხოლო მსხვილი კორპორაციების ფასს გათვალისწინებულ იქნეს მაგისტრატურის პროგრამაში;

ვ) მიზანშეწონილია პროფესიული სერტიფიცირების პროგრამაში ჩათვლების სისტემის შემოღება შესაბამისი პროფილის უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულებისათვის;

ზ) აუდიტური კომპანიების საქმიანობის ხარისხის კონტროლის ზედამხედველობა (კანონი მე-8 მუხლი) დაეფუძნოს ევროსაბჭოს შესაბამისი დირექტივის 32-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტებს. აუცილებელია ასევე კანონში ცალკე მუხლის – „დისციპლინარული მოკვლევა და სანქციები“ – დამატება.

წინამდებარე, სამეცნიერო ნაშრომში გაანალიზებულია თანამედროვე ეტაპზე საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროების საერთაშორისო პრაქტიკასთან ჰარმონიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი - **ბუღალტრის**

(აუდიტორის) პროფესიული სერთიფიცირებისა და კვალიფიკაციის აღიარების სფეროში არსებული პრობლემები და შესაბამისად შემოთავაზებულია საქართველოში ბუღალტრის (აუდიტორის) აკადემიური განათლებისა და სერთიფიცირების მექანიზმის პრიორიტეტული მიმართულებები, რომელიც მოიცავს კონკრეტულ რეკომენდაციებსა და ღონისძიებებს საერთაშორისო პრაქტიკის, მსოფლიო ბანკისა და ევროდირექტივების მოთხოვნების შესაბამისობაში, საქართველოში პროფესიული განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის შემდგომი განვითარებისთვის მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში ეფექტიანი საქმიანობის უზრუნველსაყოფად.

თავი 6. ეკონომიკური სუბიექტის (კორპორაციის) საქმიანობის კომპლექსური ანალიზი

ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს გავლენის მოხდენა ეკონომიკაში ერთობლივი მოთხოვნის დონეზე, რომელ ის ამა თუ იმ ხარისხის ცვლილებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მეწარმეობის (ბიზნესის) ყველა ფორმაზე. ასევე, ფისკალური პოლიტიკაში საგადასახადო განაკვეთებში ან დაბეგვრის

სტრუქტურაში შესაბამისი ცვლილებები აისახება კომპანიის (ფირმის) საქმიანობაზე. მაგალითად, ცვლილებები მომუშავეთა სახელმწიფო დაზღვევის გადასახადებში შეიძლება პირდაპირ აისახოს ყველა საწარმოს სამუშაო ძალის დანახარჯებზე. ხოლო, **მონეტარული პოლიტიკაში**(გულისხმობს ცვლილებებს საპროცენტო განაკვეთებში) ეს ცვლილებები ეკონომიკურ ორგანიზაციებზე (ფირმებზე) უშუალო გავლენას მოახდენს ორი მიმართულებით:

- 1) შეიცვლება სესხების მომსახურების ღირებულება, განსაკუთრებით იმ ფირმებისათვის, რომელთაც ნასესხები სახსრების დიდი წილი გააჩნია და
- 2) ზეგავლენა მოხდება ინვესტიციების სიცოცხლის უნარიანობაზე, რადგან ინვესტიციების შეფასების ყველა მოდელში ჩართულია საპროცენტო განაკვეთი. შესაბამისად, **მონეტარულ პოლიტიკაში ცვლილებები** გავლენას ახდენს:

ა) **ფინანსების ხელმისაწვდომობაზე**. საბანკო სისტემების ან კანონმდებლობის მეშვეობით ამოქმედებული საკრედიტო შეზღუდვები ამცირებს სესხების რაოდენობას. ამან შეიძლება გააძნელოს ფინანსების მოძიება მცირე და საშუალო საწარმოებისათვის. მსგავსი შეზღუდვების საშიშროება მომავალში გავლენას მოახდენს კომპანიების მიერ ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებაზე, რაც აიძულებს მათ პროექტებისთვის გრძელვადიანი დაფინანსება;

ბ) **დაფინანსების ღირებულებაზე**. ფულად მასაზე დადგენილი ნებისმიერი შეზღუდვა ან საკრედიტო შეზღუდვები გაზრდის **კრედიტის** ღირებულებას, რის გამოც მრავალმა საინვესტიციო პროექტმა შეიძლება დაკარგოს მიზანშეწონილობა, ხოლო კომპანიის გაფართოება არახელსაყრელი აღმოჩნდება. ასევე, საპროცენტო განაკვეთების დონის ნებისმიერი ზრდა მიგვიყვანს აქციების მფლობელთა მოთხოვნილი უკუგების განაკვეთის გაზრდასთან და ამიტომ, თუ კომპანიები ვერ მოახერხებენ გაზარდონ უკუგების განაკვეთი საპროცენტო განაკვეთების ზრდის შესაბამისად, აქციის ფასი დაეცემა. ბუნებრივია, “შეზღუდული” ფულისა და პროცენტის მაღალი განაკვეთების პერიოდში, ნაკლებად სავარაუდოა, რომ კომპანიები ისესხებენ ფულს და მოსალოდნელია, შეამცირონ თავიანთი ოპერაციები გაზრდის ნაცვლად;

გ) **სამომხმარებლო მოთხოვნის დონეზე**. საკრედიტო კონტროლისა და მაღალი საპროცენტო განაკვეთების პერიოდში სამომხმარებლო მოთხოვნა მცირდება. ცალკეული მეწარმისათვის ძნელი და ძვირი ხდება სესხის აღება მოთხოვნათა დასაფინანსებლად მაშინ, როდესაც დაზოგვა გაცილებით მიმზიდველი ხდება. ეს არის კომპანიების მიერ ოპერაციების შემცირების შემდეგი მიზეზი.

დ) **ინფლაციის ტემპზე**. მონეტარული პოლიტიკა ხშირად გამოიყენება ინფლაციის გასაკონტროლებლად. ფასების დონის ზრდა და გაურკვეველობა ინფლაციის მომავალი დონის მიმართ, გაცილებით დიდ პრობლემებს ქმნის ფინანსური გადაწყვეტილებების


მიღებისას. რამდენადაც ფასები სხვადასხვა საქონელზე იცვლება სხვადასხვა ხარისხით, კომპანიისა და მისი პროექტების წარმატება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული შესყიდვების, გაყიდვების, სესხის აღებისა და ვალების დაფარვისათვის დროის შერჩევაზე;

ე) გაცვლით კურსზე. მონეტარული პოლიტიკა, რომელიც მიმართულია შიდა საპროცენტო განაკვეთების აწევაზე, ალბათ გაზრდის გაცვლით კურსს, რადგანაც ხორციელდება ქვეყანაში კაპიტალის მოზიდვა. ამჟამად, მრავალ კომპანიას საქმე აქვს უცხოელ მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან და ამიტომაც არ შეუძლიათ უფულებელყონ გაცვლითი კურსების მომავალი მოძრაობის ეფექტი.

ამრიგად, კორპორაციის ფინანსურ მენეჯერის პრაქტიკულ საქმიანობაში მნიშვნელოვანია კორპორაციის (საწარმოს) სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის **ეკონომიკური ანალიზის მეთოდოლოგიაში [43]** გათვითცნობიერება, ანალიზის ჩატარების მეთოდის ცოდნა ბიზნეს საქმიანობის ეკონომიკური ეფექტიანობის პოზიციებიდან შესაფასებლად და დასაბუთებული ოპტიმალური გადაწყვეტილებების მისაღებად.

სამეწარმეო საქმიანობის ანალიზის **ობიექტებია** საწარმოს საქმიანობის ყველა მხარე: პროდუქციის, სამუშაოების (მომსახურების) წარმოება და რეალიზაცია; დანახარჯები წარმოებასა და რეალიზაციაზე, მოგება, რენტაბელობა და საფინანსო მდგომარეობა; საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების; მეცნიერებისა და ტექნიკის უახლოესი მიღწევების დანერგვის; ენერჯის დანახარჯის პროგრესული ნორმების; მომჭირნეობის რეჟიმის დაცვა და ა.შ.

კომპანიის (ფირმის) საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი წარმოადგენს მართვის ერთ-ერთ მთავარ **ფუნქციას**. მართვის სისტემა მოიცავს შემდეგ ურთიერთდაკავშირებულ ფუნქციებს, რომელიც შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სქემით



naxazi 1,4 marTvis sistemis sqema

კორპორაციის ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის **ამოცანები** გამომდინარეობს ანალიზის მიზნებიდან. ანალიზის პროცესში, რომელიც წარიმართება ეკონომიკური ინფორმაციის სისტემის მაჩვენებელთა შესწავლა-შეფასებით, გამოვლინდება ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ზემოქმედება კომპანიების სამეურნეო პროცესებისა და საქმიანობის საბოლოო შედეგებზე. ქართველ და უცხოელ მეცნიერთა შრომებში ფართოდ არის გაშუქებული სამეურნეო საფინანსო საქმიანობის ანალიზის მეცნიერული საფუძვლები, ანალიზის ჩატარების ძირითადი პრინციპები და თავისებურებანი. წინამდე-

ბარე ნაშრომში მოკლედ განვიხილავთ სამეურნეო საქმიანობის კომპლექსურ ანალიზის მახასიათებლებს რომლებიც გამომდინარეობენ ეკონომიური ანალიზის ძირითადი მიზნებისა და ამოცანებიდან. კერძოდ:

1) კორპორაციის სამმართველო ინფორმაციების ანალიზის პროცესში:

- _ კორპორაციის ბიზნეს-გეგმების (პროგრამების) და მათთან დაკავშირებული ნორმატივების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დადგენა,
- _ საწარმოო პროგრამების შესრულების მიმდინარეობის ობიექტური ოპერაციული შეფასება,
- წარმოების დანახარჯების სტრუქტურის დადგენა და მათი ფუნქციონალური და ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ანალიზის ჩატარება,
- _ მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების რაციონალური გამოყენების შეფასება,
- _ სუბიექტის შინაგანი ფარული რეზერვების გამოვლენა-გაზომვა და მათი გამოსაყენებლად ქმედითი ღონისძიების დასახვა და პრაქტიკაში დანერგვა.

2) კორპორაციის ფინანსური ანგარიშგების ანალიზის პროცესში:

- _ ბალანსის მონაცემების საფუძველზე გრძელვადიანი და მიმდინარე აქტივების მდგომარეობის დადგენა და მათი ცვალებადობის კოეფიციენტების განსაზღვრა,
- _ დებიტორული და კრედიტორული დავალიანების დინამიკის გამოკვლევა,
- _ მოგება-ზარალის მაჩვენებლების ცვალებადობაზე მოქმედი ფაქტორების დადგენა და მათი გავლენის შეფასება,
- _ საწარმოს საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შეფასება,
- _ ფულადი სახსრების ნაკადების დადგენა მათი დენადობის დაჩქარების გზების ძიება,
- _ ეკონომიკური სუბიექტის ლიკვიდურობის (გადახდისუნარიანობის) გამოკვლევა და საწარმოს საერთო ფინანსური მდგომარეობის შეფასება და სხვ.

(იხ. ნახაზი 1.5)

bloki 1. obieqtis warmoSobis istoriis gacnoba, miRweuli mdgomareobis da perspectivebis teqn timer-ekonomikuri maCveneblebis zogadi analizi
bloki 2. produqciis, samuSaoebis da momsaxurebis moculobis struqturisa da xarixis analizi

bloki 3. warmoebis danaxarjebis analizi
bloki 4. ZiriTadi fondebis, sawarmoo simZlavreebisa da aramaterialuri aqtivebis analizi
bloki 5. materialuri resursebis gamoyenebis analizi
bloki 6. SromiT resursebisa da xelfasis fondis gamoyenebis analizi
bloki 7. produqciis realizaciis analizi
bloki 8. finansuri Sedegebisa da rentabelobis maCveneblebis analizi
bloki 9. mimdinare aqtivebis analizi
bloki 10. debitoruli davalianebis analizi
bloki 11. kreditoruli davalianebis analizi
bloki 12. sakuTari kapitalis analizi
bloki 13. mogebisa da zaralis angariSis analizi
bloki 14. likvidurobis analizi
bloki 15. fuladi saxsrebis denadobisa da finansuri prognozebis analizi
bloki 16. aqtivebis gamoyenebisa da investiciebidan miRebuli mogebis analizi
bloki 17. finansuri mdgomareobis kompleksuri analizi.

ნახ. 1.5. კორპორაციის კომპლესური ანალიზის ბლოკ-სქემა.

ა) ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების ანალიზი, რომელიც მოიცავს: 1) ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების ძირითადი მაჩვენებლების: **ფონდუკუგებისა და ფონდტევადობის** მაჩვენებლების განსაზღვრას, ამ მაჩვენებელთა მატერიალური წარმოების სფეროში ეფექტურად გამოყენების დინამიკასა და 2) შრომის საშუალებების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასებას;

ბ) შრომის საგნების გამოყენების (მატერიალური უკუგების) ანალიზი;

გ) შრომის ნაყოფიერების (მწარმოებლურობის) ანალიზი, რომელიც მოიცავს სამუშაო ძალის გამოყენებისა და შრომის ანაზღაურების (ხელფასის) მიმართულებით კვლევის გა-

ხორციელებას. შრომის ნაყოფიერების ანალიზი იკვლევს შრომის ნაყოფიერების დონეს (გამომშვებელი პროდუქციის მოცულობისა და დახარჯული სამუშაო დროის შეფარდებით), შრომის მწარმოებლურობაზე მოქმედ **ექსტენსიურ** და **ინტენსიურ** ფაქტორებს, მათ დინამიკასა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების შესაძლებლობებს;

დ) პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მაჩვენებელთა ანალიზი, რომლის ძირითადი ამოცანებია: წარმოების მოცულობის, სტრუქტურის, ხარისხის დინამიკისა და გეგმის მაჩვენებელთა შეფასება; წარმოებისა და პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის მაჩვენებლებზე ძირითადი ფაქტორების გავლენის შეფასება; ბაზრის კონიუნქტურისადმი შესაბამისობის შესწავლა პერსპექტივაში და ა.შ. წარმოების მოცულობის დინამიკის ანალიზისთვის გამოიყენება მთლიანი პროდუქციის ზრდისა და მატების ტემპის მაჩვენებელი.

ეკონომიკური ანალიზის მიზანია გამოავლინოს პროდუქციის ხარისხიანობაში ცვლილებების გავლენა, დაადგინოს პროდუქციის გამომშვების არარიტმულობის მიზეზი, შეიმუშაოს გამოვლინებული ნაკლოვანებების გამოსწორების ღონისძიებები.

ამრიგად, ეკონომიკურმა ანალიზმა უნდა გამოავლინოს, როგორც ძირითადი საწარმოო ფაქტორების ჯგუფის: **შრომის საშუალებებისა და საგნების, შრომის განმსაზღვრელი ფაქტორების**, ასევე არასაწარმოო (სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობებით განპირობებული) ფაქტორების გავლენა, რომლებიც პირდაპირ ზემოქმედებენ შრომის ნაყოფიერებაზე.

რეალიზაციის მოცულობის ანალიზი უშუალოდ ეყრდნობა და გამომდინარეობს წარმოების მოცულობის ანალიზიდან. რეალიზაციის გეგმის შესრულების მაჩვენებელს უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც თვით საწარმოსათვის, რამდენადაც რეალიზაციიდან მიღებული თანხებით (ნავაჭრი თანხით) იფარება წარმოების მიერ გაწეული დანახარჯები და მოგების ფორმირება ხორციელდება. ასევე ქვეყნის (ქვეყნის გარეთ) მიწოდების ხელშეკრულებათა რეალიზაციის გეგმის შესრულებისა და მისი დინამიკის ანალიზი უზრუნველყოფს რეალიზაციის გეგმიდან (წინა პერიოდის მიმართებაში) აბსოლუტური გადახრის ფაქტორების შეფასებას, როგორებიცაა: პროდუქციის გამომშვების, სასაქონლო ნაშთის (საწყისი და საბოლოო პერიოდისთვის), ფასების სხვა მაჩვენებლების ცვლილებების გავლენის გაანგარიშება. შესაბამისად, შესაძლებელი ხდება გამოვლინდეს ცვლილებების წარმოშობის მიზეზები და შემუშავებულ იქნას ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრის შესაძლებლობათა ღონისძიებები.

ე) თვითღირებულების ანალიზი. თვითღირებულება არის დანახარჯთა ჯამი, რომელსაც მეწარმე წარმოების რესურსების (ფაქტორების) შესაძენად ხარჯავს. წარმოების კლასიკურ ფაქტორებად განიხილება მიწა (ბუნებრივი რესურსები), კაპიტალი და შრომა. თანამედროვე ლიტერატურაში გამოყოფენ განსაკუთრებულ ფაქტორს – **მეწარმეობით უნარს**. წარმოების ცალკეული ფაქტორების შეძენაზე მეწარმის მიერ გაწეული ხარჯები

არაერთგვაროვან დამოკიდებულებაშია გამოშვებული პროდუქციის მოცულობის ცვლილებასთან. გამოყოფენ ეკონომიკური დანახარჯების ორ ძირითად სახეს – მუდმივ და ცვალებად (ცვლადი) ხარჯებს.

მუდმივი დანახარჯები (ინგლ. Fixed costs (FC)) ეწოდება ისეთ დანახარჯებს, რომელთა სიდიდე არ მოქმედებს წარმოების მოცულობის ცვლილებაზე. მათ მიეკუთვნება, მაგალითად, მიწის რენტა, დაზღვევის გადასახადი, იჯარის ქირა, საამორტიზაციო ანარიცხები, მართვის აპარატის პერსონალზე, შრომის ანაზღაურებაზე, კვალიფიკაციის ამაღლებაზე და ა.შ. გაწეული დანახარჯები.

ცვალებადი დანახარჯები (ინგლ. variable costs (VC)) ეწოდება ისეთ დანახარჯებს, რომელთა სიდიდე იცვლება გამოშვების მოცულობის ცვლილებისაგან დამოკიდებულებით. მაგალითად, დანახარჯები შრომის საგნებზე, შრომის ანაზღაურებაზე, სატრანსპორტო და სხვა სახის მომსახურებაზე და ა.შ.

მთლიანი დანახარჯები (ინგლ. Total costs (TC)) ეწოდება მუდმივი და ცვალებადი დანახარჯების ჯამს.

კორპორაციამ (საწარმომ) წარმოების ფაქტორების ოპტიმალური კომბინაციის არჩევისას უნდა გაითვალისწინოს ის მდგომარეობა (რომელიც მუდმივი და ცვალებადი დანახარჯების განსაზღვრებიდან გამომდინარეობს), რომ არ შეიძლება თვითნებურად გაზარდოს ცვალებადი ფაქტორების რაოდენობა მუდმივი ფაქტორის ერთეულზე, რამდენადაც ამ შემთხვევაში ამოქმედდება **კლებადი უკუგების (მზარდი დანახარჯთა) კანონი**, რომლის თანახმად ერთი ცვალებადი რესურსის განუწყვეტელი გადიდება სხვა რესურსების უცვლელ რაოდენობასთან შეხამებით, გარკვეულ ეტაპზე მისი უკუგების ზრდის შეჩერებას, ხოლო შემდეგ კი მის შემცირებას იწვევს.

ეკონომიკურ ლიტერატურაში დანახარჯებს განიხილავენ ორ ჯგუფად: პირველი, წარმოების დანახარჯები **ხანმოკლე პერიოდში** და მეორე, წარმოების დანახარჯები **ხანგრძლივ პერიოდში**. ასეთი დაყოფა პირობითია (პერიოდი განისაზღვრება არაკალენდარულ დღეთა რაოდენობით) და იგი დამოკიდებულია წარმოების ხასიათზე და საწარმოს შესაძლებლობაზე.

სამეწარმეო პრაქტიკაში, ხანმოკლე პერიოდში განიხილავენ წარმოების მოცულობის ზრდის შესაძლებლობას მხოლოდ **ცვლადი დანახარჯებით** (მასალები, ნედლეული, ცოცხალი შრომა), რომელთა გამოყენების სიდიდეს განსაზღვრავს ე.წ. **ზღვრული სარგებლობის კანონი**, ამ კანონის თანახმად, რესურსების ყოველი დამატებითბანდება შეიძლება მანამ გაგრძელდეს, სანამ უკანასკნელი (პირობითად ბოლო) რესურსების დაბანდებაზე გაწეული ხარჯები არ გაუტოლდება უკუგებას, ანუ როდესაც ადგილი ექნება ზღვრული დანახარჯებისა და ზღვრული შემოსავლის ტოლობას ($MR=MC$, სადაც MR - ზღვრულ შემოსავალს, ხოლო MC - ზღვრულ დანახარჯებს წარმოადგენენ).

ზღვრული, ანუ დამატებითი ხარჯები (ინგლ. Maximum Costs (MC)) ეწოდება პროდუქციის დამატებითი (კიდევ ერთი) ერთეულის წარმოებაზე გაწეულ ხარჯებს. ზღვრული ხარჯები ცვალებადი ხარჯების ნამატის ტოლია, თუკი იგულისხმება, რომ მუდმივი ხარჯები (FC) უცვლელია. ზღვრული დანახარჯები (MC) გამოითვლება მთლიანი დანახარჯების ცვლილების (ΔTC) შეფარდებით პროდუქციის მოცულობის შესაბამის ცვლილებასთან.

ზღვრული დანახარჯების კონცეფციას კომპანიის განვითარებისათვის **სტრატეგიული მნიშვნელობა** გააჩნია. მისი განსაზღვრით მეწარმე იღებს გადაწყვეტილებას კიდევ რამდენიმე (დამატებითი) ერთეულით წარმოების მოცულობის გაზრდის შესახებ, წარმოების ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის. ამ მიზნით გაიანგარიშება საშუალო მთლიანი (საერთო) ხარჯები, რომელიც მოიცავს საშუალო მუდმივ და საშუალო ცვალებად ხარჯებს.

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, კორპორაციული მართვის პროცესის სრულყოფისათვის, საწარმოში თვითღირებულების შემცირების რეზერვების გამოვლენის, დაგეგმვის, აღრიცხვისა და ეკონომიკური ანალიზის სწორი წარმართვისათვის მიზანშეწონილია **დანახარჯების კლასიფიკაცია**.

ბუღალტრული აღრიცხვის პრაქტიკა რეალიზებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თვითღირებულების აღრიცხვის **ორ მეთოდს** იყენებს. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს-ის) მიხედვით. კერძოდ: ა) ხარჯების აღრიცხვა ეკონომიკური შინაარსის (ელემენტების) მიხედვით; ბ) ხარჯების აღრიცხვა მათი ფუნქციური დანიშნულების, საკალკულაციო მუხლების მიხედვით.

სამეწარმეო პრაქტიკაში **ინდექსების** საშუალებით იწარმოება პროდუქციის თვითღირებულების **დინამიკის ანალიზი**, კერძოდ:

ა) ინდივიდუალური ინდექსით თვითღირებულების დინამიკის ანალიზის წარმოება;

ბ) **საერთო (აგრეგატული) ინდექსით** თვითღირებულების დინამიკის ანალიზი.

საწარმოში გამოშვებული სხვადასხვაგვარი სახის პროდუქციის თვითღირებულების დინამიკა შეისწავლება **საერთო (აგრეგატული) ინდექსის** საფუძველზე, რომელიც გამოიანგარიშება ფორმულით (იხ. ფორმულა 1.1)

$$I_{C(saerTo)} = \frac{\sum q_1 C_1}{\sum q_0 C_0}, \quad (1.1)$$

$\Sigma q_1 C_1$ - ხარჯთა ჯამს ასახავს ფულად გამოსახულებაში:

$\Sigma q_0 C_0$ – დანახარჯთა გაანგარიშებით (პირობითი) ჯამია, რომელიც დაიხარჯებოდა მოცემულ საწარმოში საანგარიშგებო პერიოდში იმავე რაოდენობისა და შედგენილობის (ასორტიმენტის) პროდუქციის გამოშვებაზე საბაზისო პერიოდის თვითღირებულების (C_0) დონის შენარჩუნების პირობებში.

აგრეგატული ინდექსის არსიდან (ფორმულა 1.1) გამომდინარე სხვაობა ინდექსის მრიცხველსა და მნიშვნელს შორის დაახასიათებს ეკონომიის (ან გადახარჯვის) აბსოლუტურ სიდიდეს, რომელიც მოცემულ სუბიექტში საანგარიშო წელს პროდუქციის თვითღირებულების შემცირების (ან გადიდების) შედეგად იყო მიღებული (იხ. ფორ.1.2)

$$\Theta^a = \Sigma q_1 C_1 -- \Sigma q_1 C_0 \quad (1.2)$$

ეკონომიკურ ლიტერატურაში აღწერილია შესადარი პროდუქციის **თვითღირებულების დინამიკის** გაანგარიშების საფაბრიკო-საქარხნო და დარგობრივი.

ამრიგად, ფინანსური ანგარიშგების კომპლექსური ანალიზის, ინფორმაციის ძირითად წყაროდ მმართველობითი აღრიცხვის, ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების ინფორმაცია გვევლინება. შესაბამისად, ბიზნესის ეფექტიანი მართვის მიღწევა შესაძლებელი იქნება მმართველობითი რაციონალიზმის, საწარმოს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებელთა მაღალორგანიზებული ანალიზურ-შემფასებელი სისტემის ფუნქციონირებით და თანამედროვე ეტაპზე ანალიზის ჩატარების პროგრესული მეთოდოლოგიისა და მეთოდის დანერგვით მეწარმეობით პრაქტიკაში.

ფინანსური ანალიზისა და უსაფრთხოების ასპექტები

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ფინანსური ანალიზი, ფინანსური მენეჯმენტის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. **ფინანსური ანალიზის ექვსი ძირითადი მეთოდი არსებობს:**

1) ჰორიზონტალური (დროითი) ანალიზი – არის ანგარიშების თითოეული პოზიციის გასულ პერიოდთან შედარება,

2) ვერტიკალური (სტრუქტურული) ანალიზი – არის ჯამური ფინანსური მაჩვენებლების სტრუქტურის განსაზღვრა ანგარიშგების თითოეული პოზიციის მთლიანობაში შედგეზე ზემოქმედების გამოვლენით,

3) ტრენდული ანალიზი – არის ანგარიშგების თითოეული პოზიციის რიგი, ადრინდელ პერიოდთან შედარება და მაჩვენებლის დინამიკის ძირითადი ტენდენციების განსაზღვრა, რომელიც ცალკეული პერიოდების შემთხვევითი ზემოქმედებისა და ინდივიდუალური თავისებურებებისაგან გასუფთავებული იქნება. ტრენდის მეშვეობით მომავალში მაჩვენებლების შესაძლო მნიშვნელობების ფორმირება და პერსპექტიული **საპროგნოზო ანალიზი** ხორციელდება,

4) ფარდობითი მაჩვენებლების (კოეფიციენტების) ანალიზი – ანგარიშის ცალკეული პოზიციებისა, ან სხვადასხვა ფორმის ანგარიშგებების პოზიციებს შორის **თანაფარდობის გაანგარიშება**;

5) შედარებითი ანალიზი – არის კორპორაციის (ფირმის), შვილობილი საწარმოების, ქვედანაყოფების, საამქროების ცალკეული მაჩვენებლების მიხედვით ანგარიშგების ჯამური მაჩვენებლების, როგორც **შიდასამეურნეო ანალიზი**, ასევე მოცემული საწარმოს მაჩვენებლების კონკურენტების, საშუალოდარგობრივი და საშუალო სამეურნეო მონაცემების მაჩვენებლებთან **მეურნეობათაშორისო ანალიზი**.

6) ფაქტორული ანალიზი – არის გამოკვლევის დეტერმინირებული და სტოქასტიკური ხერხების მეშვეობით შედეგობრივ მაჩვენებელზე ცალკეული **ფაქტორების (მიზეზების)** ზემოქმედების ანალიზი. ამასთან ფაქტორული ანალიზი შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი (საკუთრივი ანალიზი), როდესაც შემადგენელ ნაწილებად დაყოფენ, ასევე შეზღუდულ (სინთეზი), როდესაც მისი ცალკეული ელემენტები საერთო შედეგობრივ მაჩვენებლებშია გაერთიანებული.

მონოგრაფიის მოცემულ პარაგრაფში კომპანიის ფინანსური ანგარიშების საფუძველზე, მისი ფინანსური მდგომარეობის ანალიზისათვის, კოეფიციენტების სისტემის გამოყენების შესახებ იქნება მსჯელობა. **ფინანსური ანალიზი** ისეთი მაჩვენებლების გაანგარიშებაზეა დაფუძნებული, რომლებიც კომპანიის საქმიანობის სხვადასხვა ასპექტებისა და მის ფინანსური მდგომარეობის მახასიათებლებია. ასეთი მაჩვენებლები ფინანსური ანალიზის ძირითად **ინსტრუმენტებს** წარმოადგენენ, რომლებიც ფინანსურ ანგარიშებში სხვადასხვა ციფრებს შორის კავშირის არსებობის დადგენაში გვეხმარება. აღნიშნული ინსტრუმენტების გამოყენებისას ფინანსური მმართველი არა მარტო საწარმოს მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის შეფასებაში, არამედ ასევე სესხის მიმცემებისა და სხვა პირების რეაქციის განჭვრეტაშია დაინტერესებული, რომლებიც აღნიშნულ ინსტრუმენტებს ჩვეულებრივად კომპანიის საქმიანობის შესაფასებლად იყენებენ.

ყველა ფინანსური მაჩვენებელი **შვიდ ჯგუფად** არის დაყოფილი, თითოეული კორპორაციის ფინანსური მდგომარეობის სხვადასხვა მხარეს გამოხატავს. კერძოდ:

1) საოპერაციო და მოგებიანობის კოეფიციენტები (Operational and Profitability Ratios) – აღნიშნული კოეფიციენტები კორპორაციის მუშაობის ეფექტურობის მახასიათებელია

და იგი გაყიდვებისა და მოგების მოცულობების ჯამის გაყიდვების, აქტივებისა და საკუთარი კაპიტალის ჯამურ მოცულობასთან თანაფარდობით გაიანგარიშება;

2) ხარჯებზე კონტროლის მაჩვენებლები (Expense Control Ratios) – ასეთი სახის მაჩვენებლები გაანალიზების შესაძლებლობას იძლევა, თუ კორპორაცია რამდენად ეფექტურად აკონტროლებდა თავის დანახარჯებს;

3) ნასესხები სახსრების გამოყენების კოეფიციენტები (Debt Control Ratios). როგორც ცნობილია, კორპორაცია ხშირად იყენებს დაფინანსების გარე წყაროებს: გრძელვადიან და მოკლევადიან სესხებს, პრივილეგირებული აქციების გამოშვებას და ა.შ. აღნიშნულ ფინანსურ რესურსებზე გადასახადები რეგულარულ ხასიათს ატარებს და იგი მკაცრად დადგენილი განაკვეთებით ხორციელდება. ნასესხები სახსრების წილის გაზრდის მეშვეობით საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის გაზრდა არის შესაძლებელი. საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობას მნიშვნელობა აქვს როგორც კორპორაციის აქციონერებისათვის, ასევე კრედიტორებისათვისაც, ვინაიდან იგი სესხებზე თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას ასახავს;

4) საინვესტიციო კოეფიციენტები (Investment Ratios) როდესაც კომპანია აქციონერულ კაპიტალს ბაზარზე იძენს, ამ შემთხვევაში აღნიშნული კოეფიციენტები მისი საქმიანობის შესაფასებლად მნიშვნელოვან ორიენტირებს წარმოადგენენ.

5) საქმიანი აქტიურობის კოეფიციენტები (Activity Ratios) – გვიჩვენებს, თუ აქტივებში ინვესტირებული ფული რამდენად სწრაფად ახორციელებს წრებრუნვას და ფულადი სახსრების სახით ბრუნდება;

6) ლიკვიდურობის გაზომვის მაჩვენებლები (Liquidity Ratios) ლიკვიდურობის მაჩვენებლები კომპანიის შესაძლებლობის მახასიათებელია დააკმაყოფილოს მოკლევადიანი სავალო ვალდებულებების მფლობელების პრეტენზიები;

7) კაპიტალის სტრუქტურის მაჩვენებლები (Gearing Ratios) – ასეთ მაჩვენებლებს ხშირად ფინანსური მდგრადობის კოეფიციენტსაც უწოდებენ. ისინი საკუთარი და მოზიდული სახსრების კომპანიის დაფინანსების წყაროებში თანაფარდობას ასახავენ, ანუ კრედიტორებისაგან კომპანიის ფინანსური დამოუკიდებლობის ხარისხის მახასიათებელია – აღნიშნული მაჩვენებელი საწარმოს მდგრადობის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს.

ფინანსური ანალიზის პროცესში განიხილება:

ა) ბალანსის მონაცემების საფუძველზე გრძელვადიანი და მიმდინარე აქტივების მდგომარეობის დადგენა და მათი ცვალებადობის კოეფიციენტების განსაზღვრა,

ბ) დებიტორული და კრედიტორული დავალიანების დინამიკის გამოკვლევა,

გ) მოგება-ზარალის მაჩვენებლების ცვალებადობაზე მოქმედი ფაქტორების დადგენა და მათი გავლენის შეფასება,

დ) საწარმოს საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შეფასება,

ე) ფულადი სახსრების ნაკადების დადგენა და მათი დენადობის დაჩქარების გზების ძიება,

ვ) საწარმოს ლიკვიდურობის (გადახდისუნარიანობის) გამოკვლევა და საწარმოს საერთო ფინანსური მდგომარეობის შეფასება და სხვა.

როგორც უკვე აღინიშნა, კორპორაციის საბალანსო უწყისი დალაგებულია **ლიკვიდურობის მიხედვით. ბალანსის ანალიზი იწყება მისი აქტივებით.** კერძოდ, აქტივების გაანალიზება და მათი ხარისხის შეფასება ხდება შემდეგი სქემის (ნახ. 1.6) მიხედვით.

ნახაზი 1.6 ბალანსის აქტივის ანალიზის სქემა

fuli → moTxovnebi (debitoruli davalianebebi da rezervi saeWvo valze) → maragebi → sxva mimdinare aqtivebi → fiqsirebuli (materialuri) aqtivebi investiciebi → aramaterialuri aqtivebi.
--

აქტივების შემდეგ ბალანსის ანალიზი საწარმოს **ვალდებულებებით** უნდა გავაგრძელოთ. შესაბამისად, უნდა მოხდეს ვალდებულებების კლასიფიკაცია:

1) მიმდინარე (მოკლევადიანი) ვალდებულებები,

2) გრძელვადიანი ვალდებულებები,

3) ცვალებადი ვალდებულებები – ამ ვალდებულებებს მიეკუთვნება საგადასახადო ვალდებულებები, ისინი იცვლებიან ორგანიზაციის შემოსავლების (ხარჯების) ცვლილების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზის პროცესში შეფასდება **ე.წ. მომავალი ვალდებულებებიც** (მათ მიეკუთვნება მაგ., საგარანტიო მომსახურება, ფორსმაჟორული პუნქტები, კომპანიისათვის საჭირო ძირითადი საშუალებების შესაძენად შედგენილი განაცხადი და ა.შ.).

საბალანსო უწყისის ანალიზის საშუალებით ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელი აკეთებს დასკვნას ამ საწარმოს ლიკვიდურობის შესახებ. საწარმოს **ლიკვიდურობის** შესასწავლად გამოიყენება შემდეგი: 1) ლიკვიდურობის (ბრუნვადობის), 2) "სწრაფი", 3) მარაგების "საყრდენი" და 4) სამუშაო კაპიტალის კოეფიციენტები.

ფინანსური რისკების ერთ-ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს სამეწარმეო სუბიექტის არალიკვიდურობის და/ან გადახდისუნარობის ფაქტი. პირველი მათგანი არის ფინანსური ნაკადების არასწორად დაგეგმვის შედეგი, როდესაც დროის გარკვეულ მონაკვეთში საწარმოს აღარ გააჩნია ხარჯების დასაფარი ფინანსური სახსრები, თუმცა მისი აქტივები და დებიტორული დავალიანება (მის წინაშე სხვა კომპანიების ვალები) გაცილებით მეტია მის ვალდებულებებზე (პასივებზე).

არალიკვიდურობისაგან განსხვავებით გადახდისუნარობა ნიშნავს კომპანიის ვალდებულებების სიჭარბეს მის აქტივებთან შედარებით, რაც, ფაქტიურად, მისი გაკოტრების ტოლფასია.

ორივე ეს სიტუაცია დაკავშირებულია სამეწარმეო სუბიექტის არაკვალიფიციურ ფინანსურ მენეჯმენტთან, როდესაც მისი საქმიანობის შემოსავალ-გასავლის დაგეგმვა და მიმდინარე წარმართვა ხდება არასაკმარისი პროფესიონალიზმით. ამის გათვალისწინებით, სამეწარმეო საქმიანობის პროცედურების ღრმა ცოდნასთან ერთად ფინანსური რისკების შემცირებისათვის შეიძლება იქნეს გამოყენებული კიდევ ორი ინსტრუმენტი:

1. მომდევნო ფინანსური წლის ან პროექტის განხორციელების პერიოდის დეტალური დაგეგმვა (სათანადო ბიზნეს-გეგმის საფუძველზე);
2. მომდევნო ხარჯების განსაზღვრისას, როგორც წესი, გაუთვალისწინებელი ხარჯების სარეზერვო ფონდების გათვალისწინება;

რისკების ოფიციალური დაზღვევა სადაზღვევო კომპანიაში

კომპანიაში, უაღრესად მნიშვნელოვანია სამეწარმეო საქმიანობის ფინანსური უსაფრთხოების მიმდინარე მონიტორინგის განხორციელება შესაბამისი ტენდენციების გამოვლენისა და, საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირების მიზნით. ამისათვის ხშირად ფინანსური კოეფიციენტების მეთოდი გამოიყენება.

ფინანსურ ანალიზში ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უკავია ფინანსურ ლევერიჯს. ფინანსური ლევერიჯი არის აღრიცხვაში ყველაზე ფართოდ გამოყენებული ცნება და იკვლევს კომპანიის სესხების და სააქციო კაპიტალს შორის კავშირს. ლევერიჯის გათვლები შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა გზით და ეფუძნებოდეს კაპიტალის ღირებულებებს ან პროცენტების ურთიერთკავშირს. ძირითადი ფინანსური

ლევერიჯის კოეფიციენტებია: კაპიტალის ლევერიჯი-(საკუთარი კაპიტალისა და ჯამურის) და შემოსავლის ან (პროცენტის) ლევერიჯი.

ლევერიჯის ყველა კოეფიციენტი ზომავს ერთი და იმავე სიდიდეს, მაგრამ შედარებისთვის არსებითია, რომ კოეფიციენტები გამოიყენებოდეს ერთმნიშვნელოვნად (ანუ მუდმივად მოხდეს ერთხელ შერჩეული კოეფიციენტის გამოყენება კაპიტალის ლევერიჯი იანგარიშება კომპანიის ბალანსში ნაჩვენები ფინანსური სტრუქტურის მიხედვით.

ლევერიჯი დაკავშირებულია ბიზნესის გრძელვადიან სტაბილურობასთან. ჩვენ განვიხილავთ კაპიტალის ლევერიჯის ორ შესაძლო განმარტებას, ორივე მათგანი ასახავს კავშირს, კერძოდ: 1. ჩვეულებრივი აქციების მფლობელთა ფონდსა (ანუ საკუთარ კაპიტალში ინტერესს) და 2. ფიქსირებული უკუგების მქონე კაპიტალის, რომელიც მოიცავს სესხებს და პრივილეგიურ აქციებს.

კაპიტალის ლევერიჯი გაიანგარიშება როგორც:


(პრივილეგიური აქციები+სესხები)/ ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი და სარეზერვო ფონდები

ჯამური ლევერიჯი კი იანგარიშება შემდეგნაირად:

(პრივილეგიური აქციები+სესხები)/ ჯამური გრძელვადიანი კაპიტალი.

ფინანსური ანალიზი იკვლევს შედეგებს და ხარჯებს კონკრეტული ფირმების – პროექტის მონაწილეების თვალსაზრისით, რომელთა მიზანია მაქსიმალური მოგების მიღება.

რეალური ბიზნეს გარემო გვიჩვენებს, რომ გამუდმებით ხდება **ფინანსების მოზიდვა სხვადასხვა წყაროდან**. ამ ფონდების გამოყენება ხდება ნაწილობრივ არსებული საქმიანობის, და ნაწილობრივ-ახალი პროექტების დასაფინანსებლად. ჩვეულებრივ არ ხდება სხვადასხვა წყაროდან მოზიდული ფონდებისა და მათი კონკრეტულ პროექტებში გამოყენების ცალსახა დაყოფა (ანუ იმის გარკვევა, თუ რომელი წყაროდან მიღებული ფონდების გამოყენება, რომელში ხდება). (იხ. ნახ.1.7.)



ნახ. 1.7

ამ პროექტების შეფასების განზომილების დასაწესებლად, საჭიროა მთლიანი ფონდების ღირებულების ცოდნა. მას სხვადასხვანაირად უწოდებენ კაპიტალის კომბინირებულ ან საშუალოშეწონილ ღირებულებას (WACC).

ჩვეულებრივი აქციონერები დგანან ორი ტიპის რისკის წინაშე: 1) ბიზნეს (ანუ ოპერაციული) რისკი; 2). ფინანსური (ანუ ლევერიჯის) რისკი. რისკი, რომლის წინაშეც დგანან ჩვეულებრივი აქციონერები, წარმოადგენს მათი უკუგების, ანუ მომავალი დივიდენდების (აქედან გამომდინარე, აგრეთვე მათი აქციების მომავალი კაპიტალური ღირებულების) პოტენციური ცვალებადობის საზომს.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარეობს, რომ კომპანიის ფინანსური მიზანია კაპიტალის ინვესტორთა კეთილდღეობის მაქსიმიზაცია. აქციონერთა კეთილდღეობაზე გავლენას ახდენს ორი ძირითადი ფაქტორი: აქციაზე გამომუშავებული უკუგების განაკვეთი და ამ უკუგების გამომუშავებასთან დაკავშირებული რისკი.

შემოსავალი ერთ აქციაზე ხშირად გამოიყენება კაპიტალზე უკუგების გასაზომად.

შემოსავალი ერთ აქციაზე (EPS)= პერიოდისათვის გასანაწილებელი მოგება/ გამოშვებული აქციების რაოდენობა,

დივიდენდური შემოსავლიანობა= ერთ აქციაზე გაცემული დივიდენდები/ აქციის საბაზრო ფასიX100% .

დივიდენდური შემოსავლიანობა პირდაპირ ზომავს აქციონერთა მიერ მიღებულ სიმდიდრეს. თუმცა არასრულია, რადგან ვერ ითვალისწინებს შემოსავალს აქციაზე კაპიტალის ნაზდრიდან, რასაც ნებისმიერი ინვესტორი ელოდება.

ზემოხსენებული ფინანსური კოეფიციენტების რიცხვითი მნიშვნელობის შედარება სათანადო ზღვრულ ნორმირებულ სიდიდეებთან ან საბირჟო კვოტირების საშუალო სიდიდეებთან ხშირად ექვემდებარება საკმაოდ ღრმა ანალიზისა და სათანადო დასკვნების გაკეთებას. ამ კოეფიციენტების მნიშვნელობა განსხვავებულია, მაგრამ

ყველა შემთხვევაში მათი ანალიზი და საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებთან შედარება დინამიკაში იძლევა ფინანსური უსაფრთხოების გაზრდისათვის (და შეფასებისათვის) კარგი რეკომენდაციების გამომუშავების შესაძლებლობას.

ამრიგად, კორპორაციის ფინანსური მდგომარეობის ანალიზისას გამოითვლება:

1) ფინანსური კოეფიციენტები – კორპორაციის მუშაობის ეფექტურობის შეფასებას ემსახურება, მაგრამ იგი ყოველთვის არ იძლევა მსჯელობის შესაძლებლობას კონკურენტებთან შედარებით მისი წარმატებული საქმიანობის შესახებ;

2) დასკვნის გაკეთებამდე შესაბამისი კოეფიციენტის მრიცხველისა და მნიშვნელის მონაცემები უნდა იქნეს გაანალიზებული;

3) კორპორაციის კოეფიციენტების კონკურენტების ანალოგიურ მნიშვნელობებთან შედარებისას, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაში სხვადასხვა მეთოდების გამოყენებამ შედარების შედეგებზე შეიძლება იქონიოს გავლენა;

4) კოეფიციენტის მნიშვნელობა აზრს იძენს მხოლოდ დარგობრივ სტანდარტთან, აგრეთვე კორპორაციის გასული პერიოდის განმავლობაში საქმიანობის შესაბამის კოეფიციენტებთან, ან გეგმიურ მაჩვენებლებთან შედარებისას.

ზოგადად, აღნიშნული ყველა მაჩვენებელი შეიძლება მოცემული დარგის ყვეიქნეს შედარებული, რომლებიც სპეციალურ კრებულებშია გამოქვეყნებული და მათი მემშვეობით შესაბამისი დასკვნები იქნეს გაკეთებული.

სამეწარმეო საქმიანობის ეკონომიკური გარემოს მიმოხილვა

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიზნებია: 1) რესურსების, განსაკუთრებით სამუშაო ძალის სრული ამოქმედება; 2) ფასების სტაბილურობა; 3) ეკონომიკური ზრდა; 4) საგადასახდელო ბალანსის წონასწორობა; 5) შემოსავლებისა და სიმდიდრის შესაბამისად განაწილება.

შესაბამისად, მაკროეკონომიკური პოლიტიკის ქმედით უნარიანობისთვის მისმა ინსტრუმენტებმა გავლენა უნდა მოახდინოს ერთობლივი მოთხოვნის დონეზე და, აქედან გამომდინარე-მთლიანობაში ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირების შედეგებზე და სამეწარმეო-ბიზნესის სექტორის დანახარჯებზე. ამასთან ერთად, უაღრესად მნიშვნელოვანია სამეწარმეო საქმიანობის ფინანსური უსაფრთხოების მიმდინარე მონიტორინგის განხორციელება შესაბამისი ტენდენციების გამოვლენისა და, საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირების მიზნით. ამისათვის ხშირად ფინანსური კოეფიციენტების მეთოდი გამოიყენება. მისი არსი მდგომარეობს სხვადასხვა საბუღალტრო მონაცემების შეფარდების განსაზღვრაში და მიღებული კუთრი სიდიდეების დინამიკის ანალიზში.

მცირე ბიზნესი ხშირად იმიტომაა წარუმატებელი, რომ წარუმატებელია სამუშაო კაპიტალის ინვესტირებისა და ბიზნესის ლიკვიდურობის კონტროლი.

სამუშაო კაპიტალი ჩვეულებრივ წარმოადგენს მოკლევადიან აქტივებს (მარაგი, დებიტორული დავალიანება, ფული მინუს მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანება). მისი მართვა არის როგორც მოკლევადიანი აქტივების, ასევე მოკლევადიანი ვალდებულებების მართვაც, გაკოტრების რისკის მინიმიზაცია-აქტივების ბრუნვადობის მაქსიმიზაციის გზით.


თუმცა, ზოგადი მაჩვენებელი დროის ნებისმიერი მომენტისათვის შესაძლებელია მიღებულ იქნეს მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტისა და სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტის გაანგარიშებით. გადაწყვეტილების მიღებისას, თუ როგორი თანაფარდობით უნდა მოხდეს სამუშაო კაპიტალის დაფინანსება გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხებით- მმართველობამ უნდა განიხილოს კომპრომისი მოკლევადიანი დაფინანსების შედარებით სიიაფითა და მოქნილობით მიღებულ სარგებელსა და განახლებასა და საპროცენტო განაკვეთებთან დაკავშირებულ რისკს შორის.

კოეფიციენტების საშუალებით ანალიზის დროს, საჭიროა მიმდინარე წლის კოეფიციენტები შევადაროთ დაგეგმილ, საშუალო დარგობრივ, ან წინა წლის კოეფიციენტებს. ზოგადად, მიღებულია, რომ მიმდინარე ლიკვიდობისა და სწრაფი ლიკვიდობის მაღალი კოეფიციენტების არსებობა არის “კარგი მაჩვენებელი”, რადგან ეს მიუთითებს, რომ ორგანიზაციას გააჩნია რესურსები ვალდებულებების თავის დროზე დასაფარად. თუმცა, მან ასევე შეიძლება მიუთითოს, რომ სამუშაო კაპიტალი არ გამოიყენება ეფექტურად, მაგალითად, არსებობს ჭარბი ნაღდი ფული, რომლითაც, წესით, უნდა განხორციელდეს ინვესტირება შემოსავლის მისაღება სამუშაო კაპიტალში დაბანდება, მნიშვნელოვანწილად, წარმოადგენს გაყიდვების ფუნქციას.

აქედან გამომდინარე, პრობლემის განხილვა გაცილებით სასარგებლოა კომპანიების (ფირმები სამუშაო კაპიტალის ციკლის, ანუ ფულადი სახსრების საოპერაციო ციკლის თვალსაზრისით. (იხ. ნახ.1.8)

ნახ. 1.8 fuladi saxsrebis moZraobis ციკლი

იხილეთ ნაწილი პირველი (ძველი რედაქცია ნახაზი 4)



როგორც ზემოთ აღინიშნა, ფინანსურ ანალიზში ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უკავია ფინანსურ ლევერიჯს, რომელიც არის აღრიცხვაში ყველაზე ფართოდ გამოყენებული ცნება და იკვლევს კომპანიის სესხების და სააქციო კაპიტალს შორის კავშირს. რეალური ბიზნეს გარემოს ანალიზი გვიჩვენებს, რომ გამუდმებით ხდება ფინანსების მოზიდვა სხვადასხვა წყაროდან. ამ ფონდების გამოყენება ხდება ნაწილობრივ არსებული საქმიანობის, და ნაწილობრივ-ახალი პროექტების დასაფინანსებლად. შესაბამისად, სესხისა და საკუთარი კაპიტალის როგორც ამჟამინდელი, ისე მომავალი ინვესტორები, დაინტერესებულნი იქნებიან კომპანიის ლევერიჯის დონით. მათ სჭირდებათ განსაზღვრონ განხორციელებული ინვესტიციების რისკიანობა.

სხვა ფინანსური კოეფიციენტები, რომლებიც შევა ინვესტორების დაინტერესების სფეროში, დაკავშირებული იქნება ინვესტიციებიდან მათი შემოსავლების დონესა და უსაფრთხოებასთან. კერძოდ:

1) განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სესხის მფლობელთათვის: პროცენტის დაფარვა და პროცენტის შემოსავლიანობა;

2) განსაკუთრებით საინტერესო აქციონერებისთვის: დივიდენდებთან და შემოსავლებთან დაკავშირებული კოეფიციენტები. ცნობილია, რომ პროცენტი სესხებზე

(სავალო ვალდებულებებზე) გადახდილ უნდა იქნას იმისდა მიუხედავად, მიიღო თუ არა კომპანიამ მოგება. მოცემულ კოეფიციენტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პროცენტების დაფარვას (ანუ უზრუნველყოფას), PBI-ის (მოგება პროცენტისა და გადასახადის გამოკლებამდე) შეფარდებით გადასახდელ პროცენტებთან. ზოგადად, პროცენტების დაფარვის მაღალი დონე წარმოადგენს კარგ ნიშანს და აქციონერებს ანიჭებს იმის რწმენას, რომ მოგება საკმარისია როგორც პროცენტების გადასახდელად, ისე მათი დივიდენდებისათვის.

მაგრამ, მეორე მხრივ, პროცენტების დაფარვის მაღალი დონე შესაძლოა ასევე შეფასდეს როგორც კომპანიის წარუმატებელი ცდების შედეგი- გამოეყენებინა ფინანსური ლევერიჯი პროექტების გაცილებით დაბალ ფასად დაფინანსებისათვის, ვიდრე სააქციო კაპიტალით მათი დაფინანსებაა. პროცენტის შემოსავლიანობა არის საბაზრო ფასის პროცენტის სახით სესხის პროცენტი(ან კუპონის განაკვეთი). უკუგებას იგი აფასებს ისე, როგორც მიმდინარე საბაზრო ფასად ნაყიდ აქციაზე ერთი წლის განმავლობაში მიღებულ შემოსავალს.

ინვესტორმა ჩვეულებრივ აქციებში შეიძლება დაინახოს კომპანიის მოგება, რომელიც დანიშნულია ჩვეულებრივი დივიდენდების ასანაზღაურებლად, ან ნამდვილად გადახდილი ჩვეულებრივი დივიდენდები, როგორც იმ შემოსავლების გაზომვის საშუალება, რომელსაც კომპანია მისთვის იღებს. ამასთან, ყველა შემთხვევაში განხილული იქნება შემდეგი მაჩვენებლები:

- დივიდენდები , მოგება,
- დივიდენდი ერთ აქციაზე, უკუგება სააქციო კაპიტალზე,,
- დივიდენდების დაფარვის კოეფიციენტი,,, შემოსავალი ერთ აქციაზე,,

ზოგადად, რაც უფრო მაღალია თითოეული ზემოთ აღნიშნული მაჩვენებელი, მით მეტად მიმზიდველი იქნება აქციები პოტენციური ინვესტორისათვის, რაც უფრო გაამყარებს მათ რწმენას აღნიშნული აქციებიდან მოგების მიღებაში.

დივიდენდების დაფარვის კოეფიციენტი გაიანგარიშება ჩვეულებრივი აქციონერებისათვის განკუთვნილი მოგების გაყოფით წლიურ დივიდენდებზე (ანუ შუალედურს პლუს ფინალური). ეს არის საზომი თუ რამდენჯერ შეუძლია კომპანიის მოგებას დაფაროს დივიდენდები. დივიდენდური შემოსავლიანობა გამოსახავს დივიდენდს ყოველ აქციაზე, როგორც პროცენტს აქციის მიმდინარე ფასიდან.

უკუგება სააქციო კაპიტალზე- ეს არის უკუგების კოეფიციენტი, რომელსაც განსაკუთრებული შეხება აქვს კომპანიის ჩვეულებრივი აქციების მფლობელებთან. იგი განისაზღვრება როგორც:

უკუგება სააქციო კაპიტალზე= მოგება ბეგარისა და პრივილეგიური დივიდენდების გამოკლების შემდეგ/ჩვეულებრივი აქციონერების სახსრებიX100%

ფასისა და შემოსავლიანობის შეფარდების (P/E) კოეფიციენტი განიხილება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საინვესტიციო კოეფიციენტი. იგი გამოსახავს აქციის ფასს მოცემული მომენტისათვის (საბაზრო ღირებულებას) როგორც მოგების გამყოფს ერთ აქციაზე გაანგარიშებით.

მაშასადამე, P/E კოეფიციენტი=აქციის მიმდინარე ფასი/შემოსავალი ერთ აქციაზე

რაც უფრო მაღალია P/E კოეფიციენტი, მით შორსაა ინვესტიციების უკუგების პერიოდი. ამასთან დაკავშირებით, შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ რაც უფრო დაბალია P/E კოეფიციენტი, მით უფრო უკეთესად შეიძლება ჩათვალოს ინვესტიცია. მიუხედავად ამისა ეს ყოველთვის ასე არ არის. მაღალი P/E, ჩვეულებრივ, უკეთეს მაჩვენებლად ითვლება. ამ პარადოქსის ახსნის მოძებნა შესაძლებელია საბირჟო ინვესტიციების მახასიათებლების შემდგომი განხილვით. P/E კოეფიციენტი ეყრდნობა მიმდინარე მოგებას ერთ აქციაზე გაანგარიშებით, თუმცა, ბირჟა აქციებს აფასებს თითოეული აქციიდან მოსალოდნელი მომავალი მოგების თვალსაზრისით. თუ ბაზარი პოულობს კომპანიას, რომელსაც გააჩნია განვითარების მნიშვნელოვანი პერსპექტივები, მაშინ აქციის საბაზრო ფასი გაიზრდება.

ფინანსური მმართველი უნდა ეცადოს, უზრუნველყოს კომპანიის მიზნების მიღწევა. სამწუხაროდ, არ არსებობს ზუსტად გარკვეული პასუხი იმის შესახებ, თუ რა არის კომპანიისათვის შესაფერისი მიზნები. ზოგადად, მიღებულია, რომ მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციის სტრატეგიული მიზანია მოახდინოს ორგანიზაციის მეპატრონეთა (ჩვეულებრივ აქციონერთა) კეთილდღეობის მაქსიმიზაცია. თუმცა, არსებობს ორგანიზაციის საქმიანობით დაინტერესებული სხვა მხარეებიც-გარეშე პირები-რომელთაც აგრეთვე გააჩნიათ სხვადასხვა გმრეღვადიანი და მოკლევადიანი მიზნები.

ეს დაინტერესებული პირები არიან:

-საზოგადოება ზოგადად, რომლის მიზნები ფართოა და მოიცავს ისეთ ასპექტებს, როგორცაა, საკანონმდებლო და სოციალური პასუხისმგებლობა, დაბინძურების კონტროლი და მშრომელთა კეთილდღეობა.

-კომპანიის თანამშრომლები- ცხადია, პროფკავშირების წარმომადგენელთა უმტესობას სურს, რომ მათი წევრები იღებდნენ ძირითად სარგებელს კომპანიის მიერ შექმნილი ნებისმიერი ნამატიდან. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში არ გვაქვს გაზომვის პრობლემა: უკუგება-ხელფასებს.

-კომპანიის მმართველები/დირექტორები. მსგავსი ზედა ფენის თანამშრომლები იდეალურ მდგომარეობაში არიან, რათა განახორციელონ თავიანთი მიზნები სხვა დაინტერესებულ მხარეთა ხარჯზე. მათი მიზნები იქნება როგორც გრძელვადიანი, ასევე მოკლევადიანი.

-მომხმარებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილება მიიღწევა ფასის შესაბამისი ღირებულების მქონე პროდუქციისა და მომსახურების შეთავაზებით.

-მომწოდებლები, რომელთაც ორგანიზაციის მომწოდებლებს ექნებათ მოკლევადიანი მიზნები, როგორცაა: დროული ანაზღაურების პირობა და ასევე გრძელვადიანი მოთხოვნები ხელშეკრულებებისა და რეგულარული თანამშრომლობის გათვალისწინებით.

-ფინანსების მომწოდებლები (ბანკები, სესხის გამცემები) ძირითადად დაინტერესებულნი იქნებიან ფირმის შესაძლებლობით დაფაროს სესხი სარგებლის ჩათვლით. შედეგად, ამ მომწოდებელთა მიზანი იქნება, რომ ფირმას როგორც გრძელვადიან ასევე მოკლევადიან პერიოდში გააჩნდეს ნაღდი ფულის აკუმულირების უნარი.

- მთავრობა, რომელსაც ფირმის მიმართ გააჩნია პოლიტიკური და ფინანსური დაინტერესება. პოლიტიკურად მათი სურვილია ექსპორტის გაზრდა და იმპორტის შემცირება და, ამავდროულად, კომპანიათა დაკვირვება ანტიმონოპოლიური სამსახურის საშუალებით. ფინანსური კუთხით ის მოითხოვს გრძელვადიან მოგებას საგადასახადო შემოსავლების მაქსიმიზაციისათვის.

კვლევები გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური სისტემის შიგნით, კაპიტალის ინვესტორები ახდენენ რისკის დაფინანსებას. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში კაპიტალის ინვესტორები, როგორც წესი, არიან აქციონერები ან მთავრობა. არსებობს ძლიერი არგუმენტი კაპიტალის ინვესტორების კეთილდღეობის მაქსიმიზაციისათვის. ფონდების მოზიდვის მიზნით, კომპანიამ კონკურენცია უნდა გაუწიოს ურისკო ინვესტიციის განხორციელების შესაძლებლობებს, მაგალითად, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები. ამ შემთხვევაში კაპიტალური ინვესტიციების მოზიდვისათვის, საჭიროა რაიმე სახის მოგების (ნამეტის) გადაცემა მოხდეს ინვესტორებზე. რელუარად ეს არის პრემია რისკზე, რაც არსებითია კომპანიებში სარისკო ინვესტიციების განხორციელებისას. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ კომპანიის ფინანსური მიზანია კაპიტალის ინვესტორთა კეთილდღეობის მაქსიმიზაცია.

ფინანსური უსაფრთხოების საკითხების მიმოხილვა

ცნობილია, რომ კომპანიის კომერციული საქმიანობა დაკავშირებულია ორი ურთიერთსაპირისპირო მიმართულების ფაქტორთან - შემოსავალთან და ხარჯებთან, რომელთა სხვაობა აყალიბებს მოგებას (ზარალს). ყოველი მეწარმისათვის ამ საქმიანობის განხორციელების მთავარ მოტივირებას წარმოადგენს გარკვეული მოგების მიღება. ამისათვის ის გეგმავს თავის მომავალ საქმიანობას, ითვალისწინებს შესაძლო ბევრ მოქმედ ფაქტორს, ღებულობს ზომებს ხელშემწყობი ფაქტორების დადებითი გავლენის

გაძლიერებისა და ნეგატიურის შესუსტების მიზნით. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ მთელი რიგი ფაქტორები ნაკლებად ექვემდებარება პროგნოზირებას, რადგან ატარებს შემთხვევითი, იშვიათი და მოულოდნელი მოვლენის ხასიათს. ასეთი ძნელად პროგნოზირებადი ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ სამეწარმეო საქმიანობაზე და ქმნიან ზარალის წინაპირობას, შეიძლება გაერთიანდეს ერთ საერთო ცნებათა ბლოკში, რომელსაც სხვადასხვა კატეგორიის რისკი ეწოდება.

ცნობილია მრავალი სახის რისკი - ფინანსური, მარკეტინგული, ტექნოგენური, სტიქიური, სოციალური და ა.შ. ყველა მათგანის 100%-ით გათვალისწინება ერთის მხრივ, - თეორიულადაც კი შეუძლებელია, მეორეს მხრივ, - ძალიან ძვირი ჯდება, რაც თავისთავად გამორიცხავს მომგებიან საქმიანობას.

ამის გამო, ნებისმიერი მეწარმე უნდა შეეგუოს იმას, რომ ამგვარი რისკ-ფაქტორების ამოქმედების შედეგად მის სამეწარმეო აქტივობას გარკვეული ალბათობით ზარალი შეიძლება მოყვეს. შესაბამისად, სავსებით ადეკვატურია საერთო დასკვნა იმის შესახებ, რომ წარმატებული მეწარმეობის მთავარი საიდუმლოება მდგომარეობს იმაში, რომ ოპტიმალურად იქნეს შეფასებული მოსალოდნელი მომგებიანობისა და სავარაუდო რისკებით გამოწვეული ზარალის თანაფარდობა.

ამასთან, მათი თავიდან აცილების ხარჯების დონე უნდა იყოს ერთის მხრივ, - საკმარისი ამ რისკების დასაშვებ დონემდე შესამცირებლად ან მათი კომპენსირების ღონისძიებების გასატარებლად, ხოლო მეორეს მხრივ, - აუცილებლად იქნეს შეტანილი მომავალი ხარჯების ნუსხაში. სამეწარმეო საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული რისკი მდგომარეობს მისი ფინანსური უსაფრთხოების არასაკმარის უზრუნველყოფაში. პირობითად, იგი შეიძლება დაიყოს რისკ-ფაქტორების ორ საკვანძო ჯგუფად: ა) არასაკმარისი, მოსალოდნელზე ნაკლები შემოსავლების მიღება; ბ) ზედმეტი, სავარაუდოზე ჭარბი ხარჯების გაწევა.

ნებისმიერი კომერციული პროექტი, როგორც ცნობილია, ბაზრიდან იწყება. მეწარმე უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ მის მიერ შეთავაზებული პროდუქტი (საქონელი ან მომსახურება) მოცემულ ბაზარზე ნამდვილად სარგებლობს მოთხოვნით, რომ მოცემული დონის კონკურენციის პირობებში შესაძლებელია ამ ბაზრის გარკვეული სეგმენტის დაკავება, რომ სავარაუდო ფასით პროგნოზირებული გაყიდვების მოცულობა ჯამში უზრუნველყოფს მის მომგებიან საქმიანობას და ა.შ.

ამ სფეროში შეცდომების ერთ-ერთი ძირითადი წყარო მდგომარეობს ყველა ამ პროგნოზების დაბალ სიზუსტეში, დროის მოცემულ პერიოდში შეთავაზებული საქონლის დადგენილ ფასად გაყიდვების კონკურენტული ბაზრის მოთხოვნის ან კონკურენტულობის დონის არასწორ შეფასებაში.

აღსანიშნავია, რომ ეს უზუსტობა შეიძლება გამომდინარეობდეს, როგორც შეფასების მეთოლოგიურ შეცდომაში, ისე - რიგი გარე ფაქტორების ცვალებადობაში. მაგალითად, საკუთარი ან პარტნიორი ქვეყნის მაკროეკონომიკური (ინფლაცია, ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობის, უმუშევრობის, საკრედიტო განაკვეთების, მოგების მარჟის დონე და ა.შ.), სამართლებრივი (საკანონმდებლო ბაზის მოულოდნელი ცვლილებები), პოლიტიკური (საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობების შეცვლა), კვოტების და ნორმატივების (სტანდარტების და მოქმედი ნორმების შეცვლა) ფაქტორების შეცვლამ შეიძლება მყისიერად შეცვალოს ამა თუ იმ სამეწარმეო საქმიანობის შემდგომი განხორციელების მიზანშეწონილობა.

კვლევები გვიჩვენებს, რომ ამგვარი რისკების მართვა სცილდება ცალკეული კომერციული სუბიექტების შესაძლებლობებს. ამდენად, ყოველი ცალკეული მეწარმის დონეზე აქ შეიძლება საუბარი არა ამ ფაქტორების მართვაზე, არამედ მათი შედეგების დროულად და წინასწარ გათვალისწინებაზე კონკრეტული მართვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ეს კი მოითხოვს, თავის მხრივ, ქვეყნის გარეთ მიმდინარე ამგვარი რისკების შესახებ სათანადო ხარისხისა და მოცულობის ინფორმაციის ფლობას, მოვლენათა განვითარების პროგნოზირებას, მათი უარყოფითი შედეგების შერბილებას, კომპენსირების ღონისძიებების გატარებას სათანადო რეზერვების მზადყოფნაში შენახვას და ა.შ., ანუ პერმანენტულ მუშაობას და ყურადღებას კომპანიის ხელმძღვანელობის მხრიდან.

აქედან გამომდინარე, სავსებით ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ფინანსური რისკების პირველი კომპონენტი (პროგნოზირებული შემოსავლების მიუღებლობა) უშუალოდ არის დაკავშირებული სამეწარმეო სუბიექტის მენეჯმენტის საქმიანობასთან. იგი არა მხოლოდ საკუთარი კომპანიის მიმდინარე პრობლემების გადაჭრისათვის უნდა ზრუნავდეს, არამედ ფლობდეს დეტალურ ინფორმაციას და მოვლენათა განვითარების პროგნოზებს მისი სამოქმედო ბაზრის, კონკურენტების, ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე მოვლენების შესახებ.

მეორეს მხრივ, - ყველა ასეთი ფაქტორის ამოქმედება, ხშირად, გარკვეული დროის მონაკვეთში თანდათანობით ხდება. ამის გამო, ამ ჯგუფის რისკ-ფაქტორების გავლენისაგან დაცვის ერთ-ერთი ეფექტური ხერხი მდგომარეობს მოკლე საწარმოო ციკლის მქონე პროდუქციის (მომსახურების) წარმოება, რომლის ხანგრძლივობა ნაკლებია ასეთი რისკ-ფაქტორების განვითარების დროის მონაკვეთთან შედარებით. ეს რეკომენდაცია, პირველ რიგში, გამიზნულია მცირე კომპანიებისათვის, რომელთა ადმინისტრაციული და სხვა რესურსები არასაკმარისია გარე ფინანსური რისკების სწორად შეფასებისათვის.

ფინანსური უსაფრთხოების რისკ-ფაქტორების მეორე ჯგუფი-დაგეგმილზე მეტი ხარჯების გაწევა დაკავშირებულია საკუთარი კომპანიის შიდა საქმიანობის პროფესიულ დონეზე, ყოველი პროცედურისა და ეტაპის კარგ წარმოდგენაზე დროსა და სივრცეში, შესაძენი მასალების, ნედლეულის, შრომითი რესურსების პროგნოზირებულ ფასებზე და

ა.შ. ფინანსური რისკების ერთ-ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს სამეწარმეო სუბიექტის არალიკვიდურობის და/ან გადახდისუუნარობის ფაქტი. პირველი მათგანი არის ფინანსური ნაკადების არასწორად დაგეგმვის შედეგი, როდესაც დროის გარკვეულ მონაკვეთში საწარმოს აღარ გააჩნია ხარჯების დასაფარი ფინანსური სახსრები, თუმცა მისი აქტივები და დებიტორული დავალიანება (მის წინაშე სხვა კომპანიების ვალები) გაცილებით მეტია მის ვალდებულებებზე (პასივებზე).

შესაბამისად, არალიკვიდურობისაგან განსხვავებით გადახდისუუნარობა ნიშნავს კომპანიის ვალდებულებების სიჭარბეს მის აქტივებთან შედარებით, რაც, ფაქტიურად, მისი გაკოტრების ტოლფასია. ორივე ეს სიტუაცია დაკავშირებულია სამეწარმეო სუბიექტის არაკვალიფიციურ ფინანსურ მენეჯმენტთან.

თავი 7. ბიზნესის (კომპანიის) ღირებულების შეფასებისა და მართვის კონცეფციურ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

ტერმინი „ბიზნესი“, რომელიც ფაქტობრივად ასახავს ბიზნეს საქმიანობას და ხორციელდება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად, ქვეყანაში წარმოდგენილია სამეწარმეო და არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობად, სადაც სამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობა ხორციელდება მოგების მიღების მიზნით,

დამოუკიდებელად და ორგანიზებულად, სავაჭრო გარიგებების ან სხვა სამეურნეო ოპერაციების სახით, მათ შორის ფასიანი ქაღალდების ან სხვა ქონების შეძენასა და რეალიზაციასთან დაკავშირებული საქმიანობით. საქმიანობა, რომელსაც არ გააჩნია სისტემატური და ორგანიზებული ხასიათი განეკუთვნება არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობას.

ბიზნესის ღირებულების შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი მიზნებიდან გამომდინარე, კერძოდ:

- ა) ბიზნესის მენეჯმენტის ეფექტიანობის ამაღლება ;
- ბ) ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა საფონდო ბირჟებზე;
- გ) დასაბუთებული საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღება;
- დ) კომპანიის (საწარმოების) როგორც ერთიანი კომპლექსისა და ასევე მათი ცალკეული ნაწილების ყიდვა-გაყიდვა;
- ე) კომპანიის რესტრუქტურისა, ლიკვიდაცია, შერწყმა, შთანთქმა ან ჰოლდინგის შემადგენლობიდან დამოუკიდებელი საწარმოების გამოყოფა;
- ვ) კომპანიის განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მნიშვნელოვანია შევადგინოთ ფირმის მომავალი შემოსავლები, მისი მდგრადობის ხარისხი და ფირმის იმიჯი.
- ზ) კომპანიის დაკრედიტების დროს გირაოს ღირებულების და კომპანიის (საწარმოს) კრედიტუნარიანობის განსაზღვრა;
- თ) კომპანიათა დაზღვევა. დაზღვევის პროცესში ჩნდება აქტივების ღირებულების განსაზღვრის აუცილებლობა დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ გადასახადებით დაბეგვრა. კომპანიის საგადასახადო ბაზის გაანგარიშებისათვის აუცილებელია კომპანიის (საწარმოს) შემოსავლებისა და ქონების ობიექტური შეფასება;
- ი) ბიზნესის განვითარების საინვესტიციო პროექტის დამუშავება. ასეთ შემთხვევაში საინვესტიციო პროექტის ეფექტიანობის დასაბუთებისთვის საჭიროა კომპანიის, მისი საკუთარი კაპიტალის, აქტივების, ბიზნესის საწყისი ღირებულების შეფასება მთლიანობაში.

ბიზნესის ქონებრივი კომპლექსის ცალკეული ელემენტების ღირებულების შეფასება აუცილებელია შემდეგ შემთხვევებში :

- 1) მანქანა-მოწყობილობის, ხელსაწყოებისა და სხვა ტექნიკური აღჭურვილობის ცალკეული ერთეულის გაყიდვის დროს,

2) კრედიტის უზრუნველყოფა მოძრავი ქონების რომელიმე ნაწილზე გირაოს გაფორმების შემთხვევაში;

3) მოძრავი ქონების დაზღვევით ლიზინგით გაცემის დროს;

4) ქონებაზე გადასახდის დარიცხვისას, ძირითადი საშუალებების საგადასახადო ბაზის განსაზღვრისას;

5) სხვა კომპანიის საწესდებო კაპიტალში წილის სახით მანქანებისა და მოწყობილობების შეტანისას;

6) საინვესტიციო პროექტის რეალიზაციის დროს მანქანებისა და მოწყობილობების შეფასებისას;

7) კომპანიის “გუდვილის” არამატერიალური აქტივების ღირებულების განსაზღვრის დროს.

ან ინდივიდუალიზაციის სხვა საშუალებების ღირებულების შეფასება კომპანიისა და მისი პროდუქციის (მომსახურების) საფირმო ნიშნის წარმოებს:

1) მათი ხელახლა გაყიდვის, სხვა ფირმის მიერ შეძენის დროს;

2) ახალი კომპანიონებისთვის „ფრანშიზის“ შეთავაზებისას, როდესაც ფართოვდება გასაღების ბაზარი და იზრდება გაყიდვათა მოცულობა;

3) ზიანის დადგენისას, რომელიც მიყენებული იქნა კომპანიის საქმიანი რეპუტაციისთვის უკანონო მოქმედებით სხვა კომპანიების (საწარმოების) მხრიდან; კომპანიის არამატერიალური აქტივების შეფასებისას.

ბიზნესის შეფასების საერთაშორისო პრაქტიკაში გამოიყენება **ღირებულების სხვადასხვა სახეები**, როგორცაა: 1. საბაზრო; 2. ობიექტის ჩანაცვლებითი და აღდგენითი; 3. შეფასების ობიექტის გამოყენებითი; 4. საინვესტიციო; 5. ობიექტის საგადასახადო დაბეგვრის; 6. სალიკვიდაციო; 7. უტილიზაციის; 8. სპეციალური.

ღირებულება ეკონომიკური ცნებაა და განასახიერებს იმ ფასს, რომელზეც ყველაზე მეტად არის მოსალოდნელი, რომ შეთანხმდებიან საყიდლად ხელმისაწვდომი საქონლის (მომსახურების) მყიდველები და გამყიდველები შესაბამისი სარგებლის მიღებით. ღირებულებითი შეფასება შესაძლებელია კლასიფიცირებული იქნას სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით, კერძოდ:

საბაზრო ღირებულება - შეფასებითი თანხა, რომელითაც ქონება შეიძლება გაიცვალოს შეფასების თარიღისთვის, გარიგების მსურველ გამყიდველსა და მყიდველს შორის. საბაზრო ღირებულების ცნება ასახავს ბაზრის მონაწილეთა კოლექტიურ აღქმასა და

ქმედებებს, რაც წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკაში რესურსების უმეტესობის შეფასების საფუძველს.

ჩანაცვლებითი ღირებულება წარმოადგენს შესაფასებელი ობიექტის შექმნის დანახარჯების გამოხატულებას ფულად ერთეულში, რომელიც დადგენილია მსგავსი ობიექტის შექმნის დანახარჯებით, რომლებიც საჭიროა შეფასების მომენტისთვის შესაფასებელი ობიექტის სარგებლიანობის ექვივალენტური სარგებლიანობის მქონე ობიექტის შესაქმნელად მშენებლობის თანამედროვე მასალების, სტანდარტების, ტექნოლოგიების და ა.შ. გამოყენებით. **აღდგენითი** ღირებულება - გამოისახება თანხის იმ რაოდენობაში, რომელიც საჭიროა შესაფასებელი ობიექტის ზუსტი აღდგენისათვის შეფასების თარიღისათვის არსებულ ფასებში, რომლებიც საჭიროა შესაფასებელი ობიექტის ზუსტი ასლის ასაგებად.

შესაფასებელი ობიექტის მდგომარეობის მიხედვით განასხვავებენ: ობიექტის გამოყენებით და სალიკვიდაციო ღირებულებას. შეფასების ობიექტის **გამოყენებითი** ღირებულება განისაზღვრება შესაფასებელი ობიექტის გამოყენების მიზნისა და პირობების მიხედვით. **სალიკვიდაციო** ღირებულება არის ობიექტის ღირებულება, რომელიც რჩება ობიექტის საექსპლუატაციო ვადის გასვლის, ლიკვიდაციისა და ღია აუქციონზე გაყიდვის დროს.

შეფასების მიზნებიდან გამომდინარე, განასხვავებენ: ა) საინვესტიციო, ბ) საგადასახადო დაბეგვრის, გ) უტილიზაციის და დ) სპეციალურ ღირებულებას.

ა) **საინვესტიციო** ღირებულება - გამომდინარეობს კონკრეტული ობიექტის საინვესტიციო მიზნებიდან, რომელიც დამოკიდებულია ტიპური მყიდველისა და გამყიდველის შეთანხმებაზე, გამოირჩევა უფრო მეტი კონკრეტულობით, რადგანაც იგი პირდაპირ კავშირშია კონკრეტულ საინვესტიციო პროექტებთან. ამასთანავე, საინვესტიციო ღირებულება საბაზრო ღირებულებისაგან განსხვავდება მომავალი შემოსავლებისა და რისკების შეფასებაში; განსხვავებული საგადასახადო პირობებით, მფლობელისადმი დაქვემდებარების ხარისხით და ა.შ.

ბ) **საგადასახადო დაბეგვრის** ღირებულება განისაზღვრება საგადასახადო ბაზის გაანგარიშებისათვის და განიხილება მოქმედ საგადასახადო-ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაში.

გ) **უტილიზაციის-დარჩენილი აქტივების** ღირებულება.

დ) **სპეციალური ღირებულება** - ღირებულება, რომელიც განისაზღვრება შესაფასებელი ობიექტის სპეციფიკურ რეჟიმში განხილვით, მაგ: სადაზღვევო, საბაჟო ღირებულება და ა.შ.

ბიზნესის ღირებულების სიდიდის გაანგარიშებისას პროფესიონალი შემფასებლები ითვალისწინებენ ბიზნესის ღირებულების სიდიდეზე მოქმედ **მიკრო და მაკრო ეკონომიკურ ფაქტორებს**. კერძოდ:

ა) **მოთხოვნა ბიზნესზე**, როგორც ყიდვა-გაყიდვის ობიექტზე არსებული მოთხოვნის სიდიდე, რაც დამოკიდებულია შემოსავლის სიდიდეზე, ამონაგების ვადაზე, პოტენციურ რისკებსა და მის შემდგომ რეალიზაციაზე;

ბ) **ბიზნესის ღირებულებაზე** განსაკუთრებულ გავლენას კონტროლის ფაქტორი ახდენს;

გ) **ლიკვიდურობა**, რომელიც გავლენას ახდენს ბიზნესის შესაფასების სიდიდეზე;

დ) **შეზღუდვები**, ნებისმიერი დამატებითი შეზღუდვა, გარდა ქვეყანაში მოქმედი საკანონმდებელი სისტემისა, წარმოდგენს ბიზნესის დაბალი ღირებულების პირობას;

ე) **მოთხოვნა--მიწოდების თანაფარდობა** კომპანიის მოთხოვნის სიდიდე დამოკიდებულია გადახდისუნარიანი პოტენციური ინვესტორების მზადყოფნაზე შეიძინონ შესაფასებელი ობიექტი.

საშემფასებლო საქმიანობაში შესაძლებელია გამოიყოს **ბიზნესის შეფასების პრინციპების სამი ჯგუფი**:

პირველი. ქონების მესაკუთრის წარმოდგენებზე დაფუძნებული პრინციპები, რომელიც მოიცავს: ა) სარგებლიანობის; ბ) ჩანაცვლებისა და გ) მოლოდინის პრინციპებს.

მეორე. ქონების ესქლუატაციასთან დაკავშირებული პრინციპები, რომელიც მოიცავს: ა)წარმოების ფაქტორების; ბ)წვლილის შეტანის; გ) ნარჩენი პროდუქტიულობის; დ) დაბალანსებულობისა და ე) ზღვრული შემოსავლიანობის გავლენას.

მესამე. საბაზრო გარემოს ზემოქმედებით განპირობებული პრინციპები მოიცავს: ა)მოთხოვნისა და მიწოდების სიდიდეებს შორის შესაბამისობის; ბ)კონკურენციის; გ)ღირებულების ცვალებადობის; დ) შესაბამისობის; ე)ეკონომიკური განაწილების; ე) ქონების საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენების პრინციპებს;

გარდა ზემოთაღნიშნული პრინციპებისა, ბიზნესის შეფასებისას პროფესიონალ-შემფასებელმა (ექსპერტმა) უნდა გაითვალისწინოს შესაფასებელი ობიექტის **სასიცოცხლო ციკლი**. კერძოდ, ზუსტად უნდა განისაზღვროს თუ რომელ სტადიაშია შეფასების მომენტისათვის შესაფასებელი ობიექტი.

საშემფასებლო საქმიანობის **პრაქტიკაში** გამოიყენება ბიზნესის შეფასების სხვადასხვა **მოდელები** როგორცაა: ა) **შედარების**, ბ) **შემოსავლების** და გ) **დანახარჯების მიდგომა**.

ასევე, შეფასების მეთოდები: კაპიტალის ბაზრის; გარიგებათა და დარგობრივი კოეფიციენტების მეთოდები. კერძოდ:

1) კაპიტალის ბაზრის მეთოდი - დაფუძნებულია ანალოგიური კომპანიების აქციათა საბაზრო ფასების გამოყენებაზე;

2) გარიგებათა მეთოდი - ამ დროს ხდება მსგავსი კომპანიების აქციათა საკონტროლო პაკეტების შეძენის ფასების გაანალიზება;

3) დარგობრივი კოეფიციენტების მეთოდი საშუალებას გვაძლევს გამოვიანგარიშოთ ბიზნესისი საორენტაციო ღირებულება დარგობრივი სტატისტიკის ბაზაზე გაანგარიშებული მონაცემებით;

4) შემოსავლების კაპიტალიზაციის მეთოდი. კაპიტალიზაცია ერთმანეთთან აკავშირებს შემოსავალსა და გარკვეული ღირებულების ტიპს;

5) ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდი. დაფუძნებულია მოცემული ბიზნესიდან იმ ფულადი ნაკადების პროგნოზირებაზე, რომლებიც შემდეგ დისკონტირდება ინვესტორის მიერ მოთხოვნილი შემოსავლის განაკვეთის შესაბამისი დისკონტის განკვეთი;

6) წმინდა აქტივების მეთოდი - ამ მეთოდის თანახმად ბიზნესის საბაზრო ღირებულება განისაზღვრება, როგორც კომპანიის ყველა აქტივის საბაზრო ღირებულების სიდიდესა და ყველა ვალდებულებების სიდიდეს შორის სხვაობა;

7) კომპანიის სალიკვიდაციო ღირებულების მეთოდი - ამ მეთოდის თანახმად ბიზნესის საბაზრო ღირებულება განისაზღვრება როგორც აქტივებისა და ჯამურ ღირებულებასა და მის ლიკვიდაციაზე გაწეულ დანახარჯებს შორის სხვაობა.

შესაბამისად, ბიზნესის ღირებულების შეფასების სამივე მიდგომა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. თითოეული მათგანი გულისხმობს ბაზარზე მოპოვებული სხვადასხვა სახის ინფორმაციის გამოყენებას. შეფასების სხვადასხვა მიდგომების და მეთოდების გამოყენება, მიუხედავად მათ შორის არსებული რიგი განსხვავებისა, სრულყოფილი კონკურენციის ბაზარზე შეფასების ერთნაირი შედეგები უნდა მოგვცეს.

კლევები უჩვენებს, რომ ეკონომიკური თეორიის განვითარების კვალობაზე ევოლუციას განიცდიდა შეფასებითი საქმიანობაც და მისი სეგმენტირებას ხვდასხვა მიმართულებებით. 1981 წელს დაფუძნდა “აქტივების შეფასების საერთაშორისო კომიტეტი”, რომელსაც 1994 წელს შეეცვალა სახელწოდება და “შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტი ეწოდა”. დღესდღეობით ეს კომიტეტი აერთიანებს 50-ზე მეტი ქვეყნის შემფასებელთა ეროვნულ გაერთიანებას. მისი უმთავრესი ამოცანაა სხვადასხვა ქვეყნების ეროვნული სტანდარტების

ურთიერთშეთანხმება და შეფასების სტანდარტების ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც მისაღები და ეფექტური იქნება საერთაშორისო თანამეგობრობი წევრი ქვეყნებისათვის.

შეფასების სტანდარტები პირველად დიდ ბრიტანეთში იქნა ჩამოყალიბებული მე-20 საუკუნის 70-იან წლებში. იმ პერიოდისთვის ბრიტანეთის უძრავი ქონების ბაზარზე დიდი ბუმი იყო, რასაც თავდაპირველად უძრავ ქონებაზე ფასების მკვეთრი ზრდა, ხოლო შემდგომ პერიოდებში მკვეთრი დაცემა მოჰყვა. შეფასების სისტემა მუდმივად განიცდიდა სრულყოფას და მოიცავდა მთელ რიგ პრაქტიკულ დებულებებს, რომლებიც აუცილებელი იყო შემფასებლებისათვის და რომლებსაც იყენებდა თითოეული თავის დარგში.

ბიზნესის ღირებულებების შეფასების პროცესის სტადიები და ინფორმაციული უზრუნველყოფა ერთმანეთისაგან განსხვავებული სტადიებისაგან შემდგარი რთული და შრომატევადი პროცესია, რომელიც მოიცავს შემდეგ **სტადიებს**:

1) პრობლემის განსაზღვრა - შეფასების მოცემული სტადიაზე ხორციელდება: საწარმოს იდენტიფიკაცია, შეფასების საგნის გამოვლენა, შეფასების თარიღის განსაზღვრა, შეფასების ფუნქციებისა და მიზნების ფორმულირება და შეფასების შემზღვეველი პირობების შემკვეთისთვის გაცნობა, რომლის ეტაპებიც შემდეგნაირად ხასიათდება:

ა) საწარმოს იდენტიფიკაცია, შესაფასებელი ობიექტის სრული და შემოკლებული სახელწოდების განსაზღვრა, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის, იურიდიული და ფაქტიური ადგილმდებარეობის, წარმოების დარგის, გამოსაშვები პროდუქციის ძირითადი სახეებისა და სხვა მონაცემების დადგენა;

ბ) შეფასების საგნის გამოვლენა, განისაზღვრება შესაფასებელ ობიექტთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ქონებრივი უფლებები, როგორცაა - უფლებები საწარმოს მატერიალურ აქტივებზე, სააქციო საზოგადოების სააქციო კაპიტალზე, მონაწილის წილი საწარმოს საწესდებო კაპიტალში ან რომელიმე სხვა ინტერესი;

გ) შეფასების თარიღის განსაზღვრა, რომელიც შესაძლებელია განვიხილოთ საწარმოს გაყიდვის, დათვალიერების, ქონებრივი კომპლექსის დანაწილებასთან დაკავშირებული სასამართლო განხილვის თარიღი და სხვა შემთხვევები;

დ) შეფასების ფუნქციებისა და მიზნების ფორმულების ამ ეტაპზე განისაზღვრება, თუ ღირებულების რომელი სახის გაანგარიშება იქნება საჭირო, რაზეც თავის მხრივ დამოკიდებულია შეფასების ჩატარების მეთოდის არჩევა.

2) შესაფასებელი ობიექტის წინასწარი დათვალიერება და შეფასებაზე ხელშეკრულების დადება. მოცემული სტადია მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ა) საწარმოს წინასწარი დათვალიერება და მისი ადმინისტრაციის გაცნობა; ბ) ინფორმაციის წყაროების განსაზღვრა; გ) საწყისი ინფორმაციის შეგროვება; დ) ექსპერტ-შემფასებლების

ჯგუფის შემოადგენლობის განსაზღვრა; ე) შეფასების კალენდარული გეგმისა და შეფასებაზე დავალების შედგენა; ვ) შეფასებაზე ხელშეკრულების მომზადება და მისი ხელმოწერა.

3) ინფორმაციის შეკრება და ანალიზი. შეფასების მოცემული სტადია შეიძლება დავეყთ შემდეგ ეტაპებად: ზოგადი მონაცემების შეკრება და სისტემატიზაცია; სპეციალური მონაცემების შეკრება და ანალიზი. ზოგადი მონაცემების წარმოდგენის ყველაზე გავრცელებული ხერხი - ეს მათი დაყოფაა იმ საბაზრო სექტორების მიხედვით, რომელშიც ფუნქციონირებს საწარმო, პროდუქტის სახეობად და ფასებად, საწარმოს ფინანსურ და ტექნიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობის ამსახველ მაჩვენებლებად და ა.შ. შეკრებილი მონაცემების წარმოდგენის მოცემული ხერხის უპირატესობა ისაა, რომ მოვახდენთ რა ინფორმაციის შეკრებასა და სისტემატიზაციას ერთხელ, შემდგომში ის შეიძლება გამოვიყენოთ სხვა საწარმოების შეფასების ჩასატარებლად. ზოგადი ინფორმაციის შეკრების გარდა, საჭიროა შეიკრიბოს სპეციალური მონაცემებიც, რომლებსაც შეიძლება მივაკუთვნოთ მონაცემები საწარმოს შესახებ და მონაცემები შესადარი გაყიდვების შესახებ. მონაცემები საწარმოების შესახებ მოიცავს ინფორმაციას საკუთრების უფლების, საწარმოს მონაწილეთა შემადგენლობის, საწესდებო კაპიტალში მათი წილის დამადასტურებელი დოკუმენტების შესახებ, ასევე ინფორმაციას მიწის ნაკვეთის, ამ ნაკვეთზე განლაგებული შენობა-ნაგებობების გამოყენების შესახებ, საწარმოს ფინანსურ-ეკონომიკური და ტექნიკური მახასიათებლების, შენობა-ნაგებობების ფიზიკური მახასიათებლების ჩათვლით და ა.შ.

4) საბაზრო კონიუნქტურის ანალიზი. საბაზრო კონიუნქტურა არის დროის კონკრეტული მომენტისათვის სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენით ბაზარზე ჩამოყალიბებული სიტუაცია, რომელზეც მუდმივად მოქმედებს ისეთი ფაქტორები, როგორცაა: სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, მონოპოლიათა ზეგავლენა, სახელმწიფოს ჩარევა, ინფლაცია, სეზონურობა და ა.შ. საბაზრო კონიუნქტურაზე მოქმედ დროებით ფაქტორებს მიეკუთვნება - სოციალური კონფლიქტები, სტიქიური უბედურებები, პოლიტიკური კრიზისები და ა.შ. საბაზრო კონიუნქტურის პროგნოზისა და ანალიზის მეთოდოლოგიის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს ციკლური ფაქტორების მოქმედების ხასიათსა და აქტივობის დადგენა, ციკლის ფაზების, ცალკეული ფაზაში ციკლის გადასვლის ვადებისა და პერსპექტივაში მისი დინამიკის განსაზღვრა. ბაზრის ციკლურობა არის ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებთან დაკავშირებული ბაზრის მოკლევადიანი და გრძელვადიანი მუდმივი მერყეობები, ეკონომიკური ციკლი შეიცავს ეკონომიკური აქტივობის აღმავლობის, ბუმის რეცესის და დეპრესიის ფაზებს. ეკონომიკური ციკლები გრძელდება საშუალოდ 3-დან 5 წლამდე.

არსებობს მაჩვენებელთა გარკვეული ჯგუფი, რომლებსაც შეიძლება ეკონომიკური ციკლის ინდიკატორები ვუწოდოთ, ესენია:

1) **წინმსწრები მაჩვენებლები-მაჩვენებლები**, რომლებიც იწყებენ ვარდნას მანამდე, სანამ ეკონომიკა მიაღწევს აღმავლობის პიკს და იწყებენ ზრდას მანამდე, სანამ ეკონომიკა გაივლის ვარდნის ზონას;

2) **თანმხვედრი მაჩვენებლები** - ისეთებია, რომლებიც იცვლება ეკონომიკური აქტივობის შეცვლის პარალელურად, თანმხვედრი პარამეტრების **კრებითი ინდექსი** შედგება ოთხი მაჩვენებლისგან: პირადი შემოსავალი ტრანსფერტული გადასახდელების დაქვითვით; მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) სასოფლო-სამეურნეო წამორმოებაში მომუშავეთა რაოდენობა; გადამამუშავებელი მრეწველობის გაყიდვათა მოცულობა;

3) **დაგვიანებული მაჩვენებლები** - ისინი იწყებენ ცვლილებას ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებებზე 4-9 თვით უფრო გვიან. დაგვიანებულ მაჩვენებლებზე კრებითი ინდექსი შედგება შემდეგი შვიდი მაჩვენებლისგან: უმუშევართა რაოდენობა; საერთო ამონაგებში ხელფასზე გაწეული ხარჯების ხვედრითი წონა; კომერციული ბანკების საპროცენტო განაკვეთის საშუალო დონე; სავაჭრო-სამრეწველო საწარმოებისთვის სესხები; სამომხმარებლო კრედიტზე შემოსავლების თანაფარდობა; სამომხმარებლო ფასების ინდექსის ცვლილება; გაყიდვათა მოცულობისადმი საქონლის მარაგების თანაფარდობა.

საბაზრო კონიუნქტურის შესწავლა ხორციელდება ისეთ მაჩვენებელთა საშუალებით, რომლებიც იძლევა საშუალებას რაოდენობრივად შევაფასოთ ბაზარზე მიმდინარე ცვლილებები და განვსაზღვროთ ტენდეციები საბაზრო კონიუნქტურის განვითარებაში, ე.ი. შევადგინოთ პროგნოზი.

საბაზრო კონიუნქტურების შეფასების მაჩვენებლებია:

ა) მონაცემები სამრეწველო წარმოების შესახებ: მრეწველობის წილი მთლიანი შიდა პროდუქტში, საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების მაჩვენებლები მწარმოებელთა ფასების ინდექსი, ხარჯები კაპიტალურ მშენებლობაზე, შეკვეთები ხანგრძლივი მოხმარების საქონელზე, უმუშევრობის დონე და ა.შ.

ბ) კაპიტალდაბანდებათა დინამიკა - საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, მომავალში თუ როგორ განვითარდება წარმოება დარგში ინვესტიციათა მოცულობა თუ იზრდება, მაშასადამე მოთხოვნა მის პროდუქციაზე მაღალია, შეკვეთების რაოდენობა იზრდება და წარმოება ფართოვდება. და პირიქით თუ კაპიტალდაბანდებათა მოცულობა მცირდება, მოთხოვნაც მცირდება, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს წარმოების შეკვეცამდე;

გ) ცნობები შეკვეთების შესახებ - ეს არის მაჩვენებლები, რომლებიც იძლევა საშუალებას შევაფასოთ პერსპექტივაში საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვა;

დ) სამუშაო ძალის გამოყენების მაჩვენებლები -სამუშაო კვირის საშუალო ხანგრძლივობა, უმუშევრობის დონე, ხელფასის ფონდი სიდიდე, სიცოცხლის ღირებულების ინდექსები და ა.შ.

ე) შიდა საქონელბრუნვის მაჩვენებლები -საცალო ვაჭრობის ბრუნვის მოცულობა, მონაცემები საქონლის მარაგების მოძრაობის შესახებ, კრედიტით გაყიდვითა მოცულობები, ინფორმაცია ტვირთების შიდა გადაიზღვევებზე და ა.შ.

ვ) საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები - ექსპორტსა და იმპორტის მოცულობა და გეოგრაფიული გადანაწილება, სავაჭრო ბალანსის დეფიციტი. პრაქტიკულად ყველა ცვლილება, რომელსაც განიცდის ქვეყნის ეკონომიკა კვლავწარმოების ციკლის დროს, ასახვას პოულობს საგარეო ვაჭრობის დინამიკასა და სტრუქტურაში.

ზ) ფულად-საკრედიტო სფეროში მდგომარეობის მახასიათებელი მონაცემები - ფასიანი ქაღალდების ემისია, აქციათა კურსი, სააღრიცხვო პროცენტი, ვალუტის კურსი, მიმოქცევაში ფულის რაოდენობა, საბანკო დეპოზიტების მოძრაობის მაჩვენებლები;

თ) ფასები - საშუალო ფასები საქონლის ჯგუფებზე, წარმოების ფასების ინდექსი, სამომხმარებლო ფასების ინდექსი, ინდექს-დეფლიატორი. ფასები წარმოადგენენ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელს, რომლის დინამიკაში აისახება მრავალი სხვა მონაცემების ცვლილებები.

შესაფასებელი ობიექტის ფასის დასადგენად შემფასებელს უწევს შეფასების ერთი ან რამდენიმე მიდგომის გამოყენება. შეფასების მეთოდის არჩევა დამოკიდებულია შეფასების ობიექტის თავისებურებებზე და არსებულ საბაზრო კონიუნქტურაზე. შეფასების მეთოდი ნიშნავს საყოველთაოდ აღიარებულ ანალიტიკურ მეთოდოლოგიას, რომელიც გამოიყენება ბიზნესის შეფასებისას.

შეფასების სხვადასხვა მიდგომების საშუალებით მიღებულ შედეგთა შეთანხება. შეფასების ერთი ან რამდენიმე მეთოდის გამოყენებით მიღებული შედეგები უნდა დაკორექტირდეს ამ მეთოდების გამოყენებისას არსებული საბაზრო კონიუნქტურის გათვალისწინებით, რაც იძლევა საშუალებას სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით მიღებული ღირებულებებითი მაჩვენებლები ერთანმითან და რეალობასთან თანხვედრაში იყოს;

ბიზნესის ღირებულების შეფასების ანგარიშის მომზადება - ერთდროულად გამოიყენება ორი ფორმა: სრული ანგარიში და კონკრეტული დასკვნა.

ბიზნესის ღირებულების შეფასების ანგარიშის ძირითადი განყოფილებებია:

1. შესავალი;
2. მაკროეკონომიკური პარამეტრების აღწერა;
3. დარგის დახასიათება;
4. საწარმოს აღწერა, მისი ფინანსური და ტექნიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა;
- 5.

შესაძარებულ საწარმოებზე მონაცემთა კვლევა; 6. შეფასების მეთოდების არჩევა და გამოყენება ; 7. დასკვნა შეფასების შესახებ; 8. დანართი;

მაკროეკონომიკური მაჩვენებლების (განყოფილების) მოცემულ კარში აღიწერება მაკროეკონომიკური პარამეტრები, ისეთი ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები ეროვნულ და რეგიონალ დონეებზე, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ საწარმოს ფუნქციონირების შედეგებზე, მათი ტენდენციებსა და ბიზნესის განვითარების პერსპექტივებზე.

დარგის დახასიათება. ამ კარმა შეფასების ანგარიშის მომხმარებლებს უნდა გააცნოს დარგის თავისებურებები, მისი მდგომარეობა აწყმოსა და მომავალში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოთხოვნის სიდიდეზე მომქმედ ფაქტორებსა და გასაღების ბაზრების მახასიათებლებს.

კომპანიის (საწარმოს) დახასიათება. ამ კარის მთავარი მიზანი საწარმო თავისებურებების გამოვლენა და საბაზრო ღირებულებაზე მათი ზეგავლენის დადგენაა. განიხილება შემდეგი ძირითადი საკითხები: საწარმოს ისტორია, გამოსაშვები საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი, გასაღების პირობები, რესურსების მომწოდებლები, პერსონალი, მენეჯმენტი, აქციებთან დაკავშირებით დადებული გარიგებები.

შესაძარებელ საწარმოებზე მონაცემთა კვლევა. აღნიშნული კარი ეძღვნება იმ კრიტერიუმების ანალიზს, რომელთა მიხედვითაც განხორციელდა შესაძარებელ საწარმოთა შერჩევა; ინფორმაციის წყაროთა ანალიზი; შესაძარებელ საწარმოთა მოკლე აღწერა და მათი ფინანსურ-ეკონომიკური ანალიზი.

შეფასების მეთოდების არჩევა და გამოყენება. მოცემულ კარში კეთდება შეფასების არჩეული მეთოდების დასაბუთება, კერძოდ, აღიწერება არჩეული მეთოდების გამოყენებით მიღებული შეფასების შედეგები. ამავე დროს კეთდება არა მარტო შეფასების არჩეული მეთოდების დასაბუთება, არამედ ხდება მულტიპლიკატორების ამა თუ იმ სიდიდის არჩევაც, საწარმოს ლიკვიდურობაზე კორექტივების შეტანა, აქციათა საკონტროლო ან არასაკონტროლო პაკეტის სიდიდეში შესწორებათა შეტანა.

შეფასების თაობაზე დასკვნა - კეთდება შეფასების შესახებ ანგარიშის მოკლე აღწერა და შეიტანება საწარმოს შეფასების შედეგები.

დანართები - ფიქსირდება განცხადებები შემფასებლის პირადი დაინტერესების არარსებობის შესახებ, სხვადასხვა მნიშვნელოვანი დაშვებები და მითითებები; ანგარიშის დაწერაში მონაწილე შემფასებლების პროფესიული მომზადებისა და აკადემიკური განათლების მახასიათებელი დოკუმენტების ასლები.

როგორც უკვე აღინიშნა, **ზოგადად, საინფორმაციო უზრუნველყოფა-** ბიზნესის შეფასების პროცესის საფუძველია. საჭირო ინფორმაციის მოცულობის მისი მიღების წყაროების და მასზე გასაწევი დანახარჯების წინასწარი ანალიზის გარეშე შეუძლებელია სწორად შევადგინოთ შეფასების ჩატარების გრაფიკი, განვსაზღვროთ სამუშაოთა ჩატარების მეთოდოლოგია და ჩამოვაცალიოთ შეფასების პროექტის ბიუჯეტი.

ბიზნესის შეფასების პროცესისათვის აუცილებელი ინფორმაციის კლასიფიკაცია შესაძლებელია შემდეგნაირად: ა) წყაროების მიხედვით: იურიდიული; ფინანსური; ტექნიკური; ბ) კომერციული და მასშტაბების მიხედვით: მაკროეკონომიკური; მიკროეკონომიკური. მთლიანობაში ბიზნესის შეფასებისთვის გამოსაყენებელი ინფორმაცია შეიძლება დავეყოთ ორ ძირითად კატეგორიად: გარე და შიდა ინფორმაცია. ბიზნესის შეფასების გარე ინფორმაცია შეიძლება ასახავდეს საწარმოს ფუნქციონირების პირობებს როგორც დარგის, ასევე მთლიანად ეკონომიკის დონეზე.

ბიზნესის შეფასების თაობაზე სამუშაოთა ჩატარებისთვის აუცილებელი ინფორმაციის ძირითადი წყაროებია: ა) საბუღალტრო ბალანსი; ბ) მოგებისა და ზარალის ანგარიშგება; გ) ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.

ზემოთ აღნიშნული წყაროები საფუძველია მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბაზო ღირებულების, ფინანსური რისკებისა და წმინდა მოგების ზუსტი მოცულობის დასადგენად. უფრო დეტალური ანალიზისთვის შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც საბუღალტრო ანგარიშგების სხვა ფორმები, ასევე მართველობითი აღრიცხვის მასალებიც. ბიზნესის შეფასებისას გამოყენებული მონაცემების ერთობლიობა შესაძლებელია **დავაჯგუფოდ შემდეგი კატეგორიების მიხედვით:**

პირველი ჯგუფი - ახასიათებს ბიზნესიდან მისაღები ფინანსური სარგებლის წყაროებს. მათ შეიძლება მივაკუთვნოთ: მოგება ან სხვა სახის ფულადი შემონატანები ოპერაციებიდან და ან ინვესტიციებიდან; აქტივების დაგირავება ან გაყიდვა და ბიზნესის გაყიდვა.

მეორე ჯგუფი - წარმოადგენს ბიზნესის ფინანსური მაჩვენებლებს გარკვეული რეტროსპექტიული პერიოდის განმავლობაში (1-3 წლით) ასეთ მაჩვენებლებს მიეკუთვნება:

ა) **მოგება.** ბიზნესის შეფასებაში აქტიურად გამოიყენება წმინდა მოგების სიდიდე, თუმცა ხშირად მიზანშეწონილია არა წმინდა მოგების სიდიდის, არამედ, ფულადი ნაკადების სიდიდის გამოყენება. ბიზნესის მესაკუთრის განკარგულებაში შემომავალი ფულადი ნაკადები შედგენა არამატერიალური აქტივებისა და ძირითადი ფონდების საბალანსო ღირებულების მიხედვით აღრიცხული ამორტიზაციული გადარიცხვებისა და წმინდა მოგებისგან. ფულადი ნაკადების სიდიდე უფრო **გამოყენებადია კაპიტალდევად დარგებში და მაღალი ინფლაციის პირობებში;**

ბ) დივიდენდები. ბიზნესის შეფასების თანამედროვე თეორია და პრაქტიკა დივიდენდებს ანიჭებს უფრო ნაკლებ მნიშვნელობას, ვიდრე კომპანიათა შემოსავლიანობას;

გ) აქტივები. მნიშვნელოვანია სწორად გავიგოთ აქტივების როლი ბიზნესის შეფასებაში. ბიზნესის ნაწილის ფლობა ყოველთვის არ იძლევა აქტივების შესაბამისი პროპორციული წილის გამოყენების უფლებას, რადგანაც აქტივების ფლობა ხშირად მხოლოდ შემოსავლების ნაწილის მიღების უფლებას ნიშნავს.

მესამე ჯგუფი -წარმოადენს ბიზნესის არაფინანსურ მაჩვენებლებს, ამ მახასიათებლების ზეგავლენა დაკავშირებულია მის ლიკვიდურობასთან პირდაპირ და ირიბად - ვინაიდან წესდებაში, როგორც წესი, ჩადებულია მესაკუთრის უფლებების შეზღუდვასთან დაკავშირებული გარკვეული მუხლებიც.

მეოთხე ჯგუფს მიეკუთვნება შემფასებლის მიერ გამოყენებული ინფორმაცია კომპანიის (ფირმისათვის) გარე ფაქტორების შესახებ. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია: ა) რომელიც ახასიათებს ქვეყნის სოციალურ- ეკონომიკური განვითარების მდგომარეობასა და მთავრობის საინვესტიციო პოლიტიკას; ბ) რისკ-ფაქტორები. მათ შორის მაკროეკონომიკური, მიკროეკონომიკური, დარგობრივი, რეგიონული და ა.შ. მაკროეკონომიკური რისკის ფაქტორების მიხედვით ინფორმაციის ძირითადი წყაროებია: მთავრობის პროგრამები და სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოების ანალიტიკური მიმოხილვები. მიკროეკონომიკური რისკის ფაქტორების მიხედვით ინფორმაციის ძირითადი წყაროებია: შესაფასებელი საწარმოს მარკეტინგის განყოფილების მონაცემები; ფირმა - დილერების მონაცემები; კომპანიის ბიზნეს-გეგმა და ა.შ.

ამრიგად, ბიზნესის ღირებულების შეფასებისას გასათვალისწინებელია გარე და შიგა ინფორმაცია. გარე ინფორმაცია შეიძლება ასახავდეს საწარმოს ფუნქციონირების პირობებს როგორც დარგის, ისე მთლიანად ეკონომიკის დონეზე. ბიზნესის შეფასების თაობაზე სამუშაოთა ჩატარებისთვის აუცილებელი ინფორმაციის ძირითადი წყაროებია: საბუღალტრო ბალანსი, მოგებისა და ზარალის ანგარიშგება, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება. მითითებული წყაროები საფუძველია მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბაზრო ღირებულების, ფინანსური რისკებისა და წმინდა მოგების ზუსტი მოცულობის დასადგენად. უფრო დეტალური ანალიზისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც საბუღალტრო ანგარიშგების სხვა ფორმები, ისე მმართველობითი აღრიცხვის მასალებიც.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) სხვადასხვა საფუძველები მოითხოვს ან უშვებს რეალური ღირებულების განსხვავებულ შეფასებებსა და განმარტებებს ფინანსური ანგარიშგებებისათვის. ისინი განსხვავდებიან აგრეთვე სახელმძღვანელო მითითებების ხარისხითაც, რომლებიც ეხება აქტივებისა და

ვალდებულებების შეფასების ან მათი შესაბამისი განმარტებების საფუძველს. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ზოგიერთი საფუძვლები დირექტივების სახით იძლევა მითითებებს. გარდა ამისა, არსებობს კონკრეტული დარგის შესაბამისი სპეციფიკური მეთოდები რეალური ღირებულების შეფასებისა და განმარტებითი შენიშვნებისთვის.

ფასს-ის ფარგლებში სხვადასხვა აქტივის, ვალდებულებისა და განმარტებითი შენიშვნებისათვის შეიძლება არსებობდეს რეალური ღირებულების სხვადასხვა განმარტება. ჩვეულებრივ, რეალური ღირებულების კონცეფცია გულისხმობს მიმდინარე და არა წარსულის ან მომავლის ოპერაციებს. შესაბამისად, რეალური ღირებულების შეფასების პროცესი წარმოადგენს ისეთი ფასის მოძებნას, რომლითაც ეს ოპერაცია განხორციელდება.

ასევე, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სხვადასხვა საფუძვლები სხვადასხვანაირად აფასებს დროთა განმავლობაში რეალურ ღირებულებაში მომხდარ ცვლილებებს. ზოგიერთი საფუძვლების მიხედვით იმის განსაზღვრა, გამოყენებულ იქნას თუ არა რეალური ღირებულების აღრიცხვა ან როგორ უნდა განხორციელდეს იგი, დამოკიდებულია ხელმძღვანელობის განზრახვაზე, სპეციფიკური აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ გარკვეული ქმედებების კურსის გატარების შესახებ. ასევე, ფასს-ის საფუძვლები შეიძლება მოითხოვდეს რეალური ღირებულების გარკვეულ სპეციფიკურ შეფასებებს და განმარტებას განსხვავებული ხარისხით.

ფინანსური ანგარიშგების საფუძვლებში შეიძლება:

1) დადგენილი იყოს შეფასების, წარდგენისა და შენიშვნებში განმარტებების მოთხოვნები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული გარკვეული ინფორმაციისთვის ან ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში მოცემული ინფორმაციის, ან დამატებით წარსადგენი ინფორმაციისათვის;

2) ნებადართული იყოს რეალური ღირებულების გარკვეული შეფასებების გამოყენება, სამეურნეო სუბიექტები არჩევანის მიხედვით, ანდა მხოლოდ მაშინ, როცა დაკმაყოფილებულია გარკვეული კრიტერიუმები;

3) დადგენილი იყოს რეალური ღირებულების განმსაზღვრელი სპეციფიკური მეთოდები, მაგალითად, დამოუკიდებელი შეფასების ან დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადების გამოყენებით;

4) ნებადართული იყოს რეალური ღირებულების შეფასების მეთოდის არჩევანის შესაძლებლობა სხვადასხვა ალტერნატიულ მეთოდებს შორის;

5) მოცემული არ იყოს არანაირი მითითება რეალური ღირებულების შეფასებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ, გარდა მათი გამოყენების შესახებ გამოცდილების ან მრეწველობის დარგის პრაქტიკიდან გამომდინარე;

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ზოგიერთ საფუძველში რეალური ღირებულების შეფასებებისა და შენიშვნების განმარტების მოთხოვნისა და დაშვებებისათვის წინაპირობის სახით აღიარებულია, რომ აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. ზოგიერთ შემთხვევაში, ეს წინაპირობა შეიძლება გადახედვილ იქნას, როდესაც აქტივსა და ვალდებულებას არა აქვს კოტირებული საბაზრო ფასი აქტიურ ბაზარზე და მათი რეალური ღირებულების დასაბუთებული შეფასებისათვის არ არსებობს ან არ მუშაობს სხვა მეთოდები.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მრავალ საფუძველების რეალური ღირებულების შეფასების კონცეფციის საფუძველია ის, რომ სამეურნეო სუბიექტი ფუნქციონირებადი საწარმოა, რომელსაც არ აქვს განზრახული ან აუცილებლობა ლიკვიდაციის, ოპერაციების მნიშვნელოვნად შეზღუდვის ან არახელსაყრელ პირობებში შესრულების. რეალურ ღირებულებაზე დაფუძნებული შეფასებებისა და განმარტებების მნიშვნელობა განუწყვეტლივ იზრდება ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძველებში. რეალური ღირებულებები შეიძლება გამოყენებულ იქნას და გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე სხვადასხვა სახით.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი (ასს) 540 - “სააღრიცხვო შეფასებების, მათ შორის, რეალური ღირებულების სააღრიცხვო შეფასებებისა და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების აუდიტი”,³¹ რომელიც აღქმულ უნდა იქნას ასს 200-თან ერთად - “დამოუკიდებელი აუდიტორის საერთო ამოცანები და აუდიტის ჩატარება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად” ერთად, რომლის მიხედვითაც, აუდიტორს ეკისრება პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დროს გამოთვლილ სააღრიცხვო შეფასებებზე, რეალური სააღრიცხვო შეფასებებისა და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნებზე. ფინანსური ანგარიშგების ზოგიერთი მუხლის ღირებულების ზუსტად დადგენა შეუძლებელია, ამიტომ ხდება მათი მიახლოებითი გამოთვლა. კორპორაციის (ბიზნესის) ხელმძღვანელობისათვის სააღრიცხვო შეფასებებისათვის საჭირო ხელმისაწვდომი ინფორმაციის ხასიათი და საიმედოობა ცვალებადია, რაც მოქმედებს სააღრიცხვო შეფასებასთან დაკავშირებულ განუსაზღვრელობაზე. განუსაზღვრელობის ხარისხი გავლენას ახდენს სააღრიცხვო შეფასების არსებითი უზუსტობების რისკებზე (ასს 315; ასს 330), ხელმძღვანელობის უნებლიე თუ გამიზნული მიკერძოებისადმი მგრძობიარობის ჩათვლით.

31. [auditis saerTaSoriso standarti \(ass\) 540](#).

ასს 540-ში განხილულია ხელმძღვანელობის მიერ საადრიცხო შეფასებების გამოსათვლად გამოყენებული დაშვებები და მეთოდები, მათ შორის, მოდელები, რომლებიც მეტად სპეციფიკურია. აუდიტორსა და აუდიტორის გარე ექსპერტს შორის შეთანხმებაში გასათვალისწინებელ საკითხებად განიხილება:

- 1) აუდიტორის ექსპერტის სამუშაოს ადეკვატურობის შეფასება;
- 2) აუდიტორის დასკვნაში აუდიტორის ექსპერტზე მინიშნება, რომელიც არ ამცირებს აუდიტორის პასუხისმგებლობას აუდიტორულ მოსაზრებაზე
- 3) ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებისათვის საჭირო რთული მოდელების ან აუდიტის სპეციფიკური ასპექტებისა და სხვა სფეროების ექსპერტული ცოდნა. (ასს 620 - “აუდიტორის ექსპერტის სამუშაოს გამოყენება”, პუნქტი გ41)³²;

ამრიგად, კვლევის შედეგები მოწმობს, რომ ბიზნესის შეფასება რთული და შრომატევადი პროცესია, რომელიც დამოკიდებულია შეფასების მეთოდებისა და მიდგომების არჩევანზე .

შესაბამისად საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ტრანსფორმაციის თანამედროვე ეტაპზე ბიზნესის შეფასების რთული პროცესისათვის დამახასიათებელი კატეგორიების არსის კონცეფციური მიდგომების და მეთოდოლოგიური ასპექტების შესწავლისა და საზღვარგარეთული საშემფასებლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, გაკეთებულია დასკვნა მისი ადაპტირებული ფორმით საქართველოში გამოყენების თაობაზე ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით.³³

ინვესტიციების ბიუჯეტირების პროცესში **კაპიტალდაბანდების ბიუჯეტირება (Capital budgeting)** – არის საინვესტიციო პროექტების იდენტიფიკაციის, ანალიზის და შერჩევის პროცესი, როდესაც შემოსავლების (ფულადი ნაკადების), მოგების მიღება მოსალოდნელია მომავალში და ეფუძნება კაპიტალდაბანდების ალტერნატიული პროექტების შედარების ანალიზს.

კაპიტალდაბანდების ბიუჯეტირება მოიცავს:

- საინვესტიციო საპროექტო წინადადებების განსაზღვრას (მიღებას), კომპანიის სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობაში;
- საინვესტიციო პროექტებისათვის ოპერაციული ფულადი ნაკადების (მუდმივ) შეფასებას (დაბეგვრის შემდეგ);
- პროექტის მუდმივი ფულადი ნაკადების ზრდის შეფასებას;

32. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი(ასს): 200; 315; 330; 620.3-გ41)

- პროექტების (წინადადების) შერჩევას, ღირებულების მაქსიმალურად გაზრდის პირობაზე დაფუძნებით;

- საბოლოო შეფასების გაკეთებას.

როგორც დასრულებული ასევე მიმდინარე საინვესტიციო პროექტების საინვესტიციო წინადადებები იმის მიხედვით უნდა იქნეს განხილული, იძლევა თუ არა იგი ინვესტორის მიერ მოთხოვნილ თანაბარ ან მასზე დიდ მოგებას. კაპიტალდაბანდების ბიუჯეტირებისას **რისკი** მუდმივია. საინვესტიციო საპროექტო წინადადებები შესაძლოა გაჩნდეს სხვადასხვა წყაროებიდან. მაგ., კომპანიების მარკეტინგული განყოფილება გამოდის ახალი პროდუქტის შექმნის საპროექტო წინადადებით, კომპანიების საწარმოო განყოფილებაში კი წარმოიშობა აღჭურვილობის ჩანაცვლების წინადადება. ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია შესაბამისი ეფექტიანი ადმინისტრაციული პროცედურები საინვესტიციო პროექტების ხელმძღვანელობამდე წარსადგენად. ყველა საინვესტიციო საკითხები უნდა შეესაბამებოდეს კორპორაციულ სტრატეგიას.

შესაბამისად, საინვესტიციო პროექტების განხილვა მიმდინარეობს რამდენიმე მმართველობით დონეზე. მმართველობის იერარქიამ, წარმოების სფეროში მიღებული წინადადებისათვის შესაძლოა მოიცვას: სექციების ხელმძღვანელი, საამქროს უფროსები, წარმოების ვიცე-პრეზიდენტი, პრეზიდენტი და დირექტორთა საბჭო. აღჭურვილობის მენეჯერებმა შესაძლოა შეძლონ საშუალო სიდიდის პროექტები დაამტკიცონ საკუთარი გადაწყვეტილებით, მაგრამ უფრო მსხვილ პროექტებს უმაღლესი დონის მმართველობა ამტკიცებს მხოლოდ, რადგანაც რაც უფრო დიდი კაპიტალდაბანდება საჭირო, მით უფრო საჭიროა პროექტის შესწავლა და გამოკვლევა.

როგორც ცნობილია, **პროექტის მომავალი ფულადი ნაკადების შეფასება** ერთ-ერთი ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი ამოცანა არის კაპიტალდაბანდების დაგეგმვაში. ნებისმიერი მოსალოდნელი მოგება პროექტიდან, გამოისახება **ფულადი ნაკადების ფორმაში**, ვინაიდან კომპანიის ყველა გადაწყვეტილება ორიენტირებულია კონკრეტულად ნაღდი ფულის მიღებაზე და არა **საშემოსავლო ანგარიშზე**. კომპანია თავისი ფულადი ნაკადების ინვესტირებას აკეთებს საიმედო პროექტებში, რომლებიდანაც მომავალში უნდა მიიღოს მოგება. ხელახალი ინვესტირება ან დივიდენდების გადახდა აქციონერებისათვის, მხოლოდ ნაღდი ფულით არის შესაძლებელი. ეფექტიანი მენეჯერები იღებენ ნაღდი ფულს კაპიტალდაბანდების ბიუჯეტირებაში.

ფულად ნაკადებზე ზეგავლენას ახდენს რამდენიმე ფაქტორი. ცხრილი 1.1 ნაჩვენებია ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გასათვალისწინებელია კონკრეტული პროექტისთვის, მზარდი, დაბეგვრის შემდგომი ოპერაციული ფაქტორი ფულადი ნაკადების განსაზღვრისას.

კაპიტალდაბანდების დაგეგმვის გადაწყვეტილებაზე, ზეგავლენას ახდენს ასევე მოქმედი საგადასახადო კოდექსი. მაგ., ამორტიზაცია არის კაპიტალური აქტივების ღირებულების სისტემატური ჩამოწერა და გადატანა პროდუქციის ღირებულებაში დროის პერიოდის განმავლობაში ფინანსური ანგარიშგებისა ან საგადასახადო მიზნებისათვის,

ანდა ორივესთვის ერთად. საგადასახადო მიზნით ამორტიზაციის გამოქვითვები განიხილება როგორც კომპანიის ხარჯები და ამცირებენ მისი მოგების გადასახადს. რაც ნიშნავს იმას, რომ რაც მეტია ამორტიზაციის დანახარჯები, მით ნაკლებია გადასახადებში გადახდილი თანხები. ამორტიზაცია არ არის ფულის გასავალი, მიუხედავად ამისა იგი ზეგავლენას ახდენს კომპანიის ფულად ნაკადზე, როცა ის გადასახადებს იხდის.

ცხრილი 1.1

შესაბამისი პროექტის ნაკადების ძირითადი მახასიათებლები

1	ფულადი (არასაბუღალტრო შემოსავლის) ნაკადები
2	ოპერაციული (არაფინანსური) ნაკადები
3	ნაკადები დაბეგვრის შემდეგ
4	ზრდადი ნაკადები

საფუძვლები, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნეს “დაბეგვრის შემდეგ ზრდადი ოპერაციული ფულადი ნაკადების” შეფასებაში

1	აღმოუფხვრადი ხარჯების იგნორირება
2	ალტერნატიული ხარჯების ჩართვა
3	პროექტში ჩართული პროექტის განხორციელებისას საბრუნავ კაპიტალში ცვლილებების წმინდა სპონტანური ცვლილებები მიმდინარე ვალდებულებებში
4	ინფლაციის ზეგავლენა

აღნიშნულიდან გამომდინარე, “ფულადი ნაკადების” ანალიზის კონტროლისას ცხრილში (ცხრ. 1.1) ჩამოთვლილ საკითხებთან ერთად, გასათვალისწინებელია საგადასახადო საკითხებიც.

ფულადი ნაკადები იყოფა დროზე დაფუძნებულ სამ კატეგორიად, კერძოდ:

1. საწყისი ფულის გასავლები, რომლებიც წარმოადგენენ საწყისი წმინდა ფულის ინვესტიციას;
2. შუალედური ზრდადი ფულის ნაკადები, რომლებიც წარმოადგენენ წმინდა ნაღდი ფულის ნაკადებს და არ შეიცავენ ნაღდი ფულის ნაკადის საბოლოო პერიოდს;
3. ბოლო წლის ზრდადი ფულის ნაკადი, რომელიც საბოლოო პერიოდის წმინდა ფულის ნაკადს შეადგენს.

განვიხილოთ თითოეული მათგანი

1. **საწყისი ფულის გასავლები.** აქტივ(ებ)ის ღირებულება (a) განისაზღვრება ფულადი ნაკადების ასახვით, რომელსაც თან ახლავს მისი შექმნა. საწყისი ფულადი ნაკადის გასავალი პროექტისათვის განისაზღვრება ცხრილი 1.2-ის მიხედვით. ეს ფულადი ნაკადი მოიცავს ცვლილებებს საბრუნავ წმინდა კაპიტალში, დამონტაჟების ხარჯებს და ჩანაცვლებული აქტივის შეცვლიდან მიღებულ გაყიდვას და გადასახადებს.

საწყისი ნაღდი ფულის გასავლის საბაზო ფორმატი

ცხრილი 1.2.

(a)	“ახალი” აქტივ(ებ)ის ღირებულება
(b) +	კაპიტალიზებადი დანახარჯები (დამონტაჟების ხარჯები, ტრანსპორტირების და ა.შ)
(c) +(-)	“წმინდა საბრუნავი კაპიტალის გაზრდილი (შემცირებული) დონე
d -	წმინდა მოგება (საგადასახადო დანაზოგები) “ძველი” აქტივ(ებ)ის გაყიდვიდან თუ ინვესტიცია არის ძველი აქტივების ახლით ჩანაცვლების გადაწყვეტილება
(e) +(-)	გადასახადები (საგადასახადო დანაზოგები) “ძველი” აქტივ(ებ)ის გაყიდვაზე თუ ინვესტიცია არის ჩანაცვლების გადაწყვეტილება
f =	საწყისი ფულის გასავლები

2. შუალედური მუდმივი ფულადი ნაკადები. კომპანია განიხილავს მოგების მიღებას პროექტის მომავალი ფულადი შემოსავლებიდან, საწყისი ფულადი ნაკადის გასვლის შემდეგ. ეს ფულადი ნაკადები შესაძლებელია განისაზღვროს პროცედურებით, რომელიც ნაჩვენებია, აღწერილია ცხრილში 1.3.

ნაბიჯი (b) – პირველად გამოვქვითავთ ნებისმიერ ზრდას (ვამატებთ ნებისმიერ შემცირებას) ზრდად საგადასახადო ამორტიზაციაში, დაკავშირებული პროექტის აქცეპტენსს – “დაბეგვრამდე შემოსავალში წმინდა ცვლილების” განსაზღვრაში.

ნაბიჯი (f) – თუმცა მოგვიანებით უკან ვამატებთ ნებისმიერ ზრდას (გამოვქვითავთ ნებისმიერ შემცირებას) საგადასახადო ამორტიზაციაში.

საგადასახადო ამორტიზაცია, როგორც აღინიშნა, არის არაფულადი დარიცხვა ოპერაციულ შემოსავალზე, რომელიც ამცირებს დასაბეგრ მოგებას. ამგვარად, უნდა განვსაზღვროთ პროექტის აქცეპტენსის ზრდადი ზეგავლენა კომპანიის გადასახადებზე.

შუალედური ნაღდი ფულის ნაკადების საბაზო ფორმატი

(პერიოდის მიხედვით)

ცხრილი 1.3.

(a)	ოპერაციული შემოსავლები წმინდა ზრდას (კლებას) გამოკლებული (დამატებული) ნებისმიერი წმინდა ზრდა (კლება) ოპერაციულ დანახარჯებში, ამორტიზაციის გამოკლებით
(b)-(+)	საგადასახადო მიზნებისათვის ამორტიზაციის დარიცხვების წმინდა ზრდა (კლება)
(c) =	დაბეგვრამდე შემოსავლებში წმინდა ცვლილება
(d)-(+)	გადასახადებში წმინდა ზრდა (კლება)
(e)=	დაბეგვრის შემდეგ წმინდა ცვლილება შემოსავლებში
(f)+(-)	წმინდა ზრდა (კლება) საგადასახადო ამორტიზაციის დარიცხვებში
(g) =	წმინდა ფულადი ნაკადი პერიოდისათვის

საბრუნავ კაპიტალში პროექტთან დაკავშირებული ცვლილებები წარმოიშობა პროექტის დაწყებისას და დასასრულს. ამიტომ ცხრილი 1.3 არ ასახავს საბრუნავი კაპიტალის ცვლილების ცალკე, განმეორებად განსაზღვრას. ამიტომ უნდა დავამატოთ “დროის შუა ზრდადი წმინდა ფულადი ნაკადის” განსაზღვრის დამატებითი ნაბიჯი- (f) ნაბიჯის შემდეგ: +(-) ”წმინდა საბრუნავი კაპიტალის” შემცირებული (გაზრდილი) დონე.

3. ბოლო წლის ზრდადი წმინდა ფულის ნაკადი. ამ პერიოდის ფულადი ნაკადისათვის უნდა გამოვიყენოთ იგივე პროცედურა, როგორც ზემოთ - შიდა ზრდის პერიოდებში. მის გარდა ყურადღება უნდა გამახვილდეს მცირეოდენ ფულად ნაკადებზე, რომლებიც ხშირად უკავშირდებიან მხოლოდ პროექტის დასრულებას.

პოტენციურად ეს ფულადი ნაკადები არის შემდეგი **შემოსავლები**: ნებისმიერი გაყიდული ან გადაცემული აქტივების სალიკვიდაციო ღირებულება; გადასახადები (საგადასახადო დანაზოგები) დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან ან გადაცემასთან; ნებისმიერი პროექტის დასრულებასთან დაკავშირებული ცვლილება საბრუნავ კაპიტალში – ნებისმიერი საწყისი საბრუნავი კაპიტალის ინვესტიცია დაბრუნდება როგორც დამატებითი ფულადი შემოსავალი. ცხრილი 1.4 აღნიშნავს იმ ნაბიჯებს, რომლებიც წარმოიშობა პროექტის დასრულებისას და კლასიფიკაციას უკეთებს ყველა მიმართულებას.

ბოლო წლის ზრდადი ნაღდი ფულის ნაკადის საბაზო ფორმატი

ცხრილი 1.4.

(a)	წმინდა ზრდას (კლებას) ოპერაციულ შემოსავლებში გამოკლებული (დამატებული) ნებისმიერი წმინდა ზრდა (კლება) ოპერაციულ დანახარჯებში, ამორტიზაციის გამორიცხვით
(b) -(+)	წმინდა ზრდა (კლება) საგადასახადო ამორტიზაციის დარიცხვებში
(c) =	წმინდა ცვლილება შემოსავალში დაბეგვრამდე
(d) -(+)	წმინდა ზრდა (კლება) გადასახადებში
(e) =	წმინდა ცვლილება შემოსავალში დაბეგვრის შემდეგ
(f) +(-)	წმინდა ზრდა (კლება) საგადასახადო ამორტიზაციის დარიცხვებში

(g) =	უდმივი ფულადი ნაკადი ბოლო წლისთვის ღონისძიებების გათვალისწინების გარეშე, დაკავშირებული პროექტის დამთავრებასთან
(h)+(-)	“ახალი” აქტივ(ებ)ის საბოლოო სალიკვიდაციო ღირებულება (დანახარჯები გადაცემა /გამოსწორებაზე)
(i) -(+)	“ახალი” აქტივ(ებ)ის გაყიდვაზე ან გადაცემაზე გადასახდელი გადასახადები
(j)+(-)	“წმინდა” საბრუნავი კაპიტალის შემცირებული (გაზრდილი) დონე
(k) =	ბოლო წლის ზრდადი წმინდა ფულადი ნაკადი

პრაქტიკა მოწმობს, რომ კაპიტალდაბანდების ბიუჯეტირების პროცესი, საინვესტიციო წინადადებების მიღება დაკავშირებულია კომპანიის ბიზნეს რისკთან, გამომდინარე აქედან საჭიროა პროექტის შეფასება და შერჩევა მოხდეს ალტერნატიული მეთოდებით. კერძოდ, განვიხილოთ პროექტის შეფასების და შერჩევის ოთხი ალტერნატიული მეთოდი.

1. გამოსყიდვის პერიოდი (Payback period-PBP) – დროის პერიოდი, რომელიც საჭიროა საინვესტიციო ბიზნეს პროექტში ინვესტირებული თანხების ფულადი შემოსავლის მისაღებად. იმ საინვესტიციო წლების რაოდენობას, რომელიც საჭიროა საწყისი ფულადი ინვესტიციების დასაფარავად დაფუძნებული პროექტის მოსალოდნელ ფულად ნაკადებზე, პროექტის გამოსყიდვის პერიოდი (PBP) გვიჩვენებს.

$$PBP = a + (b - c) / d$$

სადაც, PBP – არის საინვესტიციო პროექტის გამოსყიდვის პერიოდი;

a - არის ფულადი ნაკადის მოლოდინის მეორე წელი;

b - არის საწყისი ფულადი გასავალი;

c - არის დაგროვებადი მთლიანი თანხები მე-2 ნაბიჯიდან

d - არის მომდევნო (შემდეგი) წლის ფულადი შემოდინება.

2. უკუგების შიდა განაკვეთი (Internal rate of return-IRR) – ინვესტიციებზე შემოსავლის განაკვეთის შეფასების მეთოდი. საინვესტიციო წინადადებების უკუგების შიდა განაკვეთი (IRR) არის დისკონტის განაკვეთი, რომელიც ათანაბრებს მოსალოდნელი წმინდა ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას საწყის ფულად გადინებასთან. თუ პროექტის IRR დიდია ან ტოლია მოგების მოთხოვნილ განაკვეთზე, პროექტი უნდა იქნეს მიღებული.

ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდი უფრო მეტად იძლევა ობიექტურ საფუძველს საინვესტიციო პროექტის შეფასებისათვის და შერჩევისათვის. განსახილველი პროექტის “სიცოცხლის” თითოეულ პერიოდში, ეს მეთოდი ითვალისწინებს როგორც მოსალოდნელი ნაკადების სიდიდეს, ასევე მათი დროის მიხედვით განაწილებას. მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დროულობა არის მეტად მნიშვნელოვანი საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების დროს, ამიტომ აქციონერები უპირატესობას იმ საინვესტიციო პროექტს ანიჭებენ, რომელიც უზრუნველყოფს ფულად შემოსავლებს შემდეგი 5 წლის განმავლობაში, ვიდრე პროექტს, რომელიც იძლევა იგივე ფულად ნაკადებს 6-დან 10 წლამდე.

პროექტის რისკის გამოანგარიშება შესაძლებელია დისკონტირების არჩევანის მიხედვით. დისკონტირებული ფულადი ნაკადის სამი მთავარი მეთოდი არის – უკუგების შიდა განაკვეთი (IRR), ახლანდელი წმინდა ღირებულება (NPV) და მომგებიანობის ინდექსი (PI).

უკუგების შიდა განაკვეთი (IRR) საინვესტიციო წინადადებისათვის არის დისკონტის განაკვეთი, რომელიც ტოლია მოსალოდნელი წმინდა ფულადი ნაკადების ახლანდელი ღირებულების (CF), საწყისი ფულადი გასავლით (ICO). თუ საწყისი ფულადი გასავალი ან ხარჯი წარმოშობილია ნულოვან დროს, იგი წარმოდგენილია განაკვეთით, IRR, ამგვარად

$$ICO = \frac{CF_1}{(1+IRR)^1} + \frac{CF_2}{(1+IRR)^2} + \dots + \frac{CF_n}{(1+IRR)^n}$$

IRR არის პროცენტული განაკვეთი, რომელიც დისკონტირებას უკეთებს მომავალი წმინდა ფულადი ნაკადების დინებას – CF1 – CFn – უტოლდება საწყისი ფულადი გასავლის (ICO) ახლანდელი ღირებულების ნულოვან დროს.

3. წმინდა ახლანდელი ღირებულება (Net present value -NPV) – წმინდა ნაღდი ფულის შემოსავლებს გამოკლებული პროექტის საწყისი ნაღდი ფულის გასავალი. წმინდა ახლანდელი ღირებულება არის დისკონტირებული ფულადი ნაკადის მიდგომა კაპიტალბანდების დაგეგმვისათვის უკუგების შიდა განაკვეთის მეთოდის მსგავსად. საინვესტიციო წინადადებების წმინდა ახლანდელი ღირებულების (NPV) ფორმულას აქვს შემდეგი სახე:

$$NPV = \frac{CF_1}{(1+k)^1} + \frac{CF_2}{(1+k)^2} + \dots + \frac{CF_N}{(1+k)^n} - ICO$$

სადაც, K არის მოგების მოთხოვნილი განაკვეთი და ყველა სხვა ცვლადი არის წინასწარ განსაზღვრული.

აქცეპტენსის კრიტერიუმი. თუ წმინდა ახლანდელი ღირებულება არის ნული ან ნულზე მეტი, საინვესტიციო პროექტი არის მისაღები. თუ **ფულადი შემოსავლების** ახლანდელი ღირებულება აჭარბებს **ხარჯების** ახლანდელ ღირებულებას, ეს კიდევ ერთი საშუალება არის პროექტის აქცეპტენსის კრიტერიუმის გამოსახვის.

კომპანიის **აქციების საბაზრო ფასი** შეიძლება გაიზარდოს მაშინ, როცა კომპანია იღებს წინადადებას, რომლის წმინდა ახლანდელი ღირებულება აჭარბებს ნულოვან მნიშვნელობას. კომპანიის აქციების თვითმსყიდველობის საბაზრო ფასი უნდა შეიცვალოს სიდიდით, რომელიც ტოლია შესაბამისი საინვესტიციო პროექტის წმინდა ახლანდელი ღირებულების, თუ **მომგებიანობის მოთხოვნილი მინიმალური განაკვეთი**, ან დისკონტირების განაკვეთი არჩეულია სწორად. კომპანიის აქციების საბაზრო ფასზე ზეგავლენა არ უნდა მოახდინოს პროექტის რეალიზაციამ, რომლის წმინდა ახლანდელი ღირებულება უტოლდება ნულს.

წმინდა ახლანდელი ღირებულებისა და უკუგების შიდა განაკვეთის მეთოდების გამოყენება იძლევა საშუალებას პროექტის მიღებაზე ან უარყოფაზე გადაწყვეტილების მისაღებად.

4. მომგებიანობის ინდექსი (Profitability index-PI) – პროექტის მომავალი წმინდა ფულადი ნაკადების ახლანდელი ღირებულების დამოკიდებულების კოეფიციენტი ამ პროექტის საწყის ინვესტიციაზე. პროექტის მომგებიანობის ინდექსი (PI) შეიძლება გამოისახოს შემდეგნაირად:

$$PI = \left(\frac{CF_1}{(1+k)^1} + \frac{CF_2}{(1+k)^2} + \dots + \frac{CF_N}{(1+k)^n} \right) / ICO$$

საინვესტიციო წინადადება მისაღებია იმდენი პერიოდის განმავლობაში, სანამ მომგებიანობის ინდექსი არის 1.00 ან მეტი. თუ მომგებიანობის ინდექსი მეტია 1.00-ზე, ეს მიუთითებს იმაზე, რომ **წმინდა ახლანდელი ღირებულება** არის ნულზე მეტი. მომგებიანობის ინდექსი, გამოხატავს მხოლოდ შესაბამის მომგებიანობას, ამიტომ წმინდა ახლანდელი ღირებულების მეთოდი ხშირად უფრო მისაღებია ვიდრე მომგებიანობის ინდექსი, ვინაიდან წმინდა ახლანდელი ღირებულება გვეუბნება მივიღოთ თუ არა პროექტი და ასევე გამოხატავს აბსოლუტურ ფულადი ეკონომიის ხელშეწყობას.

რისკის მართვა. ინვესტიციების ბიუჯეტირების პროცესს, ნებისმიერ საინვესტიციო წინადადებას აქვს ერთნაირი ბიზნესრისკი. ასევე სხვადასხვა საინვესტიციო პროექტებს

ხშირად აქვთ რისკის განსხვავებული ხარისხი. კომპანიის არსებული რისკის მნიშვნელოვანი ზრდა შეიძლება გამოიწვიოს ისეთმა პროექტმა, რომელიც სავარაუდოდ შესაძლებელია მაღალი მოგების მომცემი იყოს. რისკის გარდა საინვესტიციო წინადადებები ზოგჯერ შეიცავს მენეჯმენტის ალტერნატივას, უფლებებს მიიღოს გადაწყვეტილებები გვიანი თარიღით. მენეჯმენტს შესაძლოა გააჩნდეს ცვლილებების გაკეთების მოქნილობა, როდესაც პროექტი მიიღება, რაც ზეგავლენას ახდენს შემდგომ ფულად ნაკადებზე ან/და პროექტის არსებობაზე. საინვესტიციო წინადადებების “რისკიანობას” განვსაზღვრავთ, როგორც მისი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ცვლილებას. მით რისკიანია პროექტი, რაც დიდია ცვალებადობა.

33. მარტიაშვილი მ., ლიპარტია ზ. _ „ბისნესის შეფასების კონცეფციურ-მეთოდოლოგიური ასპექტები“. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა“, N 1, 2016. _გვ.33-36.

თავი 8. ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტური სფეროების ეროვნული სისტემის სრულყოფის პრიორიტეტები საქართველოში

საქართველოს არასახელმწიფოებრივ (კერძო) სექტორში ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მარეგულირებელი ნორმატიულ-საკანონმდებლო ბაზის შეფასებისას, გამოიკვეთა ქვეყანაში განხორციელებული რეფორმების შემდეგი ეტაპები, კერძოდ:

1) რეგულირების საბჭოთა სისტემის საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებთან მისადაგების მცდელობა (1990-1994წწ.);

2) საბაზრო ეკონომიკის პრინციპების შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის შექმნა (1995-1999);


3) ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის მარეგულირებელი კანონების მოთხოვნების პრაქტიკაში დამკვიდრება და საკანონმდებლო ბაზის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებების ფორმირება (2000-2012წ.წ. და შემდგომ პერიოდში- 2016 წლის ივნისის ჩათვლით).

კვლევის შედეგები მოწმობს, რომ 2016 წლის 08 ივნისამდე მოქმედი საკანონმდებლო ნორმატიული აქტები საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ [60] აკრედიტაციის მოთხოვნები არათანაბარ პირობებში აყენებდა პროფესიულ-ორგანიზაციებს. ამასთანავე, საკანონმდებლო რეგულირების არსებული სისტემა აუცილებლად საჭიროებდა შესაბამის ცვლილებებს.

შესაბამისად, მიზანშეწონილად იყო მიჩნეული დამოუკიდებელი სახელმწიფო ზედამხედველობი ორგანოს შექმნის აუცილებლობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ან ფასიანი ქაღალდების კომისიასთან, რომლის ადაპტირებაც ქვეყნის სამეწარმეო-ბიზნესის პრაქტიკაში (საზედამხედველო ორგანოს სტრუქტურის ალგორითმი წარმოდგენილია-იხ. ნახ.1-11ში), ჩვენი შეფასებით, უზრუნველყოფდა აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციების დაქვემდებარებას ეფექტურ ზედამხედველობასთან.

საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, საზედამხედველო ორგანოს წევრების უმრავლესობას უნდა წარმოადგენდეს ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის ინფორმაციის ძირითადი მომხმარებელი სტრუქტურები, როგორცაა: საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისია, ეროვნული ბანკი, ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი. საზედამხედველო ორგანო დამოუკიდებელი უნდა იყოს პროფესიისაგან, თუმცა, მასში წარმომადგენელი უნდა ჰყავდეს აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციებს და ამ ორგანოს საქმიანობაში მონაწილეობას იღებდნენ პროფესიული გამოცდილების მქონე აუდიტორული საქმიანობით დაკავებული პირები.

ნახ. 1-11 სახელმწიფო საზედამხედველო ორგანოს სტრუქტურის ალგორითმი.



ასევე, ზემოთ აღნიშნულ კანონში (2012წ.29ივნისის) [60] არ არის განსაზღვრული დისციპლინარული მოკვლევისა და სანქციების საკითხი. შესაბამისად, არსებითი კანონში ცალკე მუხლის – „დისციპლინარული მოკვლევა და სანქციები“–ს დამატება, რათა შეიქმნას დისციპლინარული მოკვლევისა და სანქციების გატარების ეფექტური სისტემა აუდიტორებისათვის, ხარისხიანი აუდიტორული მომსახურების განხორციელების უნარის არმქონე პირების გამოსავლენად, რათა ისინი აუდიტორულ საქმიანობას ჩამოსცილდნენ.

როგორც უკვე აღინიშნა, მსოფლიო ბანკის 2015 წლის- “ ანგარიში სტანდარტებისა და კოდექსების შერსულების შესახებ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში (ROSC)” შეფასებიდან გამომდინარეობს, საქართველოში ამჟამად მოქმედი საკანონმდებლო ბაზა გაცილებით ნაკლებად განვითარებულია ვიდრე ევროკავშირის კანონებისა და ნორმატიული აქტების კრებული [იხ.წინამდებარე სამეცნიერო მონოგრაფიული ნაშრომის ნაწილი პირველის, თავი-3].

ამასთანავე, საგულისხმოა, რომ ქვეყანაში სხვადასხვა მარეგულირებლის, კომერციული ბანკების, საგანმანათლებლო დაწესებულებების, ბუღალტრების და ფინანსური ანგარიშგებების სხვა მომხმარებლების წარმომადგენლების მოსაზრებები მიუთითებს, რომ საერთაშორისო აუდიტორული ქსელის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის დიდი ნდობით სარგებლობს, ხოლო ადგილობრივი ფირმების და ინდივიდუალური პრაქტიკოსების მიერ გაწეული მომსახურება მიიჩნევა, რომ იგი არ აკმაყოფილებს სტანდარტებს. შესაბამისად, საქართველოში ზემოთ აღნიშნული

წარმოდგენა და ხარისხის უზრუნველყოფის სრულყოფილი სისტემის არარსებობა ნაკლებ სტიმულს აძლევს აუდიტორებს, რომ გააუმჯობესონ შესრულებული სამუშაოს ხარისხი.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევებისა და აღნიშნული “ანგარიშების სტანდარტებისა და კოდექსების შესრულების შესახებ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში (ROSC)“-ის,პუნქტი-104;105]³⁴

შეფასებიდან გამომდინარე, გამოიკვეთა შემდეგი ღონისძიებების განხორციელების საჭიროება საქართველოში კორპორაციული ფინანსური ანგარიშგებების შედგენისა და წარდგენის თანამედროვე ეფექტური ინსტიტუციური სისტემის ფორმირებისთვის, კერძოდ:

1) საჭიროა საზოგადოებრივი ინტერესის მქონე კომპანიების (PIEs) განსაზღვრა საქართველოს კანონმდებლობაში, რომელიც ევროკავშირის ბუღალტრული აღრიცხვის დირექტივასთან შესაბამისობის მიზნით უნდა მოიცავდეს: ა)

რეგულირებად ბაზარზე ვაჭრობაში მონაწილე კომპანიებს; ბ)საკრედიტო დაწესებულებებს, სადაზღვევო კომპანიებს და კომპანიებს, რომლებიც მნიშვნელოვანი არიან საზოგადოებისთვის მათი ბიზნესის ტიპის, სიდიდის ან დასაქმებული ადამიანების რიცხოვნობის გამო. შესაბამისად, შემოღებულ უნდა იქნას საზოგადოებრივი ინტერესის მქონე კომპანიების, დიდი, საშუალო, მცირე და მიკროსაწარმოების განსაზღვრებები მათი ბიზნესის სიდიდის და მფლობელობის ტიპის გათვალისწინებით სხვადასხვა კანონებში, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კანონის ჩათვლით, სტანდარტების მოთხოვნების შესრულების უზრუნველსაყოფად;

2) შემოღებულ იქნას მოთხოვნა საქართველოს ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი ყველა საზოგადოებრივი ინტერესის მქონე და დიდი საწარმოებისთვის, ბუღალტრული აღრიცხვის დირექტივების შესაბამისად, ინტერნეტის მეშვეობით, სრულად აქვეყნებდნენ აუდიტორის მიერ დადასტურებულ საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებებს აქციონერთა საერთო კრებამდე გონივრული პერიოდის განმავლობაში;

3) უნდა შეიქმნას მდგრადი დაფინანსების უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც საშუალებას მისცემს აკრედიტებულ პროფესიულ ურგანიზაციებს დროულად და ეფექტურად შეასრულონ მთავრობის მიერ დელეგირებული შემდეგი ფუნქციები ყოველგვარი არასათანადო ზეგავლენის და მიკერძოების გარეშე;

შესაბამისად, შემოთავაზებულია შემდეგი რეკომენდაციები საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, კერძოდ:

34. ანგარიში....ROSC-ის,პ.104,105.

1) საქართველოში არსებული მარეგულირებელი ორგანოს (ორგანოების) აღჭურვა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმებითა და იძულებითი უზრუნველყოფის შესაბამისი უფლებამოსილებით;

2) სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმოების ფინანსური ანგარიშგების ცენტრალიზაცია უფლებამოსილების მქონე ერთ არსებულ ორგანოში;

3) საზედამხედველო ორგანოს შექმნა, რომელიც იქნება სავალდებულო აუდიტის განმახორციელებელი აუდიტორების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი კომპეტენტური ორგანო;

4) მარეგულირებლების ინსტიტუციური შესაძლებლობების უწყვეტი ზრდა ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგის და უზრუნველყოფის მიზნით;

5) თანამშრომლობის გაძლიერება მთავრობასა და ბუღალტრული აღრიცხვის (აუდიტის) პროფესიულ ასოციაციებს შორის ფასს-თან შესაბამისობის ასამაღლებლად, აუდიტზე ხარისხის კონტროლის დასაწესებლად, სტანდარტების დროული თარგმნის უზრუნველსაყოფად და უწყვეტი პროფესიული განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად;

6) შესაბამისობის მარეგულირებელ ორგანოებში მექანიზმების მნიშვნელოვანი გაძლიერება სტანდარტებთან შესაბამისობაზე მონიტორინგის განსახორციელებლად და შეუსაბამობისათვის შესაბამისი სანქციების დასაწესებლად.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში ხარისხიანი პროფესიული მომსახურების უზრუნველსაყოფად, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია პროფესიული განათლებისა და სერტიფიცირების პროცესის საკანონმდებლო რეგულირების საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად **სრულყოფა**. საქართველოში ბუღალტრის პროფესიული განათლებისა და სერტიფიცირების პროცესის **რეგულირების პრაქტიკის შეფასებისას** (იხ. ნაწილი პირველი, თავი 5 – „ბუღალტრის (აუდიტორის) პროფესიული სერტიფიცირებისა და კვალიფიკაციის აღიარების პრაქტიკა“). გამოიკვეთა, რომ პროფესიული მომსახურებისა და ფინანსური ანგარიშგების **სანდოობის ხარისხი** დამოკიდებულია დასაქმებული ბუღალტრების (აუდიტორების) კვალიფიკაციაზე.

შესაბამისად, ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის რეგულირების სრულყოფაში მნიშვნელოვანია განათლების, პროფესიული სერტიფიცირებისა და კვალიფიკაციის აღიარების განმსაზღვრელი საკანონმდებლო ნორმების შემდგომი სრულყოფის მიზნით, შემოთავაზებულია პროფესიული სერტიფიცირებისა და პროფესიული მომსახურების სფეროების სრულყოფის მექანიზმის ძირითადი ელემენტები და ასევე, ბუღალტერთა სერტიფიცირებისა და აკადემიურ განათლებასთან დაკავშირებული საკითხების სრულყოფის პრიორიტეტული მიმართულებები, კერძოდ :

1. საქართველოში ბუღალტერთა (აუდიტორთა) პროფესიული სერტიფიცირების მოქმედი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს უმაღლესი განათლების მქონე პირების (როგორც ეკონომიკური, ასევე არაეკონომიკური პროფილის) გადამზადებას ბრიტანეთის სერტიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის პროგრამით (ACCA) და ერთი პროფესიული ორგანიზაციის (საქართველოს ბაფი) მიერ, მიზანშეწონილია, შემუშავდეს სერტიფიცირების ალტერნატიული პროგრამა ეკონომიკური განათლების მქონე პირებისათვის, რომლებიც მუშაობენ ბუღალტრებად და მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება გააჩნიათ.

2. მიზანშეწონილია საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ ადრე სერტიფიცირებული აუდიტორებისთვის საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს სერტიფიცირების აუდიტორული პროგრამა, რამდენადაც მათი საქმიანობა შემოფარგლულია მხოლოდ არასავალდებულო აუდიტის ჩატარებით და სერტიფიკატების მოქმედების ვადა შეზღუდულია 5 წლით.

3. მიზანშეწონილია, სხვა ქვეყნის სერტიფიცირებული პირის ფინანსური ანგარიშგების სავალდებულო აუდიტის ბაზარზე დამშვების უზრუნველსაყოფად შეიცვალოს ქვეყნის პროფესიონალი ბუღალტრის კვალიფიკაციის აღიარების მარეგულირებელი ნორმები. კერძოდ: უნდა ჩამოყალიბდეს ისეთი ფორმით, რომ სხვა ქვეყნის პროფესიონალი ბუღალტრის კვალიფიკაციის აღიარების დამატებით პირობად განისაზღვროს: 1) სახელმწიფო (ქართული) ენის, 2) საქართველოს ბიზნეს სამართლისა და 3) საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცოდნა.

4. მიზანშეწონილია საქართველოში არსებული ბუღალტერთა პროფესიული სერტიფიცირების პროგრამისა (ACCA) და ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში განათლების პროგრამებში მნიშვნელოვანი განსხვავებების გათვალისწინებით ქვეყანაში პროფესიული ორგანიზაცია (საქართველოს ბაფი) პროფესიული სერტიფიცირებისა და ბუღალტერთა განათლების პროგრამების სრულყოფისა და დაახლოების მიზნით, ქვეყანაში, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პროფილის აკადემიური სექტორის განათლების პროგრამებში გათვალისწინებულ იქნეს საქართველოს ბაფის სერტიფიცირების პროგრამის ძირითადი მოთხოვნები ცალკეული დისციპლინების (საგნების) მიხედვით. შესაბამისად, ბიზნესის ადმინისტრირების „ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პროფილის“ მიმართულების უმაღლესი აკადემიური სექტორის ბაკალავრიატის პროგრამებში გათვალისწინებულ იქნას საგანი (წიგნი) „მცირე და საშუალო საწარმოების ფასს და ასს“. ხოლო „მსხვილი კორპორაციების ფასს და ასს“ გათვალისწინებულ იქნეს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების შესაბამისი მაგისტრატურის პროგრამებში.

ამრიგად, საქართველოში ბუღალტრის (აუდიტორის) პროფესიული სწავლების სერტიფიცირების და კვალიფიკაციის აღიარების სფეროებში არსებული პრობლემების და ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში ბუღალტრის პროფესიული დონის ამაღლების მიზნით შემოთავაზებულია რეკომენდაციები პროფესიული განათლების

გაუმჯობესების მიმართულებით საქართველოს სამართლებრივი და ინსტიტუციურ ღონისძიებების გასატარებლად, კერძოდ:

ა) პროფესია კვლავ თვითრეგულირებადია და მნიშვნელოვანი საზედამხედველო პასუხისმგებლობები აქვს, მაგრამ თვითონ არ ექვემდებარება დამოუკიდებელ ზედამხედველობას;

ბ) ინფორმაციის წარდგენისა და გამოქვეყნების მოთხოვნები არაადეკვატურია იმისთვის, რომ უზრუნველყოს ხარისხიანი ფინანსური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;

გ) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ანგარიშების მოთხოვნები საჭიროებს დახვეწას, რათა თვიდან ავიცილოთ მათთვის „ზედმეტი ტვირთის“ დაკისრება;

დ) სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმოებისთვის ანგარიშების და გამოქვეყნების მოთხოვნები საჭიროებს გაუმჯობესებას, რათა შესაძლებელი გახდეს ინფორმაციის მიღება, გამოქვეყნება და ანგარიშების აუდიტის განხორციელება.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის რეგულირების სისტემის პრაქტიკის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე ზემოთ ჩამოყალიბებული რეგულირების მექანიზმის შემდგომი სრულყოფის მოთხოვნა აკადემიური განათლების სფეროში შეესაბამება მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მიერ „ანგარიშის ROSC - აღრიცხვისა და აუდიტის სტანდარტების და კოდექსების შესრულების შესახებ“ [პუნქტი:104;105] რეკომენდაციებს გასაუმჯობესებელი სფეროების ჭრილში.

ზოგადად, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო მოთხოვნებისა და საუკეთესო პრაქტიკის ასევე, მსოფლიო ბანკის ანგარიშგებაში (FRR) აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირების სრულყოფის შემოთავაზებული რეკომენდაციების პრაქტიკაში დანერგვით საქართველოში შესაძლებელი იქნება:

ა) ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება;

ბ) ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა და

გ) ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის რეგულირების სფეროში საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილება.

ღირებულებითი შეფასების სისტემის გაუმჯობესების საკითხების განხილვისას აღინიშნა (იხ.ნაწ. პირველი, თავი 7 „ ბიზნესის (კომპანიის) ღირებულებითი შეფასების და მართვის მიდგომები), შეფასების სტანდარტები პირველად დიდ ბრიტანეთში იქნა ჩამოყალიბებული XX საუკუნის 70-იან წლებში, რომელიც მუდმივად განიცდიდა სრულყოფას და მოიცავდა მთელ რიგ პრაქტიკულ დებულებებს, რომლებიც

აუცილებელი იყო შემფასებლებისათვის ბიზნესის ღირებულებების შეფასების პროცესის სტადიები და ინფორმაციული უზრუნველოფა ერთმანეთისაგან განსხვავებული სტადიებისაგან შემდგარი რთული და შრომატევადი პროცესია, რომელიც მოიცავს შემდეგ სტადიებს, კერძოდ: 1) პრობლემის განსაზღვრას; 2) შესაფასებელი ობიექტის წინასწარი დათვალიერებას და შეფასებაზე ხელშეკრულების დადებას; 3) ინფორმაციის ანალიზსა და 4) საბაზრო კონიუნქტურის ანალიზს.

ცნობილია, რომ საბაზრო კონიუნქტურა არის დროის კონკრეტული მომენტისათვის სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენით ბაზარზე ჩამოყალიბებული სიტუაცია, რომელზეც მუდმივად მოქმედებს ისეთი ფაქტორები, როგორცაა: სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, მონოპოლიათა ზეგავლენა, სახელმწიფოს ჩარევა, ინფლაცია, სეზონურობა და ა.შ. საბაზრო კონიუნქტურაზე მოქმედ დროებით ფაქტორებს მიეკუთვნება - სოციალური კონფლიქტები, სტიქიური უბედურებები, პოლიტიკური კრიზისები და ა.შ.

ასევე, საბაზრო კონიუნქტურის პროგნოზისა და ანალიზის მეთოდოლოგიის სრულყოფის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს ციკლური ფაქტორების მოქმედების ხასიათისა და აქტივობის დადგენა, ციკლის ფაზების, ცალკეული ფაზაში ციკლის გადასვლის ვადებისა და პერსპექტივაში მისი დინამიკის განსაზღვრა. შესაბამისად, ეკონომიკური ციკლის ინდიკატორების მაჩვენებელთა ელემენტების გამოყენება. კერძოდ:

ა) წინმსწრები მაჩვენებლები, რომლებიც იწყებენ ვარდნას მანამდე, სანამ ეკონომიკა მიაღწევს აღმავლობის პიკს და იწყებენ ზრდას მანამდე, სანამ ეკონომიკა გაივლის ვარდნის ზონას;

ბ) თანმხვედრი მაჩვენებლები, რომლებიც იცვლება ეკონომიკური აქტივობის შეცვლის პარალელურად, თანმხვედრი პარამეტრების კრებითი ინდექსი შედგება ოთხი მაჩვენებლისგან: პირადი შემოსავალი ტრანსფერტული გადასახდელების დაქვითვით; მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) სასოფლო-სამეურნეო წამორმოებაში მომუშავეთა რაოდენობა; გადამამუშავებული მრეწველობის გაყიდვათა მოცულობა;

გ) დაგვიანებული მაჩვენებლები იწყებენ ცვლილებას ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებებზე 4-9 თვით უფრო გვიან. დაგვიანებულ მაჩვენებლებზე კრებისითი ინდექსი შედგება შემდეგი შვიდი მაჩვენებლისგან: უმუშევართა რაოდენობა; საერთო ამონაგებში ხელფასზე გაწეული ხარჯების ხვედრითი წონა; კომერციული ბანკების საპროცენტო განაკვეთის საშუალო დონე; სავაჭრო-სამრეწველო საწარმოებისთვის სესხები; სამომხმარებლო კრედიტზე შემოსავლების თანაფარდობა; სამომხმარებლო ფასების ინდექსის ცვლილება; გაყიდვათა მოცულობისადმი საქონლის მარაგების თანაფარდობა. საბაზრო კონიუნქტურის შესწავლა ხორციელდება ისეთ მაჩვენებელთა საშუალებით,

რომლებიც იძლევა საშუალებას **რაოდენობრივად** შევაფასოთ ბაზარზე მიმდინარე ცვლილებები და განვსაზღვროთ ტენდეციები საბაზრო კონიუნქტურის განვითარებაში.

საბაზრო კონიუნქტურების შეფასების მაჩვენებლებია:

ა) მონაცემები სამრეწველო წარმოების შესახებ: მრეწველობის წილი მთლიანი შიდა პროდუქტში, საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების მაჩვენებლები, მწარმოებელთა ფასების ინდექსი, ხარჯები კაპიტალურ მშენებლობაზე, შეკვეთები ხანგრძლივი მოხმარების საქონელზე, უმუშევრობის დონე და ა.შ.

ბ) კაპიტალდაბანდებათა დინამიკა - საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, მომავალში თუ როგორ განვითარდება წარმოება დარგში ინვესტიციათა მოცულობა თუ იზრდება, მაშასადამე მოთხოვნა მის პროდუქციაზე მაღალია, შეკვეთების რაოდენობა იზრდება და წარმოება ფართოვდება და პირიქით, თუ კაპიტალდაბანდებების მოცულობა მცირდება, მოთხოვნაც მცირდება, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს წარმოების შეკვეცამდე.

გ) ცნობები შეკვეთების შესახებ - ეს არის მაჩვენებლები, რომლებიც იძლევა საშუალებას შევაფასოთ პერსპექტივაში საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვა.

დ) სამუშაო ძალის გამოყენების მაჩვენებლები -სამუშაო კვირის საშუალო ხანგრძლივობა, უმუშევრობის დონე, ხელფასის ფონდი სიდიდე, სიცოცხლის ღირებულების ინდექსები და ა.შ.

ე) შიდა საქონელბრუნვის მაჩვენებლები -საცალო ვაჭრობის ბრუნვის მოცულობა, მონაცემები საქონლის მარაგების მოძრაობის შესახებ, კრედიტით გაყიდვითა მოცულობებში, ინფორმაცია ტვირთების შიდა გადაზიდვებზე.

ვ) საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები - ექსპორტსა და იმპორტის მოცულობა და გეოგრაფიული გადანაწილება, სავაჭრო ბალანსის დეფიციტი. პრაქტიკულად ყველა ცვლილება, რომელსაც განიცდის ქვეყნის ეკონომიკა კვლავწარმოების ციკლის დროს, ასახვას პოულობს საგარეო ვაჭრობის დინამიკასა და სტრუქტურაში.

ზ) ფულად-საკრედიტო სფეროში მდგომარეობის მახასიათებელი მონაცემები - ფასიანი ქაღალდების ემისია, აქციათა კურსი, სააღრიცხვო პროცენტი, ვალუტის კურსი, მიმოქცევაში ფულის რაოდენობა, საბანკო დეპოზიტების მოძრაობის მაჩვენებლები;

თ) ფასები - საშუალო ფასები საქონლის ჯგუფებზე, წარმოების ფასების ინდექსი, სამომხმარებლო ფასების ინდექსი, ინდექს-დეფლიატორი.

ფასები წარმოადგენენ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელს, რომლის დინამიკაში აისახება მრავალი სხვა მონაცემების ცვლილებები.

ამრიგად, შეფასების მეთოდების არჩევა და შეფასების სხვადასხვა მიდგომების საშუალებით მიღებულ შედეგთა შეთანხმება, არსებული საბაზრო კონიუნქტურის გათვალისწინებით, იძლევა საშუალებას სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით მიღებული ღირებულებებითი მაჩვენებლების ერთანეთთან და რეალობასთან თანხვედრაში მოყვანა.შესაბამისად, ბისნესის ღირებულებითი შეფასების სისტემის

გაუმჯობესების თავისებურებების გამოვლენით და საბაზრო ღირებულებაზე მათი ზეგავლენის ძირითადი საკითხების, როგორცაა: საწარმოს ისტორია, გამოსაშვები საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი, გასაღების პირობები, რესურსების მომწოდებლები, პერსონალი, მენეჯმენტი, აქციებთან დაკავშირებით დადებული გარიგებების შეფასება-ანალიზით, შესაძლებელი იქნება მოთხოვნის სიდიდეზე მოქმედი ფაქტორებისა და გასაღების ბაზრების მახასიათებლების პროგნოზირება და შესაბამისი გადაწყვეტილებების ფორმირება საქართველოში ევროდირექტივების შესაბამისი მოთხოვნების უზრუნველსაყოფად.

ზოგადად, საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება არის ფასდაუდებელი განვითარება პოსტსაბჭოთა სივრცეში. საქართველოს ბაზის დამფუძნებლებმა, მისი მრავალრიცხოვანი წევრების, დონორი ორგანიზაციების, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან თანამშრომლობითა და ოპონირებით, შეძლო დაარსებიდან 20 წლის განმავლობაში ბუღალტრის პროფესიის იმიჯის ამაღლება, საერთაშორისო აღიარება და აგრძელებს შემოქმედებით მიზანდასახულ საქმიანობას საქართველოში ბუღალტრის (აუდიტორის) პროფესიაში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დასამკვიდრებლად.

ჩვენი აზრით, ამ გამოწვევის გადალახვაში უმნიშვნელოვანესს როლს შეასრულებს 2016 წლის 08 ივნისის საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ (იხ. დანართი N 1-1)

საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის,

ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ

თავი I ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

ეს კანონი ადგენს საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების, მმართველობის ანგარიშგების და ამ კანონით გათვალისწინებული სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის, პროფესიული სერტიფიცირების, აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) განხორციელების და მისი ხარისხის უზრუნველყოფის, აღნიშნულ სფეროებზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების და პასუხისმგებლობის დაკისრების სამართლებრივ საფუძვლებს.

ამ კანონის მიზანია ფინანსური გამჭვირვალობისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა სუბიექტთა ანგარიშგებისა და აუდიტის მარეგულირებელი შესაბამისი ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებთან მიახლოებით.

ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ საბიუჯეტო ორგანიზაციაზე, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება.

ამ კანონის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ბუღალტრული აღრიცხვა – სუბიექტის საქმიანობასა და რესურსებზე გავლენის მომხდენი, ფულად ერთეულში შეფასებადი ეკონომიკური მოვლენების ამსახველი ინფორმაციის შეგროვების, რეგისტრაციის, შეფასების, განზოგადების და შესაბამისი ანგარიშგების მწყობრი და უწყვეტი სისტემა;

ბ) ბუღალტერი – ფიზიკური პირი, რომელიც უშუალოდ აწარმოებს ბუღალტრულ აღრიცხვას ან/და ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას;

გ) ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები – ეკონომიკური მოვლენების დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტები და მაგროვებელი დოკუმენტები;

დ) ფინანსური ანგარიშგება – გასული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ინფორმაცია, რომელშიც წარდგენის შესაფერისი საფუძვლების შესაბამისად სტრუქტურულად არის მოცემული სუბიექტის ფინანსური მდგომარეობა, საქმიანობის

შედეგები, ფულადი სახსრებისა და კაპიტალის მოძრაობა, საადრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები;

ე) სუბიექტი – საჯარო სამართლის და კერძო სამართლის იურიდიული პირები, გარდა საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციისა და საქართველოს ეროვნული ბანკისა, სხვა ქვეყნის საწარმოს ფილიალი, ინდივიდუალური მეწარმე, თუ ისინი აკმაყოფილებენ ამ პუნქტის „უ“-„ქ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საწარმოთა შემოსავლის, ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული აქტივების და დასაქმებულთა რაოდენობის კრიტერიუმებს;

ვ) აუდიტორული საქმიანობა (მომსახურება) – აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის მიერ შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული სამუშაო, რომელიც მიმართულია:

ვ.ა) აუდიტის საფუძველზე ფინანსური ანგარიშგების (მათ შორის, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების) უტყუარობის, სამართლიანობისა და სისრულის, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მისი წარდგენის შესაფერისი საფუძვლების შესაბამისად მომზადების შესახებ აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის მოსაზრების გამოთქმისკენ;

ვ.ბ) ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვით აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის დასკვნის გამოტანისკენ;

ვ.გ) სხვა დასაბუთებული ან/და შეზღუდული მარწმუნებელი გარიგების საფუძველზე შესაბამისი მოსაზრების გამოთქმისკენ ან დასკვნის გამოტანისკენ;

ვ.დ) ამ კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სხვა მიზნების განხორციელებისკენ;

ზ) აუდიტორი – სერტიფიცირებული ბუღალტერი, რომელიც არის ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციის წევრი, რეგისტრირებულია აუდიტორების/აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრში (შემდგომ – რეესტრი) და უფლებამოსილია განახორციელოს აუდიტორული საქმიანობა (მომსახურება), მათ შორის, ინდივიდუალურად;

თ) აუდიტორული (აუდიტური) ფირმა (შემდგომ – აუდიტორული ფირმა) – საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი ან სხვა ქვეყანაში რეგისტრირებული იურიდიული პირის ფილიალი საქართველოში, რომელიც რეგისტრირებულია რეესტრში და აუდიტორულ საქმიანობას (მომსახურებას) ახორციელებს გარიგების პარტნიორის (პარტნიორების) მეშვეობით;

ი) ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (შემდგომ – სამსახური) – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება;

კ) პროფესიული მომსახურება – მომსახურება, რომელსაც ახორციელებს აუდიტორი/აუდიტორული ფირმა საბუღალტრო, აუდიტორულ, საგადასახადო, ფინანსური მენეჯმენტის ან/და სხვა, მსგავს ბიზნესსაკონსულტაციო სფეროში და რომელიც ბუღალტრულ და მასთან დაკავშირებულ უნარებს მოითხოვს;

ლ) სერტიფიცირებული ბუღალტერი – ფიზიკური პირი, რომელიც სამსახურის მიერ დადგენილი პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტის შესაბამისად სერტიფიცირებულია ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციის მიერ ან სერტიფიცირებულ ბუღალტრად აღიარებულია ამ კანონით და რომელიც სერტიფიცირების შემდეგ თავის კვალიფიკაციას განგრძობითი განათლების სტანდარტის შესაბამისად ადასტურებს;

მ) გარიგების პარტნიორი – აუდიტორი, რომელიც აუდიტორულმა ფირმამ კონკრეტული აუდიტის ჩატარებისათვის ან სხვა აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) განხორციელებისათვის მთავარ პასუხისმგებელ პირად დანიშნა და რომელიც აუდიტორული ფირმის სახელით მოქმედებს, ან აუდიტორი, რომელიც ხელს აწერს აუდიტორულ დასკვნას ან სხვა აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) განხორციელების შედეგად შემუშავებულ დოკუმენტს;

ნ) აუდიტორული დასკვნა – აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელშიც აუდიტორი/ აუდიტორული ფირმა გამოთქვამს მოსაზრებას იმის შესახებ, თუ რამდენად არის ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, წარდგენის შესაფერისი საფუძვლების შესაბამისად, ან უარს განაცხადებს მოსაზრების გამოთქმაზე;

ო) წარდგენის შესაფერისი საფუძვლები – ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის საფუძვლები, რომელთა გამოყენება სუბიექტისათვის სავალდებულოა ან ნებადართულია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად;

პ) მარწმუნებელი გარიგება – გარიგება, რომლის განხორციელების შედეგად აუდიტორი/აუდიტორული ფირმა განსახილველი საგნისადმი მესამე პირის ნდობის ხარისხის ასამაღლებლად გამოთქვამს მოსაზრებას ამ საგნის შეფასების ან/და გაზომვის შედეგის სათანადო კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესახებ;

ჟ) ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭო (შემდგომ – საბჭო) – სამსახურთან არსებული, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტთან

დაკავშირებული საკითხების განმხილველი და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიმღები ორგანო;

რ) ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაცია (შემდგომ – პროფესიული ორგანიზაცია) – ბუღალტერთა ან/ და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაცია, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულია არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად და აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს;

ს) სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანო – იურიდიული პირი, სხვა ქვეყანაში რეგისტრირებული იურიდიული პირის ფილიალი საქართველოში, რომლებიც ამ კანონის მიზნებისათვის სამსახურის მიერ აღიარებულია პირთათვის სერტიფიცირებული ბუღალტრის გამოცდების ორგანიზების განმახორციელებელ ორგანოდ;

ტ) მეოთხე კატეგორიის საწარმო – სუბიექტი, რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს:

ტ.ა) აქტივების ჯამური ღირებულება 1 მილიონ ლარს არ აღემატება;

ტ.ბ) შემოსავალი 2 მილიონ ლარს არ აღემატება;

ტ.გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 10-ს არ აღემატება;

უ) მესამე კატეგორიის საწარმო – სუბიექტი, რომელიც არ არის მეოთხე კატეგორიის საწარმო და რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს:

უ.ა) აქტივების ჯამური ღირებულება 10 მილიონ ლარს არ აღემატება;

უ.ბ) შემოსავალი 20 მილიონ ლარს არ აღემატება;

უ.გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 50-ს არ აღემატება;

ფ) მეორე კატეგორიის საწარმო – სუბიექტი, რომელიც არ არის მესამე ან მეოთხე კატეგორიის საწარმო და რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს:

ფ.ა) აქტივების ჯამური ღირებულება 50 მილიონ ლარს არ აღემატება;

ფ.ბ) შემოსავალი 100 მილიონ ლარს არ აღემატება;

ფ.გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 250-ს არ აღემატება;

ქ) პირველი კატეგორიის საწარმო – სუბიექტი, რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს:

ქ.ა) აქტივების ჯამური ღირებულება 50 მილიონ ლარს აღემატება;

ქ.ბ) შემოსავალი 100 მილიონ ლარს აღემატება;

ქ.გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 250-ს აღემატება;

ღ) შემოსავალი – ამ კანონის მიზნებისათვის სუბიექტის მიერ ძირითადი ეკონომიკური საქმიანობის შედეგად, საქონლის გაყიდვიდან ან/და მომსახურების გაწევიდან მიღებული მთლიანი სარგებელი. შემოსავალი არ მოიცავს სავაჭრო ფასდათმობას, არაპირდაპირ გადასახადს, მესამე მხარის სახელით მიღებულ თანხებს და სუბიექტის კუთვნილი აქტივების გამოყენებიდან დივიდენდის, პროცენტისა და როიალტის სახით მიღებულ ეკონომიკურ სარგებელს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი სარგებლის მიღება სუბიექტის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობის შედეგია;

ყ) საზოგადოებრივი დაინტერესების პირი (შემდგომ – სდპ) – იურიდიული პირი, რომელიც არის:

ყ.ა) ანგარიშვალდებული საწარმო, რომლის ფასიანი ქაღალდები საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებულია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

ყ.ბ) კომერციული ბანკი და კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად;

ყ.გ) მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

ყ.დ) მზღვეველი „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

ყ.ე) არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელი „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

ყ.ვ) საინვესტიციო ფონდი „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

ყ.ზ) არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება – საკრედიტო კავშირი „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ“ საქართველოს

კანონის შესაბამისად; ყ.თ) საქართველოს მთავრობის მიერ სდპ-ად განსაზღვრული პირი;

შ) არაპრაქტიკოსი – ფიზიკური პირი, რომელსაც სამსახურის უფროსად დანიშვნამდე ან საბჭოს წევრად დამტკიცებამდე სულ მცირე ბოლო 3 უწყვეტი წლის განმავლობაში და საბჭოს წევრად ყოფნის პერიოდში არ განუხორციელებია აუდიტორული საქმიანობა (მომსახურება), აუდიტორულ ფირმაში ხმის უფლება არ ჰქონია, აუდიტორულ ფირმაში მმართველობითი ორგანოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრად დასაქმებული არ ყოფილა და არც სხვაგვარად ყოფილა აუდიტორულ ფირმასთან დაკავშირებული;

ჩ) კონტროლი – ეს ტერმინი საწარმოებს შორის ურთიერთობასთან მიმართებით განიმარტება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

ც) მშობელი საწარმო – სუბიექტი, რომელიც ერთ ან რამდენიმე შვილობილ საწარმოს აკონტროლებს;

ძ) შვილობილი საწარმო – სუბიექტი, რომელსაც მშობელი საწარმო აკონტროლებს, მათ შორის, შვილობილი საწარმო, რომელიც წარმოადგენს მშობელ საწარმოს;

წ) ჯგუფი – მშობელი საწარმო და ყველა მისი შვილობილი საწარმო;

ჭ) ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი – აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ გამოყენებული პროცედურების აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი გარიგებებისა და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებთან და ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის, ეთიკის წესების დაცვის, გამოყენებული რესურსების ხარისხისა და რაოდენობის, აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) განხორციელებისათვის მიღებული ანაზღაურების მართლზომიერების და ხარისხის კონტროლის სისტემის შეფასება;

ხ) კორპორაციული მართვის კოდექსი – დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს საწარმოს მმართველობითი ორგანოების მიერ მართვის განხორციელების, ეფექტიანობის, ანაზღაურების, პარტნიორებთან/აქციონერებთან ურთიერთობის და მათ წინაშე ანგარიშვალდებულების წესებს, აგრეთვე არეგულირებს კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს;

ჯ) მარეგულირებელი ორგანო – „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული, საქართველოში მოქმედი ეროვნული მარეგულირებელი ორგანო;

3) საზედამხედველო ორგანო – „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონითა და „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული

საზედამხედველო ორგანო; 3¹) ქონების მმართველი – „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ქონების მმართველი.

2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტისა, ამ კანონის მიზნებისათვის მასში გამოყენებული ტერმინები განიმარტება საერთაშორისოდ აღიარებული ფინანსური ანგარიშგების, აუდიტის, სხვა მარწმუნებელი გარიგების, დაკავშირებული მომსახურებისა და სხვა აუდიტორული მომსახურების სტანდარტების შესაბამისად.

თავი II ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება

მუხლი 3. ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სამართლებრივი საფუძვლები

ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება რეგულირდება ამ კანონითა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით. ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება უნდა შეესაბამებოდეს ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები შედგება:

- ა) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისაგან (IFRS);
- ბ) მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისაგან (IFRS for SMEs);
- გ) მეოთხე კატეგორიის საწარმოებისათვის დადგენილი ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებისაგან;
- დ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის დადგენილი ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებისაგან.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS) არის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) ან მისი უფლებამონაცვლე ორგანოს მიერ მიღებული და გამოცემული სრული სტანდარტები, რომლებიც მოიცავს:

- ა) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს;
- ბ) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს;
- გ) ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭოს (IFRIC) მიერ ან ინტერპრეტაციების მუდმივმოქმედი კომიტეტის (SIC) მიერ მიღებულ ინტერპრეტაციებს.

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS for SMEs) არის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) ან მისი უფლებამონაცვლე ორგანოს მიერ დამტკიცებული

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS for SMEs) მეორე და მესამე კატეგორიების საწარმოებისთვის.

ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება სავალდებულოა. ამ სტანდარტების სამოქმედოდ შემოღებას უზრუნველყოფს სამსახური მათი განახლებიდან 6 თვის ვადაში. სუბიექტს უფლება აქვს, გამოიყენოს ამ სტანდარტების მოქმედი (ინგლისურენოვანი) რედაქცია.

1. მეოთხე კატეგორიის საწარმოებისათვის და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებს ადგენს სამსახური. ამ სტანდარტების გამოყენება სავალდებულოა. ინდივიდუალური მეწარმე, რომელიც არ არის ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სუბიექტი, უფლებამოსილია ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების წარმოების მიზნით გამოიყენოს ამ პუნქტის შესაბამისად მეოთხე კატეგორიის საწარმოებისათვის დადგენილი ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები.

2. ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების გამოყენების მიზნით სუბიექტები იყოფა ზომითი კატეგორიების მიხედვით. სუბიექტების ზომითი კატეგორიების მიხედვით დაყოფა რეგულირდება ამ კანონით.

3. სუბიექტები ვალდებული არიან, ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება აწარმოონ შემდეგი წესით:

ა) სდკ-ები და პირველი კატეგორიის საწარმოები ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებენ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად;

ბ) მეორე და მესამე კატეგორიების საწარმოები ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებენ მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) შესაბამისად. ამასთანავე, მათ უფლება აქვთ, გამოიყენონ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS);

გ) მეოთხე კატეგორიის საწარმოები და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებენ სამსახურის მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, გარდა ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი სტანდარტების მიხედვით წარმოების ვალდებულება, რომელიც ამ კანონით დამოკიდებულია სუბიექტის ზომით კატეგორიაზე, არ ვრცელდება იმ სუბიექტებზე, რომელთა საქმიანობის მარეგულირებელი შესაბამისი ნორმატიული აქტები ითვალისწინებს ამ

კანონით გათვალისწინებული სხვა სტანდარტების გამოყენების წესს, თუ ეს წესი არ ითხოვს სუბიექტის ზომითი კატეგორიისათვის დადგენილ ანგარიშგების სტანდარტებზე დაბალი რანგის ანგარიშგების სტანდარტების გამოყენებას.

მეოთხე კატეგორიის საწარმოებსა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს უფლება აქვთ, გამოიყენონ მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS for SMEs) ან ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS).

თუ სუბიექტი/ჯგუფი 2 უწყვეტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აღარ აკმაყოფილებს ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“-„ქ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს, საწარმოს/ჯგუფის ზომითი კატეგორია შეიცვლება და გამოიყენება შესაბამისი კატეგორიისათვის დადგენილი მოთხოვნები.

ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული პერიოდი არ ეხება იმ საწარმოს/ჯგუფს, რომლის ზომითი კატეგორია წინა საანგარიშგებო პერიოდთან შედარებით ორი ან მეტი კატეგორიით გაიზარდა.

თუ სუბიექტის ზომითი კატეგორია წინა საანგარიშგებო პერიოდთან შედარებით არ შეცვლილა, მაგრამ სუბიექტს განზრახული აქვს ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სხვა სტანდარტის გამოყენება, იგი უფლებამოსილია გამოიყენოს მხოლოდ უფრო მაღალი ზომითი კატეგორიის სუბიექტისათვის დადგენილი სტანდარტი.

ჯგუფის ზომითი კატეგორიის განსაზღვრისთვის გამოიყენება ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“-„ქ“ ქვეპუნქტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების მიხედვით მშობელი საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კონსოლიდაციის წესით გამოანგარიშებული აქტივების ჯამური ღირებულება, შემოსავალი და საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა.

პირველი, მეორე და მესამე კატეგორიების ჯგუფების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე ვრცელდება ამ კანონით განსაზღვრული საწარმოს ზომითი კატეგორიების კრიტერიუმები და ამ კატეგორიებისათვის დადგენილი მოთხოვნები. ამასთანავე, ეს კრიტერიუმები ფასდება მშობელი საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კონსოლიდირებული მონაცემების გათვალისწინებით.

საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, სამსახურის ინიციატივით ან/და მარეგულირებელი ორგანოს მიერ სამინისტროსათვის მიმართვის საფუძველზე სუბიექტს შესაძლებელია მიენიჭოს სდპ-ის სტატუსი. სუბიექტს, გარდა საქართველოს ეროვნული ბანკისა, სამინისტროს მიერ წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე სდპ-ის სტატუსი ენიჭება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

საზედამხედველო ორგანოს ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებულ სუბიექტს სდპ-ის სტატუსს ანიჭებს შესაბამისი საზედამხედველო ორგანო.

საზედამხედველო ორგანოს ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული სუბიექტი, გარდა კომერციული ბანკისა, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებისა – საკრედიტო კავშირისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა, შესაბამისი საზედამხედველო ორგანოს მიერ სდპ-ის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში არ ჩაითვლება სდპ-ად, თუ ეს სუბიექტი აკმაყოფილებს მეოთხე კატეგორიის საწარმოს ზომითი კატეგორიისათვის დადგენილ მოთხოვნებს. ამ პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით, საზედამხედველო ორგანოს ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული სუბიექტი ითვლება სდპ-ად მისთვის სდპ-ის სტატუსის მინიჭებიდან სულ მცირე 3 საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, სუბიექტების ზომითი კატეგორიებისათვის დადგენილი გამონაკლისები სდპ-ზე არ ვრცელდება.

მუხლი 4. ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება

სუბიექტი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს ამ კანონის შესაბამისად, თუ შესაბამისისფეროს მარეგულირებელი ნორმატიული აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი.

სუბიექტი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს ნატურალურ საზომ ერთეულებზე დაყრდნობით, განზოგადებულად, ფულად გამოსახულებაში, მათი ქრონოლოგიური, განუწყვეტელი და დოკუმენტური ასახვით.

სუბიექტი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს დასაქმებული ბუღალტრის მეშვეობით ან სხვა კვალიფიციური ფიზიკური პირის/იურიდიული პირის მიერ მომსახურების გაწევით.

სუბიექტი უზრუნველყოფს მის მიერ განხორციელებული ყველა ეკონომიკური მოვლენის ბუღალტრულ ანგარიშებზე ასახვის სისრულეს და შიდა კონტროლს.

სუბიექტი ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების შესასრულებლად, მისი საქმიანობისა და ორგანიზაციული სტრუქტურის სირთულის გათვალისწინებით:

- ა) განსაზღვრავს სააღრიცხვო პოლიტიკას;
- ბ) შეიმუშავებს ანგარიშთა გეგმას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების ფარგლებში;
- გ) შეიმუშავებს ეკონომიკური მოვლენების ამსახველი დოკუმენტების წარმოებისა და კონტროლის მექანიზმსა და პროცედურებს;
- დ) განსაზღვრავს სააღრიცხვო ინფორმაციის დამუშავების ვადებსა და ტექნოლოგიას;

ე) ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი სტანდარტების საფუძველზე შეიმუშავებს ფინანსური ანგარიშგების ფორმებს და განსაზღვრავს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცედურებს;

ვ) შეიმუშავებს ბიზნესპროცესებისა და ბიზნესწესების ერთობლიობას (შიდა კონტროლის სისტემას), რომელიც უზრუნველყოფს მისი საქმიანობის ეფექტიანობას, ფინანსური ანგარიშგების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობასთან მათ შესაბამისობას.

სუბიექტი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს მატერიალური ფორმით ან ელექტრონული საინფორმაციო სისტემების მეშვეობით, ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი სტანდარტების საფუძველზე.

სუბიექტი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების საფუძველზე. ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები შეიძლება შედგენილ იქნეს როგორც ერთ, ისე რამდენიმე ეგზემპლარად. ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტებია:

ა) პირველადი აღრიცხვის დოკუმენტები, მათ შორის, შიდა პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი – სუბიექტის შიდა ოპერაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, აგრეთვე გარე პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი – მეორე მხარისგან მიღებული დოკუმენტი ან სუბიექტის მიერ მეორე მხარისთვის წარდგენილი დოკუმენტის ორიგინალი;

ბ) მაგროვებელი დოკუმენტები (სააღრიცხვო რეგისტრი, ჟურნალი და სხვა დოკუმენტი).

ეკონომიკური მოვლენები ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების საფუძველზე ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება ორმაგი ჩაწერის პრინციპის შესაბამისად. ეკონომიკური მოვლენა ბუღალტრულ აღრიცხვაში მოხდენისთანავე აისახება. იგი ასევე აისახება იმ პერიოდის შესაბამის მაგროვებელ დოკუმენტებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელსაც მიეკუთვნება აღნიშნული მოვლენა.

ბუღალტრული აღრიცხვის ჩანაწერს (ბუღალტრულ გატარებას) აქვს შემდეგი რეკვიზიტები: ა) ოპერაციის თარიღი;

ბ) სადებეტო და საკრედიტო ანგარიშები, შესაბამისი თანხების მითითებით;

გ) ოპერაციის მოკლე აღწერა;

დ) პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის/მაგროვებელი დოკუმენტის დასახელება და ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) ოპერაციის თანხობრივი მონაცემი.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ელექტრონულ ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტებს აქვს მატერიალური ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების თანაბარი იურიდიული ძალა.

პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი არის ეკონომიკური მოვლენის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც, საჭიროებისამებრ, ერთ ან რამდენიმე იდენტურ ეგზემპლარად დგება და რომელსაც, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, აქვს შემდეგი რეკვიზიტები:

- ა) დოკუმენტის დასახელება და ნომერი;
- ბ) დოკუმენტის შედგენის თარიღი;
- გ) ოპერაციის ეკონომიკური შინაარსი;
- დ) ოპერაციაში მონაწილე პირის/პირების დასახელება/დასახელებები;
- ე) ოპერაციაში მონაწილე პირის/პირების საიდენტიფიკაციო მონაცემები და მისამართი/მისამართები (საქონლის/მომსახურების მიწოდების ან სხვა აუცილებელ შემთხვევაში);
- ვ) ოპერაციის განხორციელების დამადასტურებელი ხელმოწერები;
- ზ) ოპერაციის თანხობრივი და რაოდენობრივი მონაცემები.

სუბიექტი უზრუნველყოფს ეკონომიკური მოვლენის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის როგორც ფორმის (დოკუმენტის სისრულე, გაფორმების სისწორე, რეკვიზიტების არსებობა და სხვა), ისე შინაარსის (ეკონომიკური მოვლენის კანონიერება, ცალკეული მაჩვენებლების ლოგიკური და არითმეტიკული სიზუსტე და სხვა) მიხედვით სწორად შედგენის კონტროლს. ფორმის ან შინაარსის მიხედვით არასწორად შედგენილი დოკუმენტი დოკუმენტის შედგენისათვის პასუხისმგებელ პირს უბრუნდება. ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების შედგენა, მათში შესწორებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობისა და სუბიექტის მიერ შემუშავებული შესაბამისი პროცედურებისა და უსაფრთხოების ზომების დაცვით, რის შედეგადაც შეუძლებელი იქნება ამ დოკუმენტების სანდოობაში ეჭვის შეტანა. პირველადი აღრიცხვის დოკუმენტებში მოცემული ინფორმაცია ქრონოლოგიურად და სისტემატიზებულად, ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების ზოგადი პრინციპების დაცვით აისახება მაგროვებელ დოკუმენტებში. ეკონომიკური მოვლენების დამადასტურებელ ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტებს როგორც წერილობით, ისე ელექტრონულად ხელს აწერს (აწერენ) სუბიექტის ხელმძღვანელობისთვის პასუხისმგებელი პირი, ბუღალტერი ან სუბიექტის შიდა პოლიტიკით განსაზღვრული შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სხვა პირები. შიდა კონტროლის სისტემაზე და სამართლიანი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის და წარდგენისათვის პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი

წესით სუბიექტს ეკისრება. დოკუმენტებში ასახული მონაცემების უტყუარობისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების დროული და ხარისხიანი შედგენისათვის პასუხს აგებენ ამ დოკუმენტების შემდგენი და მათზე ხელის მომწერი პირები. როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური ფორმით არსებული ფინანსური ანგარიშგებები და ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტები სუბიექტთან ინახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 6 წლის განმავლობაში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.

მუხლი 5. ფინანსური ანგარიშგება და მისი მოზადებისა და შედგენის ძირითადი პრინციპები

სუბიექტი ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ამ კანონის შესაბამისად, თუ შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამასთანავე, მეოთხე კატეგორიის საწარმოსა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფინანსური ანგარიშგებები მზადდება მხოლოდ მათთვის დადგენილი ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად.

სუბიექტი ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს სულ მცირე წელიწადში ერთხელ. სუბიექტის მიერ შედგენილი ფინანსური ანგარიშგება უნდა იყოს სრული, სწორი და სამართლიანი. იგი შესადარი პერიოდისთვის უნდა ასახავდეს სუბიექტის ფინანსურ მდგომარეობას, საქმიანობის შედეგებს, ფულადი სახსრებისა და კაპიტალის მოძრაობას და განმარტებით შენიშვნებს. ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრულ ფუნდამენტურ ხარისხობრივ მახასიათებლებს.

ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფინანსური ანგარიშგებების შედგენის, მათ შორის, მათი კონსოლიდირების, წესს განსაზღვრავს სუბიექტის მიერ ამ კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად სუბიექტისათვის დადგენილი ან მის მიერ არჩეული ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

სუბიექტმა მისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად შერჩეული სააღრიცხვო პოლიტიკა და მეთოდები თანამიმდევრულად უნდა გამოიყენოს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ განსხვავებული ფინანსური ანგარიშგების სააღრიცხვო პოლიტიკა და მეთოდები უფრო სამართლიანად და მიუკერძოებლად ასახავს სუბიექტის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობას. სუბიექტის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მეთოდების შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მის მიერ არჩეული ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების ფარგლებში. სდკ-მა და პირველი კატეგორიის საწარმომ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში დამატებით უნდა წარადგინონ ინფორმაცია:

ა) სუბიექტის შემოსავლის შესახებ, საქმიანობის კატეგორიებისა და ბაზრების გეოგრაფიული განაწილების მიხედვით, თუ საქონლის/მომსახურების გაყიდვის ორგანიზების თვალსაზრისით ამ კატეგორიებსა და ბაზრებს შორის არსებითი განსხვავებაა;

ბ) სუბიექტის წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების და სუბიექტისთვის სხვა პროფესიული მომსახურების გაწევის სანაცვლოდ აუდიტორისთვის/აუდიტორული ფირმისთვის მიცემული ანაზღაურების შესახებ. მესამე კატეგორიის საწარმო ვალდებულია ამ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია ასახოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

ფინანსური ანგარიშგების ამსახველ დოკუმენტებში უნდა მიეთითოს სუბიექტის სახელწოდება, მარეგისტრირებელი ორგანო, სუბიექტის რეგისტრაციის ნომერი, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი და, თუ დაწყებულია სუბიექტის ლიკვიდაციის პროცესი, ინფორმაცია ლიკვიდაციის პროცესის შესახებ.

მუხლი 6. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მოთხოვნა

სდკ, პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები და პირველი და მეორე კატეგორიების ჯგუფები ვალდებული არიან, უზრუნველყონ საკუთარი ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ამ კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული წესით, თუ შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი. მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანოს რეგულირებისადმი/ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული საწარმოსთვის შუალედური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების ან/და სხვა მარწმუნებელ გარიგებაზე მოთხოვნას ადგენს შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა.

მესამე და მეოთხე კატეგორიების საწარმოები და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები გათავისუფლებული არიან ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ვალდებულებისაგან, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა ვრცელდება იმ სუბიექტზედაც, რომელიც არის ჯგუფში შემავალი შვილობილი საწარმო.

მუხლი 7. მმართველობის ანგარიშგება

სდკ-მა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა უნდა მოამზადონ და სამსახურს უნდა წარუდგინონ მმართველობის ანგარიშგება. მმართველობის ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესს შესაბამისი ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნების გათვალისწინებით ადგენს სამსახური.

მმართველობის ანგარიშგება მოიცავს:

- ა) საქმიანობის მიმოხილვას;
- ბ) კორპორაციული მართვის ანგარიშგებას;
- გ) არაფინანსურ ანგარიშგებას.

ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობის მიმოხილვას ამზადებენ სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები.

ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კორპორაციული მართვის ანგარიშგებას ამზადებს ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ყ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი.

ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ არაფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ის სდპ, რომელიც შეესაბამება პირველი კატეგორიის საწარმოს ზომით კატეგორიას, ამასთანავე, საანგარიშგებო პერიოდში ჰყავს საშუალოდ 500ზე მეტი დასაქმებული.

ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, ასახავს სუბიექტის საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, სუბიექტის წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს. იგი სუბიექტის საქმიანობის სრულად გაგებისთვის, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით უნდა მოიცავდეს აუცილებელ ძირითად ფინანსურ და არაფინანსურ მაჩვენებლებს, არაფინანსურ ინდიკატორებს, რომლებიც დაკავშირებულია სუბიექტის საქმიანობასთან, მათ შორის, დასაქმების და გარემოს დაცვის საკითხებთან, აგრეთვე წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებით განმარტებებს. საქმიანობის მიმოხილვა ასევე უნდა მოიცავდეს:

- ა) სუბიექტის განვითარების გეგმებს;
- ბ) სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვას;
- გ) ინფორმაციას სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ;
- დ) სუბიექტის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვას და ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ;
- ე) საკუთარი აქციების შემენის შესახებ ინფორმაციას, რომელიც სულ მცირე უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს: ე.ა) საანგარიშგებო პერიოდში აქციების შემენის მიზეზი; ე.ბ) საანგარიშგებო პერიოდში შემენილი და გასხვისებული აქციების რაოდენობა და ნომინალური ღირებულება, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – საბალანსო ღირებულება და განთავსებულ კაპიტალში აქციების წილობრივი მაჩვენებელი; ე.გ) აქციების შემენისათვის განხორციელებული გასხვისებისათვის განხორციელებული

საპასუხო შესრულება; ე.დ) საანგარიშგებო პერიოდში შეძენილი და საკუთრებაში დატოვებული აქციების რაოდენობა და ნომინალური ღირებულება, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – საბალანსო ღირებულება და განთავსებულ კაპიტალში აქციების წილობრივი მაჩვენებელი;

ვ) ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნებისა და პოლიტიკის შესახებ.

7. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კორპორაციული მართვის ანგარიშგება სულ მცირე უნდა მოიცავდეს:

ა) სუბიექტისათვის სავალდებულო ან სუბიექტის მიერ საკუთარი სურვილით შერჩეული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კორპორაციული მართვის კოდექსის და სუბიექტის იმ კორპორაციული მართვის პრაქტიკის მიმოხილვას, რომელიც აღემატება კანონით დადგენილ მოთხოვნებს. საკუთარი სურვილით შერჩეული კორპორაციული მართვის კოდექსის გამოყენების შემთხვევაში სუბიექტი ვალდებულია მიუთითოს, თუ სად არის ეს კოდექსი საჯაროდ განთავსებული. კორპორაციული მართვის პრაქტიკის მითითების შემთხვევაში სუბიექტი საჯაროს ხდის ამ პრაქტიკის შესახებ დეტალურ ინფორმაციას;

ბ) სავალდებულო ან საკუთარი სურვილით შერჩეული კორპორაციული მართვის კოდექსიდან გადახვევების ან ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში აღნიშნულ კოდექსზე მიუთითებლობის ფაქტებს და შესაბამისი მიზეზების ანალიზს;

გ) ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების მიმოხილვას;

დ) აქციონერთა და აქციონერთა საერთო კრების უფლებების და მათი განხორციელების წესების მიმოხილვას;

ე) სუბიექტის მმართველობითი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობისა და ფუნქციონირების მიმოხილვას;

ვ) სუბიექტის (გარდა იმ ანგარიშვალდებული საწარმოებისა, რომლებიც აკმაყოფილებენ მეორე და მესამე კატეგორიების საწარმოთა კრიტერიუმებს) მიერ თავისი მმართველობითი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს მიმართ გამოყენებული დივერსიფიკაციის პოლიტიკის (ასაკის, სქესის, კვალიფიკაციისა და სხვა) მიმოხილვას, აგრეთვე ინფორმაციას ამ პოლიტიკის მიზნების, გამოყენებული მეთოდების და შესაბამის პერიოდში მიღწეული შედეგების შესახებ. აღნიშნული პოლიტიკის არარსებობის შემთხვევაში შესაბამისი მიზეზი კორპორაციული მართვის ანგარიშგებაში განიმარტება;

ზ) „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 532 მუხლით გათვალისწინებული სავალდებულო სატენდერო შეთავაზების შემთხვევაში – შემდეგ მონაცემებს:

ზ.ა) კაპიტალში პირდაპირი ან არაპირდაპირი მნიშვნელოვანი მონაწილეობა;

ზ.ბ) იმ აქციების მფლობელების შესახებ ინფორმაცია, რომლებიც განსაკუთრებული კონტროლის შესაძლებლობას იძლევა, და ამ უფლების აღწერა;

ზ.გ) ხმის მიცემის უფლების განხორციელების შეზღუდვის (კერძოდ, ხმის მიცემის უფლების შეზღუდვა გარკვეული პროცენტის აქციების ან ხმათა რაოდენობის მფლობელებისთვის) შესახებ ინფორმაცია;

ზ.დ) მმართველობითი ორგანოს წევრების დანიშვნასთან და შეცვლასთან დაკავშირებული წესები, აგრეთვე წესდების ცვლილების შესახებ ინფორმაცია;

ზ.ე) მმართველობითი ორგანოს წევრების უფლებამოსილებები.

8. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული არაფინანსური ანგარიშგება მოიცავს სულ მცირე გარემოს დაცვის, სოციალური, დასაქმების, ადამიანის უფლებების დაცვისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე სუბიექტის საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის ზეგავლენის დასადგენად აუცილებელ ინფორმაციას, მათ შორის:

ა) სუბიექტის ბიზნესმოდელის მოკლე მიმოხილვას;

ბ) სუბიექტის მიერ ამ პუნქტით გათვალისწინებული საკითხების მიმართ გამოყენებული პოლიტიკის აღწერას, მათ შორის, ინფორმაციას განხორციელებული კომპლექსური პროცედურებისა და გატარებული პოლიტიკის შედეგების შესახებ. თუ სუბიექტი არ იყენებს ასეთ პოლიტიკას, ამასთან დაკავშირებით ანგარიშგებაში ნათელი და დასაბუთებული განმარტება შეიტანება;

გ) სუბიექტის საქმიანობის რისკების ანალიზს, რაც საჭიროების შემთხვევაში მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) სუბიექტის ბიზნესსურთიერთობებს, ამ პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებზე პროდუქციის ან/და მომსახურების შესაძლო უარყოფით ზეგავლენას და სუბიექტის მიერ გამოყენებულ რისკების მართვის მეთოდებს; დ) კონკრეტული საქმიანობის ძირითად არაფინანსურ მაჩვენებლებს;

ე) საჭიროების შემთხვევაში – წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე მითითებას და მათ შესახებ დამატებით განმარტებებს.

სუბიექტს, რომელიც არის შვილობილი საწარმო, არ ევალება ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული არაფინანსური ანგარიშგების წარდგენა, თუ შესაბამისი ინფორმაცია მოცემულია ჯგუფის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას.

აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვედნილობის თაობაზე. აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით აუდიტორი/აუდიტორული ფირმა განსაზღვრავს არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მიუთითებს მათ არსს. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ამოწმებს, ასახულია თუ არა ანგარიშგებაში ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ა“, „ბ“ და „დ“-„ვ“ ქვეპუნქტებით და მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია.

თუ ამ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია ასახულია ამ კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში, სუბიექტი თავისუფლდება აღნიშნული ინფორმაციის მმართველობის ანგარიშგებაში ასახვის ვალდებულებისაგან.

ამ მუხლის მოთხოვნები ვრცელდება იმ კატეგორიის ორგანიზაციებზე, რომლებიც აკმაყოფილებენ პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოთა კრიტერიუმებს.

მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია სამსახურთან შეთანხმებით დაადგინოს შეზღუდვები ამ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გამოქვეყნების მოთხოვნის მიმართ, თუ აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნება საფრთხეს უქმნის სდპ-ის ან შესაბამისი დარგის ფინანსურ სტაბილურობას.

მუხლი 8. სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგება სდპ და პირველი კატეგორიის საწარმო, რომელთა საქმიანობა მოიცავს წიაღით სარგებლობას (მათ შორის, ნავთობისა და გაზის მოპოვებას) ან ბუნებრივი წარმოშობის ტყეში ხე-ტყის დამზადებას, ვალდებული არიან, ყოველწლიურად მოამზადონ და წარადგინონ სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგება. ამ ანგარიშგებაში უნდა აისახოს სახელმწიფოსთვის მოგების გადასახადის, სალიცენზიო და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის რეგულირების საფასურის, როიალტის, დივიდენდის, „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ბონუსის, ქირისა და საკონცესიო გადასახადის სახით, ფულადი ან ნატურალური ფორმით გადახდილი ის თანხები, რომლებიც საანგარიშგებო პერიოდში გადახდის ამ თითოეული სახეობისათვის ერთჯერადად ან ჯამურად 100 000 ლარს აღემატება.

სახელმწიფოს მიმართ განხორციელებულ გადახდებად ითვლება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი ნებისმიერი თანხა, ადმინისტრაციული ორგანოს და იმ საწარმოს მიმართ განხორციელებული გადახდები, რომელშიც სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობა 50 პროცენტს აღემატება, აგრეთვე სხვა ქვეყნის სახელმწიფო, რეგიონული და ადგილობრივი ორგანოების მიმართ განხორციელებული გადახდები.

წილისა და მისით სარგებლობის სახეები, აგრეთვე სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგების მომზადების, წარდგენისა და გამოქვეყნების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. მუხლი 9. ანგარიშგების წარდგენა და გამოქვეყნება

სუბიექტების ანგარიშგების და ჯგუფების კონსოლიდირებული ანგარიშგების განსათავსებლად ვებგვერდის შექმნასა და მართვას, აგრეთვე ამ ვებგვერდის მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სამსახური.

სუბიექტი (გარდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისა) ვალდებულია მისთვის ამ კანონით დადგენილი ფინანსური ანგარიშგება (მათ შორის, კონსოლიდირებული ანგარიშგება), მმართველობის ანგარიშგება (მათ შორის, კონსოლიდირებული ანგარიშგება), სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგება და ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში აუდიტორული დასკვნა ერთად, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა, წარუდგინოს სამსახურს მის მიერ დადგენილი წესით.

სამსახური ვალდებულია სუბიექტების მიერ წარდგენილი ანგარიშგებები (მათ შორის, კონსოლიდირებული ანგარიშგებები) და აუდიტორული დასკვნები, გარდა მეოთხე კატეგორიის საწარმოების ანგარიშგებებისა, გამოაქვეყნოს მათი წარდგენიდან 1 თვის ვადაში. პირს უფლება აქვს, სამსახურის მიერ დადგენილი წესით მოითხოვოს მეოთხე კატეგორიის საწარმოს ანგარიშგება. სამსახური უზრუნველყოფს სუბიექტების მიერ წარდგენილი ანგარიშგების ამ კანონითა და მის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შერჩევით გადამოწმებას რისკზე დაფუძნებული მიდგომის საფუძველზე. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია სუბიექტს მოსთხოვოს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა.

თუ სუბიექტის საანგარიშგებო პერიოდი არ ემთხვევა კალენდარულ წელს, იგი ვალდებულია სამსახურს წარუდგინოს ანგარიშგება მისი ხელმისაწვდომობისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 9 თვისა.

სდპ ვალდებულია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშგებები (მათ შორის, კონსოლიდირებული ანგარიშგებები) გამოაქვეყნოს საკუთარ ვებგვერდზე ან ბეჭდვით გამოცემაში.

სუბიექტი ვალდებულია მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანოს მიერ განსაზღვრულ შემთხვევაში მარეგულირებელ/საზედამხედველო ორგანოს წარუდგინოს შუალედური ფინანსური ანგარიშგება. შუალედური ფინანსური ანგარიშგების

მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანოსათვის წარდგენის წესი განისაზღვრება შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობით.

მესამე კატეგორიის საწარმოს მიერ ფინანსური ანგარიშგების გამარტივებული სახით წარდგენის წესს შესაბამისი ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნების გათვალისწინებით ადგენს სამსახური.

თავი III პროფესიული ორგანიზაციები, პროფესიული სერტიფიცირება და განგრძობითი განათლება

მუხლი 10. მოთხოვნები პროფესიული ორგანიზაციის მიმართ

ამ კანონის მიზნებისათვის პროფესიულ ორგანიზაციად ითვლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაცია, რომელიც რეგისტრირებულია არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად და აკმაყოფილებს ამ კანონისა და მის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

პროფესიულ ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს შიდა პოლიტიკა, სისტემები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს:

ა) პროფესიული სერტიფიცირებისა და განგრძობითი განათლების მიმართ მოთხოვნების დაკმაყოფილებას;

ბ) პროფესიული ორგანიზაციების წევრების მიერ პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (IESBA Code) და ხარისხის კონტროლის სისტემის მიმართ მოთხოვნების შესრულებას.

სამსახური უფლებამოსილია განახორციელოს პროფესიული ორგანიზაციის ამ კანონისა და მის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგი.

პროფესიული ორგანიზაციის მმართველობითი ორგანოს წევრთა უმრავლესობას აუდიტორები ან/და სერტიფიცირებული ბუღალტრები შეადგენენ.

პროფესიული ორგანიზაცია უზრუნველყოფს მისი წევრების მიერ პროფესიული ორგანიზაციის მიერ დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამოვლენას და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაწესებას. პროფესიული ორგანიზაციების მიერ მათ წევრ აუდიტორთა სამართალდარღვევების გამოვლენისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის განსაზღვრის წესებს სამსახურთან შეთანხმებით ადგენენ პროფესიული ორგანიზაციები.

პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია მართოს საკუთარი ვებგვერდი, რომელზედაც გამოაქვეყნებს მისი წევრი აუდიტორებისა და პროფესიული ორგანიზაციის მიერ სერტიფიცირებული ბუღალტრების რეესტრს, აგრეთვე

პროფესიული ორგანიზაციის ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშგებას და საქმიანობის შესახებ ანგარიშს.

მუხლი 11. პროფესიული სერტიფიცირება და განგრძობითი განათლება

სამსახური პირის სერტიფიცირებულ ბუღალტრად აღიარებისათვის და მის მიერ კვალიფიკაციის შენარჩუნებისათვის ადგენს პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტს და განგრძობითი განათლების სტანდარტს, რომლებიც შეესაბამება ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებს და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დადგენილ განათლების საერთაშორისო სტანდარტებს (IES). პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტი განსაზღვრავს პროფესიული სერტიფიცირებისათვის სასწავლო დისციპლინებს, საგამოცდო პროცესის წარმართვის, საგნების ჩათვლის და გამოცდებისაგან გათავისუფლების წესს, პროფესიული სერტიფიცირებისათვის წარსადგენ დოკუმენტაციას და სერტიფიკატის გაცემის წესს. განგრძობითი განათლების სტანდარტი განსაზღვრავს განგრძობითი განათლების პროგრამას და მისი განხორციელების წესს.

პირის კვალიფიკაცია დასტურდება პროფესიული სერტიფიცირების შესაბამისად. პროფესიულ სერტიფიცირებას ახორციელებენ ის პროფესიული ორგანიზაციები, რომელთა სასერტიფიკაციო პროგრამები ან/და საგამოცდო პროცესი აკმაყოფილებს სამსახურის მიერ დადგენილ სტანდარტებს და აღიარებულია სასერტიფიკაციო პროგრამებისა და საგამოცდო პროცესის აღიარების წესის შესაბამისად. სასერტიფიკაციო პროგრამებისა და საგამოცდო პროცესის აღიარების წესს ადგენს სამსახური.

სამსახური უფლებამოსილია აღიაროს სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანოები მხოლოდ საგამოცდო პროცესის წარმართვის მიზნებისათვის. ის პროფესიული ორგანიზაცია, რომლის მხოლოდ სასერტიფიკაციო პროგრამებია აღიარებული, უფლებამოსილია განახორციელოს პროფესიული სერტიფიცირება სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანოს მიერ ჩატარებული გამოცდების საფუძველზე. პროფესიული ორგანიზაცია შეიძლება აღიარებულ იქნეს სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელ ორგანოდ ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სასერტიფიკაციო პროგრამებისა და საგამოცდო პროცესის აღიარების წესის შესაბამისად.

ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული აღიარებული სასერტიფიკაციო პროგრამებისა და განგრძობითი განათლების პროგრამებისა და საგამოცდო პროცესების რეესტრის წარმოებას უზრუნველყოფს სამსახური.

პროფესიული სერტიფიცირებისათვის განკუთვნილი საგამოცდო ტესტების მომზადება საგამოცდო პროცესის ნაწილია. მას უზრუნველყოფენ სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანოები.

პირთა გამოცდებზე დაშვების ან საკვალიფიკაციო დისციპლინაში გამოცდისაგან გათავისუფლების მიზნით სამსახური აღიარებს პროფესიული ორგანიზაციის ან/და საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელი პირის პროფესიული სერტიფიცირებისათვის განკუთვნილ სასწავლო პროგრამებს ან ცალკეულ დისციპლინებს (საგნებს).

პროფესიული სერტიფიცირების შედეგად პირს სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსი ენიჭება. პროფესიული ორგანიზაცია მას ამ სტატუსის დამადასტურებელ სერტიფიკატს გადასცემს.

სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსი პირს არ ანიჭებს აუდიტის ჩატარების უფლებას, სანამ არ განხორციელდება მისი რეესტრში რეგისტრაცია.

განგრძობითი განათლების პროცესს უზრუნველყოფენ პროფესიული ორგანიზაციები სამსახურის მიერ დადგენილი წესით. პროფესიული ორგანიზაციები ვალდებული არიან, მონიტორინგი გაუწიონ სერტიფიცირებულ ბუღალტერთა განგრძობით განათლებას და აწარმოონ შესაბამისი აღრიცხვა. თუ პროფესიული ორგანიზაციის გადაწყვეტილებით პირი აღარ აკმაყოფილებს განგრძობითი განათლების მიმართ მოთხოვნებს, პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია ამ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა აცნობოს სამსახურს ამის შესახებ.

პროფესიული ორგანიზაციის მიერ პროფესიული სერტიფიცირებისა და განგრძობითი განათლების სფეროში დადგენილი წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება ამ კანონითა და მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით.

თავი IV რეესტრი

მუხლი 12. რეესტრის წარმოება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

რეესტრის წარმოებას, აგრეთვე მასში ასახული ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სამსახური.

რეესტრის წარმოების მიზნით სამსახური იყენებს პროგრამულ უზრუნველყოფას და მართვის ავტომატურ საშუალებებს. რეესტრი საჯაროა.

ვებგვერდისა და რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების წესს, მის სტრუქტურას, ფორმას, მასში ასახული ინფორმაციის ნუსხას და მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესს განსაზღვრავს სამსახური.

სამსახური უფლებამოსილია ელექტრონული ან წერილობითი მიმართვის საფუძველზე ელექტრონული ან/და მატერიალური ფორმით გასცეს სამსახურის მიერ შექმნილი ან/და სამსახურში დაცული ნებისმიერი დოკუმენტი. მართვის ავტომატური საშუალებით გაცემულ დოკუმენტს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც მატერიალური ფორმით გაცემულს.

დაცული ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის, მათი დედნებისა და ასლების გამოთხოვის წესი და პირობები განისაზღვრება სამსახურის მიერ დადგენილი წესით.

აუდიტორის/აუდიტორული ფირმის იდენტიფიკაცია უზრუნველყოფილია პირის ინდივიდუალური სარეგისტრაციო ნომრით.

რეესტრში აუდიტორის შესახებ უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) სახელი, გვარი, იურიდიული მისამართი, საქმიანობის ადგილი და სარეგისტრაციო ნომერი;

ბ) იმ აუდიტორული ფირმის დასახელება, მისამართი, ვებგვერდის მისამართი და სარეგისტრაციო ნომერი, რომელშიც დასაქმებულია აუდიტორი ან რომელშიც ის არის პარტნიორი/აქციონერი ან რომელთანაც სხვაგვარად არის დაკავშირებული;

გ) ინფორმაცია მისი სხვა ქვეყანაში აუდიტორად რეგისტრაციის შესახებ, მარეგისტრირებელი ორგანოს დასახელებისა და სარეგისტრაციო ნომრის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მითითებით; დ) ის პროფესიული ორგანიზაცია, რომლის წევრიც არის აუდიტორი;

ე) ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შედეგები;

ვ) ბოლო 3 წლის განმავლობაში აუდიტორული (არადაქირავებული) საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;

ზ) პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა, თანხისა და სადაზღვევო კომპანიის მითითებით.

რეესტრში აუდიტორული ფირმის შესახებ უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) სამართლებრივი ფორმა, დასახელება, მისამართი, ვებგვერდის მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია და სარეგისტრაციო ნომერი;

ბ) იმ აუდიტორის/სერტიფიცირებული ბუღალტრის სახელი, გვარი და სარეგისტრაციო ნომერი, რომელიც აუდიტორულ ფირმაშია დასაქმებული ან მასში არის პარტნიორი/აქციონერი ან მმართველობითი ორგანოს წევრი ან სხვაგვარად არის მასთან დაკავშირებული, აგრეთვე აუდიტორულ ფირმაში დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა; გ) ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შედეგები;

დ) არსებობის შემთხვევაში, იმ სდპ-ის დასახელება და საანგარიშგებო პერიოდი, რომელსაც ის უწევდა ან/და უწევს აუდიტორულ მომსახურებას;

ე) პარტნიორთა/აქციონერთა წილობრივი მონაწილეობა;

ვ) პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა, თანხისა და სადაზღვევო კომპანიის მითითებით;

ზ) ბოლო 3 წლის განმავლობაში აუდიტორული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები.

ამ მუხლის მე-8 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას სამსახური იღებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირისგან – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსგან.

სამსახური ადმინისტრაციულ აქტს, რომელიც აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას სანქციას აკისრებს, ძალაში შესვლისა და იმ სუბიექტის ინფორმირების შემდეგ, რომელსაც სანქცია დაეკისრა, დაუყოვნებლივ, არანაკლებ 5 წლის ვადით აქვეყნებს ვებგვერდზე, მხარეების მიერ ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ ინფორმაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მითითებით.

ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია საჯარო არ გახადოს ინფორმაცია, თუ ამით საფრთხეს შეუქმნის ქვეყნის ან/და მესამე პირის ინტერესებს. სამსახური უზრუნველყოფს ინფორმაციის შეფასებასა და ანალიზს და იღებს გადაწყვეტილებას მისი გამოქვეყნების მიზანშეწონილობის შესახებ.

რეესტრიდან ამონაწერი ქართულ ენაზე მზადდება.

მუხლი 13. სარეგისტრაციო წარმოება

საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი, უცხოური საწარმოს ფილიალი და ფიზიკური პირი საქართველოში აუდიტის ჩატარების უფლებამოსილებას იძენენ რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ. აუდიტორის/აუდიტორული ფირმის რეესტრში დარეგისტრირების ან მისი რეგისტრაციის აღდგენის საფუძველია შესაბამისი პირის განცხადება და ამ კანონითა და მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესრულება. სამსახური 10 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს განცხადების ამ კანონითა და მის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

სამსახურისათვის წარდგენილ განცხადებას უნდა დაერთოს სამსახურის მიერ განსაზღვრული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია და ინფორმაცია. სამსახური უფლებამოსილია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამატებით მოითხოვოს სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული იმ დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც აუცილებელია განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად.

პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია სამსახურის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს მას ინფორმაცია/ დოკუმენტი წევრის შესახებ.

რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებული ფიზიკური პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) იყოს სერტიფიცირებული ბუღალტერი;

ბ) ჰქონდეს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის აუდიტორის ზედამხედველობით ჩატარების არანაკლებ 3-წლიანი პრაქტიკული გამოცდილება, რასაც წერილობით ადასტურებს ზედამხედველი აუდიტორი;

გ) არ იყოს ნასამართლევ ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის, აგრეთვე სხვა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის; დ) იყოს პროფესიული ორგანიზაციის წევრი;

ე) არ ჰქონდეს დარღვეული პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი (IESBA Code), რასაც ადასტურებს პროფესიული ორგანიზაცია ან ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აუდიტორი.

რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებული იურიდიული პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) ახორციელებდეს აუდიტორულ საქმიანობას სულ მცირე 1 გარიგების პარტნიორის მეშვეობით;

ბ) აუდიტორულ ფირმაში 50%-ზე მეტი ხმის უფლებას ფლობდეს (ფლობდნენ) რეესტრში რეგისტრირებული აუდიტორი (აუდიტორები) ან/და აუდიტორული ფირმა ან/და ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებში ან/და ევროკავშირის წევრი ქვეყნების აუდიტორულ რეესტრში რეგისტრირებული ფირმა ან/და ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებული ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წევრი ორგანიზაციების წევრი ფიზიკური პირი (პირები);

გ) მმართველობითი ორგანოს წევრთა უმრავლესობა შედგებოდეს აუდიტორებისაგან. თუ მმართველობითი ორგანო 2 წევრისაგან შედგება, ერთ-ერთი მათგანი აუდიტორი უნდა იყოს;

დ) დაზღვეული ჰქონდეს პროფესიული პასუხისმგებლობა.

აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია რეესტრში ასახული ნებისმიერი ინფორმაციის ცვლილების შესახებ შეატყობინოს სამსახურსა და პროფესიულ ორგანიზაციას ცვლილების შეტანიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

აუდიტორი/აუდიტორული ფირმა, რომელიც არ აკმაყოფილებს რეესტრში რეგისტრაციის პირობებს, ექვემდებარება რეგისტრაციის გაუქმებას და კარგავს აუდიტის ჩატარების უფლებამოსილებას. რეგისტრაციის გაუქმებისთვის

პასუხისმგებელია სამსახური მის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად. რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში აუდიტორს/ აუდიტორულ ფირმას არ აქვს უფლება, თავის სახელწოდებაში გამოიყენოს სიტყვა „აუდიტორი“/სიტყვები „აუდიტორული ფირმა“.

სამსახური უფლებამოსილია სამსახურის მიერ დადგენილი წესით, საქართველოს სამართლის საკვალიფიკაციო ტესტის ჩაბარებისა და შესაბამისი მიმართვის საფუძველზე დაარეგისტრიროს რეესტრში ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებული ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წევრი ორგანიზაციების წევრი ფიზიკური პირები, რომლებსაც აუდიტის საქართველოში ჩატარება სურთ. ამ პუნქტის შესაბამისად რეესტრში რეგისტრირებულ ფიზიკურ პირებზე რეგისტრაციის შემდეგ გავრცელდება ამ კანონითა და მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნები და შეზღუდვები.

ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, სამსახური უფლებამოსილია დაადგინოს იმ სახელმწიფოთა ჩამონათვალი, რომელთა ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილ წევრსაც ექნება რეესტრში დარეგისტრირების უფლება.

სამსახური უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, თუ:

ა) განცხადებას არ ერთვის ან/და არასრულად არის წარმოდგენილი ამ კანონითა და მის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტებით განსაზღვრული დოკუმენტი ან/და ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად;

ბ) არსებობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველები.

თუ განმცხადებელი სამსახურს არ წარუდგენს ამ კანონით ან მის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ დოკუმენტს ან ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია აუდიტორის/აუდიტორული ფირმის რეგისტრაციისათვის, სარეგისტრაციო განაცხადის მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში სამსახური განმცხადებელს განუსაზღვრავს არაუმეტეს 30-დღიან ვადას, რომლის განმავლობაშიც მან დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია უნდა წარადგინოს. სამსახური უფლებამოსილია, განმცხადებლის მოთხოვნით, ეს ვადა გააგრძელოს მხოლოდ ერთხელ, არაუმეტეს 15 დღით. ამ ვადის გასვლის შემდეგ სამსახური უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ.

სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების პერიოდში სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძველის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტის ან ინფორმაციის

წარმოდგენის შემთხვევაში სამსახური იღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოების განახლების შესახებ. სარეგისტრაციო წარმოების განახლების შემთხვევაში სარეგისტრაციო წარმოების ვადის ათვლა ხელახლა იწყება.

თავი V აუდიტორული მომსახურება და მისი ხარისხის უზრუნველყოფა

მუხლი 14. აუდიტორული მომსახურების განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები

საქართველოში აუდიტი ტარდება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (ISA) არის აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო საბჭოს (IAASB) მიერ ან მისი უფლებამონაცვლე ორგანოს მიერ მიღებული აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები, რომლებსაც მოიცავს ამ ორგანოს და მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო ოფიციალური დოკუმენტების ცნობარი.

აუდიტის გარდა, სხვა აუდიტორული მომსახურების (მიმოხილვა, სხვა მარწმუნებელი გარიგება და დაკავშირებული მომსახურება) განხორციელებისას აუდიტორი/აუდიტორული ფირმა იყენებს აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო საბჭოს (IAASB) მიერ ან მისი უფლებამონაცვლე ორგანოს მიერ მიღებული და დამტკიცებული მიმოხილვისა და დაკავშირებული მომსახურების, აგრეთვე სხვა მარწმუნებელი გარიგების საერთაშორისო სტანდარტებს.

ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული საერთაშორისო სტანდარტების სამოქმედოდ შემოღებას უზრუნველყოფს სამსახური მათი განახლებიდან 6 თვის ვადაში. აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას უფლება აქვს, გამოიყენოს ამ სტანდარტების მოქმედი (ინგლისურენოვანი) რედაქცია.

სდკ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესისა და პროცედურების მიმართ დამატებითი მოთხოვნები დგინდება სამსახურის უფროსის ბრძანებით, გარდა ამ კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

სდკ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის სამსახურის მიერ დადგენილი წესით განხორციელების უფლებამოსილება აქვს იმ აუდიტორულ ფირმას, რომელმაც გაიარა შესაბამისი ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი.

აუდიტორი/აუდიტორული ფირმა, რომელიც აუდიტორულ მომსახურებას უწევს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსა და სხვა პირს, რომელთათვისაც შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილია ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ან საქმიანობის დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარების მოთხოვნა, ვალდებულია აუდიტორული მომსახურების გაწევისას ამ კანონით დადგენილი მოთხოვნებით იხელმძღვანელოს.

იმ ხელშეკრულებით, რომლის მხარეც არის ქონების მმართველი, განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული აუდიტორული მომსახურების განხორციელების უფლებამოსილება აქვს იმ აუდიტორულ ფირმას, რომელმაც გაიარა სდპ-ების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისათვის მოთხოვნილი, ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი, სამსახურის მიერ დადგენილი წესით.

ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული აუდიტორული მომსახურების მიმართ მოთხოვნებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარდგინებით ადგენს საქართველოს მთავრობა.

საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარდგინებით, ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული აუდიტორული მომსახურების განმახორციელებელი აუდიტორული ფირმებისათვის დამატებითი ან განსხვავებული მოთხოვნები დაადგინოს. ამგვარი მოთხოვნების შესაბამისი ინფორმაციის რეესტრში ასახვას უზრუნველყოფს სამსახური.

მუხლი 15. აუდიტის ჩატარების წესი

აუდიტი შეიძლება ჩატარდეს ამ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესით ან სუბიექტის ინიციატივით.

აუდიტორულ დასკვნას ხელმოწერით ადასტურებს გარიგების პარტნიორი ან/და აუდიტორული ფირმის მიერ უფლებამოსილი პირი. აუდიტორული ფირმის შიდა პროცედურით შესაძლებელი უნდა იყოს გარიგების პარტნიორის იდენტიფიცირება.

სდპ-ის, პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოების/ჯგუფების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ტარდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი. სამსახური შესაბამის მარეგულირებელ/საზედამხედველო ორგანოსთან ერთად ადგენს სდპ-ის აუდიტის პროცესისა და პროცედურების მიმართ ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების გარდა, საქმიანობის/დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე დამატებით მოთხოვნებს, რომლებიც დამატებით ექვემდებარება ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს.

აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია აუდიტის პროცესში შედგენილი და გამოყენებული, ელექტრონული ან/და მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტები შეინახოს შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 6 წლის განმავლობაში.

აუდიტის შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით, აუდიტორული დასკვნა არ უნდა მოიცავდეს რწმუნებას სუბიექტის სამომავლო სიცოცხლისუნარიანობის ან/და სუბიექტის მმართველობითი ორგანოს საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების შესახებ.

აუდიტორმა/აუდიტორულმა ფირმამ უნდა გამოიჩინოს პროფესიული სკეპტიციზმი. მან მიმანიშნებელი ფაქტებისა და ქმედების საფუძველზე უნდა ცნოს სუბიექტის მიერ არსებითი სამართალდარღვევის (მათ შორის, თაღლითობის ან შეცდომის) დაშვების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გათვალისწინებული მმართველობისა და მმართველობისთვის პასუხისმგებელი პირების კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით აუდიტორის/აუდიტორული ფირმის გამოცდილება. აუდიტორმა/აუდიტორულმა ფირმამ აუდიტის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სუბიექტის ხელმძღვანელობის მიერ შეფასებული სამართლიანი ღირებულების, აქტივების გაუფასურების, რეზერვის, ანარიცხებისა და სამომავლო ფულადი ნაკადების შესახებ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია სუბიექტის მიერ საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობასთან.

მუხლი 16. ეთიკის წესები და დამოუკიდებლობა

სერტიფიცირებული ბუღალტერი/აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია პროფესიული მომსახურების განხორციელებისას დაიცვას ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დადგენილი პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი (IESBA Code) (შემდგომ – პროფესიული ეთიკის კოდექსი).

პროფესიული ეთიკის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებას უზრუნველყოფს სამსახური მისი განახლებიდან 6 თვის ვადაში. სერტიფიცირებულ ბუღალტერს/აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას უფლება აქვს, გამოიყენოს ამ კოდექსის მოქმედი (ინგლისურენოვანი) რედაქცია.

აუდიტორი/აუდიტორული ფირმა, აგრეთვე ფიზიკური პირი, რომელმაც შეიძლება პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენა მოახდინოს აუდიტორული მომსახურების შედეგებზე, იმ სუბიექტისაგან დამოუკიდებელი უნდა იყოს, რომელსაც იგი აუდიტორულ მომსახურებას უწევს. ამასთანავე, იგი არ უნდა მონაწილეობდეს ამ სუბიექტის მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ეს მოთხოვნა მოქმედებს ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო პერიოდსა და აუდიტორული მომსახურების განხორციელების პერიოდში.

აუდიტორული ფირმის პარტნიორები/აქციონერები, აგრეთვე აუდიტორული ფირმისა და მასთან დაკავშირებული საწარმოს მმართველობითი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ისე არ უნდა ჩაერიონ აუდიტორული მომსახურების პროცესში, რომ გარიგების პარტნიორის დამოუკიდებლობასა და ობიექტურობას საფრთხე შეექმნას.

აუდიტორული მომსახურების განხორციელებისას აუდიტორმა/აუდიტორულმა ფირმამ უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად. აუდიტორმა/აუდიტორულმა ფირმამ წერილობით ან ელექტრონულად უნდა ასახოს

ინფორმაცია იმ რისკების შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნის მის დამოუკიდებლობას, და მათი შემცირებისათვის გამოყენებული მეთოდების თაობაზე.

დაუშვებელია, სუბიექტისათვის აუდიტორული მომსახურების გარდა, სხვა პროფესიული მომსახურების გაწევა განსაზღვრავდეს ან გავლენას ახდენდეს აუდიტორული მომსახურების ანაზღაურებაზე. აუდიტორული მომსახურების ანაზღაურებას არ უნდა განსაზღვრავდეს რაიმე სახის პირობა ან/და გარემოება.

აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას არ აქვს უფლება, სუბიექტისაგან და მისი თანამშრომლისაგან მიიღოს ან მათ გადასცეს მატერიალური ან/და არამატერიალური საჩუქარი ან/და სარგებელი, რომლის ღირებულება შეიძლება აღქმულ იქნეს იმ ზღვრის გადაჭარბებად, რომელიც დასაშვებია საქმიანობის პრაქტიკისა და კონკრეტული გარიგებისათვის. აუდიტორს/ აუდიტორულ ფირმას დამტკიცებული უნდა ჰქონდეს დამკვეთებთან ურთიერთობაში ჩუქების პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება პროფესიული ეთიკის კოდექსს.

აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას არ აქვს უფლება, სუბიექტს გაუწიოს აუდიტორული მომსახურება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სუბიექტსა და აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას, მის სისტემაში არსებულ პირებსა და იმ ფიზიკურ პირს შორის, რომელმაც შესაძლოა პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენა მოახდინოს აუდიტორული მომსახურების შედეგებზე, ფინანსური, პიროვნული, საქმიანი, შრომითი ურთიერთობით ან/და სხვა არსებული ან შესაძლო სამომავლო ურთიერთობით გამოწვეული ინტერესთა შეუთავსებლობის ან მუქარის გამოყენების საშიშროება, რომლის საფუძველზედაც ობიექტურმა, ინფორმირებულმა და გონიერმა მესამე პირმა შეიძლება დაასკვნას, რომ აუდიტორის/აუდიტორული ფირმის დამოუკიდებლობას საფრთხე ექმნება.

ამ მუხლის მიზნებისათვის ფინანსურ ურთიერთობად ჩაითვლება აუდიტორის/აუდიტორული ფირმისა და ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ იმ სუბიექტის წილების/აქციების, სხვა ფასიანი ქაღალდებისა და ფინანსური ინსტრუმენტების ფლობა, რომელსაც ის აუდიტორულ მომსახურებას უწევს, ან რომლის ფინანსურ შედეგებზე გავლენის მოხდენა სხვა საშუალებებით შეუძლია, გარდა საინვესტიციო ფონდის შუამავლობით არსებითი არაპირდაპირი ფლობისა. ფინანსურ ურთიერთობად ჩაითვლება ასევე ამ სუბიექტთან დაკავშირებული სხვა სუბიექტის წილების/აქციების, სხვა ფასიანი ქაღალდებისა და ფინანსური ინსტრუმენტების ფლობა, თუკი აღნიშნულმა შეიძლება ინტერესთა შეუთავსებლობა გამოიწვიოს.

ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არ შეიძლება იყოს აუდიტორთან/ აუდიტორულ ფირმასთან სუბიექტის მიერ სახელმეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი. აუდიტორს/ აუდიტორულ

ფირმას და სუბიექტს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის მიზეზი და საფუძვლები წერილობით უნდა იყოს დასაბუთებული.

აუდიტორს/გარიგების პარტნიორს ეკრძალება, აუდიტორული მომსახურების განხორციელების დამთავრებიდან 1 წლის განმავლობაში, სდკ-ის შემთხვევაში – 2 წლის განმავლობაში გახდეს:

ა) იმ სუბიექტის მმართველობითი ორგანოს მნიშვნელოვანი წევრი, რომელსაც აუდიტორული მომსახურება გაეწია;

ბ) იმ სუბიექტის აუდიტის კომიტეტის წევრი ან მსგავსი ფუნქციების მქონე ორგანოს წევრი, რომელსაც აუდიტორული მომსახურება გაეწია;

გ) იმ სუბიექტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, რომელსაც აუდიტორული მომსახურება გაეწია.

ამ მუხლის მე-11 პუნქტის მოთხოვნები ვრცელდება აუდიტორის/აუდიტორული ფირმის დასაქმებულზე, აუდიტორული ფირმის პარტნიორზე/აქციონერზე და იმ ფიზიკურ პირზე, რომლის საქმიანობაც ექვემდებარება აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მართვას/კონტროლს, თუკი ისინი არიან აუდიტორები, მათ მიერ აუდიტორის ფუნქციების განხორციელების დამთავრებიდან 1 წლის განმავლობაში.

საანგარიშგებო პერიოდში სუბიექტის სხვა სუბიექტთან შერწყმის (გაერთიანების, მიერთების) შემთხვევაში აუდიტორმა/ აუდიტორულმა ფირმამ უნდა შეაფასოს შერწყმის (გაერთიანების, მიერთების) შედეგად წარმოქმნილ სუბიექტთან დაკავშირებული ინტერესები და ურთიერთობები, რომლებმაც აუდიტორის/აუდიტორული ფირმის დამოუკიდებლობას შეიძლება საფრთხე შეუქმნას. აუდიტორმა/აუდიტორულმა ფირმამ დაუყოვნებლივ, მაგრამ აღნიშნული შედეგის დადგომიდან არაუგვიანეს 3 თვისა, უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა ინტერესთა შეუთავსებლობის აღმოფხვრისათვის ან იმ ურთიერთობების შეწყვეტისათვის, რომლებიც საფრთხეს უქმნის მის დამოუკიდებლობას.

აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია აუდიტორული მომსახურების განხორციელების დაწყებამდე ან გაგრძელებამდე შეამოწმოს და წერილობით ან ელექტრონულად ასახოს და დაადასტუროს ინფორმაცია: ა) მის მიერ დამოუკიდებლობის მოთხოვნების შესრულების შესახებ;

ბ) იმ რისკების შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნის მის დამოუკიდებლობას, და მათი შემცირებისათვის მიღებული ზომების თაობაზე;

გ) კვალიფიციური დასაქმებულების, დროისა და რესურსების არსებობის შესახებ, რომლებიც საჭიროა სათანადო ხარისხის აუდიტორული მომსახურების განსახორციელებლად;

დ) გარიგების პარტნიორის რეესტრში რეგისტრაციის შესახებ – აუდიტორული ფირმის შემთხვევაში.

სდკ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გარიგება შეიძლება დაიდოს არანაკლებ 2 წლით და არაუმეტეს 10 წლით. სდკის პარტნიორთა/აქციონერთა კრების გადაწყვეტილებით ჩატარებულ საჯარო ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში 10-წლიანი ვადა შესაძლებელია დამატებით 10 წლით გაგრძელდეს. კანონით დადგენილი ვადების გასვლის შემდეგ აუდიტორულ ფირმასთან ხელახალი გარიგება შეიძლება დაიდოს არანაკლებ 4-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში აუდიტის ჩატარების მოთხოვნა შეუსრულებლად ჩაითვლება. აუდიტორულმა ფირმამ უნდა უზრუნველყოს გარიგების პარტნიორისა და სხვა საკვანძო პერსონალის შიდა როტაცია არანაკლებ 7 წელიწადში ერთხელ, თითოეული სდკ-ის მიმართ, რომელსაც ის ემსახურება.

ამ მუხლის მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში აუდიტორს/ აუდიტორულ ფირმას სამსახური დააკისრებს პასუხისმგებლობას ამ კანონით დადგენილი წესით. აუდიტის ჩატარებისას ამ მუხლის მე-8, მე-11, მე-12 და მე-15 პუნქტების მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში სუბიექტი შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდისთვის განმეორებითი აუდიტის ჩატარებას უზრუნველყოფს, ხოლო სუბიექტისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვადები, გარდა ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, დაცულად ითვლება. განმეორებითი აუდიტის ჩატარების ვადებს განსაზღვრავს სამსახური.

მუხლი 17. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა

აუდიტორი/აუდიტორული ფირმა, რომელიც თავისი სახელით ახორციელებს აუდიტორულ საქმიანობას, ვალდებულია სუბიექტის მიერ ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობით გამოწვეული შესაძლო მატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით დააზღვიოს თავისი პროფესიული პასუხისმგებლობა არანაკლებ 100 000 ლარის ოდენობით. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის წესს საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებით ადგენს სამსახური.

მუხლი 18. ინფორმაციის კონფიდენციალურობა

აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ პროფესიული მომსახურების განხორციელებისას მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალური ინფორმაციაა.

აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია:

ა) დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალურობა როგორც პროფესიული მომსახურების განხორციელების პროცესში, ისე მის შემდეგ, დროის გასვლისა და საქმიანობის შეცვლის მიუხედავად;

ბ) სუბიექტის თანხმობის გარეშე არ გაამჟღავნოს ამ სუბიექტის შესახებ მასთან არსებული კონფიდენციალური ინფორმაცია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

აუდიტორის/აუდიტორული ფირმის შეცვლის შემთხვევაში წინა აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას უფლება აქვს, დამკვეთი სუბიექტის თანხმობით მომდევნო აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას გადასცეს შესაბამისი ინფორმაცია იმ სუბიექტის შესახებ, რომელსაც აუდიტი ჩაუტარა.

ამ მუხლის მოქმედება ასევე ვრცელდება ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელებელ პირზე მის მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისას მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

მუხლი 19. ხარისხის უზრუნველყოფა

აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია ჰქონდეს საკუთარი ხარისხის კონტროლის სისტემის სათანადო პოლიტიკა და პროცედურები ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების (ISQC) შესაბამისად.

ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტები (ISQC) არის აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო საბჭოს (IAASB) მიერ ან მისი უფლებამონაცვლე ორგანოს მიერ მიღებული სტანდარტები და მითითებები იმ პირთა ხარისხის კონტროლის სისტემის შესახებ, რომლებიც ატარებენ აუდიტს და ახორციელებენ ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვას, აგრეთვე სხვა მარწმუნებელ გარიგებას და დაკავშირებულ მომსახურებას.

ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სტანდარტების სამოქმედოდ შემოღებას უზრუნველყოფს სამსახური მათი განახლებიდან 6 თვის ვადაში. აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას უფლება აქვს, გამოიყენოს ამ სტანდარტების მოქმედი (ინგლისურენოვანი) რედაქცია.

აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია შეიმუშაოს აუდიტისა და სხვა აუდიტორული მომსახურების სახელმძღვანელო და ჩამოაყალიბოს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, მისი განვითარების, მეთვალყურეობისა და საქმიანობის შეფასების შესაბამისი პოლიტიკა და პროცედურები. აღნიშნული სახელმძღვანელო განსაზღვრავს აუდიტორის/ აუდიტორული ფირმის საქმიანობის სათანადო პოლიტიკასა და პროცედურებს.

აუდიტორმა/აუდიტორულმა ფირმამ ადეკვატური სისტემები და პროცედურები უნდა გამოიყენოს მისი საქმიანობის უწყვეტობისა და შეუფერხებლობის უზრუნველსაყოფად.

ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესს განსაზღვრავს და წინასწარი შედეგების განხილვის, გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და

ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის ანგარიშის გასაჩივრების პროცედურებს ადგენს სამსახური.

აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს ახორციელებს სამსახური. სამსახური უფლებამოსილია ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი რისკზე დამყარებული მიდგომის საფუძველზე განახორციელოს. ამასთანავე, სამსახური უფლებამოსილია ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი წარმოდგენილი განცხადების ან/და საჩივრის საფუძველზე განახორციელოს. ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის ადეკვატური უნდა იყოს.

აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ინიციატივით ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების მოთხოვნის შესახებ განცხადებას სამსახური განიხილავს მისი წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. სამსახური ვალდებულია ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 2 კვირისა დაიწყოს ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი.

ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, უნდა განხორციელდეს არაუმეტეს 6 წელიწადში ერთხელ აუდიტორებისათვის/აუდიტორული ფირმებისათვის და არაუმეტეს 3 წელიწადში ერთხელ იმ აუდიტორებისათვის/აუდიტორული ფირმებისათვის, რომლებიც სდპ-ების და პირველი კატეგორიის საწარმოების აუდიტს ატარებენ.

ის აუდიტორული ფირმა, რომელიც აპირებს ჩაატაროს სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, ამასთანავე, გავლილი აქვს ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი, მაგრამ არ აქვს ჩატარებული სდპ-ის აუდიტი, ვალდებულია აუდიტორული მომსახურების განხორციელების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებამდე მიმართოს სამსახურს ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების მოთხოვნით. სამსახური ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მიმართვიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. სამსახურისათვის მიმართვის ფორმას ადგენს სამსახური.

სამსახური აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს ახორციელებს ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც საქმიანობის დაწყებამდე სულ მცირე ბოლო უწყვეტი 1 წლის განმავლობაში არ განუხორციელებია აუდიტორული საქმიანობა, აუდიტორულ ფირმაში არ ჰქონია ხმის უფლება, დასაქმებული არ ყოფილა აუდიტორულ ფირმაში მმართველობითი ორგანოს ან საზედამხედველო ორგანოს წევრად და არც სხვაგვარად ყოფილა აუდიტორულ ფირმასთან დაკავშირებული, არ არის დაინტერესებული ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შედეგებით და აკმაყოფილებს სამსახურის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

პირს ეკრძალება ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელება, თუ იგი იყო იმ აუდიტორის/ აუდიტორული ფირმის პარტნიორი/აქციონერი, გარიგების პარტნიორი, დასაქმებული ან მასთან სხვაგვარად დაკავშირებული პირი, რომლის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგიც ხორციელდება, ამ ურთიერთობის დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში.

ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელებისას სამსახური უფლებამოსილია მონიტორინგის პროცესში ჩართოს შესაბამისი სფეროს ექსპერტები და დამხმარე პერსონალი.

ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგთან დაკავშირებით სამსახურის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის სრულად მიღებიდან 1 თვის ვადაში სამსახური წარადგენს წინასწარ შედეგებს. ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის საბოლოო შედეგები აისახება სამსახურის მიერ დადგენილი ფორმით მომზადებულ ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის ანგარიშში. სამსახური განიხილავს მონიტორინგის ანგარიშს და იღებს გადაწყვეტილებას აუდიტორისათვის/ აუდიტორული ფირმისათვის ან/და გარიგების პარტნიორისათვის შესაბამისი მოთხოვნების დადგენის ან/და დაკმაყოფილების ან/და მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ. აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შედეგების შესახებ სამსახურის გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს საბჭოსა და სასამართლოში.

აუდიტორი/აუდიტორული ფირმა, გარიგების პარტნიორი, აუდიტორულ ფირმაში დასაქმებული სერტიფიცირებული ბუღალტერი უფლებამოსილია პირადად ან/და წარმომადგენლის მეშვეობით მიიღოს მონაწილეობა მის მიმართ შედგენილი ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის ანგარიშის განხილვაში და წარადგინოს ახსნა-განმარტება.

თუ ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შედეგები დამაკმაყოფილებელი არ არის და აუდიტორი/ აუდიტორული ფირმა ან/და გარიგების პარტნიორი სამსახურის მიერ განსაზღვრულ ვადაში ვერ შეასრულებს სამსახურის მიერ მიცემულ რეკომენდაციებს, სამსახური ვალდებულია ასეთი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიმართ ან/და კონკრეტულ აუდიტორულ დასკვნაზე – შესაბამისი გარიგების პარტნიორის მიმართ გამოიყენოს პასუხისმგებლობის ზომები ამ კანონით დადგენილი წესით.

აუდიტორის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევებისთვის პასუხისმგებლობა აუდიტორს ეკისრება. აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევებისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება აუდიტორულ ფირმას ან/და კონკრეტულ აუდიტორულ დასკვნაზე – შესაბამისი გარიგების პარტნიორს.

მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანო ვალდებულია ითანამშრომლოს სამსახურთან სუბიექტების მიერ წარდგენილი აუდიტირებული ანგარიშგებების სანდოობის ხარისხის ამაღლების უზრუნველსაყოფად.

ამ მუხლის მე-16 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია აუდიტირებულ ანგარიშგებაში აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და მასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის მიზნით გასცეს მითითებები და მიიღოს განმარტებები აუდიტორისაგან/აუდიტორული ფირმისაგან და გარიგების პარტნიორისაგან.

ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შედეგები საჯაროა. ისინი შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში აისახება რეესტრში.

სამსახური ყოველწლიურად აქვეყნებს აუდიტის ხარისხის მდგომარეობის შესახებ საერთო ანგარიშს.

თავი VI სამსახურის ორგანიზება და ხელმძღვანელობა .

საბჭოს უფლებამოსილებები

მუხლი 20. სამსახურის ორგანიზება და ხელმძღვანელობა

სამსახური არის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება. იგი პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინაშე.

სამსახურის ორგანიზება განისაზღვრება სამსახურის დებულებით, რომელიც მტკიცდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

სამსახური უზრუნველყოფს:

ა) ამ კანონით გათვალისწინებული, გამოსაყენებლად სავალდებულო საერთაშორისო სტანდარტებისა და სხვა ნორმების ქართულ ენაზე სამოქმედოდ შემოღებას და მეოთხე კატეგორიის საწარმოებისათვის და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების დადგენას;

ბ) ანგარიშგებების მომზადებისა და წარდგენის წესების განსაზღვრას, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროებში ერთიანი პოლიტიკის და სხვა სამართლებრივი აქტების შემუშავებას, სდკ-ის მიმართ დამატებითი მოთხოვნებისა და წესების განსაზღვრას, მათ შორის, შესაბამის მარეგულირებელ/საზედამხედველო ორგანოსთან ერთად; გ) აუდიტორული საქმიანობის განსახორციელებლად შესაბამისი წესებისა და მოთხოვნების განსაზღვრას;

დ) ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის განსაზღვრას, წინასწარი შედეგების განხილვის, გამოვლენილი ხარვეზების

აღმოფხვრისა და ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის ანგარიშის გასაჩივრების პროცედურების დადგენას;

ე) რეესტრში რეგისტრირებული აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელებას;

ვ) ამ კანონით გათვალისწინებული სამართალ დარღვევებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას;

ზ) ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დადგენილი განათლების საერთაშორისო სტანდარტების (IES) და ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნების შესაბამისად პროფესიული სასერტიფიკაციო განათლების, საგამოცდო პროცესისა და განგრძობითი განათლების მიმართ მოთხოვნების განსაზღვრას და შესაბამისი სტანდარტების დამტკიცებას;

თ) ამ კანონით გათვალისწინებული სტანდარტების, წესებისა და მეთოდოლოგიის განხილვასა და დამტკიცებას;

ი) სასერტიფიკაციო პროგრამების დადგენას, საგამოცდო პროცესის აღიარების წესისა და განგრძობითი განათლების პროგრამების აღიარების წესის განსაზღვრას;

კ) დადგენილი სტანდარტის შესაბამისად სასერტიფიკაციო პროგრამების, საგამოცდო პროცესისა და განგრძობითი განათლების პროგრამების აღიარებას;

ლ) პროფესიული ორგანიზაციების, სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანოს და ამ კანონით განსაზღვრული პროფესიული განათლების საქმიანობით დაკავებული სხვა პირების მიერ ამ კანონთან და სამსახურის მიერ დადგენილ წესებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგის განხორციელებას;

მ) რეესტრის, აღიარებული სასწავლო პროგრამებისა და განგრძობითი განათლების პროგრამების, სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანოების რეესტრებისა და ანგარიშგებების ვებგვერდის წარმოებას სამსახურის მიერ დადგენილი წესებისა და ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნების შესაბამისად;

ნ) წარმოდგენილი ანგარიშგებების ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას და საჯაროობას;

ო) მოკვლევის სისტემის ჩამოყალიბებას, მოკვლევის ჩატარების წესებისა და მეთოდოლოგიის შემუშავებას, საკუთარი ინიციატივით ან/და წარმოდგენილი განცხადების ან/და საჩივრის საფუძველზე აუდიტორთან/აუდიტორულ ფირმასთან

დაკავშირებით მოკვლევის ინიცირებას;

პ) სამართალდარღვევათა თავიდან აცილებას და გამოვლენას;

ჟ) აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხებზე მეთოდური მითითებების შემუშავებასა და დამტკიცებას;

რ) ამ კანონის რეგულირების სფეროსთვის მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელებას.

სამსახური ამ კანონით გათვალისწინებული სტანდარტებისა და წესების შემუშავებისათვის პროფესიული ორგანიზაციების, პრაქტიკოსების და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით ქმნის სამუშაო ჯგუფებს, რომელთა საქმიანობა რეგულირდება სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

სამსახურის მართვას, კოორდინაციასა და ხელმძღვანელობას ახორციელებს სამსახურის უფროსი. სამსახურის უფროსს საქართველოს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით, 5 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და კანონით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ერთი და იმავე პირის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დანიშვნა შეიძლება ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

სამსახურის უფროსის უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა და სამსახურის დებულებით.

სამსახურის უფროსი არის საჯარო მოსამსახურე და მასზე ვრცელდება საჯარო მოსამსახურისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები, მათ შორის, ინტერესთა შეუთავსებლობის მოთხოვნები.

სამსახურის უფროსი უნდა იყოს არაპრაქტიკოსი და აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება ერთ-ერთი შემდეგი სპეციალობით: ბუღალტრული აღრიცხვა, აუდიტი, ეკონომიკა, ფინანსები, საბანკო საქმე;

ბ) უნდა ჰქონდეს აუდიტის სფეროში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 5-წლიანი გამოცდილება;

გ) არ უნდა იყოს ნასამართლევ ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის, აგრეთვე სხვა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის;

დ) სამსახურის უფროსსა და მისი ოჯახის წევრს არ აქვთ უფლება, ფლობდნენ წილებს/აქციებს, ხმის უფლებას იმ აუდიტორულ ფირმაში, რომლის საქმიანობის ზედამხედველობაც სამსახურის უფლებამოსილებას განეკუთვნება.

სამსახურის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს სამსახურს; პასუხისმგებელია სამსახურისთვის საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესრულებისთვის;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს სამსახურის უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე;

გ) საქართველოს ფინანსთა მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენს სამსახურის დებულების პროექტს, სტრუქტურასა და ხარჯთაღრიცხვას, საბჭოს მიერ საჩივრის განხილვის წესს, აგრეთვე მათში სათანადო ცვლილებების შეტანის შესახებ პროექტებს;

დ) სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ნორმატიულ აქტს – ბრძანებას;

ე) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამსახურის საშტატო განრიგით გათვალისწინებულ საჯარო მოსამსახურეებს, სხვადასხვა სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირების მიზნით სამართლებრივი აქტით ამტკიცებს სამსახურის შინაგანაწესს, ამტკიცებს სამსახურის თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

ვ) საქართველოს ფინანსთა მინისტრს წარუდგენს სამსახურის საქმიანობის შესახებ ანგარიშს, სამსახურის საქმიანობის შესახებ ანგარიშს და სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს სამსახურის ვებგვერდზე;

ზ) ითანხმებს პროფესიული ორგანიზაციების მიერ მათ წევრ აუდიტორთა სამართალდარღვევების გამოვლენისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის დასადგენ წესებს, ასრულებს სამსახურის დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.

სამსახურის თანამშრომელთა რიცხოვნობას სამსახურის უფროსის წარდგინებით განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი, ხოლო სამსახურის საშტატო განრიგს ამტკიცებს სამსახურის უფროსი.

ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან, წესებთან და მეთოდოლოგიასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებულ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს სამსახური გამოსცემს საბჭოს შესაბამისი რეკომენდაციის განხილვის შემდეგ.

მუხლი 21. საბჭო და მისი უფლებამოსილებები

საბჭო არის სამსახურთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიმღები ორგანო. საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება ამ კანონით. საბჭოს გადაწყვეტილებით, საბჭოში შეიძლება შეყვანილ იქნენ სამსახურის სხვა თანამშრომლები და მოწვეული პირები. ამ შემთხვევაში საბჭოში წარმოდგენილი პირები საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ მონაწილეობენ. საბჭოს

უფლებამოსილებები და საქმიანობის წესი განისაზღვრება საბჭოს დებულებით, რომელიც მტკიცდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

საბჭოს უფლებამოსილებებია:

ა) ამ კანონით განსაზღვრული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების განხილვა, დარგობრივ-პროფესიული შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების 10 სამუშაო დღის ვადაში წარდგენა;

ბ) სამსახურის უფროსისთვის კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში ცვლილებების შეტანის შესახებ წინადადებების წარდგენა;

გ) სამსახურის უფროსის კანდიდატურის წარდგენასთან დაკავშირებით საქართველოს ფინანსთა მინისტრისთვის კონსულტაციის გაწევა და საბჭოს პოზიციის რეკომენდაციის სახით წარდგენა;

დ) სამსახურის მიერ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვა;

ე) ამ კანონითა და მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული სხვა საქმიანობის განხორციელება.

საბჭო შედგება 7 წევრისაგან. საბჭოს წევრი უნდა იყოს არაპრაქტიკოსი, კომპეტენტური ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების, აუდიტის, ეკონომიკის, ფინანსების, ბიზნესის მართვის ან სამართლის სფეროში და ჰქონდეს შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 7-წლიანი გამოცდილება.

საბჭოს შემადგენლობაში შედის თითო წევრი სამინისტროდან, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოდან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან, საჯარო სამართლის იურიდიული პირიდან – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურიდან, პროფესიული ორგანიზაციებიდან, ბიზნესასოციაციებიდან და აკადემიური წრეებიდან.

ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ საბჭოს წევრთა კანდიდატურები წარედგინება საქართველოს ფინანსთა მინისტრს.

ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პროფესიული ორგანიზაციებიდან, ბიზნესასოციაციებიდან და აკადემიური წრეებიდან წარდგენილ იქნება თითოეულიდან საბჭოს წევრობის 3 კანდიდატი. საქართველოს ფინანსთა მინისტრი შეარჩევს თითო კანდიდატურას პროფესიული ორგანიზაციებიდან, ბიზნესასოციაციებიდან და აკადემიური წრეებიდან. საბჭოს წევრთა კანდიდატურების შერჩევის პროცესი დამოუკიდებელი და გამჭვირვალე უნდა იყოს.

ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ საბჭოს წევრთა კანდიდატურებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი წარუდგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრს, რომელიც კანდიდატურების წარდგენიდან 2 კვირის ვადაში ამტკიცებს მათ.

საბჭოს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე. საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილებით, მის უფლებამოსილებას ახორციელებს საბჭოს რომელიმე წევრი.

საბჭოს წევრი არ მონაწილეობს განსახილველი საკითხის განხილვასა და გადაწყვეტაში, თუ დავის საგანთან მიმართებით ინტერესთა შეუთავსებლობა არსებობს. პირი, რომლის საქმეც იხილება, უფლებამოსილია აცილება მისცეს საბჭოს შესაბამის წევრს, თუ ეს პირი პირადადაა დაინტერესებული განსახილველი საკითხით.

საბჭოს არ აქვს უფლება, განახორციელოს თავისი უფლებამოსილებები, თუ საბჭოს წევრთა რაოდენობა 4-ზე ნაკლებია. ამ შემთხვევაში საბჭოს შემადგენლობა უნდა შეივსოს ამ ფაქტის დადგომიდან არაუგვიანეს 2 თვისა.

საბჭოს წევრობის კანდიდატი/საბჭოს წევრი არ უნდა იყოს ნასამართლავი ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის, აგრეთვე სხვა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის.

საბჭოს წევრსა და მისი ოჯახის წევრს არ აქვთ უფლება, ფლობდნენ წილებს/აქციებს, ხმის უფლებას იმ აუდიტორულ ფირმაში, რომლის საქმიანობის ზედამხედველობაც სამსახურის უფლებამოსილებას განეკუთვნება.

საბჭოს წევრების უფლებამოსილების ვადაა 5 წელი.

საბჭოს წევრის საქმიანობა არ ანაზღაურდება.

მუხლი 22. სამსახურის საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

ამ კანონით განსაზღვრული ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის ეფექტიანი განხორციელების მიზნით სამსახური თანამშრომლობს საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან.

ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მიზანია სამსახურის მიერ ევროკავშირის დირექტივების, საერთაშორისო პრაქტიკისა და მეთოდოლოგიის დამკვიდრება და შესაბამისი გამოცდილების გაზიარება ამ სფეროში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების საფუძველზე.

ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა გულისხმობს სამსახურის კოორდინირებულ მუშაობას საჯარო

დაწესებულებებთან, მათ შორის, იმ საჯარო დაწესებულებებთან, რომლებიც ახორციელებენ იმ სუბიექტების რეგულირებას/ზედამხედველობას, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოეთხოვებათ ფინანსური ანგარიშგების წარმოება ან/და საკუთარი ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების უზრუნველყოფა.

სამსახური თანამშრომლობს პროფესიულ ორგანიზაციებთან და ამ კანონის მე-11 მუხლით განსაზღვრულ პირებთან.

თავი VII პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტა

მუხლი 23. პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევისათვის

სამსახური ვალდებულია ამ კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მოთხოვნების დარღვევისათვის ერთდროულად ან/და ცალ-ცალკე, თანამიმდევრულად, ხოლო დარღვევისა და შესაძლო რისკის სერიოზულობიდან გამომდინარე, – არათანამიმდევრულად, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა: ა) აუდიტორის/აუდიტორული ფირმის/გარიგების პარტნიორის მიმართ გამოიყენოს შემდეგი სანქციები: ა.ა) წერილობითი გაფრთხილება;

ა.ბ) საჯარო გაფრთხილება (რეესტრში ასახვით);

ა.გ) ფულადი ჯარიმა;

ა.დ) აუდიტორისათვის/აუდიტორული ფირმისათვის რეგისტრაციის გაუქმება;

ა.ე) აუდიტორისთვის/აუდიტორული ფირმისთვის/გარიგების პარტნიორისთვის აუდიტის ჩატარების ან/და აუდიტორულ დასკვნაზე ხელის მოწერის და აუდიტორული ფირმის პარტნიორებისთვის/აქციონერებისთვის ფუნქციების განხორციელების დროებით, არაუმეტეს 3 წლით აკრძალვა;

ბ) პროფესიული ორგანიზაციის მიმართ გამოიყენოს შემდეგი სანქციები:

ბ.ა) წერილობითი გაფრთხილება;

ბ.ბ) ფულადი ჯარიმა;

ბ.გ) ამ კანონის მე-11 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების საფუძველზე მინიჭებული უფლების ჩამორთმევა;

გ) სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანოს მიმართ გამოიყენოს შემდეგი სანქციები: გ.ა) წერილობითი გაფრთხილება;

გ.ბ) ფულადი ჯარიმა;

გ.გ) ამ კანონის მე-11 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების საფუძველზე მინიჭებული უფლების ჩამორთმევა;

დ) სდპ-ის და პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე კატეგორიების საწარმოების მიმართ გამოიყენოს შემდეგი სანქციები: დ.ა) წერილობითი გაფრთხილება;

დ.ბ) ფულადი ჯარიმა;

დ.გ) სდპ-ის მმართველობითი ორგანოს წევრისთვის სდპ-ში ამ კანონით გათვალისწინებული თავისი ფუნქციების განხორციელების დროებით, არაუმეტეს 3 წლით აკრძალვა.

ამ კანონისა და მის საფუძველზე მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანოს მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტის მოთხოვნების დარღვევისათვის მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანოს რეგულირებისადმი/ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული სუბიექტის მიმართ გამოსაყენებელ სანქციებს განსაზღვრავს შესაბამისი მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანო.

ამ კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მოთხოვნის დარღვევისათვის დაკისრებული პასუხისმგებლობა პირს არ ათავისუფლებს ამ მოთხოვნის შესრულების ვალდებულებისაგან.

ამ მუხლის შესაბამისად გამოყენებული სანქცია უნდა შეესაბამებოდეს დარღვევისა და შესაძლო რისკის სერიოზულობას.

ფულადი ჯარიმის თანხები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი წესით მიიმართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

მუხლი 24. აუდიტორისთვის /აუდიტორული ფირმისთვის /გარიგების პარტნიორისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა

აუდიტორის/აუდიტორული ფირმის/გარიგების პარტნიორის მიერ ამ კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია განახორციელოს აუდიტორისთვის/აუდიტორული ფირმისთვის/გარიგების პარტნიორისთვის აუდიტორული მომსახურების განხორციელების ან/და აუდიტორულ დასკვნაზე ხელის მოწერის და აუდიტორული ფირმის პარტნიორებისთვის/ აქციონერებისთვის აუდიტორული მომსახურების განხორციელების დროებით, არაუმეტეს 3 წლით აკრძალვა.

ამ კანონის V თავით გათვალისწინებულ აუდიტორულ მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების (მათ შორის, შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების, მე-16 მუხლით განსაზღვრული წესების, მე-19 მუხლით განსაზღვრული ხარისხის კონტროლის სისტემის მიმართ მოთხოვნების და ამ სისტემის მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებული მოთხოვნების) დარღვევა გამოიწვევს

აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ან/და შესაბამისი გარიგების პარტნიორის დაჯარიმებას 500-დან 5 000 ლარამდე ან/და რეესტრიდან ამოღებას.

ამ კანონის IV თავით გათვალისწინებულ სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული წესების დარღვევა გამოიწვევს აუდიტორისათვის/აუდიტორული ფირმისათვის რეგისტრაციის გაუქმებას ან საქმიანობის უფლების აკრძალვას ან/და პირის დაჯარიმებას 1 000 ლარამდე.

ამ კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის წერილობით გაფრთხილებას. აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ სამსახურის წერილობითი გაფრთხილების შეუსრულებლობის შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია მიიღოს აუდიტორისათვის/ აუდიტორული ფირმისათვის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილება.

მუხლი 25. პროფესიული ორგანიზაციისა და სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანოსთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა

პროფესიული ორგანიზაცია ან/და სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანო იღებს წერილობით გაფრთხილებას, თუ იგი უარს აცხადებს სამსახურთან თანამშრომლობაზე ან განზრახ თავს არიდებს მას. ამ ქმედების განმეორების შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია პროფესიულ ორგანიზაციას ან/და სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელ ორგანოს ჩამოართვას ის უფლებები, რომლებიც მას მინიჭებული აქვს ამ კანონის მე-11 მუხლით განსაზღვრული აღიარების წესით.

ამ კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნების, ასევე პროფესიული სერტიფიცირებისა და განგრძობითი განათლების განხორციელების წესების დარღვევა გამოიწვევს პროფესიული ორგანიზაციის ან/და სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანოს დაჯარიმებას 500-დან 5 000 ლარამდე.

მუხლი 26. სუბიექტებისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა

ამ კანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების წარმოებისა და კონსოლიდაციის წესების, მე-7 მუხლის, მე-8 მუხლის, მე-9 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებისა და მე-16 მუხლის მე-11 პუნქტის მოთხოვნების შეუსრულებლობა ან/და აუდიტორული შემოწმების ჩატარებისათვის თავის არიდება გამოიწვევს სუბიექტის დაჯარიმებას:

- ა) მეოთხე კატეგორიის საწარმოსი – 500 ლარის ოდენობით;
- ბ) მესამე კატეგორიის საწარმოსი – 1 000 ლარის ოდენობით;
- გ) მეორე კატეგორიის საწარმოსი – 5 000 ლარის ოდენობით;
- დ) პირველი კატეგორიის საწარმოსი და სდკ-ისა – 10 000 ლარის ოდენობით.

ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის სამსახურმა შესაძლებელია ფულადი ჯარიმის ნაცვლად წერილობითი გაფრთხილება გამოიყენოს. სამსახურის წერილობითი გაფრთხილების შეუსრულებლობის ან/და პასუხისმგებლობის დაკისრებიდან 1 თვის ვადაში შესაბამისი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში სუბიექტს უორმაგდება დაკისრებული ჯარიმის ოდენობა.

ამ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში სუბიექტი ჯარიმდება ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. სამსახური სუბიექტისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებიდან არაუგვიანეს 10 დღისა უგზავნის მას შეტყობინებას და აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების წარმოსადგენად დამატებით ვადას განუსაზღვრავს. სამსახურის მიერ სუბიექტისათვის განსაზღვრული ვადა არ უნდა იყოს 1 თვეზე ნაკლები და 6 თვეზე მეტი. აღნიშნულ ვადაში სუბიექტის მიერ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების წარმოუდგენლობა გამოიწვევს მის დაჯარიმებას დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით.

სამსახური სუბიექტს რისკების მართვის სისტემის საფუძველზე შეისწავლის. რისკების მართვის სისტემაში არსებული და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მიწოდებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე სამსახური იღებს სუბიექტისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილებას.

მუხლი 27. პასუხისმგებლობის დაკისრების წესი და დავის გადაწყვეტა

სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების საფუძველია ამ კანონით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამოვლენა. ამ შემთხვევაში უფლებამოსილი პირი აღნიშნული საქმის განხილვის შედეგებზე დაყრდნობით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

ამ კანონის 24-ე-26-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე სამართალდარღვევის გამოვლენისას ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს სამსახურის უფროსი ან სამსახურის უფროსის მიერ განსაზღვრული პირი.

ამ კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამოვლენისას ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს შესაბამისი მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანო.

სამსახურის უფროსის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან დაკავშირებული დავა შესაძლებელია განიხილოს საბჭომ და სასამართლომ. საჩივრის ავტორს უფლება აქვს, დავის ნებისმიერ ეტაპზე მიმართოს სასამართლოს.

სამსახურის გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას.

საბჭოს მიერ საჩივრის განხილვის წესი მტკიცდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

ამ კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება ხორციელდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და სამსახურის მიერ დადგენილი წესით.

თავი VIII გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 28. გარდამავალი დებულებანი

საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ამ კანონის ამოქმედებიდან არაუგვიანეს 4 თვისა უზრუნველყოს:

ა) სამსახურის დებულების დამტკიცება და მის საქმიანობასთან დაკავშირებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გამოცემა;

ბ) საბჭოს დებულების დამტკიცება და საბჭოს წევრთა კანდიდატურების საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

გ) სამინისტროს კომპეტენციის სფეროსთვის მიკუთვნებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან

შესაბამისობა;

დ) სამსახურის დაფინანსებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ამ კანონის ამოქმედებიდან არაუგვიანეს 2 თვისა უზრუნველყოს სამსახურის უფროსის კანდიდატურის საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის წარდგენა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დანიშვნა უზრუნველყოს კანდიდატურის წარდგენიდან არაუგვიანეს 2 კვირისა.

სამსახურმა 2016 წლის 1 ნოემბრამდე უზრუნველყოს რეესტრის წარმოება. აღნიშნულ თარიღამდე ამ კანონის ამოქმედებამდე მოქმედი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ, აგრეთვე არარეგისტრირებულ, მაგრამ ამ კანონის ამოქმედებამდე მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედ აუდიტორებს/აუდიტორულ ფირმებს უფლება აქვთ, აუდიტორული მომსახურება ამ კანონით განსაზღვრულ რეესტრში რეგისტრაციის გარეშე განახორციელონ. „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 13.07.2012, სარეგისტრაციო კოდი: 260000000.05.001.016869) შესაბამისად აკრედიტებული ორგანიზაცია ვალდებულია სამსახურს მიაწოდოს რეესტრთან დაკავშირებული სავალდებულო და არასავალდებულო მონაცემები.

სამსახურმა 2017 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს ხარისხის კონტროლის სისტემის მიმართ მოთხოვნების და ამ სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის განსაზღვრა.

სამსახურმა 2017 წლის 31 დეკემბრამდე უზრუნველყოს ამ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, მე-14 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით, მე-16 მუხლის პირველი პუნქტით და მე-19 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საერთაშორისო სტანდარტების სამოქმედოდ შემოღება.

ის სუბიექტები, რომლებიც ამ კანონის ამოქმედებამდე ატარებდნენ აუდიტს, უფლებამოსილი არიან, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება ამ კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ვადაში წარუდგინონ სამსახურს. სამსახურმა 2018 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს ვებგვერდის წარმოება და სუბიექტების მიერ წარმოდგენილი ანგარიშგებების გამოქვეყნება დადგენილი წესის შესაბამისად.

აუდიტორული და საშემფასებლო პროფესიების გამიჯვნის მიზნით საქართველოს მთავრობამ 2017 წლის 31 დეკემბრამდე შეიმუშაოს საშემფასებლო საქმიანობის შესახებ საკანონმდებლო აქტი. მის ამოქმედებამდე:

ა) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – აკრედიტაციის ერთიანმა ეროვნულმა ორგანომ – აკრედიტაციის ცენტრმა შემფასებელთა სერტიფიკაციის ორგანოს აკრედიტაცია და მონიტორინგი განხორციელოს აკრედიტაციის ცენტრის მიერ მიღებული წესებისა და პროცედურების შესაბამისად;

ბ) შეფასების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IVSC) წევრმა აკრედიტებულმა შემფასებელთა სერტიფიკაციის ორგანოებმა უზრუნველყონ შეფასების საერთაშორისო სტანდარტების ქართულენოვანი ვერსიის ხელმისაწვდომობა;

გ) საშემფასებლო მომსახურების გაწევის უფლება მიეცეს მხოლოდ იმ პირს, რომელშიც დასაქმებულია აკრედიტებული შემფასებელთა სერტიფიკაციის ორგანოს მიერ სერტიფიცირებული შემფასებელი. შეფასების განხორციელების და შეფასების ანგარიშზე/დასკვნაზე ხელის მოწერის უფლება ენიჭება აკრედიტებული შემფასებელთა სერტიფიკაციის ორგანოს მიერ სერტიფიცირებულ შემფასებელს;

დ) აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებულმა შემფასებელთა სერტიფიკაციის ორგანომ უზრუნველყოს სერტიფიცირებულ შემფასებელთა განათლების, მათ მიერ ეთიკური ნორმების დაცვისა და მათი საქმიანობის ხარისხის მონიტორინგი სერტიფიკაციის სქემის თანახმად.

აუდიტორული ფირმა, რომელსაც ამ კანონის ამოქმედების თარიღისთვის ჰქონდა სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლებამოსილება, რაც დასტურდება „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე

(www.matsne.gov.ge), 13.07.2012, სარეგისტრაციო კოდი: 260000000.05.001.016869) შესაბამისად აკრედიტებული ორგანიზაციის სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრით, ან რომელმაც 2013 წლის 1 იანვრიდან ამ კანონის ამოქმედებამდე ჩაატარა სავალდებულო აუდიტი ან 2016 წლის 1 ნოემბრამდე ჩაატარა სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, უფლებამოსილია სამსახურს არაუგვიანეს 2016 წლის 30 ნოემბრისა მიმართოს სდპ-ის აუდიტის ჩატარების დროებითი უფლებამოსილების მინიჭების თხოვნით. დროებითი უფლებამოსილების მინიჭების წესს ადგენს სამსახური. მინიჭებული დროებითი უფლებამოსილება მოქმედებს ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შედეგების გამოვლენამდე. აღნიშნული უფლებამოსილების მინიჭების საფუძველია აუდიტორული ფირმის სარეგისტრაციო განაცხადში მოცემული ინფორმაცია ხარისხის კონტროლის სისტემის შესახებ, სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად აუდიტორული ფირმის მიერ წარდგენილი სხვა ინფორმაცია/დოკუმენტაცია და, საჭიროების შემთხვევაში, იმ მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომელსაც ჰპარდებოდა აუდიტორული დასკვნა/ანგარიში. სდპ-ის აუდიტის ჩატარების დროებითი უფლებამოსილების მინიჭება ხდება 2016 წლის 31 დეკემბრამდე და მოქმედებს არაუგვიანეს 2017 წლის 31 დეკემბრისა. სამსახური ვალდებულია დაასრულოს აღნიშნული უფლებამოსილების მქონე იმ აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი, რომელმაც მას ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების მოთხოვნით მიმართა, და შესაბამისი შედეგები რეესტრში 2018 წლის 1 იანვრამდე ასახოს. სდპ-ის აუდიტის ჩატარების დროებითი უფლებამოსილება უქმდება, თუ აღნიშნული უფლებამოსილების მქონე პირი 2017 წლის 1 ოქტომბრამდე არ მიმართავს სამსახურს ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების მოთხოვნით. ამასთანავე, იმ ხელშეკრულებით, რომლის მხარეც არის ქონების მმართველი, განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების დადასტურებასთან დაკავშირებული აუდიტორული მომსახურების განხორციელების უფლებამოსილება 2018 წლის 1 იანვრამდე აქვთ „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით დამტკიცებულ „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა ნუსხაში“ მითითებულ აუდიტორულ ფირმებს, რომლებსაც ამ მუხლის საფუძველზე მიენიჭებათ დროებითი უფლებამოსილება. ამასთანავე, აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებულ „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა ნუსხაში“ მითითებულ პირებს იმ ხელშეკრულებით, რომლის მხარეც არის ქონების მმართველი, განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების

დადასტურებასთან დაკავშირებული აუდიტორული მომსახურების განხორციელების უფლებამოსილება უნარჩუნდებათ ამ კანონის ამოქმედების თარიღისთვის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუდიტორული მომსახურების დასრულებამდე, ხოლო ამ კანონის ამოქმედების შემდეგ 2017 წლის 1 იანვრამდე დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუდიტორული მომსახურების განხორციელების უფლებამოსილება – 2017 წლის 1 მარტამდე. ამასთანავე, ამ პუნქტით გათვალისწინებულმა აუდიტორულმა ფირმებმა სდპ-ებისათვის შეასრულონ 2016 წლის 1 ნოემბრამდე დადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხელშეკრულებებით 2016 წლის საანგარიშგებო ან წინა პერიოდთან მიმართებით ნაკისრი ვალდებულებები.

სამსახურმა 2016 წლის 1 ნოემბრამდე უზრუნველყოს ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული დროებითი უფლებამოსილების მინიჭების წესის დადგენა. 2017 წლის 1 იანვრიდან გაუქმდეს „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის № 360 დადგენილება.

ამ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების სამოქმედოდ შემოღებამდე მეოთხე კატეგორიის საწარმომ იხელმძღვანელოს „მცირე საწარმოთა ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული (დროებითი) სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის 2005 წლის 5 აპრილის № 9 დადგენილებით დამტკიცებული დროებითი სტანდარტით, ხოლო არასამეწარმეო (არაკომერციულმა) იურიდიულმა პირმა – „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტისა და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის 2005 წლის 5 აპრილის №10 დადგენილებით. სამსახურმა ამ პუნქტით განსაზღვრული სტანდარტები დაადგინოს 2017 წლის 31 დეკემბრამდე.

სდპ-მა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა ამ კანონის მე-9 მუხლის მოთხოვნები შეასრულონ 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის და შემდგომ პერიოდებში, ხოლო თუ სუბიექტის საანგარიშგებო პერიოდი არ ემთხვევა კალენდარულ წელს – იმ საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც 2017 წლის 31 დეკემბრის შემდგომი თარიღისთვის სრულდება. მესამე და მეოთხე კატეგორიების საწარმოებმა ამ კანონის მე-9 მუხლის მოთხოვნები შეასრულონ 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის და შემდგომ პერიოდებში, ხოლო თუ სუბიექტის საანგარიშგებო პერიოდი არ ემთხვევა კალენდარულ წელს – იმ საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბრის შემდგომი თარიღისთვის სრულდება, და შემდგომ პერიოდებში. მესამე და

მეოთხე კატეგორიების საწარმოები უფლებამოსილი არიან, უზრუნველყონ ანგარიშგების იმ საანგარიშგებო პერიოდისთვის წარდგენა, რომლისთვისაც ეს ამ კანონით არ ევალებათ. ამ პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი არ ვრცელდება იმ სუბიექტზე, რომელიც „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 13.07.2012, სარეგისტრაციო კოდი: 260000000.05.001.016869) შესაბამისად სავალდებულო აუდიტს ექვემდებარება.

საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ გაცემული აუდიტორის სერტიფიკატის მფლობელი, რომლის სერტიფიკატი ძალაშია 2013 წლის 1 იანვრისათვის, და ამ კანონის ამოქმედების თარიღისთვის აკრედიტებული ორგანიზაციის მიერ გაცემული პროფესიონალი ბუღალტრის სერტიფიკატის მფლობელი ითვლებიან სერტიფიცირებულ ბუღალტრებად. ამ პუნქტით გათვალისწინებულ პირს ამ კანონის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობა დაკმაყოფილებულად ეთვლება, თუ იგი ამ კანონის ამოქმედებამდე აუდიტორულ მომსახურებას დამოუკიდებლად, აუდიტორული ფირმის სახელით, აუდიტორის ან გარიგების პარტნიორის სტატუსით ახორციელებდა, რაც წერილობით დასტურდება. იმ პირთან მიმართებით, რომელიც ამ კანონის ამოქმედებამდე არანაკლებ 7 წლის განმავლობაში ასრულებდა გარიგების პარტნიორის უფლებამოსილებას და ამ კანონის შესაბამისად არ არის სერტიფიცირებული ბუღალტერი, სამსახურმა დაადგინოს პროფესიული სერტიფიცირების გამარტივებული წესი ამ კანონის ამოქმედებიდან არაუგვიანეს 6 თვისა. ამ პუნქტით გათვალისწინებულმა პირმა გამარტივებული წესით ტესტირება გაიაროს აღნიშნული წესის ამოქმედებიდან არაუგვიანეს 1 წლისა. ამ პუნქტით გათვალისწინებულ პირს ამ კანონის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობა დაკმაყოფილებულად ჩაეთვლება, თუ იგი გაივლის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს.

სამსახურმა ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელება 2017 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყოს მხოლოდ აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიმართვის საფუძველზე, ხოლო 2017 წლის 1 სექტემბრიდან – სავალდებულო წესით.

2016 წლის 1 ივნისიდან სამსახურის მიერ ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტების სამოქმედოდ შემოღებამდე გამოიყენება ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წევრი ორგანიზაციის მიერ სახელმწიფო ენაზე თარგმნილი და გამოცემული:

- ა) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS);
- ბ) მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS for SMEs);

გ) აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დადგენილი პროფესიული ეთიკის კოდექსის (IESBA code) ბოლო ვერსიები;

დ) ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების (ISQC) და აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო საბჭოს (IAASB) მიერ მიღებული და დამტკიცებული მიმოხილვისა და დაკავშირებული მომსახურების, აგრეთვე სხვა მარწმუნებელი გარიგების საერთაშორისო სტანდარტები.

საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კოლეგიის და საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დადგენილებებით დამტკიცებული, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში 2013 წლის 1 იანვრისათვის მოქმედი ნორმატიული აქტები მოქმედებს ამ კანონით გათვალისწინებული შესაბამისი სტანდარტებისა და წესების გამოყენების ვალდებულების ამოქმედებამდე. საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დადგენილებებით დამტკიცებულ ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმებს და მათი გამოყენების წესებს მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანოს რეგულირებისადმი/ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული სფეროებისთვის ადგენს/ცვლის შესაბამისი მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანო, ხოლო იმ სფეროებისთვის, რომლებიც რეგულირებას/ზედამხედველობას არ ექვემდებარება, – სამსახური. სამსახური არის საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს სამართალმემკვიდრე.

ამ კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საბჭოს დაკომპლექტებიდან არაუგვიანეს 1 თვისა, პროფესიული ორგანიზაციების წარდგინებით, საბჭოს გადაწყვეტილებით, 2018 წლის 1 იანვრამდე საბჭოში მოწვეული უნდა იქნეს 2 პრაქტიკოსი.

საქართველოს მთავრობამ 2017 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს შესაბამისი სამართლებრივი აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

პროფესიული ორგანიზაციები უფლებამოსილი არიან, ამ კანონის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ერთჯერადად, საბჭოს პირველად დაკომპლექტების მიზნით სამინისტროს წარუდგინონ საბჭოს წევრის 2 კანდიდატურა, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის მოთხოვნას. ამ პუნქტით გათვალისწინებული კანდიდატურის საბჭოს წევრად არჩევის შემთხვევაში საბჭოს აღნიშნული წევრის უფლებამოსილების ვადაა 1 წელი. მუხლი 29. ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად გამოცხადებული ნორმატიული აქტი ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის

29 ივნისის კანონი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 13.07.2012, სარეგისტრაციო კოდი: 260000000.05.001.016869).

მუხლი 30. კანონის მოქმედება

ეს კანონი, გარდა ამ კანონის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა, მე-7 მუხლისა, მე-8 მუხლისა, მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის პირველი პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ამ კანონის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, მე-7 მუხლი, მე-8 მუხლი, მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

ამ კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

ამ კანონის 28-ე მუხლის მე-16 პუნქტის მოქმედება გავრცელდეს 2016 წლის 1 ივნისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

8 ივნისი 2016 წ.

N5386-III

ნაწილი მეორე. სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სისტემის - საჯარო აუდიტის რეგულირების საკითხები საქართველოში

ანოტაცია: სამეცნიერო ნაშრომის მეორე ნაწილში - „სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სისტემის- საჯარო აუდიტის რეგულირების საკითხები საქართველოში“- შემოთავაზებულია: სახელმწიფო ფინანსური კონტროლის გარემოსა და საჯარო აუდიტის სისტემის ანალიზის საფუძვლები; საჯარო აუდიტის სფეროების რეგულირების; სახელმწიფო-საგადასახადო პოლიტიკის ოპტიმიზაციის; სახელმწიფო ანტიინფლაციური პოლიტიკის და საინვესტიციო პროცესების მართვის აქტუალური საკითხები; საქართველოს ცენტრალური (ეროვნული) ბანკის როლი საფინანსო სფეროს საზედამხედველო საქმიანობაში; სახელმწიფო ზედამხედველობის მონიტორინგის ასპექტები ევროკავშირის დირექტივების შესაბამისად.

თავი 9. სახელმწიფო ფინანსური კონტროლის (აუდიტის) მართვის კონცეფციურ-მეთოდოლოგიურ წანამძღვრები

სახელმწიფო ფინანსური სისტემა - არის სხვადასხვა სფეროს ფინანსური ურთიერთობების ერთობლიობა, რომელთა პროცესში ფულადი სახსრების ფონდების შექმნა და გამოყენება ხორციელდება. ქვეყნის საჯარო სახსრების კანონიერად და ეფექტიანად ხარჯვის შეფასებისათვის აუცილებელია: **სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ერთიანი სისტემის შექმნა**, ფინანსური კონტროლის სუბიექტებისა და ფინანსური კონტროლის ორგანოს განსაზღვრა, საფინანსო კონტროლის სუბიექტების უფლებამოსილებათა განხორციელების წესების დადგენა და სახელმწიფო საფინანსო სტანდარტების განსაზღვრა.

საქართველოში ფინანსების მართვას კანონმდებლურად პარლამენტი ახორციელებს, აღმასრულებლის სახით - ფინანსთა სამინისტრო და ადგილებზე მისი ორგანოები, კონტროლს კი - შემოსავლების სამსახური და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური, საბაჟო კანონმდებლობის აღსრულების უზრუნველყოფას შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტი ახორციელებს, ბიუჯეტგარეშე ფონდების ხელმძღვანელობას- ფინანსთა სამინისტროს სამმართველოები და აღმასრულებელი დირექციები, სადაზღვევო ორგანიზაციების საქმიანობაზე ზედამხედველობას- ფინანსთა სამინისტროს შემადგენლობაში არსებული შესაბამისი სამმართველოები ახორციელებენ. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია კონტროლის სუბიექტების ინსტიტუციური მოწყობა და კომპეტენციის ფარგლები, სადაც სახელმწიფო ფინანსური კონტროლის განხორციელებაზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა საქართველოს კონტროლის პალატას ეკისრება, [66]

ხოლო შიდა ფინანსური კონტროლი, რომელიც წარმოადგენს კომპანიისმიერ ორგანიზებული ყველა მმართველობითი გადაწყვეტილების შესრულების და

რეალიზაციის უზრუნველყოფის შემოწმების პროცესს, შემდეგი ძირითადი ფორმებით ხორციელდება, როგორცაა: წინასწარი, მიმდინარე და მომავალი ფინანსური კონტროლი.

საქართველოში ბოლო წლებში სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სტრუქტურულ-ორგანიზაციული მოწყობა ძირეულად შეიცვალა. კერძოდ, განხორციელდა საბიუჯეტო პროცესში სახაზინო სისტემის დანერგვა, რამაც დღის წესრიგში დააყენა ბიუჯეტის აღსრულების პროცესის რევიზია-შემოწმებებში ახალი მეთოდების გამოყენების აუცილებლობა. სახელმწიფო (საჯარო) აუდიტის სამსახური აუდიტორულ საქმიანობას წარმართავს ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც შემუშავდა და დაინერგა 2010 წელს შვედეთის ეროვნული აუდიტორული ოფისის მხარდაჭერით.

ფინანსები წარმოშობილია ლათინურიდან “Finansia”, რაც ნიშნავს შემოსავალს, გადასახდელს. ის როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება მეთვრამეტე საუკუნის შუა პერიოდში ჩამოყალიბდა ე.წ. კამერალური მეცნიერებათა შემადგენლობაში. ახალი სამეცნიერო მიმართულების ფუძემდებლად გერმანელი მეცნიერი იოგან იუსტი და იოზეფ ზონენფელსი გვევლინება. ფინანსების მართვა როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო მიმართულება მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა.

ფინანსების არსი და მისი შინაგანი შინაარსი ფინანსების ფუნქციებში ვლინდება. აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ „ფუნქციის“ ქვეშ იგულისხმება ის „სამუშაო“ რომელსაც ფინანსები ეკონომიკაში ასრულებს. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსების ფუნქციასთან დაკავშირებით ეკონომიკურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, ექსპერტთა უმეტესობა აღიარებს, რომ ეკონომიკაში ფინანსები სამ ძირითად ფუნქციას ასრულებს. კერძოდ:

1) ფულადი საშუალებების ფონდების წარმოქმნის ფუნქცია;

2) ფულადი ფონდების მობილიზებასა და გამოყენებაზე მეთვალყურება-მაკონტროლებელი ფუნქცია ;

3) შემოსავლების მიზნობრივი განაწილება-გადანაწილება.

ნებისმიერ ქვეყანაში ფულადი შემოსავლების და ფულადი ფონდების ფორმირების მთავარ მატერიალურ წყაროს წარმოადგენს ქვეყნის ეროვნული შემოსავალი (მთლიანი შიდა პროდუქტი). სწორედ ფინანსების, როგორც მეთოდის, ინსტრუმენტის გამოყენებით ხდება ეროვნული შემოსავლის ნაწილის მობილიზება და ფულადი ფონდების ფორმირება და მისი კონკრეტული მიზნით წარმართვა. რაც შეეხება ფინანსების მაკონტროლებელ ფუნქციას, ფინანსები აღნიშნულ „სამუშაოს“ , მთლიანი შიდა პროდუქტის შექმნის, განაწილების და გადანაწილების ყველა სტადიაზე, ფულის მეშვეობით ასრულებს.

ფინანსები როგორც ეკონომიკური ისე სამართლებრივი და ისტორიული კატეგორიაა, რომელიც ვითარდებოდა და დროში იცვლებოდა. შესაბამისად მან რიგი

დამახასიათებელი ნიშნები შეიძინა. სპეციალისტები ფინანსების შემდეგ ძირითად მახასიათებელ **ნიშნებს** გამოყოფენ:

1) ფინანსების ერთ-ერთ ძირითად დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ ფინანსური ურთიერთობა არსებობს მხოლოდ იქ, სადაც არსებობს ფულადი ურთიერთობა;

2) საფინანსო ურთიერთობის პროცესში წარმოებს საერთო სახელმწიფოებრივი ფულადი რესურსების ფონდების ფორმირება და გამოყენება. მმართველობითი საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია ფინანსების მართვა, რომელსაც ახორციელებს სპეციალური აპარატი განსაკუთრებული წესებისა და მეთოდების გამოყენებით, მათ შორის სხვადასხვაგვარი სტიმულებითა და სანქციებით.

ფინანსების მართვა (მენეჯმენტი) მოიცავს საქმიანობას, რომელიც ეხება სახელმწიფოს მიერ საერთო საფინანსო პოლიტიკის გატარებას, ფინანსურ დაგეგმვას, ფინანსური რესურსების კოორდინაციას, ფინანსების ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ინტერესების სასარგებლოდ გამოყენებას, ფინანსური კანონმდებლობის დამუშავებას. აქვე შედის ბიუჯეტის შედგენა-შესრულება, გადასახადების ამოღება, სახელმწიფო სესხების გამოშვება და ვალების მართვა.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში, კორპორაციებისა და კერძო მეწარმეების ფონდების წრებრუნვა სხვადასხვა ფულად ფონდებშია მატერიალიზებული. სახელმწიფო საქმიანობის ასეთ წრეებზე ზემოქმედებს კანონით მიცემული ეკონომიკური უფლებებით - მხოლოდ საგადასახადო პოლიტიკის მეშვეობით, საკრედიტო ურთიერთობათა რეგლამენტაციით, ფინანსური ბაზრის რეგულირებით, საამორტიზაციო ფონდის შექმნის მეთოდით, აგრეთვე სახელმწიფოს ეკონომიკური მხარდაჭერით. აქ ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ ასეთი მეთოდებით სახელმწიფოს ზემოქმედება არამც და არამც არ არის სახელმწიფოს მხრივ ფინანსების მართვა, არამედ ის არის **ფინანსების მეშვეობით ზემოქმედება**, ე.ი. სახელმწიფო **ფინანსური პოლიტიკის** რეალიზაცია.

ქვეყანაში სახელმწიფო მართვას მხოლოდ სახელმწიფო ფინანსები ექვემდებარება. ეს ურთიერთობა შემოიფარგლება მხოლოდ ფინანსური რესურსების იმ ნაწილის ფორმირებით, რომლის მობილიზაციას - აკუმულირებას ახდენს, ერთი მხრის სახელმწიფო და მეორე მხრივ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, აგრეთვე სპეციალური სამთავრობო ფონდები და სახელმწიფო საწარმოები.

ფინანსების მართვაში გამოიყოფა მართვის **სუბიექტები** და მართვის **ობიექტები**. ფინანსური მართვის ობიექტებად გამოდიან სხვადასხვაგვარი ფინანსური ურთიერთობანი, ხოლო სუბიექტებად ორგანიზაციული სტრუქტურები, რომელთა მეშვეობითაც მართვა ხორციელდება. შესაბამისად სახელმწიფოში ფინანსური მართვის ობიექტების შემდეგი ჯგუფები გამოიყოფა: სახელმწიფო ფინანსები, საწარმოთა და კორპორაციათა ფინანსები და სადაზღვევო საქმე, რომლებსაც მართვის შემდეგი სუბიექტები შეესაბამება: სახელმწიფო საფინანსო ორგანოები და საგადასახადო

სამსახურები, საწარმოებისა და კორპორაციების საფინანსო სამსახურები და სადაზღვევო ორგანოები.

ყველა იმ ორგანიზაციული სტრუქტურის ერთობლიობას, რომლითაც ხორციელდება ფინანსების მართვა, ეწოდება საფინანსო აპარატი.

ცნობილია, რომ ნებისმიერ ეკონომიკურ სისტემაში სახელმწიფო ფინანსებს იყენებს თავისი ამოცანებისა და ფუნქციების განსახორციელებლად. დასახული ამოცანების რეალიზაციაში უდიდეს როლს **ფინანსური პოლიტიკა** ასრულებს, რომელიც როგორც წესი განსაზღვრული ინსტრუმენტების გამოყენებით დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევას ან მათ ხელშეწყობას ითვალისწინებს. ეფექტიანი პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს ის, რომ ეკონომიკური სიტუაცია ან სტრუქტურა, რომელიც დასახული პოლიტიკის მიზანთან უშუალოდ არის დაკავშირებული, კარგად ათვისებული და გასაგები უნდა იყოს, იმისათვის რომ საჭიროებისამებრ შესაძლებელი გახდეს დასახული პოლიტიკისაგან განსაზღვრული გადახრა და მანიპულაცია, რომლებიც ხელს შეუწყობენ დასახული მიზნის მიღწევას.

ქვეყნის ახალი ფინანსური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა **ფინანსური ბაზრის** შექმნა. ფინანსური ბაზრის გარეშე შეუძლებელია ეკონომიკის დარგის ერთი სფეროდან მეორეში ფულადი საშუალებების თავისუფალი მოძრაობა. ამიტომ ახალი ფინანსური პოლიტიკის მთავარი ამოცანაა ხელი შეუწყოს ფინანსური ბაზრის ფორმირებას და მისი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას.

ნებისმიერი ქვეყნის ფინანსური პოლიტიკის მთავარი ამოცანაა - შესაბამისი ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფილი იქნეს სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ესა თუ ის პროგრამა. ამასთან ფინანსური პოლიტიკა ითვალისწინებს იმ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფას, რომლებიც ქვეყნის წინაშე დგას.

ფინანსური პოლიტიკა მოიცავს შემდეგ რგოლებს:

1. კორპორაციის ფინანსური (ფულადი) ნაკადების მართვის ოპტიმალური კონცეფციის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი შემოსავლიანობისა და კომერციული რისკებისაგან დაცვის საშუალებას;

2. მიმდინარე პერიოდზე და უახლოეს პერსპექტივაზე ფინანსური რესურსების გამოყენების ძირითად მიმართულებათა გამოვლენა. ამასთანავე, ითვალისწინებენ საწარმო-სავაჭრო საქმიანობის განვითარების შესაძლებლობებს. უპირველეს ყოვლისა, ეს მიეკუთვნება მაკროეკონომიკური კონიუნქტურის მდგომარეობას (გადასახადით დაბეგვრა, საბანკო პროცენტის სააღრიცხვო განაკვეთი, ბანკებისათვის აუცილებელი რეზერვების ნორმები, ძირითად საშუალებებზე საამორტიზაციო გადარიცხვების ნორმები და სხვა);

3. დასახული მიზნების მიღწევისაკენ მიმართულია პრაქტიკული მოქმედებების განხორციელება როგორცაა, ფინანსური ანალიზი და კონტროლი, კორპორაციის

ფინანსირების ხერხთა არჩევა, რეალური საინვესტიციო პროექტირებისა და ფინანსური აქტივების შეფასება და ა.შ.

ამრიგად, ზემოთ აღნიშნული სამი საკვანძო რგოლის ერთობა განსაზღვრავს ფინანსური პოლიტიკის შინაარსს, რომლის **სტრატეგიული ამოცანებია**:

- ა) მოგების, როგორც ეკონომიკური ზრდის წყაროს მაქსიმიზაცია;
- ბ) სტრუქტურისა და კაპიტალის ღირებულების ოპტიმიზაცია, ფინანსური მდგრადობისა და კორპორაციის საქმიანი აქტივობის უზრუნველყოფა;
- გ) მესაკუთრეებისათვის (დამფუძნებლებისათვის), ინვესტორებისა და კრედიტორებისათვის კორპორაციის ფინანსური ღიაობის მიღწევა;
- დ) კორპორაციული ფასიანი ქაღალდების ემისიის, ფინანსური ლიზინგის, საპროექტო დაფინანსების საშუალებით კაპიტალის მოზიდვის საბაზრო მექანიზმების გამოყენება;
- ე) ფინანსების მართვის ეფექტური მექანიზმის (ფინანსური მენეჯმენტის) შემუშავება ფინანსური მდგომარეობის დიაგნოსტიკის საფუძველზე საბაზრო პირობებისადმი ადეკვატური კორპორაციის საქმიანობის სტრატეგიულ მიზანთა დასახვისა და მათი მიღწევის გზების ძიების გათვალისწინებით. გადასაჭრელი ამოცანების ხასიათისა და ხანგრძლივობიდან გამომდინარე, ფინანსური პოლიტიკა კლასიფიცირდება ფინანსურ სტრატეგიასა და ტაქტიკაზე.

ფინანსური სტრატეგია ერთ-ერთია სტრატეგიული მართვის ხუთი ფუნქციური ელემენტიდან (წარმოება, მარკეტინგი, ინოვაციები, კადრები და ფინანსები). კორპორაციებში ფინანსების მართვის ობიექტად გამოდის კაპიტალი და ფულადი ნაკადები. ამ კატეგორიებს აქვთ სტრატეგიული მნიშვნელობა, რადგან მათი მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს **კონკურენტულ უპირატესობებსა** და სააქციო მოცულობით (კაპიტალის საერთო მოცულობის 60%-ზე მეტი) და ფულადი ნაკადების დადებითი სალდოთი გააჩნია დიდი შესაძლებლობები ფინანსური ბაზრიდან დამატებითი ფულადი რესურსების მოსაზიდად.

მამასადამე, ფინანსური სტრატეგია - ფინანსური პოლიტიკის ხანგრძლივი კურსია, რომელიც გაანგარიშებულია პერსპექტივაზე და რომელიც გულისხმობს კორპორაციის მსხვილ მასშტაბიანი ამოცანების გადაჭრას. მისი შემუშავების პროცესში ხდება ფინანსების განვითარების ძირითად ტენდენციათა პროგნოზირება, ყალიბდება მათი გამოყენების კონცეფცია, ისახება სახელმწიფოსთან (საგადასახადო პოლიტიკა) და პარტნიორებთან (მომწოდებლებთან, მყიდველებთან, კრედიტორებთან, ინვესტორებთან, დამზღვევებთან და სხვა) ფინანსური ურთიერთობების ორგანიზაციის პრინციპები. სტრატეგია გულისხმობს კორპორაციის განვითარების ალტერნატიული გზების არჩევას. ამასთანავე, გამოიყენება სპეციალისტების (მენეჯერების) პროგნოზები, გამოცდილება და ინტუიცია დასახული მიზნების მისაღწევად ფინანსური რესურსების მობილიზაციისათვის. სტრატეგიის პოზიციიდან ყალიბდება საწარმოო და ფინანსური

საქმიანობის კონკრეტული მიზნები და ამოცანები და მიიღება ოპერატიული მმართველობითი გადაწყვეტილებები.

კორპორაციის ფინანსების სტრატეგიის შემუშავების უმნიშვნელოვანეს მიმართულებებს მიეკუთვნება:

- . ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი და შეფასება;
- სააღრიცხვო და საგადასახადო პოლიტიკის შემუშავება;
- საკრედიტო პოლიტიკის შემუშავება;
- ძირითადი კაპიტალის მართვა და საამორტიზაციო პოლიტიკის მიღება;
- საბრუნავი აქტივების და საკრედიტო დავალიანების მართვა;
- ფასთწა რმოქმნისპოლიტიკა;
- სადივიდენდო და საინვესტიციო პოლიტიკის არჩევა;
- კორპორაციის მიღწევებისა და მისი საბაზრო ღირებულების (ფასის) შეფასება.

ფინანსური ტაქტიკა მიმართულია კორპორაციის განვითარების კონკრეტული ეტაპის კერძო ამოცანების გადაჭრისკენ ფინანსური კავშირების ორგანიზაციის ხერხთა დროული შეცვლის, ხარჯთა სახეებისა და სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის ფულადი რესურსების გადანაწილების გზით.

ფინანსური ანალიზი მოიცავს შემდეგ რგოლებს:

- სტრატეგიული მიზნების განსაზღვრისათვის ფინანსურ შესაძლებლობათა შეფასებას;
- საქმიანობის სფეროების მიხედვით ფულადი ნაკადების მოძრაობის ეფექტურობის განაწილებასა და შეფასებას (მიმდინარე, საინვესტიციო და ფინანსური);
- ფინანსურ რესურსებსა და მათი შემოსავლის არხებში დამატებითი მოთხოვნილების განსაზღვრას (საბანკო კრედიტი, საკუთარი აქციებისა და ობლიგაციების ემისია, ლიზინგი, სასაქონლო კრედიტი და სხვა);
- ფულადი რესურსების ტრანსფორმაციას ისეთ ფორმად, რომელიც ნათლად გვიჩვენებს კორპორაციის ფინანსურ შესაძლებლობებს, რაც აისახება მის ანგარიშში;
- მიღებული საფინანსო და საინვესტიციო გადაწყვეტილებების ეფექტურობის შეფასებას კორპორაციისა და ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ არსებული მისი ფილიალების ფინანსური მდგრადობის, გადახდისუნარიანობის, შემოსავლიანობის, საქმიანი და საბაზრო აქტიურობის მაჩვენებელთა საშუალებით.

ამრიგად, ფინანსური პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. იგი არის სახელმწიფოს მიერ თავისი ფუნქციების და ამოცანების განხორციელების უზრუნველსაყოფად შემუშავებული ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც ფინანსური რესურსების მობილიზაციასა და მისი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სიტუაციიდან გამომდინარე საზოგადოების წევრებს

შორის, ეროვნული ეკონომიკის, პრიორიტეტული სტრუქტურული დარგების და ქვეყნის ტერიტორიულ ერთეულებს შორის განაწილება-გამოყენებაში ვლინდება.

სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკა შედგება სახელმწიფო საქმიანობის ორი ურთიერთდაკავშირებული მიმართულებისგან: 1) საგადასახადო დაბეგვრის სფერო; 2) სახელმწიფო ხარჯების სტრუქტურის რეგულირება.

სახელმწიფო ფისკალური პოლიტიკის ძირითადი **ბერკეტია**: პირველი, საგადასახადო განაკვეთების ცვლილებები მთავრობის მიზნებიდან გამომდინარე. გადასახადების გავლენა მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობასთან ხორციელდება საგადასახადო მულტიპლიკატორის მექანიზმის მეშვეობით. მეორე, სახელმწიფო ხარჯების შეცვლა. სახელმწიფო ხარჯები გავლენას ახდენს ერთობლივ მოთხოვნაზე ინვესტიციების ანალოგიურად და ინვესტიციების მსგავსად გააჩნია მულტიპლიკაციური ეფექტი.

ფინანსური მექანიზმი, იმ ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობა, რომლის მეშვეობითაც უზრუნველყოფილია განაწილებითი და გადანაწილებითი ურთიერთობანი, შემოსავლებისა და დაგროვების შექმნის, ფულადი საშუალებების ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული ფონდების შექმნა-გამოყენება.

სახელმწიფო ფინანსური სისტემა - არის სხვადასხვა სფეროს ფინანსური ურთიერთობების ერთობლიობა, რომელთა პროცესში ფულადი სახსრების ფონდების შექმნა და გამოყენება ხორციელდება.

საქართველოში ფინანსური სისტემა, ფინანსური ურთიერთობები ხუთი რგოლისაგან შედგება, რომელთაგან პირველი სამი ცენტრალიზებულს მიეკუთვნება და ისინი **მაკროეკონომიკური რეგულირებისთვის** გამოიყენება. ქვეყნის ფინანსური სისტემის ფინანსური ურთიერთობების **რგოლებია**: 1. საბიუჯეტო სისტემა; 2. ბიუჯეტგარეშე სპეციალური ფონდები; 3. სახელმწიფო კრედიტი; 4. დაზღვევის ფონდები; 5. საწარმოს ფინანსური საკუთრების სხვადასხვა ფორმები.

ქვეყნის საბიუჯეტო სისტემა უნდა მოიცავდეს: 1. ცენტრალურ ბიუჯეტს; 2. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნების ბიუჯეტებს; 3. ადგილობრივ ბიუჯეტებს, რომლებიც ავტონომიურად ფუნქციონირებენ.

ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის წამყვან რგოლს **სახელმწიფო ბიუჯეტი ასრულებს** და იგი სახელმწიფოს ფინანსურ გეგმას წარმოადგენს. ქვეყნის ბიუჯეტი პარლამენტის მიერ დამტკიცების შემდეგ კანონის ძალას ღებულობს და მისი შეუსრულებლობა დასჯადი უნდა იყოს.

სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი **ფუნქციებია**: 1. მთლიანი შიდა პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის გადანაწილება; 2. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება და სტიმულირება; 3. სოციალური პოლიტიკის ფინანსური უზრუნველყოფა; 4. ფულადი სახსრების ცენტრალიზებული ფონდის შექმნაზე და გამოყენებაზე კონტროლი.

ამრიგად, საქართველოში ფინანსების მართვას კანონმდებლურად პარლამენტი ახორციელებს, აღმასრულებლის სახით - ფინანსთა სამინისტრო და ადგილებზე მისი ორგანოები, კონტროლს კი - შემოსავლების სამსახური და ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახური, საბაჟო კანონმდებლობის აღსრულების უზრუნველყოფას შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტი ახორციელებს, ბიუჯეტგარეშე ფონდების ხელმძღვანელობას კი - ფინანსთა სამინისტროს სამმართველოები და აღმასრულებელი დირექციები, სადაზღვევო ორგანიზაციების საქმიანობაზე ზედამხედველობას - ფინანსთა სამინისტროს შემადგენლობაში არსებული შესაბამისი სამმართველოები ახორციელებენ.

თავი 10. სახელმწიფო ფინანსური კონტროლის გარემოს თავისებურებები და აუდიტის პრაქტიკის ანალიზი

ქვეყანაში სახელმწიფო მმართველობაში ფინანსური კონტროლის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 28 ივნისს მიიღო „კანონი სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობის დაარსების შესახებ“, რომლის 1-3 მუხლით განსაზღვრა, რომ დაარსდა სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობა, რომელსაც ირჩევს ეროვნული საბჭო. იგი არ შედის მინისტრთა კაბინეტში და პასუხისმგებელია მხოლოდ ეროვნული საბჭოს წინაშე, უთანხმოებას სახელმწიფო კონტროლიორსა და მთავრობას შორის განიხილავს და წყვეტს ეროვნული საბჭო. ზემოთ აღნიშნული კანონის შესაბამისად, ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 6 დეკემბერს დაამტკიცა „დებულება სახელმწიფო კონტროლისა და მისი უწყების საგანთათვის“ და „რევიზიის წესდება“. „სახელმწიფო კონტროლისა და მისი უწყების საგანთათვის“, სადაც განხილულია შემდეგი საკითხები: სახელმწიფო კონტროლის უწყების საგანთათვის სახელმწიფო კონტროლის შემადგენლობა, სახელმწიფო კონტროლის საერთო საკრებულო და სახელმწიფო კონტროლის კანცელარია. მოგვიანებით, დებულების 34-ე მუხლს ამატებენ სახელმწიფო კონტროლის მიერ შემოწმებულ ანგარიშთა დაცვის, სახელმწიფო კონტროლის საქმეთა დაცვისა და მოსპობის წესებს და სახელმწიფო კონტროლის საქმეთა რიგ-რიგად განაწილების ნუსხას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დებულების პირველი მუხლი განსაზღვრავს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლს, როგორც სახალხო წარმომადგენლობით ორგანოს და სახელმწიფო მმართველობის ცალკე ნაწილს.

საკანონმდებლო ხელისუფლების წარდგენამდე სახელმწიფო კონტროლი ამოწმებდა სამინისტროების ფინანსურ ხარჯთაღრიცხვასა და ფინანსთა მინისტრის მიერ შედგენის სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვასა და ამ აღრიცხვის შესახებ ანგარიშს. ზემოთ აღნიშნულ და სხვა საკონტროლო მოვალეობათა შესრულების მიზნით სახელმწიფო კონტროლი იყენებდა წინასწარ, შემდგომ და ფაქტიურ რევიზიას.

სახელმწიფო კონტროლის შემადგენლობაში შევიდნენ: სახელმწიფო კონტროლიორი, სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი, სახელმწიფო კონტროლის საქმეთა დირექტორი, სექციათა გამგეები, უფროსი რევიზორები, რევიზორები, რევიზორების თანაშემწეები და მოანგარიშე მოხელეები, საკანცელარიო მუშაკები, მდივანი, უფროსი საქმისმწარმოებელი, რეგისტრატორი, მისი თანაშემწეები და არქივარიუსი.

სახელმწიფო კონტროლიორის თავმჯდომარეობით ჩამოყალიბდა საერთო საკრებულო სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგის, საქმეთა დირექტორის და სექციათა გამგეების შემადგენლობით, ხოლო მომხსენებლის სტატუსითა და ხმის უფლებით - უფროსი რევიზორები, რომელთაც სხვა ძირითად ფუნქციებთან ერთად, მიეცათ უფლება სხდომებზე, სამინისტროებისა და თვითმმართველობის მოხელეების მოწვევისა. აგრეთვე მიეცათ მთელი რიგი უფლებები, რომლებიც პირდაპირ

უკავშირდებოდნენ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მიმართულებებს, მოქმედების მასშტაბებსა და არეალს.

იმ პერიოდისთვის არსებული საკანონმდებლო ბაზა კონტროლს განსაზღვრავდა არა როგორც ნაკლოვანებათა და დარღვევათა ფუნქციის იარაღს, არამედ სახელმწიფო კონტროლის მოვალეობათა შესრულებისათვის დაწესებულ წინასწარი, შემდგომი და ფაქტიური კონტროლის მექანიზმს, და ამდენად, ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო კონტროლის არსი დემოკრატიული საქართველოს ხელისუფალთ გააზრებული ჰქონდათ, როგორც ფართო მასშტაბური და ზოგად სახელმწიფოებრივი უფლებებით აღჭურვილი ფენომენი.

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა (იხ მონოგრაფიის ნაწილი მეორე, თავი 1), ფინანსები ასრულებს განმანაწილებელ, მარეგულირებელ და უკუკავშირის არხის ფუნქციებს. ფულადი ფონდების განაწილება-გადანაწილების პროცესში ფინანსები ასრულებს განმანაწილებელ ფუნქციას, ხოლო ბიუჯეტის საშუალებით ფულადი ფონდების ხარჯვის პროცესში კი - საკონტროლო ფუნქციას. საკონტროლო ფუნქცია - ფულადი ფონდების განაწილებაზე და გამოყენებაზე კონტროლის განხორციელებაში ვლინდება. ფინანსური კონტროლის ამოცანაში შედის ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების დაცვისა და ფინანსური ვალდებულებების შესრულების შემოწმება.

შიდა ფინანსური კონტროლი, რომელიც წარმოადგენს კომპანიის მიერ ორგანიზებული ყველა მმართველობითი გადაწყვეტილების შესრულების და რეალიზაციის უზრუნველყოფის შემოწმების პროცესს, შემდეგი ძირითადი ფორმებით ხორციელდება, როგორებიცაა: ა)წინასწარი; ბ)მომდინარე და გ) მომავალი ფინანსური კონტროლი.

შიდა ფინანსური კონტროლის ფუნქციების რეალიზაციის ეფექტიანობის ამაღლებას ხელს უწყობს კორპორაციაში (საწარმოში) ეფექტიანი კომპლექსური მმართველობითი სისტემის დანერგვა, რომელიც კონტროლინგის სახელწოდებითაა ცნობილი. კონტროლინგის კონცეფცია შემუშავებული იქნა გასული საუკუნის 80-იან წლებში, როგორც კრიზისული სიტუაციების თავიდან აცილების აქტიური საშუალება, რაც საბოლოოდ საწარმოს გაკოტრებას იწვევს.

კონტროლინგის საერთო სისტემაში, რომელიც ყალიბდება კომპანიაში (ფირმაში) გამოიყოფა მისი ერთ-ერთი ცენტრალური ბლოკი - ფინანსური კონტროლინგი.

ფინანსური კონტროლინგი ეს არის რეგულატორული მმართველობითი სისტემა, რომელიც ახდენს ურთიერთკავშირის კოორდინაციას, ინფორმაციული ბაზის ფორმირებას, ფინანსური ანალიზის, ფინანსური დაგეგმვის და შიდა ფინანსურ კონტროლს შორის, რომელიც უზრუნველყოფს საკონტროლო ქმედებების კონცენტრაციას კომპანიის (საწარმოს) ფინანსური საქმიანობის უფრო პრიორიტეტულ მიმართულებებზე, მისი ფაქტიური შედეგების გათვალისწინებულიდან გადახრის მიღებას, რომლებიც მათ ნორმალიზაციაზეა მიმართული.

საანგარიშო მაჩვენებელთა საინფორმაციო სისტემის აგება ფინანსური კონტროლინგის ცალკეული სახეობის მიხედვით ეფუძნება ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის მონაცემებს. ეს სისტემა წარმოადგენს ე.წ. „დაკვირვების პირველად საინფორმაციო ბაზას“, რაც საჭიროა საწარმოსათვის აგრეგირებული ცალკეული ანალიტიკური, აბსოლუტური და შეფარდებითი ფინანსური მაჩვენებლების თანმიმდევრული გაანგარიშებისათვის, რომელიც ახასიათებს საწარმოს ფინანსური საქმიანობის შედეგებს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფინანსური კონტროლის ძირითად არსს წარმოადგენს:

1. სახელმწიფოებრივი მმართველობის ეფექტიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური ურთიერთობის სუბიექტების მიერ საფინანსო კანონმდებლობის დაცვის შემოწმება;
2. ქვეყნის საფინანსო სისტემის განმტკიცება;
3. სახელმწიფოსადმი ერთიანი საფინანსო, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებაში ხელშეწყობა;
4. სახელმწიფოებრივი პროდუქტის წარმოების განაწილებისა და მოხმარების ყველა ეტაპზე ფინანსური რესურსების გამოყენების შიდა რეზერვების გამოვლენა.

როგორც უკვე აღინიშნა, სახელმწიფო ფინანსური კონტროლი - არის კონტროლი ეროვნული სიმდიდრის გამოყენებაზე. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულია კონტროლის სუბიექტების რაობა, მათი ინსტიტუციური მოწყობა და კომპეტენციის ფარგლები, მაგრამ არაა ურთიერთგამიჯნული კონტროლის სხვადასხვა სუბიექტების უფლებამოსილებანი და პასუხისმგებლობა, მკაფიოდ დადგენილი არაა კონტროლის სხვადასხვა სუბიექტების როლი და ადგილი, თუმცა სახელმწიფო ფინანსური კონტროლის განხორციელებაზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა საქართველოს კონტროლის პალატას ეკისრება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საჯარო სახსრების კანონიერად და ეფექტიანად ხარჯვის შეფასებისათვის აუცილებელია სახელმწიფო **ფინანსური კონტროლის ერთიანი სისტემის შექმნა**, ფინანსური კონტროლის სუბიექტებისა და ფინანსური კონტროლის ორგანოს განსაზღვრა, საფინანსო კონტროლი სუბიექტების უფლებამოსილებების და ამ უფლებამოსილებათა განხორციელების წესების დადგენა და სახელმწიფო საფინანსო სტანდარტების განსაზღვრა. ამასთანავე, ხაზგასასმელია, რომ საფინანსო კონტროლი არა მხოლოდ საჯარო სახსრების მოღება-გამოყენების პასიური მეთვალყურე უნდა იყოს, არამედ მან საფინანსო დარღვევის აღკვეთის მიზნით გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ზომები, რითაც კონტროლის სუბიექტების პასუხისმგებლობა მათივე უფლებებთან შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი. კონტროლის სუბიექტებმა პასუხი უნდა აგონ საფინანსო დარღვევების აღკვეთაზე, რისთვისაც მათ უნდა ჰქონდეთ საფინანსო ადმინისტრირების გამოყენების უფლება საკუთარი დაწესებულების მიმართ.

სავალდებულო აუდიტის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს შესაბამისი საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელობას, რომელთაც უშუალოდ ახორციელებს საფინანსო კონტროლის სამსახური ან სახელმწიფო სექტორის აუდიტორი. შიდა აუდიტის კონტროლმა უნდა მოიცვას შიდა პრევენციული და მიმდინარე საფინანსო კონტროლი და ამ შემთხვევაშიც, პასუხისმგებლობა დაეკისრება საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელობას.

საფინანსო ზედამხედველობა უნდა განახორციელოს შესაბამისმა სახელმწიფო ორგანომ და უნდა მოიცვას საფინანსო კონტროლის სისტემის საკანონმდებლო რეგულირება, ამ სისტემაზე ზედამხედველობა, საჯარო დაწესებულებების საფინანსო რევიზია და საფინანსო ადმინისტრირება.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე, საფინანსო კონტროლის განხორციელების ფორმებსა და წესებს. მისაღებად უნდა ჩაითვალოს საფინანსო კონტროლის განხორციელების შემდეგი ფორმები: საფინანსო დარღვევათა პრევენცია, მიმდინარე საფინანსო შემოწმება, რევიზია და საფინანსო ადმინისტრირება, რაც საფინანსო კონტროლის სუბიექტებმა უნდა განახორციელონ საქართველოს კონტროლის პალატის მიერ განსაზღვრული წესების შესაბამისად.

სახელმწიფო საფინანსო კონტროლის სისტემის ჩამოსაყალიბებლად საჭიროა, როგორც მთელი რიგი ნორმატიული აქტების მიღება, ასევე ორგანიზაციული ღონისძიებების გატარება, როგორცაა, შიდა საფინანსო კონტროლის სამსახურების და საქართველოს კონტროლის პალატასთან შესაბამისი კადრების მოსამზადებელი ცენტრის შექმნა, რითაც საფუძველი ჩაეყრება სახელმწიფო სექტორის აუდიტორთა, შიდა საფინანსო კონტროლის მოსამსახურეთა მომზადება-ლიცენზირების პროცესს, ხოლო შიდა საფინანსო კონტროლის სამსახურების შექმნამ არ უნდა გამოიწვიოს დამატებითი საშტატო ერთეულების შემოღება, არამედ უნდა მოხდეს სტრუქტურული რეორგანიზაცია და ამით გამოირიცხოს ამ მხრივ დამატებითი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა.

კონტროლის როლი და მისი კავშირი მართვის სხვა ფუნქციებთან ვლინდება მიღებულ მმართველობით გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებაში. სწორედ სამართავი ობიექტის ფაქტიური მდგომარეობის კონტროლი იძლევა საშუალებას მართვის სუბიექტმა თავისდროულად მოახდინოს რეაგირება მიმდინარე ცვლილებებზე.

ფინანსური კონტროლის ძირითადი მიზანია სახელმწიფო საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ფინანსური სახსრების და სახელმწიფო საკუთრების კანონიერი, მიზნობრივი და ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა. შესაბამისად, ფინანსური კონტროლის ძირითადი ამოცანებია:

1. სახელმწიფო ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო ფონდების, ბიუჯეტის შემოსავლებისა და გასავლის სტადიების თავისდროულ შევსებაზე კონტროლის

ორგანიზაცია და განხორციელება მოცულობის, სტრუქტურისა და მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით;

2.სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ექსპერტიზა და წლიური საბიუჯეტო კანონის კონტროლი;

3.სახელმწიფო სახსრების მიზნობრივი და ეფექტიანი ხარჯვის კონტროლი;

4. სახელმწიფო ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო ფონდების ბიუჯეტის შემოსავალ-გასავლის სტადიების დასაბუთების შეფასება;

5.სახელმწიფო ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო ფონდების ბიუჯეტის დამტკიცებული მაჩვენებლებიდან გამოვლენილი გადახრების ანალიზი, ასევე მათი აღმოფხვრისა და მთელი საბიუჯეტო პროცესის სრულყოფის წინადადებათა მომზადება;

6.სახელმწიფო ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო ფონდების ბიუჯეტის სახსრების ბანკებში და სხვა საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებებში თავისდროული მოძრაობის და კანონიერების კონტროლი.

7.სახელმწიფო ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო ფონდების სახსრების გამოყენების კუთხით სამინისტროებისა და უწყებათა საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება;

8.ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორად წარმოების კონტროლი;

9.საგადასახადო და საბიუჯეტო დისციპლინის განმარტება;

10. სხვადასხვა დონის ბიუჯეტების საშემოსავლო ბაზის ზრდის რეზერვების გამოვლენა;

11.ფინანსური ექსპერტიზა იმ კანონებისა და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების პროექტებისა, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან;

12 ხელისუფლების ორგანოებისთვის ჩატარებული საკონტროლო საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

13.ფინანსური დისციპლინის განმარტების მიზნით პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ჩატარება და ა.შ.

სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სპეციფიკურ ფუნქციებად განიხილება:

- 1) დარღვევა-ნაკლოვანებათა გამოვლენა;
- 2) დარღვევა-ნაკლოვანებათა გამომწვევი მიზეზების ანალიზი;
- 3) კონტროლის ობიექტების საქმიანობის კორექცია;
- 4) საფინანსო დარღვევათა პრევენცია;
- 5) სამართალდაცვა.

დარღვევა-ნაკლოვანებათა გამოვლენა გულისხმობს საქმიანობის ფართო სპექტრს, პირველ რიგში ესაა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების გამოყენების სფეროში დადგენილი სტანდარტებისა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებაში გადახრების დადგენა; ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირებასა და ხარჯვითი ნაწილის გამოყენებაში დაშვებული დარღვევები; ასევე, დარღვევები სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაში.

დარღვევა-ნაკლოვანებათა გამომწვევი მიზეზების ანალიზი - კონტროლის ეს ფუნქცია გულისხმობს იმ ფაქტების შესწავლა-გამოკვლევას, რომლებმაც კონკრეტული დარღვევები გამოიწვიეს და რის გამოც უნდა დადგინდეს ამ დარღვევა-ნაკლოვანებათა გამომწვევი ობიექტული მიზეზები.

კორექციის ფუნქცია მდგომარეობს როგორც ბიუჯეტის ფორმირებასა და გამოყენების პროცესში, ასევე საწარმოთა და ორგანიზაციათა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის პროცესში გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებათა შემუშავებაში.

პრევენციის ფუნქცია - მაკონტროლებელი ორგანოების მიერ ხორციელდება წინასწარ, საფინანსო სახსრების უკანონო, არამიზნობრივად და არაეფექტიანად ხარჯვის თავიდან აცილების მიზნით.

ფინანსური კონტროლის განხორციელება ეფუძნება იმ პრინციპებს, რომლებიც ასევე დამახასიათებელია მართვისათვის, მაგრამ ეს პრინციპები ხასიათდებიან იმ თავისებურებებით, რასაც თავად ფინანსური კონტროლის ფუნქციები ითვალისწინებენ.

ფინანსური კონტროლის ძირითადი პრინციპებიდან უნდა გამოიყოს: გეგმიურობის; სისტემურობის; უწყვეტობის; დემოკრატიული ცენტრალიზმის; კანონიერების; პასუხისმგებლობის; ობიექტურობის; საჯაროობისა და ეფექტიანობის პრინციპები.

განვიხილოთ ძირითადი პროცესის არსი. გეგმიურობის პრინციპი გულისხმობს იმას, რომ ფინანსური კონტროლის განსახორციელებელი სუბიექტები მთელ თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ საკონტროლო ღონისძიებათა ჩატარების თვითური, კვარტალური და წლიური გეგმების საფუძველზე.

სისტემურობის პრინციპი ნიშნავს იმას, რომ საკონტროლო ღონისძიებათა ჩატარებისას განხილულ იქნას კონტროლის ობიექტის საქმიანობის ყველა მხარე და მმართველობის ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სტრუქტურებთან მისი ურთიერთკავშირის მთელი სისტემა.

უწყვეტობის პრინციპი გულისხმობს, რომ კონტროლის ყველა ობიექტი ექვემდებარება კონტროლის სუბიექტების მიერ წინასწარ ოპერატიულად და პერიოდულად - შემდგომი კონტროლის მუდმივ განხორციელებას გამომდინარე იმ ვადებიდან, რომლებიც დგინდება მათი საქმიანობის პირობების, ხასიათისა და თავისებებიდან. ამასთან, სისტემურობისა და უწყვეტობის პრინციპები ასევე გულისხმობენ საკონტროლო ღონისძიებათა პერიოდულ ჩატარებას ერთსა და იმავე ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, მათ შორის, განმეორებით შემოწმებას, ადრე გამოვლენის ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით.

დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი ითვალისწინებს იმას რომ ზემდგომი ორგანოს გადაწყვეტილება სავალდებულოა ქვემდგომისათვის, რაც გულისხმობს კონტროლის გეგმების შესრულებაზე ერთიანი ხელმძღვანელობის ადგილებზე ოპერატიულობასთან და აქტივობასთან შეთანაწყობას და მართვის თითოეული ორგანოს თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის ამაღლებას.

კანონიერების პრინციპი, როგორც ფინანსური კონტროლის ერთ-ერთი საკვანძო პრინციპი, გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფო და ყველა მისი ორგანო, მათ შორის, მაკონტროლებელი, მოქმედებენ კანონიერების საფუძველზე, უზრუნველყოფენ საზოგადოებისა და მოქალაქეთა ინტერესების დაცვას. ფინანსური კონტროლის განმახორციელებელი ორგანოები, მათი ხელმძღვანელი მუშაკები, თავიანთი მოვალეობის შესრულებისას განუხრელად უნდა იცავდნენ ქვეყნის კონსტიტუციასა და მოქმედ კანონებს, ასევე იმ ნორმატიულ-სამართლებრივ აქტების მოთხოვნებს, რომლებიც განსაზღვრავენ მათ უფლებებსა და პასუხისმგებლობებს.

პასუხისმგებლობის პრინციპით კი გათვალისწინებულია რეგლამენტირებული კანონებისა და სამართლებრივი აქტების ინფორმაციის დაცვისა და ფინანსური კონტროლის ინფორმაციული ბაზის უტყუარობაზე პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა.

ობიექტურობის პრინციპი ფინანსური კონტროლის უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რადგან შემოწმებას დაქვემდებარებული ობიექტის სწორი, სრული და ობიექტური შემოწმების გარეშე შეუძლებელია კონტროლის შედეგების საფუძველზე სწორ გადაწყვეტილებათა მიღება.

საჯაროობის პრინციპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ კონტროლის შედეგები ყოველთვის ეცნობება შემოწმებული კოლექტივის მართვის ზემდგომ ორგანოს, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში - მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსაც.

ეფექტიანობის პრინციპი ვლინდება დადგენილი მოთხოვნებიდან გადახრების მიზეზებისა და დამნაშავეპირების სრულად და ოპერატიულად გამოვლენაში, ასევე, დაშვებული უარყოფითი შედეგების თავის დროულად გამოსწორებასა და მიყენებული მატერიალური ზარალების ანაზღაურებაში.

ზოგადად, სახელმწიფო ფინანსური კონტროლის გარემო აერთიანებს შემდეგ ელემენტებს, როგორებიცაა:

- 1) პატიოსნება და ზნეობრივი ფასეულობების ინფორმირება თანამშრომელთათვის და პრაქტიკაში გატარება;
- 2) კომპეტენტურობის ვალდებულება;
- 3) მმართველი ორგანოების მონაწილეობა;
- 4) ხელმძღვანელობის ფოლოსოფია და მუშაობის სტილი;
- 5) ორგანიზაციული სტრუქტურა;
- 6) უფლებამოსილება და პასუხისმგებლობის განაწილება;
- 7) საკადრო პოლიტიკა და პრაქტიკა, რომელიც კადრების შევსების, ორიენტაციის, სწავლების, შეფასების, რეკომენდაციების გაწევის, სტიმულირების, ანაზღაურების და დისციპლინარულ ღონისძიებებს მოიცავს.

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფინანსური პოლიტიკის ფორმირება-განხორციელებაში განსაკუთრებული როლი სახელმწიფოს ცენტრალურ საფინანსო ორგანოს ენიჭებათ. კორპორატიულ მენეჯმენტში შიდა ფინანსური კონტროლის

ფუნქციების რეალიზაციის ეფექტიანობის ამაღლებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კონტროლინგის საერთო სისტემაში ფინანსური კონტროლის მექანიზმის დამკვიდრება, რომელიც უზრუნველყოფს საკონტროლო ქმედებების კონცენტრაციას ფინანსური საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებზე მათი ნორმალიზაციის მიზნით.

შესაბამისად, სახელმწიფო ფინანსური კონტროლის მიზან-ამოცანების წარმატებით რეალიზაციისთვის **კონტროლი** ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით: 1) საგადასახადო სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დაცვაზე; 2) სახელმწიფო დოტაციების, საგადასახადო შეღავათების და სხვა უპირატესობების გამოყენების კანონიერებაზე; 3) საფინანსო დისციპლინის დაცვაზე; 4) ბუღალტრული აღრიცხვის სწორად წარმოებაზე; 5) მატერიალური და ფულადი სახსრების შენახვაზე; 6) სახელმწიფო რესურსების ეკონომიურად გამოყენებაზე; 7) ბანკებში და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებებში სახელმწიფო სახსრების მოძრაობაზე; 8) საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ და ეკონომიურად ხარჯვაზე; 9) სახელმწიფო ქონების გამოყენების ფინანსურ ეფექტიანობაზე; 10) პრივატიზაციის სისწორე და კანონიერება; 10) სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების ფინანსური, შრომითი და მატერიალური რესურსების მდგომარეობაზე და გამოყენებაზე.

დანართი 2.

საქართველოს კანონი „სახელმწიფო ფინანსური კონტროლის შესახებ“

მუხლი 1. „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №17, 06.04.2010, მუხ. 99) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. კანონის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“.

2. I–IV თავები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზნები და მოქმედების სფერო

1. ეს კანონი არეგულირებს სახელმწიფო სექტორში სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის დანერგვის წესს, პრინციპებს და სხვა საკითხებს, რომლებიც მნიშვნელოვანია სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის შემუშავებისათვის, ჩამოყალიბებისა და განხორციელებისათვის.

2. ამ კანონის საფუძველზე განისაზღვრება სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის არსებობისთვის აუცილებელი მეთოდოლოგია, სტანდარტები და ამ სისტემის დანერგვისას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ჰარმონიზაციის ცენტრსა და სხვა სუბიექტებს შორის ურთიერთობები, მათი უფლებამოსილებები და მოვალეობები.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არის უფლებამოსილი ორგანო, რომელიც კოორდინაციას უწევს სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებასა და განვითარებას, ხოლო ჰარმონიზაციის ცენტრი სამდივნოს მეშვეობით ახორციელებს აღნიშნული საკითხების კოორდინაციასა და ჰარმონიზაციას.

4. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემა მოიცავს:

ა) ფინანსურ მართვას და კონტროლს;

ბ) შიდა აუდიტს;

გ) ჰარმონიზაციის ცენტრს.

მუხლი 2. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) შიდა აუდიტის სუბიექტი – დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფი (ერთეული) ან დაწესებულებისადმი დაქვემდებარებული ერთეული, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს შიდა აუდიტი ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად;

ბ) შიდა აუდიტორი – შიდა აუდიტის სუბიექტის თანამშრომელი, რომელიც

ახორციელებს შიდა აუდიტს ამ კანონით დადგენილი წესით;

გ) შიდა აუდიტის ობიექტი – დაწესებულება, მისი სტრუქტურული ქვედანაყოფი (ერთეული) ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეული, რომელშიც ხორციელდება შიდა აუდიტი;

დ) დაწესებულება – ამ კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულებები;

ე) შიდა კონტროლი – მენეჯერული, ფინანსური და სხვა სახის კონტროლის მექანიზმების სისტემა, რომელიც მოიცავს ორგანიზაციულ სტრუქტურას, მეთოდებს, პროცედურებს, შიდა აუდიტს და რომელიც ყალიბდება, რათა დაეხმაროს დაწესებულებას, მიაღწიოს თავის მიზნებს და კანონიერად, ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად წარმართოს თავისი საქმიანობა. შიდა კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება არის დაწესებულების ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა, რომლის საშუალებითაც უნდა იქნეს მიღწეული დაწესებულების მიზნები საბიუჯეტო სახსრების კანონიერი, გამჭვირვალე, ეკონომიური, ეფექტიანი და პროდუქტიული გამოყენებით;

ვ) ფინანსური მართვა და კონტროლი – შიდა აუდიტთან ერთად შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც ინერგება და ხორციელდება ხელმძღვანელების მიერ, რაც უზრუნველყოფს დაწესებულების მიზნების მიღწევას საბიუჯეტო სახსრების კანონიერ, გამჭვირვალე, ეკონომიურ, ეფექტიან და პროდუქტიულ გამოყენებას;

ზ) შიდა აუდიტი – დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესებისა და მისი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისკენ მიმართული დამოუკიდებელი, ობიექტური და საკონსულტაციო საქმიანობა, რომელიც სისტემატიზებული, დისციპლინებული მიდგომით აფასებს და აუმჯობესებს რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესის ეფექტიანობას და მიმართულია დაწესებულების ამოცანების სრულყოფილად შესრულებისკენ;

თ) შიდა აუდიტორული შემოწმება – სარეკომენდაციო შემოწმება, რომელიც მოიცავს შიდა აუდიტის ობიექტში განსახორციელებელი ქმედებების, დავალებებისა და პროცესების ერთობლიობას;

ი) ჰარმონიზაციის ცენტრი – საქართველოს მთავრობასთან შექმნილი შიდა კონტროლთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭო, რომელიც სამდივნოს მეშვეობით უზრუნველყოფს სახელმწიფო სექტორში სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის დანერგვას, განვითარებას, ფუნქციურ სრულყოფას და აღნიშნული საკითხების კოორდინაციას;

კ) სისტემური აუდიტი – ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება;

ლ) შესაბამისობის აუდიტი – შიდა აუდიტის ობიექტის მიერ სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების, სახელმწიფოს

ქონებრივი ღირებულების არამატერიალური სიკეთეების ხარჯვის, გამოყენების, მართვისა და დაცვის კანონიერებისა და მიზნობრიობის შესწავლა და ანალიზი;

მ) ეფექტიანობის აუდიტი – სახელმწიფო პროგრამების შედეგის, საინვესტიციო, ფინანსური, ადამიანური, მატერიალური და სხვა რესურსების გამოყენებისა და მართვის სფეროში განხორციელებული საქმიანობისა და მიღებული გადაწყვეტილებების ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ანალიზი და შეფასება;

ნ) ფინანსური აუდიტი – შიდა აუდიტის ობიექტის ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შემოწმება საქართველოს კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით;

ო) ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი – ინფორმაციული ტექნოლოგიების ადეკვატურობისა და სისტემის უსაფრთხოების დაცულობის შემოწმება და შეფასება სისტემის კონფიდენციალურობის, მთლიანობის და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით;

პ) შიდა აუდიტორული ანგარიში – შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად შიდა აუდიტორის მიერ შედგენილი ანგარიში, რომელიც ასახავს შიდა აუდიტის შედეგებს, შიდა აუდიტის განხორციელების პროცესსა და გამოვლენილ ფაქტებს, მათ ანალიზს და მათ საფუძველზე შემუშავებულ რეკომენდაციებს, აგრეთვე შიდა აუდიტის ობიექტის არგუმენტაციას (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ჟ) შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსი – პრინციპები, რომლებიც ვრცელდება შიდა აუდიტორებზე და მოიცავს მათი ქცევის ძირითად წესებს;

რ) შიდა აუდიტის სტანდარტები – კრიტერიუმები ან მაჩვენებლები, რომლებიც განსაზღვრავს შიდა აუდიტის ძირითად პროფესიულ მოთხოვნებს და არის შიდა აუდიტორის მთავარი გზამკვლევი შიდა აუდიტის განხორციელებისას;

ს) შიდა კონტროლის საერთაშორისო სტანდარტები – უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) „საჯარო სექტორში შიდა კონტროლის სტანდარტების სახელმძღვანელო“;

ტ) რისკი – ალბათობა ისეთი მოვლენის მოხდენისა, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს დაწესებულების მიზნების მიღწევასა და ამოცანების შესრულებაზე;

უ) ეკონომიურობა – მინიმალური რესურსის გამოყენებით შესაბამისი შედეგისა და ხარისხის მიღწევა;

ფ) ეფექტიანობა – გარკვეული ღონისძიებების განხორციელების შემდეგ მიღებულ შედეგებსა და დაგეგმილ მიზნებს შორის თანაფარდობა;

ქ) პროდუქტიულობა – გამოყენებული რესურსით მაქსიმალური შედეგისა და ხარისხის მიღწევა.

მუხლი 3. შიდა აუდიტის სუბიექტისა და შიდა აუდიტორის დამოუკიდებლობა

1. შიდა აუდიტის სუბიექტი ანგარიშვალდებულია დაწესებულების ხელმძღვანელის წინაშე და ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში მოქმედებს ჰარმონიზაციის ცენტრთან კოორდინირებულად.

2. შიდა აუდიტის სუბიექტი დაწესებულების სხვა სუბიექტებისგან ფუნქციურად დამოუკიდებელია.

3. შიდა აუდიტის სუბიექტი ფუნქციურად დამოუკიდებელია შიდა აუდიტის დაგეგმვის, განხორციელებისა და ანგარიშგების პროცესში.

4. შიდა აუდიტორი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, შიდა აუდიტის სტანდარტების, შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსისა და სხვა ინსტრუქციებისა და სამართლებრივი აქტების საფუძველზე. დაუშვებელია შიდა აუდიტორის საქმიანობაში ჩარევა ან მასზე სხვაგვარი ზემოქმედება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. დაწესებულების ხელმძღვანელი უზრუნველყოფს შიდა აუდიტორის ფუნქციურ დამოუკიდებლობას აუდიტის დაგეგმვის, განხორციელების, ანგარიშგებისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესში.

6. დაწესებულების ხელმძღვანელი უზრუნველყოფს შეთანხმებულ რეკომენდაციებზე შესაბამის რეაგირებას.

მუხლი 4. შიდა აუდიტის სუბიექტების შექმნა ცალკეულ დაწესებულებებში

1. შიდა აუდიტის სუბიექტები იქმნება შემდეგ დაწესებულებებში:

ა) საქართველოს სამინისტროებში;

ბ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებში;

გ) იმ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, რომლებიც ფინანსდებიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან და რომელთა ჩამონათვალსაც განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა;

დ) ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოებში – გამგეობებში (მერიებში), შესაბამისი საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

2. შიდა აუდიტის სუბიექტი შესაძლოა შეიქმნას ასევე კერძო სამართლის იურიდიულ პირსა (რომლის აქციების ან წილის 50 პროცენტზე მეტს ფლობს სახელმწიფო) და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციაში, მათივე გადაწყვეტილებით.

თავი II ფინანსური მართვა და კონტროლი

მუხლი 5. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შემუშავება

1. თითოეული დაწესებულება ამ კანონის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებისა და ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ შემუშავებული და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქციის შესაბამისად შეიმუშავებს ფინანსური მართვისა და კონტროლის საკუთარ სისტემას.

2. დაწესებულების ყველა იერარქიულ საფეხურზე მდგომი ხელმძღვანელი თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია იმისთვის, რომ ზემდგომ ხელმძღვანელს აცნობოს ფინანსურ მართვისა და კონტროლთან დაკავშირებით განხორციელებული ქმედებების შესახებ.

მუხლი 6. ფინანსური მართვისა და კონტროლის მიზანი

1. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა ინერგება ფინანსური მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესებისათვის, დაწესებულების მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად, რაც ხორციელდება შემდეგი საშუალებებით:

ა) დაწესებულების მიერ განხორციელებული ოპერაციების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან, მარეგულირებელ წესებთან, შიდა პოლიტიკასთან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებთან;

ბ) ფინანსური და ოპერაციული ინფორმაციის თაობაზე სრულყოფილი, ამომწურავი და სანდო ანგარიშგება;

გ) საბიუჯეტო სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენება;

დ) აქტივების, ინფორმაციისა და სხვა რესურსების დაცვა დაკარგვისაგან, არამართლზომიერი გამოყენებისაგან ან მართვისაგან და დაზიანებისაგან.

2. ფინანსური მართვა და კონტროლი ხორციელდება დაწესებულების ხელმძღვანელების მიერ დაწესებულების ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფში (ერთეულში) და დაწესებულებისადმი დაქვემდებარებულ ყველა ერთეულში.

3. ფინანსური მართვა და კონტროლი მოიცავს დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებულ როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ პროცესებს, ოპერაციებსა და ქმედებებს.

მუხლი 7. მენეჯერული ანგარიშვალდებულების არსი

1. დაწესებულების ყველა იერარქიულ საფეხურზე მდგომი ხელმძღვანელი პასუხისმგებელია ზემდგომი ხელმძღვანელის წინაშე თავის მიერ განხორციელებული ქმედებისა და სახელმწიფო სახსრების კანონიერი, ეკონომიური, ეფექტიანი და პროდუქტიული მართვის გზით დაწესებულების

მიზნების მიღწევისა და ამოცანების შესრულებისათვის.

2. რომელიმე პროგრამაზე ან პროექტზე ერთზე მეტი დაწესებულების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) ან დაწესებულებისადმი დაქვემდებარებული ერთეულის მუშაობის შემთხვევაში შესაბამისი ხელმძღვანელები წერილობით უნდა შეთანხმდნენ თითოეული მათგანის მენეჯერული ანგარიშვალდებულების მოქმედების სფეროზე.

მუხლი 8. მენეჯერული ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის ფარგლები

1. დაწესებულების ხელმძღვანელი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) ახდენს რისკის იდენტიფიცირებას, შეფასებასა და მართვას;

ბ) განსაზღვრავს დაწესებულების მიზნებსა და ამოცანებს;

დასახული მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად შეიმუშავებს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებსა და პროგრამებს;

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრავს და მართავს დაწესებულების მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად საჭირო რესურსებს;

დ) ხელს უწყობს ადამიანური რესურსების ეფექტიან მართვას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას;

ე) ხელს უწყობს მონაცემთა დაცვისა და მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებას;

ვ) დაკისრებული მოვალეობის ეფექტიანად შესასრულებლად შეიმუშავებს და აყალიბებს ოპტიმალურ ორგანიზაციულ სტრუქტურას;

ზ) ახდენს უფლებამოსილების დელეგირებას გადაწყვეტილების მიღების, განხორციელებისა და კონტროლის პროცესში;

თ) უზრუნველყოფს დაწესებულების მიერ განხორციელებული ყველა ოპერაციის სრულად, ზუსტად, დროულად და რეგულარულად აღრიცხვის პროცედურების დანერგვას;

ი) ხელს უწყობს შიდა აუდიტის სუბიექტის ფუნქციონირებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

კ) უზრუნველყოფს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის მონიტორინგს, სისტემის გასაუმჯობესებლად იღებს შესაბამის ზომებს შიდა აუდიტორების რეკომენდაციებსა და სხვა შეფასებებზე დაყრდნობით;

ლ) ახორციელებს და ხელს უწყობს ანტიკორუფციული ღონისძიებების პროცედურების დანერგვას;

მ) ახორციელებს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის მდგომარეობის შედეგების შეფასებას;

ნ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. დაწესებულების ხელმძღვანელი ამ კანონის მოთხოვნათა ფარგლებში

პასუხისმგებელია შიდა აუდიტის სუბიექტის შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფისა და მისი უწყვეტი ფუნქციონირებისათვის.

3. დაწესებულების ხელმძღვანელი ასრულებს ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ განხილულ და მოწონებულ, ამ მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით გამოცემულ მეთოდურ მითითებებს მენეჯერული ანგარიშვალდებულების შესახებ, რომლებსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

მუხლი 9. უფლებამოსილების დელეგირება

1. დაწესებულების ხელმძღვანელს შეუძლია მოახდინოს ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების დელეგირება მისდამი დაქვემდებარებულ უფლებამოსილ პირზე.

2. უფლებამოსილების დელეგირება დაწესებულების ხელმძღვანელს არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან მის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისას.

მუხლი 10. ფინანსური მართვისა და კონტროლის კომპონენტები

1. ფინანსური მართვა და კონტროლი ეფუძნება შიდა კონტროლის საერთაშორისო სტანდარტებს და ხორციელდება შემდეგი ურთიერთდაკავშირებული კომპონენტების საშუალებით:

- ა) კონტროლის გარემო;
- ბ) რისკის მართვა;
- გ) კონტროლის ღონისძიებები;
- დ) ინფორმაცია და კომუნიკაცია;
- ე) მონიტორინგი და შეფასება.

2. დაწესებულების ხელმძღვანელი, დაწესებულების საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ფინანსური მართვისა და კონტროლის კომპონენტების შემუშავებას, ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებას.

მუხლი 11. კონტროლის გარემო

ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ფუნქციონირებისათვის დაწესებულების ხელმძღვანელები უზრუნველყოფენ შესაბამისი კონტროლის გარემოს ჩამოყალიბებასა და დახვეწას, რომელიც მოიცავს:

- ა) ხელმძღვანელთა და თანამშრომელთა პირად და პროფესიულ პატიოსნებას და ეთიკურ ღირებულებებს;
- ბ) მართვის პროცესებსა და მეთოდებს;
- გ) დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) საქმიანობის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრას;
- დ) ორგანიზაციულ სტრუქტურას, რომელიც მოიცავს პასუხისმგებლობებისა და უფლებამოსილებების განაწილებას, ასევე ანგარიშგების საფეხურების იერარქიულობას;
- ე) ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკასა და პრაქტიკას;

ვ) დაწესებულების თანამშრომელთა კომპეტენტურობას.

მუხლი 12. რისკის მართვა

1. რისკის მართვა არის იმ შესაძლო მოვლენებისა და სიტუაციების განსაზღვრის, შეფასების, კონტროლისა და მონიტორინგის პროცესი, რომლებიც გავლენას ახდენს დაწესებულების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) ან დაწესებულებისადმი დაქვემდებარებული ერთეულის მიზნების მიღწევასა და ამოცანების შესრულებაზე და გულისხმობს რისკის შესამცირებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელებას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რისკის მართვა ხორციელდება დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ყოველწლიურად დამტკიცებული რისკის მართვის სტრატეგიის შესაბამისად.

მუხლი 13. კონტროლის ღონისძიებები

1. კონტროლის ღონისძიებები ყალიბდება რისკის ოპტიმალურ დონემდე შესამცირებლად, დაწესებულების მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად და ეფუძნება შესაბამის ინსტრუქციებსა და პროცედურებს.

2. კონტროლის ღონისძიებები უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) საქმიანობას და მათი განხორციელების ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს მოსალოდნელ სარგებელს.

3. კონტროლის ღონისძიებები მოიცავს:

ა) უფლებამოსილების მინიჭების პროცედურებს;

ბ) მოვალეობების იმგვარ განაწილებას, რომ ერთი და იგივე პირი არ იყოს პასუხისმგებელი უფლებამოსილების მინიჭებაზე, ქმედების განხორციელებასა და კონტროლზე;

გ) ხელმოწერის ორმაგი სისტემის დამკვიდრებას, რაც შეუძლებელს გახდის ვალდებულების აღებას და გადახდის განხორციელებას დაწესებულების ხელმძღვანელისა და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) ხელმძღვანელის ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ ერთდროულად ხელმოწერის გარეშე;

დ) აქტივებისა და ფინანსური და არაფინანსური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის წესებს;

ე) წინასწარი და შემდგომი კონტროლის განხორციელებას;

ვ) დაწესებულების მიერ განხორციელებული ყველა ოპერაციის სრულად, ზუსტად, დროულად და რეგულარულად ასახვის პროცედურების დამკვიდრებას;

ზ) დაწესებულების მიერ განხორციელებული ოპერაციის ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის, პროცესებისა და ქმედებების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასებას;

თ) ზედამხედველობას;

ი) ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვის პროცედურების დამკვიდრებას;

კ) დაწესებულების მიერ განხორციელებული ყველა ოპერაციის დოკუმენტირებას და სხვა.

მუხლი 14. ინფორმაცია და კომუნიკაცია

დაწესებულების ხელმძღვანელი ნერგავს და განავითარებს სანდო, სრულყოფილ და ხელმისაწვდომ საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემას, რომელიც:

ა) უზრუნველყოფს დაწესებულების საქმიანობის შესახებ უახლესი და სანდო ინფორმაციის სათანადო ხელმისაწვდომობას დაწესებულების ყველა იერარქიულ საფეხურზე;

ბ) დაწესებულების ყველა თანამშრომელს მისცემს შესაძლებლობას, რომ თავიანთი ფუნქციისა და პასუხისმგებლობის შესახებ მიიღონ სრულყოფილი და ზუსტი ინფორმაცია, მითითებები და ინსტრუქციები.

მუხლი 15. მონიტორინგი და შეფასება

1. დაწესებულების ხელმძღვანელი პასუხისმგებელია ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის მონიტორინგისა და შეფასებისათვის, მისი ადეკვატურობის, ფუნქციონირების შენარჩუნებისა და დროულად განახლების მიზნით. მონიტორინგი უზრუნველყოფს ასევე შიდა აუდიტორული ანგარიშით გათვალისწინებული რეკომენდაციების დროულ და შესაბამის შესრულებას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება უწყვეტი მონიტორინგისა და თვითშეფასების მეშვეობით, შიდა აუდიტის სუბიექტთან ერთად.

მუხლი 16. ფინანსური მართვისა და კონტროლის შესახებ ანგარიშის წარდგენა

დაწესებულების ხელმძღვანელი პასუხისმგებელია ჰარმონიზაციის ცენტრისთვის ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შემუშავებისა და შემოდების შესახებ წლიური ანგარიშის მომდევნო წლის იანვრის ბოლომდე წარდგენისათვის.

თავი III შიდა აუდიტი

მუხლი 17. შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობის განხორციელების

ძირითადი პრინციპები

შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობა ხორციელდება შიდა აუდიტის სტანდარტების, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსის, შიდა აუდიტის სუბიექტის დებულების, საქართველოს კანონმდებლობისა და შემდეგი ძირითადი პრინციპების დაცვით:

- ა) დამოუკიდებლობა;
- ბ) კეთილსინდისიერება;
- გ) ობიექტურობა;
- დ) პროფესიონალიზმი;
- ე) კონფიდენციალურობა;

ვ) კანონიერება;

ზ) გამჭვირვალობა.

მუხლი 18. შიდა აუდიტის სუბიექტის უფლებამოსილება და მიზნები

1. შიდა აუდიტის სუბიექტის უფლებამოსილება ვრცელდება იმ დაწესებულების სისტემაზე, სადაც ის არის ჩამოყალიბებული.

2. შიდა აუდიტი ეხმარება დაწესებულებას მიზნების მიღწევაში შემდეგი საქმიანობების განხორციელებით:

ა) დაწესებულების წინაშე არსებული რისკების დადგენა და მათი მართვის ხარისხის შეფასება;

ბ) ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება;

გ) დაწესებულების საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასება/მონიტორინგი;

დ) დაწესებულების საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;

ე) ფინანსური და სხვა ინფორმაციის სანდოობის, სიზუსტისა და სისრულის შეფასება;

ვ) დაწესებულების აქტივების, სხვა რესურსებისა და ინფორმაციის ადეკვატურად დაცულობის შეფასება;

ზ) სხვა საქმიანობები, რომლებიც გამომდინარეობს დაწესებულების საქმიანობის სპეციფიკიდან და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, ამ კანონის მიზნებს და შიდა აუდიტორის დამოუკიდებლობის პრინციპებს.

3. შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში შესწავლისა და ანალიზის საგანი შესაძლებელია იყოს დაწესებულების სისტემაში მიმდინარე ყველა პროცესი და საქმიანობის სფერო.

4. შიდა აუდიტის ობიექტის თანამშრომლები ვალდებული არიან ითანამშრომლონ შიდა აუდიტორებთან თავიანთი საქმიანობის განხორციელების დროს და უზრუნველყონ მათი კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული ყველა ინფორმაციის თაობაზე არსებული მონაცემთა ბაზებისა და დოკუმენტების ხელმისაწვდომობა ან/და ქმედებების განხორციელება.

მუხლი 19. შიდა აუდიტორის უფლებები და მოვალეობები

1. შიდა აუდიტორი უფლებამოსილია შიდა აუდიტორული შემოწმების განხორციელების პროცესში მიიღოს მისთვის საჭირო ყველა ინფორმაცია, დოკუმენტი და ხელი მიუწვდებოდეს მონაცემთა ბაზებზე, მიუხედავად მათი ფორმისა (ელექტრონული ვერსია და სხვა). შიდა აუდიტორს ასევე უფლება აქვს, შიდა აუდიტის ობიექტს მოსთხოვოს დოკუმენტის სახელმწიფო ენაზე წარდგენა, გადაიღოს დოკუმენტის ასლები და სხვა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვებისა.

2. დაწესებულების ხელმძღვანელი და თანამშრომლები ვალდებული არიან თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სათანადო დახმარება გაუწიონ შიდა აუდიტორს შიდა აუდიტორული შემოწმების განხორციელების პროცესში.

3. შიდა აუდიტორი ვალდებულია:

ა) დაიცვას შიდა აუდიტის სუბიექტის დებულება, შიდა აუდიტის სტანდარტები, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსი, შიდა აუდიტის მეთოდოლოგია და შიდა აუდიტის მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტები;

ბ) შიდა აუდიტორული შემოწმების დაწყებამდე შიდა აუდიტის ობიექტს წარუდგინოს აუდიტორული შემოწმების ინდივიდუალური გეგმა;

გ) უზრუნველყოს შიდა აუდიტის ობიექტის სახელმწიფო, სამსახურებრივი, კომერციული და პირადი საიდუმლოების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და არ გაამჟღავნოს ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა თავისი საქმიანობის განხორციელებისას ან მასთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი გამომდინარეობს შიდა აუდიტორული შემოწმების მიზნიდან ან/და გათვალისწინებულია შესაბამისი კანონმდებლობით;

დ) დაწესებულების ხელმძღვანელის თანხმობის გარეშე არ გახადოს საჯარო შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგები, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 20. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი

1. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვროს შიდა აუდიტის განხორციელებისათვის საჭირო აუდიტის სახე, მოქმედების სფერო, შიდა აუდიტის განხორციელების სიხშირე და შიდა აუდიტორთა რაოდენობა.

2. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი წარმართავს შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობას ამ კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად.

3. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი:

ა) შეიმუშავებს და დაწესებულების ხელმძღვანელს დასამტკიცებლად წარუდგენს შიდა აუდიტის სტრატეგიულ და წლიურ გეგმებს;

ბ) კოორდინაციას უწევს შიდა აუდიტორთა საქმიანობას და უნაწილებს მათ ფუნქციებს ცოდნისა და კვალიფიკაციის შესაბამისად;

გ) ახორციელებს მონიტორინგს შიდა აუდიტის წლიური გეგმის შესრულებაზე და შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის გამოყენებაზე;

დ) უზრუნველყოფს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის, ასევე დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურისა და ფუნქციების შეფასებას;

ე) უზრუნველყოფს კვალიფიციური შიდა აუდიტორების შერჩევას და დაწესებულების ხელმძღვანელს წარუდგენს მათ დასანიშნად;

ვ) თანამშრომლობს ჰარმონიზაციის ცენტრთან და მოთხოვნის შემთხვევაში აწვდის მას შესაბამის დოკუმენტაციასა და ინფორმაციას;

ზ) ითვალისწინებს ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში გაცემულ შესაბამის რეკომენდაციებსა და მითითებებს;

თ) ახორციელებს მონიტორინგს შიდა აუდიტის ობიექტისთვის მიცემული რეკომენდაციების შესრულებაზე;

ი) შეიმუშავებს და ახორციელებს შიდა აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამას.

მუხლი 21. შიდა აუდიტის დაგეგმვა

1. შიდა აუდიტის გეგმის სახეებია:

ა) შიდა აუდიტის სტრატეგიული გეგმა;

ბ) შიდა აუდიტის წლიური გეგმა;

გ) აუდიტორული შემოწმების ინდივიდუალური გეგმა.

2. შიდა აუდიტის დაგეგმვა ხდება რისკის შეფასების საფუძველზე. მისი შედეგები აისახება შიდა აუდიტის სტრატეგიულ გეგმაში, რომლის საფუძველზედაც შემუშავდება შიდა აუდიტის წლიური გეგმა.

3. შიდა აუდიტის სტრატეგიულ გეგმას შეიმუშავებს შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი და ამტკიცებს დაწესებულების ხელმძღვანელი. შიდა აუდიტის სტრატეგიული გეგმა გამომდინარეობს დაწესებულების გრძელვადიანი მიზნებიდან, მოიცავს სამწლიან პერიოდს და განსაზღვრავს შიდა აუდიტის სფეროში სტრატეგიული განვითარების მიმართულებებს.

4. შიდა აუდიტის წლიურ გეგმას შეიმუშავებს შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი და ამტკიცებს დაწესებულების ხელმძღვანელი. შიდა აუდიტის წლიური გეგმა ეფუძნება შიდა აუდიტის სტრატეგიულ გეგმას და ასახავს კონკრეტულ შიდა აუდიტორულ შემოწმებებს.

5. რეკომენდაციების შესრულების ადეკვატურობის, ეფექტიანობისა და დროულობის შესაფასებლად შიდა აუდიტის წლიურ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იქნეს გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

6. შიდა აუდიტის სტრატეგიულ და წლიურ გეგმებში ნებისმიერი ცვლილება ხორციელდება შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსის წინადადებით, რისკის შეფასების საფუძველზე.

7. შიდა აუდიტის წლიური და სტრატეგიული გეგმები მტკიცდება დაგეგმილი პერიოდის დაწყებამდე.

8. შიდა აუდიტის წლიურ და სტრატეგიულ გეგმებს, ასევე მათში განსახორციელებელ ცვლილებებს ამზადებს შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი და ამტკიცებს დაწესებულების ხელმძღვანელი. ისინი ეგზავნება ჰარმონიზაციის ცენტრს.

9. თითოეული შიდა აუდიტორული შემოწმებისათვის შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი შეიმუშავებს და ამტკიცებს აუდიტორული შემოწმების ინდივიდუალურ გეგმას, რომელიც განსაზღვრავს შიდა აუდიტის მოქმედების სფეროს, ამოცანებს, ხანგრძლივობას, რესურსების განაწილებას, შიდა აუდიტის განხორციელების მეთოდებს, ფარგლებს, აუდიტის სახეს და სხვა.

მუხლი 22. შიდა აუდიტორული შემოწმება

1. შიდა აუდიტორული შემოწმება ხორციელდება ინფორმაციის იდენტიფიკაციის, შეგროვების, ანალიზის, შეფასებისა და დოკუმენტირების საშუალებით.

2. შიდა აუდიტორული შემოწმება შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

ა) აუდიტის დაგეგმვა;

ბ) აუდიტის განხორციელება;

გ) ანგარიშგება;

დ) გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

3. შიდა აუდიტორული შემოწმების სახეებია:

ა) სისტემური აუდიტი;

ბ) შესაბამისობის აუდიტი;

გ) ეფექტიანობის აუდიტი;

დ) ფინანსური აუდიტი;

ე) ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი.

მუხლი 23. შიდა აუდიტორული ანგარიში

1. შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად შიდა აუდიტის სუბიექტი ადგენს შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტს, რომელიც ასახავს შიდა აუდიტის შედეგებს და მოიცავს შიდა აუდიტის პროცესსა და გამოვლენილ ფაქტებს, მათ ანალიზს და მათ საფუძველზე შეიმუშავებულ რეკომენდაციებს.

2. შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტი ეგზავნება შიდა აუდიტის ობიექტს იმ მიზნით, რომ მან წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრება ანგარიშში დასმულ საკითხებზე.

3. შიდა აუდიტის ობიექტს უფლება აქვს, არ დაეთანხმოს შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტს, რაც გათვალისწინებული იქნება საბოლოო შიდა აუდიტორულ ანგარიშში. შიდა აუდიტის ობიექტის საპასუხო წერილი და შეთანხმებული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმა ეგზავნება შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსს.

4. შიდა აუდიტის სუბიექტი შიდა აუდიტის ობიექტის მიერ მოსაზრების მიღებისა და მასთან კონსულტაციის შემდეგ საბოლოო სახით აყალიბებს შიდა აუდიტორულ ანგარიშს, გაცემული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმას და უგზავნის დაწესებულების ხელმძღვანელს.

5. შიდა აუდიტის ობიექტის უფროსი პასუხისმგებელია შიდა აუდიტორულ

ანგარიშში ასახული და შეთანხმებული რეკომენდაციების შესრულებისათვის და მათ შესრულებასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის, რომელსაც წარუდგენს შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსს და დაწესებულების ხელმძღვანელს.

მუხლი 24. შიდა აუდიტის წლიური ანგარიში

1. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი ამზადებს შიდა აუდიტის წლიურ ანგარიშს, რომელშიც აისახება:

ა) ინფორმაცია განხორციელებული შიდა აუდიტორული შემოწმებების შესახებ;

ბ) ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები დაწესებულებაში არსებული ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შესახებ;

გ) შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ შიდა აუდიტის წლიური გეგმის შეუსრულებლობის მიზეზები (მათი არსებობის შემთხვევაში);

დ) შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად შიდა აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული შესაბამისი ქმედებები და ინფორმაცია შეუსრულებელი რეკომენდაციების შესახებ;

ე) ინფორმაცია შიდა აუდიტის მიმდინარეობისას შიდა აუდიტორის საქმიანობის ნებისმიერი შეზღუდვის თაობაზე;

ვ) წინადადებები შიდა აუდიტის განვითარების შესახებ.

2. შიდა აუდიტის წლიური ანგარიში წარედგინება დაწესებულების ხელმძღვანელსა და ჰარმონიზაციის ცენტრს მომდევნო წლის იანვრის ბოლომდე.

მუხლი 25. შიდა აუდიტის სუბიექტის თანამშრომლობა სხვა უწყებებთან

1. შიდა აუდიტის სუბიექტი თანამშრომლობს საქართველოს კონტროლის პალატასთან, მოთხოვნის შემთხვევაში აწვდის მას შესაბამის ინფორმაციას ან/და დოკუმენტაციას და მასთან ურთიერთობას წარმართავს შიდა კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

2. შიდა აუდიტის სუბიექტი ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის განხორციელებისას თანამშრომლობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან და აწვდის მას აღნიშნული აუდიტორული შემოწმების ანგარიშს მისი მომზადებიდან ერთი თვის ვადაში.

3. შიდა აუდიტის სუბიექტის საქართველოს კონტროლის პალატასთან და სხვა უწყებებთან თანამშრომლობა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 26. ინტერესთა კონფლიქტი

1. შიდა აუდიტორს უფლება არა აქვს, დაწესებულებაში შეასრულოს სხვა ფუნქციები, გარდა ამ კანონით და მისგან გამომდინარე სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციებისა.

2. შიდა აუდიტორი არ მონაწილეობს შიდა აუდიტორულ შემოწმებაში, თუ გამოვლინდა ინტერესთა კონფლიქტის ერთ-ერთი შემდეგი შემთხვევა:

ა) შიდა აუდიტორი შესამოწმებელ პერიოდში მუშაობდა შიდა აუდიტის ობიექტში;

ბ) შიდა აუდიტორის პირველი და მეორე რიგის მემკვიდრეებს ბოლო ერთი წლის განმავლობაში უკავიათ ან შესამოწმებელ პერიოდში ეკავათ ხელმძღვანელი თანამდებობები შიდა აუდიტის ობიექტში;

გ) ინტერესთა კონფლიქტის სხვა შემთხვევა, რომელსაც აფასებს შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი.

თავი IV შიდა კონტროლის კოორდინირება და ჰარმონიზება

მუხლი 27. ჰარმონიზაციის ცენტრი

1. ჰარმონიზაციის ცენტრი უზრუნველყოფს როგორც შიდა აუდიტის, ისე ფინანსური მართვისა და კონტროლის კოორდინირებასა და ჰარმონიზებას. ჰარმონიზაციის ცენტრი ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე.

2. ჰარმონიზაციის ცენტრი უზრუნველყოფს:

ა) სახელმწიფო სექტორის შიდა აუდიტის სტრატეგიისა და მეთოდოლოგიის განახლებას;

ბ) შიდა აუდიტის სუბიექტების დებულებების შემუშავების მიზნით პრაქტიკული სახელმძღვანელოებისა და მითითებების შემუშავებას;

გ) შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსის შემუშავებას, მის შემდგომ განახლებასა და დახვეწას;

დ) შიდა აუდიტის, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებისათვის შესაბამისი სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის შექმნას, მათ შემდგომ განახლებასა და დახვეწას;

ე) შიდა აუდიტის სფეროში საერთაშორისო აუდიტორულ ორგანიზაციებთან, სხვა სახელმწიფოთა სახელმწიფო სექტორის შიდა აუდიტის ორგანოებთან საერთაშორისო ურთიერთობების დამყარებასა და კოორდინაციას;

ვ) შიდა აუდიტის სუბიექტების თანამშრომლებისთვის და ფინანსურ მართვასა და კონტროლზე პასუხისმგებელი პირებისთვის პერიოდულად სასწავლო/პრაქტიკული სემინარებისა და ტრენინგების ჩატარებას, მათ მხარდაჭერას და მათი საქმიანობის კოორდინაციას;

ზ) შიდა აუდიტის სუბიექტისთვის ინსტრუქციების შემუშავებას, მათ შორის, შიდა აუდიტის სუბიექტში დასანიშნი მინიმალური საკადრო რესურსისა და მისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების, შიდა აუდიტორის ინტერესთა კონფლიქტის წესების, შიდა აუდიტის ხარისხის გარანტიისა და შიდა აუდიტის ანგარიშგების მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ;

თ) შიდა აუდიტის მარეგულირებელი კანონმდებლობის, შიდა აუდიტის

სტანდარტების, შიდა აუდიტის მეთოდოლოგიისა და სხვა სახელმძღვანელო ინსტრუქციების შესრულების შეფასებასა და მონიტორინგს;

ო) შიდა აუდიტის სტრატეგიის, შიდა აუდიტის მეთოდოლოგიისა და სახელმწიფო სექტორში შიდა აუდიტის განხორციელების საკითხებზე რეგულარული შეხვედრებისა და დისკუსიების ორგანიზებას;

კ) სამდივნოს მიერ შედგენილი სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების შესახებ კონსოლიდირებული წლიური ანგარიშის ყოველი წლის 30 აპრილამდე განხილვას.

3. ჰარმონიზაციის ცენტრის შემადგენლობა, მისი საქმიანობის სფერო და ძირითადი მიმართულებები, მისი ფუნქციები, მის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი და მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები რეგულირდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ჰარმონიზაციის ცენტრის დებულებით.

4. ჰარმონიზაციის ცენტრში იქმნება სამდივნო, რომლის საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებას და რომლის ორგანიზაციულ-მატერიალურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. სამდივნოს შემადგენლობაში შედიან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლები, ხოლო საქართველოს ფინანსთა მინისტრის გადაწყვეტილებით – აგრეთვე სხვა პირები. სამდივნოს შემადგენლობა მტკიცდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. სამდივნოს უფლება-მოვალეობები და მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება ჰარმონიზაციის ცენტრის დებულებით.“.

3. V–VII თავები ამოღებულ იქნეს.

4. 32-ე მუხლის:

ა) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ და ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულმა დაწესებულებებმა 2014 წლამდე უზრუნველყონ შიდა აუდიტის სუბიექტების შექმნა.“;

ბ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ამ კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სისტემური, ეფექტიანობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტების განხორციელება დაიწყო 2013 წლის 1 იანვრიდან.“;

გ) მე-7 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8–მე-10 პუნქტები:

„8. ამ კანონის საფუძველზე და მის შესაბამისად დასამტკიცებელი სამართლებრივი აქტები, ინსტრუქციები და სხვა ოფიციალური დოკუმენტები

დაამტკიცონ ამ კანონით განსაზღვრულმა შესაბამისმა პირებმა/ორგანოებმა, ხოლო თუ ასეთი პირები/ორგანოები ამ კანონით არ არის განსაზღვრული – საქართველოს ფინანსთა მინისტრმა შესაბამისი სამართლებრივი აქტების, ინსტრუქციებისა და სხვა ოფიციალური დოკუმენტების ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ განხილვისა და მოწონების შემდეგ.

9. ამ კანონის II თავით გათვალისწინებული ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება უზრუნველყონ ამავე კანონით განსაზღვრულმა დაწესებულებებმა მას შემდეგ, რაც ჰარმონიზაციის ცენტრი შეიმუშავებს და საქართველოს მთავრობა დაამტკიცებს ამ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ინსტრუქციას.

10. სამსახურებრივი გადაცდომის ან/და დაწესებულების მიზნებთან შეუსაბამო ქმედების არსებობის შემოწმებისა და აღმოჩენის მიზნით სამსახურებრივი შემოწმების ღონისძიებებს ახორციელებს ინსპექტირების ქვედანაყოფი, რომელიც შესაძლოა არსებობდეს დაწესებულებაში ერთ-ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) სახით. ინსპექტირების ქვედანაყოფის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უფლებამოსილება, საქმიანობის წესი, მიზნები და ამოცანები განისაზღვრება შესაბამისი დაწესებულების დებულებით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
თბილისი,
2011 წლის 9 დეკემბერი.
№5447-III

მიხეილ სააკაშვილი

თავი 11. სახელმწიფო (საჯარო) აუდიტორული საქმიანობის სფეროების რეგულირების კონცეფციურ-მეთოდოლოგიური ასპექტები

საქართველოში თანამედროვე ეტაპზე, სახელმწიფო ფინანსურ კონტროლს ახორციელებს საქართველოს კონტროლის პალატა, რომელიც დაქვემდებარებულია საქართველოს პარლამენტისადმი. კანონი „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ მიუთითებს, რომ „სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის ეფექტური განხორციელების, რევიზია-შემოწმებების პარალელიზმის აღკვეთის მიზნით საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის სფეროში კონტროლის პალატა კოორდინაციას უწევს სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის სხვა ორგანოები საქმიანობას“ [61]

აგრეთვე, **კანონის კონტროლს ახორციელებენ:** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიცია, საგადასახადო ინსპექციები, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, გენერალური პროკურატურის და სხვა უწყებების მაკონტროლებელი სამსახურები.

საქართველოს კონტროლის პალატის ისტორია სათავეს იღებს 1921 წლიდან. საბჭოურ პერიოდში იგი ფუნქციონირებდა სახალხო კონტროლის კომიტეტის ფორმით. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1992 წელს ხელახლა ჩამოყალიბდა საქართველოს კონტროლის პალატა, როგორც ფინანსური კონტროლის გარემო. „ვარდების რევოლუციამდე“ (2003 წლამდე) პალატამ რამდენჯერმე განიცადა ორგანიზაციული ტრანსფორმაცია. "ვარდების რევოლუციის" შემდეგ პერიოდში ხელისუფლების მიერ კორუფციის წინააღმდეგ დაწყებულმა უკომპრომისო ბრძოლამ ახალი ამოცანები დაუსახა საქართველოს კონტროლის პალატას, რომელთა შორის ერთ-ერთი მთავარი იყო ქვეყნის ფინანსური კონტროლის სისტემის რეორგანიზაცია-სრულყოფა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კონტროლის პალატის წინაშე დადგა შემდეგი **ამოცანები:** რევიზია-შემოწმებების უახლესი, საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული ფორმებისა და მეთოდების დანერგვა, პალატაში ახალი კვალიფიციური კადრების მოზიდვა, პრევენციული კონტროლის გაძლიერება, საქმიანობაში სრული საჯაროობის მიღწევა.

კვლევები მოწმობს, რომ ბოლო წლებში სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სტრუქტურულ-ორგანიზაციული მოწყობა ძირეულად შეიცვალა. კერძოდ, განხორციელდა საბიუჯეტო პროცესში სახაზინო სისტემის დანერგვა, რამაც დღის წესრიგში დააყენა ბიუჯეტის აღსრულების პროცესის რევიზია-შემოწმებებში ახალი მეთოდების გამოყენების აუცილებლობა.

როგორც ცნობილია, გასული საუკუნის მიწურულამდე ცალკეული ქვეყნები ფინანსური კონტროლის განსხვავებულ ფორმებს და მეთოდებს იყენებდნენ. ბოლო

პერიოდში, ეკონომიკური გლობალიზაციის გაღრმავების კვალდაკვალ, დაიწყო მათი თანდათანობითი დაახლოებისა და უნივერსალიზაციის პროცესი.

დასავლეთის განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის ყველაზე უფრო ეფექტიან ფორმას წარმოადგენს **ზოგადად აუდიტი**. ასევე, დღეისათვის ფინანსური კონტროლის განსახორციელებლად გამოიყენება ისეთი პრაქტიკაში კარგად აპრობირებული მეთოდები, როგორცაა: რევიზია, აუდიტი, თემატური შემოწმება, ეკონომიკური ანალიზი, გამოძიება (გამოკვლევა), სამეურნეო დავა და ა.შ.

რევიზია ეკონომიკური კონტროლის მნიშვნელოვან ხერხს წარმოადგენს. აუდიტორები რევიზიის განხორციელებისას იყენებენ კონტროლის ყველა ფორმას შეჯერებულად, რაც არსებითად ზრდის აუდიტორულ შემოწმებათა შედეგების ქმედითობას.

ეკონომიკური ანალიზი - საქმიანობის შედეგების შეფასების ასპექტში წარმოადგენს კონტროლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხერხს, რომელიც ემსახურება საწარმოს სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგებზე სხვადასხვა ფაქტორების (გამოუყენებელი რესურსები, ფინანსური მდგომარეობა და გადახდისუნარიანობა, ქონების შეფასება, ლიკვიდურობა, წმინდა აქტივების ღირებულება, საწარმოს პერსპექტიულობა, მომგებიანობა, რენტაბელურობა და ა.შ.) ზემოქმედების გამოვლენას. ეკონომიკური ანალიზის მეშვეობით აუდიტორული შემოწმების შედეგები გამოსახება ცხრილებით, გრაფიკებით, დიაგრამებით, ფორმულებით, ტექსტური აღწერილობით, რეკომენდაციებით და სხვა.

გამოძიება წარმოადგენს კონტროლის ისეთ ხერხს, რომლის დროსაც გამოვლინდება ფიზიკური პირების დანაშაული და მათ მიერ მიყენებული ზარალის სიდიდე. აუდიტორული შემოწმების ამ ხერხის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ იგი ხორციელდება აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების მიერ სასამართლო და საგამოძიებო ორგანოების შეკვეთით მათთან დადებული ხელშეკრულების თანახმად.

აუდიტის პრაქტიკაში **გამოკვლევა** გამოიყენება სამეურნეო საქმიანობის ამა თუ იმ საკითხის განხილვისას ან ადგილზე მათი შესწავლისა და გადაწყვეტისას. პრაქტიკაში გამოკვლევის მეთოდი გამოიყენება აგრეთვე, საწარმოს და თანამდებობის პირებს საქმიანობის შემოწმებისას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს საგადასახადო ინსპექციის, პოლიციის, აგრეთვე სხვა სახელმწიფო ორგანოების დაკვეთით.

სამეურნეო დავა – საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სამეურნეო ურთიერთობებში კანონიერების დაცვისა და მათი კანონიერი უზრუნველყოფის ხერხი. სამეურნეო დავების გადასაწყვეტად აუდიტორული შემოწმება შეიძლება განხორციელდეს სასამართლო-საგამოძიებო ორგანოების შეკვეთით სასამართლო-ბუღალტრული ექსპერტიზის დანიშვნის დროს. აუდიტორმა (აუდიტორულმა ფირმამ)

ასეთი კონტროლი შეიძლება ჩაატაროს ერთ-ერთი მხარის შეკვეთით, სასამართლოში მისი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით.

ასევე, ცნობილია, საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოებრივი (საჯარო) კონტროლის სისტემასთან ერთად **მოქმედებს არასახელმწიფოებრივი (კერძო) კონტროლი**, რომლის აღიარებულ ფორმას წარმოადგენს **აუდიტორული საქმიანობა**, რომელიც უმთავრესად გამოიყენება საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმებისა და სათანადო ფინანსური დასკვნების გასაკეთებლად.

როგორც უკვე აღინიშნა, **აუდიტი** ფინანსური კონტროლის ერთ-ერთი ფორმაა და საზოგადოების ეკონომიკურ ურთიერთობათა ნორმალური ფუნქციონირების რეგულირების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს. იგი გვევლინება ობიექტურ ეკონომიკურ კატეგორიად და საზოგადოებრივ-წარმოებითი საქმიანობის მართვის ფუნქციად. ამასთან, მთლიანობაში ერთობლივი ეროვნული პროდუქტის შექმნისა და განაწილების პროცესში იგი უზრუნველყოფს დავალიანებებისა და ვალდებულებათა შესრულების შემოწმებას, საკუთრების ყველა ფორმის დაცულობას, კანონიერებას და რესურსების გამოყენების ეფექტიანობის დაცვას (გამოვლენას). ამ ასპექტით იგი იდენტურია ყველა სახის საფინანსო კონტროლთან.

როგორც ცნობილია, საფინანსო კონტროლი შეიძლება განხილულ იქნეს სამ ძირითად ასპექტში: როგორც ეკონომიკის მართვის ფუნქცია (ელემენტი); როგორც მიზანმიმართული საქმიანობა, და იმ ორგანოების სისტემა, რომლებიც ეკონომიკაში ახორციელებენ კონტროლის ფუნქციას. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ საფინანსო კონტროლის სამივე მხარე განიხილება, როგორც ერთი მთლიანი სისტემა.

ამრიგად, კონტროლი სახელმწიფოებრივი ეკონომიკური მართვის სისტემაში, განურჩევლად ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობისა, არის ფუნქცია, თუმცა კონტროლის შინაარსი და ადგილი მართვის სისტემაში განპირობებულია წარმოებითი ურთიერთობის ხასიათით და საზოგადოების პოლიტიკურ-ეკონომიკური ორგანიზაციით. კონტროლი, როგორც ეკონომიკურ მართვაში ადამიანთა საქმიანობის შემადგენელი ნაწილი, ზედნაშენური კატეგორიაა, რომლის ობიექტს წარმოადგენს საზოგადოებრივი პროცესის მონაწილე ადამიანების ქცევა.

ეკონომიკურ-ფინანსური კონტროლი, როგორც საქმიანობის მართვის დამოუკიდებელი ფუნქცია აქტიურ ზემოქმედებას ახდენს მართვის სხვა ფუნქციების ეფექტურობაზე. მაგალითად, კონტროლის ურთიერთქმედება რეგულირების ფუნქციასთან გამოიხატება მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილებების შესრულების შემოწმებისა და წარმოებაში მიმდინარე ცვლილებებზე თავისდროული რეაგირების შესაძლებლობის მიცემაში. კონტროლის მმართველობითი ფუნქციის განხორციელებაში თვალსაჩინო ადგილი უკავია მის ურთიერთქმედებას მართვის კომპიუტერულ სისტემასთან, რამდენადაც ეკონომიკურ-ფინანსური ინფორმაციის დამუშავებისას გამოთვლითი ტექნიკის გამოყენება საშუალებას იძლევა კონტროლი განხორციელდეს ერთიან, ზუსტ, ობიექტურ და ჭეშმარიტ საინფორმაციო ბაზაზე

დაყრდნობით. აღნიშნულიდან გამომდინარე ეკონომიკურ-საფინანსო კონტროლი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც სამართავ ობიექტზე დაკვირვების, მისი ფუნქციონირების პროცესისა და ფაქტობრივი მდგომარეობის კონტროლის სისტემა, რომლის მიზანია მართვის სუბიექტის მიერმითითებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის, ეფექტიანობისა დამათი შესრულების შედეგების შეფასება, აგრეთვე გადაწყვეტილებათა შესრულების პროცესში დაშვებული გადახრების გამოვლენა და მიზნობრივ-შედეგობრივი მდგომარეობის დადგენა.

ზოგადად, რეალურ სინამდვილეში, არ არსებობს “კონტროლი საერთოდ.” კონტროლს ყოველთვის აქვს კონკრეტული შინაარსი და ფორმა. ამ შემთხვევაში შეიძლება განვასხვავოთ კონტროლის ადმინისტრაციულ-სამმართველო, ფინანსური, ტექნიკური, სამეურნეო და სხვა სახეობები. ფინანსური კონტროლისა და “ფინანსების საკონტროლო ფუნქციის” ცნებები ერთიმეორესთან მჭიდრო კავშირში მყოფი ტერმინებია. ფინანსების საკონტროლო ფუნქცია მნიშვნელოვანი ბერკეტია ეკონომიკის რეგულირებაში, ხოლო სახელმწიფო ფინანსური კონტროლი წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ ფინანსური საკონტროლო ფუნქციის პრაქტიკული გამოყენების შედეგს. ე.ი. მისთვის შინაგანად დამახასიათებელ თვისებას, რომ წარმოადგენდეს ერთობლივი ეროვნული პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის წარმოებაზე განაწილებისა და მოხმარების კონტროლის საშუალებას.

ახალი ორგანიზაციული სტრუქტურების წარმოშობამ დასაკუთრების ფორმების მრავალფეროვნებამ დიდი გავლენა მოახდინა სამეურნეო პროცესების ეკონომიკური კონტროლის ზემოქმედების მექანიზმზე.

ფინანსების საკონტროლო ფუნქცია წარმოადგენს ფინანსური კონტროლის ობიექტურ საფუძველს, რომლებიც განმტკიცებულია ობიექტურად დასაბუთებული იურიდიულ-საკანონმდებლო ნორმატიული დოკუმენტებით. იმის გამო, რომ ფინანსური კონტროლის მოქმედების დიაპაზონი ერთობ ფართოა, არ შეიძლება ის დაყვანილ იქნეს მხოლოდ ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული ფულადი საშუალებების ფორმირებისა და გამოყენების პროცესის შემოწმებამდე. ხშირად ძალიან რთულია, ზოგჯერ კი შეუძლებელია ფინანსური კონტროლი განვაცალკეოთ სამეურნეო კონტროლისაგან იმიტომ, რომ ფინანსური ოპერაციების უმრავლესობაში ასახვას პოულობს სამეურნეო საქმიანობის არაფინანსური ელემენტები.

კონტროლის სხვადასხვა **ტიპების** გამოყოფის კრიტერიუმს წარმოადგენს მმართველობით სისტემაში კონტროლისათვის მინიჭებული სტატუსი, რაც გამოიხატება კონტროლის სუბიექტების სახელისუფლებო ეფლებამოსილებათა მოცულობაში. აღნიშნული კრიტერიუმიდან გამომდინარე, შეიძლება გამოიყოს სახელისუფლებო, საუწყებო და არასაუწყებო სამეურნეო-საფინანსო კონტროლი.

ეკონომიკურ საქმიანობაზე ფინანსური კონტროლისა და მოვლენების შესახებ ინფორმაციას რომელთანაც საქმე აქვს აუდიტორს, ხშირად საადრიცხვო ოპერაციებისა და საბოლოო ჯამში მიღებული შედეგების მიღებული მტკიცებებია. ასე რომ,

ფინანსური მენეჯერისათვის აუცილებელი არ არის კარგად ერკვეოდეს აუდიტში. აუდიტორი კი ვალდებულია კარგად ერკვეოდეს საბუღალტრო აღრიცხვაში.

აუდიტორის მუშაობის **დაგეგმვის** არსებითი მომენტია კომპანიის **შიდა კონტროლის სისტემის შეფასება**. ეფექტურმა შიდა კონტროლმა უნდა უზრუნველყოს კომპანიის მიმდინარე სამეურნეო საქმეების ადრეული შესრულება, ხელმძღვანელობის საფინანსო-სამეურნეო პოლიტიკის მოთხოვნები. კომპანიის აქტივების დაცვა. მისი შექმნა შეუძლებელია კვალიფიციური, აღმასრულებელი მუშაკების ტექნიკური საშუალებებისა და კონტროლის ტექნოლოგიის, აგრეთვე საკონტროლო პარამეტრების არარსებობის შემთხვევებში.

აუდიტორული შემოწმების შემუშავებული **გეგმა** დეტალიზდება **აუდიტის პროგრამაში**. აუდიტორული საქმიანობის პროცესში, აუდიტის დაგეგმვას არეგულირებს **აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი (ასს) 300 "ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა"**.

თითოეული აუდიტორული ფირმა, როგორც კომერციული ორგანიზაცია, ცდილობს რომ რაციონალურად დაგეგმოს თავისი სამუშაო, მიაღწიოს მომსახურების ხარჯების ოპტიმიზაციას და ერთდროულად უზრუნველყოს მომსახურების მაღალი ხარისხი. აუდიტის დაგეგმვა ხორციელდება აუდიტის ჩატარების ზოგად პრინციპებზე დაყრდნობით. აუდიტის დაგეგმვა ითვალისწინებს ისეთი **პრინციპების დაცვას**, როგორცაა : კომპლექსურობა , უწყვეტობა და ოპტიმალურობა. კერძოდ:

1. დაგეგმვის კომპლექსურობა გულისხმობს რომ დაგეგმვის ყველა ეტაპი უნდა იყვეს ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთშეთანხმებული;
2. დაგეგმვის უწყვეტობა ნიშნავს, რომ რთული ეკონომიკური საქმიანობის შემოწმების პროცესის დაგეგმვისას მოწვეული უნდა იყვნენ სპეციალისტები, ექსპერტები. დროულად უნდა განისაზღვროს მოსაწვევთა კონტიგენტი, ოპერატიულად გაუკეთდეს კორექტირება გეგმას . მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება აუდიტის საერთო გეგმისა და აუდიტის პროგრამის შედგენა.
3. დაგეგმვის ოპტიმალურობა გამოიხატება დაგეგმვის მოქნილობაში და აუდიტორული შემოწმების მაქსიმალურად რაციონალური ვარიანტის შერჩევაში. ამრიგად, აუდიტის დაგეგმვა გულისხმობს ზოგადი სტრატეგიისა და აუდიტორული შემოწმების მოსალოდნელი შედეგების ხანგრძლივობის დეტალური მიდგომის შემუშავებას. აუდიტორის მიერ სამუშაოს დაგეგმვა ხორციელდება ისე რომ, სათანადო ყურადღება დაეთმოს აუდიტის უმთავრეს ასპექტებს, სამუშაო კი შესრულდეს ოპტიმალური დანახარჯებით, ხარისხიანად და თავისდროულად. დაგეგმვის ოპტიმიზაცია საშუალებას იძლევა შემოწმების პროცესში ჩართული სპეციალისტების ჯგუფის წევრებს შორის სამუშაო გადანაწილდეს ეფექტიანად და ამასთან, მოხდეს მისი კოორდინაცია.

დაგეგმვის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: შესწავლის; შეფასებისა და მექანიკური მოქმედების სტადია.

შესწავლის სტადიაზე ხორციელდება აუდიტის ობიექტის შესახებ საბაზო ინფორმაციის მიღება, ინფორმაცია მისი საქმიანობის სპეციფიკის, საკონტროლო არეალის, გამოყენებული კომპიუტერული ტექნიკის, უკანასკნელი აუდიტის შემდეგ განხორციელებული ცვლილებების შესახებ.

შეფასების სტადია გულისხმობს არსებითობის დონისა და იმის რისკის შეფასებას, რომ აუდიტის ობიექტის ფინანსური ანგარიშგება შეიძლება მოიცავდეს ისეთ არსებით გადაცდომებს, რომელიც შეუმჩნეველი დარჩება. მექანიკური მოქმედების სტადია არის აუდიტორების სამუშაოს ორგანიზაციული საკითხების გადაჭრა, აუდიტორების პროგრამის მომზადება და შემოწმების პროცესში ვალდებულებების განაწილება.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, იზრდება მოთხოვნა აუდიტორულ კონტროლზე. მოთხოვნილების ზრდა გამოწვეულია ისეთი ობიექტური მიზეზებით, როგორცაა: მეწარმეობისა და კაპიტალის ბაზრის განვითარება, ორგანიზაციების მისწრაფება თვითრეგულირებისაკენ, ფინანსური ფონდების შექმნის აუცილებლობა, რომლებიც მოახდენენ ეკონომიკური მდგრადობის უზრუნველყოფას, მესაკუთრეებისა და კრედიტორების მატერიალურ-ფულადი დაბანდების გარანტირებას, საქმიან პარტნიორებს შორის ურთიერთნდობის უზრუნველყოფას. იმასთან დაკავშირებით, რომ საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ეკონომიკურ სუბიექტებს ევალებათ გამოაქვეყნონ **წლიური ანგარიშების მასალები**: ბუღალტრული ბალანსი, მოგება-ზარალის შესახებ ანგარიში. ისინი ვალდებული არიან, გამოსაქვეყნებელი ფინანსური მაჩვენებლების უტყუარობის დასადასტურებლად ყოველწლიურად მოიწვიონ **პროფესიონალი ბუღალტერ-აუდიტორები**, რომლებიც ქონებრივი ინტერესებით არარიან დაკავშირებული ეკონომიკურ სუბიექტთან და მის მონაწილეებთან.

სწორედ კომერციული საფუძველი წარმოადგენს სახელმწიფო ფინანსური კონტროლისაგან აუდიტის გამიჯვნის ძირითად ნიშანთვისებას, რომელიც ხორციელდება კონტროლის პალატის, ფინანსთა სამინისტრის, საგადასახადო და სხვა ორგანოების მიერ.

აუდიტორული კონტროლი, უწინარეს ყოვლისა, ვრცელდება კერძო საწარმოებზე, მათ გაერთიანებებზე, ბანკებზე და საკრედიტო დაწესებულებებზე, მათ ასოციაციებზე და კავშირებზე, სადაზღვევო ორგანიზაციებზე, ბირჟებზე, საპენსიო და სხვა ფონდებზე, აგრეთვე სამეწარმეო საქმიანობით დაკავებულ მოქალაქეებზე.

შესაბამისად, აუდიტი წარმოადგენს ფინანსური კონტროლის ფორმას. მაგრამ აუდიტს, თავის მხრივ, სხვადასხვა ფორმა გააჩნია. კერძოდ, “კონტროლის ფორმის” ცნების განსაზღვრასთან დაკავშირებით გვხვდება სხვადასხვა თვალსაზრისი.

ავტორთა ერთი ჯგუფი გამოდის იმ მოსაზრებიდან, რომ ყოველ რეალობას გააჩნია თავისი **ფორმა** და **შინაარსი**, როგორც საყოველთაო კატეგორიები, რომლებიც ასახავენ ამ

რეალობის ორი მხარის ურთიერთკავშირს. შინაარსი საგნის შინაგან მხარეს წარმოადგენს, ხოლო ფორმა, მისი გამოსახვის გარეგანი ფორმაა.

ავტორთა მეორე ჯგუფის აზრით, რომ კონტროლის განხორციელების ფორმა ახასიათებს მეთოდოლოგიურ ასპექტებს და მისი ჩატარების ტექნიკას აღნიშნავს იმ ნიშან-თვისების მიხედვით, რომელიც საფუძვლად უდევს ამა თუ იმ მეთოდოლოგიურ მიდგომას. ისინი გამოყოფენ აუდიტორული კონტროლის სხვადასხვა ფორმას. ასეთ ნიშნებს მიეკუთვნება: კონტროლის ჩატარების დრო, საკონტროლო მონაცემების წყაროები, კონტროლის განხორციელების წესები და ხერებისაფინანსო-სამეურნეო კონტროლის ქვეშ იგულისხმება იმ საკონტროლო ქმედებათა კონკრეტული გამოსახვისა და ორგანიზაციის ხერხები, რომლებიც მიმართულია კონტროლის ფუნქციების შესრულებისაკენ. ამ თვალსაზრისით, საფინანსო-სამეურნეო კონტროლის ფორმების სახით გამოიყოფა წინასწარი, მიმდინარე და შემდგომი კონტროლი.

წინასწარი კონტროლი ხორციელდება სამეურნეო ოპერაციების მოხდენისთანავე და მიზნად ისახავს განხორციელებული ოპერაციების არაკანონიერებისა და მიზანშეუწონლობის თავიდან აცილებას. კონტროლის ეს ფორმა მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამეურნეო კადრების ცოდნის დონის, კანონიერების დაცვაზე პასუხისმგებლობის, სამეურნეო რესურსების გამოყენების ეფექტურობისა და მიზანშეწონილების ამალგებაში.წინასწარი კონტროლი ძირითადად საწარმოს შიდა აუდიტორების მიერ ტარდება. იგი ასევე ხორციელდება გარე დამოუკიდებელი აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების მიერ მოცემულ საწარმოში საკონსულტაციო მუშაობის ჩატარების, სქემების, პროექტების, ბიზნეს-გეგმების და ა.შ. შემუშავების გზით.წინასწარი კონტროლი საჭიროა მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყენების შემოწმებისას, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან სხვადასხვა ხასიათის ხელშეკრულებების დადებისას, წარმოების, მარკეტინგის, საგადასახადო ბაზის და საწარმოს გადასახადების ოპტიმიზაციის სქემებისა და პროექტების შემუშავების დროს.

მიმდინარე აუდიტორული შემოწმება ხორციელდება უშუალოდ სამეურნეო ოპერაციების შესრულების პროცესში და მიმართულია ნაკლოვანებების **ოპერატიული აღმოფხვრისაკენ**, დადებითი გამოცდილების გამოვლენისა და გავრცელებისაკენ. შემოწმების მოცემული ფორმის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი იძლევა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების დარღვევის შედეგად ბუღალტრულ გატარებებში, ასევე გადასახადების დარიცხვის დროს გაანგარიშებებში და ა.შ. დაშვებული შეცდომების თავისდროული გამოვლენისა და აღმოფხვრის შესაძლებლობას.მიმდინარე შემოწმებას ატარებენ როგორც შიდა აუდიტორები, ასევე გარე დამოუკიდებელი აუდიტორები და აუდიტორული ფირმები. კონსულტაციები მოცემულ საწარმოში ტარდება ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, აგრეთვე წარმომოხილ პრობლემებზე სააბონენტო მომსახურების გზით.

შემდგომი აუდიტორული შემოწმება ხორციელდება სამეურნეო ოპერაციების განხორციელების შემდეგ და ძირითადად მის მიზანს შეადგენს საანგარიშგებო მონაცემების უტყუარობის დადგენა, ასევე ნაკლოვანებებისა და დადებითი გამოცდილების გამოვლენა. სამეურნეო სუბიექტის შემდგომი კონტროლი უზრუნველყოფს საწარმოს საქმიანობის ობიექტურ შეფასებას და ტარდება საწარმოს პერიოდული და წლიური ანგარიშგების მონაცემთა უტყუარობის დადასტურების მიზნით.

ცალკეული საწარმოებისათვის შემდგომი კონტროლი სავალდებულოა კანონმდებლობის მიხედვით, რის გამოც ამ საწარმოებმა აუდიტორული შემოწმება სავალდებულო წესით უნდა გაიარონ წალიწადში ერთხელ. შემდგომი აუდიტორული შემოწმება ტარდება აგრეთვე სასამართლო-საგამომიებო ორგანოებისა და სახელმწიფო კონტროლის ორგანოების დაკვეთით.

კონტროლის სხვა ფორმებისაგან შემდგომი კონტროლის განმასხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს მის მიერ შესამოწმებელი ობიექტების სრულყოფილება და მათი უფრო ღრმად შესწავლის შესაძლებლობა. ამიტომ, შემდგომი კონტროლი ხორციელდება აგრეთვე თვით საწარმოების დაკვეთით, მათ ბუღალტრულ აღრიცხვაში, გადასახადებით და ბეგვრაში და სხვა ფინანსურ-ეკონომიკურ საკითხებში (გადახდის უნარიანობის ანალიზი, ფინანსური მდგომარეობა, საწარმოთა საქმიანობის სახეების განვითარების პროგნოზირება და ა.შ.) დაშვებული შეცდომებისა და დარღვევების აღმოფხვრის მიზნით.

შესაბამისად, ადრე ჩატარებული რევიზიებისაგან განსხვავებით, რომელთა კანონმდებლობით მინიჭებულ სამართლებრივ სტატუსს წარმოადგენდა საწარმოთა და გაერთიანებების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემდგომი კონტროლის სავალდებულო რეგულარული ფორმა, აუდიტორული შემოწმება აუდიტორული მომსახურების გაწევისმეშვეობით სულ უფრო მეტად მოიცავს წინასწარი და მიმდინარე კონტროლის სტადიებსაც, რაც ზრდის მის ეფექტურობას.

საკონტროლო მონაცემთა წყაროებისაგან დამოკიდებულებით განასხვავებენ დოკუმენტურ და ფაქტობრივ კონტროლს.

დოკუმენტური კონტროლის დროს ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს პირველადი და კრებსითი ბუღალტრული დოკუმენტები, სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის რეგისტრები, საწარმოს გეგმები და ანგარიშები, აგრეთვე სხვა წყაროები (ხელშეკრულებები, მონაცემები მუშაკთა რიცხოვნობის შესახებ, საწარმოს სადამფუძნებლო დოკუმენტები და ა.შ.). დოკუმენტური კონტროლის წყაროების სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი შეიძლება იყოს როგორც სარწმუნო, ასევე არასარწმუნოც, სრული და არასრული, რაც უთუოდ გავლენას ახდენს აუდიტორის მიერ განხორციელების ტექნიკური ხერხის არჩევაზე.

ფაქტობრივი აუდიტორული კონტროლი ხორციელდება შესამოწმებელი ობიექტების ნატურაში დათვალიერების მონაცემების მიხედვით. იგი ტარდება საწარმოს სალაროში

ფულადი სახსრებისა და ფასიანი ქაღალდების, საწარმოს საწყობებსა და სავაჭრო ორგანიზაციების დახლებზე სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ფაქტიური არსებობის, ასევე საწარმოს დებიტორული და კრედიტორული დავალიანების უტყუარობისა და ობიექტურობის დასადგენად.

ამრიგად, ფინანსური კონტროლის შესახებ საქართველოში მიღებული ძირითადი აქტები იმაზე მეტყველებს, რომ ფინანსური კონტროლი ხორციელდება რიგი სახელმწიფო ორგანოების მიერ, უწინარეს ყოვლისა, კონტროლის პალატისა და ქვეყნის მთავრობის მიერ, ფინანსთა სამინისტროსა და მასთან დაქვემდებარებული ქვეყნის უწყებრივ-რეგიონალური დანაყოფების მიერ.

კონტროლის პალატა, როგორც მუდმივად მოქმედი საკონტროლო ორგანო, ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე, ორგანიზაციულად და ფუნქციონალურად დამოკიდებული ორგანოა, იგი ახორციელებს კონტროლს ქვეყნის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი მუხლების შესრულებაზე. კონტროლის პალატის საკონტროლო უფლებამოსილებები ვრცელდება მართვის ყველა რგოლზე, თუ ისინი იყენებენ საბიუჯეტო სახსრებს. კონტროლის პალატის მიერ განხორციელებული საკონტროლო ღონისძიებების შედეგების მიხედვით გამოიყენება მითითებები, რომლებიც ითვალისწინებენ გამოვლენილი დარღვევების და დამნაშავე პირების დასჯის სხვადასხვა ღონისძიებებს.

ფინანსთა სამინისტრო და საგადასახადო ორგანოები წარმოადგენენ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს, რომლებიც მოწოდებული არიან შეიმუშაონ და პრაქტიკულად განახორციელონ ერთიანი სახელმწიფო ფინანსური პოლიტიკა. კერძოდ, ფინანსთა სამინისტროს ფუნქციონალურ მოვალეობას შეადგენს ქვეყნის სწორი საფინანსო-საგადასახადო პოლიტიკის შემუშავება-აღსრულება და ქვეყანაში საფინანსო ორგანიზაციების საქმიანობისადმი საერთო ხელმძღვანელობა. მის ამოცანებში შედის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შედგენა და შესრულების კონტროლი, ფინანსური ბაზრის განვითარების განხორციელება, საფინანსო-საბიუჯეტო დაგეგმვის, დაფინანსებისა და ანგარიშგების მასალების სრულყოფა, საბიუჯეტო სახსრებისა და ბიუჯეტგარეშე ფონდების ხარჯვაზე კონტროლის გაწევა.

ფინანსთა სამინისტრო შეიმუშავებს ღონისძიებებს სამეურნეო საქმიანობის საფინანსო და საგადასახადო სტიმულირებისათვის, ახორციელებს ფასიანი ქაღალდების რეგულირებას, გასცემს ნებართვას ლატარიის გათამაშებაზე, მეთოდურ ხელმძღვანელობას ახორციელებს სამეურნეო სუბიექტების ბუღალტრულ აღრიცხვასა და ანგარიშგებლობაზე და ა.შ. ფინანსთა სამინისტრო უფლებამოსილია ბიუჯეტიდან დაფინანსებული საწარმოებისა და დაწესებულებების მიერ ფინანსური დისციპლინის დარღვევისას შეაჩეროს მათი დაფინანსება და განახორციელოს საბიუჯეტო დაწესებულებათა ფინანსური საქმიანობის კონტროლი და რევიზია. მას აქვს უფლება შეაჩეროს სააქციო საზოგადოების ფასიანი ქაღალდების გამოშვება, თუ კანონმდებლობის დარღვევას ექნება ადგილი. თავიანთი უფლებების ფარგლებში

ფინანსური კონტროლის ფუნქციას ასევე ასრულებენ სხვა სახელმწიფო (სახაზინო, საბანკო) ორგანოები. ყველა სახელმწიფო საკონტროლო ორგანოები იცავენ სახელმწიფოს ინტერესებს. ამასთან, აშკარად შეიმჩნევა სახელმწიფო ორგანოების მისწრაფება შემდგომი კონტროლისადმი, მიუხედავად იმისა, რომ წინასწარი და მიმდინარე კონტროლის ეფექტიანობა ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე შემდგომი კონტროლი.

შესაბამისად, აუდიტორული საქმიანობა არის კომერციული (სახელშეკრულებო) საფუძველზე ორგანიზებული ფინანსური კონტროლის ფორმა, რომელიც ხორციელდება, ამ უფლებამოსილებით აღჭურვილი სახელმწიფო ორგანოების მიერ ჩატარებული ფინანსური კონტროლის ფორმა სახელმწიფო კონტროლის თანასწორად.

თავი 12. შიდა კონტროლის (აუდიტის) თანამედროვე სისტემის შეფასება საქართველოს საჯარო მმართველობაში

სახელმწიფო ფინანსური კონტროლის გარემო. ქვეყანაში სახელმწიფო მმართველობაში ფინანსური კონტროლის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 28 ივნისს მიიღო „კანონი სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობის დაარსების შესახებ“, რომლის 1-3 მუხლით განსაზღვრა, რომ დაარსდა სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობა, რომელსაც ირჩევს ეროვნული საბჭო. იგი არ შედის მინისტრთა კაბინეტში და პასუხისმგებელია მხოლოდ ეროვნული საბჭოს წინაშე, უთანხმოებას სახელმწიფო კონტროლიორსა და მთავრობას შორის განიხილავს და წყვეტს ეროვნული საბჭო. შესაბამისად, ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 6 დეკემბერს დაამტკიცა „დებულება სახელმწიფო კონტროლისა და მისი უწყების საგანთათვის“ და „რევიზიის წესდება“. „სახელმწიფო კონტროლისა და მისი უწყების საგანთათვის“ დებულებაში განხილულია შემდეგი საკითხები: სახელმწიფო კონტროლის უწყების საგანთათვის სახელმწიფო კონტროლის შემადგენლობა, სახელმწიფო კონტროლის საერთო საკრებულო და სახელმწიფო კონტროლის კანცელარია.

მოგვიანებით, დებულების 34-ე მუხლს ამატებენ სახელმწიფო კონტროლის მიერ შემოწმებულ ანგარიშთა დაცვის, სახელმწიფო კონტროლის საქმეთა დაცვისა და მოსპობის წესებს და სახელმწიფო კონტროლის საქმეთა რიგ-რიგად განაწილების ნუსხას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დებულების პირველი მუხლი განსაზღვრავს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლს, როგორც სახალხო წარმომადგენლობით ორგანოს და სახელმწიფო მმართველობის ცალკე ნაწილს.

საკანონმდებლო ხელისუფლების წარდგენამდე სახელმწიფო კონტროლი ამოწმებდა სამინისტროების ფინანსურ ხარჯთაღრიცხვასა და ფინანსთა მინისტრის მიერ შედგენის სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვასა და ამ აღრიცხვის შესახებ ანგარიშს. ზემოთ აღნიშნულ და სხვა საკონტროლო მოვალეობათა შესრულების მიზნით სახელმწიფო კონტროლი იყენებდა წინასწარ, შემდგომ და ფაქტიურ რევიზიას.

სახელმწიფო კონტროლის შემადგენლობაში შევიდნენ: სახელმწიფო კონტროლიორი, სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი, სახელმწიფო კონტროლის საქმეთა დირექტორი, სექციათა გამგეები, უფროსი რევიზორები, რევიზორები, რევიზორების თანაშემწეები და მოანგარიშე მოხელეები, საკანცელარიო მუშაკები, მდივანი, უფროსი საქმისმწარმოებელი, რეგისტრატორი, მისი თანაშემწეები და არქივარიუსი.

სახელმწიფო კონტროლიორის თავმჯდომარეობით ჩამოყალიბდა საერთო საკრებულო სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგის, საქმეთა დირექტორის და სექციათა გამგეების შემადგენლობით, ხოლო მომხსენებლის სტატუსითა და ხმის უფლებით - უფროსი რევიზორები, რომელთაც სხვა ძირითად ფუნქციებთან ერთად, მიეცათ უფლება სხდომებზე, სამინისტროებისა და თვითმმართველობის მოხელეების

მოწვევისა. აგრეთვე მიეცათ მთელი რიგი უფლებები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდებოდნენ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მიმართულებებს, მოქმედების მასშტაბებსა და არეალს.

იმ პერიოდისთვის არსებული საკანონმდებლო ბაზა კონტროლს განსაზღვრავდა არა როგორც ნაკლოვანებათა და დარღვევათა ფუნქციის იარაღს, არამედ სახელმწიფო კონტროლის მოვალეობათა შესრულებისათვის დაწესებულ წინასწარი, შემდგომი და ფაქტიური კონტროლის მექანიზმს, და ამდენად, ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო კონტროლის არსი დემოკრატიული საქართველოს ხელისუფალთ გააზრებული ჰქონდათ, როგორც ფართო მასშტაბური და ზოგად სახელმწიფოებრივი უფლებებით აღჭურვილი ფენომენი.

როგორც ცნობილია, ფინანსები ასრულებს განმანაწილებელ, მარეგულირებელ და უკუკავშირის არხის ფუნქციებს. ფულადი ფონდების განაწილება-გადანაწილების პროცესში ფინანსები ასრულებს განმანაწილებელ ფუნქციას, ხოლო ბიუჯეტის საშუალებით ფულადი ფონდების ხარჯვის პროცესში კი - საკონტროლო ფუნქციას. საკონტროლო ფუნქცია - ფულადი ფონდების განაწილებაზე და გამოყენებაზე კონტროლის განხორციელებაში ვლინდება. ფინანსური კონტროლის ამოცანაში შედის ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების დაცვისა და ფინანსური ვალდებულებების შესრულების შემოწმება.

შიდა ფინანსური კონტროლი წარმოადგენს საწარმოს (კომპანიის) მიერ ორგანიზებული ყველა მმართველობითი გადაწყვეტილების შესრულების და რეალიზაციის უზრუნველყოფის შემოწმების პროცესს. საწარმოში შიდა ფინანსური კონტროლის ორგანიზაცია შემდეგი ძირითადი ფორმებით ხორციელდება:

1. წინასწარი ფინანსური კონტროლი;
2. მიმდინარე ფინანსური კონტროლი;
3. მომავალი ფინანსური კონტროლი.

შიდა ფინანსური კონტროლის ფუნქციების რეალიზაციის ეფექტიანობის ამაღლებას ხელს უწყობს საწარმოში ეფექტიანი კომპლექსური მმართველობითი სისტემის დანერგვა, რომელიც კონტროლინგის სახელწოდებითაა ცნობილი. კონტროლინგის კონცეფცია შემუშავებული იქნა გასული საუკუნის 80-იან წლებში, როგორც კრიზისული სიტუაციების თავიდან აცილების აქტიური საშუალება, რაც საბოლოოდ საწარმოს გაკოტრებას იწვევს.

კონტროლინგის საერთო სისტემაში, რომელიც ყალიბდება საწარმოში, გამოიყოფა მისი ერთ-ერთი ცენტრალური ბლოკი - ფინანსური კონტროლინგი.

ფინანსური კონტროლინგი ეს არის რეგულატორული მმართველობითი სისტემა, რომელიც ახდენს ურთიერთკავშირის კოორდინაციას, ინფორმაციული ბაზის ფორმირებას, ფინანსური ანალიზის, ფინანსური დაგეგმვის და შიდა ფინანსურ კონტროლს შორის, რომელიც უზრუნველყოფს საკონტროლო ქმედებების კონცენტრაციას საწარმოს ფინანსური საქმიანობის უფრო პრიორიტეტულ

მიმართულებებზე, მისი ფაქტიური შედეგების გათვალისწინებულიდან გადახრის მიღებას, რომლებიც მათ ნორმალიზაციაზეა მიმართული.

საანგარიშო მაჩვენებელთა საინფორმაციო სისტემის აგება ფინანსური კონტროლინგის ცალკეული სახეობის მიხედვით ეფუძნება ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის მონაცემებს. ეს სისტემა წარმოადგენს ე.წ. „დაკვირვების პირველად საინფორმაციო ბაზას“, რაც საჭიროა საწარმოსათვის აგრეგირებული ცალკეული ანალიტიკური, აბსოლუტური და შეფარდებითი ფინანსური მაჩვენებლების თანმიმდევრული გაანგარიშებისათვის, რომელიც ახასიათებს საწარმოს ფინანსური საქმიანობის შედეგებს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფინანსური კონტროლის ძირითად არსს წარმოადგენს:

5. სახელმწიფოებრივი მმართველობის ეფექტიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური ურთიერთობის სუბიექტების მიერ საფინანსო კანონმდებლობის დაცვის შემოწმება;
6. ქვეყნის საფინანსო სისტემის განმტკიცება;
7. სახელმწიფოსადმი ერთიანი საფინანსო, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებაში ხელშეწყობა;
8. სახელმწიფოებრივი პროდუქტის წარმოების განაწილებისა და მოხმარების ყველა ეტაპზე ფინანსური რესურსების გამოყენების შიდა რეზერვების გამოვლენა.

სახელმწიფო ფინანსური კონტროლი - არის კონტროლი ეროვნული სიმდიდრის გამოყენებაზე.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულია კონტროლის სუბიექტების რაობა, მათი ინსტიტუციური მოწყობა და კომპეტენციის ფარგლები, მაგრამ არაა ურთიერთგამიჯნული კონტროლის სხვადასხვა სუბიექტების უფლებამოსილებანი და პასუხისმგებლობა, მკაფიოდ დადგენილი არაა კონტროლის სხვადასხვა სუბიექტების როლი და ადგილი, თუმცა სახელმწიფო ფინანსური კონტროლის განხორციელებაზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა საქართველოს კონტროლის პალატას ეკისრება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საჯარო სახსრების კანონიერად და ეფექტიანად ხარჯვის შეფასებისათვის აუცილებელია სახელმწიფო **ფინანსური კონტროლის ერთიანი სისტემის შექმნა**, ფინანსური კონტროლის სუბიექტებისა და ფინანსური კონტროლის ორგანოს განსაზღვრა, საფინანსო კონტროლი სუბიექტების უფლებამოსილებების და ამ უფლებამოსილებათა განხორციელების წესების დადგენა და სახელმწიფო საფინანსო სტანდარტების განსაზღვრა. ამასთანავე, ხაზგასასმელია, რომ საფინანსო კონტროლი არა მხოლოდ საჯარო სახსრების მოღება-გამოყენების პასიური მეთვალყურე უნდა იყოს, არამედ მან საფინანსო დარღვევის აღკვეთის მიზნით გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ზომები, რითაც კონტროლის სუბიექტების პასუხისმგებლობა მათივე უფლებებთან შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი.

კონტროლის სუბიექტებმა პასუხი უნდა აგონ საფინანსო დარღვევების აღკვეთაზე, რისთვისაც მათ უნდა ჰქონდეთ საფინანსო ადმინისტრირების გამოყენების უფლება საკუთარი დაწესებულების მიმართ.

სავალდებულო აუდიტის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს შესაბამისი საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელობას, რომელთაც უშუალოდ ახორციელებს საფინანსო კონტროლის სამსახური ან სახელმწიფო სექტორის აუდიტორი. შიდა აუდიტის კონტროლმა უნდა მოიცვას შიდა პრევენციული და მიმდინარე საფინანსო კონტროლი და ამ შემთხვევაშიც, პასუხისმგებლობა დაეკისრება საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელობას.

საფინანსო ზედამხედველობა უნდა განახორციელოს შესაბამისმა სახელმწიფო ორგანომ და უნდა მოიცვას საფინანსო კონტროლის სისტემის საკანონმდებლო რეგულირება, ამ სისტემაზე ზედამხედველობა, საჯარო დაწესებულებების საფინანსო რევიზია და საფინანსო ადმინისტრირება.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე, საფინანსო კონტროლის განხორციელების **ფორმებსა და წესებს**. მისაღებად უნდა ჩაითვალოს საფინანსო კონტროლის განხორციელების შემდეგი ფორმები: საფინანსო დარღვევათა პრევენცია, მიმდინარე საფინანსო შემოწმება, რევიზია და საფინანსო ადმინისტრირება, რაც საფინანსო კონტროლის სუბიექტებმა უნდა განახორციელონ საქართველოს კონტროლის პალატის მიერ განსაზღვრული წესების შესაბამისად.

სახელმწიფო საფინანსო კონტროლის სისტემის ჩამოსაყალიბებლად საჭიროა, როგორც მთელი რიგი **ნორმატიული აქტების მიღება**, ასევე ორგანიზაციული ღონისძიებების გატარება, როგორცაა, შიდა საფინანსო კონტროლის სამსახურების და საქართველოს კონტროლის პალატასთან შესაბამისი კადრების მოსამზადებელი ცენტრის შექმნა, რითაც საფუძველი ჩაეყრება სახელმწიფო სექტორის აუდიტორთა, შიდა საფინანსო კონტროლის მოსამსახურეთა მომზადება-ლიცენზირების პროცესს, ხოლო შიდა საფინანსო კონტროლის სამსახურების შექმნამ არ უნდა გამოიწვიოს დამატებითი საშტატო ერთეულების შემოღება, არამედ უნდა მოხდეს სტრუქტურული რეორგანიზაცია და ამით გამოირიცხოს ამ მხრივ დამატებითი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა.

კონტროლის როლი და მისი კავშირი მართვის სხვა ფუნქციებთან ვლინდება მიღებულ მმართველობით გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებაში. სწორედ სამართავი ობიექტის ფაქტიური მდგომარეობის კონტროლი იძლევა საშუალებას მართვის სუბიექტმა თავისდროულად მოახდინოს რეაგირება მიმდინარე ცვლილებებზე.

ფინანსური კონტროლის ძირითადი მიზანია სახელმწიფო საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ფინანსური სახსრების და სახელმწიფო საკუთრების კანონიერი, მიზნობრივი და ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა.

ფინანსური კონტროლის ძირითადი **ამოცანებია:**

2. სახელმწიფო ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო ფონდების, ბიუჯეტის შემოსავლებისა და გასავლის სტადიების თავისდროულ შევსებაზე კონტროლის ორგანიზაცია და განხორციელება მოცულობის, სტრუქტურისა და მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით;
3. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ექსპერტიზა და წლიური საბიუჯეტო კანონის კონტროლი;
4. სახელმწიფო სახსრების მიზნობრივი და ეფექტიანი ხარჯვის კონტროლი;
5. სახელმწიფო ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო ფონდების ბიუჯეტის შემოსავალ-გასავლის სტადიების დასაბუთების შეფასება;
6. სახელმწიფო ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო ფონდების ბიუჯეტის დამტკიცებული მაჩვენებლებიდან გამოვლენილი გადახრების ანალიზი, ასევე მათი აღმოფხვრისა და მთელი საბიუჯეტო პროცესის სრულყოფის წინადადებათა მომზადება;
7. სახელმწიფო ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო ფონდების ბიუჯეტის სახსრების ბანკებში და სხვა საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებებში თავისდროული მოძრაობის და კანონიერების კონტროლი.
8. სახელმწიფო ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო ფონდების სახსრების გამოყენების კუთხით სამინისტროებისა და უწყებათა საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება;
9. ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორად წარმოების კონტროლი;
10. საგადასახადო და საბიუჯეტო დისციპლინის განმარტება;
11. სხვადასხვა დონის ბიუჯეტების საშემოსავლო ბაზის ზრდის რეზერვების გამოვლენა;
12. ფინანსური ექსპერტიზა იმ კანონებისა და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების პროექტებისა, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან;
13. ხელისუფლების ორგანოებისთვის ჩატარებული საკონტროლო საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
14. ფინანსური დისციპლინის განმარტების მიზნით პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ჩატარება და ა.შ.

ფინანსური კონტროლის ამოცანების წარმატებით რეალიზაციისთვის **კონტროლი ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:**

1. საგადასახადო სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დაცვაზე;
2. სახელმწიფო დოტაციების, საგადასახადო შეღავათების და სხვა უპირატესობების გამოყენების კანონიერებაზე;
3. საფინანსო დისციპლინის დაცვაზე;
4. ბუღალტრული აღრიცხვის სწორად წარმოებაზე;
5. მატერიალური და ფულადი სახსრების შენახვაზე;
6. სახელმწიფო რესურსების ეკონომიურად გამოყენებაზე;

7. ბანკებში და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებებში სახელმწიფო სახსრების მოძრაობაზე;
 8. საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ და ეკონომიურად ხარჯვაზე;
 9. სახელმწიფო ქონების გამოყენების ფინანსურ ეფექტიანობაზე;
 10. პრივატიზაციის სისწორე და კანონიერება;
 11. სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების ფინანსური, შრომითი და მატერიალური რესურსების მდგომარეობაზე და გამოყენებაზე.
- ფინანსური კონტროლის **სპეციფიკური ფუნქციებია:**
- 6) დარღვევა-ნაკლოვანებათა გამოვლენა;
 - 7) დარღვევა-ნაკლოვანებათა გამომწვევი მიზეზების ანალიზი;
 - 8) კონტროლის ობიექტების საქმიანობის კორექცია;
 - 9) საფინანსო დარღვევათა პრევენცია;
 - 10) სამართალდაცვა.

დარღვევა-ნაკლოვანებათა გამოვლენა გულისხმობს საქმიანობის ფართო სპექტრს, პირველ რიგში ესაა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების გამოყენების სფეროში დადგენილი სტანდარტებისა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებაში გადახრების დადგენა; ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირებასა და ხარჯვითი ნაწილის გამოყენებაში დაშვებული დარღვევები; ასევე, დარღვევები სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაში.

დარღვევა-ნაკლოვანებათა გამომწვევი მიზეზების ანალიზი - კონტროლის ეს ფუნქცია გულისხმობს იმ ფაქტების შესწავლა-გამოკვლევას, რომლებმაც კონკრეტული დარღვევები გამოიწვიეს და რის გამოც უნდა დადგინდეს ამ დარღვევა-ნაკლოვანებათა გამომწვევი ობიექტული მიზეზები.


კორექციის ფუნქცია მდგომარეობს როგორც ბიუჯეტის ფორმირებასა და გამოყენების პროცესში, ასევე საწარმოთა და ორგანიზაციათა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის პროცესში გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებათა შემუშავებაში.

პრევენციის ფუნქცია - მაკონტროლებელი ორგანოების მიერ ხორციელდება წინასწარ, საფინანსო სახსრების უკანონო, არამიზნობრივად და არაეფექტიანად ხარჯვის თავიდან აცილების მიზნით.

ფინანსური კონტროლის განხორციელება ეფუძნება იმ პრინციპებს, რომლებიც ასევე დამახასიათებელია მართვისათვის, მაგრამ ეს პრინციპები ხასიათდებიან იმ თავისებურებებით, რასაც თავად ფინანსური კონტროლის ფუნქციები ითვალისწინებენ.

ფინანსური კონტროლის **ძირითადი პრინციპებიდან** უნდა გამოიყოს: გეგმიურობის; სისტემურობის; უწყვეტობის; დემოკრატიული ცენტრალიზმის; კანონიერების; პასუხისმგებლობის; ობიექტურობის; საჯაროობისა და ეფექტიანობის პრინციპები.

საქართველოში დღეისათვის მოქმედი სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სისტემის შედარება-ანალიზის საფუძველზე იკვეთება აუცილებლობა იმისა, რომ შესაბამისობაშია მოსაყვანი თანამედროვე ეტაპზე მის წინა შემდგარ მოთხოვნებთან. მისი ტრანსფორმაციის აუცილებლობა დაკავშირებულია ქვეყანაში მიმდინარე რადიკალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარდაქმნებთან, საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებასთან, ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების გაღრმავებასთან (.იხ. ნახაზი 2.1).



ნახ. 2.1 აუდიტორული საქმიანობის გეგმის შედგენის პროცესის სქემა.

საქართველოს სახელმწიფოს აუდიტის სამსახურმა შედეგითი ეროვნული აუდიტორული ოფისის მხარდაჭერით, შეიმუშავა ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი:

1) ხარისხის უზრუნველყოფის ინსტიტუციური პოლიტიკა, რომელიც ემსახურება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მანდატისა და ფუნქციების ჯეროვნად შესრულებას, ინსტიტუციურ დონეზე ხარისხის კონტროლის სისტემის სწორად დანერგვასა და მართვას.

2) ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელო - წარმოადგენს აუდიტორთა და პროცესში მონაწილე სხვა პირთათვის განკუთვნილ მეთოდურ ინსტრუქციას, აუდიტის პროცესისა და პროცედურების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის ხარისხის უზრუნველსაყოფად.

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალურ აუდიტორთან და წარუდგენს მას აუდიტორული საქმიანობის ხარისხის მიმოხილვის წლიურ ანგარიშს, რომელშიც საქმიანობა

ინსტიტუციურად არის შეფასებული ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული კომპეტენციების შემდეგ სფეროებში, კერძოდ:

ა) ადამიანური რესურსების და პროფესიული განვითარების სისტემის მართვის შეფასება;


ბ) აუდიტორული საქმიანობის გრძელვადიანი და საშუალოვადიანი დაგეგმვა;

გ) აუდიტზე პასუხისმგებელი მმართველი რგოლის მუშაობის ეფექტიანობის შეფასება;

დ) აუდიტორული საქმიანობის ხარისხის მუდმივი მონიტორინგი; 2011 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, შვედეთის ეროვნული აუდიტორული ოფისისა და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხადაჭერით, შეიმუშავა და დაამტკიცა ეფექტიანობის აუდიტის სახელმძღვანელო, რომელიც ეფუძნება საჯარო აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს (ISSAIs 3000 - 3100).³⁵

ეფექტიანობის აუდიტი თანამედროვე საჯარო სექტორის აუდიტის ერთ-ერთი სახეა, რომელიც უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია სახელმწიფო მმართველობის ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის შესაფასებლად (იხ. ნახ. 2.3)..

ეფექტიანობის აუდიტის ჩარჩო მოდელი



ნახ2.. 3. ეფექტიანობის აუდიტის ჩარჩოს მოდელი.

35. ეფექტიანობის აუდიტის სახელმძღვანელო. თბ. 2011.

ეფექტიანობის აუდიტის დროს გამოიყენება სხვადასხვა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდები, როგორცაა:


- 1) ფინანსური ანალიზი;
- 2) დოკუმენტური შემოწმება;
- 3) ფოკუს ჯგუფებთან ინტერვიუ;
- 4) შესასწავლ თემასთან დაკავშირებული საუკეთესო პრაქტიკების და ლიტერატურის მიმოხილვა;
- 5) კვლევები და გამოკითხვები;
- 6) მსგავსი ტიპის სხვა ორგანიზაციებთან და სხვა ქვეყნებთან შედარება.

როგორც უკვე აღინიშნა (იხ. ნაწილი მეორე, თავი 11) სახელმწიფო აუდიტის სამსახური აუდიტორულ საქმიანობას წარმართავს ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც შემუშავდა და დაინერგა 2010 წელს შვედეთის ეროვნული აუდიტორული ოფისის მხარდაჭერით.

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის მეთოდოლოგია ეფუძნება საჯარო აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს (ISSAIs 1000 2999; 4000 - 4200), რაც გულისხმობს აუდიტის ჩატარებას რისკზე დაფუძნებული მიდგომით (იხ. ნაწილი მეორე, თავი 10. „სახელმწიფო ფინანსების კონტროლის გარემო და საჯარო აუდიტის პრაქტიკის ანალიზი“).

სახელმწიფო აუდიტის დასკვნის სახეების მიმოხილვა - სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გასცემს ოთხი ტიპის დასკვნას (იხ. ნახ. 2.4):

შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეიმუშავა რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს გაცემული რეკომენდაციების პრაქტიკაში დროულ და შესაბამის დანერგვას. სისტემაში ასახულია რეკომენდაციების შესრულების პროცესთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი ინფორმაცია და დოკუმენტი. (იხ. ნახ.2. 5). რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესის ალგორითმი



ნახ.2.4. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნის მახასიათებლები



ნახ.2.5. რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესის ალგორითმი

ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის დანერგვით სახელმწიფო აუდიტის სამსახური მიზნად ისახავს საკანონმდებლო ხელისუფლების როლის გაზრდას საჯარო ფინანსების მართვის გამჭვირვალებისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის პროცესში. აღნიშნული წახალისებს აუდიტის ობიექტების მიერ რეკომენდაციების შესრულების პროცესს და ხელს შეუწყობს საჯარო მმართველობის სექტორის გამჭვირვალებისა და ფინანსური ანგარიშგების ხარისხის გაუმჯობესებას.

შიდა კონტროლის (აუდიტის) თანამედროვე მდგომარეობის შეფასებიდან იკვეთება, რომ საქართველოს საჯარო მმართველობაში შიდა აუდიტის მიზანია საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა გონივრული რწმუნებით, იმასთან დაკავშირებით რომ საბიუჯეტო სახსრები და რესურსები გამოყენებული იქნება ეკონომიურად და ეფექტურად, ფინანსური ანგარიშგება იქნება სრულყოფილი სანდო და ამომწურავი, განხორციელებული ოპერაციები შესაბამისობაში მარეგულირებელ კანონმდებლობასთან და წესებთან, აქტივები, იფორმაცია და სხვა რესურსები დაცული იქნება დაკარგვისაგან, არამართლზომიერი გამოყენებისა და დაზიანებისაგან, ასევე, შეისწავლოს, გაანალიზოს და შეაფასოს კონტროლის სისტემის ნაკლოვანებები და სისუსტეები რათა მინიმუმამდე დაიყვანოს ადამიანისეული შეცდომების მოხდენის ალბათობა.

საქართველოში ისევე როგორც მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში შიდა აუდიტორული საქმიანობა საჯარო მმართველობაში წარმოადგებს ახალ მიმართულებას, ამასთან, როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, დღითი-დღე იგი ხდება სახელმწიფო მმართველობის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი. სწორედ, აღნიშნული გარემოება განაპირობებს შიდა აუდიტის შესწავლის აქტუალობას თანამედროვე ეტაპზე.

როგორც ცნობილია, გასული საუკუნის 90-იან წლებში ევროკომისიის გენერალურმა საბიუჯეტო დირექტორმა შეიმუშავა **სახელმწიფო სექტორის შიდა ფინანსური კონტროლის კონცეფცია (Public Internal Financial Control – PIFC)**, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის ძირითად პრინციპებს. მისი მიზანია ევროკავშირის წევრობის კანდიდატ და სამეზობლო პოლიტიკის მონაწილე ქვეყნებს დაეხმაროს შესაბამისი ფინანსური მართვის სისტემის ჩამოყალიბებაში.

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის გაძლიერება საელმწიფო სექტორის ფინანსების მართვის რეფორმის მთავარი კომპონენტია, რომელიც მთავრობას ეხმარება, ჩამოაყალიბოს თანამედროვე კონტროლის გარემო საჯარო ადმინისტრაციაში, უზრუნველყოფს გონივრული რწმუნებით, რომ ყველა ოპერაცია შეესაბამება კარგი მენეჯმენტის, პროდუქტიულობის, გამჭვირვალობის, ეფექტიანობისა და ეკონომიურობის პრინციპებს, ასევე მარეგულირებელ კანონმდებლობას, ხოლო შიდა

აუდიტი ხელმძღვანელების ხელში არის ინსტრუმენტი - იარაღი რითაც მიიღწევა ზემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებლები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქვეყანაში შიდა აუდიტის სუბიექტები არიან ინსტიტუციური განვითარების ადრეულ ეტაპზე, შესაბამისად საქართველოს საჯარო მმართველობაში შიდა აუდიტის ინსტიტუტის დანერგვისათვის აუცილებელი გახდა სამართლებრივი ბაზის ფორმირება. სწორედ ამიტომ 2010 წლის 26 მარტს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“, რომელმაც გარკვეული ცვლილებების შედეგად მიიღო საბოლოო სახე და 2011 წლის 9 დეკემბრის ბრძანებით ჩამოყალიბდა შემდეგი სახელწოდებით, საქართველოს კანონი „სახელმწიფო ფინანსური კონტროლის შესახებ“ (იხ. დანართი 2.1.). ახალი კანონი მნიშვნელოვნად დაუახლოვდა საერთაშორისო კონცეფციით განსაზღვრულ მოდელს, რომლის თანახმადაც საქართველოში შეიქმნა ცენტრალური მაკოორდინირებელი ჰარმონიზაციის ერთეული და შიდა აუდიტის სამსახურები სხვადასხვა საჯარო დაწესებულებაში. დღეის მდგომარებით ასეთი სამსახურები შექმნილია საქართველოს ყველა სამინისტროში, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასა და სამინისტროებში, ასევე ზოგიერთ საჯარო სამართლის იურიდიულ პირსა და ადგილობრივ თვითმმართველობებში.

შესაბამისად, თანამედროვე ეტაპზე შიდა აუდიტის ინსტიტუტი საქართველოს საჯარო მმართველობაში ინსტიტუციური განვითარების ადრეულ ეტაპზე იმყოფება, ასევე მნიშვნელოვანი გამოწვევები წინაშე დგანან შიდა აუდიტორები - ჩამყალიბდნენ სანდო, მიუკერძოებელ, დამოუკიდებელ და პროფესიონალ აუდიტორებად, რომლებიც შესძლებენ არა მხოლოდ ბუღალტრული დოკუმენტაციის შეფასებას, არამედ კონსულტაციის გაწევას ხელმძღვანელებისათვის ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემის, დაწესებულების ეფექტიანი საქმიანობის, კონტროლის სისუსტეებისა და რისკების მართვასთან დაკავშირებით. გამართული დ ძლიერი შიდა აუდიტის ინსტიტუტების დანერგვისათვის, საჭიროა არსებობდეს ხელის შემწყობი გარემო, დაწესებულების ხელმძღვანელების, შიდა აუდიტორებისა და ასევე ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიური მითითებების სახით. კოორდინირებული მუშაობით, ინიციატივით და შესაბამისი მხარეების დახმარებით შესაძლებელი გახდება დასმული პრობლემების დროული და უმტკივნეულო მოგვარება.

საჯარო მმართველობით სისტემაში შიდა აუდიტის სამსახურების უმნიშვნელოვანესი და დადებითი როლის გაცნობიერებით, კარგად ფუნქციონირებადი შიდა აუდიტის სამსახური ორგანიზაციის შიგნით დამოუკიდებელი, ობიექტური, მიუკერძოებელი სტრუქტურა, რომელიც სისტემის რეგულარული გადასინჯვისა და რისკების შეფასების გზით დაეხმარება დაწესებულებას დასახული მიზნების მიღწევაში.

ამრიგად, სახელმწიფოში და ფინანსური კონტროლის სისტემა უზრუნველყოფს დამოუკიდებელი, ობიექტური, საჯარო, გამჭვირვალე და პროფესიული ფინანსური კონტროლის და მათ შორის, შიდა აუდიტის სისტემის ჩამოყალიბებას.


შესაბამისად, სახელმწიფო ფინანსური აუდიტის მიზანს შეადგენს :

1. გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება რაიმე არსებით უზუსტობას;
2. დასკვნის გამოტანა - მომზადდა თუ არა ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების საფუძველზე. შესაბამისად, სახელმწიფოში და ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარება წარმოადგენს უწყვეტ პროცესს, რისთვისაც მუდმივად ხორციელდება შესაბამისი აქტივობები. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ 2011 წელს განხორციელდა „სახელმწიფოში და აუდიტისა და ინპექტირების შესახებ” საქართველოს კანონის დახვეწა და მისი სრულად ჰარმონიზება საერთაშორისოსტანდარტებთან - INTOSAI-თან და IIA-თან.

თავი 13. სახელმწიფო საგადასახადო პოლიტიკის ოპტიმიზაციის აქტუალური საკითხები საქართველოში

დაბეგვრისა და საგადასახადო სისტემის თეორია მუდამ უნდა იყოს ეკონომიკური მეცნიერების ყურადღების ცენტრში. ამჟამად, ეკონომიკურ თეორიაში გავრცელებულია **ლაფერის ეფექტი**, რომელიც მიანიშნებს, რომ საგადასახადო განაკვეთების კლებას პირველ ხანებში თან სდევს საგადასახადო შემოსავლების შემცირება, მაგრამ შემდგომში მეწარმეთა გააქტიურების მიზნების, ეკონომიკის აღმავლობისა და სხვა ფაქტორების ზემოქმედებით იზრდება საგადასახადო დაბეგვრის ბაზა. შესაბამისად საგადასახადო შემოსავლების მოცულობაც, ან საგადასახადო განაკვეთების გადიდება გარკვეულ ზომამდე აღიდებს შემოსავლებს, მაგრამ განსაზღვრული საფეხურიდან ეკონომიკის მოდუნების ან კიდევ ჩრდილოვანი დაფარული ეკონომიკის გაცხოველებით, იწყება მათი შემცირება.

ლაფერის ეფექტის ვარაუდული ხასიათიდან გამომდინარე (იხ. ნახაზი 2.6 „ლაფერის ეფექტიანობის მრუდი“) ძნელია დავადგინოთ საგადასახადო განაკვეთის ოპტიმალური სიდიდე. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა, პროფესორ ჯ. კახნიაშვილის მოსაზრება, რომ კეინზიანელები უარყოფითად მოეკიდნენ გადასახადების შემცირების პოლიტიკას, რამდენადაც იგი გამოიწვევდა ძალზე მსხვილ ბიუჯეტურ დეფიციტს, რომელიც, თავის მხრივ, მკვეთრად დააჩქარებდა ინფლაციის ტემპს. ხოლო, **მიწოდების თეორიის** მიმდევარის **არტურ ლაფერის მტკიცებით**, გადასახადის უფრო დაბალი განაკვეთი სავსებით შეთავსებადია ადრინდელ და უფრო მეტ საგადასახადო თანხასთან. მისი იდეა, რომელიც ამჟამად ცნობილია ლაფერის ეფექტის სახელწოდებით, იმით გამოიხატება, რომ გადასახადის განაკვეთის ზრდის კვალობაზე (ნულიდან 100%-მდე), საგადასახადო შემოსავალი გაიზრდება ნულიდან რომელიღაც მაქსიმალურ დონემდე, ხოლო შემდეგ **შემცირდება** ნულამდე.



2.6 ლაფერის ეფექტის მრუდი

პრაქტიკის ანალიზი ადასტურებს, რომ ლაფერის ეფექტი, რომელმაც აშშ-ში რ. რეიგანისა და ინგლისში მ. ტეტჩერის ეკონომიკურ პოლიტიკას წარმატებებიც კი მოუტანა, საგადასახადო განაკვეთების და საგადასახადო ბაზას შორის მხოლოდ კორელაციურ, სტატისტიკურ ურთიერთკავშირზეა დამყარებული და ამ ფაქტორთან ერთად სხვა უარყოფითად მოქმედი ფაქტორების (მონეტარული პოლიტიკა, სახელმწიფოებრივი წესრიგი, კორუფცია და სხვა.) გავლენით შეიძლება საწინააღმდეგო სურათიც მივიღოთ.

ეკონომიკურ ლიტერატურაში პროფ. **ბ. გაბიძაშვილის** მიერ შემოთავაზებულია საგადასახადო პრაქტიკაში საგადასახადო ოპტიმალური განაკვეთების დადგენის მეთოდოლოგია, რომელიც ეყრდნობა რეალურ გაანგარიშებებს და არა ვარაუდებს. [22] კერძოდ, აღნიშნული მეთოდოლოგია ეფუძნება წარმოების რენტაბელობისა და ჯამობრივი საგადასახადო განაკვეთის პროცენტულ ურთიერთშეპირისპირებას. რენტაბელობა ამ შემთხვევაში გაანგარიშებულია მოგების პროცენტული შეფარდებით წარმოების ხარჯებთან. ცნობილია, რომ ყოველგვარი გადასახადის გადახდა ამცირებს მოგებას და შესაბამისად რენტაბელობას. ამიტომ უმჯობესია გადასახადების ჯამობრივი განაკვეთი დაუპირისპირდეს არა საგადასახადო შემოსავლებს, არამედ წარმოების რენტაბელობას, რამე თუ ეს უკანასკნელი გვიჩვენებს თუ როდის შეწყდება წარმოება და დაიწყება ეკონომიკური კოლაფსი.

ამასთან ერთად, აუცილებელია რენტაბელობის დასადგენად ავიღოთ **საშუალო მოგება**, ვინაიდან სწორედ ამ შემთხვევაშია მოსალოდნელი მაქსიმალური საგადასახადო განაკვეთის (100%) პირობებშიც კი გაჩერდეს არა ყველა წარმოება, არამედ მათი ძირითადი ნაწილი და ფუნქციონირება გააგრძელოს მაქსიმალური რენტაბელობის მქონე იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა. ასევე, საშუალო მოგების გამოყენების პირობებში **ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთების** დადგენა და მათი გამოყენება საგადასახადო სისტემაში წახალისებს საწარმოებისა და ორგანიზაციების დიდ მასას, აიძულებს ჩამორჩენილებს უარი თქვან რუთინულ ტექნიკასა და ტექნოლოგიებზე და დანერგონ წარმოებაში თანამედროვე სისტემები, შრომის, აგრეთვე წარმოების ორგანიზაციის პროგრესული ფორმები.

მეთოდოლოგიურად დასადგენია აგრეთვე, **ჯამობრივი საგადასახადო განაკვეთის პროცენტული სიდიდე** საბოლოო მოგების მიმართ. როგორც ცნობილია, სხვადასხვა სახის გადასახადის პროცენტული განაკვეთი, საგადასახადო კოდექსის მიხედვით, დაწესებულია სხვადასხვა ბაზის საფუძველზე. მაგალითად, მოგების გადასახადი თავისთავად მოგების მიმართაა გათვალისწინებული 15%-ის ოდენობით და მას გაანგარიშება არ ესაჭიროება, ხოლო დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) მიმართებაში, რომელიც საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულია 18%-ის ოდენობით, რომ დავადგინოთ მოგების მიმართ რამდენი იქნება დამატებული

ღირებულების გადასახადი პროცენტებით, საჭიროა ვიცოდეთ მოგების ხვედრითი წილი დამატებულ ღირებულებაში.

დავუშვათ, რომ ის შეადგენს 10%-ს. თუ დამატებული ღირებულების მოცულობას 100%-ად მივიჩნევთ, მაშინ შეგვიძლია შევადგინოთ პროპორცია: $x = \frac{10 \cdot 18}{100} = 1,8\%$, ეს

გაანგარიშება მოკლედ შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთი გავამრავლოთ კოეფიციენტის სახით გამოსახულ მოგების დამატებულ ღირებულებაში ხვედრით წილზე: %. თუ მოგების მიმართ ასეთი მიდგომით დავადგენთ ცალკეული სახის საგადასახადო განაკვეთების ოდენობას პროცენტობით, თავისთავად ცხადია, რომ მათი ჯამი მოგვცემს გადასახადების ჯამობრივ განაკვეთს.

საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემების შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავახასიათოთ საგადასახადო მექანიზმების განვითარებისა და ფუნქციონირების კანონზომიერება და გავითვალისწინოთ ჩამოყალიბებული საბაზრო ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებში არსებული გადასახადებით დაბეგვრის გამოცდილება ჩვენი ქვეყნის საგადასახადო სისტემის სრულყოფის პრიორიტეტების გამოსავლენად.

საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემები ყალიბდებოდნენ სხვადასხვა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პირობების ზემოქმედებით. კერძოდ: გადასახადების სახეებით, მათი სტრუქტურით, აკრეფის საშუალებებით, განაკვეთებით, ხელისუფლების სხვადასხვა დონის ფისკალური უფლებამოსილებით, საგადასახადო ბაზით, გადასახადების მოქმედების სფეროთი. საგადასახადო შეღავათებით საგადასახადო სისტემები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

დასავლეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემების ორგანიზაციის მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს ცენტრალური ბიუჯეტისა და სხვა დონის ბიუჯეტების შემოსავლების მკვეთრი გამიჯვნა, რომელიც შეესაბამება ქვეყნის სახელმწიფო-პოლიტიკური მოწყობის ფორმას.

უნიტარულ სახელმწიფოებში (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია) არსებობს ბიუჯეტების ორი დონე: ცენტრალური და ადგილობრივი, რომლებსაც შეესაბამებიან საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეები.

ფედერალურ სახელმწიფოებში (მაგალითად, გერმანია) ორგანიზებულია ბიუჯეტის სამი დონე და შესაბამისად საგადასახადო შენატანების სამი დონე – ფედერალური, რეგიონალური, ადგილობრივი.

თითქმის ყველა ქვეყანაში საგადასახადო სისტემის რეფორმის ძირითად მიმართულებად გვევლინება საშემოსავლო გადასახადისა და საწარმოთა მოგების გადასახადის სისტემების ლიბერალიზაცია. აღნიშნული განხორციელდა საგადასახადო

ბაზის გაფართოებასთან ერთად, საგადასახადო განაკვეთებისა და საგადასახადო შეღავათების შემცირების გზით.

დიდ ბრიტანეთში საგადასახადო რეფორმა მიმდინარეობდა დევიზით: `დაბალი გადასახადები ქმნიან ეფექტურ ეკონომიკას`. საშემოსავლო გადასახადის მაქსიმალური განაკვეთები ყველაზე მაღალ შემოსავლებზე 98%-დან შემცირდა 60%-მდე. კორპორაციული გადასახადი შემცირდა 52-დან 35%-მდე. მოცემულმა საგადასახადო პოლიტიკამ დიდ ბრიტანეთში გადაწყვიტა ქვეყნიდან შემოსავლების გადინების პრობლემა და გადალახა საგადასახადო ემიგრაციის ნეგატიური შედეგები.

გერმანიის საგადასახადო რეფორმის ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო ტვირთის შემცირება მოსახლეობისათვის, განსაკუთრებულად კი იმ ოჯახებისათვის, რომლებსაც კმაყოფაზე ჰყავდათ არასრულწლოვანი ბავშვები. 1986-88 წლებში გაიზარდა გადასახადით დაუბეგრავი მინიმუმი, შემცირდა საგადასახადო პროგრესია, გაფართოვდა დაბეგვრის პროპორცია, გაუქმდა მთელი რიგი საგადასახადო შეღავათები და სხვა.

1990 წელს გადასახადის საწყისი განაკვეთი შემცირდა 22-დან 19%-მდე, ხოლო მაქსიმალური— 53%-მდე. გერმანიის საგადასახადო რეფორმამ გარდაქმნა კორპორაციული გადასახადი შემდეგი პრინციპით: „სჯობს დაბალი განაკვეთები და ცოტა შეღავათები, ვიდრე მაღალი განაკვეთები და მრავალი შეღავათები“.

არაპირდაპირი გადასახადების სისტემაში საგადასახადო რეფორმები განხორციელდა საბიუჯეტო შემოსავლების ნაწილში საგადასახადო მოსაკრებლებისა და აქციზის ფისკალური მნიშვნელობის შემცირებით. ამასთან, გაძლიერდა დამატებული ღირებულების გადასახადის როლი და მას მიენიჭა უნივერსალური მნიშვნელობა. XX საუკუნის 70-80-იან წლებში დამატებული ღირებულების გადასახადმა შეცვალა **ბრუნვის გადასახადი და ზოგიერთი აქციზი**.

XX საუკუნის 80-90-იან წლებში **საზღვარგარეთის ქვეყნებში** გატარებული **საგადასახადო რეფორმის** შედეგად გამოიკვეთა ორი ძირითადი ტენდენცია. სახელმწიფოთა ერთმა ჯგუფმა (**აშშ, კანადა, ავსტრალია, იაპონია** და სხვა) ძირითადი აქცენტი გადაიტანეს პირდაპირი გადასახადების სისტემის გარდაქმნაზე. ქვეყნების მეორე ჯგუფმა (**ევროპის**) კი ძირითადად არაპირდაპირი გადასახადების მნიშვნელობის ამაღლებაზე. მიუხედავად აღნიშნულისა, საზღვარგარეთის ქვეყნებში საგადასახადო სისტემის ეფექტურობის ამაღლების ძიების გზები კვლავაც გრძელდება.

საზღვარგარეთის ქვეყნებში დღეისათვის მიმდინარეობს საგადასახადო სისტემის ძირითადი მაჩვენებლებისა და ეროვნული საგადასახადო სამართლის **ჰარმონიზაცია**.

ინტეგრაციული პროცესების ძირითად მიმართულებად XX საუკუნის 60-იან წლებში გვევლინება საერთაშორისო ორმაგი დაბეგვრის პრობლემების გადაჭრა,

გადასახადებისაგან თავისარიდების ხელისშემწყობი დებულებების შეცვლა, არარეზიდენტების საგადასახადო დისკრიმინაციის პირობების ლიკვიდაცია და სხვა.

ევროპაში ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების განვითარების შედეგად თანდათანობით ჩამოყალიბდა იდეა იმის თაობაზე, რომ ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის წევრი ქვეყნები საერთო საგადასახადო პოლიტიკის გატარებიდან გადასულ იყვნენ ერთიან **ტერიტორიულ საგადასახადო რეჟიმზე**. აღნიშნული იდეის განხორციელებისათვის ხელი უნდა შეეწყოს შემდეგ **პრინციპებს**, რომლითაც იხელმძღვანელებდნენ მონაწილე ქვეყნები:

1) ეროვნული საგადასახადო პოლიტიკა არ უნდა უშლიდეს ხელს საქონლის თავისუფალ გადაადგილებას;

2) თითოეული ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკა არ უნდა უშლიდეს ხელს პიროვნებების თავისუფალ გადაადგილებას;

3) სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის პოლიტიკის მიმართულეებს.

აღნიშნული პრინციპების შესრულება გარანტირებულია ევროპის სასამართლოს სამართალშემოქმედებითი საქმიანობით.

გარდა ამისა, საგადასახადო სისტემების ჰარმონიზაცია ვლინდება ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის წევრი ქვეყნების საგადასახადო კანონმდებლობის შეთანხმების პროცესში. ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების თანახმად, შემოღებული იქნა დღგ-ის ახალი საგადასახადო რეგულირება, რომელიც ითვალისწინებდა ამ გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის პრინციპების უნიფიკაციას, ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების განხორციელებისას ერთიანი წესების შემოღებას, ასევე საგადასახადო განაკვეთების დონის მიახლოებას.

პირდაპირი გადასახადების ჰარმონიზაციის მიზნით XX საუკუნის 80-90-იან წლებში აქტიურად მიმდინარეობდა საამორტიზაციო ანარიცხების სისტემის ერთიანი წესების დადგენის, შვილობილი კომპანიების დაბეგვრისას ერთიანი განაკვეთების შემოღების და ა.შ. პოლიტიკა.

სახელმწიფოში, რომლის განკარგულებაშიც ირიცხება საგადასახადო შენატანი, გადასახადები იყოფა ცენტრალურ, ადგილობრივ და სახელმწიფოთაშორისო გადასახადებად.

ცენტრალური (სახელმწიფო) გადასახადები იკრიფება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში.

ადგილობრივი გადასახადები იკრიფება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების სამოქმედო ტერიტორიაზე და მიიმართება ადგილობრივ ბიუჯეტებში.

სახელმწიფოთაშორისო გადასახადები იკრიფება ეროვნული საგადასახადო ორგანოების მიერ ყველა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე და მიიმართება ევროკავშირის ბიუჯეტში.

გამოყენების მიზნიდან გამომდინარე გადასახადები იყოფა აბსტრაქტულ და მიზნობრივ გადასახადებად.

აბსტრაქტულ გადასახადებს მიეკუთვნება უმეტესი გადასახადების სახეები, რომლებიც ირიცხება სხვადასხვა დონის ბიუჯეტებში და ხმარდება სახელმწიფო ფუნქციების რეალიზაციას.

მიზნობრივი გადასახადები ირიცხება სპეციალურ ფონდებში და იხარჯება განსაზღვრული პროგრამების დასაფინანსებლად (მაგალითად, კონიუნქტურული გადასახადი გერმანიაში, სოციალური გადასახადები ევროკავშირის წევრ ქვეყნებში). დაბეგვრის ობიექტიდან გამომდინარე განასხვავებენ პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებს.

პირდაპირი გადასახადები დაწესებულია ქონებაზე ან გადასახადის გადამხდელის შემოსავალზე და იყოფა რეალურ და პირად გადასახადებად.

რეალური ეწოდება გადასახადებს, რომლებიც დაწესებულია ქონებაზე გადასახადის გადამხდელის რეალური შემოსავლების გათვალისწინების გარეშე (მაგალითად, მიწის გადასახადი, ქონების გადასახადი).

პირადს უწოდებენ გადასახადებს, რომლებსაც განსაზღვრული საგადასახადო პერიოდის განმავლობაში იხდიან გადასახადის გადამხდელები მათი რეალური შემოსავლების გათვალისწინებით (მაგალითად, ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი, კორპორაციული გადასახადი, მემკვიდრეობისა და ჩუქებისათვის გადასახადი).

არაპირდაპირი გადასახადები დაწესებულია საქონელზე და მომსახურებაზე და შედის საქონლის (მომსახურების) ფასში. გამოანგარიშებისა და აკრეფის საშუალებით არაპირდაპირი გადასახადები იყოფა **უნივერსალურ არაპირდაპირ გადასახადებად** (ბრუნვისგადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი) და ინდივიდუალურ არაპირდაპირ გადასახადებად (აქციზი თამბაქოს ნაწარმზე, ალკოჰოლიან სასმელებზე და ა.შ.).

სახელმწიფოები ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ეფექტურობიდან გამომდინარე განსაზღვრავენ პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების წილს ეროვნულ საგადასახადო სისტემაში. ცალკეული ქვეყნები, მაგალითად საფრანგეთი,

იტალია, ირლანდია, საბერძნეთი და ესპანეთი უპირატესობას არაპირდაპირ გადასახადებს ანიჭებენ, მაშინ როდესაც, ჰოლანდიაში, დანიაში, ლუქსემბურგში და ავსტრიაში უპირატესობა პირდაპირ გადასახადებს ენიჭებათ. დაახლოებით თანაბარია პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების წილი ფინეთში და გერმანიაში.

ცენტრალური გადასახადების ძირითად სახეებს კანონმდებლობა მიაკუთვნებს ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადს, იურიდიულ პირთა მოგების გადასახადს, მემკვიდრეობისა და ჩუქებისათვის გადასახადს, დამატებული ღირებულების გადასახადს და აქციზს.

საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემები განვიხილოთ გერმანიის მაგალითზე. გერმანიის გადასახადები – ომის შემდგომი გერმანიის ეკონომიკური განვითარება დაკავშირებულია ცნობილი ეკონომისტისა და სახელმწიფო მოღვაწის, მეურნეობის ყოფილი მინისტრის, ხოლო შემდეგ გერმანიის კანცლერის პროფესორ ლუდვიგ ერჰარდის სახელთან. **ლ. ერჰარდის** დროიდან გერმანიაში დამკვიდრდა საგადასახადო სისტემის აგებულების მნიშვნელოვანი პრინციპები:

- ა) გადასახადები უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მინიმალური;
- ბ) მინიმალური, მინიმალურად საჭირო უნდა იყოს მათი აკრეფის ხარჯები;
- გ) გადასახადები არ უნდა აუქმნიდნენ წინააღმდეგობას კონკურენციას;
- დ) გადასახადები უნდა შეესაბამებოდნენ სტრუქტურულ პოლიტიკას;
- ე) გადასახადები მიმართული უნდა იყოს შემოსავლების სამართლიან განაწილებაზე;
- ვ) სისტემა უნდა აიგოს პიროვნების პირადი ცხოვრების პატივისცემაზე. საგადასახადო ორგანოს მუშაკს არა აქვს უფლება გამოაქვეყნოს ინფორმაცია გადასახადის გადამხდელის შესახებ. კომერციული საიდუმლოების დაცვა უნდა იყოს გარანტირებული;
- ზ) საგადასახადო სისტემა უნდა გამორიცხავდეს ორმაგ დაბეგვრას;
- თ) გადასახადი უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო მომსახურების მოცულობას, მათ შორის პიროვნების დაცვას და ყოველივე იმას, რაც მოქალაქეს შეუძლია მიიღოს სახელმწიფოსაგან.

გერმანიის ძირითად კანონში გადმოცემულია ქვეყნის საგადასახადო სისტემის ძირითადი დებულებები. კონსტიტუციის თანახმად, ბიუჯეტი ყალიბდება საბაჟო მოსაკრებლების, აქციზური მოსაკრებლების, სადაზღვევო მოსაკრებლების, კაპიტალის ბრუნვის გადასახადის, სავექსილო მოსაკრებლის ხარჯზე (ფედერალური გადასახადები).

ფედერალური მიწების ბიუჯეტები ყალიბდება ქონების გადასახადის, მემკვიდრეობის გადასახადის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა გადასახადის, ლუდზე გადასახადის ხარჯზე (ფედერალური მიწების გადასახადები).

შემოსავლების ერთობლივ წყაროს (როგორც ფედერაციისათვის, ასევე ფედერალური მიწებისათვის) წარმოადგენს **საშემოსავლო გადასახადი**, გადასახადი კორპორაციების შემოსავლებიდან, დამატებული ღირებულების გადასახადი (ერთობლივი გადასახადები). მაგალითად, დღგ-ის შემოსავლების 56% ირიცხება ფედერაციის შემოსავალში, ხოლო დანარჩენი 44% –შესაბამისი ფედერალური მიწების შემოსავალში.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს ეკუთვნით საშემოსავლო გადასახადის შესაბამისი წილი, სარეწაო გადასახადი და გადასახადი უძრავი ქონებიდან.

გერმანიის საგადასახადო სისტემა შედგება **38 სახის გადასახადისაგან**, რომელთა ხარჯზეც ფორმირდება მისი ყველა შემოსავლის 60-დან 80 პროცენტამდე. ამასთან, 54%-ს შეადგენენ არაპირდაპირი გადასახადები (დღგ და აქციზი), ხოლო 46%-ს პირდაპირი გადასახადები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ გადასახადებიდან უძრავლეს გადასახადს ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირებაში არ გააჩნიათ პრინციპული მნიშვნელობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ყველა გადასახადი შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად.

I ჯგუფს მიეკუთვნება მსხვილი გადასახადები (მხოლოდ შვიდი გადასახადის სახე), რომლებიც უზრუნველყოფენ საგადასახადო შემოსავლების თითქმის 90%-ს. კერძოდ, მათ მიეკუთვნება ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, სარეწაო გადასახადი, კორპორაციათა გადასახადი, აქციზი ბენზინზე და თამბაქოს ნაწარმზე.

II ჯგუფს მიეკუთვნება საშუალო გადასახადები, მაგალითად: მიწის გადასახადი, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა გადასახადი და სხვა (სულ 13 სახე), რომლებიც უზრუნველყოფენ საგადასახადო შემოსავლების თითქმის 10%.

III ჯგუფს მცირე გადასახადები შეადგენს (სულ 18 სახის, მ.შ. დარჩენილი შენატანები გაუქმებული გადასახადებიდან) და უზრუნველყოფენ საგადასახადო შემოსავლების დაახლოებით 0,4% (აქციზი ყავაზე, შაქარზე, მინერალურ ზეთებზე და სხვა). განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

პირდაპირი გადასახადების ძირითად სახეებს წარმოადგენენ საშემოსავლო გადასახადი და გადასახადი კორპორაციების შემოსავლებიდან.

კორპორაციათა მოგების გადასახადი წარმოადგენს პირდაპირ გადასახადს დაბეგვრას დაქვემდებარებულ ფაქტიურად მიღებული მოგებიდან. ამ გადასახადის ხვედრითი წილი ბიუჯეტის საერთო შემოსავლებში 6 %-ს შეადგენს. გერმანიაში კორპორაციული მოგების გადასახადის განაკვეთია 25%, რომელსაც ემატება სოლიდარობის გადასახადი

5,5% და მუნიციპალური სავაჭრო გადასახადი, რომელიც გაიანგარიშება დასაბეგრი შემოსავლიდან. თუ კორპორაციათა მოგების გადასახადს დავუმატებთ სოლიდარობის გადასახადს და მუნიციპალურ სავაჭრო გადასახადს 14-დან 17%-დე, ფაქტიურად მოგების გადასახადი შეადგენს 38-40%-ს. 2008 წლის 1 იანვრიდან გათვალისწინებულია მოგების გადასახადის შემცირება 15%-მდე, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს კორპორაციათა მოგების დაბეგვრას 30-32%-ის ფარგლებში (1990 წლამდე იყო 56 პროცენტი).

გერმანიაში ფართოდ გამოიყენება **დაჩქარებული ამორტიზაცია**. მაგალითად, სოფლის მეურნეობაში პირველსავე წელს დასაშვებია მოწყობილობების ღირებულების 50%-ის ჩამოწერა, ხოლო პირველ სამ წელიწადში – 80 %-დე. არ იბეგრება გადასახადით **სესხის პროცენტები**.

საშემოსავლო გადასახადი გერმანიაში პროგრესირებდა. მისი მაქსიმალური განაკვეთია 45%, ხოლო მინიმალური განაკვეთი – 15%. მოქმედებს ყოველთვიური დაუბეგრავი მინიმუმი. საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები მოცემულია ცხრილში (2.1):

ცხრილი 2. 1. გერმანიაში მოქმედი საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები

	0-7664	7665-52152	52152- 0000	250001- ზემოთ
გადასახადის განაკვეთი (%)	0	15%	42%	45%

საშემოსავლო გადასახადის დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს ფიზიკური პირის მიერ მიღებული ყველა სახის შემოსავლები, მ.შ. შემოსავლები დაქირავებული მუშაობიდან, თავისუფალი პროფესიების მიმდევარი პირების დამოუკიდებელი საქმიანობიდან, სამეწარმეო საქმიანობიდან ან სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო საქმიანობიდან, კაპიტალიდან, ქონების იჯარიდან ან გაქირავებიდან, აგრეთვე ყველა სხვა სახის შემოსავლები.

დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრის მიზნით შემოსავლებიდან გამოიქვეითება ხარჯები. ამასთან, მხედველობაში მიიღება განსაკუთრებული ხარჯებიც, მაგალითად, ალიმენტი სთანხები, სამედიცინო დაზღვევისა და სიცოცხლის დაზღვევის შენატანები, საეკლესიო გადასახადის თანხები, პროფესიულ განათლებაზე გაწეული ხარჯები და ა.შ. საშემოსავლო (ხელფასიდან) გადასახადის დაკავება დაქირავებული მუშაკებიდან წარმოებს დამქირავებლის მიერ ხელფასის გაცემისას.

ფიზიკური პირის მიერ მიღებული ხელფასიდან გადასახადის გამოანგარიშების მიზნით გამოიყენება `საგადასახადო კლასებისა` და `საგადასახადო სქემების` სპეციალური მექანიზმები. მოცემული მექანიზმები ყოფენ ყველა დაქირავებით მომუშავეს სხვადასხვა ჯგუფად მათი ოჯახური, ფინანსური და ა.შ. მდგომარეობიდან გამომდინარე. მაგალითად, პირველ კლასს მიეკუთვნებიან დაუქორწინებელი პირები, რომლებსაც არ ჰყავდათ შვილები; მეორე კლასს მიეკუთვნებიან დაუქორწინებლები, განქორწინებულები ან ქვრივები, რომელთაც კმაყოფაზე ჰყავთ ერთი ან მეტი ბავშვი და ა.შ.

ხელფასიდან გადასახადის დაკავება წარმოებს საგადასახადო ბარათის საფუძველზე, რომელსაც გასცემს ადგილობრივი მმართველობის ორგანო ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. საგადასახადო ბარათში აღინიშნება საგადასახადო კლასი, კმაყოფაზე მყოფი შვილების რაოდენობა, მუშაკის სარწმუნოება. იქვე აღინიშნება ასაკი, ინვალიდობა და ა.შ.

განვიხილოთ მოგების გადასახადის სრულყოფასთან დაკავშირებული საკითხები

მოგების გადასახადი განეკუთვნება იმ პირდაპირ გადასახადთა კატეგორიას, რომლის ეკონომიკური მიზანშეწონილობა ცალსახად არ არის დასაბუთებული. ამ გადასახადის ირგვლივ არსებობს ექსპერტთა სხვადასხვა მოსაზრებები, რომლებიც რადიკალურად განსხვავებულია ერთმანეთისაგან.

საქართველოს საწარმოთათვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი მოგება, რომელიც განისაზღვრება როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში საწარმოს მიერ მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამავე პერიოდის განმავლობაში ასეთი შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული საგადასახადო კოდექსით ნებადართულ გამოქვითვებს შორის.

საქართველოს საწარმოთა ერთობლივი შემოსავალი შედგება როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ არსებული წყაროებიდან მიღებული შემოსავლებისაგან, ხოლო უცხოური საწარმოებისათვის მოგების გადასახადს იხდიან იმ შემოსავლებიდან, რომლებიც მიღებულია საქართველოში არსებული წყაროდან. ასეთი შემოსავალი შესაძლებელია მიღებული იქნას როგორც მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, ასევე მის გარეშეც. თუ უცხოური საწარმო შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან, მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, მაშინ მოგების გადასახადის გადამხდელია მუდმივი დაწესებულება, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში დადგენილი წესის მიხედვით და მისთვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტის საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავლები შემცირებულია ამ შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული, საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ნებადართული ხარჯებით.

მოგების გადასახადის საგადასახადო ბაზის გაანგარიშებისათვის აუცილებელი მონაცემების შეკრება ხდება საწარმოს საბუღალტრო მონაცემებით. ეს სრულიად შეესაბამება ევრო კავშირის სახელმწიფოებში დადგენილ საგადასახადო ბაზის გაანგარიშების მეთოდს. საწარმოთა საქმიანობის ამსახველი პირველადი დოკუმენტების საბუღალტრო დამუშავება, იგივე სააღრიცხვო რეგისტრებში თავმოყრა და მათ საფუძველზე ფინანსური ანგარიშგების შედგენა არის ის ძირითადი ფუნდამენტი, რომლის საფუძველზეც ხდება საწარმოს დამფუძნებელთა, კრედიტორთა, სახელმწიფოს (საგადასახადო უწყების) და ა.შ. სხვათა საინფორმაციო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

საქართველოში საგადასახადო მოგების გაანგარიშებისათვის გამოიყენება საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემები, რომელთა კორექტირება ხდება საგადასახადო მიზნებისათვის. ხშირ შემთხვევებში საქართველოს საწარმოთა მხრიდან ადგილი აქვს საბუღალტრო აღრიცხვის საგადასახადო მონაცემებამდე (ფინანსური მოგების საგადასახადო მოგებამდე) დაყვანის მცდელობას. მაგალითად, ამორტიზაციის დარიცხვა საგადასახადო მიზნებიდან გამომდინარე, თვითღირებულების გაანგარიშება საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესის მიხედვით და არაბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით, მხოლოდ იმ ხარჯების აღიარება, რომლებიც ნებადართულია საგადასახადო კოდექსით და ა.შ. რაც იწვევს საწარმოს ფინანსური მაჩვენებლების დამახინჯებას და ფინანსური ანგარიშგების არასწორად წარმოდგენას.

მოგების გადასახადის განაკვეთი 2008 წლის 1 იანვრიდან საქართველოში შეადგენს 15%-ს, რაც მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯია საქართველოში ბიზნესის სტიმულირებისათვის. ევროკავშირის სახელმწიფოებში მოქმედ კორპორაციათა მოგების გადასახადის განაკვეთებთან შედარებით შესაძლებელია ითქვას ის დაბალია, მაგრამ აქვე შესაძლებელია მოვიყვანოთ კვიპროსის მაგალითი, სადაც კორპორაციათა მოგების გადასახადი ერთიანია და შეადგენს 10%-ს.

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში უკანასკნელ პერიოდებში აღინიშნებოდა მოგების გადასახადის შემცირების ტენდენცია. ერთდროულად საგადასახადო განაკვეთის შემცირებისა და ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის მიღწევა ძალიან რთულია. ამისთვის მოითხოვება საგადასახადო ბაზის ზრდის სწრაფი ტემპი, რომელიც განპირობებულია საგადასახადო ტვირთის შემცირებით. თავის მხრივ, საგადასახადო ბაზის გაზრდა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა გამოშვებული პროდუქციის რენტაბელობა, საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის სიჩქარე, მუდმივი და ცვალებადი ხარჯების თანაფარდობა და სხვა. გარდა ამისა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზემოთ აღნიშნულ ფაქტორებს გააჩნიათ მკვეთრად გამოხატული დარგობრივი სპეციფიკა. მაგალითად, რენტაბელობა ერთ დარგში შესაძლებელია მაღალი იყოს ვიდრე სხვა დარგში და ა.შ. ამიტომ საგადასახადო

განაკვეთის შემცირებამ შესაძლებელია სხვადასხვა დარგებში მოგვეცეს განსხვავებული შედეგები. შესაბამისად, ერთ დარგში ადგილი ექნება საგადასახადო ბაზის სწრაფ ზრდას და შესაბამისად საგადასახადო შემოსავლების ზრდას, სხვებში კი პირიქით. თუმცა, საგულისხმოა, რომ თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში, მოგების გადასახადის შემცირება, გრძელვადიან პერსპექტივაში განაპირობებდა ბიზნესის განვითარებას და საგადასახადო შემოსავლების ზრდას.

ასევე მიზანშეწონილია განსხვავებულად დაიბეგროს მცირე საწარმოთა მოგება. ამისთვის აუცილებელი გახდება საგადასახადო კოდექსით განისაზღვროს "მცირე საწარმოს" ცნება და ის დამოკიდებული იყოს არა დაქირავებულ თანამშრომელთა რაოდენობაზე, არამედ ბრუნვის სიდიდეზე. მცირე საწარმოებს უნდა მიეცეთ დაბეგვრის რეჟიმის შერჩევის შესაძლებლობა, რომლის შესახებაც საწარმომ უნდა განაცხადოს საგადასახადო წლის დადგომამდე.

რაც შეეხება დაბეგვრის რეჟიმს, უნდა არსებობდეს მცირე საწარმოთა მოგების გადასახადით დაბეგვრის ორი შესაძლო რეჟიმი:

ა) დასაბეგრი მოგების (ერთობლივ შემოსავალი შემცირებული საგადასახადო კოდექსით ნებადართული ხარჯებით) 10%;

ბ) დასაბეგრი ბრუნვის (გამოქვითვების გარეშე) 5%.

ამავდროულად, მცირე საწარმო "ბ" დაბეგვრის რეჟიმის შერჩევის შემთხვევაში უნდა გათავისუფლდეს სხვა ყველა სახის გადასახადისაგან. 0

მოცემული დაბეგვრის რეჟიმის არჩევის შემთხვევაში, მცირე მეწარმეს მას არ უნდა მოეთხოვებოდეს აღრიცხვის წარმოება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით, რაც შეამცირებს მის დამატებით ხარჯებს სააღრიცხვო პერსონალის დაქირავებასთან დაკავშირებით.

მცირე ბიზნესის საწარმოდ არ უნდა განიხილებოდეს საწარმო, რომელიც რეგისტრირებული იქნება დღგ-ს გადამხდელად. ასეთი სახის ცვლილებებით მნიშვნელოვნად შეეწოება ხელი მცირე ბიზნესის განვითარებას. ამალღდება კონკურენცია. მცირე ბიზნესის საწარმოთა რიცხვის ზრდა მნიშვნელოვნად გადაჭრის ქვეყანაში არსებულ დასაქმების პრობლემებს.

საქართველოში მიმდინარე ეტაპზე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ბიზნესის სტიმულირებას, ინვესტიციების ხელშეწყობას.

მოგების გადასახადი არის საწარმოს მოგების ის ნაწილი რომელიც შესაძლებელია გამოყენებული ყოფილიყო საწარმოს გასაფართოვებლად, საინვესტიციო ღონისძიებების განსახორციელებლად.

შესაბამისად საწარმოთა მოგების ის ნაწილი, რომელიც არ იქნება განაწილებული დივიდენდების სახით და მოხმარდება რეინვესტირებას, უნდა დაიბეგროს მოგების გადასახადის განსხვავებული განაკვეთით.

იმის გამო, რომ საწყის ეტაპზე ეს გარკვეულ პრობლემებს შეუქმნის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილს, შესაძლებელია მოგების ეს ნაწილი დაიბეგროს 10% განაკვეთით, ხოლო შემდგომ პერიოდებში მოხდეს დივიდენდების სახით გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრა 0% განაკვეთით. ზემოთ აღნიშნული, ხელს შეუწყობს საწარმოთა საინვესტიციო პროექტების გაფართოებას და **მოგების განაწილებას არა დივიდენდის სახით**, არამედ საწარმოში უკან დაბრუნებას და მოხმარება საწარმოო პროცესებს. აღნიშნული საკანონმდებლო ნორმის შემოღების შემთხვევაში, აუცილებელი გახდება ცალკეული საგადასახადო წესების გამკაცრება, რომ ეს შედეგად ბოროტად არ იქნეს გამოყენებული ურჩი გადამხდელების მიერ. რაც უფრო ლიბერალურია საგადასახადო სისტემა, შესაბამისად მაღალი უნდა იყოს პასუხისმგებლობის ზომა საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის.

საგადასახადო დაგეგმვის განსაზღვრის სხვადასხვა მიდგომების გამოყენების ანალიზის პროცესში იკვეთება **საგადასახადო დაგეგმვის ძირითადი ნიშნები**. კერძოდ:

1) საგადასახადო დაგეგმვა (სდ) წარმოადგენს მმართველობითი საქმიანობის ერთ-ერთ ფუნქციას (სახეს) ორგანიზაციის (მეწარმე სუიექტის) საგადასახადო დატვირთვის ოპტიმიზაციის უზრუნველყოფაში;

2) ტერმინები „საგადასახადო ოპტიმიზაცია“ და „საგადასახადო მინიმიზაცია“ არაიდენტური ცნებებია;

3) საგადასახადო დაგეგმვა ხორციელდება სტრატეგიული ფინანსური დაგეგმვის ჭრილში;

4) საგადასახადო დაგეგმვა სისტემური მიდგომის პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს;

5) საგადასახადო დაგეგმვა ლეგიტიმური ხასიათის საქმიანობას წარმოადგენს;

6) საგადასახადო დაგეგმვამ უნდა მიგვიყვანოს ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ, და, როგორც შედეგი - მისი საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლებისკენ.

როგორც ცნობილია, საგადასახადო დაგეგმვის არსებობა განპირობებულია კერძო სამართლებრივ და ზოგად, საჯარო სამართლებრივი ინტერესთა კონფლიქტით. ნებისმიერ სახელმწიფოში (მათ შორის საქართველოშიც) კერძო საკუთრება დაცულია კონსტიტუციით, და ნებისმიერი კერძო ქონების იძულებითი გამოყენება სახელმწიფოებრივი საჭიროებისთვის შესაძლებელია მხოლოდ მისი ღირებულების წინასწარი და შესაბამის პირობებში ანაზღაურებითამავე დროს გადასახადი

წარმოადგენს დაუბრუნებად გადასახადს, რომლითაც იბეგრება ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების საკუთრებაში არსებული საშუალებები და გასხვისდება მათი ფულადი საშუალებები სახელმწიფოს სასარგებლოდ (ბიუჯეტის შემოსავლები), რომელიც ასევე გათვალისწინებულია ქვეყნის უმაღლესი კანონმდებლობით.

შესაბამისად, სახელმწიფოს მხრად მეწარმე სუბიექტისგან მისი კაპიტალის, შემოსავლების ნაწილის ამოღება, ყოველთვის შეხვედბა მეწარმესაგან გადასახადის შემცირებისაკენ (ან მისი არგადახდის) სწრაფვას. სახელმწიფო ყოველთვის ცდილობს არ დაუშვას სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შემცირება, იყენებს რა ამისთვის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებებს, ხოლო გადასახადის გადამხდელი პირი, კი ისწრაფვის თავი აარიდოს დაბეგვრას (ან შეამციროს მისი სიდიდე).

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შესაძლებელია გადამხდელის ქცევის ოთხი ძირითადი მოდელი გადამხდელის მხრიდან გადასახადების გადახდის მიმართებაში. კერძოდ:

1) **სტანდარტული მოდელი (standart model)** - გადასახადის გადახდა საგადასახადო ოპტიმიზაციის ვარიანტის მოძიების გარეშე;

2) **გადასახადების არ გადახდა (დამალვა) (tox evasion)** - შეგნებულად არაკანონიერი ხერხებით საგადასახადო გადახდების თანხების შემცირება (შემოსავლებისა და ქონების გადამალვა, საგადასახადო ანგარიშების დამახინჯება, ფიქტიური ანგარიშსწორებისა და დოკუმენტების შექმნა და სხვა), რომელზედაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები;

3) **გადასახადებისაგან თავის არიდება, (tax avoidace)** - საგადასახადო ვალდებულებების შემცირება კანონმდებლობაში არსებული კოლიზიისა და დაუხვეწელობისას (ორმაგი აზროვნება) ცნობილი პრინციპის გამოყენებით „რაც არ არის აკრძალული კანონით, ეს დაშვებულია“.

4) **კორპორაციული (საწარმოს) საგადასახადო დაგეგმვა (Tax.planning).** კორპორაციული საგადასახადო დაგეგმვის ელემენტების გამოყენებით შესაძლებელი ხდება ისეთი **სააღრიცხვო პოლიტიკის** შემუშავება-ორგანიზება, რომელიც უზრუნველყოფს კორპორაციის (ფირმის) ისეთი „საგადასახადო ველის“ ფორმირებას, გადასახადების სახეების მიხედვით დაბეგვრის ოპტიმიზაციის პრობლემის გადაწყვეტად, ბიუჯეტში შენატანების გაზრდას, და საბოლოოდ კომპანიის ინვესტიციური მიმზიდველობის ამაღლებასა და მესაკუთრეობის კეთილდღეობის გაჯანსაღებას.

საგადასახადო დაგეგმვის ძირითად პრინციპებად გვევლინება: კანონიერება; ოპტიმალობა; ოპერატიულობა; სარგებლიანობა; ეკონომიკური დასაბუთებულობა და მართებულობა; საგადასახადო ეკონომიკის და დანაკარგების კომპლექსური აღრიცხვა;

ინდივიდუალობა; სისტემურობა. სამეწარმეო პრაქტიკაში გასათვალისწინებელი ზემოთ მოყვანილი ძირითადი პრინციპების გამოყენებაში არსებული შეზღუდვა, რომელშიც იგულისხმევა სამართლებრივი სპეციალური მეთოდების გამოყენების სახელმწიფო პრაქტიკა, რომელიც არსებითად ამცირებს საგადასახადო დაგეგმვის ინსტრუმენტის გამოყენებას კორპორაციულ მმართველობის სფეროებში, კერძოდ გადასახადების დამალვის ან/და არგადახდების ფაქტების აღმოსაფხვრელად შემუშავებულია საგადასახადო დაგეგმვის პროცესის ალგორითმი (იხ. ცხრილი 2. 2).

ცხრილი 2. 2 საგადასახადო დაგეგმვის პროცესის ალგორითმი

კორპორაციული საგადასახადო დაგეგმვის (კსდ)სახეები	ეტაპები	მისაღები გადაწყვეტილებები
სტრატეგიული - კსდ	პირველი	კომპანიის(ფირმის) საქმიანობის სახეებისა და მიზნების შესახებ
	მეორე	ორგანიზაციის ადგილმდებარეობის საუკეთესო ვარიანტის შერჩევა საგადასახადო თვალსაზრისით(მისი მმართველი ორგანოების, ძირითადი საწარმოო და კომერციული ქვედანაყოფებისა და ა.შ.)
	მესამე	კომპანიის(ფირმის) საორგანიზაციო-სამართლებრივი ფორმისა და ორგანიზაციული სტრუქტურის შესახებ
	მეოთხე	საგადასახადო რეჟიმის შერჩევა
ოპერაციული - კსდ	მეხუთე	ორგანიზაციის საადრიცხვო პოლიტიკის შესახებ. იქმნება „საგადასახადო ველი“ კომპანიის მიერ გადასახადების ძირითადი ელემენტების მიხედვით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საგადასახადო შეღავათებისა და ელემენტების გამოყოფას გადასახადების სიდიდის დადგენაში.
	მექვსე	კომპანიის(ფირმის) სახელშეკრულებო პოლიტიკის შესახებ
	მეშვიდე	მიღებული მოგებისა და დანარჩენი დანაზოგების საგადასახადო თვალსაზრისით რაციონალური განთავსებისა და მათი ხარჯვის გზებისა და მეთოდების შერჩევა
	მერვე	საგადასახადო დაგეგმვის პროცესის ორგანიზაცია და კომპანიის საქმიანობაზე კონტროლი-

		მონიტორინგის განხორციელება
შემდგომი - კსდ	მეცხრე	საგადასახადო დაგეგმვის ეფექტურობის შეფასება

არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც სრული და ერთმნიშვნელოვანი თანმიმდევრული ქმედებანი, რომელთა მკაცრად შესრულება აუცილებლად მიგვიყვანს საგადასახადო დაბეგვრის თანხის შემცირებამდე. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ მათმა სრულმა იგნორირებამაც შეიძლება გამოიწვიოს კორპორაციის (ფირმის) საქმიანობის საგადასახადო ბაზის - დაბეგვრის თანხის მნიშვნელოვნად გაზრდა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული გადასახადების რიცხოვნება საკმაოდ მცირეა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში მოქმედ გადასახადებთან შედარებით, სადაც საგადასახადო სისტემის ერთერთი დამახასიათებელი თავისებურება არის გადასახადების მრავალფეროვნება. საქართველოში გადასახადების შემცირება მიზნად ისახავდა საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაციას. გადასახადების სახეობების შემცირება ძირითადად განხორციელდა სხვადასხვა გადასახადების საგადასახადო ბაზების გაერთიანების ხარჯზე. რამდენიმე სახეობის გადასახადმა ასახვა ჰპოვა ერთ გადასახადში. ამიტომ მხოლოდ გადასახადების რაოდენობის შემცირებით არ შეიძლება საუბარი მთლიანად საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაციაზე.

თანამედროვე ეტაპზე საგადასახადო დაგეგმვის საკითხებში არ არსებობს მწყობრი, ერთიანი მეცნიერულად დასაბუთებული თეორიული მიდგომა. მართვის დონის მიხედვით განასხვავებენ სახელმწიფო, კორპორაციულ (საწარმო) და ინდივიდუალურ საგადასახადო დაგეგმვის სახეებს.

კორპორაციული საგადასახადო დაგეგმვის პრაქტიკიდან გამომდინარე, საგადასახადო დაგეგმვის არსს, ძირითად პრინციპებსა და პროცესის მახასიათებლებს, საგადასახადო ოპტიმიზაციის ხერხებს და „საგადასახადო წნეხის“ განსაზღვრის ძირითად მიდგომებს, რომლებიც განაპირობებენ საგადასახადო დაგეგმვის ფუნქციას კორპორაციის (ორგანიზაციის) განვითარების ფინანსური სტრატეგიული დაგეგმვის ჭრილში, რომელიც მიმართულია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ.

შესაბამისად, თანამედროვე ეტაპზე საგადასახადო დაბეგვრის ოპტიმიზაციის პრობლემის გადაწყვეტის, კორპორაციის სადაბეგვრო დატვირთვის და საგადასახადო წნეხის გათვლების უნივერსალური მეთოდის ფორმირებას დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა ენიჭება. ამ მიმართულებით მეცნიერული კვლევების გაგრძელება სამომავლოდ ფრიადსაშურსაქმედგვესახება. ამრიგად, კორპორაციის საგადასახადო დაგეგმვა (კსფ) არის ფინანსური მენეჯმენტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია

ორგანიზაციის (ბიზნესის დარგის) განვითარების ერთიან სტრატეგიული დაგეგმვის ჭრილში, მეურნე სუბიექტების ფინანსურ-სამეწარმეო საქმიანობის სასურველი შედეგის მისაღწევად კანონიერი საგადასახადო დატვირთვის (წნეხის) ოპტიმიზაციის ხერხებს, არა „საგადასახადო მინიმიზაციის“, არამედ „საგადასახადო ოპტიმიზაციის“ გამოყენებით, ორგანიზაციის (კომპანიის) საინვესტიციო მიმზიდველობის ასამაღლებად.

თავი 14. საქართველოს მოსახლეობის სახელმწიფო სამედიცინო-სადაზღვევო მომსახურების ხარისხის მონიტორინგი

როგორც ცნობილია, ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს არა დეტერმინირებულ, შემთხვევით და სტოქასტიკურ მოვლენებს. ამათგან გარკვეული ნაწილი ზოგჯერ მასობრივ ხასიათს ღებულობს. ამიტომ საზოგადოება იყენებს სადაზღვევო (სახელმწიფო და კერძო) სისტემას, რომელიც ითვალისწინებს ცალკეული პირების სოციალური დაცვისა და ქონების ანაზღაურების საფინანსო უზრუნველყოფას. ყველაზე გავრცელებული და დიდმასშტაბიანია **სოციალური დაზღვევა**. სახელმწიფო, ინსტიტუციური ერთეულების

მიზნობრივი სოციალური ანარიცხების ხარჯზე ქმნის ბიუჯეტს, რომელსაც იყენებს მოქალაქეთა დაზღვევისთვის, ავადმყოფობის, ტრამვატიზმის, საპენსიო, მშობიარობის, ჩვილი ბავშვების და სხვათა უზრუნველსაყოფად.

სამედიცინო დაზღვევის განვითარების ტენდენციებისა და თანამედროვე მენეჯმენტის დონის შეფასება-ანალიზი საქართველოში. საქართველოს მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის საბაზრო პრინციპებზე ტრანსპორტაციის პირობებში, ქვეყნის მედიკო-დემოგრაფიული და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე შეფასებულია საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელიც სამწუხაროდ, ავადობის დონის მაღალი მაჩვენებლების დინამიკაში აისახება. ასევე, საზღვარგარეთის ქვეყნების წარმატებული სამედიცინო სადაზღვევო მომსახურების ეფექტურობის მაჩვენებელთა განზოგადებისა და საქართველოში სამედიცინო სადაზღვევო საქმის მოცემულობის შეფასებიდან გამოვლენილ იქნა ქვეყნის მოსახლეობის სოციალური დაზღვევის მენეჯმენტის სრულყოფის აუცილებლობა.

სამედიცინო დაზღვევა არის ორი სახის: **სავალდებულო და ნებაყოფლობითი. სავალდებულო სამედიცინო დაზღვევა** განიმარტება როგორც ჯანმრთელობის სახელმწიფო სოციალური დაზღვევა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის მიერ სამედიცინო და ფარმაცეპტიული დახმარების მიღების თანაბარ შესაძლებლობას, იმ სახსრებით და იმ პირობებით, რომლებიც შეესაბამება სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის პროგრამებს.

ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევა წარმოადგენს "ჯანდაცვის დაფინანსების და მართვის მექანიზმს დაზღვეულებს შორის სამედიცინო რისკის გაერთიანების საშუალებით, სადაც დაფინანსების წყაროებს შეადგენენ ორგანიზაციების, ინდივიდუალური პირების და სახელმწიფოს ფინანსური შენატანები".

სპეციალისტები ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევას განიხილავენ როგორც ეროვნული სოციალური უსაფრთხოების სისტემას, ჯანდაცვის ფინანსური დაცვის მექანიზმს, მოსახლეობის დიდ ნაწილში სამედიცინო რისკის და ფინანსური სახსრების გაერთიანების მეშვეობით, სადაც შენატანების ზომა არ არის დაკავშირებული დაზღვეული პირის რისკის დონესთან და გამოყოფილია სხვა სავალდებულო გადასახადებისაგან.

ჯანმრთელობის დაზღვევის სავალდებულო ფორმით მიიღწევა მოსახლეობის ფართო ფენების მოცვა და ხელმისაწვდომობა ყველა ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში. 2013 წლის 1 თებერვლიდან საქართველოში მინიმალური სადაზღვევო პაკეტით უზრუნველყოფილია საქართველოს ყველა მოსახლე, ხოლო 2013 წლის 1 ივნისიდან ყველამ მიიღო საბაზისო სადაზღვევო პაკეტი.

სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის შესატანების მოცულობას და შეტანის წესს აწესებს ქვეყნის მთავრობა. დაუსაქმებელ მოსახლეობასთან მიმართებაში იგი, დამზღვევად გვევლინება, რადგან მოსახლეობის ნაცვლად იგი იხდის სადაზღვევო შენატანებს, დასაქმებულ მოსახლეობასთან მიმართებაში კი დამზღვევები არიან დამქირავებელი ორგანიზაციები, ინდემწარმეები და თავისუფალი პროფესიის პირები. ორივე შემთხვევაში დაზღვეული არის დაუსაქმებელი ან დასაქმებელი მოსახლეობა. სავალდებულო სამედიცინო დაზღვევას ახორციელებს სახელმწიფო სადაზღვევო ორგანიზაცია, რომელსაც აქვს შესაბამისი სამედიცინო დაზღვევის ლიცენზია.


სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის ფორმატში გასაწევ სამედიცინო მომსახურების გარანტირებული მოცულობა ისაზღვრება ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ და მტკიცდება ქვეყნის მთავრობის მიერ. ეს არის **საბაზო პროგრამა**. ამის შესაბამისად ქვეყნის შიგნით მტკიცდება ტერიტორიული (რეგიონული) პროგრამებიც, ტერიტორიულ პროგრამებში გათვალისწინებული სამედიცინო დახმარების სახეები და პირობები, არ უნდა იყოს საბაზო პროგრამაზე ნაკლები. მასში ჩამოთვლილი უნდა იყოს დახმარება გასაწევ დაავადებათა სახეები, სამედიცინო დახმარების მოცულობა, პირობები და დაფინანსების წყარო, რომელიც შეიძლება იყოს სახელმწიფო ბიუჯეტი, ტერიტორიის ბიუჯეტი, მუნიციპალური ორგანოს (მერია) ბიუჯეტი, სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის სამსახური და სხვა შემოსულობანი.

ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის კუთხით უფლება აქვს: ა) სავალდებულო სამედიცინო მომსახურებით გათვალისწინებული მომსახურების მიღების; ბ) სამედიცინო სადაზღვევო ორგანიზაციის არჩევის; გ) სამედიცინო დაწესებულების და ექიმის ამორჩევის; დ) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამედიცინო დახმარების მიღების (ფაქტიურად გადახდილი სადაზღვევო შესატანების სიდიდესთან კავშირის გარეშე); ე) მისთვის ზარალის (ზიანის) მიყენების შემთხვევაში სათანადო დაწესებულების (დამზღვევი, მზღვეველი თუ სამედიცინო დაწესებულება) მისამართით სარჩელის აღძვრის და სხვ.

სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის ტიპური სქემა (**ნახაზი 2.7**), რომელიც გვიჩვენებს, რომ სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფოებრივი ფონდის და რეგიონების ფონდების შექმნაში ჩართული არიან სახელმწიფო და რეგიონული ბიუჯეტებიც და დამქირავებლებიც ასევე წარმოდგენილი არიან სადაზღვევო ორგანიზაციები, რომლებიც ამ სახის დაზღვევას ახორციელებენ და სამედიცინო დაწესებულებები, რომლებიც დაზღვეულებს სამედიცინო მომსახურებას უწევენ, სადაზღვევო ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების ფარგლებში.

ასეთივე ხელშეკრულება იდება დაზღვეულსა და სადაზღვევო სამედიცინო ორგანიზაციას შორის, რომლის საფუძველზე დაზღვეული იღებს სამედიცინო პოლისს. სავალდებულო სამედიცინო დაზღვევა სოციალურ პრინციპზეა აგებული – მდიდარი იხდის ღარიბის მაგივრად. მოცემულ შემთხვევაში ეს იმას ნიშნავს, რომ გადასახადის

გადამხდელთა სახსრები ნორმატიულ-სულადობრივი პრიციპით უფრო მეტად გადანაწილდება პენსიონერებზე, ბავშვებზე და ავადმყოფებზე. სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის ფონდი მიეკუთვნება არასაბიუჯეტო სოციალურ ფონდების რიცხვს. მისთვის დამახასიათებელია სტანდარტული განაკვეთით სადაზღვევო შენატანის გადახდა წინასწარ დადგენილ ვადებში.



ნახაზი 2.7 სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის სისტემის ტიპური სქემა.

საქართველოში სავალდებულო სამედიცინო დაზღვევა განმტკიცებულია 1997 წელს მიღებული კანონით "სამედიცინო დაზღვევის შესახებ."³⁶ ამ კანონის მიხედვით "საქართველოს მოქალაქე და საქართველოში მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი გარანტირებულია სავალდებულო სამედიცინო დაზღვევით". საქართველოში, 2003 წლიდან ამოქმედდა კანონი "სავალდებულო სოციალური დაზღვევის შესახებ"³⁷, ხოლო კანონი "სამედიცინო დაზღვევის შესახებ" გაუქმდა.

ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევის თავისებურებებს შეადგენენ:³⁸

1) იგი სავალდებულოა მოსახლეობის განსაზღვრული ნაწილისთვის ან მთელი წევრებს, ასევე თვითდასაქმებულებს;

2) დაზღვეული პირები იხდიან რეგულარულ შენატანებს, რომლის ზომა ხელფასზეა დამოკიდებული და არა დაზღვეულის ჯანმრთელობის რისკზე. სადაზღვევო შენატანებს იხდიან როგორც დაქირავებულები, ისე დამქირავებლები;

3) საჭიროება და არა გადახდისუნარიანობა განსაზღვრავს სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობას (მინიმალური ბაზისური პაკეტი წინასწარაა დადგენილი. დაზღვეულებს შეუძლიათ გააკეთონ თანაგადახდა ან შეიძინონ დამატებითი სამედიცინო მომსახურება);

4) სოციალური სოლიდარობა წარმოადგენს დაზღვევის ამ ფორმის მთავარ პრინციპს. იგი გულისხმობს სისტემის შიგნით ჯვარედინი სუბსიდირების მაღალ დონეს მდიდარსა და ღარიბს, მაღალრისკიანსა და დაბალრისკიანს შორის. დაცულია რისკის კორექციის სქემა;

5) შედარებით ნაკლებია მთავრობის მარეგულირებელი როლი;

6)სავალდებულო დაზღვევის ფონდში შენატანები გამოყოფილია საერთო გადასახადებისაგან.

ამ მთავარი თავისებურებების გარდა, ჯანმრთელობის სავალდებულო სოციალური დაზღვევისთვის დამახასიათებელია სხვა საერთო, მაგრამ არააუცილებელი ნიშნებიც³⁶, როგორებიცაა:

1)სახელმწიფო სოციალურ მხარდაჭერას უწევს უმწეო მოსახლეობას, კერძოდ ბავშვებს, ინვალიდებს, მოხუცებს. მოსახლეობის ამ ჯგუფებს სახელმწიფო მთლიანად ან ნაწილობრივ აფინანსებს საერთო გადასახადების მეშვეობით;

2)დამქირავებლებს და დაქირავებულებს აქვთ გარკვეული პასუხისმგებლობა სადაზღვევო შენატანების ფონდის მართვაში;

3)რამდენიმე სადაზღვევო ფონდის არსებობის შემთხვევაში დაზღვეულებს უფლება აქვთ ამოირჩიონ მათთვის სასურველი დაზღვევის ფონდი.

4)პაციენტებს უფლება აქვთ ამოირჩიონ ექიმი ან სამედიცინო დაწესებულება;

36. კანონი „სამედიცინო დაზღვევის შესახებ“ .1997წ.

37. კანონი „სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის შესახებ.“2003. გვ. 324-325.

38. კანონი, იქვე : გვ. 326.

39. კანონი „სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის შესახებ.2003. გვ 326.

5)სხვადასხვა ფონდებს შეიძლება განსხვავებული დაზღვევის ბაზისური პაკეტები გააჩნდეთ.

სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის დროს პირდაპირი კავშირი არსებობს სადაზღვევო შენატანების განხორციელებასა და სამედიცინო მომსახურების სარგებლისმიღებასთან, თუმცა, არის გამონაკლისებიც. როცა სავალდებულო სადაზღვევო შენატანები არ არის საკმარისი მოსახლეობის უნივერსალური მოცვისთვის (რადგან მოცული მოსახლეობის რაოდენობა აღემატება სავალდებულო სადაზღვევო შენატანების გადამხდელთა რაოდენობას), მაშინ სახელმწიფო ახორციელებს მის სუბსიდირებას. ასე ხდება საქართველოში, რუსეთში, სომხეთში და სხვაგან. ასეთი

დაფინანსების წილი ნაკლებია განვითარებულ ქვეყნებში. მაგალითად, გერმანიაში სახელმწიფოს სუბსიდირების წილი მხოლოდ 7,8%-ია.

ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევის ზემოთ განხილული შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება გამოვკვეთოთ მისი **პრინციპები**:

- 1) თანასწორობა (ანუ სათანადო და ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების ყველასათვის ერთნაირად მიღების შესაძლებლობა);
- 2) ექიმის თავისუფალი არჩევა (ყველა ქვეყანაში ეს არ არის დაშვებული, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში დაზღვეულს ექიმის არჩევაც შეუძლია და სამედიცინო დაწესებულებისაც);
- 3) სოლიდარობა (სამედიცინო მომსახურების ერთნაირად მიღების უფლება აქვთ მაღალშემოსავლიან პირებსაც და დაბალშემოსავლიანებსაც. ასეთ დროს ისინი შემოსავლის მოცულობიდან გამომდინარე იხდიან სადაზღვევო შენატანებს (პრემიას). ასე რომ, მაღალშემოსავლიანი პირები მეტს იხდიან და ამ გზით ეხმარებიან დაბალშემოსავლიანებს, ჯანმრთელები ეხმარებიან ავადმყოფებს, ახალგაზრდები - ასაკოვნებს, მარტოხელა და უშვილო წყვილები - ოჯახებს);
- 4) დაზღვეულის თანამონაწილეობა (სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის პირობებში სამედიცინო მომსახურების მიღებისას დაშვებულია თანაგადახდა, ანუ დაზღვეულს სურვილის შემთხვევაში შეუძლია მომსახურების დამატებითი პაკეტის შეძენა საკუთარი სახსრებიდან);
- 5) სავალდებულო შენატანების გადახდა (სავალდებულო სამედიცინო დაზღვევა, როგორც წესი, შენატანებით ხორციელდება. მათი გაწევა სავალდებულოა);
- 6) შეზღუდვები (ზოგიერთ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში მაღალშემოსავლიანებზე არ ვრცელდება სავალდებულო სამედიცინო დაზღვევა. მათი შემოსავალი აძლევთ მათ კერძო დაზღვევის დაფინანსების საშუალებას. შეზღუდვაა ისიც, რომ სავალდებულო დაზღვევაში არ შედის კბილის პროტეზირება, ძვირადღირებული მედიკამენტები და სხვ.);
- 7) დეცენტრალიზაცია (სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის ფონდი უმრავლეს ქვეყნებში დეცენტრალიზებულია, ანუ ერთიან სახელმწიფო ფონდს რეგიონებში აქვს ფილიალები).

სავალდებულო სამედიცინო დაზღვევით მოსახლეობის მოცვა სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვანაირია. უნივერსალური მოცვა არსებობს შვეიცარიაში (100%), საფრანგეთში (100%), ბელგიაში (99-100%), ნიდერლანდებში (100%), ავსტრიაში (99%), ლუქსემბურგში (97-99%). შვეიცარიამ ამას მიაღწია 1996 წელს, საფრანგეთმა - 2000 წელს, ბელგიამ 1998 წელს და ა. შ.

ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევას **დადებითი მხარეებიც** აქვს და **უარყოფითიც**.

დაზღვევის **დადებით** მხარეებს მიეკუთვნება:

- ჯანდაცვის სისტემისთვის საჭირო რესურსების გაზრდა (ჯანმრთელობის სავალდებულო სადაზღვევო შენატანები მნიშვნელოვნად ზრდის სამედიცინო დახმარების დაფინანსებას. ეს დაფინანსება უფრო ეფექტურიც არის, რადგან ამ შენატანების შეგროვებაც ადვილია და თანაც მისი ხარჯვა არის მიზნობრივი. ეს მოსახლეობას რწმენას მატებს, რომ მათ მიერ გადახდილი სადაზღვევო პრემია, მხოლოდ სამედიცინო მომსახურების დაფინანსებას მოხმარდება);
- ნაკლები დამოკიდებულება ბიუჯეტზე (ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევა ნაკლებად არის დამოკიდებული სახელმწიფოზე, მის პოლიტიკურ პრიორიტეტებზე, მის ბიუჯეტზე. ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევით იქმნება სპეციალიზებული დაზღვევის ფონდი, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს სახელმწიფო ბიუჯეტთან. თუმცა, არის გამონაკლისი, როცა ეს ფონდი საკმარისი არ არის, მაშინ სახელმწიფო ახდენს მის დამატებით სუბსიდირებას);
- რედისტრიბუციის (სოლიდარობის) მაღალი დონე (ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევას ახასიათებს სოლიდარობის მაღალი დონე მაღალშემოსავლიანობიდან დაბალშემოსავლიანებზე ჯვარედინი სუბსიდირების გზით);
- ძლიერი მხარდაჭერა მოსახლეობის მხრიდან (რადგან დაზღვეული იხდის სადაზღვევო პრემიას), მას უფრო მეტად აქვს სამედიცინო მომსახურების მიღების უფლება. ამასთან, რიგ ქვეყნებში დაზღვეულები სავალდებულო დაზღვევის ფონდების მართვაშიც მონაწილეობენ, რის გამოც დაზღვევის ამ ფორმას მოსახლეობის მხრიდან დიდი მხარდაჭერა აქვს.
ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევის უარყოფითი მხარეებია:
- ღარიბი, გადახდისუუნარო მოსახლეობის შესაძლო გამორიცხვა დაზღვევის ამ ფორმიდან (ჩვეულებრივად, მოსახლეობის ამ ფენის სამედიცინო მომსახურების სუბსიდირებას ახდენს სახელმწიფოს მთავრობა ბიუჯეტიდან, მაგრამ თუ სახელმწიფო ბიუჯეტს ამის რესურსი არა აქვს, მაშინ ასეთი მოსახლეობა მართლაც დარჩება სავალდებულო დაზღვევის გარეთ);
- მართვის სირთულე და მაღალხარჯიანობა (ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევა საკმაოდ რთული სისტემაა. მასში ჩართულია მრავალი მზღვეველი, დამზღვევი და დაზღვეული, რომელთაც ერთმანეთთან მომსახურებითი ურთიერთობებიც აქვთ და ფინანსურიც. თუ ეს ურთიერთობები სწორი საზედამხედველო ღონისძიებებით არ იმართა, მაშინ დაზღვევის ეს ფორმა არ იქნება ეფექტური);
- ქრონიკული დაავადებების და პრევენციული დახმარების ნაკლები მოცვა (რადგან ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევის დროს ჯანდაცვის სახელმწიფო სერვისებსა, კერძო პროვაიდერებსა და სადაზღვევო ფონდებს შორის ხშირ შემთხვევებში არ არის ძლიერი და ადეკვატურად კოოპერირებული კავშირი, დაზღვევის ეს სისტემა არ წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას

ქრონიკული დაავადებების მკურნალობისთვის და პრევენციული ღონისძიებებისთვის.

კვლევები გვიჩვენებს, რომ საქართველოს მოსახლეობის ავადობის დონის დინამიკის, როგორც სამედიცინო დაზღვევის განვითარების საფუძვლის, რეტროსპექტული ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ პირველადი დიაგნოზით რეგისტრირებულ დაავადებათა რიცხვი 2005 წელს 695 ათასიდან გაიზარდა 1795,8 ათასამდე 2013 წელს, ანუ 2,5-ჯერ, ხოლო 0-14 წლამდე ბავშვებში 258,3 ათასიდან 473,1 ათასამდე, ანუ 1,8-ჯერ.

ამის შედეგია, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის მაჩვენებლები საშუალო ევროპულ პარამეტრებთან შედარებით ძალზე დაბალია. გამოკვლევით დადგენილია, რომ საქართველოში მცხოვრებთა სიცოცხლის განმავლობაში 6,9 წელი ავადმყოფობს (იაპონიაში იგი 4,5 წელია), მოკვდაობის მაჩვენებელმა 2013 წელს ყოველ 1000 კაცზე ანგარიშით შეადგინა 10,8 კაცი (აშშ-ში 5,2-ია, ისრაელში 5,5, თურქეთში 5,9 და ა. შ.). საგანგაშოა მოსახლეობის კვლავწარმოების მაჩვენებლების - შობადობა, ბუნებრივი მატება, მკვდრადშობადობა და ა. შ.

DMCG და Oxford Policy Management (OPM) მიერ მომზადებულ კვლევაში - **”ჯანმრთელობის ხელშეწყობის სტრატეგია საქართველოსთვის 2010-2015 წლებში”** [111] მითითებულია: ”შემაშფოთებელია, რომ საქართველოში ჯანმრთელობის მდგომარეობის მაჩვენებლები საშუალო ევროპულ პარამეტრებთან შედარებით გაცილებით დაბალია.

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა საქართველოში 2007 წელს იყო - 75,1 წელს ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობა ყოველ 1000 ცოცხლადშობილზე - 14, დედათა სიკვდილიანობა - 15,6” . ეს მაჩვენებლები შედარებით გაუმჯობესდა 2013 წელს და შეადგინა: ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობამ - 11, დედათა სიკვდილიანობამ - 14. 73,2 წელი დაფიქსირდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საშუალო ოჯახი შემოსავლის 34%-ს ჯანდაცვაზე ხარჯავს, ცხოვრების მძიმე პირობების გამო, ავადობის შემთხვევები და, აქედან გამომდინარე, სამედიცინო დაწესებულებებში ექიმთან მიმართვების შემთხვევები, წლითიწლობით იზრდება. ამ მაჩვენებელმა 2007 წელს - 6961800, 2010 წელის კი - 7623100 შეადგინა. განსაკუთრებით გაზრდილია პირველადი დიაგნოზით რეგისტრირებულ დაავადებათა რიცხოვნობა. 2005 წელს საქართველოში ასეთი რეგისტრირებულ დაავადებათა რიცხოვნობა. 2005 წელს საქართველოში ასეთი 695 ათასი შემთხვევა იყო დაფიქსირებული, 2013 წელს კი 1795,8 ათასი.

ცხ.2. 3. საქართველოში მოსახლეობის ავადობა დაავადებათა ჯგუფების მიხედვით

	2005	2006	2007	2008	2009	2013	%
პირველადი დიაგნოზით	695.	7610.0	767.8	807.5	1169.	1795	25

რეგისტრირებული დაავადებების რიცხოვნობა, ათასი შემთხვევა.	2				5	,8	8,3
მათ შორის:	54.0	44.9	50.8	47.1	63.5	104,9	192,5
ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული დაავადება	8.4	9.2	7.5	7.9	13	16,6	157,6
ახალწარმონაქმნები	8.5	9.4	10.3	11.7	17.7	17	198
სისხლისა და სისხლმდენი ორგანოების ცალკეული დარღვევები	31.5	27.7	27.3	30.6	40.1	66,8	215,5
ენდოკრინული სისტემების, კვებისა და ნივთიერებათა ცვლით გამოწვეული დარღვევები	7.0	6.8	5.6	9.7	5.1	7,5	107
ფსიქიური და ქცევითი აშლილობები	54.9	31.9	26.0	29.0	45.5	58	105,4
ნერვული სისტემის დაავადებები	–	30.1	24.5	35.1	47.8	92	–
თვალისა და მისი დანამატების დაავადებები	–	16.0	15.4	19.9	28.3	55,1	–
სისხლის მიმოქცევის დაავადებები	22.5	83.2	71.2	74.4	96.0	196,8	240
სუნთქვის ორგანოების დაავადებები	249.1	313.8	288.8	299.8	447.6	559	223,6
საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებები	84.9	56.6	120.7	92.4	166.0	292,4	347
კანის და კანქვეშა უჯრედების დაავადებები	23.3	27	27	29.1	40.2	62,7	273
ძვალკუნთოვანი და შემაერთებელი სისტემის დაავადებები	13.2	17.8	17.1	26.1	32.2	58,2	446
შარდსასქესო სისტემის დაავადებები	31.6	40.4	33.8	48.3	64.7	111,2	358
ორსულობა-მშობიარობების გართულებები	8.2	9.5	7.2	8.5	9.5	14,6	187,5
პერინატალურ პერიოდში წარმოშობილი ცალკეული მდგომარეობები	2.5	2.0	1.9	2.1	1.9	2,7	108
თანდაყოლილი ანომალიები	1.1	1.3	1.3	1.7	1.9	2,7	245

ნორმიდან გადახრილი სიმპტომური ნიშნები	2.5	4.0	2.9	4.9	6.6	-	-
ტრავმები, მოწამვლა და სხვ.	32.0	29.7	28.7	29.2	41.1	-	-

ავადობასთან პირდაპირ კავშირშია სიკვდილიანობაც. 2011 წელს საქართველოში - 48819 ადამიანია გარდაცვლილი, მათ შორის 47505 ადამიანი სხვადასხვა ავადმყოფობის მიზეზით არის გარდაცვლილი. 2013 წელს ავადმყოფობით გარდაცვლილია - 48553 კაცი. ავადობა და სიკვდილიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანთა მკვლელობებთან - ალკოჰოლთან, ნარკოტიკთან, თამბაქოს წევასთან და საერთოდ არაჯანსაღ კვებასთან. ამ ჩვევების აღმოსაფხვრელად სამთავრობო ღონისძიებების გატარებაა საჭირო. ქვეყანაში ავადმყოფობის სამკურნალოდ სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და უახლესი სამედიცინო ტექნოლოგიებით აღჭურვა აუცილებელია. შესაბამისად, მოსაწერიგებელია სოციალური დახმარების უზრუნველყოფა, რომლის ერთ-ერთი გზა არის სამედიცინო დაზღვევა.

პრაქტიკა მოწმობს, რომ მსოფლიო სამედიცინო დაზღვევის წინაშე ერთნაირი ამოცანებია, კერძოდ ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ეფექტიანობის ამაღლება, სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და ჯანმრთელობის უზრუნველყოფაზე გასაწევი ხარჯების ზრდის შემცირება. მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის სამედიცინო ანაზღაურების ძირითადად გავრცელებულია ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსების სამი სქემა: 1) ბიუჯეტური დაფინანსება; 2) სოციალური (სადაზღვევო) დაფინანსება; 3) ფასიანი მომსახურება. თუმცა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში შერეული სქემებია გამოყენებული. მაგალითად, აშშ-ში, დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში გამოყენებულ ჯანმრთელობის დაფინანსების სქემებში ბიუჯეტური დაფინანსება, სოციალური დაზღვევა, კერძო დაზღვევა და ფასიანი მომსახურება შემდეგი ხვედრითი წილებით არის წარმოდგენილი (იხ. ცხ. 2.4).

ცხ. 2.4 ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსების წყაროები აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში და გერმანიაში (%-ში)

ქვეყნები	დაფინანსების წყაროები			
	ბიუჯეტური დაფინანსება	სოციალური სადაზღვევო დაფინანსება	კერძო დაზღვევა	ფასიანი მომსახურება
აშშ	35	0	30	35
დიდი ბრიტანეთი	85	0	5	10

გერმანია	13	60	16	11
----------	----	----	----	----

აშშ-ში, დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსების სხვადასხვა ხვედრითი წილები განპირობებულია ამ ქვეყნების ეკონომიკური, სოციალური, ეთნიკური, პოლიტიკური პირობებით და აგრეთვე, ეროვნული ტრადიციებით.

ზოგიერთ ქვეყნებში ჭარბობს ბიუჯეტური დაფინანსება, ზოგან - სოციალური დაზღვევა ანუ სავალდებულო სამედიცინო დაზღვევა, ზოგან კი კერძო სამედიცინო დაზღვევა (რაც შეეხება პაციენტების მიერ ანაზღაურებულ სამედიცინო მომსახურებას მისი წილი სამედიცინო მომსახურების საერთო დანახარჯებში 5-30%-ის ფარგლებში მერყეობს). სწორედ ამ ნიშნებით მსოფლიოს ქვეყნები ასე ჯგუფდება:

I ჯგუფი - ქვეყნები განვითარებული სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის სისტემით. მათ რიცხვშია: გერმანია, საფრანგეთი, ბელგია, ჩილე, იაპონია, ავსტრია, პოლონეთი, ლუქსემბურგი და შვეიცარია.

II ჯგუფი - ქვეყნები განვითარებული ბიუჯეტური დაფინანსების სისტემით. მათ რიცხვშია: იტალია, დიდი ბრიტანეთი, ნორვეგია, ახალი ზელანდია, ჩინეთი და სხვ.

III ჯგუფი - ქვეყნები განვითარებული კერძო დაზღვევის სისტემით. მათ რიცხვშია: აშშ, ნიგერია, ტოგო, უგანდა, ტუნისი და სხვები.

ორგანიზაციულ-ფინანსური თავისებურებებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მეცნიერი ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციას ყოფს შემდეგ ფორმებად:

- 1) ბისმარკის (სადაზღვევო) მოდელი;
- 2) ბევერიჯის (ეროვნული) მოდელი;
- 3) სოციალისტური (სახელმწიფოებრივი) მოდელი (ე. წ. სემეშკოს მოდელი);
- 4) კერძო მოდელი.

ბისმარკისეული სისტემა სოციალურ დაზღვევასთან ასოცირდება, ბევერიჯის სისტემა - ბიუჯეტურ დაფინანსებასთან, სოციალისტური - მთლიანად უფასო სამედიცინო მომსახურებასთან, ხოლო კერძო - ფასიან მომსახურებასთან, ანუ როცა პაციენტი მიღებულ სამედიცინო მომსახურებაზე თვითონ იხდის ფულს თავისი საკუთარი სახსრებიდან.


ბისმარკისეული სისტემა ამჟამად არსებობს ავსტრიაში, ბელგიაში, გერმანიაში, შვეიცარიაში, იაპონიაში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში. ეს არის ქვეყნები, რომლებშიც ჯანმრთელობის დაცვის საზოგადოებრივი ფონდები ძირითადად მუშა-მოსამსახურეთა და მეწარმეთა შენატანებით იქნება და სახელმწიფო ამ ფონდების შექმნაში მინიმალურ მონაწილეობას იღებს.

ამის მიუხედავად, ამ ქვეყნებში ამ ფონდებს სახელმწიფო აკონტროლებს. სავალდებულო სამედიცინო დაზღვევით მოცულია მოსახლეობის 80-დან 99,8%-მდე. სამედიცინო დახმარების მიღებისას და ნებაყოფლობითი სამედიცინო დაზღვევის პროგრამის შესრულებისას ფართოდ გამოიყენება თანაგადახდა (თანადაფინანსება).

სამედიცინო დაზღვევის ბევრიჯული ბიუჯეტური სისტემა გავრცელებულია დიდ ბრიტანეთში, იტალიაში, კანადაში, საბერძნეთში და ჩრდილო ევროპის ქვეყნებში, სადაც სამედიცინო სადაზღვევო ფონდების 50-90%-ს ჰქმნის მთავრობა.

დიდ ბრიტანეთში ჯანმრთელობის დაცვის მართვის სახელმწიფო ფუნქცია გამოიხატება მხოლოდ ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის შეგროვებაში, რომლის ანალიზი მას აძლევს საკანონმდებლო ინიციატივების მომზადების და სისტემის საერთო მეთოდურ ხელმძღვანელობის განხორციელების საშუალებას. ამის გარდა, ცენტრალური ხელისუფლების ხელში დარჩა სასწრაფო დახმარების ფონდები (სარეზერვო) და ჯანმრთელობის დაცვის, როგორც საერთო ნაციონალური სისტემის განვითარების საინვესტიციო ფონდები.

ჯანმრთელობის ეროვნულ სამსახურს და მთელ სამედიცინო დაზღვევის ორგანიზაციებს აფინანსებს სახელმწიფო (ნახ. 2.8), თუმცა დაშვებულია და სტიმული აქვს კერძო დაზღვევას და კერძო სამედიცინო მომსახურებასაც.



ნახ.2. 8 სამედიცინო დაზღვევის ბევრიჯის მოდელი

სემაშკოს მოდელის პირობებში სამედიცინო მომსახურება ცენტრალიზებულია და მისი დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხდება. ეს მოდელი საყოველთაო უფასო ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის გარანტიას იძლეოდა ყველასთვის თანაბრად. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის ჯანმრთელობის დაცვაში დაინერგა სავალდებულო და ნებაყოფლობითი დაზღვევა. პირველი მოქმედებს 1993 წლიდან და მოიცავს ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევის ფედერალურ ფონდსა და ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევის ტერიტორიულ ფონდებს. ფედერალურ სავალდებულო სამედიცინო სადაზღვევო ფონდი არეგულირებს 89 ტერიტორიულ სავალდებულო სამედიცინო სადაზღვევო ფონდს. ტერიტორიული ფონდები ახორციელებენ

სადაზღვევო შემოსავლების შეგროვებას და მათ განაწილებას. დადგენილია სადაზღვევო შენატანების ორი კატეგორია: დასაქმებულებზე იხდიან დამსაქმებლები, დაუსაქმებლებზე - ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები.

გარდა სავალდებულო სამედიცინო დაზღვევისა, არსებობს **ნებაყოფლობითი (კერძო) სამედიცინო დაზღვევაც**. იგი დაზღვეულის რისკით ხორციელდება. მისით სარგებლობის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. ნებაყოფლობითი სამედიცინო დაზღვევის პროგრამა განისაზღვრება მზღვეველსა და დამზღვევს შორის დადებული დაზღვევის ხელშეკრულებით. ნებაყოფლობითი სამედიცინო დაზღვევის უფლება აქვს ნებისმიერ ლიცენზირებულ სადაზღვევო ორგანიზაციას.

ნებაყოფლობითი სამედიცინო დაზღვევა წარმოადგენს სავალდებულო დაზღვევის დანამატს და იგი მოსახლეობას დამატებითი სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფს. რომლის ანაზღაურება ხდება მოსახლეობის ბიუჯეტიდან. ნებაყოფლობითი სამედიცინო დაზღვევა არის ინდივიდუალური (როცა ადამიანი ინდივიდუალურად დაეზღვევა სადაზღვევო კომპანიაში) და კორპორაციული (როცა კომპანიის თანამშრომელთა ჯგუფი კოლექტიურად დაეზღვევიან სადაზღვევო კომპანიაში). ორივე შემთხვევა ნებაყოფლობითია და იგი ამ ადამიანების სურვილზეა დამოკიდებული.

საერთოდ ნებაყოფლობითი დაზღვევა, თუ იგი კარგი პირობებით შესრულდა, ამაღლებს ქვეყანაში არსებულ მოსახლეობის გარანტირებულ სამედიცინო მომსახურების დონეს, რომელსაც სახელმწიფო ეწევა საბიუჯეტო და სხვა საერთო-სახელმწიფოებრივი სახსრებით.


ნებაყოფლობით სამედიცინო დაზღვევის სისტემაში, ისე როგორც სავალდებულო დაზღვევაში, მონაწილეობენ დაზღვეული, მზღვეველი და დამზღვევი, ან უშუალოდ დაზღვეული და მზღვეველი. დაზღვეული არის ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი. ისინი დაზღვეულის როლშიც გამოდიან. მზღვეველი კი არის ლიცენზიის მქონე სამედიცინო სადაზღვევო ორგანიზაცია. როგორც სავალდებულო, ისე ნებაყოფლობითი სამედიცინო დაზღვევის დროს, დაზღვეულს სამედიცინო მომსახურებას უწევს სამედიცინო დაწესებულება, რომლის არჩევის უფლებაც აქვს დაზღვეულს.

ნებაყოფლობითი სამედიცინო დაზღვევის დროს დაზღვეული უფლებამოსილია აირჩიოს სადაზღვევო ორგანიზაცია და განახორციელოს კონტროლი სამედიცინო დაზღვევის ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე, მზღვეველი კი უფლებამოსილია აირჩიოს სამედიცინო დაწესებულება, განსაზღვროს სადაზღვევო შესატანის მოცულობა და იგი გამოიყენოს კანონით განსაზღვრული წესით, შეამოწმოს სამედიცინო დაწესებულების მიერ დაზღვეულისთვის გაწეული მომსახურების ხარისხი და სხვ. ამასთან, მათ აქვთ ვალდებულებებიც, - დაზღვეულს ევალება დროულად და სრულად გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი, მზღვეველს კი - უზრუნველყოს დაზღვეულის სათანადო სამედიცინო მომსახურება, ნორმატივების დაცვით შექმნას სამედიცინო დაზღვევის ფონდი და ა. შ.

როგორც სავალდებულო სამედიცინო, ისე ნებაყოფლობით სამედიცინო დაზღვევას თავისი წარმოშობის მიზეზები აქვს. სავალდებულო სამედიცინო დაზღვევა არის სახელმწიფო ხელისუფლების სოციალური პოლიტიკის ნაწილი და მის წარმოქმნას პაციენტების სოციალური დაუცველობის საფრთხე წარმოადგენს. სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის მიზანია მოსახლეობისთვის სტაბილური ჯანრთელობის გარანტიების შექმნა რაც შეეხება ნებაყოფლობით სამედიცინო დაზღვევის ფენომენს, მისი წარმოშობის მიზეზი განსხვავებულია. როგორც ცნობილია, სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის მოცულობა და ავადმყოფობის სახეები ანუ ავადმყოფობის ხარჯების დაფარვა ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეზე არის დამოკიდებული. სავალდებულო დაზღვევის სახელმწიფო ფონდიდან ძირითადად იფარება სამედიცინო მომსახურების მინიმალური ჩამონათვალი (სასწრაფო დახმარება, პოლიკლინიკის მომსახურება და ზოგიერთი სხვ.). მაგრამ ამ მინიმუმსაც აქვს ზედა და ქვედა ზღარი.

ამის გარდა, რჩება სამედიცინო მომსახურების მთელი სპექტრი - განსაკუთრებით ძვირადღირებული მკურნალობა, ძვირადღირებული ოპერაციები, სერვისული მომსახურება და სხვა, რომელიც არ შედის სავალდებულო სამედიცინო დაზღვევაში. არცთუ იშვიათად, ადამიანებს სჭირდებათ ასეთი მომსახურებაც. ამას ემატება პაციენტის მიერ კონფორტული მომსახურების სურვილი (ცალკე პალატა, 24 საათიანი მორიგე ექთანი, წამყვან სპეციალისტთან მკურნალობა და ა. შ.), და კიდევ, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, სავალდებულო სამედიცინო დაზღვევით მიღებულ მომსახურების დაბალი ხარისხი. ეს ფენომენი პოსტსოციალისტურ (ყოფილ საბჭოთა კავშირის) ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც ვლინდება.

შესაბამისად, სწორედ ზემოთ აღნიშნულმა მიზეზებმა წარმოშვა ნებაყოფლობითი სამედიცინო დაზღვევა, რომლის მოცულობაც, ტარიფებიც, მომსახურების სახეებიც და სხვა პირობებიც მზღვეველის და დაზღვეულის ურთიერთშეთანხმებით დგინდება. ნებაყოფლობით სამედიცინო დაზღვევაში და დაზღვევით სამედიცინო მომსახურების მიღებაში მხარეების ურთიერთობის სქემა სავალდებულო დაზღვევის მსგავსია (ნახაზი 2.9). განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ სავალდებულო დაზღვევის დროს დამზღვევის როლში გამოდის ქვეყნის მთავრობა, მუნიციპალიტეტი და დამქირავებლები, ნებაყოფლობითი დაზღვევის დროს კი ან უშუალოდ ფიზიკური პირი



ნახაზი 2.9 ნებაყოფლობით სამედიცინო დაზღვევაში და დაზღვეული სამედიცინო მომსახურების პროცესში მონაწილეთა ურთიერთობის სქემა.

როგორც უკვე აღინიშნა, სავალდებულო და ნებაყოფლობით სამედიცინო დაზღვევებს აქვთ როგორც მსგავსი, ისე განმასხვავებელი ნიშნები (იხ. ცხრილი 2.5). მსგავსება იმაშია, რომ ორივე ჯანმრთელობის დაზღვევაა და ორივე ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებას ემსახურება. განსხვავება კი იმაშია, რომ ნებაყოფლობით დაზღვევა არის კომერციული საქმიანობა, სავალდებულო კი - არა, სავალდებულო სამედიცინო დაზღვევა ყველა მოსახლეობაზე ვრცელდება, ნებაყოფლობითი - არა, სავალდებულო დაზღვევის დაფინანსება ძირითადად ერთიანი სავალდებულო დაზღვევის ფონდიდან ხდება, ნებაყოფლობითი კი პაციენტების პირადი სახსრებიდან და ა. შ.

ცხრ.2.5

სავალდებულო და ნებაყოფლობით სამედიცინო დაზღვევების დახასიათება

ნიშან-თვისება	ნებაყოფლობითი სამედიცინო დაზღვევა	სავალდებულო სამედიცინო დაზღვევა
დაზღვევისადმი დამოკიდებულება	არის სოციალური დაზღვევის სახესხვაობა	არის სოციალური დაზღვევის სახესხვაობა
სადაზღვევო ინტერესების ორიენტაცია	კერძო სამეწარმეო საქმე	სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ნაწილი
დაზღვეულის მიზანი	საკუთარი სახსრების ხარჯზე დამატებითი სამედიცინო დახმარების მიღება	უფასოდ სამედიცინო დახმარების გაწევა/მიღება
დამზღვევის ფინანსური მიზანი	მოგების მიღება	არამომგებიანი
დაზღვევის ჩატარების ფორმა	ნებაყოფლობითი (სურვილის მიხედვით)	სავალდებულო (იძულებითი)

დაფინანსების წყაროები	კერძო (საკუთარი სახსრები, დამქირავებლების სახსრები)	ბიუჯეტის სახსრები, დამქირავებლების სახსრები)
დაზღვეულთა რაოდენობა	შეზღუდული	შეუზღუდავი (მთელი მოსახლეობა)
ფუნქციური	დაზღვეულთა ჯანმრთელობის უზრუნველყოფა	დაზღვეულთა ჯანმრთელობის უზრუნველყოფა

კერძო (ნებაყოფლობითი) სამედიცინო დაზღვევა სხვადასხვანაირად არის განვითარებული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. მსოფლიოს 38 - მაღალშემოსავლიანი ქვეყნიდან 25 ქვეყანაში ჯანმრთელობის კერძო დაზღვევის ხარჯები ჯანდაცვის მთლიანი ხარჯების 5%-ზე ნაკლებია 25 ქვეყანაში, 5-10%-მდე - 13 ქვეყანაში, 10-20%-მდე - 6 ქვეყანაში და 80%-ზე მეტი - 1 ქვეყანაში. 5%-ს აღემატება იგი 5 დაბალშემოსავლიან ქვეყანაში (ინდონეზია, კენია, მადაგასკარი, მალი, ზიმბაბვე, 12 - საშუალოზე დაბალშემოსავლიან ქვეყანაში (თურქმენეთი, ტუნისი, სამხრეთ აფრიკა, ფილიპინები, პერუ, პარაგვაი, ნამიბია, მაროკო-იამაიკა, კოლუმბია, ბრაზილია, ალბანეთი) და 7 - საშუალოზე მაღალშემოსავლიან ქვეყანაში (არგენტინა, ბოცვანა, ჩილე, ლიბანი, პანამა, საუდის არაბეთი, ურუგვაი).

როგორც ჩანს ნებაყოფლობითი (კერძო) სამედიცინო დაზღვევის გავრცელება ქვეყნის შემოსავლებზე მაინც და მაინც არ არის დამოკიდებული. მაგალითად, ევროპის ქვეყნები მეტად განვითარებული ქვეყნებია, მაგრამ იქ კერძო დაზღვევა მნიშვნელოვან როლს არ ასრულებს (გამონაკლისია - საფრანგეთი, გერმანია და ჰოლანდია), სამაგიეროდ ნამიბია და ზიმბაბვე ღარიბი ქვეყნებია, მაგრამ იქ კერძო დაზღვევის წილი ჯანმრთელობის მთლიან ხარჯებში შესაბამისად შეადგენს 25,1 და 23%-ს. საშუალოზე დაბალშემოსავლიანია სამხრეთ აფრიკა, სადაც, ეს მაჩვენებელი 42,4%-ია, ხოლო ისეთ მაღალშემოსავლიან ქვეყანაში როგორც აშშ-ია მისი სიდიდე მხოლოდ 35,6%-ია.

აშშ-ში კერძო სამედიცინო დაზღვევა წარმოადგენს დაზღვევის ერთადერთ ფორმას მოსახლეობის იმ ჯგუფებისთვის, რომლებიც არ არიან დაზღვეული სახელმწიფო პროგრამებით.

ევროკავშირის ქვეყნებიდან ჯანმრთელობის კერძო დაზღვევის ყველაზე ფართო ბაზარი აქვს გერმანიას, მეორე ადგილზეა საფრანგეთი, შემდეგ ნიდერლანდები და დიდი ბრიტანეთი. დიდ ბრიტანეთში კერძო დაზღვევით მოსახლეობის 11% სარეგებლობს. იტალიაში ეს მაჩვენებელი 10%-ია.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კერძო დაზღვევა შედარებით ნაკლებადაა გავრცელებული. კერძო დაზღვევის ხარჯების წილი ჯანმრთელობის მთლიან

დანახარჯებში შეადგენს: პოლონეთში - 2,1%, რუმინეთში - 1,6%, ესტონეთში - 1,1%, აზერბაიჯანში - 0,8%, საქართველოში - 1,8%.

აზიის ქვეყნებშიც კერძო დაზღვევა შედარებით მცირედაა გავრცელებული. ყველაზე მნიშვნელოვანი კერძო დაზღვევის ბაზარი არის სამხრეთ კორეაში, ფილიპინებსა და ინდონეზიაში.

ჯანმრთელობის კერძო დაზღვევას სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის ანალოგიურად გააჩნია ძლიერი მხარეებიც და სუსტიც. მის ძლიერ მხარეებს მიეკუთვნება:

1. სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის თავისუფალი არჩევა;
2. არალეგალური გადახდების ალტერნატიული, პოზიტიური ფორმა;
3. სინერგიზმი, ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაცია;
4. ნაკლები ბიუროკრატია;
5. ფინანსური ბაზრის განვითარება;
6. აქტიური შემსყიდველის როლი მომსახურების ხარისხზე ზედამხედველობის კუთხით.

ჯანმრთელობის კერძო დაზღვევის სუსტ მხარეებს მიეკუთვნება:

1. ხელმისაწვდომობის ფინანსური ბარიერები;
2. მაღალი ადმინისტრაციული ხარჯები;
3. რისკების შერჩევა და ფრაგმენტაცია;
4. სოლიდარობის პრინციპის არარსებობა;
5. მიმწოდებლის მიერ სტიმულირებული მოთხოვნა.

მსოფლიოში კერძო დაზღვევის სამი სახე არსებობს: **ჩანაცვლებითი, შევსებითი და დამატებითი.**

ჯანმრთელობის კერძო დაზღვევის ჩანაცვლებითი ფორმა მოსახლეობის გარკვეული ჯგუფისთვის წარმოადგენს სავალდებულო დაზღვევის ალტერნატივას, რომელიც გამოიყენება მოსახლეობის სპეციფიკური ჯგუფებისთვის. ესენია: პირები, რომლებიც გამოთიშული არიან ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო სისტემის ზოგი ან ყველა ასპექტიდან (მაღალშემოსავლიანი პირები ნიდერლანდებში და პირები, რომლებიც კანონით თავისუფლდებიან სავალდებულო ჯანმრთელობის დაზღვევის გადასახადისგან და აქვთ უფლება აირჩიონ კერძო დაზღვევა (მაღალ-შემოსავლიანი პირები გერმანიაში და სახელმწიფო მოხელეები ესპანეთში).

შევსებითი კერძო დაზღვევით შესაძლებელია სამედიცინო დახმარების იმ სახეების მთლიანი ან ნაწილობრივი უზრუნველყოფა რომელსაც საერთოდ არ მოიცავს ან ნაწილობრივ მოიცავს სავალდებულო სამედიცინო დაზღვევა. ეს ხორციელდება პაციენტის მიერ გაწეული თანაგადახდით.

დამატებითი კერძო სამედიცინო დაზღვევა გულისხმობს სამედიცინო დაზღვევის იმ სახეების დაფინანსებას, რომლებიც საერთოდ არ შედიან სავალდებულო ჯანმრთელობის დაზღვევის სქემაში. იგი უზრუნველყოფს მაღალი ხარისხით სწრაფ მომსახურებას,

ხანგრძლივი რიგის თავიდან აცილებას და ა. შ. დამატებითი კერძო დაზღვევა ძირითადად ვრცელდება სტომატოლოგიური და ფიზიოთერაპიულ მომსახურებაზე, კოსმეტიკურ ქირურგიაზე.

ამრიგად, მსოფლიოში ჯანმრთელობის კერძო დაზღვევის განვითარებაში შემდეგი **ტენდენციები** შეინიშნება: 1. უმეტეს განვითარებად ქვეყნებში კერძო დაზღვევა სწრაფად იზრდება (ამის მიზეზებია: სახელმწიფო დაზღვევის მიმართ უკმაყოფილება, ბაზრის ლიბერალიზაცია, სადაზღვევო ინდუსტრიაში გაზრდილი საერთაშორისო ვაჭრობა); 2. კერძო დაზღვევის წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 3. კერძო დაზღვევის ხარჯების ზრდა ხშირ შემთხვევაში წინ უსწრებს ჯანდაცვის მთლიანი ხარჯების ზრდას; 4. იმ ქვეყნებში, რომლებშიც სახელმწიფო აქტიურად ერთვება სამედიცინო დაზღვევის დაფინანსებაში და აფართოებს სამედიცინო მომსახურების სერვისს, კერძო სამედიცინო დაზღვევა ნაკლებად იზრდება.

შესაბამისად, კითხვაზე - მომავალში უნდა განვითარდეს თუ უნდა შემცირდეს ნებაყოფლობითი სამედიცინო დაზღვევა, მეცნიერებს ერთნაირი პასუხი არა აქვთ.

ჩვენი თვალთახედვით იგი უნდა განვითარდეს, რადგან საქართველოს მოსახლეობის ძირითად მასას, ძირითადად აქვს მწირი შემოსავლები, ან/და არა აქვთ ერთდროულად გადახდის საშუალება, ჩვენი აზრით, ეს დანახარჯი ჯერ-ჯერობით სახელმწიფომ უნდა გაიღოს. შესაბამისად, საქართველოში ერთი-ორად უნდა გაიზარდოს სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო ფონდი.

მსოფლიო ჯანმრთელობის დაცვის კერძო დაზღვევის განვითარების ტენდენციების მიმოხილვა. კვლევები უჩვენებს რომ, დაზღვევის, მათ შორის სამედიცინო დაზღვევის ისტორია ძველი წელთაღრიცხვით იწყება. დაზღვევის ელემენტებს ვხვდებით ბაბილონის მეფის კანონებში. დაზღვევის მსგავსი ხელშეკრულებები იდებოდა პალესტინასა და სირიაში. მისი სხვადასხვა ფორმები ძველ ეგვიპტეში, საბერძნეთში და რომის იმპერიაშიც არსებობდა. მაგალითად, ძველ ეგვიპტეში (ძვ. წ. IV ათასწლეული) შეიქმნა ქვისმთლელთა ურთიერთდახმარების ფონდები. ძველ რომში სხვადასხვა პროფესიურ ჯგუფებში (ე. წ. კოლეგიები), ფართოდ იყო გავრცელებული ურთიერთდაზღვევა. კოლეგიაში გაწევრიანებისას, ახალ წევრს უნდა გადაეხადა ერთდროული გადასახდელი, ხოლო შემდეგ ყოველთვიური გადასახადი. ეს თანხა ხმარდებოდა გარდაცვლილთა დაკრძალვას, ავადმყოფთა მკურნალობას, რელიგიური დღესასწაულების ჩატარების ხარჯების დაფარვას და ა. შ. რომელი საზოგადო მოღვაწის და ისტორიკოსის ტერტულიანეს (ჩვ. წ. 200 წ.) მიერ მოწოდებული ცნობებით, რომის იმპერიის მსგავსად საბერძნეთშიც იკრიდებოდა თანხები ღარიბ ფენებზე სამედიცინო დახმარების გასაწევად.

შესაბამისად, როგორც საერთოდ დაზღვევა ისე სამედიცინო დაზღვევა, ჩაისახა უძველეს საუკუნეებში. მაშინ ადამიანები აერთიანებდნენ თავიანთ ძალებს, შესაძლებლობებს, სახსრებს, რათა დახმარებოდნენ დაზარალებულებს, ღარიბებს, ობლებს და ავადმყოფებს. ჯერ კიდევ უძველესი დროიდან მოქმედებდა გარკვეული

წესები, რომლებიც არეგულირებდნენ სოციალური და სამედიცინო დახმარების გაწევას. მართალია პრიმიტიულ დონეზე, მაგრამ ხდებოდა ინდივიდუალური რისკის საზოგადოების სხვადასხვა ფენებზე გადანაწილება.

დაწყებული XIV საუკუნიდან დაზღვევამ უკვე ორგანიზებული ხასიათი მიიღო. კერძოდ:

- 1) XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან XVII საუკუნის ბოლომდე - რომელიც ხასიათდება სადაზღვევო ხელშეკრულებების და პოლისის წარმოშობით;
- 2) XVIII საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის შუა ხანებამდე - რომელიც სხვადასხვა სადაზღვევო საზოგადოებების წარმოშობით;
- 3) XIX საუკუნის შუა ხანებიდან დღემდე-დაზღვევის ობიექტების გამრავალფეროვნებით. ყველა ამ პერიოდში პრივალირებდა ქონების და პირადი დაზღვევა. ურთიერთდახმარებების შეთანხმებები უმთავრესად საქონელსა და ავტოსატრანსპორტო საშუალებებს ეხებოდა და ძირითადად სამოგზაურო, საზღვაო და სახმელეთო ვაჭრობის სფეროში იყო გავრცელებული. რაც შეეხება სოციალურ დაზღვევას, კერძოდ კი, მის ერთ-ერთ სახეს - სამედიცინო დაზღვევას, მისი განვითარება მესამე პერიოდში, კერძოდ, XIX საუკუნის გერმანიიდან დაიწყო სამედიცინო დაზღვევის წარმოშობის და განვითარების მართლაც საუკეთესო მაგალითია **გერმანია**. სწორედ გერმანიაში იყო ორგანიზებული პირველი სადაზღვევო (საავადმყოფო) სალაროები, რომლებიც ხელოსნებს კოლექტიურ საწყისებზე უზრუნველყოფდნენ, როგორც ავადმყოფობის დაზღვევით, ისე თანამედროვე სოციალური დაზღვევის სხვა სახეებით.

გერმანია არის ის ქვეყანა, სადაც 1845 წელს პირველად შემოღებულ იქნა სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის კანონი, რომელიც სამედიცინო დაზღვევას ავალდებულებდა გარკვეული პროფესიების და სპეციალობების პირებს. იმ პერიოდში გერმანიაში დაზღვეულები დაავადების შემთხვევაში ღებულობდნენ 13 კვირიან შრომისუუნარობის ფურცელს, ხელფასის 50%-იანი ანაზღაურებით. დადგენილი იყო პირველადი სამედიცინო მომსახურების პუნქტებისა და სამკურნალო დაწესებულებების რაოდენობა, ხოლო საავადმყოფოების რაოდენობა დამოკიდებული იყო ე. წ. "საავადმყოფო სალაროებზე", რომლებიც არამომგებიანი ორგანიზაციები იყვნენ და რომლებსაც ჰქონდათ სამედიცინო დაწესებულების შერჩევის და კონტრაქტის დადების უფლება (საავადმყოფო-სალაროების წინამორბედი იყვნენ მეწარმეთა სადაზღვევო სალაროები, რომლებიც მსხვილ საწარმოებთან იქმნებოდნენ, საიდანაც ხდებოდა საწარმოში დასაქმებულთა საექიმო მომსახურების ანაზღაურება).

XIX საუკუნის დასაწყისში გერმანიაში შეიქმნა ურთიერთდახმარების დაწესებულებებიც, რომლებიც ფულად დახმარებას აძლევდნენ მოსახლეობას ავადმყოფობის, სიკვდილის თუ სხვა უბედურ შემთხვევებში. 1883 წლისთვის გერმანიაში 22000 ასეთი ფონდი არსებობდა. სადაზღვევო ფონდები გერმანიაში დეცენტრალიზებული იყო. რაც იმას ნიშნავს, რომ სამედიცინო დაზღვევის ფონდებში არსებით როლს

თამაშობდა დამქირავებელთა და დაქირავებულთა სავალდებულო შენატანები. ეს მოდელი, რომელსაც **ბისმარკის მოდელი ეწოდა**, გერმანიის გარდა, იმთავითვე გავრცელდა ბელგიაში, ავსტრიაში, და ევროპის ზოგიერთ სხვა ქვეყანაში.

ცნობილია, რომ გერმანიაში **ო. ბისმარკის** მიერ გატარებულმა ჯანმრთელობის დაზღვევის სიახლემ გამოძახილი ჰპოვა ევროპის დიდ სახელმწიფოებში - ბრიტანეთსა და საფრანგეთში. მსგავსი კანონმდებლობები შეიქმნა - **ინგლისში** 1911 წელს, **საფრანგეთში** 1930 წელს. ამ კანონების მიხედვით სადაზღვევო ფონდების ფორმირებაში გარდა დაქირავებულების და დამქირავებლებისა, სახელმწიფოც იღებდა მონაწილეობას დოტაციებით და მისი მეშვეობით არეგულირებდა სამედიცინო დაზღვევის პროცესს. სამედიცინო დაზღვევის ეს მოდელი, რომელსაც **”ბევერიჯის მოდელი”** ეწოდა შემდეგ გავრცელდა სკანდინავიის ქვეყნებშიც.

1911 წლის 15 იანვარს **დიდ ბრიტანეთში** მიღებულ იქნა **”აქტი სახელმწიფო დაზღვევის შესახებ”**, რომლის მიხედვით დაზღვეულთა გარკვეულ ჯგუფზე (დაბალშემოსავლიან პირებზე, რომელთა დღიური შემოსავალი 1,5 შილინგს არ აღემატებოდა) დაზღვევა ვრცელდებოდა სადაზღვევო შენატანების ხარჯზე. ამგვარად, 1911 წლის აქტის შედეგად დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობაში პირველად დაფიქსირდა საზოგადოებრივი სოლიდარობის პრინციპი, როდესაც მდიდარი იხდის ღარიბზე, ჯანმრთელი - ავადმყოფზე. დიდ ბრიტანეთში სადაზღვევო შენატანები გროვდებოდა საფოსტო უწყებების საშუალებით სპეციალური მარკების ყიდვის გზით, შემდეგ ეს სახსრები ეგზავნებოდა სადაზღვევო კომისრებს სადაზღვევო კომისიებში. სადაზღვევო კომისიები ახდენდნენ მიღებული თანხების (ფაქტიურად გადასახადების) ურთიერთდახმარების საზოგადოებებს შორის განაწილებას დაზღვეულთა რაოდენობის მიხედვით. ორი წლის შემდეგ (1913 წ.) ჩატარდა დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო დაზღვევის რეფორმა, რომლის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფარავდა ავადმყოფობის და ინვალიდების დაზღვევის ხარჯებს. აღნიშნული რეფორმა დიდ ბრიტანეთში ჯანდაცვის სახელმწიფო (ბიუჯეტური) სისტემის შექმნის წინაპირობა გახდა.

საფრანგეთში ჯანმრთელობის დაზღვევის საკითხი და მოხუცებულობის და ინვალიდობის პენსიების გაცემის საკითხი, ჯერ კიდევ კონვენტის დროს დაისვა, რომელმაც შექმნა **”ნაციონალური კეთილმოქმედების წიგნი”** და სპეციალური კანონი, რომელიც განსაზღვრავდა მოსახლეობის თუ რა კატეგორია უნდა მოხვედრილიყო რეესტრში. მაგრამ კონვენტმა ფინანსური თვალსაზრისით უარყო კანონის განხორციელება. საფრანგეთის ხელისუფლებამ მხოლოდ 100 წლის შემდეგ დაიწყო საფრანგეთის დიდი რევოლუციის პრინციპების განხორციელება. 1913 წელს საფრანგეთში მიღებულ იქნა კანონი უბედური შემთხვევების და პროფესიული დაავადებების დაზღვევების შესახებ, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საფრანგეთში ჯანმრთელობის დაზღვევის განვითარებაში.

ამერიკის კონტინენტზე სამედიცინო და საერთოდ სოციალური უზრუნველყოფის სისტემა გაცილებით გვიან წარმოიშვა, ვიდრე ევროპის ქვეყნებში კანადაში ჯანმრთელობის დაზღვევის ეროვნული სისტემა შეიქმნა მხოლოდ 1946 წელს, ხოლო აშშ-ში 1935 წლიდან. რაც შეეხება აზიის ქვეყნებს, ჯანმრთელობის დაზღვევა **იაპონიაში** არსებობს 1922 წლიდან, ხოლო ჩინეთში 1952 წლიდან.

სამედიცინო დაზღვევის განვითარების ისტორიული ასპექტების მიმოხილვა რუსეთსა და საქართველოში. სოციალურმა დაზღვევამ რუსეთში განვითარების რამდენიმე ეტაპი განვლო. **პირველ ეტაპს**, რომელიც გაგრძელდა X საუკუნიდან 1770 წლამდე, მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის მხოლოდ ნიშნები ჰქონდა. კიევის რუსეთში მონასტრებთან არსებობდა საავადმყოფოები, რომელთა დამაარსებელი იყვნენ მდიდარი ვაჭრები. მათ ერთ ნაწილს ინახავდნენ ქალაქის ხაზინები.


1581 წელს რუსეთში ამოქმედდა სამედიცინო საქმის სახელმწიფო მმართველობა და დაფუძნდა სააფთიაქო პალატა, რომელმაც იარსება 1714 წლამდე. პეტრე პირველი იყო რუსეთის ის მეფე, რომელმაც საბოლოოდ დააკანონა უმწეო მოსახლეობაზე სახელმწიფო ზრუნვის ვალდებულება. 1716 წელს შეიქმნა ქვეყანაში სამედიცინო კანცელარია, რომელიც 1963 წელს გარდაიქმნა სამედიცინო კოლეგიად.

სოციალური დაზღვევის განვითარების **მეორე ეტაპი** რუსეთში ეს არის 1775-1917 წლები. კერძოდ, 1775 წელს ეკატერინე მეორემ დააფუძნა სოციალური დაცვის სპეციალური სახელმწიფო დაწესებულება ქვეყნის 40 გუბერნიაში თავისი განყოფილებებით.

1917 წლის 25 ივლისს რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ მიღებული სამედიცინო დაზღვევის ახალი კანონი, იყო დაზღვევის განვითარების მესამე ეტაპი და, რომელიც ხელს უწყობდა მეტად მნიშვნელოვან სიახლეებს,კერძოდ: 1) იზრდებოდა დაზღვეულ პირთა რიცხვი; 2) დაზღვეულებს ეძლეოდათ საავადმყოფო სალაროებში თვითმმართველობის შესაძლებლობა; 3) საავადმყოფო სალაროებს უმსუბუქდებოდა სამედიცინო დახმარების ანაზღაურების შესაძლებლობა მეწარმეთა მონაწილეობის ხარჯზე; 4) იზრდებოდა სამრეწველო საწარმოების მესაკუთრეების მატერიალური დანახარჯები მუშათა სადაზღვევო უზრუნველყოფაზე; 5) საავადმყოფო სალაროები ერთიანდებოდნენ კავშირებში და გაერთიანებებში.

კვლევები უჩვენებს, რომ საქართველოს სამედიცინო დაზღვევის ფუნქციონირების შედეგების ანალიზისა და მისი განვითარების ტენდენციებიდან **გამოვლინდა**, რომ სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა საქართველოში დაიწყო 2007 წელს, რომელიც 2012 წლისთვის ქვეყნის მოსახლეობის თითქმის 30%-ს (1,7მლნ.) ადამიანს მოიცავდა. 2008 წელს კერძო სადაზღვევო კომპანიები ჩაერთვნენ სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში: "ალფა", "ალდაგი ბისიაი", "აი სი ჯგუფი", "ირაო", "ჯი პი აი ჰოლდინგი", "ქართუ", "ვესტი", "არქიმედეს გლობალ ჯორჯიას", და სხვ. 2012 წლის ბოლოს დაიწყო უნივერსალურ ჯანდაცვის სისტემაზე და საყოველთაო დაზღვევაზე გადასვლის პირველი ეტაპი, 2013 წლის ბოლოს კი მეორე ეტაპი. 2014 წლის განმავლობაში საქართველოში გააქტიურდა ჯანმრთელობის საყოველთაო დაზღვევის

პროცესის მიმდინარეობა. საქართველოს გატარებული რეფორმის არსებით სიახლეს მასში სადაზღვევო სექტორის აქტიური მონაწილეობა წარმოადგენდა (იხ. ნახ. 2.10). სადაზღვევო კომპანიები ჩართული იყვნენ როგორც სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში, ასევე ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტში⁴⁰



40. ბალახაშვილი ჟ., ლიპარტია ზ. სტატია-„საქართველოში მოსახლეობის ჯანდაცვის რეფორმის მსვლელობა საქართველოში“

სამედიცინო მომსახურებაზე სახელმწიფო დაზღვევის პროგრამებით გამოწვეული ასეთი მასშტაბის მოთხოვნას მომსახურების ხარისხის ისეთ დონემდე გაზრდა შეუძლია, რაც კორპორაციული და ინდივიდუალური დაზღვევის სქემებით ვერ მოხერხდება, ხარისხის გასაზრდელად მხოლოდ სახელმწიფო დაზღვევის პროგრამების მასშტაბი არ კმარა. შესაბამისად, სათანადო ადმინისტრირების შემთხვევაში, ნებაყოფლობითი დაზღვევის პროგრამამ შეიძლება 10-15 წელიწადში სავალდებულო დაზღვევა გახადოს შესაძლებელი.

ამრიგად, სამეცნიერო ნაშრომში შეფასებულია საქართველოში სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის არსებული და ადრინდელი პროგრამების ეფექტიანობა 2008-2014 წლების პერიოდში. შემოთავაზებულია სამედიცინო სადაზღვევო პოლიტიკის, რეგულირების და მზღვეველების ოპერირების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები. ასევე, ქვეყნის სადაზღვევო მომსახურების სისტემის მენეჯმენტის

შემდგომი სრულყოფის გზები და ღონისძიებათა სისტემა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის ასამაღლებლად.

თავი 15. სახელმწიფო ანტიინფლაციური პოლიტიკის ფორმირებისა და საინვესტიციო პროცესების მართვა საქართველოში

ზოგადად ცნობილია, რომ ფინანსურ მენეჯმენტში მუდმივად საჭიროა ინფლაციის ფაქტორისათვის ანგარიშის გაწევა, რომელიც დროის მსვლელობაში აუფასურებს მიმოქცევის პროცესში არსებულ ფულად სახსრებს. ინფლაციის გავლენა მრავალი ასპექტით აისახება კორპორაციის ფინანსურ საქმიანობაზე.

ინფლაცია არის ობიექტური, მუდმივად მოქმედი ფაქტორი, რომელიც დამახასიათებელია პრაქტიკულად მსოფლიო თანამეგობრობის ყველა ქვეყნისათვის. ისეთ ქვეყნებშიც კი, რომელთათვის დამახასიათებელია განვითარებული და შედარებით მდგრადი ეკონომიკა - აშშ, იაპონია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და სხვ, ინფლაციური პროცესები გამუდმებით არსებობს, თუმცა მათი ინტენსივობა შედარებით დაბალია.

თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაში მიღებულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ფასების ზრდის დონე წელიწადში 10%-ის ფარგლებში არის ნორმალური ეკონომიკური მოვლენა.

ინფლაციური პროცესების ინტენსივობის შეფასებისათვის გამოიყენება ორი ძირითადი მაჩვენებელი: ინფლაციის ტემპი და ინდექსი.

ინფლაციის ტემპი ახასიათებს მაჩვენებელს, რომელიც აღნიშნავს ფულის გაუფასურების სიდიდეს (მსყიდველობითი უნარის შემცირებას) განსაზღვრულ პერიოდში, რომელიც გამოიხატება ფასების საშუალო დონის ზრდით %-ში პერიოდის დასაწყისში მის ნომინალთან შედარებით.

ინფლაციის ინდექსი ახასიათებს მაჩვენებელს, რომელიც ასახავს ფასების დონის საერთო ზრდას განსახილველ პერიოდში, რომელიც განისაზღვრება მათი საბაზო დონეების პერიოდის დასაწყისში (მიღებული ერთეულად) და ინფლაციის ტემპის შეჯამებით ამავე პერიოდში (გამოხატული ათწილადით).

გათვლების დროს, რაც დაკავშირებულია ფულის ღირებულების კორექტირებასთან ინფლაციის ფაქტორის გათვალისწინებით, გამოიყენება ორი ცნება - ფულადი სახსრების ნომინალური და რეალური სიდიდე.

ფულადი სახსრების ნომინალური სიდიდე ასახავს ფულადი აქტივების სიდიდის შეფასებას შესაბამის ფულად ერთეულებში ფულის მსყიდველობითი ღირებულების ცვლილების გათვალისწინების გარეშე განსახილველ პერიოდში.

ფულადი სახსრების რეალური სიდიდე ასახავს ფულადი აქტივების სიდიდის შეფასებას ფულის მსყიდველობით ღირებულებას დონის ცვლილების გათვალისწინებით განსახილველ პერიოდში, რაც გამოწვეულია ინფლაციით.

ფულადი სახსრების ამ სიდიდეების გათვლისათვის ფულის ღირებულების ზრდის ან დისკონტირების პროცესში დროის ფაქტორის გათვალისწინებით შესაბამისად გამოიყენება ნომინალური და რეალური საპროცენტო განაკვეთი.

ნომინალური საპროცენტო განაკვეთი ახასიათებს პროცენტის განაკვეთს, რომელიც დადგენილია ფულის მსყიდველობითი უნარის ცვლილების გათვალისწინების გარეშე ინფლაციასთან დაკავშირებით.

რეალური საპროცენტო განაკვეთი ახასიათებს საპროცენტო განაკვეთს, რომელიც დადგენილია ფულის ღირებულების მსყიდველობითი უნარის ცვლილების გათვალისწინებით განსახილველ პერიოდში ინფლაციასთან დაკავშირებით.

განხილული საბაზო ცნებების გათვალისწინებით ყალიბდება კონკრეტული მეთოდური ინსტრუმენტი, რომელიც შესაძლებელს ხდის გათვალისწინებული იქნას ინფლაციის ფაქტორი საწარმოს ფინანსური საქმიანობის მართვის პროცესში.

ეს მეთოდური ინსტრუმენტარიუმი დიფერენცირდება შემდეგი ძირითადი გათვლების ჭრილში (ნახ. 2.11).

I. ინფლაციის წლიური ტემპისა და ინდექსის პროგნოზირების მეთოდური ინსტრუმენტები ეფუძნება მის მოსალოდნელ საშუალო თვიური ზრდის ტემპებს.

1) ინფლაციის წლიური ტემპის პროგნოზირება გამოიყენება:

$$T_{I\Gamma} = (1 + T_{IM})^{12} - 1,$$

სადაც , (2.2)

$T_{I\Gamma}$ - ინფლაციის პროგნოზული წლიური ტემპი, გამოხატული ათწილადით.

T_{IM} - მოსალოდნელი საშუალოთვიური ინფლაციის ტემპი მომდევნო პერიოდში, გამოხატული ათწილადით.


2) ინფლაციის წლიური ინდექსის პროგნოზირებისას გამოიყენება შემდეგი ფორმულა:

$$UUr = 1 + TUr \text{ ან } UUr = (1 + T_{IM})^{12} \quad (2.3)$$


სადაც: UUr – პროგნოზული წლიური ინფლაციის ინდექსი, გამოხატული ათწილადით;

TUr – პროგნოზული წლიური ინფლაციის ტემპი, გამოხატული ათწილადით (გათვლილი ადრე მითითებული ფორმულით).

UUr – ინფლაციის მოსალოდნელი საშუალოწლიური ტემპი, გამოხატული ათწილადი



ინფლაციის წლიური ტემპის პროგნოზირება



ნახ. 2.11 ინფლაციის ფაქტორის ძირითადი მეთოდური მიდგომების სისტემატიზაცია

II. რეალური საპროცენტო განაკვეთის ფორმირების მეთოდური ინსტრუმენტარიუმი ინფლაციის ფაქტორის გათვალისწინებით ემყარება მის პროგნოზულ ნომინალურ დონეს ფინანსურ ბაზარზე და ინფლაციის წლიური ტემპების პროგნოზების შედეგებში. რეალური საპროცენტო განაკვეთის გათვლის საფუძველი ინფლაციის ფაქტორის გათვალისწინებით არის **ფიშერის მოდელი**, რომელსაც აქვს შემდეგი სახე:

1 - TU

$$I_p = \frac{1}{1+TU} \quad (2.4)$$

სადაც: I_p - რეალური საპროცენტო განაკვეთი (ფაქტობრივი ან საპროგნოზო განსაზღვრულ პერიოდში), გამოხატული ათწილადით;

I- ნომინალური საპროცენტო განაკვეთი (ფაქტობრივი ან პროგნოზირებადი მოცემულ პერიოდში) გამოხატული ათწილადით.

TU - ინფლაციის ტემპი (ფაქტობრივი ან პროგნოზული განსაზღვრულ პერიოდში) გამოხატული ათწილადით.

III. ფულადი საშუალებების ღირებულების შეფასების მეთოდური ინსტრუმენტარიუმი ინფლაციის ფაქტორის გათვალისწინებით შესაძლებელს ხდის განხორციელებას მათი, როგორც სამომავლო, ისე ახლანდელი ღირებულების გათვლები ინფლაციის ფაქტორის გათვალისწინებით. ამ გათვლების განხორციელების საფუძველია ფორმირებადი რეალური საპროცენტო განაკვეთი, კერძოდ:

- 1) ფულადი საშუალებების მომავალი ღირებულების შეფასებისას ინფლაციის ფაქტორის გათვალისწინებით გამოიყენება შემდეგი ფორმულა (რომელიც წარმოადგენს ადრე წარმოდგენილი **ფიშერის ფორმულის** მოდიფიკაციას):

$$S_n = [(1+I_p) + (1+TU)^2] \quad (2.5)$$

სადაც: S_n - ანაზრის მომავალი ნომინალური ღირებულება (ფულადი სახსრების) ინფლაციის ფაქტორის გათვალისწინებით;

p - ანაზრის პირველსაწყისი სიდიდე;

I_p - რეალური საპროცენტო განაკვეთი, გამოხატული ათწილადით;

TI- ინფლაციის პროგნოზული ტემპი, გამოხატული ათწილადით;

n - ინტერვალების რაოდენობა, რომელთა მიხედვით ხორციელდება ყოველი საპროცენტო გადახდა დროის მოცემულ განხილულ პერიოდში.

1) ფულადი საშუალებების ახლანდელი ღირებულების შეფასებისა ინფლაციის ფაქტორის გათვალისწინებით გამოიყენება შემდეგი ფორმულა:

(2.6)

სადაც: P_p - ანაზრის რეალური ახლანდელი სიდიდე (ფულადი სახსრების) ინფლაციის ფაქტორის გათვალისწინებით;

S_n - ანაზრის (ფულადი სახსრების) მოსალოდნელი ნომინალური სამომავლო ღირებულება;

I_p - რეალური საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ფულადი საშუალებების დისკრეტულების დისკონტირების პროცესში გამოხატული ათწილადით;

დასავლეთში ბანკნოტებზე არ იწერება რომ ისინი ოქროთი, სხვა ლითონებითა და ცბ-ის სხვა აქტივებით არის უზრუნველყოფილი, მაგრამ იგი მათ მიერ გამოქვეყნებულ ბალანსებშია გამოსახული. თანამედროვე ფული ცბ-ის აქტივებით არის უზრუნველყოფილი, რომლის ძირითად მუხლებს ჩვეულებრივ ოქრო სავალუტო რეზერვები, სახელმწიფო და სხვა სახეობის ფასიანი ქაღალდების პორტფელი, ფასიანი ქაღალდების გირაოს ქვეშ გაცემული საბანკო კრედიტები წარმოადგენენ. ცბ-ის, როგორც საემისიო - ცენტრის ფუნქციის უმნიშვნელო როლის შესახებ ხშირად ისეთი ფაქტიც მოწმობს, რომ ცბ-ის სათაო უწყებაში სპეციალური ქვედანაყოფის უქონლობაც ადასტურებს. აღნიშნული ფუნქცია სულ უფრო განიხილება, როგორც ტექნიკური საქმიანობა და იგი ძირითადად ეხება ბანკის განყოფილებას, რომელიც უშუალოდ ბანკნოტების ბეჭდვით საქმიანობას ეწევა.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რომლის ძირითად გამტარებელს როგორც წესი ცბ წარმოადგენს, ძირითადად სავალუტო კურსის, საპროცენტო განაკვეთებისა და საბანკო სისტემის ლიკვიდურობის საერთო მოცულობას და აქედან გამომდინარე, უშუალოდ ეკონომიკაზე ზემოქმედებისთვის არის მიმართული. ამ ამოცანების მიღწევა მიზნად ისახავს : ეკონომიკური ზრდის სტაბილიზირებას, დასაქმების და ინფლაციის დაბალ დონეზე შენარჩუნებას. ცბ-ი წესდებით ფულადი მიმოქცევისა და ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობაზე არის პასუხისმგებელი და სწორედ ამ მიზნით იგი სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ერთად თავისი პოლიტიკის კოორდინირებას ახდენს. ცბ-ის და მთავრობის ურთიერთქმედებები, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებაში როგორც წესი მკვეთრად არის განსაზღვრული. მთავრობა თავის ქმედებებში შეზღუდულია და იგი მხოლოდ საერთო მაკროეკონომიკურ პოლიტიკას ითანხმებს და ჩვეულებრივად ბანკის ყოველდღიურ საქმიანობაში არ ერევა.

2) ცენტრალური ბანკის ტიპის საბანკო დაწესებულებების ფუნქციონირება საქართველოში

საქართველოში საბანკო სისტემის არსებობას დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველი ბანკები, ემბრიონების სახით, ჯერ ჩვ.წ აღ-მდე VI საუკუნეში იღებენ სათავეს. შემდგომ ეს პროცესი გრძელდება და ჩქარდება დავით აღმაშენებლის დროს. ტარდება ფულის, ფინანსებისა და კრედიტის ფართომასშტაბიანი რეფორმები. უკვე XIII საუკუნეში არსებობს სპეციალური საკრედიტო დაწესებულებები, რომლებსაც ქართულ ისტორიულ წყაროებში „ორტალის“ სახელით მოიხსენიებენ. ისინი იძლეოდნენ კრედიტებს ქონების გირაოს ქვეშ ან მის გარეშე და საკრედიტო ურთიერთობების განვითარებას უწყობდნენ ხელს. მიუხედავად რთული ისტორიული პერიოდებისა, შემდგომი საუკუნეების საქართველოში საკრედიტო ურთიერთობები და მათი სხვადასხვა სტრუქტურული ფორმები ნელა, მაგრამ მაინც ვითარდებოდა საქართველოში. ფართოდ ვრცელდება საკრედიტო ურთიერთობების ისეთი დოკუმენტები, როგორცაა თამასუქი.

XVIII საუკუნის საქართველოში უკვე არსებობს ისეთი საკრედიტო ურთიერთობები, მათი ორგანიზაციული სტრუქტურები და ოპერაციები, რომლებიც დამახასიათებელია ევროპის მაღალგანვითარებული ქვეყნებისათვის. საქართველოს ფულადი ნიშნები ქვეყნის გარეთ გადის და მათი მიმოქცევა ამიერკავკასიის სხვა რეგიონებშიც ხდება.

რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, ეროვნულმა ფულად-საკრედიტო სტრუქტურებმა და საკრედიტო ინსტიტუტებმა თავიანთი მნიშვნელობები დაკარგა, რის შემდეგაც იწყება იმპერიალისტური საკრედიტო მექანიზმის დამკვიდრება. პირველი ასეთი იმპერიული საკრედიტო დაწესებულებები თბილისში 1810 წელს დაარსდა. „საქართველოს საზოგადოებრივი მზრუნველობის სააგენტოს“

სახელწოდებით, რომელიც იღებდა ანაბრებს და იძლეოდა კრედიტებს. 1849 წელს იგი ამიერკავკასიის სააგენტოდ გადაკეთდა. 1866 წელს თბილისში გაიხსნა რუსეთის იმპერიის სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორა, ხოლო 1871 წელს - თბილისის კომერციული ბანკი, რომელსაც ფილიალები ჰქონდა. ბათუმში, ბაქოსა და ერევანში.

1919 წლის 31 დეკემბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებულ იქნა „კანონი სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ“, რითაც ქვეყანაში საბანკო სისტემის მარეგულირებელი და ეროვნული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანოს კანონიერ ფუნქციონირებას ჩაეყარა საფუძველი.

საქართველოს სახელმწიფო ბანკის ამოქმედება 1920 წლის ივლისიდან გახდა შესაძლებელი. კანონის თანახმად, აღნიშნულ სტრუქტურას დაარსების პირველივე დღიდან „საქართველოს სახელმწიფო ბანკი“ ეწოდა. მისი ძირითადი ფუნქცია იყო ფულის მიმოქცევისა და რესპუბლიკის ფულადი ნიშნების სტაბილურობა, აგრეთვე ვაჭრობის, მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მოკლევადიანი სესხების გაცემა. საქართველოს სახელმწიფო ბანკის პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს ცნობილი ქართველი ფინანსისტი, ბანკირი იასონ ლორთქიფანიძე. მიუხედავად თავისი არსებობის მცირე ხნისა, ბანკმა საქართველოსთვის ბევრი სასარგებლო და მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება მოასწრო : განახორციელა ფულის რეფორმა, შექმნა მნიშვნელოვანი უცხოური სავალუტო რეზერვები, მიმოქცევიდან ამოიღო ამიერკავკასიის კომისარიატის ბონები.

1918 წლის ივნისში დაარსდა „ქართული ფულის ფონდი“, რომელიც მომავალი ქართული ვალუტის სტაბილური კურსის ერთ-ერთი მყარი გარანტი უნდა გამხდარიყო. საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ დამოუკიდებლობის დაკარგვამ საქართველოს სახელმწიფო ბანკს სახელმწიფოებრივი საფუძველი გამოაცალა და მან არსებობა შეწყვიტა.

1921 წლის 25 თებერვლის შემდეგ გენერალური ბანკის ფუნქციებს „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო ბანკი“ ასრულებდა, რომელიც 1921 წლის ოქტომბერში რუსეთში დაარსებული სახელმწიფო ბანკის ერთ-ერთ ფილიალს წარმოადგენდა.

საქართველოს საბანკო სისტემის განვითარების ისტორიაში ახალი ეტაპი 1991 წლიდან იწყება. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანაში ფეხს იკიდებს საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ეროვნული ეკონომიკა. ქვეყნის წინაშე მდგარ უამრავ პრობლემათა შორის ერთ-ერთი ყველაზე ურთულესი და უმნიშვნელოვანესია მძლავრი საბანკო სისტემის შექმნა. ქვეყნის ეკონომიკის განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ძველი საბანკო სისტემის მდგრადობასა და სტაბილურობაზე. 1991 წლის აგვისტოში ოპერატიულად მიღებულმა

კანონმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ორიარუსიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბებას და განსაზღვრა, თუ ვის და როგორ უნდა განეხორციელებინა ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა რეგულირება.

ქვეყნის ცენტრალურ ბანკს შექმნის პირველივე დღეებიდან ეწოდა „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი“, რომელიც მძლავრ სახელმწიფოებრივ ეკონომიკურ ინსტიტუტს წარმოადგენს.

დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ ეტაპზე მიღებული კანონები ქვეყნებში მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გამო სრულყოფილად არ ფუნქციონირებდა. მდგომარეობას ართულებდა ის, რომ ქვეყანას არ გააჩნდა ეკონომიკური პროცესების მართვის არსებითი ბერკეტი - ეროვნული ვალუტა, რომლის არსებობა უპირველეს ყოვლისა, ეროვნული ბანკის მიერ ქვეყანაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემუშავება-განხორციელებას ესაჭიროებოდა. იმისათვის, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკს წარმატებით შეესრულებინა ქვეყნის საბანკო სისტემის ბანკთა-ბანკის როლი, აუცილებელი იყო : ა) ჰქონოდა ფულის საკუთარი ნიშნები და ქვეყნის შიგნით ყოფილიყო მისი ერთადერთ ემიტეტი; ბ) შეექმნა საკუთარი საკრედიტო რესურსები; გ) შეექმნა უცხოური კონვერტირებადი ფულის მარაგები (საერთაშორისო რეზერვები) ; დ) შეექმნა ოქროს მარაგი.

მეტროპოლიის ანტიქართული პოლიტიკის შედეგად, საქართველოს ეროვნულ ბანკს, მისი შექმნისა და ფუნქციონირების პირველ ეტაპზე, არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი რესურსი არ გააჩნდა. ასეთ ვითარებაში აშკარა იყო, რომ ეროვნული ბანკის სისტემის ფუნქციონირება შეუძლებელი იქნებოდა საკუთარი ძალებით, ამიტომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დახმარება საერთაშორისო სავალუტო ფონდს სთხოვა. 1992 წლის მაისში საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდს პირველი მისია ჩამოვიდა, მათ საგულდაგულოდ შეისწავლეს საქართველოში არსებული ეკონომიკურ-პოლიტიკური, ფინანსური, სოციალური მდგომარეობა და კრიზისიდან თავის დასაღწევად რესპუბლიკის ხელმძღვანელობას თავისი რეკომენდაციები წარუდგინეს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის აქტიური მონაწილეობით განხორციელდა საბანკო სისტემისა და ეროვნული ბანკის სტრუქტურული რეორგანიზაცია, გატარებულმა ღონისძიებებმა არსებითად შეცვალა საბანკო სისტემის ფუნქციონირების მექანიზმი. დღეისათვის, საქართველოს ეროვნული ბანკი წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ სახელმწიფოებრივ-ეკონომიკურ ინსტიტუტს, რომელიც თავისი სტატუსით, საერთაშორისო-სავალუტო რეზერვებით და განშტოებული საბანკო ქსელით, უდიდეს გავლენას ახდენს ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური სფეროს შემდგომ განვითარებაზე.

3) ცენტრალური ბანკის ძირითადი ფუნქციები და მათი სრულყოფის საკითხები

ქვეყნისცენტრალური ბანკის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს: ა) ბანკნოტების ემისია; ბ) ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელება; გ) საკრედიტო-საბანკო ინსტიტუტების რეფინანსირება; დ) სავალუტო პოლიტიკის განხორციელება; ე) საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობის რეგულირება; ვ) მთავრობის ფინანსური აგენტის ფუნქცია; ზ) საგადასახადო-საანგარიშსწორებო ურთიერთობების ორგანიზაცია.

განვიხილოთ თითოეული ფუნქციის არსი:

ა) ბანკნოტების ემისიის ფუნქციამ ცვლილებები განიცადა: თუ საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპზე კომერციული ბანკები ცენტრალურთან ერთად ბანკნოტების ემისიას ახორციელებდნენ, შემდგომში ემისიის რიგი მსხვილ კომერციულ ბანკებში ცენტრალიზაციისა და ამ ბანკების ცენტრალურ ბანკებად ტრანსფორმაციის პროცესში. ბანკნოტების გამოშვებაზე მონოპოლია ერთზე - ცენტრალურ ბანკზე დამკვიდრდა.

თანამედროვე პირობებში ცენტრალური ბანკი მიმოქცევაში ნაღდი ფულის გამოშვებაზე ერთპიროვნულ უფლებას ფლობს, რაც კომერციული ბანკებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის დაკრედიტებისა და ფასიანი ქაღალდების უცხოურ ვალუტაში შექმნის პროცესში ხორციელდება.

ბ) ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელება. ბანკი - საკრედიტო-საფინანსო საწარმოა, რომელიც თავს უყრის დროებით თავისუფალ ფულად სახსრებს (ანაბრებს), მიაწოდებს მათ დროებით სარგებლობაში კრედიტების (სესხების) სახით, შუამავლობას ახორციელებს საწარმოებს, დაწესებულებებსა და ცალკეულ პირებს შორის ურთიერთ გადახდებისა და ანგარიშსწორებების სახით და ახალი ფულის გამოშვების (ემისიის) ჩათვლით, ქვეყანაში ფულადი მიმოქცევის რეგულირებას ახორციელებს.

გ) ცენტრალური ბანკის მიერ კომერციული ბანკების რეფინანსირება. კომერციულ ბანკებზე სახსრები ისეთი შემთხვევებისას გაცემა, როდესაც ბანკები დროებითი ფინანსური სიძნელების წინაშე აღმოჩნდებიან - ცენტრალური ბანკის საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულება. რეფინანსირების მიზანია - ფულად-საკრედიტო სფეროს მდგომარეობაზე ზემოქმედება. რეფინანსირების ფუნქციის შესრულებით, ცენტრალური ბანკი ბოლო ინსტანციის კრედიტორის ან ბანკების ბანკის როლში გამოდის.

თავდაპირველად რეფინანსირების პოლიტიკა უშუალოდ ფულად-საკრედიტო მიმოქცევის მდგომარეობაზე ზემოქმედების განსახორციელებლად გამოიყენებოდა. საბაზრო ურთიერთობების განვითარების შესაბამისად რეფინანსირება, პირველად დანიშნულებასთან ერთად, სულ უფრო გამოიყენება როგორც კომერციული ბანკებისათვის ფინანსური დახმარების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. ცენტრალური ბანკის სესხები დროებითი რესურსების წყაროს წარმოადგენს, რომლებიც გამოფიტული რეზერვების შესავსებად არის საჭირო, მაგრამ რეფინანსირების კრედიტების მიღებაზე

უფლების მოპოვება ყველასთვის მისაწვდომი არ არის და იგი პრივილეგიის სახით განიხილება. კრედიტების მიღების შესაძლებლობა და მათი სიდიდე რიგ ფაქტორებზე და პირველ რიგში, საკრედიტო სფეროს ფულად-საკრედიტო მდგომარეობაზე დამოკიდებული.

რეფინანსირების კრედიტები მხოლოდ მდგრად ბანკებზე გაიცემა, რომლებიც დროებით ფინანსურ სიმწველეს განიცდიან და შემდეგი სახის ფაქტორებზე დამოკიდებულებით შეიძლება განვასხვავოთ, როგორებიცაა: მიწოდების მეთოდებით (პირდაპირი კრედიტები და კრედიტები, რომლებიც აუქციონების ჩატარების საფუძველზე გაიცემა); მიწოდების ვადებით (საშუალოვადიანი - სამი-ოთხი თვით და მოკლევადიანი - ერთი ან რამდენიმე) და მიზნობრივი ხასიათით (კორექტირებადი კრედიტები და გახანგრძლივებული სეზონური კრედიტები).

სააღრიცხვო (დისკონტური) კრედიტები - არის სესხის ისეთი სახეობა, რომელიც ცენტრალური ბანკის მიერ საკრედიტო-საბანკო ინსტიტუტებზე თამასუქების აღრიცხვიანობის ქვეშ გაიცემა, ანუ ცენტრალური ბანკის მიერ თამასუქების, მათი ვადის ამოწურვამდე საკრედიტო - საბანკო დაწესებულებებისაგან გამოსყიდვას ითვალისწინებს.

ცენტრალური ბანკები ზემოთაღნიშნულ აღსარიცხად წარმოდგენილ თამასუქებს განსაზღვრულ მოთხოვნებს უყენებენ, რომლებიც ეხება მათ სახეობას, მოქმედების ვადებს, თავდებობის არსებობას და ხასიათს და ა.შ. ნებისმიერი ცენტრალური ბანკის თამასუქების აღრიცხვის ქვეშ გაცემული სესხის საერთო მოცულობა ლიმიტირებულია. **ლომბარდული კრედიტები**, რომლებიც ცენტრალური ბანკის მიერ კომერციულ ბანკებზე გაიცემა - ფასიანი ქაღალდების გირაოს ქვეშ გაცემულ პროცენტულ სესხებს წარმოადგენენ.

ისევე როგორც სააღრიცხვო კრედიტები, ლომბარდული კრედიტებიც ცენტრალური ბანკის მიერ საბანკო ლიკვიდურობის რეგულირებისა და ფულად-საკრედიტო სფეროზე ზემოქმედების მიზნით გამოიყენება. ლომბარდული კრედიტების გირაოს სახით, ჩვეულებრივად კომერციული და სახაზინო თამასუქები გამოიყენება, რომლებშიც უპროცენტო სახაზინო ვალდებულებები და ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების სხვა ვალდებულებები გამოიყენება და ისინი შესაბამის მოთხოვნებს პასუხობენ, ანუ პრაქტიკულად ფასიანი ქაღალდების ისეთი სახეობები, რომლებიც ცენტრალურ ბანკში აღრიცხვაზეა აყვანილი.

გირაო ცენტრალური ბანკის სესხის დაბრუნებადობის უზრუნველყოფას წარმოადგენს. საგირავნო უზრუნველყოფის ღირებულება სალომბარდე კრედიტების თანხას უნდა აჭარბებდეს. კრედიტმიმღები ცენტრალურ ბანკში დეპონირებულ ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლებას ინარჩუნებს. თუ კრედიტი დადგენილ ვადებში არ იფარება, საკუთრების უფლება ცენტრალურ ბანკზე გადადის. ფასიანი ქაღალდების

რეალიზაციის შემდეგ მიღებული ამონაგებიდან ძირითადი დავალიანებისა და დარიცხული პროცენტების ერთობლივი თანხა დაკავდება.

რეფინანსირების ერთობლივ კრედიტებში უდიდეს ხვედრით წილს ცენტრალური ბანკის მიერ საბანკო ინსტრუმენტებზე მიწოდებული მოკლევადიანი კრედიტები წარმოადგენენ. ამასთან კრედიტების მიწოდება ძირითადად ისეთ შემთხვევაში ხორციელდება, როდესაც მათ ფინანსური სახსრების სხვა წყაროების მოძიების შესაძლებლობა არ გააჩნიათ. ცენტრალური ბანკის კრედიტების აქტიურად გამომყენებელ დაწესებულებათა რიცხვს უპირველეს ყოვლისა სოფლის მეურნეობის დაკრედიტებაზე სპეციალიზირებული ბანკები მიეკუთვნებიან.

საკრედიტო აუქციონები - ცენტრალური ბანკის მიერ საკრედიტო რესურსების მიწოდების პრაქტიკაში ფართოდ გამოყენებად ფორმას წარმოადგენს. ცენტრალური ბანკის მიერ საკრედიტო აუქციონების ჩატარების შემდეგი წესი არსებობს : პოტენციალური მსესხებლები ვაჭრობის ორგანიზატორ ცბ-ში აგზავნიან განაცხადს კრედიტის მოცულობის და საპროცენტო განაკვეთის დონის მითითებით, რომლის მიღების სურვილი გაუჩნდა მათ. მიღებული განაცხადის საფუძველზე ცენტრალური ბანკი ადგენს აუქციონური კრედიტების საერთო მოცულობას, მათი მიწოდების ვადებს და მოთხოვნილი კრედიტის მინიმალურ თანხას. ორი ხერხი გამოიყენება : ჰოლანდიური და ამერიკული. ორივე შემთხვევაში, საპროცენტო განაკვეთების საწყისი დონის განსაზღვრის მიზნით აუქციონზე დაშვებული განცხადების მოცულობები ზუსტდება. ამისათვის საკრედიტო აუქციონში მონაწილეობაზე საპროცენტო განაკვეთების დონის გათვალისწინებით ნაწილდება. აუქციონში მონაწილეობის უფლებას ის პრეტენდენტები ღებულობენ, რომელთა განცხადებაში მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთებია გათვალისწინებული. ამასთან განცხადებული კრედიტების საერთო მოცულობა სესხის იმ მოცულობის შესაბამისად უნდა იყოს, რომელიც ცენტრალურმა ბანკმა აღნიშნული აუქციონისათვის გამოყო.

აუქციონის ჩატარების აღნიშნულ ხერხს - ამერიკული ეწოდება. ამ შემთხვევაში თითოეული მონაწილისათვის საკრედიტო აუქციონის საწყისი განაკვეთი მათ მიერ თავიანთ განაცხადში მითითებული განაკვეთით განისაზღვრება. მინიმალური განაკვეთი კი - „მომგებიან განცხადებაში“ მითითებული უმცირესი განაკვეთი იქნება.

საკრედიტო აუქციონების ჩატარების მეორე - ჰოლანდიური ხერხი - საწყისი საპროცენტო განაკვეთის სახით მომგებიანი განაკვეთების რიცხვში შესული ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთის დონეზე დადგენას ითვალისწინებს.

ცენტრალური ბანკის მიერ რეფინანსირების კრედიტების მიწოდების კიდევ ერთ ხერხს პირდაპირი კრედიტები წარმოადგენენ, რომლებიც საკრედიტო-საბანკო ინსტიტუტებზე მათგან საკრედიტო რესურსებზე განაცხადის მიღების შესაბამისად გაიცემა.

დ) **სავალუტო პოლიტიკის განხორციელება.** - ცენტრალური ბანკი სავალუტო პოლიტიკის გამტარებელ ინსტიტუტს წარმოადგენს და იგი თავისთავში ქვეყნის საგარეო ეკონომიკური პოზიციების განმტკიცებაზე მიმართულ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებას ითვალისწინებს. სავალუტო პოლიტიკის მიმართულებები ქვეყანაში ეკონომიკურ და პოლიტიკური სიტუაციებით, მისი საგადასახადო ბალანსისა და ფულადი მიმოქცევის მდგომარეობით, აგრეთვე საგარეო ვალდებულებებით განისაზღვრება, რომელიც ამ ქვეყნის საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ორგანიზაციებში მონაწილეობის შედეგად წარმოიშვა.

სავალუტო პოლიტიკა უფრო მეტად საერთო სახით მოიცავს, როგორებიცაა: სავალუტო კურსის რეგულირებას; სავალუტო რეგულირებისა და სავალუტო კონტროლის განხორციელებას; ოფიციალური სავალუტო რეზერვების ფორმირებას და მათ მართვას; საერთაშორისო სავალუტო თანამშრომლობის განხორციელებას და საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ორგანიზაციებში მონაწილეობას.

სავალუტო პოლიტიკის ინსტრუმენტებს სავალუტო ინტერვენციები და ფულად-საკრედიტო რეგულირების სხვა მრავალი ინსტრუმენტები წარმოადგენენ.

გამომძიება - სავალუტო სფეროში ცენტრალური ბანკის საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა.

სავალუტო კურსი - სხვადასხვა ქვეყნების ფულად ერთეულებს შორის თანაფარდობას წარმოადგენს. სავალუტო კურსები შეფარდებითი მდგრადობით ხასიათდება, რაც ბანკნოტების ხორციელდებოდა. **ქალაქდურ-ფულადი სისტემების პირობებში სავალუტო კურსის მერყეობის საზღვრები ფაქტიურად არ არსებობს.**

სავალუტო კურსებს ძირითადად რეჟიმებს, რომელთა არჩევისას ცენტრალური ბანკი მოცემული ქვეყნის კონკრეტული ეკონომიკური პირობებისადმი მიმართებაში შედარებით უპირატესობიდან გამოდის, წარმოადგენს: ფიქსირებული; თავისუფლად მცურავი; „მცოცავი“; სავალუტო კურსების სიმრავლის სისტემა; ორმაგი სისტემა.

სავალუტო კურსების რეგულირების უმნიშვნელოვანესი მექანიზმია - სავალუტო ინტერვენციები, ანუ ცენტრალური ბანკის პირდაპირი ჩარევა სავალუტო ბაზრის ფუნქციონირებაში ვალუტის ყიდვა-გაყიდვის მეშვეობით.

სავალუტო კურსის რეგულირების კიდევ ერთი ფართოს გამოყენებადი ხერხია - დისკონტური პოლიტიკა, რომლის რეალიზება ცენტრალური ბანკის ოფიციალური სააღრიცხვო განაკვეთის დადაბლების ან ამაღლების გზით ხორციელდება.

სავალუტო რეგულირება და სავალუტო კონტროლი - საკანონმდებლო ან ადმინისტრაციული წესით დადგენილი ღონისძიებებისა და ნორმატიული წესების ერთობლიობას წარმოადგენს, რომელიც საგადასახადო ბალანსების გათანაბრებას, ეროვნული ვალუტის კურსის მხარდაჭერისა და საგარეო ეკონომიკურ სფეროში არსებული კიდევ სხვა მიზნების მისაღწევად არის მიმართული. სავალუტო

რეგულირების კიდევ ერთი ფორმაა - სავალუტო შეზღუდვები, რომლებიც სავალუტო ინტერვენციის პრაქტიკის არასაკმარისობისა და არაეფექტურობის შემთხვევაში გამოიყენება.

სავალუტო პოლიტიკის კიდევ ერთ შემადგენელ ნაწილს ოფიციალური სავალუტო რეზერვების ფორმირება და მათი მართვა წარმოადგენს. ცენტრალური ბანკის სავალუტო რეზერვები - არის უცხოური ვალუტის ოფიციალური მარაგი, რომლებიც მის ანგარიშებზე, ასევე ბანკებში, უცხოეთის ბანკებშია განთავსებული. ისინი საერთაშორისო ანგარიშსწორების განხორციელებისათვის გამოიყენება და ეროვნული ვალუტის სტაბილურობის უზრუნველყოფას ემსახურება. ოფიციალური სავალუტო რეზერვები ოქროსაგან, უცხოური ვალუტისაგან, გასესხების სპეციალური უფლებებისაგან, საერთაშორისო სავალუტო ფონდში ნეტო - პოზიციისგან შედგება.

ცენტრალურ ბანკზე ოფიციალური სავალუტო რეზერვების სრულად ან ნაწილობრივ განაწილების ფუნქციის დაკისრებისას იგი მათი მართვის ფორმებსა და მეთოდებს დამოუკიდებლად განსაზღვრავს, ანუ ისეთ პარამეტრებს განსაზღვრავს, როგორცაა სავალუტო კურსის რეგულირებისათვის მათი გამოყენების ზღვარი და სხვა. თავიანთი ოქროს მარაგების შენახვას აგრძელებენ ჯერ-ჯერობით კვლავ აშშ-ს დოლარი რჩება. ამასთან ერთად სარეზერვო ვალუტების სახით სულ უფრო იაპონიის იენიც, ფუნტი სტერლინგიც, აგრეთვე ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების სავალუტო ერთეული - ევროც გამოიყენება.

ცენტრალური ბანკები პრაქტიკაში სავალუტო რეზერვების განთავსების შემდეგ ფორმებს იყენებენ : უცხოურ ვალუტაში გამოსახული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, უცხოეთის ბანკებში განთავსებული დეპოზიტები.

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებისგან განსხვავებით ვადიანი დეპოზიტები თავისთავად სავალუტო რეზერვების უზრუნველყოფის გარეშე განთავსების სახეობას წარმოადგენს. ამიტომ ცენტრალური ბანკები იმ ქვეყნების მიხედვით, რომელთა ბანკებში დეპოზიტებს განთავსებენ, ასევე თითოეულ ბანკ-კონტრაგენტზე შესაბამის ლიმიტებს ადგენენ.

ე) საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობის რეგულირება. ცენტრალური ბანკის მხრიდან საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობაზე საბანკო ზედამხედველობისა და კონტროლის აუცილებლობა საბაზრო ეკონომიკაში მათ მიერ შუამავლის მნიშვნელოვანი როლის შესრულებით არის განპირობებული. ბანკების საქმიანობაზე კონტროლი ცალკეული ბანკების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება და იგი ბანკის მიერ თავისი საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობისა და ინსტრუქციების შესაბამისად განხორციელებაზე მიზნობრივ და უწყვეტ ზედამხედველობას ითვალისწინებს,

რომელიც: ა) მენაბრის შესაძლო დანაკარგებისაგან დაცვას და ბ) საფინანსო ბაზარზე სისტემური რისკების თავიდან აცილების მეშვეობით სტაბილურობის მხარდაჭერას ისახავს მიზნად.

ცენტრალური ბანკის მიერ კომერციული ბანკების საქმიანობაზე ზედამხედველობისა და კონტროლის ფუნქციების განხორციელებისას მის ამოცანაში შედის, კერძოდ: ა) ლიცენზიების გაცემა საბანკო საქმიანობაზე; ბ) ბანკების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების შემოწმება; გ) რევიზიები ადგილებზე; დ) კონტროლი საბანკო ოპერაციების ნორმების დაცვაზე.

ლიცენზიების გაცემა საბანკო საქმიანობაზე - ცენტრალური ბანკი საბანკო ლიცენზიას იურიდიულ პირებზე საბანკო ოპერაციების განხორციელებაზე გასცემს. ლიცენზირება წარმოადგენს საშუალებას, რომლის მეშვეობით ცენტრალური ბანკი საკრედიტო ინსტიტუტების შექმნის შესაძლებლობას საზღვრავს, რაც მათ საბანკო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას აძლევს.

ლიცენზირების პროცესის საკვანძო საკითხს შესაქმნელი საკრედიტო დაწესებულების ინფორმაციის ანალიზი წარმოადგენს, შემდეგ ასპექტთა მიმართებაში, როგორცაა: ბანკის ხელმძღვანელობის კომპეტენტურობა; ბანკის აქტივების მათი საბაზრო ღირებულების მიხედვით შეფასების სისწორე; საექვო დავალიანების წარმოქმნის შემთხვევაზე რეზერვების შექმნის პოლიტიკა და სხვა.

საზედამხედველო ორგანოებმა ლიცენზირების გაცემის შესახებ საკითხის გადაწყვეტისას შეიძლება სხვა ფაქტორებიც გაითვალისწინონ. ლიცენზიაში მითითებული უნდა იყოს მისი მოქმედების ვადა, გაგრძელების პირობები. მასში შესწორებების შეტანის ან მისი გაუქმების შესაძლებლობა.

საზედამხედველო საქმიანობის მნიშვნელოვანი ეტაპია - დისტანციური (დოკუმენტალური) ზედამხედველობა, ანუ ბანკების მიერ წარმოდგენილი ანგარიშგებების შემოწმება. ანგარიშგებაზე მუდმივი კონტროლის დაწესება ზედამხედველობის ორგანოების ისეთი პრობლემების გამოვლენის შესაძლებლობას აძლევს, რომლებმაც შეიძლება ბანკების გადახდისუნარიანობის რისკი, მათი გაკოტრება გამოიწვიოს.

ბანკის ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად ჩვეულებრივად პერიოდულ საანგარიშგებო დოკუმენტაციას და ყოველწლიურად ფინანსურ ანგარიშგებებს იყენებენ, რომელიც წლიურ ბალანსს მოიცავს. როგორც წესი, ბანკებმა ყოველთვიურად ან ყოველკვარტალურად დადგენილი ნორმატივების დაცვის შესახებ ანგარიშგებები უნდა შეადგინონ და საანგარიშო პერიოდის შემდეგ ერთი თვის განმავლობაში წარადგინონ ისინი.

დაახლოებით წელიწადში ერთხელ ყოველთვიური და ყოველწლიური ფინანსური ანგარიშგებები, გარეშე აუდიტორმა უნდა შეამოწმოს.

ბანკის ფინანსური მდგომარეობის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლები, რომლებიც მართვის შიდა საბანკო სისტემაზეა დამოკიდებული, წარმოადგენენ: კაპიტალის საკმარისობა; მისი აქტივების ხარისხი ლიკვიდურობის ხარისხის თვალსაზრისით; შემოსავლიანობა ან მომგებიანობა; ლიკვიდურობა; ლიკვიდური და სხვა აქტივების თანაფარდობა.

ბანკის ფინანსური მდგომარეობა ძირითადად მისი აქტივების ხარისხით განისაზღვრება, რომელთა სიღრმისეული ანალიზი და მათი ელემენტების, ღირებულების მიხედვით დაბრუნებადობის ან ზედმეტად შეფასებულობის გამოვლენა მხოლოდ ადგილზე ინსპექტირების დროს შეიძლება განხორციელდეს. აქტივების ხარისხზე მნიშვნელოვანი ხარისხით არის ბანკის შემოსავლები დამოკიდებული. ამიტომ საეჭვო ან უიმედო კრედიტები მისთვის პირდაპირ დანაკარგებს ნიშნავს. ამასთან დაკავშირებით ბანკებს ასეთი სესხების დასაფარავად შესაბამისი რეზერვები უნდა გააჩნდეს.

ბანკის კაპიტალის სიდიდე, მისი აქტივების ხარისხი ბანკის შემოსავლიანობასთან უშუალოდ არის დაკავშირებული. ანგარიშგების დოკუმენტაციის ბაზაზე შემოსავლიანობა შეიძლება განისაზღვროს როგორც დივიდენდების გადახდამდე სუფთა მოგების შეფარდება აქტივების საერთო მოცულობასთან.

მრავალ ქვეყანაში საზედამხედველო ორგანოები ლიკვიდურობის მაჩვენებლებს ადგენენ, რომლებიც ლიკვიდურ აქტივებსა და სახეობების მიხედვით დაყოფილი დეპოზიტების სიდიდეს შორის ბანკის მიერ განსაზღვრული თანაფარდობის მხარდაჭერის მოთხოვნებს ასახავენ. ასეთ მაჩვენებლებს წარმოადგენს თანაფარდობა: 1) მიწოდებულ კრედიტებსა და დეპოზიტებს შორის;

2) ლიკვიდურ აქტივებსა და დეპოზიტებს შორის;

3) ძირითადად დეპოზიტებსა და დეპოზიტების საერთო მოცულობას შორის.

რევიზიები ადგილებზე ცენტრალურ ბანკს ცალკეული ბანკის ოპერაციებისა და მთლიანობაში მისი ფინანსური მდგომარეობის დამოუკიდებელი შემოწმების ჩატარების შესაძლებლობას აძლევს. რევიზიების ჩატარების ძირითადი მიზნებია : ა) ბანკის ფინანსური მდგომარეობის ობიექტური შეფასების უზრუნველყოფა; ბ) კომპლექსური ღონისძიებების განსაზღვრა, რომლებიც ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამოსწორებისა და გაუმჯობესებისათვის და მისი ოპერაციების განახლებისთვის არის საჭირო; გ) ბანკის საქმიანობის არსებულ კანონებთან და ნორმატიულ ინსტრუმენტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. ამ მიზნების მიღწევის

მიზნით გამოყენებული მასალები გადაწყვეტილებების საფუძვლიანობის შეფასებას და კანონების და ინსტრუქციების დაცვას მოიცავს.

ზედამხედველობა საბანკო ოპერაციების ნორმების დაცვაზე ხორციელდება შემდეგი პოზიციების მიხედვით :

- 1) კაპიტალის აქტივებთან შეფარდება;
- 2) ერთ მსესხებელზე კრედიტების ლიმიტების დადგენა;
- 3) ლიკვიდურობის ნორმატიული კოეფიციენტის დაცვა;
- 4) საპროცენტო განაკვეთების მერყეობის შედეგად შემოსავლიანობის ცვლილება;
- 5) ბანკების შერწყმის რეგულირების წესების შესრულება;

ვ) მთავრობის ფინანსურიაგენტის ფუნქცია. - ცენტრალური ბანკი თავისი სტატუსით მთავრობის ფინანსურ აგენტს წარმოადგენს და იგი სახელმწიფო ვალის განთავსებისა და დაფარვის, ბიუჯეტის საკასო გამოყენების, მთავრობის მიმდინარე ანგარიშების მომსახურების, მიმოქცევიდან სახაზინო ბილეთებისა და მონეტების გამოშვება და მიმოქცევიდან მათი ამოღების, აგრეთვე მთავრობის მიერ სხვა ქვეყნებთან ანგარიშსწორების განხორციელებისას სავალუტო სახსრების გადარიცხვასთან დაკავშირებულ ოპერაციებს ახორციელებს.

სახელმწიფო სესხები, მათი განთავსების ადგილზე დამოკიდებულებაში, იყოფა : შიდა სესხებად და საგარეო სესხება. განთავსების წესის მიხედვით შიდა სახელმწიფო სესხები კლასიფიცირდებიან როგორც თავისუფლად მიმოქცევადები, მიმოქცევადები ხელმოწერის საფუძველზე და იძულებით სესხებად. შემოსავლიანობის სახეობების მიხედვით - პროცენტულებად, მომგებიანად და ლატარეის მსგავსად.

სახელმწიფო კრედიტის განვითარებას თან სახელმწიფო ვალის მართვის საკმაოდ რთული სტრუქტურის შექმნა ახლდა. ამ სფეროში უმნიშვნელოვანესი ღონისძიებების რიცხვს მიეკუთვნება ახალი სესხებისა და კრედიტების წყაროების, მათი სიდიდისა და მოზიდვის პირობების, განთავსების ხერხების განსაზღვრა.

შიდა სახელმწიფო ვალის დაფინანსების ძირითად მეთოდებს წარმოადგენენ, კერძოდ :

- 1) ფულადი ემისია;
- 2) ცენტრალური ბანკის პირდაპირი კრედიტები;
- 3) სახელმწიფო ვალდებულებების გამოშვება.

ფულადი ემისია წარმოადგენს, რომლის შემთხვევაში შემოსავლების მოცულობა ფულის ნორმალურ და რეალურ ღირებულებებს შორის სხვაობის ხარჯზე იზრდება. ფულადი ემისიის ფართოდ გამოყენების ყველაზე უფრო უარყოფით შედეგს ფულადი მიმოქცევის არხების საგადამხდელო საშუალებებით „დატბორვა“ წარმოადგენს,

რომლებიც რეალური აქტივებით უზრუნველყოფილები არ არიან და რასაც ფულის გაუფასურებამდე და ინფლაციის გაძლიერებამდე მივყავართ. ხანგრძლივი დროის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის მეტად გავრცელებულ ხერხად ცენტრალური ბანკის მიერ მთავრობაზე პირდაპირი კრედიტების გაცემა იყო მიჩნეული, მაგრამ ბოლო პერიოდში მათ გამოყენება საბაზრო ეკონომიკის რიგ ქვეყნებში საკმაოდ შეიზღუდა.

სახელმწიფოს საბიუჯეტო დეფიციტების დასაფარავად სახელმწიფო სესხების გამოყენება ფიზიკური და იურიდიული პირების დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულირების მეშვეობით ხორციელდება, რომლებიც განსაზღვრული ვადით მიეწოდება შემოსავლის გადახდის პირობებისა და სავალო ვალდებულებების დამადასტურებელი ქაღალდის ან უქაღალდო ფორმებით დადასტურების შემთხვევაში.

საობლიგაციო ვალდებულებების საბაზრო, არასაბაზრო და სპეციალური გამომშვები არსებობს. საბაზრო ფასიანი ქაღალდები ფულად ბაზარზე თავისუფლად იყიდება, შეიძინება და ისინი სახელმწიფო ვალდებულებების გამოშვებისას დადგენილი ვადების დადგომამდე არ შეიძლება დაფარვის მიზნით იქნეს წარმოდგენილი. არასაბაზრო ფასიანი ქაღალდები არ შეიძლება გაიყიდოს ან შეიძინოს იქნეს, მაგრამ მათი დაფარვის მიზნით ვადამდე ადრე ქაღალდები ფულად ბაზარზე ყიდვა-გაყიდვას არ ექვემდებარება

სახელმწიფო ვალდებულებების მფლობელები შეიძლება იყვნენ კომერციული ბანკები, არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები, სამრეწველო კორპორაციები და იურიდიული პირები.

ცენტრალური ბანკი, მთავრობის ფინანსური აგენტის ფუნქციის შესრულებით, ბიუჯეტის საკასო მომსახურებას - სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების მიღების, შენახვისა და გაცემის, აღრიცხვისა და ანგარიშგების წარმოების მეშვეობით ახორციელებს.

ზ) **საგადასახადო-საანგარიშსწორებო ურთიერთობების ორგანიზაცია.** - ცენტრალურმა ბანკებმა კომერციულ ბანკებს შორის გადახდების ორგანიზაციაში მონაწილეობა გადახდების ტექნოლოგიებში ფუნდამენტალური ცვლილებების - ქაღალდის ფულის მიმოქცევაზე გადასვლის პერიოდში დაიწყეს.

ქვეყნის საგადასახადო სისტემის ორგანიზაციაში ცენტრალური ბანკი სამ ძირითად ამოცანას წარმოადგენს:

- 1) ფინანსური სისტემის სტაბილურობის მხარდაჭერა;
- 2) საგადასახადო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- 3) ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება.

ფინანსური სისტემის სტაბილურობა უშუალოდ არის დაკავშირებული შიდა საგადასახადო სისტემის სტაბილურობასთან, ანუ გადახდების საიმედო მექანიზმების არსებობით არის განპირობებული, რომელიც ბანკთაშორისო ურთიერთ ჩათვლებისა და გადახდების ოპერაციების უწყვეტად განხორციელების შესაძლებლობას იძლევა.

კომერციული გარიგებების გადახდებში შეყოვნებები იმავდროულად ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობაზე აისახება. აღნიშნული გარემოების თავიდან აცილების მიზნით, სპეციალური საკლირინგო პალატები იქმნება, რომლებიც ურთიერთ მოთხოვნების ჩათვლების გზით უნაღდოანგარიშსწორებასახორციელებენ. საგადასახადო სისტემის საიმედოობის ამაღლების სფეროში უმნიშვნელოვანეს ამოცანას - რისკების შემცირება წარმოადგენს, რაც შემდეგი ღონისძიებების მეშვეობით შეიძლება განხორციელდეს: ნეტტო - ანგარიშსწორების სისტემის გაუმჯობესება; ბრუტტო - ანგარიშსწორების სისტემის რეალური დროის რეჟიმში დანერგვა, როდესაც გადახდები მაშინათვე და მთლიანი მოცულობით ხორციელდება.

ცენტრალური ბანკი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რეალიზაციისათვის საგადასახადო სისტემას იყენებს. საგადასახადო სისტემის არამდგრადობისა და უიმედობის შემთხვევაში ცენტრალური ბანკი ეფექტიანი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებისას სერიოზულ სიძნელეებს განიცდის, ხოლო საგადასახადო სისტემის კრიზისი კი - ამ სფეროში მარეგულირებელი ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობებს სავსებით შეუძლებელს ხდის.

ცენტრალური ბანკების ზემოთჩამოთვლილი სამი ძირითადი ამოცანის გადაწყვეტისას, საკლირინგო სისტემების ფუნქციონირებაში მისი მონაწილეობის ხარისხიდან გამომდინარე, იყენებენ ორ ძირითად ინსტრუმენტს:

ა) მონაწილეობა კლირინგული ოპერაციების განხორციელებაში - შიდა კონტროლი და
ბ) ზედამხედველობა კერძო საკლირინგო სისტემების საქმიანობაზე - გარე კონტროლი, რომელთა მეშვეობით ცენტრალური ბანკი კერძო საკლირინგო სისტემების საიმედოობისაზღვრული დონის უზრუნველყოფას ახორციელებს. შესაბამისად, ცენტრალური ბანკი, კერძო საკლირინგო პალატის მუშაობაში ან მათ საქმიანობაზე კონტროლის განხორციელებაში უშუალო მონაწილეობით, ქვეყნის საგადასახადო სისტემაში საკვანძო როლს ასრულებს.

ამრიგად, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის უცხოეთის ქვეყნების გამოცდილება საკმაოდ დამაჯერებლად ადასტურებს, რომ საბანკო სისტემა საბაზრო ეკონომიკის საკვანძო რგოლს წარმოადგენს და საზოგადოების ყოფაცხოვრებაზე მთლიანობაში მრავალმხრივ ზემოქმედებას ახორციელებს. იგი არა მარტო ფულადი კაპიტალის დარგთაშორისო და რეგიონთაშორისო გადანაწილებას უზრუნველყოფს, არამედ ქვეყნის სამეურნეო სისტემის საანგარიშსწორებო და საგადამხდელო მექანიზმის საკვანძო რგოლსაც წარმოადგენს. და საზოგადოების ყოფაცხოვრებაზე მთლიანობაში

მრავალმხრივ ზემოქმედებას ახორციელებს. წამყვანი ქვეყნების გამოცდილება დამაჯერებლად ადასტურებს, რომ მხოლოდ ცივილიზებულ ბაზარს შესწევს უშუალოდ თვითრეგულირებისა და უფრო მეტის - თვითმმართველობის დამკვიდრების უნარი. მაგრამ უნდა გვახსოვდეს ის გარემოებაც, რომ ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობები უეცრად კი არა, არამედ გარეშე, ანუ სახელმწიფო ორგანოებისგან მმართველობითი ზემოქმედების ქვეშ ყალიბდება.

შესაბამისად, ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა რომ, **ბანკები საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების მექანიზმში მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.** [86] ბანკების მეშვეობით ხორციელდება უფრო მეტად რენტაბელურ დარგებში და რეგიონებში კაპიტალის გადადინება, რაც საზოგადოების ეკონომიკურ, სოციალურ და ტექნოლოგიურ პროგრესის ხელშემწყობი ფაქტორია. საკრედიტო ორგანიზაციის კაპიტალისა და სარესურსო ბაზის ზრდა, მათი საკრედიტო პორტფელის ხარისხის განსაზღვრული გაუმჯობესება ხელს უწყობს საბანკო სისტემის ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლების თანდათანობით გაუმჯობესებას, თუმცა **საბანკო სისტემის განვითარებაში ჯერ კიდევ რჩება გადაუწყვეტელი რიგი პრობლემები, რომლებიც რისკების ძირითად ფაქტორებს⁴¹ წარმოადგენენ, კერძოდ: ეკონომიკაში სტრუქტურული გარდაქმნების დაბალი ტემპი, საგადასახადო სისტემის არასრულყოფილება, მრავალი სამამულო საწარმოების დაბალი კრედიტუნარიანობა, მათ მიერ ინფორმაციის გახსნის არასაკმარისი დონე, აგრეთვე კრედიტორების უფლებების უზრუნველყოფის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის არასრულყოფილობა.**

41. ლ, ელიავა.საბანკო კრიზისების პროგნოზირება. მონოგრაფია. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2013.-404.]

თავი 17. სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მონიტორინგი აღრიცხვა-ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების ადაპტირების პროცესში

ჩატარებული კვლევის შედეგებიდან ვასკვნით, რომ (იხ. „საქართველოს -ანგარიში სტანდარტების და კოდექსების შესრულების შესახებ (ROSC) - აღრიცხვა და აუდიტი. თბილისი, 2015“)⁴² საქართველომ გადადგა ნაბიჯები ბაზართან წვდომის მნიშვნელოვნად გასაუმჯობესებლად და ევროკავშირთან მჭიდრო ეკონომიკური კავშირების დასამყარებლად. ქვეყანამ მოახდინა ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება ვილნიუსის სამიტზე 2013 წლის ნოემბერში; ასოცირების ხელშეკრულების და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების (DCFTA) სრული ხელმოწერა შედგა 2014 წლის 27 ივნისს.

ხელშეკრულების საბოლოო სახით მომზადების შემდეგ საქართველომ აიღო ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტის და კორპორაციული მართვის სფეროებში ევროკავშირის კანონების და ნორმატიული აქტების კრებულით (EU acquis communautaire) დადგენილი უმაღლესი სტანდარტების დანერგვის ვალდებულება. ეს ისტორიული ნაბიჯი წარმოადგენს მნიშვნელოვან შესაძლებლობას საქართველოსთვის გააძლიეროს საკუთარი თანამშრომლობა ევროპასთან პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ და უსაფრთხოების საკითხებში და სარგებელი მიიღოს ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობიდან.

ანგარიშები სტანდარტებისა და კოდექსების შესრულების შესახებ (ROSC) ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის (A&A) სფეროებში აფასებს მონაწილე ქვეყნებში არსებულ ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის პრაქტიკას. ეს ანგარიშები წარმოადგენს მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთობლივი

ინიციატივის ნაწილს, რომელიც გულისმობს ეკონომიკური სტაბილურობის და კერძო და საფინანსო სექტორების ძირითადი სტანდარტის დანერგვის ხარისხის შეფასებას (r#ROSC - ის პროგრამა). ეს პროგრამა 2000 წელს დაიწყო და მას შემდეგ სტანდარტების და კოდექსების შესრულების შეფასება აღრიცხვის და აუდიტის სფეროებში მსოფლიოს ასზე მეტ ქვეყანაში განხორციელდა. ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის სფეროში **ROSC -ის ანგარიშები მომზადდა ევროპის და ცენტრალური აზიის ყველა ქვეყნისთვის რუსეთის გარდა.**

42. ანგარიში სტანდარტებისა და კოდექსების შესრულების შესახებ_ROSC.2015. -76gb.

2015 წლის ანგარიში სტანდარტების და კოდექსების შესრულების შესახებ (ROSC) ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის (A&A) სფეროში **მიზნად** ისახავს:

- 1) მთავრობის სტრატეგიული ამოცანების ხელშეწყობას ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის პროფესიის და მისი რეგულირების ეფექტიანობის ამაღლებასთან დაკავშირებით;
- 2) კორპორაციული მართვის გაუმჯობესებას განსაკუთრებით ფინანსური ანგარიშგების და ანგარიშვალდებულების კუთხით;
- 3) სავალდებულო აუდიტის ხარისხის ამაღლებას და ამგვარად კორპორაციული ფინანსური ანგარიშგების სანდოობის ამაღლებას;
- 4) მთავრობის დახმარებას მცირე და საშუალო საწარმოებზე დაკისრებული ადმინისტრაციული ტვირთის შემსუბუქების თვალსაზრისით, რომელთაც უწევთ ანგარიშგების მომზადება დახვეწილი მოთხოვნების შესაბამისად;
- 5) საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის პროფესიული, ისევე როგორც საქართველოს მარეგულირებელი ორგანოების მიერ მიღწეული პროგრესის შეფასებას მთავრობასთან 2007 წელს შეთანხმებული სტანდარტების და კოდექსების შესრულების შესახებ (RO SC) ანგარიშის რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით. ყველა აღნიშნული ამოცანა სრულად შეესაბამება საქართველოსა და ევროკავშირის შორის ახლახან ხელმოწერილ ასოცირების ხელშეკრულებას.

ამრიგად, ეს ანგარიში (ROSC) ფარავს ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტის და ფინანსური ანგარიშგების სისტემას როგორც მთლიანს, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით საფინანსო სექტორზე, სახელმწიფო მფლობელობაში არსებულ საწარმოებზე, მცირე და საშუალო საწარმოებზე და აუდიტის რეგულირებაზე. ეს ის

სფეროებია, რომლებიც მნიშვნელოვანია საქართველოს მიმდინარე ეკონომიკური კონტექსტში. სახელმწიფოს მფლობელობაში არსებულ საწარმოებთან დაკავშირებით.

ეს ანგარიში ფოკუსირებულია არსებულ მოთხოვნებზე, სტანდარტების შესრულების უზრუნველყოფაზე და ფინანსური ანგარიშების და სავალდებულო აუდიტის შედეგების გამოყენებაზე მთავრობის მიერ **სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმოების მონიტორინგის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.**

ეს ანგარიში ასევე, მიმოიხილავს მცირე და საშუალო საწარმოებთან დაკავშირებულ ფინანსური ანგარიშების არსებულ მოთხოვნებს და მცირე და მიკრო ბიზნესებისთვის ანგარიშების გამარტივების საჭიროებას. და ბოლოს, ანგარიში აფასებს აუდიტის ზედამხედველობის ფუნქციას და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას, რომელიც მალე ამოქმედდება საქართველოში და იძლევა რეკომენდაციებს აუდიტის ზედამხედველობის გაძლიერებით აუდიტორული მომსახურების ხარისხის ამაღლების თაობაზე. საქართველო საშუალოზე დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყანაა, სადაც მშპ ერთ სულ მოსახლეზე 2013 წლის მდგომარეობით \$3,597 აშშ დოლარს შეადგენდა. №მპ -ს დარგობრივ სტრუქტურაში უდიდესი წილი უკავია სავაჭრო მომსახურებას (17,3%) და მრეწველობას (17,2%), რომლებსაც მოსდევს სატრანსპორტო და საკომუნიკაციო სერვისები (10,7%), საჯარო ადმინისტრაცია (10,1%), სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა და თევზჭერა (9,3%), მშენებლობა (6,7%) და ჯანდაცვის და სოციალური სფეროები (5,8%), ყველაზე მნიშვნელოვანი დარგებია სურსათის გადამამუშავება და მინერალური წყლების, უალკოჰოლო და ალკოჰოლური სასმელების წარმოება. ლითონის, ქიმიური პროდუქტების და ელექტრო მოწყობილობების წარმოება კვლავაც მნიშვნელოვან დარგებად რჩება ქვეყნისთვის. ეკონომიკა ძირითადად იმპორტზეა დამოკიდებული.

საფინანსო სექტორი ძირითადად წარმოდგენილია ბანკებით, სადაზღვევო კომპანიებით და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებით. საქართველოს საბანკო სექტორი დომინირებს საფინანსო სფეროში ბაზრის მაღალი კონცენტრაციით, დაბალი შეღწევადობით და მფლობელობის შერეული სტრუქტურით. ბანკები კვლავაც რჩებიან ყველაზე მნიშვნელოვან საფინანსო ინსტიტუტებად საქართველოში, რომლებზეც მოდის საფინანსო სისტემის აქტივების 75%. 2013 წლის ბოლოს, საქართველოში ფუნქციონირებდა 21 კომერციული ბანკი, მათ შორის ორი უცხოური ბანკის ფილიალი. საბანკო სისტემა დაუბრუნდა კრიზისამდელი ფუნქციონირების დონეს, აჩვენა მდგრადი მომგებიანობა, ძლიერი ლიკვიდურობა და კაპიტალის ბაზრის სიმტკიცე. კერძო სექტორზე და შინამეურნეობებზე გაცემული კრედიტები გაიზარდა 20%-ით 2013 წელს (2012 წლის 12.8% - თან შედარებით) და მიაღწია მშპ - ს 37%-ს 2013 წელს. 2013 წლის განმავლობაში საბანკო სექტორის აქტივები გაიზარდა მშპ -ს 66.1 პროცენტამდე მაშინ როცა 2012 წლის ბოლოს ეს მაჩვენებელი მშპ-ს 59.2 პროცენტს შეადგენდა. საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელის ხარისხი საქართველოს ერვწული ბანკის თანახმად

სტაბილურობას ინარჩუნებს და ბანკების მოგებიანობა ევროპის და ცენტრალური აზიის უმაღლეს მაჩვენებლებს შორისაა. პრობლემური სესხების წილი თანდათან მცირდებოდა 17.9% -დან (2009) 7.5% -მდე (2013 წლის დეკემბერი). უკუგება აქტივებზე და უკუგება კაპიტალზე შესაბამისად 2.5% და 14.6% იყო 2013 წლის ბოლოს 2012 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, როცა ეს მაჩვენებლები 1.0%-ს და 5.8%-ს შეადგენდა.

სადაზღვევო სექტორის როლი იზრდება როგორც მთლიანი მოზიდული პრემიის ისე აქტივების თვალსაზრისით. 2013 წლის მონაცემების თანახმად, საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე ფუნქციონირებდა 14 სადაზღვევო კომპანია (ამჟამად მოქმედებს 13, რადგან ერთ-ერთი მათგანი გადახდისუნარიობს წინაშე დგას). ბაზარზე ხუთი ლიდერია, რომლებზეც მოდის მთლიანი მოზიდული პრემიის 82% და მთლიანი საბაზრო აქტივების 81%. აღნიშნული ხუთი კომპანიიდან მხოლოდ ერთია მთლიანად ბანკის მფლობელობაში.

მაღალი ხარისხის ფინანსური ინფორმაცია აუმჯობესებს საინვესტიციო კლიმატს, სამეწარმეო გარემოს და საწარმოებისთვის კრედიტების ხელმისაწვდომობას. სანდო ფინანსური ინფორმაცია ბანკებს საშუალებას აძლევს მიიღონ უკეთესად ინფორმირებული საკრედიტო გადაწყვეტილებები, და ამით შეამსუბუქონ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მოთხოვნები და გააუმჯობესონ წვდომა ფინანსებთან. ამასთანავე მხოლოდ ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტის და ფინანსური ანგარიშგების პრაქტიკის გაუმჯობესება არ არის საკმარისი ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემების გადასაწყვეტად, მაგრამ მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ეკონომიკის სტიმულირებაში და საზოგადოების ნდობის ამაღლებაში ფინანსური ანგარიშგების და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მექანიზმების მიმართ.

ფირმების გამჭვირვალობის არარსებობა, ფინანსური ინფორმაციის და მფლობელობის შესახებ ინფორმაციის ჩათვლით, ფინანსური ანგარიშგებების აუდიტის განხორციელებას იშვიათ პრაქტიკასთან ერთად მნიშვნელოვან სირთულეებს უქმნის კრედიტორებს.

საწარმოთა კვლევის მონაცემების თანახმად, ქართული კომპანიების მხოლოდ 28% ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებებს და ახდენს მათ აუდიტორულ შემოწმებას (მაშინაც კი აღნიშნული ანგარიშგებები შერეული ხარისხისაა და ყოველთვის არ ემყარება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს). ქონებრივი უფლებების დაცვის არსებული ჩარჩო აფერხებს საქართველოში დაკრედიტებასთან და ინვესტიციებთან დაკავშირებით დამატებითი რისკის გაწევას. საწარმოთა მონაცემთან წვდომა და ამ ინფორმაციის ხარისხი, განსაკუთრებით სააქციო საზოგადოების შემთხვევაში, უმთავრეს პრობლემად რჩება ქვეყანაში.

საქართველოში კორპორაციული ფინანსური ანგარიშგების საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო ნელა ვითარდება ძირითად კანონებში ბოლო დროს შეტანილი

ცვლილებების სახით. ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის სფეროში 2007 წლის ROSC – ის ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ მიღებულ იქნა ახალი კანონი ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის შესახებ და სხვადასხვა ცვლილებები იქნა შეტანილი საბანკო, სადაზღვეო და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელ კანონმდებლობაში. კანონებში შეტანილი დადებითი ცვლილება იყო ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტის და ეთიკის სტანდარტების განმარტება სხვადასხვა ტიპის საწარმოებისთვის, სავალდებულო აუდიტის განმახორციელებელი აუდიტორების რეესტრის შექმნის მოთხოვნა და საჯარო წვდომის გაუმჯობესება და ბანკების აუდიტორულ ფინანსურ ანგარიშგებებთან. ეს ცვლილებები მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო მტკიცე კორპორაციულ ფინანსური ანგარიშგების სისტემის შექმნის გზაზე. დიფერენცირებულ მიდგომას ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნებზე და მკაფიოდ განსაზღვრავს ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამის სტანდარტებს მეწარმე სუბიექტების სხვადასხვა კლასების მიმართ. ახალი კანონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გაუმჯობესებაა ის, რომ საგადასახადო კოდექსის თანახმად მიკრო და მცირე მეწარმეებზე განსაზღვრული ფიზიკური პირები თავისუფლდებიან ფინანსური ანგარიშგების ნებისმიერი მოთხოვნისგან. ბუღალტრული აღრიცხვის ახალი სტანდარტების მოთხოვნები ძალაში შედის 2015 წლის 1-ლ ივნისს. მანამდე ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტები და მარეგულირებელი ორგანოების მიერ დადგენილი სხვა მოთხოვნები განაგრძობს ფინანსური ანგარიშგების რეგულირებას საქართველოში.

შესაბამისად, ანგარიშის შეფასება-ანალიზიდან იკვეთება, რომ შემდგომი ძალისხმევაა საჭირო სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს შესაბამისობაში მოსაყვანად საერთაშორისო სანიმუშო პრაქტიკასთან და ევროკავშირის ბუღალტრული აღრიცხვის დირექტივასთან. დარჩენილი ნაკლოვანებების და შეუსაბამობების აღმოფხვრა აამაღლებს კრედიტორებისთვის მიწოდებული ფინანსური ინფორმაციის ხარისხს, გააუმჯობესებს კომპანიების ანგარიშ ვალდებულებას ძირითადი დაინტერესებული მესამე მხარეების ინტერესებს, რომელთაც არ აქვთ წვდომა გაუმჟღავნებელ ინფორმაციასთან. კერძოდ, ეს მოთხოვნები მოიცავს:

- 1) ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის პროფესიის დამოუკიდებელ მონიტორინგს;
- 2) ინფორმაციის წარდგენის და გამოქვეყნების მოთხოვნებს, რათა უზრუნველყოფილ იქნებოდა ხარისხიანი ფინანსური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
- 3) ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების სათანადო შესრულების უზრუნველყოფას;
- 4) ანგარიშგების მოთხოვნების დახვეწას საზოგადოებრივი ინგერესის მქონე კომპანიების, მათ შორის, სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმოებისთვის,

სხვა დიდი კომპანიებისთვის, ისევე როგორც მცირე, საშუალო და მიკრო საწარმოებისთვის.

ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე საქართველომ აიღო ევროკავშირის შემდეგი დირექტივების მოთხოვნების შესრულების ვალდებულება. შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე საჯარო კომპანიებთან დაკავშირებით, ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან 3 წლის ვადაში, კერძოდ:

ა. ევროპის პარლამენტის და საბჭოს დირექტივა NN 2013/34/EU (26 ივნისი, 2013) გარკვეული ტიპის მეწარმე სუბიექტების წლიური ფინანსური ანგარიშგებების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების და დაკავშირებული ანგარიშების შესახებ;

ბ. რეგულაცია (EU) N 1606/2002 (19 ივლისი, 2002) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების შესახებ;

გ. ევროპის პარლამენტის და საბჭოს დირექტივა E N 2006/43/EU (17 მაისი, 2006) წლიური ანგარიშების და კონსოლიდირებული ანგარიშები სავალდებულო აუდიტის შესახებ, რომელიც შეიცვალა ევროპის პარლამენტის და საბჭოს N 2014/56/EU დირექტივით (16 აპრილი, 2014). აღნიშნული დირექტივების დაგეგმილი გამოყენება უნდა განხორციელდეს საქართველოს მიერ სამი წლის განმავლობაში შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიებისთვის. ქვეყანას ექნება ერთი წელი რომ დაადგინოს და განმარტოს ასეთი მოთხოვნები, რომლებიც გამოსაყენებელი იქნება კომპანიების სხვა ტიპებისთვის და შეათანხმოს ისინი ასოცირების საბჭოსთან. არსებითი რეფორმების გატარებაა საჭირო მთელ რიგ სფეროებში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოსაყვანად ევროკავშირის კანონების და ნორმატიული აქტების კრებულთან (EU) კორპორაციული ფინანსური ანგარიშგებების და აუდიტის სფეროებში, მათ შორისაა:

- 1) მეწარმე სუბიექტების, მათ შორის საზოგადოებრივი ინტერესის მქონე კომპანიების განსაზღვრა ტიპის მიხედვით;
- 2) ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების, აუდიტის სათანადო მოთხოვნების და გამოქვეყნების შესაბამისი წესების განსაზღვრა სუბიექტის ტიპის მიხედვით, რაც შესაძლებელს გახდის მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ანგარიშგების ტვირთის შემცირებას;
- 3) ანგარიშვალდებული საწარმოების განსხვავებული განმარტებების ჰარმონიზაცია სხვადასხვა კანონებში;
- 4) მონიტორინგის და აღსრულების მექანიზმების მნიშვნელოვანი გაძლიერება სტანდარტებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

5) აუდიტის საზოგადოებრივი ზედამხედველობის და ხარისხის კონტროლის მექანიზმის შემოღება სავალდებულო აუდიტის ფუნქციის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის მხარდასაჭერად;

6) სავალდებულო აუდიტის განმახორციელებელი აუდიტორების და აუდიტორული ფირმების დასამტკიცებლად და რეგისტრაციისთვის სისტემის დანერგვა;

7) პროფესიული განათლების და ტრენინგის მკაფიო მოთხოვნების დაწესება და უზრუნველყოფა ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის პროფესიისთვის კომერციული ბანკების რეგულირება ხორციელდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. საქართველოს ეროვნული ბანკი ასევე პასუხისმგებელია ფასიანი ქაღალდების ბაზრის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და საკრედიტო კავშირების ზედამხედველობაზე. პასუხისმგებლობა დაზღვევის რეგულირებაზე 2013 წლის აპრილში გადაეცა ცალკე ორგანიზაციას. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ და საქართველოს კანონი: “კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ უზრუნველყოფს სამართლებრივ ბაზას საზედამხედველო რეჟიმისთვის.

2012 წლის, 29 ივნისის საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის შესახებ [60] მოითხოვს, რომ ყველა მეწარმე სუბიექტი, რომელიც ექვემდებარება საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას, იყენებდეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს/IFRS). ამგვარად, საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკი იყენებს ფასს-ს ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებების მოსამზადებლად.

ბანკები დამატებით ექვემდებარებიან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მარეგულირებელ მოთხოვნებს, რომელთაგან ბევრი საფუძველს ქმნის უფრო მკაცრი ფინანსური ანგარიშგების ჩარჩოსთვის. ესენია:

- მართვა. ბანკებს მოეთხოვებათ აუდიტის კომიტეტის შექმნა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება შიდა და გარე აუდიტის ფუნქციებზე. სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში (როგორც ამას ადგილი აქვს საქართველოს შედარებით დიდი ბანკებისთვის) აღნიშნულს აქვს აუდიტორის მიერ შემოწმებული
- ბანკის ფინანსური ანგარიშგებების როგორც ხარისხის, ისე სანდოობის ამაღლების პოტენციალი ;
- ფინანსური ანგარიშგება. ბანკებს მოეთხოვებათ ყოველ კვარტალური ბალანსის და მოგება-ზარალის ანგარიშგების გამოქვეყნება და გამოქვეყნებულ ფინანსურ ანგარიშგებებში არსებული უზუსტობების გასწორება საქართველოს ეროვნული ბანკიდან შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში (თუმცა ამ წესის გამოყენების

არცერთი შემთხვევა გამჭვირვალობას, ხელს უწყობს საბაზრო დისციპლინის გაძლიერებას და საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებას.

პრუდენციული და ფინანსური ანგარიშგების დაახლოება. ფასს-თან ერთად კომერციული ბანკები ასევე ექვემდებარებიან ცალკე მოთხოვნებს **პრუდენციული ზედამხედველობის თვალსაზრისით**. ეს მოთხოვნები ფასს-ისგან განსხვავებულია მთელი რიგი ასპექტებით, მათ შორის, სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის შექმნის, ძირითადი საშუალებების შეფასების, შვილობილი საწარმოების კონსოლიდაციის მასშტაბის და ა.შ. მოთხოვნებით (განხილული იქნება ქვევით ამ ანგარიშის მესამე თავში). საქართველოს ეროვნული ბანკი მუშაობს ფასს-ის და პრუდენციული ანგარიშგების დაახლოებაზე, რასაც დაახლოებით სამი წელი დასჭირდება.

სადაზღვევო კომპანიებს საქართველოში მოეთხოვებათ ფინანსური ანგარიშგებების მომზადება ფასს-ის შესაბამისად 2012 წლის ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის კანონიდან გამომდინარე. სადაზღვევო კომპანიები ასევე ექვემდებარებიან **პრუდენციული ანგარიშგების მოთხოვნებს**. პრუდენციული ანგარიშგების მოთხოვნები და ფასს-ი მნიშვნელოვნად განსხვავდება რამდენიმე ასპექტით, მათ შორის, რეზერვების გამოთვლის, უიმედო ვალის დარეზერვების, შვილობილი საწარმოების კონსოლიდაციის კუთხით საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, ახალი მარეგულირებელია, რომელიც შეიქმნა სადაზღვევო სფეროს ზედამხედველობის მიზნით. საქართველოს ეროვნული ბანკის შემდეგ ის ახორციელებს დაზღვევის რეგულირებას. სადაზღვევო კომპანიებისთვის მარეგულირებელი ჩარჩო საჭიროებს შემდგომ გაძლიერებას ფინანსური ინფორმაციის ხარისხის ასამაღლებლად და სადაზღვევო სექტორში გამჭვირვალობის დონის გასაუმჯობესებლად.

სადაზღვევო კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები საქართველოში არ არის მარტივად ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის. სადაზღვევო კომპანიებს მოეთხოვებათ საკუთარი წლიური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტის განხორციელება და მარეგულირებლისთვის წარდგენა. სადაზღვევო კომპანიებს ასევე მოთხოვბით მათი ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნება, მაგრამ ამისთვის არ არის ვადა განსაზღვრული. ცამეტი სადაზღვევო კომპანიიდან, რომლებიც საქართველოში ფუნქციონირებენ, აუდიტორის მიერ შემოწმებული ფინანსური ანგარიშგებები მხოლოდ ოთხი კომპანიის ვებგვერდზე იყო ხელმისაწვდომი.

საჭიროა ცვლილებების განხორციელება **გამჭვირვალობის გასაუმჯობესებლად** და მაღალი ხარისხის ფინანსური ანგარიშგების წასახალისებლად, რაც ხელს შეუწყობს სადაზღვევო კომპანიების **ფინანსური ანგარიშგებების ხარისხის ამაღლებას** და დარგში მესამე მხარეების დაცულობის გაძლიერებას. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურმა უნდა დახვეწოს ან გააფართოვოს **მარეგულირებელი**

მოთხოვნები, რომლებიც უკავშირდება: 1) ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნებას; 2) სავალდებულო აუდიტის განმახორციელებელი აუდიტორების დანიშვნის და გათავისუფლების შემთხვევაში (გათავისუფლების საფუძვლების მითითებით); და 3) კორპორაციული მართვის მექანიზმებს სადაზღვევო კომპანიებში, საქართველოს ეროვნული ბანკის ბრძანება მოქმედი სტანდარტების და ანგარიშგების ვადების შეუსრულებლობისთვის დადგენილი სანქციების შესახებ საჭიროებს შეცვლას, რათა მასში აისახოს დაზღვევის ზედამხედველობის ფუნქციების გადაცემა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურზე.

კვლევები გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმოებისთვის დადგენილი ანგარიშგების მოთხოვნები **ბუნდოვანია** და არასათანადოდ სრულდება. არ იძლევა სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული აქტივების ზუსტ სურათს, რაც ართულებს **სახელმწიფო აქტივების შეფასებას** და მართვას.

საქართველოში ფინანსური ანგარიშგების ჩარჩო **სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმოებისთვის ფრაგმენტირებულია** და ფაქტიურად ბუნდოვანიც.

2012 წლის ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის კანონის თანახმად სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული მეწარმე სუბიექტები ექვემდებარებიან **სახელმწიფო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს** გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქარველოს მთავრობის მიერ მოთხოვილია კერძო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების გამოყენება. საჯარო სამართლის დაახლოებით 6000 იურიდიული პირიდან შეუძლებელია განისაზღვროს სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული რამდენი საწარმო ახორციელებს კომერციულ საქმიანობას და ამდენად უნდა იყენებდეს კერძო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს (IFRS) და ექვემდებარებოდეს სავალდებულო აუდიტს. არ არის ნათელი სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული რომელი საწარმო ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებებს ფასს-ის შესაბამიად და ატარებს თუ არა ყოველწლიურ აუდიტს.

საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო **ზედამხედველობას უწევს სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული 381 საწარმოს გამარტივებულ ფინანსურ ანგარიშგებას**, რომელაგან უმრავლესობა კლასიფიცირებულია როგორც უმოქმედო. სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული სხვა საწარმოები ანგარიშგებას ახორციელებენ შესაბამისი დარგობრივი სამინისტროების წინაშე, სამინისტროებსა და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შორის ინფორმაციის გაცვლის ჩამოყალიბებული სისტემის გარეშე.

მონიტორინგი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესრულებაზე ხორციელდება რამდენიმე სახელმწიფო ორგანოს მიერ. შესაძლებლობების ნაკლებობა გავლენას ახდენს ეფექტიან აღსრულებაზე. სხვადასხვა მარეგულირებლებს განსხვავებული მიდგომები აქვთ სტანდარტები შესრულების და შესაბამისობის საჭირო დონის მიმართ, რითაც განპირობებულია ნაკლოვანებები აღსრულებასა და მონიტორინგში.

სტანდარტების შესრულების უზრუნველყოფა რეგულირებადი კომპანიებისთვის ხორციელდება:

1) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ყველა კომერციული ბანკისთვის; და საჯარო კომპანიებისთვის (საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ);

2) დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ ყველა სადაზღვევო კომპანიისთვის ;

3) სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს და შესაბამისი დარგობრივი სამინისტროების მიერ სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმოებისთვის. ამ ორგანიზაციებს გააჩნიათ საზედამხედველო კონტროლის სხვადასხვა ხარისხი და განსხვავებული ინსტიტუციური შესაძლებლობები სტანდარტების შესრულების უზრუნველყოფისთვის. მარეგულირებლების მიერ აღსრულების შეუძლებლობას შედეგად მოჰყვება სტანდარტების მცირე ან არაეფექტური შესრულება.

მარეგულირებლებს შორის კოორდინაციის დაბალ დონეს და სტანდარტების შესრულების მონიტორინგის არასაკმარისი შესაძლებლობას, შედეგად, მოსდევს საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის სტანდარტების სუსტი დაცვა. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემები აღსრულების უზრუნველყოფის მკაცრი მექანიზმებით უნდა იქნეს დანერგილი, რაც გულისხმობს აღმასრულებელი ორგანოებს საზედამხედველო პერსონალის ფართომასშტაბიანი ტრენინგის ორგანიზებას.

ფასს-ში საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტის გამოცდილება საკმარისია საბანკო სექტორში სტანდარტების შესრულების სათანადო კონტროლის განსახორციელებლად. 2014 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შექმნა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციალიზირებული სტრუქტურული ერთეული, რომელიც კოორდინაციას უწევს საბანკო სისტემის გადასვლას ფასს -ზე და მარეგულირებელი ანგარიშგების შესაბამისობაში მოყვანას ფასს-თან.

კვლევები მოწმობს, რომ 2014 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განახორციელა განსხვავებების შეფასება ადგილობრივი აღრიცხვის პრინციპებსა და

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს შორის (ფასს), რითაც გამოავლინა ძირითადი შეუსაბამობები ანგარიშგების ამ ორ სისტემას შორის. ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც მოიცვა შეფასებამ იყო:

- 1) სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის შექმნის პრაქტიკა ბასს 39-ის შესაბამისად;
- 2) ძირითადი საშუალებების შეფასება;
- 3) ფასს -ის ფინანსური ანგარიშგებების, მათ შორის, განმარტებითი შენიშვნების ხარისხი.

შესაბამისად, ბუღალტრული აღივსვის და აუდიტის სფეროში 2007 წლის ROSC-ის ანგარიშის მომზადების შემდეგ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია გარე აუდიტორებთან თანამშრომლობის სფეროში, კერძოდ, მან რწმუნების ვალდებულება გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგებების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. აუდიტორებთან შემდგომი კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დანერგა აუდიტორებთან საწყისი და დასკვნითი შეხვედრების პრაქტიკა, სადაც ზედამხედველები და გარე აუდიტორები ცვლიან ინფორმაციას.

ზოგადად, ბუღალტრული აღივსვის ქართული სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შეფასებისას იკვეთება ,რომ მათი ხარისხი დაბალია საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით. შესაბამისად, საქართველოში უნდა განხორციელდეს კორპორაციული ფინანსური ანგარიშგების ეფექტური ინსტიტუციური ჩარჩოს დამკვიდრება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები

კვლევის შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ მსოფლიო გლობალიზაციის განვითარების თანამედროვე ეტაპზე შეიძლება გამოიყოს **ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირების შემდეგი მოდელები, კერძოდ:** 1) მიკროეკონომიკური (ანგლო-ამერიკული); 2) მაკროეკონომიკური (კონტინენტალურ-ევროპული); 3) ლათინო ამერიკული; 4) ისლამური; და 5) საერთაშორისო.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ზასს) არსიდან და მიზნებიდან გამომდინარე ბუღალტრულ აღრიცხვასა და ანგარიშებში გამოყენებულ პრინციპებს მიეკუთვნება: ორმხრივობის, ფულადი შეფასების, საწარმოს ავტონომიურობის, უწყვეტობის, თვითღირებულების, კონსერვატიზმის, მატერიალურობის, რეალიზაციის და შესაბამისობის პრინციპები.

ბიზნესის გლობალიზაციის პირობებში, აუცილებელი ხდება ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის როგორც პროფესიის რეგულირების ერთობლივი წესებისა და სტანდარტების შემუშავება. ასეთ დროს ძალზედ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბუღალტერთა პროფესიული გაერთიანებებისა და ორგანიზაციების მიერ დადგენილი პროფესიული განათლებისა და სერთიფიცირების სტანდარტები.

ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტორული საქმიანობის რეგულირების წესები საერთაშორისო მასშტაბით **ეყრდნობა:**

- 1) ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ დადგენილ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს;
- 2) პროფესიონალი ბუღალტრის განათლების სტანდარტებს;
- 3) პროფესიული მომსახურების ხარისხის კონტროლის შემოწმების სტანდარტებს;

4) პროფესიული ეთიკის კოდექსსა და სხვა ნორმებს, რაც განაპირობებს მსოფლიო მასშტაბით პროფესიის ჰარმონიზაციის შესაძლებლობას.

კვლევები უჩვენებს, რომ ბასს-ის დანერგვის საქმეში არსებობს რიგი ძირითადი მეთოდური პრობლემები. კერძოდ:

პირველ პრობლემას წარმოადგენს იმის განსაზღვრა თუ რა ძირითად დებულებებს უნდა ემყარებოდეს ფინანსური ანგარიშგება.

მეორე პრობლემაა, საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დაფუძნებული აღრიცხვის პირობებში მნიშვნელოვნად განსხვავებულია ძირითადი საშუალებების შეფასების წესი.

მესამე პრობლემა-აუცილებლად გათვალისწინებას მოითხოვს ის გარემოებაც, როდესაც ანგარიშგება პირველად დგება ბასს-ის მიხედვით,

მეოთხე პრობლემა ბუღალტრული პოლიტიკის ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში რეგლამენტირებული ბასს 1-ით და მოიცავს შემდეგ საჭიროებას, როგორებიცაა: შემოსავლების აღიარება; კონსოლიდაციის მეთოდები; საქმიანობის სფერო; ერთობლივი საწარმოები; ძირითადი საშუალებების და მათი ცვეთის ასახვა; ნასესხები საშუალებების და სხვა ხარჯების კაპიტალიზაცია; გადასახადები, გადავადებული გადასახადების ჩათვლით; რეზერვები; შრომითი დანახარჯები; ანგარიშსწორება უცხოურ ვალუტაში; დანახარჯთა ცენტრების განსაზღვრა საქმიანობის სახეების და ადგილმდებარეობის მიხედვით.

მეხუთე პრობლემა, ბასს-ის მიხედვით მოგების განაწილებისას უნდა ვიხელმძღვანელოთ იმ პრინციპით, რომ მცირე გამონაკლისის გარდა ყველა ფულადი დანახარჯები, გარდა მესაკუთრეებისათვის გადახდილი დივიდენდებისა, უნდა მიეკუთვნოს მიმდინარე ხარჯებს და ჩაირთოს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

მეექვსე პრობლემა, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით აღრიცხვის წარმოებისას გამოყენებული უნდა იქნას დარიცხვის მეთოდი.

მეშვიდე პრობლემა, ძირითად საშუალებათა გადაფასება არსებითია. ამიტომ გადაფასების სწორი ასახვისათვის ფინანსურ ანგარიშგებაში გადაფასების შედეგები უნდა დაფიქსირდეს შემდეგნაირად: აქტივების ღირებულების გადიდება გადაფასების შედეგად უნდა აისახოს საკუთარ კაპიტალში მუხლით “გადაფასების რეზერვი.”

მერვე პრობლემა, ფინანსური ანგარიშგების სრული კომპლექტი უნდა მოიცავდეს ბალანსს, მოგება-ზარალის ანგარიშგებას, ანგარიშგებას ფულის მიმოქცევის შესახებ და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს, რომელთა ფორმატი შედგენილი და წარდგენილი უნდა იქნეს ბასს 1-ის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში..

ამრიგად, მონოგრაფიაზე მუშაობის პერიოდში შესწავლილ იქნა საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით რეგულირების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები, გამოკვლეულ იქნა საქართველოს სახელმწიფო (საჯარო) და კერძო სექტორში მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა, შეფასდა მათი ევროდირექტივებისა და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის მდგომარეობა.

ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროების ეროვნული სისტემის სრულყოფის აუცილებლობა. შესაბამისად, შემოთავაზებულია გაუმჯობესებელი სისტემის ფორმირების მიდგომები, მეთოდოლოგიურ-პრაქტიკული მიმართულებების დებულებები და რეკომენდაციები, კერძოდ:

პირველი. შესწავლილ იქნა 1995-1999 წლებში საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და კონტროლის რეგულირების საკანონმდებლო-ნორმატიული აქტების ბაზა, რომლის საფუძველზე საქართველომ გაიარა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები, შემოიღო პროფესიული თვითრეგულირებისა და სერტიფიცირების პრაქტიკა, განსაზღვრა საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ღონისძიებები, რითაც მნიშვნელოვნად დაუახლოვდა რეგულირების საერთაშორისო პრაქტიკას. ასევე, 2000-2012 წლებში განხორციელებული ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის მარეგულირებელი კანონების მოთხოვნების პრაქტიკაში დანერგვის საკანონმდებლო ბაზის შემდგომი სრულყოფის უზრუნველმყოფელი ღონისძიებები.

გამოკვლეულია საქართველოში დამოუკიდებელი პროფესიული და დონორი ორგანიზაციების როლი ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების პრაქტიკაში დანერგვის, ბუღალტერთა გადამზადებისა და პროფესიული სერტიფიცირების პროცესების დაწყების სფეროში.

მეორე. ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების პრაქტიკის ანალიზით საქართველოში-გამოვლენილია აღრიცხვა-აუდიტის ეროვნული სისტემის გაუმჯობესების აუცილებლობა, კერძოდ:

- 1). საქართველოში დღეისათვის მოქმედი სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სისტემა საჭიროებს ტრანსფორმაციას, რაც დაკავშირებულია ქვეყანაში მიმდინარე რადიკალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარდაქმნებთან, საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებასთან და ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების გაღრმავებასთან;
- 2). გამოვლენილია ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში განხორციელებული ცვლილებების ეტაპზე ქვეყნის ეკონომიკური და კორპორაციული მართვის პრაქტიკის განვითარების დონეზე აღრიცხვა-აუდიტის სფეროში

დამკვიდრებული საკანონმდებლო მოთხოვნების შეუსაბამობა საერთაშორისო პრაქტიკასთან და ფინანსური ინფორმაციის წარდგენის მოთხოვნებთან;

3). შეფასებულია ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებელთა ინტერესები, რამეთუ ანგარიშგება უნდა იყოს უტყუარი და სამართლიანი, რომელიც ახასიათებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას, შედეგს და მათზე მოქმედ ფაქტორებს. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მიზნის მიღწევა შეუძლებელია ბასს-ით გათვალისწინებული **ხარისხობრივი მახასიათებლების** გარეშე, როგორცაა: აღქმადობა, შესაბამისობა, საიმედოობა და შესადარისობა, რომელთა სრულად უზრუნველყოფის გარეშე, ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია მომხმარებლისათვის სასარგებლო ვერ იქნება.

4). შესწავლილია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) სხვადასხვა საფუძვლები, რომლებიც მოითხოვს ან უშვებს **რეალური ღირებულების** განსხვავებულ შეფასებებსა და განმარტებებს ფინანსური ანგარიშგებებისათვის. შეფასებები განსხვავდება, აგრეთვე, სახელმძღვანელო მითითებების ხარისხითაც, რომლებიც ეხება აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების ან მათი შესაბამისი განმარტებების საფუძველს. შესაბამისად, რეალურ ღირებულებაზე დაფუძნებული შეფასებებისა **მნიშვნელობა** განუწყვეტლივ იზრდება ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლებში.

5). საქართველოში **თანამედროვე ეტაპზე ჩამოყალიბებული საკანონმდებლო ბაზის** აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის სფეროების **ანალიზით**, გამოვლინდა პროფესიის რეგულირების **სრულყოფის აუცილებლობა**. საქართველოში თანამედროვე ეტაპზე **განათლების ხარისხის** შეფასებიდან გამომდინარეობს, რომ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროების ყველა დონეზე საჭიროებს გაუმჯობესებას. შესაბამისად, საქართველოში ბუღალტრის (აუდიტორის) პროფესიის შემდგომი განვითარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პროფესიული განათლების სტანდარტის და უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების სრულყოფას, რამეთუ განათლების ხარისხის ამაღლება ახლანდელი და მომავალი თაობებისთვის გააძლიერებს ანგარიშგების წარდგენის პრაქტიკას და აამაღლებს ინფორმაციის ხარისხს.

შესაბამისად, საქართველომ უნდა განახორციელოს ძირითადი ცვლილებები საკუთარი სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს **ევროკავშირის დირექტივებთან** შესაბამისობაში მოსაყვანად, ასოცირების ხელშეკრულების საფუძველზე. ასევე მნიშვნელოვანია, საქართველოს მთავრობის პროგრესული მისწრაფება საკანონმდებლო ბაზის რეფორმირებისაკენ, რომელიც არსებითი წინაპირობაა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროების რეგულირებას უზრუნველსაყოფად.

მესამე. **ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტური სფეროების ეროვნული სისტემის სრულყოფის პრიორიტეტების** მომზადების პროცესში ჩატარებული კვლევებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების “ანგარიშების სტანდარტებისა და კოდექსების შესრულების შესახებ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში (ROSC)“-ის შეფასებიდან გამომდინარე, გამოიკვეთა საქართველოში კორპორაციული ფინანსური ანგარიშგებების **შედგენისა და წარდგენის თანამედროვე და ეფექტური ინსტიტუციური სისტემის ფორმირებისთვის დებულების** შემდეგი მოთხოვნების განხორციელების საჭიროება, კერძოდ:

1) საქართველოს კანონმდებლობაში აუცილებელია **საზოგადოებრივი ინტერესის მქონე კომპანიების (PIES)** განსაზღვრა, რომელიც ევროკავშირის ბუღალტრული აღრიცხვის დირექტივასთან შესაბამისობის მიზნით უნდა მოიცავდეს: ა)

რეგულირებად ბაზარზე ვაჭრობაში მონაწილე კომპანიებს და ბ) საკრედიტო დაწესებულებებს, სადაზღვევო კომპანიებს და კომპანიებს, რომლებიც მნიშვნელოვანი არიან საზოგადოებისთვის მათი ბიზნესის ტიპის, სიდიდის ან დასაქმებული ადამიანების რიცხოვნობის გამო.

შესაბამისად, შემოღებულ უნდა იქნას საზოგადოებრივი ინტერესის მქონე დიდი, საშუალო, მცირე და მიკროსაწარმოების განსაზღვრებები მათი ბიზნესის სიდიდის და მფლობელობის ტიპის გათვალისწინებით სხვადასხვა კანონებში ნებისმიერი ბუნდოვანების გამორიცხვის მიზნით სტანდარტების შესრულების უზრუნველსაყოფად.

2). შემოღებულ იქნას მოთხოვნა საქართველოს ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი ყველა საზოგადოებრივი ინტერესის მქონე და დიდი საწარმოსთვის, ბუღალტრული აღრიცხვის ევროდირექტივების მოთხოვნების შესაბამისად, ინტერნეტის მეშვეობით, სრულად აქვეყნებდნენ აუდიტორის მიერ დადასტურებულ საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებებს აქციონერთა საერთო კრებამდე გონივრული პერიოდის განმავლობაში.

3). უნდა შეიქმნას მდგრადი დაფინანსების უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც საშუალებას მისცემს აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციებს დროულად და ეფექტურად შეასრულონ მთავრობის მიერ დელეგირებული შემდეგი ფუნქციები ყოველგვარი არასათანადო ზეგავლენის და მიკერძოების გარეშე.

ზემოთ აღნიშნული **დებულებების მოთხოვნების** შესრულების უზრუნველსაყოფად შემოთავაზებულია შემდეგი **რეკომენდაციები** საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის არსებული მდგომარეობის **გასაუმჯობესებლად**, კერძოდ:

1) საქართველოში არსებული მარეგულირებელი ორგანოს აღჭურვა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესრულების მექანიზმებითა და იძულებითი უზრუნველყოფის უფლებამოსილებით;

2) თანამშრომლობის გაძლიერება მთავრობასა და ბუღალტრული აღრიცხვის (აუდიტის) პროფესიულ ასოციაციებს შორის **ფასს-თან** შესაბამისობის ასამაღლებლად, აუდიტზე ხარისხის კონტროლის დასაწესებლად, სტანდარტების დროული თარგმნის

უზრუნველსაყოფად და უწყვეტი პროფესიული განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად;

3) ახალი ორგანოს შექმნა, რომელიც იქნება სავალდებულო აუდიტის განმახორციელებელი აუდიტორების (აუდიტორული ფირმების) რეგულირებაზე ან/და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი კომპეტენტური ორგანო აუდიტის დირექტივის მოთხოვნის შესაბამისად;

4) მარეგულირებლების ინსტიტუციური შესაძლებლობების უწყვეტი ზრდა ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგის და უზრუნველყოფის მიზნით;

5) სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმოების ფინანსური ანგარიშგების ცენტრალიზაცია უფლებამოსილების მქონე ერთ ორგანოში;

6) შესაბამისობის მარეგულირებელ ორგანოებში მექანიზმების მნიშვნელოვანი გაძლიერება სტანდარტებთან შესაბამისობაზე მონიტორინგის განსახორციელებლად და შეუსაბამობისათვის შესაბამისი სანქციების დასაწესებლად, კერძოდ:

ა) **ბუღალტრული აღრიცხვისათვის** - საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო და ა.შ.

ბ) **აუდიტისათვის** - საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (საქართველოს ბაფი).

7) საქართველოს **აუდიტორული კონტროლის** სამართლებრივი და ორგანიზაციული საფუძვლების ეფექტიანობის ხარისხის სრულყოფის მიმართულებით განისაზღვრა შემდეგი ღონისძიებების სისტემის ფორმირებისა და დანერგვის მიზანშეწონილობა, კერძოდ:

1. თანამშრომლობის გაძლიერება მთავრობასა და ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიულ ორგანიზაციებს შორის შესაბამისობის ასამაღლებლად და **ფასს-ის** გამოყენების უზრუნველსაყოფად, აუდიტის ხარისხის კონტროლის დასაწესებლად, სტანდარტების დროულად თარგმნის უზრუნველსაყოფად და უწყვეტი პროფესიული განათლების ხარისხის ასამაღლებლად.

2. სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმოების ფინანსური ანგარიშგებების ცენტრალიზაცია ერთ ორგანოში, რაც შესაძლებელს გახდის, რომ მთავრობამ შეიმუშაოს კონსოლიდირებული ხედავ იმ კომპანიების შესახებ, რომლებშიც სახელმწიფო ფლობს გარკვეულ კაპიტალს.

3. არსებული მარეგულირებელი ორგანოს იდენტიფიკაცია და განსაზღვრა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესრულების და ანგარიშგების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად საზოგადოებრივი ინტერესის მქონე და დიდი საწარმოებისთვის.

4. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საბიუჯეტო-საგადასახადო მაჩვენებლების პროგნოზების ხარისხის ამაღლებას, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის მაჩვენებლებს და დასაბეგრი ბაზის ცვლილებებს. შესაბამისად, უფრო მეტ სიზუსტეს და არგუმენტაციას საჭიროებს არასაგადასახადო შემოსავლების, კაპიტალის ოპერაციებიდან შემოსავლების და გრანტების პროგნოზი.

5. ქვეყანაში მნიშვნელოვანია სატარიფო სისტემის ოპტიმიზაციის და სტაბილურობის უზრუნველყოფა, რაც განპირობებულია საქართველოს, როგორც ტრანზიტული ქვეყნის როლით ევრაზიის სივრცეში.

შესაბამისად, საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის უზრუნველსაყოფად შემდეგი ღონისძიებების გატარებით შესაძლებელი იქნება: ა) ფასს-ის თარგმნის პროცესის გაუმჯობესება, ბ) მიკრო საწარმოებისთვის შემდგომი ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული სტანდარტების შემუშავება და მიღება და გ) აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მეთოდოლოგიური და პრაქტიკის სახელმძღვანელოების შემუშავება, რაც გააუმჯობესებს აუდიტორული პროფესიის ხარისხს საქართველოში და უზრუნველყოფს საზოგადოების ნდობის ამაღლებას ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენლი ინფორმაციის მიმართ.

სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ამოცანების წარმატებით რეალიზაციისთვის კონტროლი ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით: საგადასახადო სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დაცვაზე; სახელმწიფო დოტაციების, საგადასახადო შეღავათების და სხვა უპირატესობების გამოყენების კანონიერებაზე; ბუღალტრული აღრიცხვის სწორად წარმოებაზე; სახელმწიფო რესურსების ეკონომიურად გამოყენებაზე; საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ და ეკონომიურად ხარჯვაზე; სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების ფინანსური, შრომითი და მატერიალური რესურსების მდგომარეობაზე და გამოყენებაზე.

სახელმწიფო ფინანსური კონტროლის კოორდინაციის უფლება კანონმდებლობით გააჩნია საქართველოს კონტროლის პალატას. კანონი „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ მიუთითებს, რომ „სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის ეფექტური განხორციელების, რევიზია-შემოწმებების პარალელიზმის აღკვეთის მიზნით საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის სფეროში კონტროლის პალატა კოორდინაციას უწევს სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის სხვა ორგანოების საქმიანობას“ (მუხლი 66).

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფინანსური პოლიტიკის ფორმირება-განხორციელებაში განსაკუთრებული როლი სახელმწიფოს ცენტრალურ საფინანსო ორგანოებს ენიჭებათ. ქვეყნის ძირითადი ინსტიტუციონალური სტრუქტურა ისე უნდა იყოს აგებული, რომ მართვა და კონტროლი დეცენტრალიზებული გზით წარიმართოს,

ამით სამინისტროების და უწყებების ქვეყნის ეკონომიკური სისტემის შესაბამისი ფინანსური ურთიერთობათა სიმკაცრისა და ლიბერალიზაციის გზით მაღალი ეფექტიანობა მიიღწევა.

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემა უზრუნველყოფს დამოუკიდებელი, ობიექტური, საჯარო, გამჭვირვალე და პროფესიული სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის და მათ შორის, შიდა აუდიტის სისტემის ჩამოყალიბებას. შიდა კონტროლი წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური მართვისა და ფინანსური კონტროლის პრინციპების გამჭვირვალობასა და დამოუკიდებლობას სახელმწიფოს ფინანსური სტაბილურობის შესანარჩუნებლად და გასაძლიერებლად.

სახელმწიფო საფინანსო კონტროლის სისტემის ჩამოსაყალიბებლად საჭიროა, როგორც მთელი რიგი ნორმატიული აქტების მიღება, ასევე ორგანიზაციული ღონისძიებების გატარება, როგორცაა, შიდა საფინანსო კონტროლის სამსახურების და საქართველოს კონტროლის პალატასთან შესაბამისი კადრების მოსამზადებელი ცენტრის შექმნა.

კვლევამ საკმაოდ განსხვავებული სურათი აჩვენა იმ უწყებების მიხედვით, რომლებსაც ასეთი სამსახური ოფიციალურად აქვთ. ანგარიშის თანახმად, 2010-2012 წლებში საუკეთესო სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემა ჰქონდა შემდეგ უწყებებს: საგარეო საქმეთა სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს.

საქართველოში დღეისათვის მოქმედი სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სისტემის შედარება-ანალიზის საფუძველზე იკვეთება აუცილებლობა იმისა, რომ შესაბამისობაშია მოსაყვანი თანამედროვე ეტაპზე მის წინაშე მდგარ მოთხოვნებთან. მისი ტრანსფორმაციის აუცილებლობა დაკავშირებულია ქვეყანაში მიმდინარე რადიკალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარდაქმნებთან, საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებასთან, ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების გაღრმავებასთან.

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალურაუდიტორთან და წარუდგენს მას აუდიტორული საქმიანობის ხარისხის მიმოხილვის წლიურ ანგარიშს, რომელშიც საქმიანობა ინსტიტუციურად არის შეფასებული ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული კომპეტენციების შემდეგ სფეროებში: ადამიანური რესურსების და პროფესიული განვითარების სისტემის მართვის შეფასება; აუდიტორული საქმიანობის გრძელვადიანი და საშუალოვადიანი დაგეგმვა; აუდიტზე პასუხისმგებელი მმართველი გოლისმუშაობის ეფექტიანობის შეფასება; აუდიტორული საქმიანობის ხარისხის მუდმივი მონიტორინგი;

გაცემული რეკომენდაციების შესრულების პროცესის გამჭვირვალე და სრულყოფილი კოორდინაციის მიზნით სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეიმუშავა

რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს გაცემული რეკომენდაციების პრაქტიკაში დროულ და შესაბამის დანერგვას. სისტემაში ასახულია რეკომენდაციების შესრულების პროცესთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი ინფორმაცია და დოკუმენტი. აღნიშნული სისტემის მეშვეობით ყველა დაინტერესებულ მხარეს აქვს შესაძლებლობა მიიღოს დროული და ამომწურავი ინფორმაცია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის დანერგვით სახელმწიფო აუდიტის სამსახური მიზნად ისახავს საკანონმდებლო ხელისუფლების როლის გაზრდას საჯარო ფინანსების მართვის გამჭვირვალებისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის პროცესში. აღნიშნული წახალისებს აუდიტის ობიექტების მიერ რეკომენდაციების შესრულების პროცესს და ხელს შეუწყობს საჯარო სექტორის გამჭვირვალებისა და ანგარიშგების ხარისხის გაუმჯობესებას.

საქართველოს ფინანსური კონტროლის შემდგომი რეფორმებისათვის საჭიროა შემუშავდეს და მიღებულ იქნას ნორმატიული აქტები ქვეყნის საკანონმდებლო დონეზე, კერძოდ: ფინანსური კონტროლის ერთიანი სამოქმედო კონცეფცია სახელმწიფო მმართველობის თანამედროვე პრინციპებისა და მოთხოვნების შესაბამისად; ზოგადი სახელმწიფო კანონი „ საჯარო სამსახურის კონტროლის შესახებ“, რომელიც უზრუნველყოფს საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის სახელმწიფო ორგანოთა მიერ რევიზია-შემოწმებების ფორმებისა და მეთოდების უნიფიცირებას; სახელმწიფო ფინანსური აუდიტის ეროვნული სტანდარტები.

ამასთანავე, შემდეგი ღონისძიებების გატარებაა აუცილებელი, კერძოდ:

1) სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ახალ ფორმებსა და მეთოდებზე გადასვლისათვის საჭიროა საჯარო სექტორის რადიკალური რეფორმა, განსაკუთრებით კი საბიუჯეტო ორგანიზაციების ქსელის ოპტიმიზაცია;

2) საკონტროლო საქმიანობის უნიფიცირება-სტანდარტიზების მიზნით საჭიროა შეიქმნას სპეციალური ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური კონტროლის სტანდარტების შემუშავების კოორდინაციას და ექსპერტიზას;

3) მიზანშეწონილია სათანადო სამართლებრივი, მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული პირობების შექმნა;

4) სახელმწიფო აუდიტის ფორმების შერჩევა და გამოყენება უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი მოთხოვნილების შესაბამისად.

საქართველოში საბიუჯეტო სახსრებისა და სახელმწიფო ქონების გამოყენების კანონიერების, მიზნობრიობისა და ეფექტიანობის კონტროლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შემოთავაზებულია განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

1) საქართველოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ, მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების, საგადასახადო ბალანსის, მოსახლეობის ცხოვრების დონის, სამომხმარებლო ფასების ცვლილებების ანალიზს;

2) დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი საგარეო ვაჭრობის დეფიციტის გადიდების გამომწვევი ფაქტორების შესწავლის და ექსპორტზე ორიენტირებული დარგების განვითარების მიმართულებით;

3) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საბიუჯეტო-საგადასახადო მაჩვენებლების პროგნოზების ხარისხის ამაღლებას;

4) მნიშვნელოვანია სატარიფო სისტემის ოპტიმიზაცია და სტაბილურობა;

5) საჭიროა უფრო ზუსტი მეთოდის შემუშავება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების პროგნოზირებისათვის;

6) ჩასატარებელია სახელმწიფო ქონების კომპლექსური ინვენტარიზაცია და შეფასება საბაზრო პრინციპების თანამედროვე მოთხოვნათა სრული გათვალისწინებით;

7) მნიშვნელოვნად უნდა ამაღლდეს პასუხისმგებლობის დონე ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენა-შესრულებაზე.

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტის_ ეკონომიკური ზრდისმაღალი და მდგრადი ტემპის უზრუნველყოფის მიზნის მისაღწევად **ეკონომიკაში საბანკო სექტორის როლის ამაღლება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. საბანკო სექტორის განვითარება** მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ქვეყანაში შექმნილ საინვესტიციო კლიმატზე, საბანკო საქმიანობის რეგულირებაზე, საფინანსო სისტემის სხვა სეგმენტებში არსებულ მდგომარეობასა და დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ფუნქციონირების ეფექტიანობის ასამაღლებლად.

მონოგრაფიულ ნაშრომში შემოთავაზებულია **გასატარებელი ღონისძიებები**, კერძოდ:

1) მიზანშეწონილია კონტროლის პალატის სახელმძღვანელო კანონის სტატუსის განსაზღვრა;

2) საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობების მოთხოვნათა შესაბამისად, უნდა ამაღლდეს კონტროლის პალატის საქმიანობის დამოუკიდებლობის ხარისხი და წინა პლანზე წამოიწიოს საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის სფეროში მისი მაკოორდინირებელი როლი, რითაც შესაძლებელი გახდება რევიზია-შემოწმებების სფეროში ჯერ კიდევ არსებული პარალელიზმის აღმოფხვრა. პალატის დამოუკიდებლობის ხარისხის ასამაღლებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მის სრულად დაფინანსებას, რაც დამოუკიდებლობის ერთ-ერთი უმთავრესი გარანტიაა;

3) მიზანშეწონილია კონტროლიორთა **ეთიკის კოდექსის** შემუშავება და მიღება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ გამოქვეყნებული და აღიარებული ეთიკის კოდექსის ძირითადი პრინციპები.

ამასთანავე, საქართველოს ფინანსური კონტროლის შემდგომი **რეფორმებისათვის** საჭიროა შემუშავდეს და მიღებულ იქნას **ნორმატიული აქტები** ქვეყნის საკანონმდებლო დონეზე, კერძოდ:

1. ფინანსური კონტროლის ერთიანი სამოქმედო კონცეფცია სახელმწიფო მმართველობის თანამედროვე პრინციპებისა და მოთხოვნების შესაბამისად;
2. ზოგადი სახელმწიფო კანონი „**საჯარო სამსახურის კონტროლის შესახებ**“, რომელიც უზრუნველყოფს საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის სახელმწიფო ორგანოთა მიერ რევიზია-შემოწმებების ფორმებისა და მეთოდების უნიფიცირებას ;
3. **სახელმწიფო ფინანსური აუდიტის ეროვნული სტანდარტები, რომელსაც საფუძვლად დაედება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების პრინციპული მოთხოვნები და ქვეყნის განვითარების თავისებურებები.** მიზანშეწონილია ამ მიზნით საკონტროლო-საანგარიშო ორგანოთა ასოციაციის შექმნა, რომელსაც სათავეში ჩაუდგება საქართველოს კონტროლის პალატა, როგორც სახელმწიფო ფინანსური კონტროლის უმაღლესი კონსტიტუციური ორგანო.

ამასთანავე, აუცილებელია:

ა) სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ახალ ფორმებსა და მეთოდებზე გადასვლისათვის **საჭიროა საჯარო სექტორის რადიკალური რეფორმა, განსაკუთრებით კი საბიუჯეტო ორგანიზაციების ქსელის ოპტიმიზაცია**, მათი ნაწილის ლიკვიდაციის ან რეორგანიზაცია-გაერთიანების გზით, აგრეთვე, ახალ სამართლებრივ-ორგანიზაციულ ფორმაზე გადაყვანა იმ მიზნით, რომ მათ მიეცეთ უფრო მეტი უფლებები საბიუჯეტო სახსრების და სახელმწიფო ქონების მართვასა და რეგულირებაში;

ბ) საკონტროლო საქმიანობის უნიფიცირება-სტანდარტიზების მიზნით საჭიროა შეიქმნას **სპეციალური ორგანო**, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური კონტროლის სტანდარტების შემუშავების კოორდინაციას და ექსპერტიზას. **შიდა საფინანსო კონტროლის** სტანდარტების შემუშავება უნდა უზრუნველყოს ფინანსთა სამინისტრომ, ხოლო გარე ფინანსური კონტროლის - კონტროლის პალატამ. საკოორდინაციო სამუშაოთა კოორდინაცია-ხელმძღვანელობა უნდა დაევალოს საქართველოს კონტროლის პალატას;

გ) რამდენადაც ფინანსური კონტროლის თანამედროვე თეორია და პრაქტიკა სახელმწიფო აუდიტის კატეგორიას განიხილავს, როგორც ფინანსური მონიტორინგის ყველაზე მისაღებ და მომწიფებულ ფორმას, მიზანშეწონილია სათანადო სამართლებრივი, მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული პირობების შექმნა კონტროლის ამ ფორმაზე გადასასვლელად. ამასთანავე, აუცილებელია ფინანსური კონტროლის დღეისათვის მოქმედი ფორმებისა და მეთოდების გამოყენების პრაქტიკის შენარჩუნება მანამ, სანამ ქვეყანაში არ გამოიკვეთება ფინანსურ სამართალდარღვევათა აშკარა შემცირების უალტერნატივო ტენდენცია;

დ) სახელმწიფო აუდიტის ფორმების შერჩევა და გამოყენება უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი მოთხოვნილების შესაბამისად.საწყის ეტაპზე, აუცილებელია **ფინანსური აუდიტის ფორმის გამოყენება**, რაც აგრეთვე განპირობებულია იმით, რომ სახელმწიფო აუდიტის სხვა ფორმების პრაქტიკული

გამოყენება შეუძლებელია ფინანსური აუდიტის შედეგების გარეშე. რაც შეეხება ეფექტიანობის აუდიტს, მისი პრაქტიკული დანერგვა უნდა მოხდეს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც საბიუჯეტო პროცესი მთლიანად გადავა პროგრამულ დაფინანსებაზე და სახელმწიფო ბიუჯეტში ასახვას ჰპოვებს ცალკეული სახელმწიფო პროგრამების შედეგების ინდიკატიური მაჩვენებლები ანუ, როცა შეიქმნება ხარჯებისა და შედეგების დამადასტურებელი ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა.

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფინანსური კონტროლის ძირითად არსს წარმოადგენს სახელმწიფოებრივი მმართველობის ეფექტიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური ურთიერთობის სუბიექტების მიერ საფინანსო კანონმდებლობის დაცვის შემოწმება. ფინანსური კონტროლის ამოცანების წარმატებით რეალიზაციისთვის კონტროლი ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით: საგადასახადო სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დაცვაზე; სახელმწიფო დოტაციების, საგადასახადო შეღავათების და სხვა უპირატესობების გამოყენების კანონიერებაზე; **ბუღალტრული აღრიცხვის სწორად წარმოებაზე**; სახელმწიფო რესურსების ეკონომიურად გამოყენებაზე; საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ და ეკონომიურად ხარჯვაზე; სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების ფინანსური, შრომითი და მატერიალური რესურსების მდგომარეობაზე და გამოყენებაზე. შესაბამისად, ქვეყნის ფინანსური პოლიტიკის ფორმირება-განხორციელებაში განსაკუთრებული როლი სახელმწიფოს ცენტრალურ საფინანსო ორგანოებს ენიჭებათ. ქვეყნის ძირითადი ინსტიტუციონალური სტრუქტურა ისე უნდა იყოს აგებული, რომ მართვა და კონტროლი დეცენტრალიზებული გზით წარიმართოს, ამით სამინისტროების და უწყებების ქვეყნის ეკონომიკური სისტემის შესაბამისი ფინანსური ურთიერთობათა სიმკაცრისა და ლიბერალიზაციის გზით მაღალი ეფექტიანობა მიიღწევა.

ამრიგად, **ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო მოთხოვნებისა და პრაქტიკის, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების, მსოფლიო ბანკის ჯგუფში შემავალი ორგანიზაციებისა (CFRR) და სავალუტო ფონდის (IMF) მიერ მომზადებული „ანგარიშის სტანდარტებისა და კოდექსების შესრულების შესახებ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში(ROSC)“** შეფასება-ანალიზის საფუძველზე მონოგრაფიულ ნაშრომში საქართველოში შემოთავაზებული **დებულებებისა და რეკომენდაციების პრაქტიკაში დანერგვით შესაძლებელი იქნება:**

ა) ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება - ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის რეგულირების სფეროს სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებით;

ბ) ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა - საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებით;

გ) ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის რეგულირების სფეროში საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილება.

გამოყენებული და რეკომენდირებული ლიტერატურა

1. აბრალავა ა., „ტრანსნაციონალური კომპანიების როლი გლობალიზაციის პროცესში“. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკა“ N5-6. თბ. 2003. გვ.15-23
2. აბრალავა ა., „ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია“, თბილისი, „ინოვაცია“. 2005.
3. აბრალავა ა., გვაჯაია ლ., ქუთათელაძე რ. „საინოვაციო მენეჯმენტი“. გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი, 2009.
4. ასათიანი ვლ., ცაავა გ. - კომერციული ბანკების საქმიანობის ფინანსური ანალიზი. - თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2014. – 500 გვ.
5. „აუდიტის ოფიციალური ტექნიკური დოკუმენტები“, ნაწილი 1. ბსფ-ის ცნობარი (IFAC HANDBOOK 1998), თბ., 1999 წ. გვ. 686.
6. „აუდიტის ოფიციალური ტექნიკური დოკუმენტები“, ნაწილი 2. ბსფ-ის ცნობარი (IFAC HANDBOOK 1998), თბ., 1999 წ. გვ. 684.
7. აუდიტის საფუძვლები. მეთოდური სახელმძღვანელო. (პროფესორ ზ. ლიპარტიას რედაქციით). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 1997. 128 გვ.
8. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების აღიარების შესახებ საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კოლეგიის დადგენილება №6, 1998.
9. აუდიტისა და ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების სახელმძღვანელო, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია, 2010., - გვ. 488.
10. ბაკურაძე რ., „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით (ფასს) მომზადებისა და წარდგენის ძირითადი ასპექტები“, ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა“, 10, თბილისი 2015. - გვ.30-35,

11. ბაკურაძე რ., „ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის ეროვნული სტანდარტების სრულყოფის პერსპექტივები საქართველოში“. სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება (ისტორია, თეორია, პრაქტიკა) სტუ, თბ., 2015. - გვ.
12. ბასარიაც., ბასარიარ., „გადასახადი: სიკეთე თუ უკეთურება?“ თბ., 2003
13. ბასილაია კ. „ფინანსური აუდიტორული კონტროლის სრულყოფის მიმართულებები თანამედროვე ეტაპზე საქართველოში“.თსუ, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.. 27-28 ივნისი, 2014.გვ.
14. ბასილაია კ., ლიპარტია ზ. - ფინანსური კონტროლი, სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012. – 357 გვ.
15. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ., გრძელიშვილი ნ., „ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ადმინისტრირება“. სახელმძღვანელო. თბილისი. 2010. თავი 17. „ბიზნესის შეფასების ორგანიზაცია და მართვა“. გვ. 347-388
16. ბარათაშვილი ე., ბაკაშვილი ნ., ფარესაშვილი ნ., გეჩბაია ბ., მესხიშვილი დ., თანამედროვე ბიზნეს სტრატეგიები. სახელმძღვანელო. გამომც. „უნივერსალი“. თბილისი. 2011. – 246 გვ.
17. ბარბაქაძე გ., ბუღალტრული (ფინანსური) აღრიცხვა. სახელმძღვანელო. გამომცემლობა „უნივერსალი“. 2007. - 140 გვ.
18. ბლანკი ი. ა., „ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები“ (მეორე გამოცემა). ქართული თარგმანი ლ. ქოქიაურის მიერ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი. 2013. - გვ. 600
19. ბურდიაშვილი რ. -ბუღალტრული აღრიცხვა ბანკებში. - თბილისი, გამომცემლობა „პოლიგრაფისტი“, 2013.
20. ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირება - გამოცდილება, რეალობა, პერსპექტივა, საერთაშორისო კონფერენციის მასალები, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია, თბ., 2010., გვ. 134;
21. ბუღალტრის (აუდიტორის) პროფესიის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის ანალიზი - მსოფლიო პრაქტიკა, ჩეხეთის რესპუბლიკა, ევროკავშირის დაფინანსებით განხორციელებული პროექტი. ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა“. თბილისი. 2004. გვ. 4.
22. გაბიძაშვილი ბ., სიღარიბის პორტრეტი საქართველოში, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2006;
23. გელაშვილი თ., ზარანდია ც., ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. სახელმძღვანელო (პროფესორ ზ. ლიპარტიას რედაქტორობით). ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტი. გამომცემლობა „უნივერსალი“ 2007. 332 გვ.

24. გრიგალაშვილი ლ. „საბუღალტრო აღრიცხვა–ანგარიშგების რეფორმის ძირითადი მიმართულებანი საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში“, სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2006 .
25. დუჩიძე მ., ჭუმბურიძე ლ. „ბუღალტერია“, თბ, 1995 . გვ.204;
26. ევროსაბჭოს მერვე დირექტივა „კანონმდებლობით გათვალისწინებული აუდიტის ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირების დანიშვნის თაობაზე“, 1984 წლის 10 აპრილი;
27. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს მეექვსე დირექტივა „წლიური ანგარიშებისა და კონსოლიდირებული ანგარიშების სავალდებულო აუდიტის შესახებ“, 2006წ.8 მარტი, ბრიუსელი;
28. ეთიკის კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია, თბ. 2009., გვ. 156;
29. ელიავა ლ. - საბანკო კრიზისების პროგნოზირება, თბილისი 2013;
30. ზარანდია ც., მენეჯერული აღრიცხვა. სალექციო კურსი. (პროფესორ ზ. ლიპარტიას რედაქციით) ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. გამომც. „უნივერსალი“. თბილისი. 2011. 120 გვ.
31. ზარანდია ც., ხუციშვილი კ., აღრიცხვა საბიუჯეტო დაწესებულებებში. ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. გამომც. „უნივერსალი“. თბილისი. 2012. 364 გვ.
32. თოდუა გ. - ბუღალტრული აღრიცხვის თეორია საერთაშორისო სტანდარტებით. სახელმძღვანელო (პროფესორ ზ. ლიპარტიას რედაქტორობით). სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბ. 2002. – 198.,
33. იზთურქი., „პროფესიონალი ბუღალტრების პრაქტიკული საქმიანობა, კვალიფიკაციის სერტიფიკატისა და ლიცენზიის გაცემის პრაქტიკა თურქეთში“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირება,“ თბ., 2009 გვ.84
34. ინგოროყვა ა., ცაავა გ., „ფინანსური მენეჯმენტი“, სახელმძღვანელო 2 ტომად, სტუ,თბ., 2011.
35. კაკაბაძე ვ. „ბიზნეს ადმინისტრირება (სრულყოფის თორმეტი საფეხური)“. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2011.
36. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ. - თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა. - თბილისი, გამომცემლობა შპს „სეზანი“, 2014. – 548 გვ.
37. ლიპარტია ზ., „კორპორაციული ფინანსური კონტროლინგის შიდა აუდიტის გამოყენებითი ასპექტები“. თსუ, პაატა გუგუშვილის 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. ეკონომიკის ინსტიტუტი. ივნისი, 2015.გვ.

38. ლიპარტია ზ. „საქართველოს სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სრულყოფის მეთოდოლოგიურ-პრაქტიკული ასპექტები“. სტუ, შრომების კრებული, ტომი 3. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2015.
39. ლიპარტია ზ., ბაკურაძე რ., „ბუღალტრული აღრიცხვა-აუდიტის ინსტიტუციური რეგულირების სრულყოფის პრიორიტეტები“, თსუ, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი VII. თბილისი, 2014. - გვ 170-178
40. ლიპარტია ზ., ბაკურაძე რ., „ბიზნესის ღირებულების შეფასების პრაქტიკა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში“. მეორე საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. სტუ, 2014. გვ.
41. ლიპარტია ზ., გელაშვილი მ., ჯღარკავა ნ., ბერიშვილი ხ., „კორპორაციული ფინანსები“, ტ. 1, „კორპორაციული ფინანსების მართვის საფუძვლები“:1) თემა 3 - „კორპორაციული ფინანსების მართვის ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემა“, გვ 105-130; 2) თემა 10 – „კორპორაციის საინვესტიციო საქმიანობის მართვა“, გვ. 253-298. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2012.- 522 გვ.
42. ლიპარტია ზ., გელაშვილი მ., ჯღარკავა ნ., ბერიშვილი ხ., „კორპორაციული ფინანსები“, ტ. 2, „კორპორაციული ფინანსების მართვის სტრატეგიები“: თემა 26 – „ბიზნესის (კომპანიის) ღირებულების შეფასების პრობლემები და ბაზრის ეფექტიანობის კონცეფციური ასპექტები“, გვ. 357-395; გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2013. - 554 გვ.
43. ლიპარტია ზ., გვარამია ნ., ლანჩავა ვ., ეკონომიკური ანალიზი: მიკროეკონომიკური ანალიზის პრაქტიკუმი. სახელმძღვანელო. (პროფესორ გ. ცაავას რედაქტორობით) სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აფხაზეთის ეკონომიკისა და სამართლის აკადემია. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 2007. 496 გვ.
44. ლიპარტია ზ., ზარანდია ც., გელაშვილი მ., „მმართველობითი აღრიცხვა და შიდა კონტროლი“, ახალციხე, 2011. გვ. 306
45. ლიპარტია ზ., მაისურაძე ნ. „სტრატეგიული ფინანსური დაგეგმვისა და კონტროლინგის პრიორიტეტები სამთო-მომპოვებელი დარგის „RMG“-ის კომპანიების მაგალითზე. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „გადასახადები“ 10-11. 2014. გვ. 81-92
46. ლიპარტია ზ., ჭუმბურიძე ლ. „ბუღალტრის პროფესიული აღიარების საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოს პრაქტიკა“, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 5-6 ნოემბერი 2009 წ., გვ. 56-64;
47. ლიპარტია ზ., ჭუმბურიძე ლ. „ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირება საქართველოში საერთაშორისო პრაქტიკისა და ევროდირექტივების საფუძველზე“, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, საქართველოს

ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ცენტრი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათ., 2011., გვ. 142–145.

48. ლიპარტია ზ., ჭუმბურიძე ლ. „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირების ასპექტები საერთაშორისო პრაქტიკის კრილში“, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2011., გვ. 257-258.

49. ლიპარტია ზ; ჭუმბურიძე ლ. „ბუღალტრის პროფესიული სერტიფიცირებისა და აკადემიური განათლების სფეროში არსებული პრობლემები და სრულყოფის პრიორიტეტები საქართველოში“, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“ № 6, 2013. გვ. 36-46..

50. მესხია ი. „სახელმწიფო ფინანსური კონტროლი“. თბ. 2011.

51. მესხია ი. „საერთაშორისო ფინანსები“; თბ. 2012. თავი 12. გვ. 299-303.

52. მესხია ი., ჯალაღონიად. „ბუღალტრული აღრიცხვაბასს-ით“, თბ., 2006, გვ. 286.

53. მონტგომერი, „აუდიტი“, საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო, გამომცემლობა „ფინანსები“, თბ. 1999.

54. პაპავა გ. „ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგია“, პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი.

55. „პროფესიის მიღწევები და ახალი გამოწვევები“ საერთაშორისო კონფერენციის მასალები. საქართველოს ბაფი, თბ. 15.12.2011.

56. „პროფესიული განათლება და მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა - გამოცდილება, რეალობა, პერსპექტივები“, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, თბ., 2008.

57. პროფესიული შესაძლებლობებისა და კომპეტენტურობის შეფასება, პროფესიონალი ბუღალტრის განათლების სტანდარტი (გს) 6, საქ. ბაფი 2005;

58. როგავა ზ., სხირიელი მ., „საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემები“, თ. 2003

59. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ ქუთაისი, 2016წ 8 ივნისი.

60. საქართველოს კანონი “ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ”, თბ., 2012, 29 ივნისი.

61. საქართველოს კანონი „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“. თბ. 2006წ

62. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „მეწარმეთა შესახებ“ (28.10.1994წ.).

63. საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების შესახებ“.

64. საქართველოს კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“, თბ. 07.02.1995.

65. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“, 05.02.1999.
66. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“. თბილისი. 2010 წ. 26 მარტი.
67. საქართველოს საგადასახადო კოდექსი (შემდგომი ცვლილებების გათვალისწინებით), თბილისი. 2016.
68. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, თბ. 2014, გვ. 34-35.
69. სილაგაძე ა., „ეკონომიკური პოლიტიკა და ბიზნეს პროცესების მართვა“. მონოგრაფია თბილისი 2011.
70. ტერაშვილი ნ., „საგადასახადო პრაქტიკის აქტუალური საკითხები“. თბ. 2005
71. ტომპსონია. ა.-უმც., ა. ჯ. სტრიკლენდი III, სტრატეგიული მენეჯმენტი: კონცეფციები და ბიზნეს სიტუაციები, მე-13 გამოცემა: ნათარგმნი ინგლ.-შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, თავი 8. გვ.355-396.
72. უდესიანი თ., „შიდა აუდიტთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები საჯარო სექტორში“. ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა“, 18, თბილისი. 2015. - გვ. 28-32
73. უძრავი ქონების შეფასება, მეორე კალენდარული გამოცემა: ნაწ. I; III; V. თარგმნილი ინგლისურიდან საქართველოს პროფესიონალ ქონების შემფასებელთა ფედერაცია (რედ. პ. მიქაძე), თბილისი 2003.
74. ფაილოძე ნ., ალანია ჯ., ლიპარტია ზ., კვეცანაძე ვ., ხუციშვილი ო., სულაშვილი გ., „საბუღალტრო საქმე“, ტ. 1, (მესამე შევსებული გამოცემა), სახელმძღვ. (პროფესორ ა.აბრალავას და დ.ჯალალონიას რედაქტირებით) გამომც.: „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბ., 2013., გვ. 354;
75. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა (ბასს) და ინტერპრეტაციების ჩათვლით 2010 წლის მდგომარეობით, საქართველოს ბაფი, 2011.
76. ფინანსური მენეჯმენტი - გიორგი ცაავა, ბესარიონ ბიწაძე, ზურაბ ლიპარტია; აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი 2006 წელი;
77. ქებაძე ნ., - „აუდიტის საფუძვლები“. თბილისი. 2005. - 357 გვ.
78. ქუთათელაძე რ., ლიპარტია ზ. „ბუღალტრის (აუდიტორის) პროფესიული განათლებისა და სერთიფიცირების რეგულირების მექანიზმი საქართველოში“. თსუ, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი VIII. თბილისი, 2015. - გვ.423-426.
79. ქუთათელაძე რ., კობიაშვილი ა., „აუდიტის საფუძვლები“, გამომცემლობა: „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბ., 2009, გვ. 182;

80. ქუთათელაძე რ., ლიპარტია ზ., „ბიზნეს პროცესების რეინჟინერინგის მექანიზმში სერვისული ორგანიზაციების პროდუქტების გამოყენების საკითხისთვის“. ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“ 3. 2013 გვ. 9-18
81. ქუთათელაძე რ., ლიპარტია ზ. აბრალავა ნ., „ეფექტიანობის აუდიტი ფინანსური კონტროლის სისტემაში“. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა“ 6-7. თბ., 2009. გვ. 27-33; 42-49.
82. ღურჯკაია კ. ღურჯკაია თ. „ბიზნესის საფუძვლები“; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბ. 2006 – 698 გვ..
83. ჩიბურდანიძე ლ. - საბანკო საქმე (მოკლე კურსი) , გამომცემლობა „თბალისი“ , თბ. 2008;
84. ჩიქავა ლ. „ინოვაციური ეკონომიკა“, გამომც. „სიახლე“. თბ.,2006
85. ცაავა გ., აბრამია თ., ცაავა დ., რისკოლოგია ფინანსური და საბაზრო საკრედიტო რისკების მენეჯმენტი, გამომც. "აფხაზეთისმეცნიერებათააკადემია" თბ., 2007, გვ. 474-515.
86. ცაავა გ., ხანთაძე გ. - საბანკო მენეჯმენტი (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა), სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომც. „დან“, 2015. – 800 გვ.
87. ცაავა გ .-ეკონომიკური ნორმატივების სრულყოფის საკითხები: „ოქროს კვეთას“პროპორციებუნებაში,ფერწერაში,არქიტექტურაში,მშენებლობაში,ეკონომიკაში,ბიზნესში,ფინანსურდასაბანკომენეჯმენტში.მონოგრაფია.საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.თბ.გამომცემლობა „დან“2016.-126 გვ.
88. ცერცვაძე გ., „ახალი მარეგულირებელი კანონი აღრიცხვისა და აუდიტის სპეციალისტებისათვის“. ჟურნალი „აუდიტი აღრიცხვა ფინანსები“ № 8, თბ., 2.-?
